

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სადიტერატურო-სამეცნიერო ჟურნალი

# წ ა რ ა ლ ე ლ ი



9

2017

UDC-უაკ  
001.92

---

---

*მთავარი რედაქტორი:* **ტ მ მ ა ზ მ ი შ ვ ე ლ ა ძ ე**

*სარედაქციო კოლეგია:* მერაბ ახოზაძე  
ირაკლი გაბისონია  
გიორგი გაჩეჩილაძე  
ჯემალ გახოვიძე  
გიორგი კულდონაშვილი  
ვახტანგ დავითაია  
ივანე თვალავაძე  
იგორ კვესელავა  
ჰენრი კუპრაშვილი  
შალვა ნაჭყებია  
ვაჟა პაპასკირი  
გიორგი სალუქვაძე

**სოსო სიგუა**

*(რედაქტორის მოადგილე)*

არჩილ ფრანგიშვილი  
ქეთევან ქოქრაშვილი  
რუსუდან ქუთათელაძე

**ბადრი ცხადაძე**

*(პასუხისმგებელი მდივანი)*

თემურ ჯაგოდნიშვილი  
მეუფე ანანია ჯაფარიძე

ყდის დიზაინერი **ვახტანგ დავითაია**  
კომპიუტერული უზრუნველყოფა **ნონა ცაბაძე**

---

---

მისამართი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
კოსტავას 77, VI კორპუსი, VI სართული, ოთახი 603ა  
ტელ.: 577 42 54 72; 597 09 21 48;  
ვებ-გვერდი: [www.jurnali-paraleli.gtu.ge](http://www.jurnali-paraleli.gtu.ge)  
ISSN 0235-8417; E-mail: [jurnali-paraleli@mail.ru](mailto:jurnali-paraleli@mail.ru)

## გ თ ა ვ ა ზ ო ბ თ :

### პ რ ო ზ ა , პ ო ე ზ ი ა

გიორგი სოსიაშვილი.....	5
ჯემალ სვანიძე .....	14
ვაჟა მელიქიშვილი .....	16
ნიკა წერეთელი .....	19
ირმა კეცხოველი .....	24
ნუგზარ ხუციშვილი .....	28
კახა გვარუცაძე .....	34
გიორგი მოდებაძე.....	36
ჟუჟუნა გიგაური .....	38
ცირა ნუცუბიძე.....	46
მიხეილ რამაზაშვილი .....	48
როდამ თევდორაშვილი.....	50
თამაზ ხმელიძე .....	51

### წ ე რ ი ლ ე ბ ი

იგორ კვესელავა – როგორ ინგრეოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. . .	53
რევაზ მიშველაძე – რა ელის ევროპის კულტურას .....	79
სოსო სიგუა – ჰიმნოგრაფიული პოეზია და მუსიკა .....	88
მურმან თავდიშვილი – რითმისწინარე მიმორხევანი .....	109
თამარ ბლიაძე – ქართული კულტურის ორიგინალურობა .....	119
ალექსანდრე მღებრიშვილი – ჟურნალისტიკის ინტერაქტიული ბუნება და მისი, როგორც სახალხო ფორუმის, ძირითადი ფაქტორები. .	126
ბადრი ცხადაძე – გინება და ქართველები .....	135
როზა გაფრინდაშვილი – ფსიქოთერაპიული მეთოდები ქართულ ფოლკლორში .	139
თეიმურაზ ფანჯიკიძე – საინტერესო წიგნი საარაგვოსა და არაგველებზე .....	148
ეთერ შამანაძე – ინფორმაციის ტიპები და ინფორმაციული სივრცე .....	151
ნაზი ხანიაშვილი – „ვეფხისტყაოსანი“ და მეტაფიზიკა .....	154
მურად შონია – სოციოლოგიის პრაქტიკული დანიშნულებისათვის .....	158
სოსო კიკნაძე – გლობალიზაცია თანამედროვე მსოფლიოში .....	169

<b>გიული მურადაშვილი</b> – ედემისა და ვარდის სახით ასახული მშვენიერება (X-XII საუკუნეთა ესპანური პოეზია და ინტერპრეტაცია ჰეგელის „ისტორიის ფილოსოფიის“ მიხედვით). . . . .	<b>171</b>
<b>ევგენი ბარათაშვილი,</b> <b>ბადრი ცხადაძე</b> – სახელმძღვანელოები ტურიზმში ტერმინოლოგიურ-ენობრივი რაკურსით (ბოლო ხუთი წლის პროდუქციის მიხედვით) . . . . .	<b>174</b>
<b>ნანული (ნანა) გუნია</b> – აღზრდისა და თვითაღზრდის როლის შესახებ პიროვნების განვითარებაში . . . . .	<b>180</b>
<b>ნინო გომართელი,</b> <b>თამარ ხოხობაშვილი</b> – საქართველოს ევროპული პერსპექტივები და ევროპის სამეზობლო პოლიტიკა . . . . .	<b>185</b>
<b>მარიამ ანდლულაძე</b> – „სიკვდილის მანქანა“ – „მადამ „გილიოტინი“ . . . . .	<b>189</b>
<b>ბადრი ცხადაძე</b> – ბატონი ბიძინა ივანიშვილის ე.წ. ერთი „იალიშის“ შესახებ. . . . .	<b>194</b>
<b>ნანა გასვიანი</b> – ილია ჭავჭავაძის შეხედულება (დამოკიდებულება) საზღვარგარეთის ქვეყნების კულტურული მემკვიდრეობისადმი . .	<b>194</b>

**პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი კ ა**

<b>როზა გაფრინდაშვილი</b> – „დიდი გადარჩენის“ პატარა „საიდუმლოებები“ (90-იანი წლების დღიურებიდან) . . . . .	<b>205</b>
<b>დემნა კვარაცხელია</b> – სკამის მაგია . . . . .	<b>211</b>
<b>თამაზ აქუბარდია</b> – პატარ-პატარა ინტრიგები (ფსიქოლოგიური დეტექტივი). .	<b>220</b>
<b>ელენე დემეტრაძე</b> – მე და წიგნები . . . . .	<b>226</b>
<b>ნოდარ შანიძე</b> – შორეული წარსულის კვალდაკვალ . . . . .	<b>228</b>



**გიორგი სოსიაშვილი**

**ზესკნელის ბინადრები**

რა განსაკუთრებული გამოვლინებები უნდა მქონდეს მაინც. ეხლა არ დამაწყებინო ფსიქიატრიის სახელმძღვანელოთა კითხვა და ძებნა იმისა, რომელი და რომელი თვისებაა ჩემში ფსიქიატრიულ აშლილობას რო ადასტურებს. არ მინდა მე ეგეთი რაღაცეები, უბრალოდ ვთქვი, რო გიჟი ვარ და საგიჟეთში გადავწყვიტე წასვლა. ჩემნაირები წასულან? იქ ყველა ბოლო უჯრედამდე გაგიჟებული კი არ არის, არიან საშუალო გიჟებიც, არიან ნამეტანი გიჟებიც, ჩვენ აქ საგიჟეთის გარეთ მყოფი ადამიანები რო დასაბმელებს ვემახით ხოლმე და ისეთებიც არიან დამწყებნიც. ხო არსებობს დამწყები პოეტი, დებიუტი რო აქვს, ერთი-ორი ლექსი რო გამოაქვეყნა და პოეტობაზე ოცნებობს. აი, ასეთი დამწყები გიჟებიც არიან იქ, მეც მინდა მათ რიგებს შევუერთდე. არადა, საგიჟეთის სიახლოვეს ჩავლილიც კი არ ვარ. მხოლოდ გაგონილი მაქვს სად მდებარეობს და წარმოსახვაში როცა ჩემთან საუბარში გიჟთა თავშესაფარი უხსენებიათ, ჰო წარმოსახვაში დამინახავს გისოსებიანი, ძველი, აქა-იქ ნალესჩამოცვენილი შელახული შენობა. საგიჟეთს რა რემონტი უნდა. ალბათ, სულ ასე ფიქრობდნენ და ამიტომაც დარჩა ასეთ მდგომარეობაში. საგიჟეთზე ორი ამბავი გამახსენდა და ვიდრე ამ სამყაროს ვესტუმრები, მანამდე მოგიყვებით. ერთი ჩემს მეზობელ სიმონიჩს გადახდა. სიმონიჩი აღარ არის, ეხლახანს გარდაიცვალა, ღმერთმა აცხონოს. კოლმეურნეობის დამსახურებული მძღოლი იყო. ისეთი „ტრი“ ჰყავდა, ისეთი, ავთვალს არ ენახვებოდა, სიმონიჩი რო ლოგინს გაეკრა, მერე გაყიდეს მისი დაბერებული „ტრი“, რომელიც იმ დროში საოცარ სატვირთო მანქანად ითვლებოდა. ფიცხი კაცი იყო სიმონიჩი. მაღალი, გამომშრალი კედარივით ხმელი და კუმტი იერსახის, იშვიათად თუ გაიცინებდა. მგონი სადღაც დავწერე კიდეც გერმანიაში იმსახურა საბჭოთა ჯარის რიგებში. ქალაქიც მახსოვს დრეზდენი და გერმანული სიტყვები ჰქონდა ხოლმე იმ ცხონებულს აჩემებული. მაგალითად ვიღაც თუ ისეთ დროს სთხოვდა მანქანით სადმე წაყოლას როცა სიმონიჩი დაკავებული იყო, ან კოლმეურნეობის თავმჯდომარე დავით ბაგრატიჩი ემახდა, სიმონიჩი ეტყოდა „ნიხტე არბაიტენ“ და ამით ამთავრებდა თავის სათქმელს.

მეორე „ტრიც“ დაჰქროდა კოლმეურნეობის ველ-მინდვრებში. მისი მძღოლი საველიჩი იყო, სიმონიჩის კოლეგა და მეგობარი, ოღონდ მეზობელსოფლელი. ხუმარა, ხუმარა, საველიჩის დანახვაზეც კი ყველას ღიმილი მოსდიოდა სახეზე.

ისეთ რაღაცას დაახეიქებდა კოლმეურნეობის შოფერ-ბრიგადირთა შვერე-ბაზე, მთელი დღე ყოფნიდათ, რო ეცინათ და ეხალისათ. საველიჩი და სიმონიჩი კი მეგობრობდნენ, მაგრამ თხამგლური ურთიერთობა ჰქონდათ. ერთმანეთის გასამასხარებლად რას არ აკეთებდნენ. ერთხელაც ასეთი რამ დაუგეგმა საველიჩმა. დიდი მანქანა გამიფუჭდა და, შენი ჭირიმე, ცხინვალში გამამყე, ნაწილები უნდა ჩამოეტანათ, წინა კვირას დავავალეო. მიუყენა სიმონიჩს თავისი ლურჯი მ3 და ცხინვალისკენ დაიძრნენ.

რომელიღაც შენობის წინ გააჩერა საველიჩმა მანქანა და სიმონიჩს უთხრა სულ ათი წუთი დამელოდე, აქ ერთი კაცი მელოდება, გამომყვება და ნაწილებსაც წავიღებთო. ზის სიმონიჩი და გული ავს ეუბნება. ერთი კვირაა ძან დამიტკბა, სულ დამგურგურებს, ესა და ესეთი?.. ეს სულძალი ესა... თვალეში შემომციცინებს, შენაო ამ კოლექტივის დედაბოძი ხარო, რამდენი რამე მისწავლია შენგანო, მე რო შოფერი დავდექი სულ შენი დამსახურებაა თორე „მამინისა“ რა ჯანდაბა ვიცოდი, ლამის თავი აეხადოს, ფიქრობს და ვერ აუხსნია, მთელი ცხოვრება ჩემს მასხარაობაში გაატარა ამ გოთვერანმა და ეხლა რა სიყვარულის ბუშტი გაუსკდა. ვერ აეხსნა, იჯდა ეგრე გუგულივით მანქანაში და გასცქეროდა საგოჭეთის შენობას. ხან ლიახვის პირს გახედავდა, ნაცრისფრად მოღელავდა წვიმით გაღუქებული დიდი ლიახვი. კაშხალთან ტბორდებოდა, თითქო გზის გაგრძელებას აღარ ფიქრობდა, ტალღებს იკავებდა, მორევი იტრიალებდა. მერე ერთიანად ეშვებოდა, ვეება სიმძლიდან ბეტონის უზარმაზარ ფილებზე ენარცხებოდა წყალი და იდგა ზათქი და ლამნარევი ტალღების ქარბუქი.

საველიჩი ამ დროს საგოჭეთში დირექტორს დაემებდა. დირექტორი სამოციოდე წლის კაცი იყო აქაური, მოსკოვში ესწავლა, ფსიქიატრიის პროფესიას დაუფლებოდა რომელღაც სასწავლებელში და ჯერ სპეციალისტად, მერე მთავარ სპეციალისტად, მერე საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსად, მერე დირექტორის მოადგილედ განსაკუთრებული გოჭების დარგში და ბოლოს დირექტორად მუშაობდა. ერთი სიტყვით მთელი ცხოვრება საგოჭეთში გაეტარებინა და ისეთი უცნაური მზერა ჰქონდა, მიხვდებოდი, რო გოჭებს და ჰკვიანებს ველარ არჩევდა და ადამიანში მუდმივად ფსიქიკურ გადახრებს ეძებდა. ყველა ადამიანში შეამჩნევდა მისი ამ საქმეში გაწაფული თვალი, რო რაღაცა ვერ იყო ფორმაში.

საველიჩმა როგორც იქნა დაიმართოხელა დირექტორი ბათირა კოკოევი და ლამის მუხლებზე დაუდგა.

– რამე უნდა მიშველო, – ბათირა აკვირდებოდა დიცის კოლმეურნეობის მძღოლს და თავდაპირველად ისეთი რაღაცეები დაიჭირა მის მზერაში, ეჭვი შეეპარა, ვერ უნდა იყოს ეს კაცი, აშლილობის საწყისი ნიშნები შეამჩნია. საველიჩმა ისე შესტირა, რო გამოცდილი დირექტორი მართლა დააჯერა.

– შენი ჭირიმე, ერთი გოჭი მოვიყვანე, აიკლო ოჯახი და სოფელი. ძალიან ავი და აგრესიულია. ვერავინ ვერაფერს გახდა, მოტყუებით წამოვიყვანე ცირკი უნდა გაჩვენო-მეთქი და როგორმე უნდა მომეხმაროთ, რო მანქანიდან გადმომავანინოთო.

ბათრამაც ტელეფონის ყურმილი აიღო, ნომრების ბორბალი ორჯერ ჩამოარიგინა (შიდა ტელეფონზე რეკავდა) და საგიჟეთის ბრიგადას უხმო.

ზის სიმონიჩი და ელოდება.

„სად ჯანდაბაში წავიდა ეს ჩემის თვრამეტიანი, სად გაქრა, მალ-მალე დახედავს საათს. რაღაცას მაიმუნობს და ეგ თუ ლიახვში არ გადავუძახო კაცი არ ვიყო. შავ-შავ სახეზე ნელ-ნელა წაეპარა ცეცხლი. თვალეზიც შეუწითლდა. ერთი ხანობა კარი გააღო, გაიარ-გამოიარა, ლიახვის პირთან ახლოს მივიდა, მოაჯირს ჩამოეყრდნო და კაშხალთან დაქანებულ ტალღებს დასცქეროდა, მერე ისევ მანქანაში ჩაჯდა. ელოდა, ელოდა საველიჩს და...“

საგიჟეთის ჭიშკარი ჭრიალით გაიღო, თეთრხალათიანი, ჩაფხუტჩამოც-მული თანამშრომლები გამოილაღნენ. ნელ-ნელა უახლოვდებიან.

სიმონიჩი თეთრ ხალათებს აკვირდება.

უახლოვდებიან და თოკებს იმარჯვებენ.

„ვინ არიან კაცო“... – ფიქრობს სიმონიჩი.

ბოლოს კარი გააღო და გადმოვიდა.

– ვინა ხართ? – დაუყვირა მის გარშემო შეკრებულ საგიჟეთის თანამშრომლებს, რომლებმაც არაფრის თქმა არ დააცადეს სიმონიჩს და ხელ-ფეხი შეუკრეს. ბევრი ეძალავა, ბევრი ეცადა, მაგრამ გაკოჭილი სიმონიჩი საგიჟეთში აღმოჩნდა და დიდხანს დასჭირდა საველიჩს მერე იმის მტკიცება, რო ეს ყველაფერი მისი მოგონილი ეშმაკობა იყო და ეს კაცი, სრული ჭკუის მქონე კოლმეურნეობის მძღოლი მან ჩააგდო ასეთ დღეში.

აღარ მოვეყვები რა დაემართა საველიჩს. როგორც კი თოკები შეხსნეს სიმონიჩს, სად წავიდა, სად გაქრა.

საგიჟეთში დაბერებული დირექტორი ბოლომდე ვერ იჯერებდა, რო მაიმუნობას ჰქონდა ადგილი...

– ვინ არის გიჟი, მე თქვენ დედას... თქვენი, რაც სიგრძე გაქვთ იმ სიგანეს გაგიხდით. ამხელა კაცი ხარ, რო იყურები მაგ სათვალეებიდან მელიასავით, ჭკუა არ უნდა გქონდესო. – ხელი მოუღერა დირექტორ კოკოევს, მაგრამ მიხვდა რო დარტყმად არ ღირდა... საველიჩი უკვე გამქრალიყო.

მეორე ამბავი ჩემს მეგობარ ზურას შეემთხვა. წაიკითხავს და ადუღდუნდება. მწერლებთან ხომ არაფერი უნდა სთქვას კაცმა, ეგრევე მოთხრობად აქცევთო...

იდუღდუნებს და გაჩუმდება.

სამხარეო ადმინისტრაციიდან ერთ-ერთი ფსიქიატრიული საავადმყოფოს შესამოწმებლად გაგზავნეს. რომელი ფსიქიატრიული ექსპერტი ეს მყავდა, მაგრამ მეგობარ ცაბასთან ერთად ეწვია ჭკუიდან გადასულთა თუ გადმოსულთა (რომელი დავარქვათ?) თავშესაფარს. დიდის ამბით გამოეგებნენ საავადმყოფოს ადმინისტრაციის წარმომადგენლები. თან მობილური უხტოდა ერთ ახალგაზრდა პოლიციიდან საგიჟეთის ხელმძღვანელობაში გადასულ კაცს.

დირექტორი ათ წუთში აქ იქნება, დირექტორი ათ წუთში აქ იქნებოდა, თუთიყუშივით იმეორებდა. ეზოში სამიოდე გადაბელილი ვერხვი და მოსაჭრელად გამზადებული ტირიფი იდგა, ტოტები ამ უბედურების ცქერაში გახმოზოდა. მწვანე ზოლებიან თეთრ სამოსში გამოკვანთული საავადმყოფოს ბინადრე-

ბიდან ზოგი ეზოში იყო, ზოგი ნაცრისფრად შეღებილ კორპუსში და ეზოში შემოსულ სტუმრებს ღრეჭა-ღრეჭით უმზერდა. ზოგი მუშტს იქნევდა, ზოგი ენას უყოფდა, ზოგი მდუმარე დადიოდა ვერხვების წინ მოუვლელ ბალახზე თავის ფიქრებში ჩაძირულ-ჩაკარგული.

ადმინისტრაციის თანამშრომლები დაწესებულებაში არსებულ ვითარებაზე ესაუბრებოდნენ და სამხარეო ადმინისტრაციას ზუსტად ცამეტჯერ გადაუხადეს მადლობა.

– თქვენი ყურადღება ნამდვილად არ გვაკლია, თქვენ რომ ყურადღებას არ იჩენდით, თანამშრომლები (და არა ავადმყოფები) ძალიან მადლობლები არიან.

განსაკუთრებული მადლობა ჩვენს გუბერნატორს. საახალწლოდ ღონისძიებას ვამზადებთ და უსათუოდ მოგიწვევთ და ა.შ.

– კარგი, – უპასუხა ზურამ, ვიდრე დირექტორი დაბრუნდება მე და ჩემი მეგობარი ეზოში გავივლით, დავათვალიერებთ და მერე კორპუსები შემოგვატარეთ.

– მერე – მიყვება ზურა. თან სიცილს ვერ იკავებს, – გადავრჩი, ხათაბალას გადავრჩი და კაი შემოწმება მომივიდოდა. ვიღაც შუახნის კაცი მოვიდა, შემოგვციცინა, თავაზიანად დაგვიკრა თავი. პაპიროსი ხომ არ გექნებათო. ცაბა არ ეწევა. ამოვიღე კოლოფი და გავუწოდე. ძლივს ამოიღო. წვრილ თითებს აფათურებდა. ისევ მე მივეხმარე. ბარე ოცჯერ დამიკრა თავი. თქვენ გაიხარეთ, თქვენ გაიხარეთ, შალვა ვარ მე, შალვა ვარ მე, შალვა ვარო... რომელი შალვაო, – ცაბამ. თვალი ჩავუკარი დაანებე თავი-მეთქი.

– შალვა ვარ, სამტრედიელი, ქუთაისელი და თბილისელი. ლანჩხუთელიც ვარ და ეხლა მინდა რო ამერიკელი გავხდეთ.

ცაბამ ველარ შეიკავა თავი. ხელი წავკარი. ადამიანის უფლებებს ნუ არღვევ-მეთქი.

– შენ კი არ გამიტრაკე საქმე შენი უფლებებით და კანონებით, აღარ გამაცინო არაფერზეო. – ჯერ გაწყრა ცაბა – მერე ისევ დაერია სიცილი, – აუ, ეს რო იქ მყავდეს, რა მაგარი იქნებაო.

– ერთ დროს ესეც შენნაირი ბიჭი იქნებოდა და ეხლა ხო ხედავ, ნუ დასციინი, თორე შენც გახდები სამტრედიელ-ლანჩხუთელ-ქუთაისელ-ამერიკელი-მეთქი.

პაპიროსი კბილებში მოიქცია შალვამ და თან ხელები აქეთ-იქიდან მოუმყუდროვა.

– მომიკიდეთ რა, მომიკიდეთ რა, შენ მომიკიდე, შენ კაი ბიჭი ჩანხარო, – ცაბას მიმართა.

ცაბამ სანთებელა გამომართვა და მოუკიდა. თავიდან ვერ წაუკიდა, ლამის ლოყები მიეწევა ერთმანეთს, მერე მარჯვენა ყურის ბიბილოში ხელი წაივლო და ექაჩება და ექაჩება ლამის ჩამოიგლიჯა, თან ნაფაზს ურტყამს.

– რას აკეთებ კაცო?! – ჰკითხა ცაბამ.

– პაცოსი, პაცოსი უნდა. ისე ვერა, ხო ხედავ ცივა, უკვე ცივა.

ჩაბჟირდა ეს შტერი ჩემი მეგობარი.

– კარგი, სირცხვილია-მეთქი.



ძლივს მოითქვა სული. მეც მეცინებოდა, მაგრამ ბოლოს უცბათ დაგვასეროიზულა შალვამ.

– თქვენა ხო კაი ბიჭები ხართო. – გვიყურებს ეგრე, მღიმარი თვალებით.

– მე ხო გიჟი გგონივართო... ხო გიჟი გგონივართ... ჰა, თქვი, თორემ თემურ-ლენგს დავუმახებო. ხო გიჟი ვარ, აი, მაშ, ტყუნის დედა მოვ...ნო – და შეგინების ნიშნად მარცხენა ხელის მუშტს დააფარა მარჯვენა ხელი. გამოსტაცა სანთებელა ცაბას და დაიტიშა...

– როგორ გადაგვიკურთხა, – ქირქილებს ცაბა, – გადაკურთხება ბოლოს იყო, თუ იყო.

დირექტორი მოვიდა და დავიწყეთ კორპუსების შემოვლა, საძინებლები, სველი წერტილები, სამზარეულო. სულ მადლობები, შიგადაშიგ თხოვნაგარეული. დაფინანსების მომატებაზე, შტატების დამატებაზე, კორპუსების ნაწილობრივ რეაბილიტაციაზე.

უცბათ ატყდა ჩოჩქოლი.

ჩოჩქოლი და როგორი ჩოჩქოლი. დიმიტრი ერქვა ეხლაც მახსოვს იმ გამომტერებულ დირექტორს, თუმცა გამომტერებულები ჩვენ ვიყავით.

– ბატონო დიმიტრი! ბატონო დიმიტრი! ხანძარია, ხანძარია, ჩქარა, ბატონო დიმიტრი! არიქა სახანძროში. არიქა! – ყვირის დირექტორი.

– სად არის ხანძარი.

– მეორე კორპუსში.

დარბიან თანამშრომლები. წინ და უკან დარბიან.

ცოტა ხანში უუუ, უუუ-ს ყმულით შემოვარდა ახლადშერემონტებული „ზილის“ სახანძრო მანქანა და მოეფინენ კორპუსებს მეხანძრენი...

ერთი სიტყვით გადავრჩი.

ჩვენმა ნაცნობმა შალვამ ჩემი სანთებელით წაუკიდა კორპუსს ცეცხლი.

აღბათ, ის თემურ-ლენგიც მიეხმარა, რომ გვემუქრებოდა...

ერთმანეთს ვუყურებდით მე და ცაბა და თვალებით ვიცინოდით – „ეს რა დაგვემართა კაცო“.

\* \* \*

როგორ დავიწყე და...

– იცი რა? ჩიტები მენატრება, ბალახები, ცა მენატრება კიდეც, მინდა რო ერთი-ორი ვარსკვლავი მოვწყვიტო და აქეთ-იქით მივიბნო, აქეთ-იქით, როგორც ნეფეს აქვს ხოლმე მიბნეული, ნეფე არასოდეს ვყოფილვარ და მინდა რო გავხდე, პატარძალი თუ არ იქნება, არავის დავემდურები, ჩემთვის ვიქნები მარტო ჩემს ქორწილში.

– ?!

– ჰო, ჩემთვის ვიქნები. რამდენჯერმე ნამყოფი ვარ ცაში. არ გჯერა? ამ ჩემს ფეხებს. ღრუბელზე შენ ვერასოდეს წამოკოტრიალდები, ვერასოდეს ვერ ეღირსები, ვერც წვიმას შეეხები ხელით, ამ წვიმას კი აქ როა, აბა, ცაში ნახე წვიმა და შეეხე ხელით. ცოცხალი არსებაა წვიმა. ისეთი ლამაზი და საყვარელია. ჩემი ნაბანი წყალი დაგდით ხოლმე და თქვენ კიდე წვიმა გგონია. მთვარეს სამჯერ

წავატეხე ყუა. იცი, რა გემრიელი იყო? აბა, შენ და შენისთანები როგორ გაიგებთ მთვარის გემოს. ანგელოზები იცი, როგორ დამიმეგობრდნენ. გარდაცვლილი ადამიანები ყველა ერთად ვნახე შეკრებილი, ისეთი სახეები ჰქონდათ, ყველა მოუთმენლად მელოდა, ბარათები დაეწერათ წინასწარ, დედამიწაზე გამოსატანებელი ბარათები. იცოდნენ, რომ დავბრუნდებოდი და ახლობლებთან მატანდნენ. ისე ენატრებოდათ დედამიწა.

– მოიცა, მოიცა, – გამაწყვეტინა ფსიქიატრიულის დირექტორმა, სათვალე მოიხსნა, მე მგონი ამ სათვალესთან ერთად იყო დაბადებული და ბებია ქალმა ჯერ ის სათვალე გაამშრალა, მერე კი ბავშვი- მომავალი დირექტორი, რა იცოდნენ თეთრ ზეწარში გახვეული აჩხვლებული არსება მომავალში ვინ გახდებოდა. ათასობით ჭკუიდან გადასული ადამიანის მართვა მოუწევდა.

ნაცრისფერჩარჩოიანი სათვალისკენ გამექცა მზერა, არ ვიცი რატომ, იქიდან, ალბათ, სხვანაირი ვჩანდი, იმის გარეშე სხვანაირი.

– ვიცი რო იტყუები, გისმენდი და ნამდვილად არაფერი გეტყობა, რო შემოილი ხარ. ბოდვას და მეოცნებე კაცის საუბარს თუ ვედარ ვარჩევ, მაშინ ოცდაათი წელი აქ არ ვიქნებოდი.

– ნამდვილად შემოილი ვარ.

მხრები აიჩჩა, წყლით სავსე მომცო გრაფინი მოიყუდა, გემრიელად ჩაარაკრაკა.

– მაჩვენე ერთი ეგ ცნობა, – ხელში მომაშტერდა და უმაღლესი ექსპერტის დასკვნა გაუწოდე. ერთხანს უყურა, მერე თავი გააქნია სინანულის ნიშნად, თუ ცნობის გამცემის მისამართით გამოხატული სიბრაზით.

– სულ გადაირია ეს ხალხი...

მიყურა, მიყურა – რამ გადაგაწყვეტინა, – წაიბუტბუტა და ტელეფონს დასწვდა.

\* \* \*

– მიყურე ახლა ეგრე...

ცისფერთვალეა, თავგადაპარსულ, ყვრიმალეზამომჯდარ ახალგაზრდა კაცს ვაკვირდებოდი, ვიფიქრე, რო სულაც არ მაქცევდა ყურადღებას და...

– ჰო, ჰო, შენ გეუბნები... გგონია არ ვიცი, ვინც ხარ?

თვალი ავარიდე, ფარდაჩამოდლეპილ, ჟანგიანი გისოსებით ჩაგმანული სარკმლისკენ გავიხედე. მაინც არ მომეშვა.

– რა გინდა ჩემგან, თავს არ დაგვანებებ? აქედან გინდა, რო ამბები გაიტანო?

ახლა მეორე, ცხენისსახიანი, ქოსა, მასზე ოდნავ უფროსი მამაკაცი მომიახლოვდა.

– ჩვენნაირი გინდა რო გახდე? – ყვითელ კბილებზე გაელამუნა ღიმილი, კარის მოხეთქების ხმა გაისმა, ყურადღება იქით გაექცა, მერე ისევ მე მომიბრუნდა, – ჩვენნაირი ვერასოდეს ვერ გახდები... მე, მაგალითად, მარტივად აგიხსნი აქ რისთვის მოვხვდი, ჩიტებს დავემებდი, ბალახებს, ცას მინდოდა, რო მივფერებოდი, ღმერთი ჩემი თვალით მყავს ნანახი. – ჭროლა თვალები დაქანჩა. – ამ ჩემს ფეხებს თუ არც დამიჯერებ, ეხლა მაგაზე მადარდე, აემ თვალებით

ენახე ღმერთი... შენაირებს კი არ ენახვება ისა. ეკლესიაში ღმერთი გინახავს? ვერც ნახავ... თვითონ თუ არ დაგენახვა ღმერთი... ის ირჩევს, ვისაც უნდა რო დაენახვოს და აგრძნობინოს, რო მართლა არსებობს. არ ჩანხარ ცუდი კაცი, მაგრამ ჩვენნაირი არ ხარ, ჰო, ჰო.

სიგიჟე კაი რამეა, რო იცოდე, მაგრამ გაგიჟებაც არ არის შენი ნება, მიდი, აბა, გაგიჟდი, თუ მაგარი ხარ, ჩემი ფეხები, ვერ გაგიჟდები. თავის გადაპარსვა და ზოლიანი შარვალ-ხალათი არა კმარა გაიგე? ჯეელო.

რო ეხვეწებოდი ჩვენს დირექტორს მიმიღე, მიმიღეო. იმანაც... ამ სამყაროში შემოსვლასაც კი გამჩენის ნება სჭირდება. იქ დავბრუნდი მე, მაგალითად, სანამ დაბამდებამდე ვიყა... – ისევ გამოაჩინა ყვითელი კბილები ცხენისსახიანმა. ბავ-შვობაზე დაბლა ჩავედი, ქვესკნელში და სანამ ხორციელი გავხდებოდი ისევ ის არსება ვარ, არც სახელი მაქვს, არც გვარი, დროც გაჩერდა და მეც მოვისვენე იმ გოთვერანი ისრების გაუთავებელი ჩხაკაჩხუკით, წლებს, თვეებს, კვირებს, დღეებს რო მიზომავდა. დამწყვდეულები ვართ ეხლა და უდროობაში ვარსებობთ. მაინც როგორები არიან გარეთ ისევ ისეთები, თუმიცა...

ისევ ცისფერთვალემა მომიახლოვდა.

– იცოდე გულში ცუდი არაფერი გაივლო... ადრე ხო დაგჭერი?

თვალეები დავაჭყიტე.

„დაჭრილი არასოდეს ვყოფილვარ“.

– როგორ არ ყოფილხარ. – ცისფერი, გამჭოლი მზერით შეძვრა ჩემს ტვინის ხვეულებში. – შენზე კარგათ მახსოვს, რა ვაჟბატონიც ბრძანდებოდი წინა ცხოვრებაში, ამიტომაც ჩემი დანის წერა კინალამ გახდი, ცოტა ოდნავ დაბალი იყავი მაშინ, თმის ფერი და სახის მოყვანილობა იგივე გაქვს.

– ერთი სიტყვით...

ახლა ისევ ცხენისსახიანი შეენაცვლა.

– ყველა საიდუმლო ამოვხსენი, ყველა... შენ სიგიჟე დაარქვი და... ერთი კითხვაც აღარ მაქვს არაფერზე. – ვეება, სალოკი თითი ცხვირზე დამადო და ისე დამაჭირა, იტყოდი ლიფტი უნდა გამოემახა. – შენ ვერასოდეს ამოხსნი ამ რაღაცეებს. იმიტომ, რო შენ გიჟი არ ხარ.

– ექიმი, ექიმი...

ყველამ თავის საწოლს მიაშურა. გაჩუმდნენ, გაისუსნენ. კისერზე ყურსას-მენმოგდებულმა შუახნის ექიმმა ჩამოგვიარა. საწოლებთან რიგრიგობით ჩერდებოდა და თავდადახოტრილ პაციენტებს ესაუბრებოდა, ზოგს ტუქსავდა, ზოგს თვალს უკრავდა. ბოლოს ჩემთანაც მოვიდა.

– ეს ის ახალია, ექიმო, – წამოიყვირა ცისფერხალათიანმა.

– სუუ, ვალოდია, – ხელით ანიშნა თეთრხალათიანმა, ჭადარაულვამებიან-მა კაცმა.

– იტყუება, გიჟი არ არის.

– სუ-მეთქი!

მიყურებს გამჭოლი მზერით ეს უცნაური კაცი, ათასი გიჟისთვის რო ჩაუხედავს თვალეებში, ათასი გადარეულის სამყარო რო მოუთვალეირებია.

ბოლოს თავი გააქნია და თავისთვის ჩაილაპარაკა:

– ვინ ხართ ეს ადამიანები, რა გინდათ ამ საცოდავი ღმერთისაგან. გიჟად გაგაჩნეთ, დაჭკვიანებას სთხოვთ, ჭკვიანებს მოგიყვანთ ამქვეყნად და მერე სიგიჟეს ეხვეწებით. კიდევ კარგი, რო ღმერთი არ ვარ და უბრალო, გიჟების ექიმად გავჩნდი. მიყურა, მიყურა, თვალს არ მაცილებდა, იტყოდი, სადღაც ვყავდი ნანახი და ეს ეს იყო ამოუხტებოდა გონებაში ჩემთან შეხვედრის წუთები და მომახლიდა „შენ ის არ ხარ?!“, მაგრამ ტყუილა ელოდა ტვინის ხვეულებში გაჭედულ მოგონებებს.

– გააღე პირი.

ჯერ თითქო ვერ გავიგე.

– გააღე პირი, – ნიკაპზე ხელით შემეხო, სპირტის სუნი მეცა მისი ხელიდან. შესვლა-გასვლაზე ერთავად სპირტით იზელდა ხელებს.

გავაღე პირი.

– ენა გამოყა.

ენაც გამოყავი მორჩილად. ხალათის ჯიბიდან წამალი ამოიღო და ბრტყელი, ვარდისფერი აბი ორი თითით დამიგდო ენაზე.

– დავაი, გადაუშვი, წესი წესია. რახან გიჟი ხარ...

\* \* \*

აღარ მეშვება ეს ჩემი ცოდვით სავსე ცისფერთვალეზა თავგადახოტრილი. მიზანში ამომიღო. წავა-წამოვა მომადგება. რაებს იხსენებს, რაებს იგონებს, აბა, რას გაუგებ, ჩემი თავისა რო ვერაფერი გამოგია. მიყურებს... კი არ მიყურებს, მხრავს ეგრევე თავისი ცივი და ბასრი თვალებით.

– მახსოვხარ, მახსოვხარ, უნდა მომეკალი, მივქარე, აქ როგორღა გაბედე მოსვლა, როგორ შემოაღწიე აქა... კბილებს აკრაჭუნებს, ხანდახან ისე წამოუქროლებს, რო მარჯვენა ხელის მტევანზე ცოფიანი ძაღლივით კბენას იწყებს. ჩემი მეზობელი კოტე მახსენდება, სტადიონზე რო გავაბრაზებდით ქვებს დაგვიშენდა, გამოგვეკიდებოდა და რო ვერ გვეწყოდა, მერე იდგა და ხელებზე იკბენდა ხოლმე.

სარკმელში ვიღაცას იასამნის რტოები ჩაულაგებია ლარნაკში, წამლების და ოფლის სუნში იკარგება იასამნის სურნელი.

გუშინ ძმაკაცებმა მომაკითხეს. სადღა მყავდა ძმაკაცები, ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობდი, მაგრამ თურმე დარჩენილან აქა-იქ.

ნუკრი მიყურებდა და თვალებს არ უჯერებდა.

– რა დაგემართა კაცო!

– რა ვიცი, აბა.

– როდის მოგიყვანეს აქა, – გოგილო გამომძიებლის თვალთ მაკვირდებოდა.

– არ მახსოვს, – მხრები ავიჩეჩე.

– რაღაცეებს მაიმუნობს, – ნუკრის შეხედა გოგილამ, – მართლა ხო არ გაუბერე ბიჭო!

– მა ისე ვინ მომიყვანდა, – ჩამეცინა და იმ სიცილმა უარესად აუშალა ეჭვის ჭილ-ყვავი თვალებში.

– შენ ეხლა ბებიაშენისას ნუ მიირთმევ. თუ სადმე გინდოდა თავის გარი-  
დება, წასულიყა სხვაგან, მონასტერში წასულიყა, აქ რამ მოგიყვანა. გადა-  
ვატრიალეთ მთელი ქვეყანა. ჯერ გვეგონა უცხოეთში ხო არ წავიდაო, მერე ხო  
არ დაიჭირესო... მოკლედ... – ისევ ნუკრის შეხედა და ახარხარდა, გიჟია ეს  
ჩემის ტრულაილა, რამ მოაფიქრა.

– მიდი ეხლა, გაიხადე ეგ შენი ზოლიანი ტანსაცმელი და წამო. საგიჟეთილა  
გაკლდა. – ჩაიბურტყუნა ნუკრიმ და სიგარეტი აათამაშა.

– აქ არ შეიძლება, – გვერდიდან ვიღაც შუახნის კაცმა შეახსენა, იასამნებს  
რო წყალს უსხამდა სარკმელზე.

ნუკრიმ ახედ-ჩახედა, ჩაეღიმა და სიგარეტი ისევ ჯიბეში ჩაიდო.

– გოგილოჯან, ისე ჩვენც რო დავრჩეთ პატარა ხანი, – თქვა და გადაიხარ-  
ხარა.

– აქ თქვენნაირების ადგილი არ არის, გაიგეთ თუ არა, – დაიყვირა ცის-  
ფერთვალეზიანმა. – მომინდომეს ღმერთთან ახლოს ყოფნა...

– რა ღმერთთან ახლოს, – სახტად დარჩა ნუკრი. გოგილოს ჩაეცინა და  
თვალი ჩაუკრა.

– ღმერთთან ახლოს, ღმერთთან ახლოს, – ჩაიბუტბუტა ნუკრიმ.

– მიდი, მიდი, გადაიცი და წავედით თორე, მართლა ვედარ დააჯერებ  
გარეთ ვერავის, რო ამათნაირი არ ხარ.

\* \* \*

გამომეღვიძა და ტყუილა ვაკვირდებოდი ოთახს, არც ნუკრი ჩანდა, არც  
გოგილო, არც ის თავგადახოტრილი ადამიანები, დაბადებამდე არსებულ სამ-  
ყაროში დაბრუნებული ადამიანები, თავს ღმერთთან ახლოს რო გრძნობენ და  
ეგებ არიან კიდეც, რას გაუგებ ამ წუთისოფელს.

17 მირკანი, 2016 წელი,  
დიცი

დაც

**ქეძალ სვანიძე**

**დავითს**

(დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“-ის მიხედვით)

დიდო მეფეო ქართველთა, გადამრჩენელო ქვეყნისა,  
 შენ დიდო კაცო, ხელმწიფევე, სადიდებელო ერისა,  
 შენ რა გაქვს სადარდებელი, რა სინანული გულისა,  
 ღმერთმა ხომ შეგქმნა ერისთვის და შენი თავი გვეღირსა.  
 დიდო მეფეო, რომ ამბობ – სისხლი დაღვარე მოძმისა,  
 შენივე ხალხის და ქვეყნის, ისევ ქართველთა მოდგმისა  
 და იძულებით აღკვეთე ქმედება დასაძრისისი,  
 ტყუილუბრალოდ არ დაშვრი, მიზეზიც გქონდა ამისი:  
 შენ არ გინდოდა მეფეო, სისხლის აღება არვისი,  
 ამიტომ დიდ ღმერთს შეთხოვე მოზარდებანი თავისი.  
 მაღალმა ღმერთმა გაკურთხა და დაგისახა მიზანი -  
 სამშობლოს გადარჩენისთვის გამხდარიყავი ტიტანი.  
 თავისი ხელით დაგლოცა და ძალაც მოგცა ამისა,  
 საქმენი სადიდებელი გეკეთებინა ხვალისა.  
 დიდო მეფეო, ნუ ფიქრობ, სისხლი დაღვარე უმანკო,  
 სამშობლოს მტრები აკუწე, განა არსება უბრალო.  
 ქართველთმოდულე ქართველი რატომ გგონია კაცია,  
 მხოლოდ იმიტომ, რომ იმას კაცის შარვალი აცვია?  
 იმასაც ნანობ მეფეო, გარეშე მტრებს რომ მიუხდი,  
 უნდობს, დამპყრობს და ქართველთ მტერს ჩანაფიქრსაც რომ მიუხვდი.  
 რომ „შეჰრთე სახლი სახლსა და აგარაკი აგარაკსა“  
 და აჩვენე ქართველთ ძალა ყველა დამპყრობს, ავაზაკსა.  
 ცოდვად თვლი შენ შენს ქმედებას გამართლებულს, სამართლიანს,  
 შენ თავს იღებ და იბრალებ იმ ქმედებას „ცოდვილიანს“:  
 „ნუ წარმწყმედ ცოდვათა შინა, ნუ დამსჯი ქვესკნელთა თანა“,  
 ღმერთსა ვთხოვ ახლაცა გვეყავდეს ჩვენ, მეფენი შენისთანა.  
 ქალწულ მარიამს ავედრებ თავს შენ მეფეო ქართველთა,  
 დიდება ყველა ქართველ ქალს შენებრ ვაჟკაცთა დამსმელსა.

მართლაც დაიპყარ ის ხალხი, საქართველოს რომ ესხმოდა,  
გაუნათლებლებს, ყაჩაღებს რა გვჟღელტდნენ – არ ესმოდათ.  
ქართველთა სისხლი აიღე, ხალხს დაუბრუნე სამშობლო,  
შენ ჩვენი სიამაყე ხარ, ვაჟკაცურ დედის ნაშობო.  
და იმას ნანობ, მეფეო, რომ შენ სამშობლო ახარე,  
მტერს რომ ლახვარი ჩაეცი, არც აციე არც ახანე.  
შენი ხალხისთვის გულშვილო, მტრებთან კი ლომო ძლიერო,  
მართლაც რჩეული კაცი ხარ, ყოველთვის გულისხმიერო.  
გადაარჩინე შენ ერი მოსპობას, განადგურებას,  
ქართველი არ დაივიწყებს იმ შენს დიდ დამსახურებას.  
დერბენდით ნიკოფსიამდე ქართველთ სამეფო შეჰქმენი,  
ვისა აქვს დამსახურება შენსავით დიდი, შენებრი.  
შენ დიდო მეფევი დავითო, თითქმის ღმერთების სადარო,  
დღეს შენი ერი მოგძახის – მოდი, მოგვხედე, სად ხარო.  
ახლა გვჭირდები მეფეო, გაჩუმებული რად ხარო.  
შენ შენი ერის მოძულეს თვალები უნდა დათხარო  
და მტრების განადგურება შენივე დროშით გვახარო.  
მისთვის აღგზარდა სამშობლომ, რომ გაახარო ქართველი,  
კვლავ მოუტანო სამშობლოს გამარჯვებები, სახელი.

ღაღ

## ღ გაუა მელიქი შვილი

### ძველი საათი, ხომალდი, ღამე

წიკწიკებს საათი, ქრონოსის მარხილში  
შებმული ისრები გარს უვლის ციფერბლატს.  
ღამეულ სიჩუმის იდუმალ ძახილში  
კაეშნის ვულკანმა უეცრად იფეთქა.

წამებს ცვლის წამები, დარდს დარდი მოჰყავს და  
მირაჟეთს ვმეუფებ უდაბნოს შთენილი;  
ეს ეფემერული სიცოცხლეც მოთავდა,  
ტკივილით რომ რთავდა გზა ეკლით ფენილი.

მარტოსულს კარები არავინ გაგიღო,  
არ გერგო მცირედი მფარავი კარავიც.  
შენს გვერდით არასდროს არავინ არ იყო,  
გნაღვლობდა არავინ, სტკიოდა არავის.

ამოდ ებრძოდი ბოროტ სულს ეული,  
სევდის ყრუ კუნძულზე ტყვე გამოკეტილი.  
ო, როგორ ხარხარებს სატანა წყეული,  
სად არის ბოროტის მძლეველი კეთილი?!

წიკწიკებს საათი. ისრები მახვილი  
საკრალურ ციფრთა რიგს ნელი სვლით გარს უვლის.  
დაცხრილულ აფრებით, დროშებით დახრილით  
მოცურავს ჯვარცმული ხომალდი წარსულის.

საჭესთან არვინ ჩანს და სული ოცდება:  
გემბანი სავსეა უამრავ ზმანებით;  
აქ არის სუყველა მოკლული ოცნება,  
მოკლული სასტიკად, მოკლული წამებით! . .

ვუცქერ რა წარსულის ამ მცურავ სარკოფაგს,  
ზეციურ ოცნების მიწიერ სამარეს, -  
ვიგონებ ჰამლეტის „ყოფნას და არყოფნას“  
და ვრჩები გულსაკლავ კითხვების ამარა.



ვინ იცის განგებამ ასე რად ინება,  
მისჯილი ყოფისგან ნეტავი რას ელი?  
წახვალ და გაქრება აქ შენი ხსენება,  
ან ვის რას ეტყოდა უცნობის სახელი?

სიმართლე მწარეა: უცხო და ცივია  
ქვეყანა, რომელშიც სიკეთე არ ხარობს.  
თუმც ნამყო მწირია, მერმისში სხივია,  
რადგან თვით შენშია ფარული სამყარო.

ნუ დარდობ, შენი ცა აქ თუ არ იხსნება,  
თავს მწირად ნუ ჩათვლი ნურც აქა, ნურც იქა, -  
შენს სულის ტაძარში ხომ მარად იქნება  
მოკვდავთა საოხი, უკვდავი მუსიკა!

წიკწიკებს საათი. ჩვეული ტაატით  
ისრები ციფერბლატს კვლავ და კვლავ გარს უვლის.  
მბჟუტავი სანათი სასთუმალს დანათის,  
ბურუსში ეხვევა ხომალდი წარსულის . . .

## დასაბამიდან დასასრულამდე

დასაბამიდან დასასრულამდე  
არ ჩანს სავალი ხიდი.  
გაჩენის დღიდან აღსასრულამდე  
ყველა თავის გზით მიდის.  
ერთს რაც ადარდებს, ის სხვას ახარებს, -  
ამას ღვთის რისხვა ჰქვია;  
ზოგი ტირის და ზოგიც ხარხარებს,  
როცა ზეიმობს ტყვია.  
სული ცოდვებით ისე დამძიმდა,  
რომ უძღურია ლოცვა.  
რა ეშველება ამდენ ნაძირალს,  
განიკითხავენ როცა!  
სინდის-ნამუსზე ხელს რომ იღებენ,  
არ ავიწყდებათ ერთიც:  
სანთელს ანთებენ, პირჯვარს იწერენ  
და სწამთ: მათთან არს ღმერთი.  
კაცი ბრძენი და კაცი ამება,  
ფლიდიც, მშიშარაც, ქველიც.

თუ ცოდვილია, ელის წამებას, -  
ყველას თავისი ელის.  
დასაბამიდან დასასრულამდე  
არ ჩანს სავალი ხიდი.  
გაჩენის დღიდან აღსასრულამდე  
ყველა თავის გზით მიდის.

## შემოდგომის ელეგია

ოქტომბრის ზეცა ზღაპრის სკივრის მსგავსად იხსნება:  
ამოდის მზე და ტყე-ველს ადგამს ოქროსფერ გვირგვინს.  
ირგვლივ რაც ხდება, ნეტავ, კიდევ დიდხანს იქნება?  
ო, რა გაუმღებს ფოთოლცვენას, ფოთოლთა ქვითინს?!  
სამუდამოა განშორება ხისა და ფოთლის, -  
ტოტს მოწყვეტილი საბოლოოდ განადგურდება.  
ძვირფასო ჩემო, სიყვარულსაც ხომ ასე მოსდის?! –  
გულს თუკი მოსწყდა, არასოდეს დაგვიბრუნდება.

ღაღ

**ნიკა წერეთელი**

**დარდი, როგორც შემოქმედება...**

სიკვდილმა დამირეკა... თურმე დიდხანია მირეკავს, მაგრამ მე დაკავება მქონია... ისე ვყოფილვარ ცხოვრების ხიბლით გართული, ბედნიერებითა და სიხარულით დატვირთული ხაზი მისთვის არც ერთხელ აღმოჩენილა თავისუფალი... ბოლოს, როგორც იქნა, გამოვიდა... თავიდან ცნობა გამიჭირდა... სიკვდილთან ლაპარაკის „ბედნიერება“ ყოველდღე ხომ არ გაქვს ადამიანს?! ბოლოს ისე ტკბილად, მოხდენილად და მომაჯადოებლად მიხსნიდა ცხოვრების უაზრო ქარ-ცეცხლში ყოფნას, რომ მაშინვე ვიცანი... ცოტა აღტაცებულმა ხმა შევიცვალე და იმ ვაჟკაცობით, რაც ჩემში აქამდე არასდროს შემინიშნავს, გაბედულად დაეუწყე მოსმენა... არ დაგიმალავთ და კარგი და მაცდური მოსაუბრე ყოფილა ეს სიკვდილი... იმდენ საკითხზე დამიწყო მორალის კითხვა, რომ დავიბენი, ვერ მივხვდი ღვთიური სიკვდილის ხმა ისმოდა თუ უბრალოდ ლუციფერისებრი.. მე მოსმენა განვაგრძე... განვაგრძე იმ იმედით, რომ მის წარმომავლობას დავადგენდი და მისდა შესაფერისად გავცემდი აქამდე დაუსმელ შეკითხვებს პასუხს... ბოლოს, ჩემი ბედნიერების საკითხმა დააფიქრა... ეტყობოდა, არც განათლების და არც ფანტაზიის დონე არ მეყო ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად და როგორც ყველა თქვენგანი მოიქცეოდა, მეც გავჩუმდი... მერე ჩემს დაწერილ არაფრისმომცემ პოსტებსაც შეეხეო... დააინტერესა მათი ადრესატის ვინაობამ და რაღაც ირონიულნარევი სიცილით საკუთარი თავის არსებობა კიდევ ერთხელ შემახსენა... როგორც ყველა მისტიურ ქმნილებას, მასაც საოცარი ალლო ჰქონია და ისე მოხდენილად მიმიხვდა შიშსა და გაოგნებას, რომ პასტა-ფურცლის მომარჯვებაც კი მიბრძანა... დაბნეულმა მაშინვე ავიღე იქვე დაგდებული ნახევრად შეჭმული პასტის გული და მხოლოდ დაკუჭული ფურცლის მოპოვებაში პირველი დასაწერი ტერმინიც ბრძანებანარევი ხმით გავიგონე: „ვინაიდან მე ვერ ვგრძნობ ბედნიერებას, ვინაიდან მე ვერ ვპოულობ იმ სიწმინდეს, რისთვისაც ცხოვრება და, თუნდაც, თავგანწირვა ღირს, ვინაიდან ჩემთვის ყველაფერი ისეთივე სულ ერთია, როგორც დილას მორთმეული გვირილის თუ მალინის ჩაი და ვინაიდან მე ძალასაც ვერ ვპოულობ საკუთარ თავში რაიმის შეცვლისათვის, ვდებ გარიგებას სიკვდილთან და იმ იმედით, რომ ჩემი ბედი უკეთესი თუ არა განსხვავებული მაინც გახდება, საკუთარი ნებით ვაცხადებ უარს ტანჯულ ცხოვრებაზე“... ამ დროს ორივენი გავჩუმდით... შეგრძნებების ზღვა დამატყდა თავს და ყველა სიკვდილზე გაგონილ თუ წაკითხულ ფრაზებს ერთად მოვუყარე თავი... ბოლოს ჩემი პასუხის ჯერიც დადგა... თავიდან ცოტა დაბნეულმა ძლივს დავალაგე სა-

თქმელი და ამაყნარევი ხმით მივუგე: „სიკვდილო, სიცოცხლე ისე სუსტია, რომ ასე მარტივად მანებებს თავს? ისე საუბრობ, მგონი პირველი უნდა გამხადო, ვინაც სიცოცხლე დაამარცხა და გამარჯვების ტრიუმფი იმ ქვეყანაში იზეიმა... სიკვდილო, გისმენ და კიდევ ერთხელ ვცდილობ გავიგო სიცოცხლის ყველაზე დიდი სიძნელე რასი მდგომარეობს... თურმე შენი ზარი გახდა საჭირო ამ ყველაფრის მისახვედრად... სიცოცხლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ გაიგო როდის უნდა დაწერო ეს შენი ნაბრძანები და როდის არა... სიკვდილო, უფალმა ისე მომავლინა ამ ქვეყანაზე, რომ ჩემთვის არავის არაფერი უკითხავს, ისე ჩავები ამ უსასრულო მარათონში, რომ წინასწარი გეგმაც კი არავის უჩვენებია... და თურმე იცი, რატომ? სწორედ რომ ეს პასუხგაუცემელი კითხვები აქცევს ამ არსებას სიცოცხლედ... თურმე ეს გაურკვეველობა ხდება ჩვენი საბოლოო ადგილის განმსაზღვრელიც... შენ კი რას მთავაზობ? შენ ამ ყველაფერს ისე მიმარტივებ, რომ ჩემს მისაღებ გადაწყვეტილებასაც საკუთარ თავზე იღებ... არა სიკვდილო, შენ ლუცისებრი ხარ... შეკითხვით მოსული ყველა სიკვდილი ლუცისებრია... ღვთაებრივი გასულიერება ისეთივე დაუკითხავი და მოულოდნელია, როგორც ღვთაებრივი დაბადება... უფლის ნებით მოვევლინე ამ ქვეყანას... ხოდა, ჩვენი შეხვედრაც მისი ნება იქნება და დიდი იმედი მაქვს იმდროისთვის ისეთი წელში გამართული ვიქნები, როგორც არასდროს და შენზე დადარდიანებული იქით დაგისვამ შენთვის აქამდე გაუგონარ შეკითხვებს... სიკვდილო, მე მიგიხვდი... მიგიხვდი და თან უდიდესი მადლიერების გრძნობამ შემეძვრო... მადლობა ამ ზარისთვის, მადლობა, რომ როგორც იქნა მიმახვედრე... ცხოვრების მთავარი აზრი თურმე შენზე გამარჯვება ყოფილა... ნებით სიკვდილი შენი ნებაა ხოლო მოულოდნელი წასვლა ამ ქვეყნიდან უფლის გზაზე დაყენების ერთადერთი შანსია“... სიკვდილმა ყურმილი გამითიშა და გაურკვეველი ზარის ხმა ბეთჰოვენის ყველა სონატაზე უფრო ტკბილად ჩამესმოდა ყურში... ეს წერილი მათ, ვისაც საკუთარი ცხოვრება არ მოსწონთ, მათ ვისაც ერთხელ მაინც უფიქრია სიკვდილზე, ერთხელ მაინც უსურვია ამ ქვეყნიდან დროზე ადრე წასვლა... მეგობრებო, ცხოვრება საშინელია, ცხოვრება დაუნდობელია, მაგრამ ძირეული სხვა მას და სიკვდილს შორის მხოლოდ ისაა, რომ ის შანს გვაძლევს... შანსს უკეთესობისკენ, შანსს უფლისკენ დასაახლოებლად და შანსს ეშმაკის გულის გასახეთქად... უფალი ჩვენშია და ნუ მივცემთ ამ უმისამართო ზარებს რაიმეს შეცვლის საშუალებას... ამის გაანალიზება მაშინვე მიგახვედრებს სიცოცხლისა და მისი ღვთაებრივი ამოუცნობობის სიტკბოებას...

\* \* \*

ბევრი რამ მსმენია მონატრებაზე... ცხოვრება როგორ გაფორიაქებს ხანდახან... იმ კალათში და იმ კარუსელში გათავსებს, რომელშიც მოესურვება... გამეტებით გატრიალებს და მანა არ განებებს თავს, სანამ ყველა შეგრძნება ამ უაზრო მონატრებასთან ერთად ერთმანეთში არ აგერევა... ბოლოს ვეღარ გეზულობ, სიყვარულია ამ მონატრების მიზეზი, თუ ის გამქრალი გრძნობა, რამაც დიდი ხნის წინათ დაგტოვა... ამაზე ფიქრში ისე მოხდენილად ხვდები დროის და ენერჯის უაზრო ფლანგვას, რომ ბოლოს არაფრისმომცემი ღიმილი გიჰყ-

რობს. ნუ, ღიმილი ხომ კიდევ სხვა დაავადებაა... ამ დროს კი საკუთარი თავის ძიებაში სამუდამოდ კარგავ მას და ცვილის ოცნებების საფეხურზე დგამ ფეხს... როდის ვხვდებით მონატრების მსხვერპლი?! როდის ვიწყებთ ამ სისულელეებზე ფიქრს?! როდესაც მხოლოდ შენს წარმოსახვაში არსებულს ინატრებ... ბოლოს კი დანამდვილებით ანალიზებ, რომ მონატრება ეჭვს ჰგავს. იქ, სადაც ეჭვია, ის სიბნელეა... ბნელში მონატრებაც თავის უაზროდ დაიმედება... ამის მიხვედრაც, ალბათ, ცხოვრების ის ახალი კალათაა, რომელიც შემდეგი კარუსელის საწინდარია... ცხოვრება გვეცლის ადამიანებს და რაა ცხოვრება თუ არა მისი შეცვლის დაუოკებელი ბრძოლა. ბოლოს კი, ყველა ვმარცხდებით... სხვაობა კი მხოლოდ კალათებსა და კარუსელებშია... მაგრამ მეგობრებო, ნუ გაგიხარდებათ ყველაზე მაღალ კალათაზე მიღწევა, რადგან, დამერწმუნეთ, იქიდან გადმოვარდება ყველაზე მტკივნეული და შეუგუებელი განცდა... თითქოსდა ყოველი ახალი დღე მაკლებს ახალ-ახალ შეგრძნებებს და კიდევ ერთხელ მარწმუნებს, რომ სიყვარული ვერც ეჭვს, ვერც მონატრებას და ვერც სხვა შეგრძნებებს ვერ ეგუება... სიყვარული სიამაყეა და სიამაყედაკარგული სიყვარული ქალიშვილობააღდგენილ „დედოფალს“ გავს... მე მოვრჩი... წერას კი არა, მონატრებას მოვრჩი...

\* \* \*

წერეთლები... ეს წერე სულ ჩვენში როგორ უნდა იყოს? ჯერ იყო და აკაკი არ მოასვენა, შემდეგ მიხაკოს მოსდგა და ბოლოს, მეც მომაკითხა... მართალია, ეპოქაგამოვლილი სენი ძალადაკარგული და ფერმიხდილია, მაგრამ ჩემი მოსვენების დასაკარგად საკმარისი აღმოჩნდა... ისე სულ მაინტერესებდა რა აწერიებდა ამ ხალხს ამდენ სულშიჩამწვდომ სიტყვათა ერთობლიობას? ანდა ვის ებრძოდნენ თავიანთი ნააზრების ფურცელზე გადატანით?!.. რა მიზნები და განზრახვები ამომრავებდათ ახალი ლოზუნგებისა და ნააზრების შემოტანისას? რა აზრი და ფიქრი არ დაბადებულა ჩემს ცივილიზაციისგან განადგურებულ გონებაში... მართალია, ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე მეცვლებოდა ჩამოყალიბების უნარი, მაგრამ პასუხი მხოლოდ ერთი და შაბლონური მეგონა - თანდაყოლილი ჯილდოს წყალობით ისინი ქვეყნისთვის წერდნენ, ებრძოდნენ მის მტრებს და „კაცობის“ ნიღბით შენიღბულებს თავიანთ ნაშრომებში პირტიტველს წარმოაჩენდნენ ხოლმე... გავიდა წლები და დამოკიდებულებების შეცვლის ხანაც დამიდგა... უმეტესი ნაწილი ბავშვურ ღრიანცელსა და სიყვარულომანიის თამაშში გავატარე... მაშინ ისე შორს იყო ვიღაცის „ნაჭყაპნისგან“ რაიმე ღირებულის დანახვა, რომ ხანდახან გაკიცხვის უფლებასაც კი ვაძლევდი იმდროინდელ თავს... რა კარგი რამაა არა ეს ცხოვრება?! ისე შემომიტრიალა ჭადრაკის დაფა, რომ ფერიც შემიცვალა და განკითხვის და დაცინვის ობიექტად თავად მაქცია... მხოლოდ ახლა შემიძლია ბოდიში მოვუხადო იმდროინდელ „მეჭყაპნებს“... წლებმა თავისი ქნა... სრულიად უნებლიეთ ის ბორბალი დამიტრიალდა, ბევრი რომ განგებ ატრიალებს უკეთესი მომავლის შესაქმნელად... უკეთესი მომავლის რა გითხრათ, მაგრამ შაბლონური პასუხების ფაქტებით და განცდებით შეცვლა ნამდვილად არ ამცდა... მხოლოდ ერთი ცვლი-

ლება ვიგრძენი... ცხოვრების ირონიამ ფიქრი მაიძულა... დაუფიქრებელზე დამაფიქრა და მიწიერ შეგრძნებებზე ლტოლვა გამინელა... ფიქრმა ჩემივე ალტერ ეგო გამაცნო და წერა დამაწყებინა... ახლა მე სხვა წერეთელი ვარ... ახლა ბოლო მარცვლის გაღვივებას ვგრძნობ ჩემში... მართალია, აკაკიმ მთელი კაცობრიობის დასაწერი საკუთარ თავზე აიღო და ამით ჩემნაირებს სხვა საქმით დაკავებისკენ გვიბიძგა, მაგრამ მე არ ვდარდობ... ნათესავია და ნეპოტიზმი იმდროინდელ აკაკიშიც იქნებოდა... თუმცა მე სხვა რამ უფრო მადლელებს... მგონი ჩემს წინაპარს მივუხვდი... მისი წერის ნამდვილ მიზეზს ჩავწვდი... როდესაც ფიქრს იწყებ საკუთარ თავს ღია ომს უცხადებ და ბრძოლის ველად პასტა-ფურცელს ირჩევ... წერის დროს არ ფიქრობ ადრესატზე, მხოლოდ ომის მოგებაზე დარდობ და იმის მცდელობით, რომ საკუთარი თავი რაც შეიძლება მეტ საკითხში ამხილო, შედეგებს ქმნი... შექმნილი შედეგები ყველა უნებლიეა და წინასწარ მისი დანახვა ყველა აკაკის და მიხაკოს ძალებსაც კი აღემატება... ამ შემთხვევაში ნიჭი არაა შეფარდებითი, უბრალოდ ფიქრია განსხვავებული... რაც უფრო ძლიერად ფიქრობ, რაც უფრო ახლოს იცნობ საკუთარ თავს და შეუპოვრად ებმები ამ უსასრულო ომში, მით უფრო უახლოვდები გენიოსთა სიას... არ ვიცი რამდენად სასიხარულოა ჩემი ამ ომში ჩაბმის ამბავი, მაგრამ ვინაიდან კალამი ხმლად მიჭირავს და ფურცელი ველად მაქვს გაშლილი, უკეთეს და უფრო ღრმა ფიქრებს ვუსურვებდი საკუთარ თავს.. მართალია, ამ ომს ვერც აკაკის და ვერც მიხაკოს გამარჯვების ტრიუმფით ვერ დავასრულებ, მაგრამ ბრძოლის ველზე დაცემა, სიცრუეში ცხოვრებაზე ბევრად საინტერესოდ და ფათერაკებით აღსავსედ მიმაჩნია... არ გადადის ჰაერწვეთოვანი გზით და მსგავსი ჭიდილიც არ გემუქრებათ... მხოლოდ უფლის ნებაა თქვენი ცხოვრება რამდენად საჭიროდ მიიჩნევეს თქვენს გაფიქრიანებას, მანამდე კი შეგიძლიათ გამკიცხოთ და „გაგიჟებული საწყალი“ არხეინად მომამახოთ...

\* \* \*

იმ გზამ დამკარგა, რომელიც თავად უარყავი... ახლა უგზოუკვლოდ დარჩენილს სანატრელად ოცნება დამრჩა... უარყოფილ გზაზე ოცნება... რა ანომალიურია არა?! ვკარგავთ, ვაგდებთ და მერე ვოცნებობთ... არსებულს არარსებულად ვაქცევთ და დარჩენილ ცხოვრებას მის ძიებაში ვატარებთ... ადამიანი იმ ბედნიერებას დაემებს, რომელიც ოდესღაც ცხვირწინ ჰქონდა და ისე მოისროლა სანაგვეზე, რომ წამითაც არ შეპარვია საკუთარ გადაწყვეტილებაში ეჭვი... მეგონა, ცხოველად ვიზადებოდით და ცხოვრების წარმართვის მიხედვით გავპიროვნდებოდით ხოლმე... თურმე ადამიანობის მწვერვალი სწორედ, რომ დაბადებაშია... დარჩენილ ცხოვრებას კი მასთან სიახლოვეში ყოფნის დაუოკებელ მხედლობაში ვატარებთ... შესაბრალოა ის ჰომოსაპიენსად ქცეული ჰუმანოიდი, რომელიც მას დასცილდება და გადაგდებულის ოცნებაში განაგრძობს დარჩენილი წლების გატარებას... ოცნება არარსებულია... ოცნება, მხოლოდ მდგომარეობის ამსახველი ქმედებაა, რომელსაც მოქმედებასთან არანაირი კავშირი არ გააჩნია... ნაბიჯები მხოლოდ უკუსვლის არსებობს... გამოსწო-

რება კი ერთ ადგილას გაჩერების მცდელობა... რა იწვევს ამ ადამიანობისგან დაშორების მიზეზებს? ყველაზე დიდი და მიუტევებელი მაინც რომ იმედგაცრუება მგონია... თქვენ არ იცით რას გრძნობ ადამიანი, როდესაც ვიღაცის იმედებს უბრალოდ ფეხქვეშ თელავ... მის ნააზრევს თავდაყირა აყენებ და შენზე წარმოდგენების დაკარგვით საკუთარ თავზე აკარგვინებ ყველა შეხედულებას... ამაზე საშინელი ქმედება არსებობს კიდევ?! ადამიანის ნდობით რომ ბოროტად ისარგებლებ, სიბოროტის განსახიერებად ხომ თავად იქცევი?! სიცოცხლეშივე, რომ გატალახიანდები და შენს გარშემომყოფებსაც, რომ სამუდამოდ გასვრი, ადამიანად შენარჩუნების რაიმე შანსი კიდევ დაგრჩება? და ყველაზე უუნარობა კი ისაა, რომ ამაზე დარდს მხოლოდ ამის შეგრძნების შემდგომ იწყებ... მაშინ, როდესაც ყველაფერი გვინა... შენი ცხოველური ინსტინქტები, რომ ყველა შენს ადამიანურ გრძნობას დაჩრდილავს, სამუდამოდ სცილდები კაცობრიობის მოდგმას... ხშირ შემთხვევაში ასეთი რამ საუკეთესო ადამიანების გარემოცვაში მყოფთ ემართებათ... ხანდახან ისე ვბრმავდებით და ვბოროტდებით, რომ ვინც ყველაზე ძვირფასად მიგვაჩნია, სწორედ მათ ვუთხრით სამარეს... ასეთი ქმედებაა სწორედ სიკვდილი... ლეშად მოსიარულე ადამიანად წოდებულ არსებას, მატლების შეჭმული პიროვნება ჯობია... პიროვნება, რომელიც სხვებისთვის ეწამა და მანკიერი თვისებების დამხობით, გაფრთიანდა... არ მწამს სინდისის ძახილის... სინდისი რაღაც ავარიულ მდგომარეობას ჰგავს... როცა სხვა გზა აღარ გვაქვს ხოლმე, სინდისს ვეძახით... ისიც არ აყოვნებს და სამუდამოდ რჩება ჩვენში... ადამიანის წინაშე ვერ მოინანიებ... იმ გატეხილ და აცრუებულ გულებს ვედარასოდეს გაუმთელებთ... შენდობა კი მხოლოდ უფლის ნებაა... ვისაც ჯერ კიდევ არ გაგიცრუებიათ იმედები, ვისაც ჯერ კიდევ სუფთა და ლაღი გულები შემოგრჩენიათ, გაუფრთხილდით... გარშემო მყოფებს კი არა, საკუთარ ადამიანობას გაუფრთხილდით... ადამიანობა, მხოლოდ ადამიანობის შენარჩუნებაშია...



**ღ ირმა კეცხოველი**

**მ ა ფ ი ქ რ ე ბ ი ნ ე**

გაუმადლარი სამყარო რისხვით და ხინჯით  
 მუდამყამს იბრძვის,  
 ძიძგნის და ხერხავს, ღერღავს და ღერღავს,  
 ნეტავი რისთვის,  
 გაუხედნავი ცხენივით იბრძვის, ცნობილი სიძვის,  
 რომელი სინჯის?  
 ზღუდე-შეკრულმა იქნებ გაგლიჯოს,  
 აუჩქარებლად როდემდის? ვისთვის?  
 საცოდავია ყველა ღრეობა, ასე რომ იღწვის  
 რომელი სივრცის?  
 შეკმაზულია ისევ სურნელით როგორი  
 ხისტი,  
 შემოაგელვით აღმაფრენები? ალბათ, იქნება  
 სხვისთვის?  
 მაფიქრებინე მე ერთგულება, ნუთუ შევძლებდი  
 - ვისთვის?

\* \* \*

მძიმე ღამეა, ანდა პირიქით,  
 გვესაუბრება, თან დათარეშობს,  
 ღამეც ხომ ბორგავს, არ ეძინება,  
 მოუნდა, ალბათ, გაბატონება.  
 ღამესაც სცივა, ნუთუ ვერა გრძნობთ,  
 ზოგჯერ წადილსაც გამოგვიწოდებს,  
 ვისაც რომ ერჩის, განერიდება  
 ხან შეიფარავს, ხან კი დაინდობს.

მძიმე ღამეა, თანაც თაოსნობს,  
 თეთრი ფერიც აქვს – ზოგჯერ  
 ჩაგწიხლავს,  
 როცა გამშვიდებს, მაინც ბობოქრობს,  
 შესაფერისად როცა კიაფობს.  
 ღამეა, ღამე, ოდნავ ვერაგიც,  
 ჩვენგან შენდობას ისიც თხოულობს,  
 მარად სიმშვიდეს ის ვერ გვპირდება,  
 მუდამ ინახავს შენს საიდუმლოს.  
 ღამეა, ღამე, მძიმე ღამეა...



## ფერისცვალების დილა დგებოდა

ფერისცვალების ღამე დამდგარა  
ბუნებამ უკვე ნირი იცვალა,  
გავხედე ღამეს, სიგრილე იყო  
სიმშვიდემაც ხომ დაისადგურა.

სადღაა სიცხე აუტანელი  
თითქოს ბუნებამ ჭმუნვა დაიწყო  
სიმშვიდის ღამეს ერთვის სურნელი,  
რომელიც წვიმამ გააბათილა.

ღამის ნიავსა ხმაურიც ერგო,  
ალბათ, საწყალი მაწანწალები  
მათი ცხოვრების წესმა არჩია  
ის სამყოფელი მათთვის მიეზღო.

ვერ დავიძინე, გარეთ გავედი  
შუშაბანდიდან მოჩანს ყოველი,  
დარდმაც და ფიქრმაც როცა იცვალა,  
ფერისცვალების საკადრებელი.

ისევ ხმა მესმის ღამის წყვდიადში,  
ქურდმა და ძაღლმა ერთად იფიქრა,  
ყვირილითა და ალიაქოთით  
მეზობელმაც ხომ ის შეამჩნია.

ნუთუ დადგება ისევ დროება,  
როცა იმ ღამის ფერისცვალებას  
ვითომ სიმშვიდე ღამის წყვდიადში  
ასე ძლიერად მოგვევლინება.

რა დაგვრჩენია უნდა ველოდოთ  
იქნება ცხოვრების ახალმა წესმა  
ფერისცვალების ნირიც იცვალოს  
გაგვიადვილოს ჩვენი არსება.

...

რა დაგვრჩენია, უნდა ველოდოთ.

## მეოცნებე კაცი

შენი თვალების მზემა და სულის კოკობო,  
შენი წამწამების ჩრდილის ანარეკლში ვარ,  
გამაიხედე შენ ჩემო ერთო, და ქალბატონო,  
მზერა მინდოდა შენგან მხოლოდ წამიერ.

შენი თვალების მზემა და გულის საკინძვე,  
ცისფერ თვალების სინაზე ხარ და მონიავე,  
გამაიხედე, შენ ჩემო ერთო, და ქალბატონო,  
შენად მიგულე, არ მიტურო ისევ შემინდე.

შენი თვალების მზემა და ჩემო სიცოცხლე,  
შენი ნატიფობის ფერმა, მხოლოდ დამინდე,  
გამაიხედე იქნებ შევცურო ცისფერ ღრუბლებში,  
გემუდარები გამიხსენე, რატომ გამრიყე.

შემოგვიცვლდი კიდევ ერთხელ ჩემო საუნჯევ,  
ჩემი ვედრება მხოლოდ შენ გეკუთვნის ჩემო სიცოცხლევ,  
ბევრი დაგაკელ, მე უშენობა ვეღარ ვიწამე,  
მაპატიებდე, შენი ვარ შენი, ისევ მიგულე.

\* \* \*

\* \* \*

ისევ მახსენებს ოდა ვარ ოდა,  
ყურში ჩამესმა, თავს მანაცვალებს.  
რად დაგავიწყდა ჰოდაო, ჰოდა;  
რალაცას, ვილაცა, რატომღაც ბოდავს,  
მე მოგიყვები ჰოპლას და ხოტბას,  
არ მოგეწონა? მაშინ შემეშვი  
ისევ მახსენებს, ოდა ვარ ოდა.  
გზა აერია ჰოპლას და ხოტბას,  
ნეტავი საით?!

მკვიდრი ვარ მკვიდრი,  
მკვდარი კია არა,  
მკვიდრი ვარ მკვიდრი,  
სხვისი კი არა,  
მკვიდრი ვარ მკვიდრი  
სულ ერთი ციცქნა,  
დედამიწაზე დაბადებული.  
ერთი ვარ ე-რ-თ-ი.

## გულის ანატომია

სარქველია, გულს ასე რომ კარს გაუღებს,  
ნაკლული და წარმოშობით მხარგრძელი  
ნაკლულ სისხლსაც სადგურისკენ მიაქანებს,  
ისე ახლოს ებჯინება ყველა კედელს,  
შეეცადე მიაშველო შენ სავალი,  
გაუსწორე, გაახარე  
გეამება.

სარქველია მონუსხული დიდი ჯაფით,  
და იმ სადგურს, ხშირად კარსაც  
ვეღარც უღებს,  
თუ სარქველიც ადამიანს ეჯიბრება,

გზა დაუთმე და სავალიც მას ექნება,  
ფრთხილად, ფრთხილად გაიარე  
გეამება.  
ამოქმედებს ყველა კიდურს, კუთხე-კუნჭულს,  
სავალი აქვს მრავალჯერად  
გაიხსენე.  
მონავარდეს შეუწყნარე ის სიჩქარეც,  
გაგიგონებს, თავს დაგიკრავს  
გეამება.  
წარმომთქმელი შენ სიზმარში არ გეგონოს,  
ასე არის ის სარქველი განსწავლული,  
ხან ჯიქდება, ხან კიდევაც თავად გიდასტურებს,  
მისი ზრახვა თანდაყოლილს –  
გეამება.  
ასე მოდის ტაატით და დაგებედოს,  
გულ-სარქველი, კიდურ-მარღვი  
იმდენია,  
ნაკლული და წარმოშობით როს ვიხსენებთ,  
სახით გშვენის,  
გულის დარდიც – ის შენია – ყველაფრისა  
გეამება.  
მიდი ახლოს, შეეჯიბრე, თუ შესძლებდი,  
მათი დათვლა სულაც ძნელი არ ყოფილა,  
მხოლოდ მაშინ, რომ გემახის გული სტკივა,  
მიშველეო, გარდუვალი გეხვეწება, ალბათ, ესეც  
გეამება.  
დაიდალე? არა უჭირს, მხარს აგიბამ,  
შენ დასტოვე სარქველები კარებდია,  
მე რომ შევძლო  
შენთან ერთად იქ შემოსვლა,  
ჩამოვჯდები ცივ ქვაზედაც  
მეამება.  
ასე იყო ნაფიქრალი,  
იმედი მაქვს, გეამება.

პაპ

**ნუგ ზარ ხუციშვილი**

**ლეგენდა სიყვარულის მთა – ქალიაყვანა  
პოემა**

სიყვარულიო, მაშინ იწყება,  
როცა ვარსკვლავი ცაზე ნათდება,  
თუ გულწრფელია, ეს სიყვარული,  
ლეგენდებო, ზოგჯერ მართლდება.  
მოდით, სიყვარულს გავუხსნათ გული,  
დაგელოდები, იქ, გორის ბოლოს,  
ეხვეწებოდა ვაჟკაცი გოგოს,  
ნუღარ დამტანჯე, ბოლოს და ბოლოს.  
ლამაზი იყო გოგო და ნაზი,  
სიყვარულისთვის მომწიფებული,  
ასევე იყო ვაჟკაცი კაცი,  
სიყვარულისთვის მონდომებული.  
სულ ერთად იყვნენ ჭირშიც და ლხინშიც,  
იქა ხვდებოდნენ, ლამაზ მთის ძირში,  
მუსაიფობდნენ მათ მომავალზე,  
და ისვენებდნენ მუხის ხის ჩრდილში.  
ამიყვანეო აი იმ წვერზე,  
თუ გინდა ჩემი ცოლად წაყვანა,  
ვაჟკაცმა მზერით შეავლო თვალი  
და დაინახა ქალიაყვანა.  
საშუალოზე ოდნავ მაღალი,  
ლამაზი მთაა ქალიაყვანა,  
ბევრი ვაჟკაცი ეცადა, მაგრამ,  
ვერვინ გაბედა ქალის აყვანა.  
სადამო იყო და ქარი ქროდა,  
ვაჟკაცი თითქოს რაღაცას გრძნობდა,  
მას ხმა ჩაესმა სიყვარულისა,  
თურმე მინდორში, თრითინა თრთოდა.  
აი, გამოჩნდა ნაზი არსება,  
არ მინდა შევცდე, ღმერთო, რამეში,  
ვაჟკაცმა უმალ ზეცას შეხედა,  
და მოიქცია გოგო მკლავებში.

ბევრი ლოდინის შემდეგ ირწმუნა,  
დამდგარა მისთვის დღე საამური,  
სიხარულისგან გული უთრთოდა,  
დაალიდინა თან სალამური.  
სიყვარულისთვის ვიბრძოლებ მუდამ,  
ეს სიტყვები ღმერთს შეუთქვა,  
ბევრიც აღარ უფიქრია,  
და ციცაბო მთას შეუდგა.  
ვაჟკაცმა ორმაგად დამძიმებულმა,  
ქალიაყვანა ტანჯვით ალია,  
მოულოდნელად ბედმა უმუხთლა,  
და მთის წვერზევე სული დალია.  
გაოგნებული გოგო ტიროდა,  
უკან მიმაქვსო ჩემი პირობა,  
გვიანდა იყო, მიწაზე იწვა,  
ვინც შეასრულა მისი პირობა.  
მთის წვერზე იდგა, უმწეო გოგო,  
ქვემოთ მოჩანდა ალაზნის ველი,  
თითქოს სამძიმარს ეუბნებოდნენ,  
თავს გადმომდგარი ნეკრესის მთები.  
ცაზე ჩამოწვა შავი ღრუბელი,  
ცხვრი ბლაოდა მთის სერზე,  
უბედურება დაგვატყდა თავზე,  
მწყემსი მოგვიკვდა მთის წვერზე.  
გავიდა ხანი, გოგო ტიროდა,  
მან ღმერთს შეუთქვა, სულ სხვა პირობა,  
მინდა ვილოცო სიყვარულისთვის,  
და დავაფასო სატრფოს გმირობა.  
ბევრმა წყალმა ჩაიარა,  
დრო და ჟამიც გადიოდა,  
ლეგენდაზე უფრო სწრაფად.  
სიყვარული დადიოდა.  
ლოცვით გალია ცხოვრება გვანცამ,  
ესიზმრებოდა გიორგის სახე,  
გვიანდა მიხვდა შეყვარებული,  
როგორ დაუგო ცხოვრებამ მახე.  
დღესაცა დგას, მთის მწვერვალზე,  
სიყვარულის სუნი,  
თურმე, სულ იქ დატრიალებს,  
იმ ვაჟკაცის სული  
ყველა რჯულის, ყველა რწმენის,  
ყველა ერის შვილები,  
სიყვარულს უმღეროდნენ,

მუდამ ხელგაშლილები.  
აქ, ბევრი წყვილი მოსულა,  
სიყვარულის მთის ძირში,  
ზოგმა, აქ მეტი იპოვა,  
ვიდრე სხვამ, სხვაგან შექსპირში.  
კარგია, ღიად გიყვარდეს,  
ხანდახან კი, მალვა უნდა,  
მარადიულ სიყვარულზე,  
ვიოცნებებთ, რა თქმა უნდა.

### ავტორისაგან

ქალიაყვანის მთა მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, ყვარლის რაიონში, ნეკრესის მონასტრის და გრემის მონასტრის შუალედში, კერძოდ, შილდის ტერიტორიაზე.

მთის წვერიდან ხელისგულივით მოჩანს, გადაშლილი ალაზნის ველი და ჭალები, ხოლო მთას ჩრდილო-აღმოსავლეთი მხრიდან, ზემოდან დაჰყურებს ნეკრესის მთები. ლეგენდა ვაჟკაცისა და გოგოს სიყვარულის შესახებ ოდითგანვე თაობიდან-თაობას გადმოეცემოდა ხოლმე, რომელმაც ჩვენამდეც მოაღწია.

მოპოვებული ინფორმაციით ლეგენდის საწყის პერიოდად მიიჩნევა მე-16 საუკუნე, როდესაც გრემი იყო კახეთის სატახტო ქალაქი, მანამდე სანამ 1614-1616 წლებში შაჰ-აბასმა ააოხრა და დაანგრია, ისე რომ ფუნქციონირება ვეღარ შეძლო, ხოლო სატახტო ქალაქი ქ. თელავში გადაიტანეს. უნდა აღინიშნოს, რომ ქალიაყვანის მთაზე, სიყვარულის თემა აქტუალურია დღევანდელ თაობაში, გზადმიმავალი ბევრი წყვილი ჩერდება ქალიაყვანის მთის ძირში და მდუმარებით სთხოვენ სურვილებს ლეგენდარულ მთას.

ჩემ პოემურ ნაწარმოებში „ლეგენდა სიყვარულის მთაზე“ გმირებად, ნამდვილი ამბავის მიხედვით გამოყენებული მყავს, უბრალოდ-ქართველი ვაჟკაცი კაცი-გიორგი და ქართველი ლამაზი-ნაზი გოგო-გვანცა;

რაც შეეხება მოთხრობას „ლეგენდა სიყვარულის მთაზე“, რომელიც მოგვითხრობს გიორგისა და გვანცას სიყვარულის ტრაგიკულ ისტორიას, დაწერილია შილდამი მცხოვრებ ნინო ზურაბიშვილის ნაამბობის, ნამდვილი ამბის მიხედვით, ნინო ზურაბიშვილი დაიბადა 1880 წელს და გარდაიცვალა 1960 წელს, იგი იყო აზნაურთა შთამომავალი, 8 შვილის დედა. რაც შეეხება მოთხრობაში მოყვანილ ზოგიერთ თარიღს, ძირითად წყაროდ გამოყენებული მაქვს საქართველოს ისტორია.

## ლეგენდა სიყვარულის მთაზე

### ქ ა ლ ი ა ყ ვ ა ნ ა

#### მოთხრობა – პოემა

ნუგზარ ხუციშვილი დაიბადა 1953 წელს, 20.02. იგი არის საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, ისტორიკოსი, იურისტი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის ბრძოლების მონაწილე, ომის ვეტერანი, პოეტის ლიტერატურული ნაწარმოებები. პოემაც და მოთხრობაც ერთი ლეგენდის „სიყვარულის მთაზე – ქალიაყვანაზე“ მომხდარი ამბის შესახებ მოგვითხრობს.

## ლეგენდა სიყვარულის მთაზე

### ქ ა ლ ი ა ყ ვ ა ნ ა

#### მოთხრობა

ეს ამბავი მოხდა 1570 წელს, აღმოსავლეთ საქართველოში.

კახეთის დედაქალაქში, ქალაქ გრემში, ლევან კახთა მეფის სასახლისა და მთავარანგელოზის სახელობის მონასტრის შუალედში გამავალ ქუჩაზე, ერთ პატარა ეზოიან საკუთარ სახლში ცხოვრობდა სასულიერო პირი, მღვდელი მამა იოანე, თავის მეუღლესთან და ოცი წლის ქალიშვილთან გვანცასთან ერთად, მამა იოანე იმ პერიოდში მსახურობდა გრემიდან ერთი საათის სავალ მანძილზე ნეკრესის მონასტერში, სადაც თავისი ორცხენიანი შარაბანდით, ყოველ კვირადღეს დადიოდა ღვთისმსახურებაზე, მამა იოანეს ხშირად თან ახლდნენ მისი მეუღლე და ქალიშვილი გვანცა, რომელიც საკმარისად განათლებული გოგო იყო. ძირითადად ქსოვა იყო მისი საქმიანობა, ქსოვდა ტანსაცმელს, პატარა ხალიჩებს, პირსახოცებს და ხელსახოცებს, მართალია, უკვე 20 წელს მიაღწია, მაგრამ მისი თანატოლებისაგან უფრო გამოირჩეოდა ბავშვური ქცევებით, თავის თანატოლებთან შედარებით განსაკუთრებულად ლამაზი გოგო იყო გვანცა, ქალაქში მცხოვრები ბევრი ახალგაზრდა მამაკაცი ნატრობდა მის გვერდით ყოფნას, მაგრამ რატომღაც ვერავინ ვერ მოახერხა მისი გულის მოგება. კვირაობით, მამა იოანე ოჯახთან ერთად ნეკრესში მისვლამდე, გზად სოფელ შილდაში აზნაურ ზურაბიშვილებს სტუმრობდა ხოლმე, ისინი მამა-იოანეს კარგი მეგობრები იყვნენ და ასევე დადიოდნენ კვირაობით ნეკრესის მონასტერში სალოცავად. აზნაურ ზურაბიშვილს ახალგაზრდა ვაჟი ჰყავდა, სახელად გიორგი, რომელიც დაახლოებით 25 წლის იქნებოდა, შეძლებული აზნაურის სახელი ჰქონდა იმ პერიოდში ზურაბიშვილების ოჯახს, მათ ბევრი ძროხა და ცხვარი ჰყავდათ, მართალია, სხვა მწყემსებიც ჰყავდათ ოჯახს, მაგრამ საქონლის სამწყემსავად ზოგჯერ გიორგიც მიდიოდა, დაუზარელი ვაჟკაცი იყო, კარგი სპორტული აღნაგობის, მუსიკალური სმენით იყო ღვთისაგან და-

ჯილდოვებული, სხვებისაგან განსხვავებით სალამურის დაკვრის უბადლო ოსტატი იყო, მეგობრები ხანდახან ხუმრობით იტყოდნენ ხოლმე, როდესაც გიორგი სალამურს უკრავს, ჩიტები გალობას წყვეტენ და გიორგის უსმენენო, გარდა მუსიკალური ნიჭისა გიორგი კარგი მხედარიც იყო, მან რამდენიმე საცხენოსნო შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა და ორჯერ გამარჯვებაც მოიპოვა, გამოწრთობილი მხედარი იყო, გამოცდილებაც ჰქონდა, იგი სამი წლის განმავლობაში მსახურობდა ლევან კახთა მეფის ჯარში, რამდენჯერმე მიიღო მონაწილეობა ლეკების წინააღმდეგ ბრძოლებში, სადაც მეფის მხარდამხარ იბრძოდა, მან თავი გამოიჩინა როგორც კარგმა მებრძოლმა.

მამა იოანეს და აზნაურ ზურაბ ზურაბიშვილს ოჯახებით უკვე დიდი ხნის ახლომეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ, აქედან გამომდინარე, გიორგი და გვანცაც ბავშობიდან იცნობდნენ ერთმანეთს, ამიტომ როდესაც მამა იოანე წირვაზე მიდიოდა ნეკრესში, გვანცას იმედიანად ტოვებდა გიორგისთან, ახალგაზრდების ამდენი ხნის მეგობრობამ და ერთად ყოფნამ თანდათან სულ სხვა ელფერი მიიღო და მათ გულელებში შეპარულად გაიღვიძა სიყვარულის გრძნობამ, მართალია, რამდენიმე წელი უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ დაოჯახების შესახებ საუბარს, ყოველთვის თავს არიდებდნენ.

სოფლის ბოლოში საშუალო სიმაღლის მთის ძირში, მაღალი, ლამაზი მუხის ხე იდგა, სადაც ძალიან ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს გიორგი და გვანცა, მუსაიფობდნენ, უყვებოდნენ ერთმანეთს სხვა და სხვა ამბებს, გიორგი ხშირად სალამურის დაკვრით ართობდა გვანცას. ასე ბედნიერად შეჰყურებდნენ და შეჰნატროდნენ ერთმანეთს თვეებისა და წლების განმავლობაში შეყვარებულები.

ერთ მშვენიერ დღეს გიორგიმ როგორღაც გაბედა და გვანცას უთხრა, ჩვენ უკვე იმ ასაკში ვართ, რომ შესაძლებელია შევექმნათ ოჯახიო, ასევე ჩემი შენდამი ერთგულებისა და სიყვარულის დასადასტურებლად მინდა ხელი გთხოვო და ცოლად გამომეყვო. ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ გვანცამ გულიანად გადაიკისკისა და თავისი ჩვეული კეკლუცობით უპასუხა, მე გამოგყვები ცოლად თუ შეასრულებ ჩემს პირობასო. გიორგი გაჩუმებული უსმენდა და ფიქრობდა ნეტავ რა პირობაზე მელაპარაკებო, მაგრამ მერე ცნობისმოყვარეობამ დასძლია და უთხრა, მითხარი, რა არის შენი პირობაო, გვანცამ ისევ ჩვეული კეკლუცობით უპასუხა, გიორგი ხომ ხედავ მთას, აი, იმ მთის წვერზე ხელში აყვანილი თუ ამიყვან გამოგყვები ცოლადო.

გიორგიმ მზერით შეავლო თვალი მთას და ჩაფიქრდა, ერთი თვის განმავლობაში ფიქრობდა გიორგი, იგი ძლიერი ახალგაზრდა კაცი იყო, მაგრამ იცოდა, რომ იმ მთაზე ასვლა ორმაგად დამძიმებულს გაუჭირდებოდა, ამიტომ დღეს და ღამეს ლოცვაში ატარებდა, ღმერთს ევედრებოდა, რათა გვანცას პირობა შეესრულებინა, მან ბევრი ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა ხელში აყვანილი გვანცა აეყვანა მთის წვერზე, შეხვედრის ადგილიც დათქვეს მთის ძირში, სადაც თავისი ჩვეული კეკლუცობით გამოცხადდა გვანცა, გიორგიმ პირჯვარი გადაისახა, აიყვანა გვანცა ხელში და ციცაბო მთას შეუდგა ფეხით. გიორგი ხელში აყვანილ გვანცასთან ერთად მიაბიჯებდა ციცაბო მთაზე და ფიქრობდა, აი, სადაცაა მივალწევ მთის წვერს და ასრულდება ჩემი ოცნებაო, როდესაც გვანცა მეტყვის, გიორგი, თანახმა ვარ, ცოლად გამოგყვო: ძალიან გაუჭირდა



გიორგის მთის წვერზე ასვლა, მაგრამ მაინც ავიდა გვანცასთან ერთად, ორივენი ბედნიერების გრძნობით იდგნენ მთის წვერზე, გიორგიმ ხელი მოხვია გვანცას, ტუჩებზე ეამბორა და უთხრა: მე შევასრულე შენი პირობა ჩემო სიყვარულსო, მაგრამ, აი, ეს არის ბედის ირონია, ამდენ დატვირთვას ველარ გაუძლო გულმა, გიორგი მიწაზე დაწვა გვანცას ფეხების წინ და სამარადისოდ განისვენა. გაოგნებული გვანცა მთის წვერზე იდგა და ტიროდა, ქვემოთ მოსჩანდა გაზაფხულის პერიოდში ახლად გამწვანებულ ფოთლებში ჩასმული ჭალა, რომელიც მდინარე ალაზანს ცისარტყელას ზოლივით გასდევდა, ზემოდან კი თავს დაჰყურებდნენ ბუმბერაზი კავკასიონი და ნეკრესის მთები. დიდხანს იდგა მტირალი გვანცა მთის წვერზე, იგი ღმერთს ევედრებოდა, დამიბრუნე ჩემი სატრფო და უკან მიმაქვს ჩემი პირობაო, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო, აი, ეს არის ბედის უკუღმართობა.

იმავე საღამოს შეიტყო ქალაქმა გრემმა და მთელმა კახეთმა მამაკაცის და გოგოს სიყვარულის ტრაგიკული ამბავი, გლოვა გამოაცხადეს, ერთმანეთს უყვებოდნენ მომხდარის შესახებ. კავკასიონის მთების ერთ-ერთი კალთის ბოლოს მდგარი საშუალო სიმაღლის ლამაზი მთა, ამ ტრაგიკული ამბავის შემდეგ იქცა „სიყვარულის მთა“ – ლეგენდად და ეწოდა „ქალიყვანა“.

სოფელ შილდაში დიდი პატივით დაკრძალეს ახალგაზრდა კაცი გიორგი, რადგანაც გიორგის უფროსი ძმა მეფის კარზე მსახურობდა, ამბობენ ცერემონიალს ლევან კახთა მეფეც დასწრებიაო. გიორგის გარდაცვალების შემდეგ, საბრალო გვანცას მშობლების სახლის ეზოში განმარტოებით მდგარ პატარა ოთახში, ლოცვაში გაუტარებია თავისი დარჩენილი ცხოვრება იქამდე, სანამ 1614-1616 წლების დროს, როდესაც შაჰ-აბასმა ააოხრა და დაანგრია ქალაქი გრემი, ხოლო ნაწილი მოსახლეობისა ტყვედ წაიყვანა სპარსეთში, რომელთა შორის გვანცაც ყოფილა. სპარსელებმა ისე დაანგრიეს გრემი, რომ ფუნქციონირება ველარ შეძლო და სატახტო ქალაქი თელავში გადაიტანეს.

ამბობენ იქ ირანში, 70 წელს მიღწეული საბრალო გვანცა მოულოდნელად გარდაცვლილა, ქართველებს უნგაროდ, ერთსულოვანი დახმარებით დაუკრძალავთ ფერეიდანში ქართველების სასაფლაოზე, ხოლო იმ ადამიანებმა, ვინც იცოდნენ გვანცასა და გიორგის სიყვარულის ამბავი, წმინდა ქალწული, – გვანცას საფლავის ქვაზე ამოუტვიფრავთ წარწერა – „გიორგის ქვრივი ქალიყვანადან“.

ლეგენდის მიხედვით, თურმე „ქალიყვანის“ მთის წვერზე დღესაც ტრიალებს გარდაცვლილი გიორგის სული და გვანცას სულს ელოდება.



**ღ კახა გვარუცია**

\* \* \*

უსასრულოა ჩემი ქვეყნის ზეცის სიტურფე,  
გამთენიისას ცისკარი რომ გაირინდება,  
ეკლესიაში მომლოცველი ხალხის სიუხვე,  
სასიამოვნო სიამაყით გაგიკვირდება.

გაგიკვირდება როგორ იტევს პატარა მიწა,  
ამდენ სიწმინდეს, ციხე-კოშკს თუ პატარა ტაძარს,  
როგორ გადურჩა ურჯულოსთან უამრავ ბრძოლას,  
ამდენ განსაცდელს, წყალდიდობას, მიწისძვრას, ხანძარს.

სვეტიცხოველი მცხეთის გული და სიამაყე,  
ჯვრისმონასტერი და სამთავრო ლოცვად იღვრება,  
მთელი სიცოცხლე იამაყებ, თუ ერთხელ ნახე,  
იმ წუთში შენში ნეტარების კარი იღება.

კახეთში მდგარი ალავერდი, გრემი, შუამთა,  
ნეკრესი, ბოდბე, უდაბნოში დავითგარეჯი,  
აკადემია იყალთოსი ლოცვა მამათა,  
სულიერების და სიწმინდის უდრეკ მხარეში.

სამთავისს, ქვახვრელს, უფლისციხეს, თავს უყრის ქართლი,  
რკონი, ყინწვისი, საბერიო, გალობად იქცა,  
სამაჩაბლოში აღმართული ძველი იკორთა,  
უფალო, მალე დამიბრუნე, ვედრებად მექცა.

ბაგრატის ტაძრის სიდიადე იმერეთს ფარავს,  
უბისის წმინდა მონასტერი ლოცვით ცას მიწვდა,  
ჭიათურაში მღვიმევი და სვეტი კაცხისა,  
რომელზე ასვლაც ბავშვობიდან ძალიან მინდა.

იმერეთიდან რაჭისკენ წასულს გზად შემოგხვდება,  
ნიკორწმინდა და ბარაკონი უდრეკი დღემდე,  
ლექხუმს გადახვალ ლაილაში დაგხვდება იქვე,  
ამ სილამაზეს ბადალი არ ჰყავს ამ ქვეყნად, მენდე.

ჩრდილოეთს იცავს დარიალი, გერგეთი დიდი,  
ლომისის ჯაჭვის სიმძიმე და კლდიანი ფერდი,  
გამოიარე, ანანურსაც შეავლე თვალი,  
და ნახე, როგორ დაუმშვერნა მან მცხეთას გვერდი.

სამცხეში ჩადი, მოინახულე ზარზმა, საფარა,  
ჭულევეში წყალი ჩანჩქერად რომ გადმოდის ციდან,  
ვარძიის კლდეში შეხიზნული წმინდა ქალაქი,  
ჩემო სამშობლო სხვა უკეთესი, აბა, რა გინდა.

აფხაზეთს, ტაოს, სამაჩაბლოს, ვერ ვეფერები,  
ილორში, ოშკში, ქართველთ ლოცვა აღარ მსმენია,  
ულამაზესი ბედიის და იშხანის გვერდით,  
წინაპართ ძვლები არ დამწვარან, მაინც მელიან.

დედაქალაქში ანჩის ხატი, წმინდა სიონი,  
წმინდა სამება, ღვთისმშობელი მახათას მთაზე,  
აი, ეს არის საქართველო, ჩემი მშობელი,  
აი, ეს არის ჩემი ქვეყნის ნამდვილი სახე.

დას

**ღ გიორგი მოდებაძე**

**მ ა რ ტ ი**

გარეთ ქარია ამინდი მარტობს,  
 გამოყოლია ზამთრის სიავე,  
 ამ ქარში შენი ღიმილი მართობს,  
 შენით დარდები გავანიავე.

სიზმარში ვიცი ფერებად გვათოვს,  
 უსასრულობის ვხაზავთ რვიანებს,  
 ბედნიერება ორივეს გვათრობს,  
 ცხადში კი, ალბათ, დააგვიანებს.

დროებამ, ვიცი, როგორ დაგლია  
 თუმცა აპრილი შველის იარებს,  
 ამ სევდას თითქოს მარტივ აკლია,  
 თუმცა მას მარტივ გაიზიარებს.

მე ეს ოცნებაც ძვირად დამიჯდა,  
 ულევნი დარდი გულს აზიანებს,  
 ხედავ? ეს მარტივ როგორ გაგიჟდა,  
 თუმცა აპრილიც არ აგვიანებს.

\* \* \*

ახლა ის თვეა უხვად მოწყალე და დაბნეული,  
 რომლის წიაღში მშვიდი დღეები თეთრად ქრებიან,  
 და ხმები თითქოს იდუმალი და თან ეული,  
 რომლის გამგონე და მოპასუხე კლდე და ქვებია.

ახლა ჩემს ბაღში ტყემალი ყვავის  
 ატმებიც მალე აფეთქდებიან,  
 გუნდად ეხვევა ფუტკარი ყვავილს  
 ვაშლებიც რიგში წყებად დგებიან.

სხვა ყველაფერი თითქოს წაშლილი  
 მხოლოდ ზურმუხტი ჭარბობს ლელიანს,  
 და ნარცისებიც მწკრივად გაშლილი  
 თითქოს ადდგომის კვირას ელიან.

## ნოემბერი

ნოემბერს ირგვლივ მარჯნისფერი ცეცხლი დაენტო,  
თუმც ვერ ათბობდა სიცვიდან მოწყენილ ჭადრებს,  
დადლილ ფოთლებთან ვერც ველური ქარი გაერთო,  
უხეშად ხდიდა უმწეო ხეებს ალისფერ ჩადრებს.

ქუჩაში ქარი აფრიალებდა ჩალისფერ აფრებს,  
ნოემბრის ქარებს ვერცხლისფერი წვიმაც დაერთო,  
ათოვდათ მთებში მოხეტიალე ნაცრისფერ აფთრებს  
და მათ სევდასთან რაღაც ქონდათ თითქოს საერთო.

სევდა მოჰქონდათ შემოდგომის წვიმებს და ქარებს  
და გული თითქოს უმოწყალოდ ორად გაეყოთ,  
გაყოფილ გულზე ძველი კედელივით აჩენდნენ ბზარებს  
და შემოდგომის ყველა ხიბლი თითქოს წაეღოთ.

\* \* \*

მე კვლავაც სულის შემხუთველი დროება მზარავს,  
თითქოს გვიანი შემოდგომის დამრჩა იარა,  
ამ ნალველს შენი მზერა და ღიმილი ფარავს,  
გული მეწვება, სხეული მტკივა, სული კი არა.

ვუცქერ წყვდიადი საუკუნის შლეგურ დინებას,  
დემონებს შორის მე კაენური ცხოვრება მერგო,  
და ვნატრობ ნათელს სამარადჟამო გამობრწყინებას,  
შენს აყვავებას ცვრით განზანთლო ედემის ნერგო.

ცივად ვიღიმი, გულს ნაცრისფერი დარდი ერევა  
და სულს მისერავს შემთხვევითობის მწარე სიავე,  
და თავს ვარწმუნებ ეს ყველაფერი ვერ მოგერევა,  
თუმცა ოცნებაც შენთან ყოფნის გავანიავე.

## ✎ **ჟუჟუნა გიგაური**



*ძვირფასო მკითხველო!*

*ამ ლექსების ავტორი ჟუჟუნა გიგაური სტუ VI კორპუსის ლიფტიორია. ყველასთვის საყვარელი „ჟუჟუ ბებო“. სათნოებით აღსავსე ქალბატონს ლიფტში პატარა მაგიდაზე გადაშლილი წიგნი უდევს. საოცარია, როგორ ახერხებს იგი ყველასთვის იყოს გულისხმიერი და თან ლიფტის ხმაურ-დანადგარში წიგნიც იკითხოს. ეს მხოლოდ ქ-ნ ჟუჟუნას შეუძლია. ამ ბოლო დროს მან პოეზიით გატაცებაც გაგვიმზილა.*

*რევაზ მიშველაძე*

## **ჟუჟუნა ბებოს ნატვრა**

სამოცდათოთხმეტი წლისა ვარ,  
 ღმერთო, ნატვრა ამისრულე  
 ჩემს საყვარელ ქსნის ხეობას  
 გვედრები დამაბრუნე.

იქ დავტოვე ჩემი სახლი  
 ჩემი ძმა და ჩემი გვარი,  
 მენატრება ჩემი სახლი, ჩემი ქსანი,  
 ჩემი ეზო ჩემი ბაღი,  
 მორთული და მოკაზმული  
 როგორც ტურფა პატარძალი.

ვერც კაცი ვნახე ისეთი,  
 რაიმეს კარგს რომ შეგპირდეს,  
 პრეზიდენტსა და პრემიერს,  
 ჯერ მათთვის არა სცალიათ,  
 შინაურ საქმეს არკვევენ  
 წელიწად ნახევარია.

ღმერთო, იმედს ნუ წამიხდენ  
 შენ იყავ ჩვენი მფარველი.  
 და ერთხელ კიდევ მაჩვენე,  
 ჩემი ლამაზი სახლ-კარი.

არ მომკლა, ღმერთო, იქამდის  
არ ამიროო გზაკვალი.  
დედის და მამის საფლავებს  
დავუნთო წმინდა სანთლები.

მავთულხლართები გაგვიბეს,  
ჩვენს მიწებს ასე იცავენ  
თუ რამეს იტყვი ჩაგყლაპავს,  
დიდი რუსეთი იმწამსვე.

განა როდემდის იქნება  
მართლის აღდგენის ლოდინი,  
ნეტავ როდემდის შერჩებათ  
პატარა ერის წამება?

იქნებ შევიდეთ ნატოში,  
ჩვენც გამოგვიჩნდეს მფარველი,  
დიდ ერთან პატარა ერსა  
რომ გაუვიდეს მართალი.

ამ ოცნებაში დავბერდი,  
არ მოხდა ნატოს ახდენა,  
სიკვდილი კარს მიკაკუნებს,  
მე კი აქ მინდა დარჩენა.

ყველა მიყვარხართ, კარგებო,  
მინდა კარგ რამეს შეგპირდეთ,  
ლხინში, ჭირში და ქეიფში  
მხარში ერთმანეთს დაუდგეთ.

## ახალი წლის მილოცვა ქალბატონ რუსუდან ქუთათელაძეს!

ქალბატონო რუსუდან,  
გილოცავ ახალ წელსა!  
ჯანმრთელად შეხვდი ყოველთვის  
ახალსაც და ძველსაც!

რუსუდანო, ქალბატონო,  
უფროსი ხარ ჩვენი  
გულით უკეთესს ვერ ნახავს  
ვერცა ერი, ვერცა ბერი.

ნეტავ როგორ გაგაჩინა  
დედამ ამისთანა:  
წყნარი, მშვიდი, წესიერი  
ძლიერიც და მშვიდიც.  
ყველას გულით ეხმარები,  
რით ახერხებ, ნეტა?  
ყველას შენისთანა შვილი მისცეს,  
ამასა ვთხოვ ღმერთსა!  
ქმარ-შვილი კარგად გიმყოფოს,  
შვილიშვილები ბევრი,  
დიდხანს სიცოცხლეს გისურვებ,  
მრავალი თვალე წლები.  
ძმას, დაიკოს დაგილოცავ,  
ყველა გყავდეს კარგად,  
შენს გვერდით რომ იქნებიან,  
დაიძინებ მშვიდად.  
სამსახურსაც დაგილოცავ,  
ოჯახია შენი,  
ყველა გემადლიერება,  
იმედი აქვთ შენი.  
იდღეგრძელე ჩემო კარგო,  
იმედი მაქვს შენი,  
ღმერთმა ყველა დაიფაროს,  
ერიცა და ბერიც.  
ყველას მინდა მოგილოცოთ  
ეს ახალი წელი!

## თენგიზ გრიგოლიას

ჩვენო წყნარო, მშვიდო, უწყინარო პროფესორო,  
სიწყნარით და კარგი საქმით შეაყვარე ყველას თავი.  
შენ კუბოსთან, ყველა ტირის, სტუდენტი და სხვა ხალხიც,  
გაგისტუმრეთ სენაკში და ისევ უკან დაგვიბრუნდი.  
იქაც ნახე შენი სახლი, საყვარელი მეზობლები,  
მათაც გულით დაგიტირეს და დაბრუნდი შენს თბილისში.  
იქ არავინ დაიძახა, გენაცვალოს შვილო დედა,  
არც დაიკომ დაიძახა გენეცვალოს ძმაო დაო.



ჭირისუფლად მარტო ძმა გყავს, ღმერთმა კარგად გიმყოფოსო.  
შენს ამაგს ვინც დაგიფასებს, შენს საფლავთან ხშირად მოვა,  
ჩემს მაიკოს თამაძობით ჭირისუფალს დაგილოცავ.  
ვიცი ახლა არ იქნები უპატრონო მკვდრის სიაში,  
არც ბალახი გადაუვლის შენს საფლავს და არემარეს,  
რალა გითხრა ამის მეტი, ცივ სამარეს მიგაბარეთ.  
გვენანები, გვენანები გვენატრები, თენგო ბიჭო, გენაცვალე.

## ქუქუნა ბებოს დარდი

ოხ, რა დარდები მაწუხებს,  
როგორ დავწერო ფურცელზე,  
არავის მინდა ეწყინოს,  
თუ სიმართლეს მოგახსენებთ.  
უკვე მრავალი წელია,  
ამ ლიფტს, რომ ვემსახურები.  
თუ დამიჯერებთ არა ჰყავს  
ამ ლიფტს, ჩემს მეტი პატრონი.

თუ ლიფტი გამიფუჭდება,  
დამჭირდა სწრაფად მაშველი,  
სამი დღის მერე მოვლენ და  
არ დაადგებათ საშველი.  
მოდიან ხელცარიელნი,  
არ გააჩნიათ ტექნიკა,  
მე მიყურებენ ხელებში,  
როგორ მოვიქცე, რალა ვქნა.

ისედაც ძან ვიღლები,  
აღმა და დაღმა დავრბივარ  
ერთ დღეს ლონდონში ჩავდივარ  
მეორე დღეს კი პარიზში.  
ამდენი კილომეტრები,  
როგორი ასათვლელია,  
მეც დავიდალე, შვილებო,  
შრომა როგორი ძნელია.

ნუ მიწყენთ, ჩემო კარგებო,  
პროფესორ-მასწავლებლებო,  
ხუთ კაცზე მეტის აყვანა  
ლიფტში, რომ აკრძალულია  
განა ეს ჩემი ბრალია?

ყველა თვის საქმეს აკეთებს,  
ჩემს შრომას ნაკლებად ხედავენ.  
ამას იმიტომ ლექსად ვწერთ  
და ბევრნი დამიჯერებენ.

ლიფტი უნდა შეკეთდეს,  
გასაჭირი რომ აგვცდეს!  
ჟუჟუ ბებომ რაღა ქნას?,  
ულიფტოდ რომ არ დარჩეს.

თუ ეს ლიფტი არ გაკეთდა,  
სხვა უნდა ვნახოთ პატრონი  
მერე რაღა უნდა ვიღონო,  
რას მეუბნება ბატონი?

## ჩემს გარდაცვლილ შვილს – მამუკა

შენი სამარე მშრალია,  
დედა, რომ შენთან არ მოდის,  
მდულარე ცრემლებს, მამუკა,  
გულზე დედა, რომ არ გაყრის.  
შევწუხდი ამდენი დარდით,  
ამომიღამდა თვალია,  
სამყარო ისე შემძულდა,  
გავხდი ცუდი და ავია.  
არავინ მაინტერესებს,  
შორს დავიჭირე თავია,  
ჩემთვის დავდივარ ჩუმათა,  
ყველანი კარგად არიან,  
მე მეგონა აღმა ვხნავდი,  
თურმე დაღმა მომიხვნია,  
თუ რამ შეცდომები მქონდა,  
შენს გაზრდაში დამიშვია.  
თუმცა კარგი შვილი იყავ,  
ყველას გულით შეხაროდი,  
არ დაგცალდა დიდხანს ყოფნა,  
ამითი ვარ უბედური.  
ნეტავი შევძლო, მამუკა,  
ბედის უკუღმა ტრიალი,  
შემოვავბრუნო უკანა,  
ტანჯვით გავლილი დღენია,  
ისევ პატარა მყავდე და  
მაგრად მოგკიდო ხელია.

პატარა დიდად გაგზარდე,  
დიდს ვერაფერი გიშველე,  
ხელში ჩამაკვდი, მამუკა  
მითხარი, დედა-მიშველე,  
შენც მამაშენმაც, მამუკა,  
არავინ მითხრას არაკი,  
კეთილი სჯობნის ავსაო,  
თურმე სიკვდილი ავ კაცსა  
გვიან დაუხრის თავსაო.  
კეთილს, რა დროსაც მას უნდა  
უცებ წააცლის თავსაო.  
წუთისოფელიც, ამიტომ  
ვერ არჩევს ავს და კარგსაო.

## შევხედავ მაღლა გორასა

შევხედავ მაღლა გორასა  
ცხვარია შემოფენილი.  
სისაწყლე მაგან დაჯაბნა  
ახლა გაყიდეს ყველანი.  
ცხვარი, რომ სახლში შევიდა,  
სისაწყლე გარეთ გააგდო,  
უთხრა ადგილი მომებნე,  
თან წაიყვანე ზარმაცნი.  
ამ სახლში შენც ვერ ვეტევი,  
პროდუქტი უნდა გავშალო.  
იმ კუთხეს მატყლს დაუთმოზ,  
აქეთ მაწონს და რძესაო.  
ამ ადგილს ყველებს დაუთმოზ  
ფართი სჭირდება ყველასაო.  
შესანახ გასაყიდ პროდუქტს,  
მაღლა თაროზე, შემოვდებ,  
ხორცს ქვაბში ჩავყრი მოვხარშავ  
დილით ხაშლამას მოგართმევ,  
ჩაქაფულიც ხომ იცით,  
როგორი კარგზე კარგია  
მისი ხინკალი გასინჯე,  
თუკი გემო გაქვს პირშია  
შილაც ხომ იცით, როგორი გემრიელია,  
მკვდრების დაკრძალვა მის გარეშე

არ არის დასაშვებია.  
მარტო ერთსა გთხოვ ძმობილო,  
ნულარ გაყიდი ცხვარსაო,  
კეთილი, რჩევა ისმინე,  
არ დაიჯერო ავსაო,  
სიმდიდრე თავისით მოვა,  
თუ არ გაყიდი ცხვარსაო.  
ყველა სიკეთე ავწერე,  
რაც ცხვრისგან მოტანილია  
ამას ყველაფერს თქვენ გირჩევთ  
თქვენი ჟუჟუნა ბებია.

\* \* \*

არავინ მითხრას არაკი  
კეთილი სჯობნის ავსაო  
ავ კაცსა თურმე სიკვდილი  
გვიან დაუხრის თავსაო.  
კეთილს კი მას როცა უნდა  
უცებ წააცლის თავსაო.  
ასეა წუთისოფელი  
ვერ არჩევს ავს და კარგსაო.  
კეთილი თავისთან მიჰყავს  
ავს კი უტოვებს ხალხსაო,  
მუქთა მჭამელი რომ აქო  
რა უთხრა მართალ კაცსაო.  
აქედან წასული ხალხი  
იქიდან არა ბრუნდება  
ნეტავი ერთი დაბრუნდეს  
შევიტყოთ მათი ამბავი...  
თუ კარგ რამეს მოგვიყვება  
იქით წავიდეთ ყველანი.

\* \* \*

2016 წლის 21 აპრილი  
ჩემი მზის ჩასვლის დღეა

ხელთ ჩამაკვდა ჩემი ვაჟი, ვის მზესაც მე ვიფიცებდი.  
იმის მერე ცოცხალი ვარ, ღმერთო, ღმერთო რით მიშველი?  
მეც მომკალი გეხვეწები, აქ სიცოცხლე აღარ მინდა.  
ბინდია, ბინდი ყველგან, ნათელი კი აღარსად სჩანს,  
დაბნელდა ჩემთვის სამყარო, მასთან წასვლას ველოდები.  
შეუსრულო ყველაფერი, თუ აქ რამე დავაკელი,  
ჩავეხუტო, მოვეფერო და ვაკოცო ბევრზე ბევრი.

პაწ

**ღ ცირა ნუცუბიძე**

**საქართველოს ჯარისჯაცი**

ჩვენი სათაყვანებელი  
 საქართველოს ჯარისკაცი,  
 პირტიტველი ყმაწვილკაცი  
 საქართველოს ქართულ ჯარში.  
 იწრობა და ვაჟკაცდება  
 ახალგაზრდა კაცი ჯარში,  
 სამშობლოს საზღვრებს დარაჯობს  
 დღეს ქართველი, ქართულ ჯარში.  
 გულანთებული გულადი,  
 გამხნეებული ვაჟკაცი,  
 ნათელ მომავლის იმედი  
 საქართველოს ჯარისკაცი.  
 ჩვენი ერის სიამაყე,  
 წვევანდელთა მისაზამი,  
 ყველა დედის საფიცარი  
 საქართველოს ჯარისკაცი.  
 ჯარისკაცის მეგზურია  
 ენერგია და სიფხიზლე.  
 დიდი რწმენა, ერთგულება,  
 გამძლეობა და სიმტკიცე.

**დედა ენა**

ქართველობის ბურჯი ენა,  
 ერის განძი, აღმაფრენა,  
 რუსთაველის აზრით ტკბობა,  
 უძველესი დამწერლობა.  
 ენა დიდი წინაპრების,  
 ჩვენი ენა უძველესი,  
 პოემის და ვეფხის ლექსის,  
 ჩვენი ენა უმდიდრესი.  
 მშობლიური დედა ენა  
 სიცოცხლეს და ძალას გვმატებს  
 ღირსეული დილა გველის,  
 ენას თუ არ ვუღალატებთ.

ენას ღმერთთან მოსალბუნეს,  
 ჰანგის ენას საამურსა,  
 ენას სიყვარულით სავსეს,  
 ხმას, გალობას ზეციურსა.  
 მოაზროვნე ბრძენი ერის  
 მშობლიური დედაენა,  
 მინდვრის ქუჩის და შვლის ნუკრის  
 მოსაუბრე დედაენა.  
 ენა დინჯად მოუბარი,  
 ფესვმაგარი, მიზნის მწვდომი,  
 საზრიანი, სარაინდო,  
 სრულყოფილი, ახლის მწვდომი.  
 დედა ენა ერთი ერის,  
 ერთი ტომის, თვისტომისა,  
 ერთი ზნის და ერთი რწმენის,  
 უძველესი წარსულისა.  
 დედა ენა მოძღვარია  
 ჩვენი ღირსეული ერის,  
 არ გაქრება ამ ენაზე  
 მოუბარი ჩვენი ერიც.

## დედამიწა

მიწაა ყოვლის მყოფელი,  
 უტყვის, მეტყველის მფლობელი,  
 დიდის, პატარის, წვრილების,  
 არსობის პურის მშობელი.

დაჩეკავს, კვებავს, შემოსავს  
 სხვადასხვა სახით ჩვილებსა.  
 დაზრდის და თვითონვე შეჭამს,  
 ისევ ილესავს „კბილებსა“.

## ვირის წიხლი

სულმდაბალი ღირსეულს  
 ლანძღვით გაუსწორდება,  
 როცა ხედავს ღირსებით  
 მას ვერ გაუტოლდება.  
 ავგულ სიტყვით დაგესლავს,  
 სავსეს შხამით, ღვარძლითა,  
 გადმონათხევს ნაღველსა  
 მყრალსა, ბილწი სიტყვითა.  
 მოთმინებით დაჯაბნის  
 ღირსეული უღირსსა,  
 სიკვდილსაც ამჯობინებს  
 წიხლსა ნასროლს – ვირისა.



**ღ მიხეილ რამაზაშვილი**

\* \* \*

თვალეbs ნუ უჯერებთ, თვალი – ამყოლია,  
 ღიმილს შემოგიგდებს, გულში ჩაგიჭედებს.  
 ცხოვრების ბოლომდე სევდა – გამყოლია,  
 ჩემს დარდს და თქვენს წუხილს არავინ არ იჯერებს.

სანამ ცოცხალია ტრფობის სიმფონია,  
 დაუჯერებელი, ხანაც სათვალთვალო,  
 და თუ შეგვეყარა ჩვენ – მელანქოლია  
 შევეშვათ ცხოვრებას და წლები დავთვალოთ.

ყოველი შეხვედრა, რომელსაც გვაჩუქებს  
 ის უზენაესი ღმერთად წოდებული,  
 მინდა დავწერო, მოვუყვე შავ ქუჩებს  
 გინდა მდაბიური, გინდაც – დიდებული.

მახსოვს ის პირველი უმანკო ღიმილი,  
 რომელიც შენამდე ბარიერს მიქმნიდა,  
 მხოლოდ ჩემი მზერა სიბრაზით ნარევი,  
 ვინ დამაჯერებდა, სიყვარულს – ვინ ქმნიდა!

ხშირად ჩვენში ბუდობს ისეთი ნათელი,  
 რომ ვერ შეედრება ვერცერთი სანთელი,  
 ამ წმინდა რწმენით შენამდე მოვედი,  
 ცხოვრებამ მტკიცა ათასი „მოგვერდი“.

თუმცა დაჩოქება ჩემთვის პატივია,  
 შენც გაიზიარე ჩემი სამართალი,  
 სულში თუ ჩამხედავ, მიხვდები რაც გიქნია,  
 გეგონე ბევრჯერ – ცრუ და ხან მართალი.

ვიცი გახსენდები, ვიცი გენატრები  
 და ეს მაგალითი ჩემგან აგილია,  
 ფარდას თუ დავუშვებთ, გაწყდებიან მტრები,  
 მათთვის ჯოჯოხეთის კარი გაულიათ.

ცად, თურმე მსჯელობენ ვისლა წაულია,  
 ვიღამ მიითვისა ულავი - სიხარული,  
 როცა შეგვამჩნიეს აღარ უნანიათ,  
 დანაკარგს უწოდეს მათ - ჩვენი სიყვარული.



\* \* \*

მეყვარებინარ, ო... რა ძლიერ მეყვარებინარ.  
ვეფერები ზღვის ტალღებზე, სხივს აისის,  
თვალებით ხარ ასე მწველი, თვალებით ხარ,  
სურნელი ხარ ნუშის, ატმის, თბილს მაისის...

თვალებზე ცრემლები არ არის საჭირო  
სამყაროს შერცხვება მტირალს რომ გიხილავს,  
უშენოდ ყოფნა რომც გავასაჩივრო,  
მსაჯული ღმერთია მიწყრება ვერ მიტანს,  
მოდის, მითხარი სიტყვები ნაქარგი  
სრულიად ავითვისებს, შენს ღიმილს ნაქურდალს,  
ეს წლები არ მინდა იყოს დანაკარგი  
და ჩემი სიცოცხლეც რომ გავდეს ნასუფრალს  
ველად გავიჭრები შიშველი საფარად.  
თუ მომევილინება ღრუბელთა არმია,  
რაც შენში მაგიჟებს დაუფარავად  
ათასთა შორის - ქალური შარმია.

მეყვარებინარ, ო... რა ძლიერ მეყვარებინარ,  
ვეფერები ზღვის ტალღებზე, სხვის დაისისი,  
თვალებით ხარ ასე მწველი, თვალებით ხარ,  
კიდევ გნახავ იმედი მაქვს, მე გაისის ...

## ა გ ვ ი ს ტ ო ს გ მ ი რ ი

ვარსკვლავებს უძღვნა მან თავისი სული კაშკაშა,  
მტერს შეეგება, თავი გასწირა და ივაჟკაცა,  
მას სისხლად ჰქონდა შადრევანი, თანაც მჩქეფარე,  
ხმალი ხელთ ეპყრა უქარქაშო და მოელვარე.

არ უშინდება სიკვდილს, მტანჯველს მრავალი გმირის,  
ყურში ჩაესმის ჟღერადობა ჩონგურის სიმის,  
ეამაყება შვილი არის ქართველი ერის,  
ომს მიმავალი ამიტომაც არხოტოს მღერის.

მან ფიცი მისცა ქართულ მიწას, წამებულს, წმინდას,  
ვერ გაიმეტებს დასალუპად ჯვარს, ნიკორწმინდას,  
იმედით ცოცხლობს ქართლის დედა ხმლით და ფიალით,  
სატრფო შემლილა, სიყვარულით გმირის ტრფიალით!

**როდამ თევდორაშვილი**

უარი ბოროტს, მხეცს და სატანას,  
 ფარად ვიფაროთ ჩვენ უფლის სიტყვა,  
 აღარ ეგების თმენის ატანა,  
 ლოცვაც და სიტყვაც მრავალჯერ ითქვა.  
 ო, რა მზაკვრულად გვაზომბირებენ  
 შინ დაბრუნებას ვეღარ ვახერხებთ,  
 ერს დაუნდობლად მსხვერპლად გვწირავენ.  
 გულს გვაცლიან და გვაპარტახებენ!  
 ვინც ბრმად ენდობა ცრუს და ინტრიგანს,  
 ის ერსაც წირავს, ძმასაც და შვილსაც,  
 წირავს და არც კი დაფიქრებულა  
 ყოველი წამი რა ძვირად ღირსა;  
 არ დავივიწყოთ სარწმუნოება  
 ლექსად არ დარჩეს ენა, მამული,  
 ერთად დავძლიოთ „კოჭლი დროება“  
 ნუგეშისმცემლის სიტყვით და სულით.

ბვ

**თამაზ ხმელიძე**

**შ ე მ ო დ გ ო მ ა**

გათენდა. გავხედე ჭადრებს და ქუჩას,  
 გარეთ შემოდგომა წელს ზანტად ითრევს!  
 მიველ ფანჯარასთან და მუჭა-მუჭად  
 პურის მარცვლები დავუყარე ჩიტებს.

გამექცა სიჭაბუკე ლურჯი და ალალი,  
 მალე დამთავრდება ცხოვრებაც, ალბათ,  
 საკუთარ თავთან სჯობს იყო მართალი  
 და გამშვენებდეს სიწმინდე აზრთა,

ისევ მომეძალა მიქელას ჭინკები,  
 ცხოვრება დაემსგავსა სველ ნაძვის გირჩებს,  
 ალბათ, მალე წავალ, მე რომ არ ვიქნები,  
 მაშ, მარცვლებს პურისას, ვინ დაუყრის ჩიტებს?

**იდუმალი იასამნები**

როცა მეძინა საკუთარ ფიქრებში,  
 მაშინ გამოჩნდი!  
 იდუმალი, როგორც მდინარე,  
 როგორც ფიფქი მიმწუხრი ზამთრის...  
 უსასრულობას ჰგავდა ის დღე,  
 როცა გიპოვე,  
 როცა ყვავილი დაგაბნე თვის დალალებში,  
 როცა გამათბო მოწონების ნეტარ სიხარბემ...  
 მიმოდიოდა დღეები და ღამის სიზმრები,  
 უშენოდ წყარო აღარ იყო წყაროს მაგვარი!  
 როცა გიპოვე  
 შეიცვალა წყარომ დინება  
 და გახდა გული სათნოების თავშესაფარი.  
 მოხვედი თეთრი იდუმალი იასამნებით,  
 დაგვიანებით  
 დამისველე თვალის ქუთუთო,  
 უაზრობაა, მაგრამ რა ვქნა

მაინც გიპოვე,  
მაინც გიპოვე ქალი ვარდზე უფრო სათუთი...  
და თუ ჩაივლის ეს წუთები წლების აღრიცხვა,  
როგორც უაზროდ დაბეჭდილი შავი რიცხვები,  
აღარ შემრცხვება ჩემს პასპორტში წლების სიმძიმის,  
წლების სიმძიმე  
ვერ შემიცვლის პოვნის სიცხადეს...  
მოხვედი ჩემთან გაზაფხულის დღესავით თბილი  
და მომიტანე იდუმალი იასამნები!

\* \* \*

შენ მოდიოდი კოსმოსის გოგო,  
მოგქონდა გული სავსე სითბოთი,  
მოგავდი ქარში გაფრენილ ფოთოლს,  
ფოთოლს,  
რომელსაც მე არ გითმობდი.  
ქართლის მინდვრები ღიმილს გაჩუქებს  
და მოიპარავს ტამარს სიმღერა...  
გამოუყვები დახლართულ შუკებს  
კოსმოსის გოგო,  
თვალებგიშერა!  
ისევ იწყება,  
ისევ იწყება,  
მოლოდინები გულის გადაშლის,  
შენი სხეული ისე ირწყევა,  
როგორც თავთავი პურის ყანაში!..

დას



**ღიგორ კვესელაფა**

**როგორ ინგრეოდა  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

რუსეთის მიერ საქართველოს თანამიმდევრული მიერთების შემდეგ, წინ წამოიწია დამოუკიდებლობის, ანუ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეა. ქართველი პატრიოტები ამას სხვადასხვა, მათ შორის სამხედრო გადატრიალების, გზებით ცდილობდნენ. მოგვიანებით, „თერგდალეულთა მოძრაობის“ გამოჩენილმა ლიდერმა ილია ჭავჭავაძემ უარყო შეიარაღებული ამბოხების გზა და როგორც ფილოსოფოსი და პუბლიცისტი ზურაბ ხასაია შენიშნავს: ილიას ეროვნული დამოუკიდებლობა სულიერ მდგომარეობად, ერის თვითცნობიერებად, მის ნებად მიაჩნდა, ნივთიერი გაფორმება კი მეორეხარისხოვანი და ტექნიკის საქმე იყო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ზ. ხასაია იმასაც ფიქრობს, რომ თავისუფლებას ერი იარაღით, წიაღისეული სიმიდრით, მრეწველობით, ნავთობსადენებით თუ კომანდოს ბატალიონებით ვერ მოიპოვებდა.

სწორედ თავისუფლების იდეის განზომილებაში უნდა განვიხილოთ საქართველოს საუკეთესო შვილების ჩაბმა ქართული უნივერსიტეტის შექმნის პრაქტიკულ განხორციელებაში. უნდა დავეთანხმოთ ზ. ხასაიას

იმას, რომ უნივერსიტეტი მარტო ცოდნის მიმცემ დაწესებულებად კი არ იყო ჩაფიქრებული, არამედ სულიერ-რელიგიური და ზნეობრივი ელფერის „თეთრ ტაძრად“, რომლის დამფუძნებლებს – **ივანე ჯავახიშვილს, პეტრე მელიქიშვილს, სერგი დანელიას, არნოლდ ჩიქობავას, აკაკი შანიძეს, სიმონ ყაუხჩიშვილს** წმინდანის შარავანდედი უფრო ადგათ, ვიდრე მეცნიერისა [1].

ისიც მართალია, მას შემდეგ ბევრმა ამღვრეულმა წყალმა ჩაიარა. უნივერსიტეტს არაერთი ტალახი ესროლეს, არაერთგზის დაარბიეს. ზუსტად წერს ზ. ხასაია: „უცნაური ხალხი დაბაკუნობდა მაშინ უნივერსიტეტის დერეფნებში: მაშინდელი ნაციონალები და რესპუბლიკელები, მაშინდელი თავისუფლების ინსტიტუტები და კმარელები. უნივერსიტეტის სტრუქტურაში სიმსივნესავით ჩაჯდა იმპერიული უჯრედები, სადაც ფარაჯიანმა ხალხმა მოიკალათა; ცალკე საიდუმლო დავალებებით დამუხტული ხალხით გაივსო პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა შემადგენლობა“ [1].

1926 წელს, როდესაც **ივანე ჯავახიშვილი** გადააყენეს რექტორობიდან, მისი ადგილი ბოლშევიკმა **თე-**

**დო ღლონტმა** დაიკავა. 1930 წელს, „ანტიმარქსისტული“ და „იდეოლოგიურად მიუღებელი“ უნივერსიტეტი დახურეს კიდევ. ისტორია 2003-2005 წლებშიც განმეორდა, როდესაც „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებამ კვლავ დაიწყო მასშტაბური შეტევა უნივერსიტეტზე; გადააყენეს რექტორი, „ამხილეს“ „იდეურად მიუღებელი“ „კორუმპირებული“ „წითელი პროფესურა“ და დაიწყო „სახელისუფლებო რეფორმის“ განხორციელება.

როგორც შემდგომში განვითარებულია მოვლენებმა გვიჩვენა, უნივერსიტეტი აღარ იყო ეროვნული თვითცნობიერების შუაგული. მან დაკარგა ტაძრის ფუნქცია და მიიღო უმაღლესი სასწავლებლის სახე, ხოლო ამ სახეს, მათი შეხედულებებისამებრ, ცვლიდნენ ადრე ბოლშევიკები და კომუნისტები და ბოლო ხანებში ქვეყნის ხელისუფლების სათავეში მოსული „ნაციონალური მოძრაობის“ „მამები“ და „დედები“. სწორედ ამის შესახებ ამბობს **ზ. ხასაია**: „უნივერსიტეტის თავზე საავდრო ღრუბლები იგრავებოდნენ. სქლად დადგა კვამლი გარშემო. კვამლიდან გარდამოვიდნენ კალიები და მიეცა მათ ძალა, ვითარცა მიწის მორიელთ“ [1].

ამ კონტექსტში გასაზიარებელია, მოსაზრება იმის შესახებაც, რომ საბჭოთა პერიოდში, უკვე მხოლოდ უმაღლესი სასწავლებლის სახე მიღებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, რომელსაც არ მოჰკლებია საქართველოს კომპარტიის ცეკადან დანიშნული „პარტკომების“ ხელი, ვერ გააკეთა სწორი არჩევანი საქართველოს პირველ პრეზიდენტთან დამოკიდებულებაშიც და უნივერსიტეტის, პარტიული, სამეცნიერო ელი-

ტის წაქეზებით და მხარდაჭერით ასპარეზი მისცა უნივერსიტეტის „ხუნვეინბინელებს“: **ფიქრია ჩიხრაძეს, გიგა ბოკერიას, გიორგი ბარამიძეს, გივი თარგამაძეს, გიორგი მაისურაძეს** და სხვებს, დაპირისპირებოდნენ **ზვიად გამსახურდიას**, რომელიც ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ეროვნული სახელმწიფოს იდეოლოგიის განვითარების იდეით გამოდიოდა და არ იყო მომხრე, მფარველი რუსეთის იმპერიულ რეჟიმს, სხვა რომელიმე მფარველი ქვეყნის რეჟიმი ჩანაცვლებოდა.

კეთილდღეობა და სარგებელმიღებული საუნივერსიტეტო ელიტა იმის შიშით, რომ არ დაეკარგა საუნივერსიტეტო ხელისუფლებით ტკობის სიამოვნებანი, ვითომ დემოკრატიის პორველადობის იდეას ჩაეჭიდა, ვიდრე თავისუფლების იდეის სახისმეტყველების, უპირველესად, მხარდაჭერას.

საზოგადოებისათვის არ არის დამალული, ქვეყნის ინტელექტუალური, სახელოვნებო, სამეცნიერო და სხვა მიმართულებების ელიტათა თანაგრძნობა იმაჟამად მოსკოვის პარტიულ-სახელმწიფო ელიტაში მყოფი, თბილისის 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის, **მ. გორბაჩოვთან** ერთად, ერთ-ერთი ინიციატორის **ე. შევარდნაძის** მიმართ, რომელიც სახელდახელოდ გადადგა საბჭოეთის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან, რათა ოდნავ მაინც აეწია საქართველოში დაცემული პიროვნული რეიტინგი, რომ სახელმწიფო გადატრიალებას ჩასდგომოდა სათავეში და პრეზიდენტად მოვლინებოდა პოსტ-საბჭოურ საქართველოს.

საბჭოთა კავშირი, თავისებური, ფედერაციული იმპერია იყო, რომე-

ლიც ხელს უწყობდა ეროვნული კულტურის, განათლებისა და მეცნიერების განვითარებას და, შესაბამისად, უნივერსიტეტებსაც ჰქონდათ საბჭოთა სახელმწიფოს შესატყვისი ავტონომია, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პოსტსაბჭოური საქართველოს სახელმწიფოებრივი სახისმეტყველება, მოსკოვის მაგივრად, ვაშინგტონისკენ წარიმართა და საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში დამკვიდრება დაიწყო ქართული სინამდვილისაგან აბსოლუტურად განსხვავებულმა განზომილებებმა, რომლებსაც სხვადასხვა რეფორმის სახე მიეცა.

ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო განათლებამ 12-წლიანი ფორმა და შინაარსი შეიძინა, მისი მაღალი საფეხური ოთხწლიანი სწავლების ბაკალავრიატი გახდა, ხოლო მაგისტრატურის კურსი, ფაქტობრივად, უმაღლეს განათლებას გაუთანაბრდა, რომლის ერთი ნაწილი ან საზღვარგარეთ მიემგზავრება ან დოქტორანტურაში განაგრძობს ცოდნის მიღებას. მთლიანობაში, სწავლის, სწავლებისა და ცოდნის მიღების ხარისხმა საქართველოში საგრძნობლად იკლო. უნივერსიტეტებში ხარისხის სამსახურის შექმნამ მდგომარეობა ძირითადად ვერ გააუმჯობესა და გაიზარდა ახალგაზრდობის ერთი ნაწილის სწრაფვა უცხოური განათლების მიღებისადმი.

ამასობაში, უნივერსიტეტებში და, კერძოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გაიმარჯვა **საკაშვილ-ლომაიას** საგანმანათლებლო ხაზმა და, აქ და სხვაგან, დამკვიდრება დაიწყო **გ. ხუბუას, გ. თევზაძის,**

**ნ. ლადარიას, ლ. ალექსიძის** და სხვების ანტიეროვნულმა, ანტისაზოგადოებრივმა და ანტისაუნივერსიტეტო იდეოლოგიამ და პრაქტიკამ.

სწორედ უნივერსიტეტში განვითარებულ ამ დამანგრეველ პროცესებს ეხმაურებოდა თვალსაჩინო მწერალი, პროფესორი **რევაზ მიშველაძე**. „ამჟამად რაც უნივერსიტეტში ხდება, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ეროვნული უბედურებაა. რეფორმა, რომელიც უნივერსიტეტში ტარდება, თანდათანობით აგრესიულ-ფაშისტურ ხასიათს იძენს. ეს არის ცოდვის განკითხვა, მხოლოდ იმ განსხვავებით, თქვენ რომ გინახავთ მიქელანჯელოს „ცოდვის განკითხვა“, ცენტრში ქრისტე კი არ დგას, არამედ უმიზნო, უსაგნო, რეფორმის ჟინით შეპყრობილი რამდენიმე თამამი ახალგაზრდა. განათლების გაუნათლებელი მინისტრის, სანტექნიკოს **კახა ლომაიას** ხელმძღვანელობით“, – წერდა ჯერ კიდევ 2006 წელს, უნივერსიტეტში შექმნილი უმძიმესი ვითარებით გულდამძიმებული მწერალი [2. 305-306].

მოგვიანებით **რ. მიშველაძე**, 2016 წლის 23 მაისს, უნივერსიტეტის გადარჩენის მიტინგზე გამოსვლისას, კვლავ ეხმიანებოდა უნივერსიტეტის ყველა მიმართულებით დანგრევის შედეგებს – ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან გამოვლენილ, შეუბრალებელ ბოროტებას. ხოლო ქვეყნის პრეზიდენტისადმი გაგზავნილ „20 რჩევაში“ პირდაპირ მიუთითებდა, რომ მისი ნეგატიური დამოკიდებულება, ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის, ქართული ენის ცოდნის, ეროვნული უნივერსიტეტის საქართველოს მწერლობის, ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიის, ეროვნული ცნო-

ბიერებისა და თვითმყოფადობის, განათლების, კულტურისა და ტრადიციების მიმართ და ასე შემდეგ ბუმერანგივით შემოუბრუნდებოდა მის, ეიფორიულ, შეცდომებითა და დანაშაულობებით აღსავსე პრეზიდენტობას და უსახელოდ დაამთავრებდა თავის ე.წ. საქმიანობა-მოღვაწეობას [2. 316-376].

ზოგადად, მსოფლიო საუნივერსიტეტო ისტორია რეფორმების ტკივილიან პერიპეტებს მოიცავს და მისი ფორმა და შინაარსი დროსა და სივრცეში, თანდათანობით იხვეწებოდა. მაგალითად, ევროპაში მე-18 საუკუნის დასასრულს, უნივერსიტეტებს მძიმე პერიოდი დაუდგათ და სერიოზული მსჯელობა მიდიოდა მათი გაუქმების შესახებაც, რადგან მაშინ მიიჩნეოდა, რომ ის ვერ უზრუნველყოფდა საზოგადოებისა და ეკონომიკისათვის სასარგებლო განათლებას, ანუ საჭირო მიზნობრივი პროფესიების დამკვიდრებას. ამ მიმართულებით სახელდება კიდევ **ნაპოლეონის** მიერ საფრანგეთში განხორციელებული რეფორმები.

პროფესორი **თამარ კიკნაძე** ფიქრობს, რომ უნივერსიტეტი, როგორც განათლებისა და შემეცნების მთავარი ინსტიტუტი, გადაარჩინა პრუსიის განათლების მინისტრად ვილჰელმ ფონ ჰუმბოლტის დანიშვნამ და 1810 წელს ბერლინში ახალი უნივერსიტეტის გახსნამ [3].

ჰუმბოლტის საუნივერსიტეტო მოდელი ითვალისწინებდა რამდენიმე მნიშვნელოვან პრინციპს. მათ შორის იყო: 1. ავტონომიურობა, პედაგოგებისა და მეცნიერების თავისუფლება და დამოუკიდებლობა; 2. სწავლებისა და კვლევის ერთობლიობა. აღნიშნული პრინციპები საფუძვლად დაედო

განათლების სივრცეს და განვითარება პოვა ამერიკულ და ინგლისურ საუნივერსიტეტო მოდელებშიც.

ცხადია, საუნივერსიტეტო მოდელები ტრანსფორმირებას განიცდიდა. მაგალითად, საბჭოეთში არსებობდა ე.წ. კლასიკური უნივერსიტეტები, რომლებშიც შერწყმული იყო სწავლება და კვლევა.

თანამედროვე მსოფლიოში ფუნქციონირებს ე.წ. მასობრივი და დახურული ტიპის უნივერსიტეტები. დახურულ უნივერსიტეტებში სტუდენტები განსაკუთრებულ განათლებას იღებენ და მათზე ინფორმაცია ძალიან მწირია. მასობრივი ტიპის უნივერსიტეტებში კვლევისა და სწავლების შერწყმა არ არის გათვალისწინებული და მეტწილად მიღებულია სოციალიზაციის გზა, რომელიც ზოგჯერ მკვეთრად იდეოლოგიზებულია. ფაქტობრივად, ასეთი იყო „ნაციონალური მოძრაობის“ დამოკიდებულება და საუნივერსიტეტო პრობლემებისადმი, როდესაც მთლიანად მოხდა აპელირება დასავლურ საგანმანათლებლო სისტემაზე და დაიკარგა განათლებისა და მეცნიერების ქართული იერსახე.

2005 წლის იანვარში „უმალღესი განათლების შესახებ“ კანონის მიღების შემდეგ უნივერსიტეტში გაუქმდა დიდი საბჭოს ფუნქციონირება; გაუქმდა ყველა კათედრა; მოხდა ფაკულტეტების გაერთიანება; უნივერსიტეტის სამეცნიერო სექტორს მოეხსნა საბიუჯეტო დაფინანსება; დაიხურა ათეულობით სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, კაბინეტი, სამეცნიერო ცენტრი, განადგურდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ბიბლიოთეკები...; უმუშევარი დარჩა 1500-ზე მეტი მეცნიერი-მუშაკი, არნახული



ძალადობისა და უკანონობის მსხვერპლი გახდა აკადემიური სექტორი. თუ რეფორმამდე უნივერსიტეტში იყო 4000-ზე მეტი თანამშრომელი, განათლების მინისტრის უშუალო მოთხოვნით კონკურსი გამოცხადდა მხოლოდ 700 სამტატო ერთეულზე, ანუ შემცირდა თითქმის 5-ჯერ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2005 წელს კონკურსი გამოცხადდა თითქმის იმავე რაოდენობაზე, რაც იყო კონკურსამდე, მაგრამ უნივერსიტეტის პროტესტით გაღიზიანებულმა მინისტრმა გააუქმა კონკურსი და დაავალა რექტორს **რ. ლორთქიფანიძეს**, 700 ერთეულზე გამოეცხადებინა ახალი კონკურსი, რაც არ იქნა გაზიარებული რექტორის მიერ. ეს გახდა კიდევაც თანამდებობიდან მისი განთავისუფლებისა და რექტორად **გ. ხუბუას** დანიშვნის მიზეზი.

უნივერსიტეტში გაუქმდა ტრადიციული დარგები, სპეციალობები. მაგ.: ფიზიკის ფაკულტეტის 112 პროფესორ-მასწავლებლიდან კონკურსი გამოცხადდა 23-ზე. ქართული ენის კათედრის 23 თანამშრომლის ნაცვლად მიღებულ იქნა მხოლოდ 3.

უნივერსიტეტის ახალმა რექტორმა **გ. ხუბუამ**, პროფესორ-მასწავლებელთა მოთხოვნას „რეფორმა მოექციათ კანონის ფარგლებში“, პოლიცია დაუპირისპირა და 2006 წლის 19 და 20 ივნისს პროტესტის გამომხატველი პროფესორები ხელგადაგრეხილები გაიყვანეს უნივერსიტეტიდან. 2006 წლის 3 ივლისს უნივერსიტეტის დიდმა საბჭომ უნდობლობა გამოუცხადა **გ. ხუბუას**, თუმცა ამ უკანასკნელმა კვლავ პოლიციის ძალებს მოუხმო და მათი საშუალებით პროფესორებს ჩაუკეტა ყველა გასასვლელი, წყლისა და ტუალეტისაკენ მიმავალი

კარი და ადამიანის უფლებების არნახული დარღვევით, უკანონოდ აღუკვეთა თავისუფლება ერთი დღე-ღამის განმავლობაში. ფაქტობრივად, ორი თვის განმავლობაში უნივერსიტეტში მოქმედებდა პოლიციური რეჟიმი, რის შედეგად ხუბუასთან დაპირისპირებულ პროფესორ-მასწავლებლებს აეკრძალათ უნივერსიტეტში შესვლა.

ამ კონტექსტში იხსენებენ მხოლოდ 1939 წელს მომხდარ შემთხვევას, როდესაც ფაშისტებმა კრაკოვის უნივერსიტეტიდან გარეკეს პროფესორები. 2007 წლის იანვარში ათენში სტუდენტების მასობრივი გამოსვლების დროს უნივერსიტეტის ეზო სტუდენტთა თავშესაფრად იქცა და პოლიციელებმა იქ შესვლა არ იკადრეს, ისევე როგორც 1989 წლის 9 აპრილს, ვერც საბჭოთა ჯარისკაცებმა გაბედეს უნივერსიტეტში შესვლა.

სწორედ **გ. ხუბუას** რექტორობის პირველივე დღეებში, განსხვავებული აზრის გამოთქმისათვის, დაპატიმრეს პროფესორი **გურამ შარაძე**, ხოლო იმავე **გ. ხუბუას** მოთხოვნით, „წვრილმანი ხულიგნობის“ მუხლით გასამართლდა უნივერსიტეტის ცხრა პროფესორი.

„ნაციონალური მოძრაობის“ ზეობის პერიოდში უნივერსიტეტში განხორციელდა არაერთი ფინანსური კანონდარღვევა, არასწორად ტარდებოდა ტენდერები, ბიბლიოთეკიდან მოპარულ იქნა უნიკალური წიგნები, გამოვლინდა ნეპოტიზმის ფაქტები, არასწორი დანიშვნები, გაყალბებული კონკურსები და ა.შ.

ცხადია, ყველა უკანონობაზე საუნივერსიტეტო საზოგადოება რეაგირებას ახდენდა. მომზადდა არაერთი სარჩელი, რომლებსაც განიხილავდ-

ნენ საქალაქო, სააპელაციო და საკონსტიტუციო სასამართლოებიც, თუმცა მათი უმრავლესობა, როგორც წესი, არ კმაყოფილდებოდა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წევრის, **ზ. გამსახურდიას** ხელისუფლების უზენაესი საბჭოს წევრის, პროფესორ **დემურ ბახტაძის** ინიციატივით, უნივერსიტეტში არაკანონიერი ქმედებების აღსაკვეთად ჩამოყალიბდა „მებრძოლთა ჯგუფი“ **გ. შარაძის, ნ. კირთაძის, ა. მათიაშვილის, დ. ქადაგიძის, მ. ტოგონიძის, ლ. ქადაგიშვილის** და **დ. ბახტაძის** შემადგენლობით, რომლის საბრძოლო დევიზი იყო „გადავარჩინოთ უნივერსიტეტი, გადავარჩინოთ საქართველო“. ამ ჯგუფის ინიციატივით აღდგა უნივერსიტეტის განადგურებული გერბი და დროშა; მომზადდა პლაკატი, მოეწყო მრავალრიცხოვანი მიტინგიც, მაგრამ **მ. სააკაშვილის** რეჟიმისაგან დაშინებული საზოგადოების დიდი ნაწილი არ აღმოჩნდა მზად, გაეგრძელებინათ უნივერსიტეტის გადასარჩენად დაწყებული პატრიოტული მოძრაობა. თუმცა ცნობილი მეცნიერების გარკვეული ნაწილის მხარდაჭერით მაინც შეიქმნა არარეგისტრირებული კავშირი – აკადემიური წარმომადგენლობითი საბჭო, ანუ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალტერნატიული საბჭო, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა პროფესორი **ზურაბ ჭუმბურიძე**. შეკრებაში არ მონაწილეობდა **თ. გამყრელიძე, დ. ბახტაძის** განმარტებით, ამ ჯგუფს ეტმასნებოდა **მარიამ ლორთქიფანიძეც**, მაგრამ ის არ იქნა მიღებული ჯგუფის წევრად.

მთლიანობაში საბჭო შემდეგი ადამიანებისაგან შედგებოდა: აკადემიკოსები – **ანდრია აფაქიძე, მალხაზ ზაალიშვილი, თენგიზ სანაძე, თამარ დეკანოსიძე, შოთა ნადირაშვილი, გურამ შარაძე, ელიზბარ ჯაველიძე**; პროფესორები – **მაია ნათაძე, ნესტან კირთაძე, ჯამილა მესხია, დემურ ბახტაძე, რევაზ ბარამიძე, მურმან ტოგონიძე, გიორგი ოთხმეზური, რევაზ მიშველაძე**; დოქტორები: **ლივერი ქადაგიშვილი, მერაბ ჯიბლაძე, ბორის ბერულავა, ლევან ფრუიძე, როინ ქუტიძე, აკაკი მათიაშვილი, ანზორ აბრალავა, იზოლდა ჭილაძე, ინესა სუმბაძე, აგრეთვე, ადა მარშანია, დავით ქადაგიძე, იაკობ ახუაშვილი**.

აღნიშნულმა მოძრაობამ გარკვეული როლი ითამაშა უნივერსიტეტის საბოლოოდ ნგრევის შეჩერებისა და ქართული საზოგადოების მობილიზაციის საქმეში უნივერსიტეტის გადასარჩენად. ამ კონტექსტში საინტერესო ჩანს **დ. ბახტაძის**, „გაზეთ „ასავალ-დასავალისათვის“ მიცემული ინტერვიუს ის ფრაგმენტი, რომელშიც ის უნივერსიტეტში მყოფ ადამიანებს – **გ. მამულიას, ე. კოდუას** და სხვებს – უღმერთო ნეობოლშევიკებს და „ლიბერასტებს“ უწოდებს, რომლებიც „წამლავდნენ“ ახალგაზრდებს და საფუძვლებს უმზადებდნენ დღევანდელ „ენჯეოშნიკებს“. აქვე მითითებულია ისიც, თუ როგორ მოკვდა შიმშილით უნივერსიტეტის პროფესორი, ერთ-ერთი უგანათლებულესი ადამიანი, ცნობილი მათემატიკოსი, აკადემიკოსი **ლევან ჟიჟიაშვილი** [4].

პროფესორი საზოგადოებას ამცნობდა: ასეა თუ ისე, მეტ-ნაკლებად ცნობილ ფაქტს იმის შესახებაც, რომ ამერიკელების: **ლუიზა შელის, ერიკ**

სკოტის, ანდერს ლინჩის და ქართველი შოთა პაპავას და ირინე კაკოიაშვილის შემადგენლობით შეიქმნა ჯგუფი, რომლის ინიციატივით, 2004 წელს, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის, ქეთევან როსტიაშვილის ავტორობით, გამოვიდა ნაშრომი, სახელწოდებით, „კორუფციის პრობლემები საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში“. ამ ნაშრომში მთავარი დარტყმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ჰქონდა მიყენებული.

თავად **ქ. როსტიაშვილი** ამერიკის უნივერსიტეტის ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის კვლევითი ცენტრის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი იყო.

ამ კონტექსტში საინტერესოა ის ფაქტიც, რომ უნივერსიტეტის შესახებ დაწერილი ამ ნაშრომის პრეზენტაციას დაესწრნენ პროფესორები: **დ. ბახტაძე**, **ჰენრი ყარაშვილი** და **მურმან ტოგონიძე**, რომლებიც **კახა ლომაიას**, **გიული ალასანიასა** და **თამაზ გამყრელიძის** გვერდით აღმოჩნდნენ.

**დ. ბახტაძე** პრეზენტაციას, სასამართლოს ამსგავსებს, სადაც ბრალმძღვლად **კ. ლომაია** გამოდიოდა და ყველაფერში ეთანხმებოდა **ქ. როსტიაშვილს**. პროფესორი ახსენებს **თ. გამყრელიძესაც**, რომელიც ამ სხდომას ესწრებოდა და სიტყვა არ ამოუღია უნივერსიტეტის დასაცავად. იმ უნივერსიტეტის, სადაც გაიზარდა და სადაც რამდენიმე დღით რექტორიც იყო და რექტორების სიაშია შეტანილი. **დ. ბახტაძე** ახმოვანებს იმ ფაქტსაც, როდესაც ზემოთ ნახსენები ერთი ამერიკელის მეშვეობით ქართველ სტუდენტთა ჯგუფები ერთმანეთს

გადაემტერნენ და ახალგაზრდებმა ერთმანეთი დაასისხლიანეს [4].

**დ. ბახტაძე** ახმოვანებს იმასაც, რომ უნივერსიტეტიდან იმ პერიოდში „გაგდებული“ 400 პროფესორიდან საპროტესტო მიტინგებზე 40-50 კაცი თუ გროვდებოდა, ხოლო უნივერსიტეტის ავტონომიურობის გაუქმების გამო საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი სარჩელი არ იქნა მიღებული.

საერთოდ, უნივერსიტეტის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური და იდეოლოგიური საქმიანობის შემადგენელი ნაწილი იყო. ჯერ კიდევ **ე. შევარდნაძის** მმართველობის პერიოდში, 2002 წელს, ერთ-ერთი სატელევიზიო არხის გადაცემაში, **გიორგი გოგოლაშვილის** და **პარმენ მარგველაშვილის** პირისპირ მსხდომნი **დავით უსუფაშვილი** და **გიგი თევზაძე** ძალდონეს არ იშურებდნენ დაეკნინებინათ უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესები. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აქტიურობდა გაზეთი „24 საათი“, სადაც დაიბეჭდა წერილი სათაურით „შავი საქმეები თეთრ ტამარში“. ამ უმაღლესი სასწავლებლის გაქილიკების საქმეში პირველობას არავის უთმობდნენ სამთავრობო ორგანიზაცია „კმარას“ წევრები, უნივერსიტეტის დაბალი და საშუალო აკადემიური მოსწრების სტუდენტები: **თეა თუთბერიძე**, **გიორგი კანდელაკი**, ახლანდელი ე.წ. უფლებადამცველი **გოგა ონიანი** და სხვები. „კმარას“ წევრები სახელდახელო წვრთნებს გადიოდნენ, რომ მოწინააღმდეგეებისათვის, წინასწარ განზრახვით უცენზუროდ და დამამცირებლად მიემართათ და ღირსება შეელახათ ადამიანებისათ-

ვის. იმ პერიოდში „კმარას“ რაზმელების შეტევის საგანი იყო სამი მიმართულება: უნივერსიტეტი, მწერალთა კავშირი და ეკლესია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ცოდნის ის კერა იყო, რომელსაც წლების მანძილზე თვალისჩინი უფრთხილდებოდნენ თვალსაჩინო ქართველი მოღვაწეები: **ევგენი ხარაბე, ილია ვეკუა, დავით ჩხიკვიშვილი**, რომელთა სახელებთან არის დაკავშირებული უნივერსიტეტის გაფართოება, სასწავლო-სამეცნიერო ბაზის გაზრდა, **როინ მეტრეველი** კი უმძიმეს პერიოდში გვერდით ედგა პროფესურას და ბევრი უნივერსიტეტელის ოჯახი გადაარჩინა ფიზიკურად განადგურებას.

ნიშანდობლივია ისიც, რომ 2003 წლის დეკემბერში, საპრეზიდენტო არჩევნების წინ **მ. სააკაშვილი** ამ პერიოდს ასე ახასიათებდა: „ის, რაც უნივერსიტეტის პროფესურამ ათი წლის მანძილზე შეძლო, როცა არც ხელფასი და არც თანადგომა გქონდათ, მაგრამ ეს საიმედო განათლების კერა არ ჩააქრეთ, ნამდვილი გმირობაა. **როინ მეტრეველმა** უნივერსიტეტი დიდი მცდელობით იმ მძიმე წლებში გამოატარა და მიუხედავად ხელისუფლების მოთხოვნისა, რომ თანამშრომელთა კონტინგენტი შემცირებულიყო, რექტორს არცერთი პედაგოგი არ დაუთხოვია, პირიქით, მათთვის საარსებო სახსარს პოულობდა და ჩვენ ვიზრუნებთ, რომ არცერთი თქვენგანი უნივერსიტეტიდან არ წავიდეს“ [5].

როგორც შემდეგში გაირკვა, ეს იყო სიცრუე და უმადურობა, მითუმეტეს 24 ნოემბერს უნივერსიტეტში შეჭრილმა „კმარას“ რაზმელებმა **რ. მეტრეველის** გადადგომა მოითხო-

ვეს. საინტერესო უნდა იყოს ის ფაქტი, რომ **რ. მეტრეველი** იყო პირველი რექტორი, **ივანე ჯავახიშვილის** რექტორობის შემდეგ, ვინც, 1992 წლის 22 აპრილს, დიდი საბჭოს მიერ არჩეულ იქნა რექტორად. იგი შემდეგ კიდევ ორჯერ – 1996 და 2002 წლებში არჩევით მოვიდა რექტორის თანამდებობაზე და მისი რექტორობის პერიოდში ბევრი სასარგებლო გაკეთდა უნივერსიტეტის ცხოვრებაში, მითუმეტეს მას საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ურთულეს მონაკვეთში მოუწია უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა.

უკვე **რ. მეტრეველის** უნივერსიტეტის რექტორობიდან ვადაზე ადრე გათავისუფლების შემდეგ, უნივერსიტეტმა მთლიანად დაკარგა ავტონომიურობა. 2005 წლის 8 ივნისს, **მ. სააკაშვილის** ბრძანებულების გამოქვეყნების შემდეგ მოხდა უნივერსიტეტის წესდების გაუქმება, თუმცა მისი გაუქმება შეეძლო მხოლოდ იმ თვითმმართველ ორგანოს, რომელმაც ის მიიღო. მოგვიანებით, უნივერსიტეტის რბევის ძირითადი ნაწილის განხორციელების შემდეგ, **მ. სააკაშვილის**, 2010 წლის 9 ივლისის ბრძანებულებით, „სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების რეორგანიზაციის შესახებ“, ფაქტობრივად, დასრულდა ხელისუფლების მიერ განათლებისა და მეცნიერების განადგურების პროცესი.

ამ კონტექსტში მეცნიერები საგანგებოდ გამოყოფდნენ მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობის, კერძოდ, **თამაზ გამყრელიძის** არასწორ პოზიციას და მიიჩნევდნენ, რომ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის თანხმობის გარეშე **მ. სააკაშვილის**

რეჟიმი ვერ შეძლებდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების გაყიდვას.

„მე არ მესმის იმ მეცნიერების, რომლებმაც პირადი ინტერესების გამო, არა თუ ხმა არ აიმაღლეს ამ ბარბაროსობის წინააღმდეგ, არამედ პირიქით – **საკაპშვილმა** მათი უშუალო დახმარებით მოახერხა ქართული მეცნიერების და უმაღლესი განათლების გაცემტვერება“ – აღნიშნავდა ამის გამო სამართლის პროფესორი **მ. ცაცანაშვილი** [6].

ცხადია, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი არ ურიგდებოდა უკანონობას. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ რექტორატსა და პროფესურას შორის დაპირისპირება ზოგჯერ ცალკეული პოლიტიკური ძალების მიერ იყო ინსპირირებული, რომლებიც ძალიან ცუდ როლს თამაშობდნენ კონფლიქტის გაღვივებაში და ამწვავებდნენ შიგა საუნივერსიტეტო პროცესებს.

სხვა მხრივ „ნაციონალური მოძრაობა“ ყველა საშუალებებით ცდილობდა შეენარჩუნებინა თავისი გავლენა უნივერსიტეტში. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აქტიურობდა „ნაციონალური მოძრაობის“ **გ. თევზაძის** „სახელობის გუნდი“, რომელმაც ილიას სახელობის უნივერსიტეტში თავისი „აკადემიური საბჭოები“ შექმნა.

მისი პროექტი იყო, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის შეცვლა, არამომგებიანი, არაკომერციული ორგანიზაციის სტატუსით. ფაქტობრივად, **გ. თევზაძემ**, **ს. რატიანმა** და სხვებმა აიძულეს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური ხელი მოეწერა სამთავრობო გადაწყვეტილებაზე, რითაც **ილია ჭავჭავაძის** სახელობის უნივერსიტეტის დამფუძ-

ნებელ სახელმწიფოსთან ერთად, თანაბარ წილში მოგვევლინა არაკომერციული, არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელიც სწორედ **გ. თევზაძის** გუნდის დაფუძნებული აღმოჩნდა. პრაქტიკულად, ამით განხორციელდა ილიას უნივერსიტეტის ფარული „პრივატიზაცია“. ცხადია, ასეთ ვითარებაში **გ. თევზაძე** და მისი რაზმელები ირწმუნებოდნენ, რომ ისევ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსებზე გადასვლა უნივერსიტეტის დამოუკიდებლობას შელახავდა.

ცნობილია, რომ უნივერსიტეტი კანონით ყოველთვის ავტონომიური იყო, მაგრამ მისი რეალურად ამუშავება, ყოველთვის ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზე იყო დამოკიდებული. სწორედ ამ ნებამ გადაწყვიტა სამეცნიერო ხარისხის არმქონე, დილით, ჯერ კიდევ ჯანდაცვის მინისტრის სავარძელში მყოფ **ა. კვიციანიშვილს**, სადამოს უნივერსიტეტის რექტორის მანტია მოესხა, თუმცა, ის არ იყო პიროვნულად დამოუკიდებელი პიროვნება და არც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა საზოგადოებაში.

„ნაციონალური მოძრაობა“ უნივერსიტეტის რექტორად ნიშნავდა აკადემიური ხარისხის არმქონე პიროვნებას, რის გამოც შეიტანეს ცვლილებები კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“ და უნივერსიტეტს კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსიც მიანიჭეს. პარალელურად დოქტორანტი-სტუდენტი **ა. ბარნოვი** ფაკულტეტის ერთ-ერთი დეკანიც გახდა.

ახალი რექტორი „წარმატებით“ განაგრძობდა **გ. ხუბუას** ხაზს, სასწავლო, ორგანიზაციული, სამეცნიერო

თუ სხვა მიმართულებით. ამრიგად, უნივერსიტეტში 2004 წლიდან 2012 წლამდე, სისტემატურად ხდებოდა კანონდარღვევები. არსებობდა, არა მარტო პროფესორ-მასწავლებლების განცხადებები, არამედ ოფიციალური ორგანოების მიერ გაკეთებული, მათ შორის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 200-გვერდიანი დასკვნა უნივერსიტეტში შრომის კანონმდებლობის დარღვევის შესახებ. კანონდარღვევით ხორციელდებოდა ფინანსების ხარჯვაც, რომელიც მილიონს აღწევდა. დაიკარგა უნივერსიტეტის კუთვნილი ლაბორატორიული აღჭურვილობა და 5 კილოგრამამდე პლატინაც კი [7].

მიუხედავად ამისა, სახელმწიფო ორგანოები ამ ფაქტებზე რეაგირებას არ ხდენდნენ. ახალი ხელისუფლების მიერ შემოთავაზებულ რეფორმებს ახორციელებდა იგივე ხალხი, რომლებსაც უკანონობა ჰქონდათ ჩადენილი, ანუ როგორც სამართალმცოდნე **ალექსანდრე ჩხიტაური** შენიშნავდა, ვინც საგანმანათლებლო სისტემა და უნივერსიტეტი დაანგრია, ისევ ის გვევლინებოდა რეფორმატორად [8].

სამწუხაროდ, ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სივრცეში მკვიდრდებოდა ტენდენცია, რომ თანამდებობის პირს შეეძლო უკანონობა ეკეთებინა, შემდეგ ოპოზიციონერის მანტია მოესხა და სიმართლე ეთქვა. შესაბამისად, საზოგადოება მისდამი მიმტევებლობას იჩენდა და ყოფილ დამნაშავეს შესაძლებლობა ეძლეოდა ახალი ფურცლიდან დაეწყო თავისი საქმიანობა.

სწორედ ასე აღიქმებოდა საზოგადოებრივ აზრში, უნივერსიტეტის ყოფილი რექტორის **გ. ხუბუას** ქმედებები. მან 2010 წელს ვერ დააკმაყო-

ფილა აკადემიური კონკურსის შესარჩევი პირობები და მაშინდელმა იურიდიულმა ფაკულტეტმა იგი არ აირჩია პროფესორად, აკადემიური საბჭოს თანხმობით, **გ. ხუბუა** კვლავ დაბრუნდა უნივერსიტეტში პროფესორად და დიდი ზარზემით ჩაიბარა სახელმძღვანელოდ, უნივერსიტეტის ერთ-ერთი პრესტიჟული ცენტრი.

ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ უკვე ახალი ხელისუფლების პირობებში, **გ. ხუბუამ** თავი წარმოაჩინა „ნაციონალური მოძრაობისაგან“ დაჩაგრულ მოღვაწედ, ხოლო მის მხარდასაჭერად გამოვიდა უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ყოფილი უფროსი, ამჟამად „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ დირექტორი, **ალეკო ცქიტიშვილი**, რომელიც ერთ-ერთ ინტერვიუში აცხადებდა, რომ **გ. ხუბუას** უპირისპირდებოდნენ წარსულში პრივილეგირებული ლექტორები, უნივერსიტეტის კათედრების ყოფილი ხელმძღვანელები [9].

**გ. ხუბუას, ა. ცქიტიშვილის** და მათი თანამოაზრეების აღნიშნული პოზიცია კვლავ ხდებოდა უნივერსიტეტის ყოფილი და ამჟამინდელი პროფესორების მკაცრი განსჯის საგანი. 2013 წლის 24 ივნისს, გაზეთში „მთელი კვირა“, დაიბეჭდა პროფესორების: **ა. დავითულიანის, გ. გოგოლაშვილის, ა. არაბულის, გ. მახარაძის, ჯ. მებონიას და გ. ქავთარიას** გამოხმაურება, სათაურით „დანგრეული უნივერსიტეტი და გაყიდული სინდისი“ [10].

2011 წლისათვის ისიც გამოიკვეთა, რომ ქვეყანაში არსებული რეჟიმის ნეგატიურმა საცეცხმა ღრმად შეაღწია საუნივერსიტეტო სიღრმეში.

სტუდენტთა ერთი ნაწილი სწავლის ხარისხით იყო უკმაყოფილო. სხვა ნაწილი ქართულენოვანი ლიტერატურის უქონლობას უჩიოდა, კიდევ სხვა ჯგუფი ეწინააღმდეგებოდა ადმინისტრაციისა და თვითმმართველობის დიქტატს.

განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენდნენ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები, რომლებიც 800 ხელმოწერით აფიქსირებდნენ მოსაზრებას, რომ განათლების შესახებ კანონის მიხედვით, უმაღლეს სასწავლებელში სწავლების ენა იყო ქართული, ხოლო ინგლისურენოვანი მასალების მიწოდებით მათი უფლებები ირღვეოდა. მართალია, წიგნების თარგმნისთვის იყოფოდა გარკვეული თანხები, მაგრამ სატენდერო სისტემის შემოღება ზღუდავდა წიგნების შეძენას.

ზოგადად, უნივერსიტეტში აშკარად იგრძნობოდა სტუდენტთა თვითმმართველობის სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება კრიტიკულად მოაზროვნე სტუდენტების მიმართ „თვითმმართველობასა და სტუდენტებს შორის ხშირად არის იდეოლოგიური დაპირისპირება, რომელსაც ცემით აგვარებდნენ“ – აცხადებდა სტუდენტი ევა კუტუბიძე [11].

სტუდენტებსა და სტუდენტურ თვითმმართველობას შორის დაპირისპირება უნივერსიტეტში წინა წლებშიც შეინიშნებოდა. 2007 წელს, სტუდენტთა ნაწილმა სტუდენტური თვითმმართველობის საწინააღმდეგოდ მოძრაობა „ახალგაზრდული“ ჩამოაყალიბა, ხოლო მათ შორის კამათი, 2007 წლის ოქტომბერში, ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა, რაც მოგვიანებით სახალხო დამ-

ცველის ანგარიშშიც აისახა ქვესათაურით: „პოლიტიკური დევნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“. საქმე ის იყო, რომ ცემაში დადანაშაულებული, უნივერსიტეტის თვითმმართველობის პირველი პრეზიდენტი, **გიორგი ავალიანი**, სტუდენტური თვითმმართველობის ხელმძღვანელობისას, პრეზიდენტობის კანდიდატ **მ. სააკაშვილის** მხარდამჭერ ახალგაზრდულ შტაბს ედგა სათავეში. მოგვიანებით ის შიდა ქართლის გუბერნატორის **ლადო ვარძელაშვილის** მოადგილედ გაამწესეს, შემდეგ კი ახლადშექმნილი სამინისტროს, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრის მოადგილე გახდა. იმავე სამინისტროში წამყვან თანამდებობებზე მუშაობდნენ სტუდენტური თვითმმართველობის ყოფილი წევრები: **ირაკლი მეგრელიშვილი** და **სალომე ბენიძე**. თვითმმართველობის მეორე პრეზიდენტი **გიორგი შამათავა** პრეზიდენტ **მ. სააკაშვილის** ადმინისტრაციის თანამშრომელი გახდა. **თორნიკე ხუციშვილი** ხელმძღვანელობდა თბილისის მერიის ახალგაზრდულ სამსახურს. მერიის მთავარი სპეციალისტები გახდნენ თვითმმართველობის ყოფილი წევრები: **გიორგი სალინაძე** და **აკაკი სტურუაც** [11].

უნივერსიტეტში არსებული თვითმმართველობები საკმაო ანაზღაურებას იღებდნენ უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან. ამ მიზნით 2008 წელს, მათ 239 ათასზე მათი ლარი გამოეყო. 2009 წელს – 237 ათასი; 2010 წელს – ნახევარი მილიონი ლარი, ხოლო 2011 წელს მათი ბიუჯეტი 720 ათას ლარამდე გაიზარდა [11].

ცხადია, დაისოდა კითხვა: რაში ხარჯავდა თვითმმართველობა ფულს,

რომელსაც სტუდენტები ხარისხიანი განათლების მიღებაში იხდიდნენ?

როგორც ირკვეოდა, სტუდენტური თვითმმართველობა უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხებს ახმარდა სიყვარულის დღისადმი მიძღვნილ კონცერტებს, ექსკურსიებს, სხვადასხვა სპორტული ინვენტარის შესყიდვას. თანხები იხარჯებოდა სასტამბო, საგამომცემლო და პოლიგრაფიული მომსახურების სპორტული ღონისძიებების, გაცვლითი პროგრამების, საერთაშორისო ფორუმების, სტუდენტების მივლინებების და სხვა ღონისძიებებისათვის. 2011 წლის დადგომის აღსანიშნავად, სტუდენტურ თვითმმართველობას კლუბ „ტრიუმფში“ მხოლოდ ერთი საახალწლო ღონისძიება 33 ათასი ლარი დაუჯდა [11].

ყოველივე ეს სტუდენტების ნაწილის უკმაყოფილებას იწვევდა. ბევრი მათგანი ვერ იღებდა დახმარებას თვითმმართველობისაგან. ცოტა თანხა იხარჯებოდა გაცვლით პროგრამებზეც. მაგრამ ყველაზე დიდი პრობლემა უნივერსიტეტში სწავლების დაბალი ხარისხი იყო. პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები სწავლის ხარისხთან დაკავშირებით ოთხ ძირითად პრობლემას გამოყოფდნენ:

1. კვლევების სიმწირე;
2. არასაკმარისი გაცვლითი პროგრამები;
3. ინგლისური ენის სწავლების დაბალი ხარისხი;
4. სასწავლო პროგრამების არასაკმარისი ხარისხი.

ისინი მიიჩნევდნენ, რომ უნივერსიტეტში თანამედროვე კვლევა არ მიმდინარეობდა და სტუდენტებს დაახლოებით 10 წლის წინანდელის

სწავლა უწევდათ; 2011 წლისათვის უნივერსიტეტის ბიუჯეტი თითქმის 48 მილიონი ლარი იყო, სტუდენტების გაცვლით პროგრამებსა და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისათვის კი, სხვადასხვა ფაკულტეტზე საერთოდ მხოლოდ 85 ათასი ლარი იყო გამოყოფილი. დაბალი იყო ინგლისური ენის სწავლების ხარისხი, თავის მოვალეობას თავს ვერ ართმევდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. უნივერსიტეტში არსებული ვითარების მკვეთრი კრიტიკით გამოირჩეოდნენ პროფესორები: **მარინე ჩიტაშვილი**, **ნინო ჯავახიშვილი**; სტუდენტები: **ანანო ქირია**, **გიო ნამჩევამე**, **ნინო ოქროპირიძე**, **თათია მურვანიძე**, **თამარ კაპანაძე**, **დიმიტრი ხუსკივაძე**, **გიორგი ჩინჩალაძე**, **დავით შუბლაძე**, **ბექა გაბადაძე**, **ლაშა ქავთარაძე**, **გიორგი გოგუა**, **ეკა კუტუბიძე** და სხვები.

**მარინე ჩიტაშვილი** ფიქრობდა, რომ პრობლემა უნივერსიტეტის არაეფექტურ მართვაში იყო და, უცხოეთისაგან განსხვავებით, საქართველოში ადმინისტრაცია პროფესორებსა და სტუდენტებს მხოლოდ ცხოვრებას ურთულებდა.

„უნივერსიტეტები, ფაქტობრივად, წარმოადგენენ სახელმწიფო დაწესებულებებს, არიან მკაცრი კონტროლის ქვეშ და მათ არა აქვთ თავისუფალი სივრცე, რომელიც უნივერსიტეტის ფუნქციონირებისათვის არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი“ – აცხადებდა **მ. ჩიტაშვილი** [11].

2012 წლის შემოდგომისათვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილი საგანგებო ვითარების გამო, მეცნიერთა ერთი ჯგუფი მიმართვას უგზავნიდა საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული კოა-



ლიცია „ქართული ოცნების“ ლიდერს, საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს, **ბიძინა ივანიშვილს**, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ რევოლუციის გზით მოსული ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული განათლების რეფორმა, მიუღებელი აღმოჩნდა უნივერსიტეტისათვის. ამიტომ **მ. სააკაშვილის** ხელისუფლებამ გადაწყვიტა დაუნდობელი ზრძოლა გამოეცხადებინა უნივერსიტეტისათვის.

ავტორები მიმართვისა, რომელსაც ხელს აწერდნენ უნივერსიტეტის ცნობილი პროფესორები: **მარიამ ცაცანაშვილი, ავთანდილ არაბული, გიორგი გოგოლაშვილი, გიორგი მახარაძე, გიორგი ტატიშვილი, გრანი ქავთარია, იოსებ ჭუმბურიძე**, შენიშნავენ, რომ შემცირებაში მოჰყვა პროფესორ-მასწავლებელთა 82%, მოხდა სამეცნიერო სექტორის სრული ლიკვიდაცია, უმუშევარი დარჩა 800 მეცნიერ-მუშაკი; დაინგრა უმნიშვნელოვანესი ლაბორატორიები და სამეცნიერო კაბინეტები; გაქრა ტრადიციული დარგები, სპეციალობები, საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე სამეცნიერო სკოლები.

მეცნიერები ყურადღებას ამახვილებდნენ უნივერსიტეტში დაბუდებულ არაპროფესიონალიზმზე, უკანონობასა და უსამართლობაზე და აცხადებდნენ, რომ ხელისუფლებისადმი ერთგულება გახდა, აკადემიურ კონკურსებში გამარჯვებისა და ადმინისტრაციულ თუ აკადემიურ თანამდებობებზე თანამშრომელთა დანიშვნის მთავარი პირობა.

მიმართვაში ხაზი ესმებოდა სერიოზულ ხარვეზებს სასწავლო პროცესში, რაც აისახებოდა კიდევაც სტუდენტების გამოსვლებში და სოციოლო-

გიურ კვლევებშიც. უნივერსიტეტის პროფესორები იმედოვნებდნენ, რომ არჩევნების შედეგად მოსული ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ადადგენდა მის ტრადიციულ სახეს, როლსა და მნიშვნელობას და ამ მიზნით, ხელისუფლებას სთავაზობდნენ შეექმნათ უნივერსიტეტის დროებითი მმართველობა, რომელიც დეტალურად შეისწავლიდა და ობიექტურად შეაფასებდა არსებულ ვითარებას; შეიმუშავებდა უნივერსიტეტის გადარჩენისა და განვითარების გზებს; მოამზადებდა საფუძველს უნივერსიტეტის რეალური ავტონომიის მოსაპოვებლად [12].

2013 წლის თებერვალში „ქართული აკადემიის“, „საუნივერსიტეტო დარბაზის“ „სოლიდარობა განათლებული საქართველოსთვის“ და „უნივერსიტეტელის“ სახელით გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა მიმართვა საქართველოს პრემიერ-მინისტრის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარის მისამართით, რომელშიც 6 პუნქტად იყო გაანალიზებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გარშემო, წლების განმავლობაში განვითარებული პროცესები და მიმდინარე პერიოდში შექმნილი ვითარება.

მიმართვის ავტორები კვლავ ახსენებდნენ ხელისუფლებას, რომ 2002 წელს დაწყებულმა, უნივერსიტეტის წინააღმდეგ მიზანმიმართულმა ზრძოლამ კონკრეტული ხასიათი მიიღო 2004 წლიდან, როდესაც, 27 სექტემბერს, უნივერსიტეტის დიდი საბ-

ქოს მიერ დაწუნებულ იქნა „უმაღლესი განათლების შესახებ“ გამოქვეყნებული კანონპროექტი, 28 სექტემბერს კი, ამას მოჰყვა **მ. სააკაშვილის** რისხვის გამოვლინება და უნივერსიტეტის კოლექტივის „წითელ პროფესორებად“, „კორუმპირებულებად“ და „უსინდისობად“ მოხსენიება.

აღნიშნულის გაგრძელებას წარმოადგენდა განათლების მინისტრ **კ. ლომიას** ბოლშევიკური დაქადნება: „ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ნაჯახით ამოვიპირკვავთ“. ხოლო შემდეგ უნივერსიტეტის რექტორის **რ. მეტრეველის** შეცვლა ახალი რექტორით – **რ. ლორთქიფანიძით**.

მიმართვის ავტორებს, გარკვეული ეჭვი უჩნდებათ უნივერსიტეტის მომავალ, სასიკეთო პერსპექტივაზე, ამიტომ კანონიერებისა და სამართლიანობის აღდგენის და უნივერსიტეტისათვის ღირსებისა და ფუნქციის დაბრუნების მიზნით, საჭიროდ მიიჩნეოდა, შეექმნათ კომპეტენტური კომპლექსური კომისია, რომელიც შეისწავლიდა, 2004-2012 წლებში, უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებს, არსებულ ადმინისტრაციულ, ფინანსურ და სხვა კანონდარღვევებს და მოახდენდა პოლიტიკურ და სამართლებრივ შეფასებას, დაისმებოდა ყველა დამნაშავეს სამართლებრივი თუ მორალური პასუხისმგებლობის საკითხი.

მიმართვის ხელმძღვრები უნივერსიტეტის ტრადიციული სახის და მნიშვნელობის აღსადგენად, მიზანშეწონილად თვლიდნენ გარდამავალი პერიოდის დაწესებას და დროებითი მმართველობის შექმნას, რომელიც მოამზადებდა საფუძვლებს უნივერსიტეტის რეალური ავტონომიის დასამკვიდრებლად [13].

2013 წლის 4 მარტს, უნივერსიტეტში მოწყობილ აქცია-ბრიფინგზე, რომელიც თავისუფალ სტუდენტთა კავშირის ინიციატივით მიმდინარეობდა, კვლავ გაცხადდა, რომ უნივერსიტეტი პოლიტიკური ანგარიშსწორებისა და პრივილეგიების მინიჭების ადგილად იქცა, ამიტომ სტუდენტები ითხოვდნენ რექტორის **ა. კვიციანი**ს თანამდებობიდან გადადგომას. ისინი ამხელდნენ თვითმმართველობის იმ აქტივისტებს, რომლებიც უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში თანამდებობებს იკავებდნენ, ადრე კი „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებად იყვნენ ცნობილი [14].

პარალელურად, პრესა იმასაც ახმოვანებდა, რომ საქართველოში ჩამოყალიბებული იყო არასამთავრობო ორგანიზაცია „ელიტარული კლუბი“, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: **გიგი თევზაძე, ალექსანრე კვიციანი, კახა ბენდუქიძე, გია ნოდია, სერგო რატიანი** და სხვები. მიუხედავად იმისა, რომ მათ შორისაც არსებობდა გარკვეული უთანხმოებები, ისინი ერთმანეთში „ზავდებოდნენ“ და **მ. სააკაშვილისა** და **გ. უგულავას** ორბიტაზე იწყებდნენ აქტიურ მოქმედებას, რაც ითვალისწინებდა **მ. სააკაშვილის** პრეზიდენტობის, 2013 წლის ოქტომბრამდე, შენარჩუნებას, „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერი პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების გამოყვანას, აპრილისათვის, საგანგებოდ დაანონსებულ აქციაზე და **ბ. ივანიშვილის** წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი მოძრაობის დაწყებას.

„ელიტარული კლუბი“ აპირებდა აპრილში დაგეგმილ აქციაზე გამოეყვანა ილიას, თბილისის და თავისუ-

ფალი უნივერსიტეტების სტუდენტები. წინ იწეოდა **ბ. ივანიშვილის** პიროვნული და პოლიტიკური წარმომავლობის გაშიფვრისა და მოქალაქეობის თემა. მიდიოდა მსჯელობა იმის შესახებაც, როგორ შეეძლო **მ. სააკაშვილს** დაეთხოვა მთავრობაც.

„ელიტარულ კლუბში“ მიიჩნევდნენ, რომ **გ. დვალის**, განათლებისა და მეცნიერების რეფორმის კონცეფცია შეესაბამებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკურ-იდეოლოგიურ შეხედულებებს. ამ კონცეფციაში კი ხაზგასმული იყო რამდენიმე მიმართულების აუცილებლობა: 1. პროფესორთა საბჭოს – უმაღლესი ორგანოს ჩამოყალიბება ყველა უმაღლეს სასწავლებელში; 2. ადმინისტრაციული რესურსების ფორმირება, რომელშიც მთავარი ფიგურა იქნებოდა, აკადემიურ საბჭოს ჩამოცილებული, სამეცნიერო ხარისხის უქონელი რექტორი; 3. მსოფლიოში ცნობილი ქართველი მეცნიერების შემადგენლობით, უნივერსიტეტების 2-3 წელიწადში გამაკონტროლებელი ორგანოს შექმნა.

**გ. დვალის** საგანმანათლებლო ხედვა, ბევრ კითხვას აჩენდა ქართველ მეცნიერებშიც, თუმცა ცნობილი იყო, რომ კომისია მთავარ მიზნად ისახავდა ერთიანი სააზროვნო სივრცის შექმნას და მეცნიერების მხარდაჭერასაც, მაგრამ აკადემიკოსი **ლ. პაპავა**, კომისიის კონტექსტში, გამოყოფდა საკითხთა ოთხ წყებას: ფორმალურს, შინაარსობრივს, ზნეობრივს და ორგანიზაციულს და აფიქსირებდა, რომ კომისიის შესახებ არ არსებობდა არანაირი, სამართლებრივად გაჯერებული ნორმატიული აქტი, შესაბამისად, არ არსებობდა სამართლებრივი სტატუსიც და, ცხა-

დია, პასუხისმგებლობაც. ასეთ შემთხვევაში კი გაუგებარ უმოქმედობას იჩენდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და განათლებისა და მეცნიერების საპარლამენტო კომიტეტიც [15].

როგორც ირკვეოდა „ელიტარული კლუბის“ წიაღში იყო წარმომოხილი სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსიდან, კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსზე გადაყვანაც. ამ სტატუსის მქონე უნივერსიტეტები, ფაქტობრივად, რეგენტთა საბჭოს დაქვემდებარებაში გადადიოდა, რომელშიც მთავარ ფიგურას წარმოადგენდნენ სხვადასხვა სამინისტროს მინისტრის მოადგილეები, რომელთა მემკვიდრით სახელმწიფო ცდილობდა გაეკონტროლებინა უნივერსიტეტები, მითუმეტეს, უნივერსიტეტის კანცლერს რეგენტთა საბჭო ნიშნავდა, რაც, ცხადაა, აკნინებდა უმაღლესი სასწავლებლის ავტონომიურობის ხარისხს.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე უმაღლეს სასწავლებელში, აკადემიურ დამოუკიდებლობას, აკადემიკური საბჭო საზღვრავდა, ფინანსურ კონტროლს, 2 წელიწადში ერთხელ ახორციელებდა სახელმწიფო კონტროლის პალატა, ხოლო განათლების პოლიტიკას განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საზღვრავდა. ისევ ძველი სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, სახელმწიფო უფლებას იტოვებდა მთლიანად შეეცვალა ადმინისტრაცია და, მათ შორის, რექტორიც.

სწორედ ეს გახდა მიუღებელი ილიასა და თბილისის უნივერსიტეტის ხელმძღვანელებისათვის, რომლებიც პროტესტით შეხვდნენ უმაღ-

ლესი სასწავლებლების ისევ სახელმწიფოს ხელში მოქცევას. ამ კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ირგვლივ განვითარებული პროცესებიც, როდესაც უნივერსიტეტის რექტორმა **ა. კვიციანი** იგნორირება მოახდინა ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებაზე ფსიქოლოგიის მიმართულების, სრული პროფესორის **რევაზ ჯორბენაძის** დეკანად არჩევის შესახებ და „ნაციონალური მოძრაობის“ დაკვეთით დეკანის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნა საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე **სერგი კაპანაძე**, ხოლო უფრო ადრე დეკანის მოვალეობის შემსრულებლად გამწესებული ჰყავდა. თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე სტუდენტი – დოქტორანტი **ანდრო ბარნოვი**.

განათლების კანონში მომხდარი აღნიშნული სახეცვლილებების გამო უნივერსიტეტის რექტორმა დაწერა განცხადება თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ, რომელიც დააკმაყოფილა აკადემიურმა საბჭომ, თუმცა იმავე ორგანომ **ა. კვიციანი** უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნა. ეს გადაწყვეტილება მიუღებელი აღმოჩნდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის **გიორგი მარგველაშვილისათვის**, რომლის აზრით, უმაღლესი სასწავლებელი არ შეიძლებოდა ემართა სამეცნიერო ხარისხის არქმონე ადამიანს, რომელიც მხოლოდ დიპლომირებული სპეციალისტი იყო და შორს იდა მეცნიერებისაგან. პრეზიდენტი ფიქრობდა, რომ **ა. კვიციანის** გადადგომის შემდეგ უკან გამოდგომა, მხოლოდ პროცესის პოლიტიზაციას ემსახურებოდა [16].

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივის შეტანამდე სამი თვის განმავლობაში, რექტორები განიხილავდნენ ამ ინიციატივას და მხარს უჭერდნენ მოსაზრებას, რომ უნივერსიტეტი უნდა ემართა პროფესორს და არა დიპლომირებულ სპეციალისტს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კვლავ ხდებოდა ვნებათაღელვის ეპიცენტრი. ახალი საკანონმდებლო რეგულაციით, სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში, რექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის პრეროგატივა პრემიერს ენიჭებოდა, მაგრამ ამ რეგულაციის ძალაში შესვლას უნივერსიტეტის რექტორი წინ უსწრებდა და მოულოდნელად, თავად ხდებოდა რექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

ცხადია, ამკარად ტენდენციური და „ნაციონალური მოძრაობის“ იდეოლოგიისა და პრაქტიკის გამტარებელი იყო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოც, მითუმეტეს პროკურატურა ადგენდა, რომ უნივერსიტეტში ყველა არჩევნები, პროცედურული დარღვევებით ტარდებოდა.

თავის გადაწყვეტილებას **ა. კვიციანი** უნივერსიტეტისათვის ავტონომიის შენარჩუნების მოტივით ამართლებდა. მისი აზრით, რექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნა მთავრობის ხელმძღვანელის მიერ იყო უხეში ჩარევა უნივერსიტეტის ავტონომიაში. თუმცა ყოფილი რექტორი ივიწყებდა, რომ პრემიერი უნივერსიტეტის ხელმძღვანელს მხოლოდ საარჩევნოდ, გარდამავალ პერიოდში ნიშნავდა, და რექტორი აკადემიურ საბჭოს უნდა აერჩია.

უნივერსიტეტში შექმნილი ვითარება ხდებოდა „ქართული აკადემი-

ის“ ერთ-ერთი ლიდერის, პროფესორ **თემურ ნანეიშვილის** განსჯის საგანიც, რომელიც უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მხრიდან გამოჩენილ ქმედებებს პოლიტიკურ საბოტაჟად აფასებდა [17].

უნივერსიტეტში განვითარებულ მოვლენებს სტუდენტებიც ეხმაურებოდნენ. სტუდენტური ორგანიზაციის – „სტუდენტები აკადემიური თავისუფლებისათვის“ – წევრები ყოფილ ხელისუფლებას განსხვავებული აზრის დევნაში ადანაშაულებდნენ, მათი აზრით, აკადემიური საბჭოები და ადმინისტრაცია დღემდე დაკომპლექტებული იყო „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ ლოიალურად განწყობილი ადამიანებით, მაშინ, როდესაც არაერთი პროფესორი იყო განდევნილი განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო.

სტუდენტები იმედოვნებდნენ, რომ უნივერსიტეტში რეალური რეფორმა განხორციელდებოდა და მხარს უჭერდნენ ე.წ. „ტენუარის სისტემის“ დანერგვას, რაც პროფესორების, გარე რეფერირების წესით, თავისუფალ გარემოში შერჩევას და დანიშნვას გულისხმობდა.

უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესები იყო პროფესორ **თამარ კიკნაძის** განსჯის საგანიც. მისი აზრით, აქ არსებობდა ფორმალური ავტონომია. ხელმძღვანელ თანამდებობაზე ინიშნებოდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ ერთგული ადამიანები, რომლებიც მისთვის სასურველ პოლიტიკას ახორციელებდნენ. „ნამდვილად სასაცილოა, როდესაც **კახა ბენდუქიძე, გიგი თევზაძე, გაია ნოღია** და „ნაციონალების“ სხვა აპოლოგეტები უნივერსიტეტის ავტონომიასა და პოლიტიკურობაზე ლაპარაკობენ

და საპროტესტო აქციებს აწყობენ“ – შენიშნავდა **თ. კიკნაძე** [18].

ასეთ ვითარებაში, 2013 წლის აგვისტოში, გაიმართა უნივერსიტეტის რექტორის ასარჩევი კონკურსი, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 14 კანდიდატი – **ვლადიმერ პაპავა, გიორგი ქავთარაძე, გიორგი ბარამიძე, ილია თავხელიძე, ცირა ბარამიძე, მერაბ ცაგარელი, ირმა რატიანი, მედეა ჩუხუა, მარინე ჩიტაშვილი, ინესა მერაბიშვილი, ნონა წოწერია, დავით გოცირიძე.**

რექტორობის კანდიდატები თავიანთ კონცეფციებში გამოყოფდნენ აკადემიური თავისუფლების, მიუკერძოებლობისა და ხარისხის, ტენუარის სისტემის შემოღების, სამართლიანობის აღდგენის, ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ინტერესების შეხამების, საფინანსო პრობლემების, „უნივერსიტეტელობის“, მუდმივი პროფესორის იდეის მხარდაჭერის, შიგა საუნივერსიტეტო გრანტების შემოღების, ევროპული საგანმანათლებლო სივრცის წევრობის, ეროვნული სამეცნიერო ტრადიციების აღდგენისა და დამკვიდრების, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განსაკუთრებული როლის, ცნების – სტუდენტ-პედაგოგი-მკვლევარი – დაყრდნობის, ორგანიზაციული სრულყოფის, სწავლებისა და კვლევის ინტეგრაციის ხარისხის უზრუნველყოფის, ერთიანი სამეცნიერო სივრცის შექმნის, მენეჯმენტის ბრიტანული გამოცდილების გაზიარების, უნივერსიტეტის „ბრძნული“ მართვის, აკადემიური, სამეცნიერო-ორგანიზაციული, საკადრო და ფინანსურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის და სხვა პრიორიტეტებს.

რექტორობის კონკურსში აკადემიკოსმა ლადო პაპავამ გაიმარჯვა, რომელიც აცხადებდა, რომ განხორციელებოდა ცვლილებები, მაგრამ ეს არ იქნებოდა მხოლოდ ცვლილებები ცვლილებებისათვის და რექტორი გახდებოდა უნივერსიტეტის ავტონომიის მთავარი გარანტი; არ მიიღებდა მონაწილეობას არცერთ ე.წ. პოლიტიკურ თამაშში, ექნებოდა მჭიდრო კონტაქტები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტთან, თუმცა არ შეასრულებდა რომელიმე ამა თუ იმ ძალის პოლიტიკურ დაკვეთებს. მაგალითად, რექტორი, ინტერვიუს მიცემაზე უარს ეუბნებოდა ერთ-ერთ პოპულარულ პარტიულ გაზეთს, თუმცა არ აზუსტებდა მის დასახელებას [19].

**ლ. პაპავას** აზრით, უნივერსიტეტის ცხოვრებაში სტუდენტური თვითმმართველობა ყოველთვის აღიქმებოდა ხელისუფლების ახალგაზრდულ დასაყრდენად, მაგრამ მისი რექტორობის პერიოდში, ის ხელისუფლების არანაირი დასაყრდენი არ იქნებოდა, რადგან საზოგადოდ, ასეთი რამ დამანგრეველი იყო უნივერსიტეტისათვის. რექტორი იმასაც ირწმუნებოდა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სტუდენტურ თვითმმართველობასთან, ახალ კანონზე მუშაობდა და შესაძლო იყო ამ კანონს თვისობრივად შეეცვალა ახალგაზრდული სტუდენტური გაერთიანების შექმნის წესი და როლი უნივერსიტეტში.

ახალი რექტორის არჩევის შემდეგაც, უნივერსიტეტში შექმნილი ვითარება, კვლავ ხდებოდა ყოფილი თუ ახლანდელი პროფესორ-მასწავ-

ლებლების განსჯის საგანი. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ძველი მსოფლიოს ისტორიის კათედრის ყოფილი გამგე **გრანი ქავთარია**, რექტორის **ლადო პაპავასადმი** გაგზავნილ წერილში წუხდა, რომ უნივერსიტეტიდან ძალით განდევნილების წინ, დღესაც ნაცისტური კედელი იყო აღმართული. ახალი ხელისუფლება მოვიდა. ფართოდ მსჯელობდნენ სამართლიანობის აღდგენაზე, მაგრამ მდგომარეობა უცვლელი რჩებოდა – აღნიშნავდა **გ. ქავთარია** [20].

**ლ. პაპავა** სიფრთხილეს იჩენდა საუნივერსიტეტო რეფორმების გატარებაში და მიიჩნევდა, რომ უნივერსიტეტიდან უსაფუძვლოდ გაგდებული პროფესორის სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა პრაქტიკულად შეუძლებელი ხდებოდა. მოქმედ აკადემიურ პერსონალს თანამდებობა 2012 წელს კონკურსის გზით ჰქონდა დაკავებული. პროფესორები 4 და 6 წლით იყვნენ არჩეულები და მისი აზრით, მას უფრო ადრე გაუვიდოდა რექტორობის ვადა, ვიდრე პროფესორებს მოუწევდათ არჩევნები. რექტორი არ ჩქარობდა ადმინისტრაციული ცვლილებების განხორციელებასაც და ფიქრობდა, რომ უნივერსიტეტში საკუთარი გუნდით მისვლა არ შეიძლებოდა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მესამე ვიცე-რექტორად, რექტორის თანამოაზრის **მარინე ჩიტაშვილის** დანიშვნას, რომელსაც ადმინისტრაციული და აკადემიური რეფორმების კურირება ევალებოდა [21].

რექტორი გეგმავდა პროფესორების შრომის ანაზღაურების გაზრდას და პარალელურად, წინააღმდეგი იყო მას და ადმინისტრაციას დანამატი

მიეღო. არც გარანტირებული პრემიის იმედი უნდა ჰქონოდათ რექტორატისა და ადმინისტრაციის თანამშრომლებს.

**ლ. პაპავასთვის** პრიორიტეტული იყო პოსტდოქტორანტურის, საქართველოს განვითარების კომპლექსური პრობლემების კვლევის ცენტრის ჩამოყალიბების, სტაბილური განვითარების ფინანსური საფუძვლის შექმნის, მეცნიერების განვითარების და სხვა საკითხები.

უდავოა, უნივერსიტეტის რექტორი ყველა ამ პრობლემის გადაწყვეტას ვერ შეძლებდა სახელმწიფოს დახმარების გარეშე, მითუმეტეს 2014 წელს, უმაღლესი განათლების შესახებ კანონში ისეთი ცვლილებების შეტანა, რაც უნივერსიტეტებში დღეს არსებულ სისტემას შეცვლიდა, არ იგეგმებოდა.

ასეთ ვითარებაში საუნივერსიტეტო რეფორმის აუცილებლობაზე საუბრობდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შექმნილი სპეციალური კომისიის ერთ-ერთი წევრი, „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ უნივერსიტეტიდან განდევნილი პროფესორი **ჯემალ მეზონია**, რომელიც პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტთა ერთი ნაწილის სახელით მოითხოვდა სტრატეგიულ სისტემურ ცვლილებებს, რომლებიც შემდეგში მდგომარეობდა:

1. აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ხელახლა გამოცხადება;
2. „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების მიერ უკანონოდ დათხოვნილი პროფესორების უნივერსიტეტში დაბრუნება;

3. გაუმართლებლად გაერთიანებული ფაკულტეტების პროფილის მიხედვით გაყოფა;

4. სამეცნიერო სექტორის გაძლიერება.

აღნიშნული პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ასევე აფიქსირებდნენ, რომ რექტორის შეცვლის მიუხედავად, მმართველ რგოლში კვლავ ყოფილი რექტორების ერთგული კადრები საქმიანობდნენ და საკმაოდ დიდი გავლენა ჰქონდათ.

„დღეს გადაწყვეტილებას იღებს ისევ ეს 12-კაციანი აკადემიური საბჭო. სხვა უამრავი პროფესორი უუფლებოა. **ლ. პაპავა** ევოლუციური გზის მომხრეა და უჭირს პროფესორთა გარკვეულ ნაწილთან უთანხმოებაზე წასვლა, რომლებიც **გ. ხუბუას** და **კვიტაშვილის** დღის წესრიგის მომხრეები არიან – აცხადებდა უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტი **ლევან ლორთქიფანიძე** [22].

ამასთან დაკავშირებით სულ სხვა მოსაზრებას ახმოვანებდა უნივერსიტეტის რექტორი: „მე რომ დავიწყო იმის დალაგება, ვინ „წითელია“ და ვინ – „თეთრი“, ამით მე არაფრით ვიქნები გამორჩეული მაუზერიანი კომისრისაგან. ჩემს ინტერესში საერთოდ არ ზის; სულ არ მაინტერესებს პოლიტიკურად ვინ ვისი გულშემატკივარია“ – ირწმუნებოდა **ვ. პაპავა**.

2015 წლის ოქტომბერში, **ჯემალ მეზონია** კვლავ ეხმიანებოდა საგანმანათლებლო სფეროში მიმდინარე პროცესებს და განსაკუთრებით უსვამდა ხაზს, სკოლებში ჩატარებული ანტირეფორმის შედეგად, იქ დამკვიდრებულ მიუღებელ სტანდარტებს და, მცირე გამონაკლისის გარ-

და, უვარგისი სახელმძღვანელოების არსებობას.

აბსოლუტურად გაუმართლებელი იყო განათლების სამინისტროს პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა სამთვიანი კურსის გავლის შემდეგ სხვადასხვა სპეციალობის ადამიანს ნებისმიერი საგნის მასწავლებლის კვალიფიკაცია მიეღო. ასეთ ვითარებაში სკოლებში მათემატიკას შეასწავლიდნენ ეკონომისტები, ბიოლოგები, ვეტქიმები, ექიმები, ისტორიკოსები და ა.შ. ვერ ამართლებდა სტუდენტების ტესტირების წესით გამოცდის წესის დამკვიდრებაც, რომელიც წყვეტდა ცოდნის შემოწმების პარალელურად, პროფესორისაგან, სტუდენტისათვის ცოდნის გადაცემის პროცესს.

სკოლებში არსებული პრობლემები ავტომატურად გადადიოდა უმაღლეს სასწავლებლებშიც, სადაც გაუმართავი სტანდარტების შემოღებამ გამოიწვია გაუმართავი პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შექმნა. მიუღებელი იყო მათემატიკისა და ფიზიკის მეცნიერებების ერთმანეთისათვის მოწყვეტა, ამ საგნების სწავლების გაუმართლებელი შემცირება და ა.შ.

**ჯ. მეზონია** შექმნილ სიტუაციაში გამოსავალს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის, განსაკუთრებული სტატუსის მინიჭებაში ხედავდა, მითუმეტეს, ეს სტატუსი წამყვან უნივერსიტეტებს მინიჭებული ჰქონდათ, როგორც ევროპაში, ასევე პოსტ-საბჭოთას სივრცეში. აღნიშნული სტატუსი ითვალისწინებდა უნივერსიტეტის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებას, საკუთარი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას,

დამოუკიდებლობის მაღალ ხარისხს და რეალურ ავტონომიას [23].

უნივერსიტეტის განვითარების კონცეფციაში წინ იყო წამოწეული უნივერსიტეტს დაქვემდებარებული სკოლა-ლიცეუმის გახსნის, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის შექმნის, სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებელთა რაოდენობის სიჭარბის მოწესრიგების, ფაკულტეტების გაყოფის თუ დაწყვილების და სხვა საკითხები.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭების საკითხს საზოგადოების გამოხმაურება მოჰყვა. უნივერსიტეტის პროფესორი ნოდარ ელიზბარაშვილი, მთლიანად იზიარებდა **ჯ. მეზონიას** კონცეფციას და შენიშნავდა, რომ წარმოუდგენელი იყო და მსოფლიო პრაქტიკაში არ არსებობდა ორი მონათესავე სპეციალობის საბუნებისმეტყველო, გეოგრაფიის და საზოგადოებრივი გეოგრაფიის სხვადასხვა ფაკულტეტზე განთავსება. მისი აზრით, დაუშვებელი იყო პროფესორებისა და დოქტორანტებისათვის სტატიების გამოქვეყნების დამალება მაღალრეიტინგულ ჟურნალებში, რომელთა უმრავლესობა მაღალფასიანი იყო, რის გამოც პროფესორები და დოქტორანტები ერთიანდებოდნენ; სტატიას ერთი წერდა, გადასახდელ თანხას კი ინაწილებდნენ [24].

**ნ. ელიზბარაშვილი** მიიჩნევდა, რომ სადისერტაციო საბჭო მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უნდა ჩამოეყალიბებინათ, რომელშიც მონაწილეობას სხვადასხვა უნივერსიტეტების პროფესორებიც მიიღებდნენ.



პროფესორი ავთანდილ არაბული არ მიესალმებოდა მისაღები გამოცდების გატანას უმაღლესი სასწავლებლიდან, რაც სკოლის აბსოლუტურად იზოლირებას იწვევდა. არ არსებობდა ეროვნული სკოლის განვითარების კონცეფცია. არ ექცეოდა ყურადღება ეროვნული ლიტერატურისა და ისტორიის შესწავლას [25].

აღნიშნულ კონცეფციას მხარს უჭერდა პროფესორი გრანი ქავთარიაც და შენიშნავდა, რომ ახალგაზრდებს უნდა ეკითხათ წიგნი და პირველ რიგში ესწავლათ საკუთარი და ეროვნული [26].

საუნივერსიტეტო ცხოვრება ვერც რექტორად ლადო პაპავას არჩევამ დაამშვიდა. 20-27 ოქტომბერს უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის საპროტესტო აქციები გაიმართა. თვითმმართველობის წარმომადგენლები რექტორს 10-პუნქტიან მოთხოვნას უყენებდნენ. რექტორი მზადყოფნას გამოთქვამდა დიალოგზე პრობლემათა ერთობლივ განხილვასა და გადაწყვეტაზე. თუმცა 21 ოქტომბერს თვითმმართველობის წევრებმა ახალი მოთხოვნა წამოაყენეს – რექტორის გადადგომა. დაიწყო შიმშილობის აქციაც. ლ. პაპავა კვლავ გამოთქვამდა მზადყოფნას დიალოგის გზით გადაეჭრათ პრობლემები. ამავე პოზიციაზე იდგა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოც. 22 ოქტომბერს სტუდენტებს ესაუბრა განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძეც, სამუშაო ჯგუფის შექმნას და კონსტრუქციულ რეჟიმში საკითხების გადაჭრის გაგრძელებას სთავაზობდა.

სტუდენტების მოთხოვნები შემდეგში მდგომარეობდა:

1. უნივერსიტეტში არსებული ბიუროკრატიული მექანიზმები აფერხებდნენ განვითარების პროცესებს;
2. კაბინეტებში საუბარი შედეგს ვერ იღებდა. ბოლო წერტილს წარმოადგენდა მასშტაბური შეხვედრა რექტორთან, რომელმაც ვერ შეძლო დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა;
3. გამოსასწორებელი იყო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურული მდგომარეობა;
4. უნდა გაუმჯობესებულიყო ინგლისური ენისა და, ზოგადად, უცხო ენების სწავლების ხარისხი;
5. უნდა გადაეხედათ ადმინისტრაციაში არსებული საკადრო პოლიტიკისათვის. გაბერილი იყო შტატები და უნიათო იყო მენეჯმენტი. უპასუხისმგებლო და უხეში იყო სტუდენტების მიმართ დამოკიდებულება;
6. უნივერსიტეტში არსებულ შტატებზე უნდა გამოეცხადებინათ ღია კონკურსი და შერჩევის პროცესი უნდა გაეხადათ გამჭვირვალე;
7. სტუდენტურ არჩევნებში არ უნდა მოეხდინათ ადმინისტრაციის თანამშრომლების ჩარევა და ამით სტუდენტებს შორის კონფლიქტის ინსპირირება;
8. უნდა მოეწესრიგებინათ მაღალი ემელონების სამივილინგო ხარჯების საკითხი;
9. უნდა დარეგულირებულიყო პრემიების საკითხი და იგი უნდა გამხდარიყო ტრანსფერენტული;

10. საექვო ტენდერების საკითხზე უნდა განეხორციელებინათ გამოძიება, რათა თავიდან აეცილებინათ თანხების არამიზნობრივი ხარჯვა-გაფლანგვა;

11. ინტენსიური უნდა გაეხადათ ლიტერატურის თარგმანის პროცესი და შეექმნათ არსებული ლიტერატურის ელექტრონული ვერსიები [27].

აღნიშნული მოთხოვნები გახდა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს განსჯის საგანი და არ იქნა მოწონებული სტუდენტების მოთხოვნების შესასრულებლად, რადიკალური ზომების – კერძოდ, შიმშილობის ფორმის გამოყენება; აკადემიური საბჭო აღნიშნავდა, რომ არსებობდა სათანადო პრობლემები, რომელთა გადაჭრა უნივერსიტეტის ინტერესების გათვალისწინებით, ეტაპობრივად, მხოლოდ დიალოგის გზით უნდა მომხდარიყო.

თავის მხრივ, რექტორი ეთანხმებოდა სტუდენტთა მოთხოვნებს და მიაჩნდა, რომ მათი ნაწილის შესრულება საკანონმდებლო ცვლილებებს მოითხოვდა, თუმცა ცალკეული პრობლემების მოგვარება შიგა რესურსებითაც შეიძლებოდა და ეს პროცესი უნივერსიტეტში დაწყებული იყო. **ლ. პაპავას** აზრით, უნივერსიტეტის განვითარება მიდიოდა არა რევოლუციური, არამედ ევოლუციური გზით. ამით კი მაღლდებოდა უმაღლესი სასწავლებლის საერთაშორისო რეიტინგი და ის პირველად ფიქსირდებოდა ტომსონის ბაზაში, თუმცა არ მოიხსენიებოდა ყველა მიმართულებით მსოფლიოს 750 საუკეთესო უნივერსიტეტებს შორის.

**ლ. პაპავა** არ იზიარებდა სტუდენტთა მოთხოვნას მისი გადადგომის

შესახებ და მიუთითებდა, რომ იყო კანონიერად არჩეული რექტორი და აღებული ჰქონდა პასუხისმგებლობა არა როგორც ლადო პაპავას, არამედ როგორც უნივერსიტეტის ხელმძღვანელს [27].

საერთოდ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასა და სტუდენტებს შორის დიალოგი არ იყო უცხო მოვლენა. შეხვედრები ხშირად იმართებოდა, მაგრამ პრობლემები არ წყდებოდა. ამის უპირველეს მიზეზად უნივერსიტეტის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუფინანსებლობა სახელდებოდა და ყველაფერი სტუდენტებისაგან შემოსულ ფინანსებზე იყო დამოკიდებული. საქართველო ამ მხრივ უნიკალურ ქვეყანას წარმოადგენდა, განსხვავებით ევროპისაგან, სადაც უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსების დაახლოებით 40 პროცენტს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა შეადგენდა. მართალია, საქართველოში სახელმწიფო აფინანსებდა ინფრასტრუქტურულ პროექტებს, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. გამოითქმებოდა უკმაყოფილება ემერენტული ლექტორების ლექციების ხარვეზებთან დაკავშირებით. სტუდენტები ახალ მეთოდებს, ახალ მიდგომებს და ახალ ლექტორებს ითხოვდნენ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თემა იყო დასაქმების პრობლემა, რადგანაც უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს არ ჰქონდა გარანტირებული პროფესიული ხაზით სახელმწიფო თუ სხვა სამსახურში მუშაობის დაწყება.

უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესები კიდევ ერთხელ ხდებოდა სტუდენტთა დაინტერესების საგანი. ამ მხრივ კვლავ აქტიურობდა, ახლა

უკვე წარმოდგენლობითი საბჭოს წევრი **ლ. ლორთქიფანიძე**, რომელიც ირწმუნებოდა, რომ უნივერსიტეტის წინაშე უდიდესი ცოდვის ჩამდენი ადამიანები დაუსჯელი იყვნენ და ისინი დღესაც ამაყად დადიოდნენ უმაღლესი სასწავლებლის დერეფნებში. როგორც სენატის წევრს, მაქვს უფლება დავაყენო **გ. ხუბუას** სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკითხი და მოვითხოვ, რომ მის მსგავს ადამიანებს უნივერსიტეტის შიგნით დამატებითი სტატუსი არ ენიჭებოდეს – აცხადებდა **ლ. ლორთქიფანიძე** [28].

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ **ლ. ლორთქიფანიძე** და მის თანამოაზრეთა ჯგუფისათვის მიუღებელი იყო ყველა ყოფილი რექტორი – **გ. ხუბუა** და **ს. კვიციანი**, რომლებსაც უნივერსიტეტის დამანგრეველებს უწოდებდნენ, ხოლო მათი დაუსჯელობით ისტორიული მესიერების წაშლა ხდებოდა, რადგანაც ახალმა სტუდენტებმა მათ შესახებ სიმართლე არ იცოდნენ.

სტუდენტთა ეს ჯგუფი მიიჩნევდა, რომ უნივერსიტეტის ურთულეს სისტემაში, რამდენიმე დიდი მონსტრი ბუდობდა, „ნაციონალების“ დიდი ჯგუფით დაწყებული და ცალკეული საგვარეულოებებით დამთავრებული, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ აქ სხვების“ შემოსვლას. ასეთ ვითარებაში ისინი **ლ. პაპავას** ურჩევდნენ არ გაეგრძელებინა ლოიალური პოლიტიკა, საწინააღმდეგო შემთხვევაში, თუ დასჭირდებოდათ, ახალ რექტორსაც „გადაყლაპავდნენ“.

აღნიშნული ჯგუფი ფიქრობდა, რომ საუნივერსიტეტო ცვლილებაზე არც პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე **ივანე კიკლურიძე** ზრუნავდა, კა-

ნონის ცვლილებების მიმართ მისი დამოკიდულება იყო ნულოვანი და ამ მხრივ კომიტეტის თავმჯდომარის პასიურობა დანაშაულის რანგში იყო აყვანილი.

**ლ. ლორთქიფანიძე** და მისი ჯგუფი ამტკიცებდა, რომ ყველა სისტემა თვითგადარჩენისაკენ იყო მიმართული. ამიტომ კანონის, სამართლის, ახალი წესებისა და ცვლილებების ძალით ბრძოლა იყო საჭირო, რომ უნივერსიტეტში დამკვიდრებული მანკიერი სისტემა, ყოველდღიურად არ გაძლიერებულიყო, რომლის მორევა შემდეგ შეუძლებელი იქნებოდა.

სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა უნივერსიტეტში **ლ. ლორთქიფანიძის** და მისი ჯგუფის მიერ შექმნილი ორგანიზაცია „აუდიტორია 115“. რომელიც უკვე მიზანმიმართულად დაუპირისპირდა **ლადო პაპავას** და გარკვეული როლი შეასრულა. მისი, მოგვიანებით, რექტორის თანამდებობიდან გადადგომაში.

2016 წლის ივნისში ქვეყნის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სათავეში **ალექსანდრე ჯეჯელავა** მოვიდა, რომელიც მნიშვნელოვანია განცხადებებს აკეთებდა სისტემაში არსებული სერიოზული ხარვეზების დასაძლევად.

საინტერესო იყო ერთ-ერთ პირველ ინტერვიუში მის მიერ ჩამოყალიბებული სამი პრინციპი: ქვეყნის სრული ტერიტორიალური სივრცის აღდგენის მოწესრიგების, სიცოცხლის ფუნდამენტის საჭიროებისა და ფუნდამენტური ცოდნის აუცილებლობის შესახებ. მინისტრი ლაპარაკობდა ქართული განათლებისა და მეცნიერების საერთაშორისო ავტორიტეტის მოპოვებაზე და, შესაბამისად, წინ იწეოდა ორგანიზაციული ქცევის

პარამეტრები – მოტივაცია, ზრდა, გუნდურობა, კულტურა, კონკურენცია [29].

საინტერესოდ ჩანდა მისი მოსაზრება განმანათლებლობისა და მეცნიერების განვრცობაზე და იმის ხაზგასმა, რომ საქართველოს ჯართის ნაცვლად ტვინი უნდა გაეტანა და თუ **დავით აღმაშენებელს**, მაშინ მებრძოლები სჭირდებოდა, დღეს ქვეყნის წინაშე ინტელექტუალური ლაშქრის საჭიროება იდგა. ამ კონტექსტში **ა. ჯაჯელავა** მსჯელობდა სასკოლო განათლებაში შექმნილ ურთულეს მდგომარეობაზე, როდესაც ის მოწყვეტილი იყო აბსოლუტურ რეალობას და სისტემაში კარდინალური ცვლილებების გარეშე, ახალი თაობა დაილუპებოდა. სწორედ ახალგაზრდობის მიმართ იყო მიმართული მინისტრის ქართველობის განსაკუთრებული თვისების, შენი თავის ცნობის, სხვა ადამიანის მოსმენისა და გაგების და საკუთარი გადაწყვეტილების მიღების, ცხოვრებაში ვილაციისთვის ხელის გაწვდენის საკუთარი გზის არჩევის, მიზნის დასახვის, დანიშნულების განსაზღვრისა და შესრულების და სხვა შეგონებები.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან დიალოგის გზით ირჩევდა არსებული პრობლემების მოგვარებას. ასეთი იყო შეხვედრა „აუდიტორია 115“-ის წევრებთან, რომლის დასრულების შემდეგ მინისტრი ასეთ კომენტარს აკეთებდა: „ეს არის ხალხი, რომელსაც უნდა უნივერსიტეტის განვითარება, წინსვლა და უნდა, რომ არა მარტო ეს დაწესებულება, არამედ ყველა უმაღლესი სასწავლებელი იყოს მოწინავე. ცალსახად ამ პოზიციას ვიზიარებთ

მეც და სამინისტროც, რომ უნივერსიტეტი უნდა განვითარდეს და აჰყვეს დროს. გუშინდელი მეთოდებით მუშაობა შეუძლებელია“ [30].

2016 წლის აგვისტოში გახმოვანდა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევნების მონაწილეთა შორის განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გიორგი შარვაშიძე** იყო. ქართველი და უცხოელი მეცნიერების მტკიცებით, **გ. შარვაშიძე** სიღრმისეულად ფლობდა უმაღლესი განათლების სისტემაში არსებულ ვითარებას და შეეძლო, როგორც ხელმძღვანელს ბევრი რამ გაეკეთებინა უნივერსიტეტისათვის.

თავის მხრივ, **გ. შარვაშიძე** ფიქრობდა, რომ უნივერსიტეტს რეალურად უნდა დაბრუნებოდა ისეთი ხარისხის ავტონომია, რომელიც არასოდეს ჰქონდა და ამისათვის არსებული რესურსით, იქ დასაქმებული პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტებთან ერთად, გუნდური მიმართველობით უნდა მიეღწიათ.

„ჩვენი უნივერსიტეტი უნდა გახდეს წამყვანი სამეცნიერო-კვლევითი უნივერსიტეტი, არა მხოლოდ ქვეყნის და რეგიონის, არამედ მსოფლიო მასშტაბით. მის სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ ნებისმიერ ქვეყანაში დასაქმების შანსი. მათი დიპლომი, ცოდნა და კვალიფიკაცია აღიარებული უნდა იყოს ყველგან“ – აცხადებდა რექტორობის კანდიდატი [31].

2016 წლის სექტემბერში უნივერსიტეტმა ახალ რექტორად **გიორგი შარვაშიძე** აირჩია. თუმცა „აუდიტორია 115“-ს მისთვის კეთილგანწყობა არ გამოუხატავს. არც სტუდენტური თვითმმართველობა აღმოჩნდა კმა-

ყოფილი მისი არჩევით, მაგრამ სტუდენტები აცხადებდნენ, რომ ინსტიტუტებისა და არჩევანის მიმართ პატივისცემის გამო, ახალ რექტორთან ითანამშრომლებდნენ და აქციებს მიზანშეწონილად არ მიიჩნევდნენ.

„აუდიტორია 115“-ის მისამართით უკმაყოფილებას არ მალავდა ახალი რექტორიც, რომელიც ეჭვობდა, რომ ის არარეგისტრირებული არასამთავრობო ორგანიზაციის სახეს იღებდა, მითუმეტეს, მათი წევრების ნაწილი უნივერსიტეტის სტუდენტი არც იყო.

მოგვიანებით, რექტორსა და „აუდიტორია 115“-ს შორის დიალოგი გაიმართა. მოხდა გარკვეული შეთანხმება, რომ არსებული პრობლემების გამოსასწორებლად გამოსავალი ერთად უნდა ეძებნათ. რექტორი პირობას იძლეოდა, რომ 3 თვის განმავლობაში შედგებოდა უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელშიც რადიკალური რეფორმები იქნებოდა გათვალისწინებული [32].

### ლიტერატურა

1. ხასაია ზ., „კალიების შემოსევა უნივერსიტეტში“. გაზ.: „ლიტერატურული საქართველო“, 2006, 29 დეკემბერი.
2. მიშველაძე რ., „რჩეული თხზულებანი“, ტ. XVIII, თბ., 2013, გვ. 305-306.
3. კიკნაძე თ., გაზ.: „რეზონანსი“, 2013, 19 ივნისი.
4. ბახტაძე დ., გაზ.: „ასავალ-დასავალი“, 2015, 2-8 ნოემბერი.
5. სააკაშვილი მ., გაზ.: „ასავალ-დასავალი“, 2015, 14-20 დეკემბერი.
6. ცაცანაშვილი მ., გაზ.: „ასავალ-დასავალი“, 2013, 1-7 ივლისი.
7. გაზ.: „რეზონანსი“, 2013, 15 ივნისი.
8. ჩხიტიანი ა., გაზ.: „რეზონანსი“, 2013, 15 ივნისი.
9. გაზ.: „კვირის პალიტრა“, 2013, 17 ივნისი.
10. გაზ.: „მთელი კვირა“, 2013, 24 ივნისი.
11. გაზ.: „მთელი კვირა“, 2011, 19 სექტემბერი.
12. გაზ.: „რეზონანსი“, 2012, ოქტომბერი
13. გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა“, 2013, 27 თებერვალი.
14. ოქრუაშვილი თ., გაზ.: „ალია“, 2013, 5-6 მარტი.
15. პაპავა ლ., გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა“, 2013.
16. მარგველაშვილი გ., გაზ.: „ახალი თაობა“, 2013, 14 ივნისი.
17. ნანეიშვილი თ., გაზ.: „რეზონანსი“, 2013, 14 ივნისი.
18. კიკნაძე თ., გაზ.: „რეზონანსი“, 2013, 19 ივლისი.
19. პაპავა ლ., გაზ.: „უნივერსიტეტი“, №9, 2013, ოქტომბერი.
20. ქავთარია გ., „ჩვენ წინ დღესაც ნაცისტური კედელია აღმართული“, გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა“, 2013, 9 ოქტომბერი.
21. პაპავა ლ., „უნივერსიტეტში საკუთარი გუნდით მისვლა არ შეიძლება“, გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა“. 2013, 6 დეკემბერი.
22. ლორთქიფანიძე ლ., გაზ.: „რეზონანსი“, 2014, 14 იანვარი.
23. მებონია ჯ., გაზ.: „საერთო გაზეთი“, 2015, 7 ოქტომბერი.

24. ელიზბარაშვილი ნ., გაზ.: „საერთო გაზეთი“, 2015, 21 ოქტომბერი.
25. არაბული ა., გაზ.: „საერთო გაზეთი“, 2015, 21 ოქტომბერი.
26. ქავთარია გ., გაზ.: „საერთო გაზეთი“, 2015, 21 ოქტომბერი,
27. გაზ.: „უნივერსიტეტი“, 2015, №10, 6 ოქტომბერი.
28. ლორთქიფანიძე ლ., გაზ.: „ასავალ-დასავალი“, 2015, 21-27 დეკემბერი.
29. ჯეჯელავა ა., „ინტელექტუალური ლაშქარი გვჭირდება“, გაზ.:  
„საქართველოს რესპუბლიკა“, 2016, 8 ივნისი.
30. ჯეჯელავა ა., გაზ.: „ახალი თაობა“, 2016, 27 სექტემბერი.
31. შარვაშიძე გ. „ჩვენს უნივერსიტეტს პრესტიჟი და ავტონომია უნდა  
დავუბრუნოთ“, გაზ.: „რეზონანსი“, 2016, 16 სექტემბერი.
32. გაზ.: „რეზონანსი“, 2016, 27 სექტემბერი.





## რეგაზ მიშველაძე

### რა ელის ევროპის კულტურას?

ჩვენს წარმოდგენაში არსებული, თითქმის ათასწლოვანი „ბებერი და კეთილი“ ევროპა, კლასიკური გაგებით, დღეს უკვე აღარ არსებობს.

ევროპა შუასაუკუნეებიდან დაწყებული საკმაოდ დიდხანს წარმართავდა მსოფლიოს პოლიტიკურ ბედს და იმის შემდეგაც, რაც ამერიკამ ევროპას მსოფლიოს პირველი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ვიოლინოს ფუნქცია ჩამოართვა, ბოლო ათწლეულამდეც კი ევროპა თავისი თვითმყოფადი (ლამის საერთოევროპული) კულტურით მსოფლიოს კულტურულ ცენტრ წარმოადგენდა.

ევროპა კარნახობდა მსოფლიოს თითქმის ყველა სახელოვნო-სალიტერატურო „იზმს“, ევროპა უდებდა სათავეს მოდას (ამ ცნების უფართოესი გაგებით) და თუ გნებავთ, იგი თავს ახვევდა მსოფლიოს სწორედ ევროპული ცხოვრების წესს.

ცივილიზაციურ სიკეთეებთან ერთად ევროპამ მსოფლიოს ბოროტებაც ბევრი დამართა; სწორედ ევროპიდან წამოვიდა ჯვაროსნული ლაშქრობების გრიგალი, ევროპამ გადაუარა მსოფლიოს პირველი და მეორე მსოფლიო ომების ხანძრით.

და ბოლოს, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან ევროპა თითქოსდა ჩვენ თვალწინ დაცხრა – დამშვიდდა.

მიხვდა ევროპა სამშვიდობო ურთიერთობის უპირატესობას ტყვიამფრქვევთა კანონადის წინაშე და ატომური ბომბით შემინებულმა იმგვარი ბლოკების შექმნისა და ქარტიების დამტკიცების საქმეს მიჰყო ხელი, მსოფლიოს ომის ენაზე ავად მუსაიფი რომ განზე გადაედო და უდანაშაულო ადამიანთა ხოცვა-ჟლეტის მანქანა ისტორიის სკივრში შეენახა.

ასეთი იყო ევროპა ლამის ნახევარსაუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში.

ევროპა – მსოფლიო ხელოვნებისა და მეცნიერების მექა, ევროპა მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან სასწავლებლად ჩამოსული ახალგაზრდების მასპინძელი, ევროპა – ჰედონიზმისა და დემოკრატიის მქადაგებელი.

დღეს, თავში ნათქვამს გავიმეორებ, ევროპა კლასიკური გაგებით, უკვე აღარ არსებობს.

2011 წლის ზაფხულში ნორვეგიაში ოსლოსთან ახლოს კუნძულზე ახალგაზრდების საერთაშორისო ბანაკში 30 წლის ტერორისტმა 87 ახალგაზრდა (სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი) რომ დახოცა, იმის შემდეგ მსოფლიოს აზროვნებაში ევროპის მიმართ რაღაც ჩაწყდა და ევროპაში ახალი წესრიგი (უფრო სწორად, უწესრიგობა) დაიწყო.

სასამართლომ მკვლეელი ორ კვირამი გაასამართლა და 87 კაცის მკვლელს 21 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

უდანაშაულო ახალგაზრდები რატომ დახოცეო, მოსამართლემ რომ ჰკითხა, მკვლელმა უპასუხა: „ბევრი ვწერე ამ საკითხზე, მაგრამ მსოფლიოს პოლიტიკოსების ყურადღება ვერ მივიპყარი და ეს ნაბიჯი იყო ჩემი პროტესტი გაუთავებელი მიგრაციის წინააღმდეგო. ევროპა წალეკეს ლტოლვილებმაო. ჩვენ მალე ეროვნული სახელმწიფო აღარ ვიქნებითო. ახლა, მალე ნორვეგიელები უმცირესობა გავხდებით საკუთარ ქვეყანაშიო. ახლა, რაც გინდათ ის მომისაჯეთ, მე მსოფლიო გამოვადვიძე, ხოლო ევროპას თავისი გაქრობის საფრთხე ამკარად დავანახეო“.

რა თქმა უნდა, ამ მანიაკმა ტერორისტმა თავისი საზიზღარი ქმედებით ყველა კეთილი ნების ადამიანის ზიზღი დაიმსახურა და იქნებ იმ ზიზღმა გადაფარა ევროპის გაფრთხილების მცირეზე მცირე დოზა, რაიც მსოფლიო დამნაშავის საბოლოო სიტყვაში იდო.

ამ წერილის სათაური ოდენ მკითხველის ყურადღების მისაქცევად არ მომიგონია. დიახ, კულტურა შეიძლება წარმოიქმნას მთელი თავისი დიდებულებით და შეიძლება გაქრეს.

კულტურა აბსტაქტული ცნება როდია. იგი გახლავთ კონკრეტული ერის მხატვრული აზროვნების შედეგად შექმნილი ღირებულება. ინგლისელმა ერმა შექმნა ინგლისური კულტურა, ფრანგმა ერმა შექმნა ფრანგული კულტურა, გერმანელმა ერმა შექმნა გერმანული კულტურა და ა.შ.

რასაც ჩვენ ევროპულ კულტურას ვუწოდებთ, გახლავთ ის კულტურული მონაპოვარი, რაიც ევროპულმა

ერებმა კულტურის საერთო ყულაბაში ჩადეს. ეს კულტურული საერთობა ევროპის ერთა მრავალსაუკუნოვანმა თანაარსებობამ, ნათესაურმა ფილოსოფიურმა აზროვნებამ, ეთნიკურ-გენეტიკურმა სიახლოვემ და სხვა უამრავმა ფაქტორმა განაპირობა. მსოფლიოს ისტორიისთვის უცხო როდია ერთა და ცივილიზაციათა გადაშენების ფაქტები.

აღარ არიან, გადაშენდნენ ეტრუსკები და დღეს მკლავდაკაპიწებული მეცნიერები გამადიდებელი შუშით დაეძებენ მათი კულტურის სასწაულებრივად შემორჩენილ პაწაწინა ნამცვრევებს, რომ ემანდ კულტურის ნაშთების მიხედვით ეტრუსკთა წარმომავლობა და ეროვნული იერსახე დაადგინონ.

თანამედროვე იტალიელებსაც კი ფრიად საეჭვო კულტურული კავშირი აქვთ თავიანთ იმ შორეულ წინაპრებთან, „ღვთაებრივ კომედიას“ და კოლიზეუმს რომ ქმნიდნენ. თავი რომ გავანებოთ იმ მთავარ ფაქტს, რომ ძველი რომაელები და თანამედროვე იტალიელები სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ, ვერც იულიუს კეისრის ნიჭის ელვარება ეტყობა, ისტორიკოსებს თუ დავუჯერებთ, იულიუსის კვალზე მოსულ თანამედროვეთ.

იქნებ სოკრატეს, პლატონისა და არისტოტელეს სამშობლომ შეინარჩუნა მსოფლიოს ერთ-ერთი უპირველესი კულტურტრეგერის როლი. ანტიკური საბერძნეთი დედამიწაზე კულტურის ყველა დარგისათვის ტონის მომცემი იყო. ევროპიდე და სოფოკლე, ჰომეროსის უკვდავი პოემები „ილიადა“ და „ოდისეა“, ფიდიასის ქანდაკებები და პართენონის ტაძარი რომ ერმა შექმნა, რა უნდა მოსვლოდა



იმ ერს, რომ თანამედროვე საბერძნეთის კულტურა დღეს მსოფლიო ხელოვნებას თავს ვერაფრით მოაწონებს; უფრო პირიქითაა, ბოლოში მისჩანჩალებს.

არც გრანდიოზული პირამიდების სფინქსის ქანდაკების და დაბალზამების ხელოვნების შემქმნელი ეგვიპტელები ჩანან დღეს ასპარეზზე.

ებრაელებს რჯული არ დაუკარგავთ, მაგრამ ის კულტურა და ტრადიცია დაკარგეს, რამაც „თორას ხუთწიგნეული – უკვდავი „ბიბლია“ შექმნა. დღეს ებრაული კულტურა (განსაკუთრებით ლიტერატურა) დაბალ დონეზეა.

მაგალითების მოხმობა უხვად შეიძლება და ყოველივე ეს, ანუ უმაღლესი კულტურიდან სწორედ მის შემქმნელ გეოგრაფიულ არეალში სავალალოდ დაბალ კულტურაზე დაშვება, ბუნებრივია, მეცნიერთა დიდ ინტერესს იწვევს. კულტურათა დეგრადაციის მიზეზების ახსნის მიმართულებით მეცნიერთა თვალსაზრისი თანდათან უახლოვდება ერთმანეთს და ერთიან ხედვად ფოკუსირდება, კერძოდ:

ათასეული წლების მანძილზე ძველი ეგვიპტელები ისე გადაფარეს მეზობელმა ტომებმა და იმდენად აირია ერთმანეთში კულტურათა ორიენტირები, რომ დღეს ძნელი დასადგენია, არიან თუ არა ეგვიპტის სახელმწიფოში დღეს მცხოვრებნი იმ ძველ (ნამდვილ) – ეგვიპტელთა შთამომავალნი, დღეს, როცა ერთა გენეტიკური კოდის დადგენა მეცნიერების უახლესი მიღწევის დნმ-ის საფუძველზე ხდება, არ ვიცი, რამდენად სარწმუნოა, მაგრამ დადგინდა, რომ ძველ ეგვიპტელთა დნმ ზუსტად ემთხვევა კავკასიელთა (კერძოდ, ქართ-

ველთა) დნმ-ს. ამ საკითხთან დაკავშირებით სრულიად ბუნებრივია თანამედროვე ეგვიპტელთა (სინამდვილეში არაბთა) გულისწყრომა, მაგრამ ფაქტს ვერსად გავექცევით.

ვერც თანამედროვე იტალიელებს და ბერძნებს ეუბნება ბევრს რასმე სანუგეშოს დნმ-ით მათი გენეტიკური გამოკვლევა. მარკუს ავრელიუსის, მიქელანჯელოს და ლეონარდო და ვინჩის შთამომავლების გენეტიკური კოდი დიადაც განსხვავდება თანამედროვე იტალიელთა გენეტიკური კოდისაგან, თითქმის მსგავსურათს ვაწყდებით ძველი ბერძნების და თანამედროვე ბერძენთა დნმური გამოკვლევისას.

რაც შეეხება ებრაელებს, მართალია, მათი დნმ არ შეცვლილა, მაგრამ მოგეხსენებათ, რომ ლამის 2600 წლის განმავლობაში წაშლილ ებრაელთა სახელმწიფოში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩავიდნენ ე.წ. „ახალი ებრაელები“ – ნაზიარები მსოფლიოს კოსმოპოლიკურ კულტურას და მოხდა უძველესი ებრაული კულტურის ასიმილირება სრულიად სხვა, მისთვის უცხო, პირობითად რომ ვთქვათ, ჭრელ კულტურასთან.

როგორც ვხედავთ, კულტურათა მეტამორფოზის, უკეთესიდან უარესისკენ მისი დაშვების ერთ-ერთი მიზეზი ისიც გახლავთ, რომ ამა თუ იმ კულტურის ერი სხვადასხვა მიზეზით გენეტიკურ სიწმინდეს ვეღარ იცავს და უცხო ცივილიზაციასთან აღრევის შემთხვევაში თავის პირველყოფილ მშვენიერებას ჰკარგავს.

გიორგი მერჩულეს ცნობილი ფორმულა „აღვერიენით ერსა უცხო-სა“ მარტოოდენ რელიგიური სიწმინდის შენარჩუნებისკენ მომწოდებელი კი არ არის, არამედ კულტურის

თვითმყოფადობის მოსალოდნელი გაქრობის შიშითაცაა გამოწვეული.

არავის ეგონოს, რომ მე სახელმწიფოს ან რომელიმე ერს კონსერვაციისა და რეზერვაციისკენ მოვუწოდებდე, ან „სისხლის აღრევის“ წინააღმდეგ გამოვდიოდე და გენეტიკური კოდის თვითმიზნურ დაცვას ვქადაგებდე, კარგად ვიცი, რომ XXI საუკუნეში ეს შეუძლებელია და საუბარი კი ამ თემაზე დონკიხოტობაა, მე მხოლოდ კულტურის გაქრობის საშიშროებაზე ვამახვილებ ყურადღებას.

ევროპის ბედი მსოფლიოს ბედთანაა გადაჯაჭვული, ხოლო მსოფლიოში რა ამბებიც ხდება, კარგად მოგეხსენებათ; უკვე ორი ათეული წელია, ერთმანეთს მიეწყო სამოქალაქო ომები და რევოლუციები ავღანეთში, ერაყში, ლიბანში, საუდის არაბეთსა და სირიაში... ამბოხებულებმა და მათმა მხარდამჭერებმა დაანგრეს ამ ქვეყნებში ათასწლოვანი ისტორიული ძეგლები და მუზეუმები. საუკუნო ძილი დაურღვიეს ოთხიათასი წლის მუმიებს და ფეხქვეშ გათელეს მათი წინაპრების კულტურული მონაპოვარი.

გამკითხავი კი არვინ არის.

და როგორ ფიქრობთ, ვინ მოდის ერაყის და სირიის სახელმწიფოებრივ ტერიტორიაზე? არც მეტი არც ნაკლები, ისლამური სახელმწიფო.

მრავალი წელია სირიაში სამოქალაქო ომი მიმდინარეობს. ექვსი წელია სადათის შინაური ოპოზიცია ამერიკელთა და რუსთა დახმარებით ანგრევს საკუთარ სოფლებს და ქალაქებს. ამერიკა აჯანყებულებს ეხმარება, რუსეთი კი სადათის რეჟიმის გამაგრებას ცდილობს.

... და დაიძრა ევროპისკენ ლტოლვილთა ნაკადი. ლტოლვილთა გაუთავებელი ნიაღვრის შეჩერებას ვერავენ და ვერაფერი ახერხებს.

ლტოლვილთა შემოტევისგან განსაკუთრებით დაიტკეპნა გერმანია, საბერძნეთი, მაკედონია და საფრანგეთი. თქვენ წარმოიდგინეთ, წინა აზიიდან ყოველწლიურად ევროპაში საერთოდ 6 მილიონი ლტოლვილი ჩადის და აქედან 3 მილიონი გერმანიაში ჩერდება.

ევროპა ლტოლვილთა ბანაკს დაემსგავსა. როცა ეს სტრიქონები იწერება მაკედონიაში საზღვარგარეთთან უზარმაზარ ველზე ასი ათასი კარავია გაშლილი და იმ კარავებში საშუალოდ სამასი ათასი ლტოლვილი ათენ-ადამებს.

ევროპის ძირძველი მოსახლეობის სოციალური გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ ევროპელთა 80% წინააღმდეგია მათ მიწაზე ლტოლვილთა გაუთავებელი ქარავნების შემოჭრისა, მაგრამ მთავრობები უკვე უძლურნი არიან ლტოლვილთა მარშის შეჩერებისა, საფრანგეთის პოლიციამ ხალხის კატეგორიული მოთხოვნით სცადა სამხრეთ საფრანგეთში ლტოლვილთა დიდი ბანაკებისთვის წინადადება მიეცა ინფექციურ დაავადებათა თავიდან აცილების მიზნით სხვა, უფრო უსაფრთხო ადგილას გადასულიყვნენ, მაგრამ ლტოლვილთაგან გააფთრებულ წინააღმდეგობას წააწყდა. ლტოლვილებმა ქვეები და „მოლოტოვის კოქტეილები“ დაუშინეს პოლიციელთა კორდონებს, ცეცხლს მისცეს ახლომახლო ადმინისტრაციული შენობები და მაღაზიები.

ლტოლვილთა დიდი რაოდენობით შემოსვლამ ევროპაში დემოგრაფიული სურათი შეცვალა. ამ ბოლო

ორმოცდაათი წლის განმავლობაში ისედაც ევროპისკენ ჰქონდა კურსი აღებული მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან ნაკლები შრომით მეტი შემოსავლის მიღების ყველა მსურველს, მაგრამ ბოლო ათწლეულში მიგრანტთა რიცხვმა კატასტროფულად იმატა. ევროპის სახელგანთქმული მუშათა კლასი იმ ეროვნული შემადგენლობით XIX და XX საუკუნეებში რომ იყო, დღეს უკვე აღარ არსებობს. ქარხნებიდან და ფაბრიკებიდან, საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროდან თითქმის გამოდევნეს მიგრანტებმა ძირძველი ევროპელები და მათი ადგილი უცერემონიოდ დაიჭირეს. გულუბრყვილო ევროპელმა მოქალაქეებმა უყოყმანოდ დაუთმეს ე.წ. „ჩამოსულებს“ პოზიციები, რაკილა ვერ აცნობიერებდნენ რა მოჰყვებოდა ამ „განზე გაჩოჩებას“ აქტიური პოზიციებიდან.

ევროპელი მეცნიერები შემფოთებით უსვამენ ხაზს იმ სავალალო გარემოებას, რომ საკუთრივ ევროპელთა გამრავლების ტემპი უადრესად დაბალია, სამაგიეროდ ევროპის მიწაზე კარგად მრავლდება სირიელი, არაბი, ზანგი, თურქი, ალჟირელი თუ მაროკოელი...

სტუმარი მოსახლეობის დემოგრაფიული მარშის შენელებას ვერავინ შეძლებს, მაგრამ დასაფიქრებელი ის გახლავთ, რომ ევროპის ფსიქიური წონასწორობა დაირღვა. წონასწორობის დარღვევა კი უპირველესად კულტურაზე აისახა.

ქუჩაში გამოტანილი ბარების, კინოსტუდიებისა და კინოთეატრების, სავსე სამხატვრო გალერეების, საოპერო და დრამატული თეატრების... ერთი სიტყვით, ევროპის, როგორც მსოფლიო ხელოვნების მექის არსე-

ბობა წარსულს ჩაჰბარდა. მიგრანტებს თეატრებისა და მუზეუმებისთვის არა სცხელათ, მათ სხვა, თავიანთი საზრუნავი აქვთ და თუ ათასში ერთხელ კულტურის ჭია შეუღიბნებთ, იმგვარ „გასართობს“ შემოგთავაზებენ, ევროპულ კულტურასთან რომ საერთო არაფერი აქვს.

რაკი არ არსებობს კულტურის ბაზარი და საზოგადოებრივი მოთხოვნილება, სრულიად ბუნებრივია, ხელოვანის ნიჭის ელვარებას ეპოქის მტვერი ედება და იგი კულტურებისკენ ინაცვლებს.

ევროპის მოსახლეობის სიჭრელის ზრდამ და მარგინალური ტომების ტოტალურმა თარეშმა შედეგად ის მოიტანა, რომ ევროპის ცნობილი სიმშვიდე ერთხელ და სამუდამოდ დაირღვა. ევროპის კონტინენტზე, განსაკუთრებით საფრანგეთში, ერთი მეორეს მიჰყვება ტერორისტული აქტების სერია. ტერორისტების მიმართ ევროპის პოლიციის კაპიტულანტური უძლურების გამო მშვიდობიან მოსახლეობაში ტოტალურმა შიშმა დაისადგურა.

შიშმა მოიცვა მთელი ევროპა. მოსახლეობა ერიდება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს ტერორისტული აქტის შიშით. სწორედ ამ შიშის გამო ერიდებიან სადამოობით ქუჩაში გამოსვლას ფაქტიურად მთელს ევროპაში გამოცხადებული საომარი მდგომარეობაა.

ევროპული ხასიათის (გაწონასწორებული, აუჩქარებელი) მკვეთრმა ცვალებადობამ გამოიწვია კულტურის დონის დაცემა. მოქალაქეებს შეუსუსტდათ ყურადღება მაღალი მატერიებისადმი. კანტიკუნტად გამოდის ლიტერატურული ჟურნალები და რაც გამოდის, აღარ სალდება.

იშვიათზე იშვიათად ეწყობა მხატვართა გამოფენები და ამ გამოფენებზე შეკრებილი თითო-ოროლა დამთვალიერებელი მოსალოდნელი ტერაქტის შიშით კარისკენ იყურება. თითქმის გაჩერებულია ევროპის სახელგანთქმული კინოსტუდიები...

ახლახან მთელი ევროპა მოვიარე, რათა პირდაპირი შთაბეჭდილებით მომეძიებინა ინფორმაცია შესახებ იმისა, თუ რა დღეშია ევროპის კულტურა, რით სუნთქავს თანამედროვე ევროპელი, როგორია მისი ინტერესების სფერო განსაკუთრებით ხელოვნებასთან მიმართებით. ევროპაში დღეს ტელევიზიებიც კი თითქმის აღარ უჩვენებენ და კინოთეატრებშიც იშვიათად გადის სახელგანთქმული რეალისტური და სიურეალისტური ფილმები ჟან გაბენის, ჟერარ ფილიპის, ივ მონტანის, ჯინა ლოლობრიჯიდას, ბრიჯიტ ბარდოს, სილვანა პაპანინის, სიმონა სინიორეს, რობერტ ტელიორის ან თუ გნებავთ სოფი ლორენის და მარჩელო მასტროიანის მონაწილეობით. იმ ფილმებზე მაქვს საუბარი, ევროპულ კინოს რომ სახელი და დიდება მოუტანა. სამაგიეროდ, იაფი გემოვნების მაყურებელს დიდიდან სადამომდე უტრიალებენ ამერიკულ ვესტერნებს, ხოლო გაუკუღმართებული სექსუალური ორიენტაციის მოქალაქეებს პორნოგრაფიულ და სექსუალურ ფილმებს.

რაც შეეხება სექსუალური გადახრებისადმი ევროპული დემოკრატიის დამოკიდებულებას, უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამერიკამ საბოლოოდ მოახვია თავს გაუკუღმართებული სექსის მიმდევრებისადმი ლოიალურზე უფრო მეტი დამოკიდებულება. 2016 წლის 26 თებერვალს იტალიის პარლამენტმა დააკანონა

ერთსქესიანი სქესობრივი ურთიერთობა. ეს იმას ნიშნავს, რომ მას ამერიიდან კანონი იცავს.

სორბონის, ლონდონის და ბერლინის უნივერსიტეტებში სტუდენტებს სპეციალურად ვკითხე, რა წიგნს კითხულობთ-მეთქი ამჟამად. ჩემი შეკითხვა სასაცილოდ არ ეყოთ. მერე კითხვა შევარბილე, ასწიოს ხელი, ვისა აქვს მეთქი წაკითხული ჰიუგოს, გოეთეს, შილერის, ბაირონის, შექსპირის, სტენდალის ნაწარმოებები? ორმოცკაციან სტუდენტურ აუდიტორიაში არცერთი ხელი არ აღიმართა.

ცუდად მენიშნა ახალგაზრდობის გულგრილობა კაცობრიობის ძველი და ნაცადი მეგობრის, მისი კეთილი მრჩევლის – წიგნის მიმართ.

დაუმთავრებელი განგაშის, შფოთისა და ძრწოლის ვითარებაში ევროპა ახალმა საერთაშორისო-პოლიტიკურმა ვითარებამაც ჩააგდო. ევროპას ძილი დაურღვია იმ გარემოებაში, რომ მისთვის სრულიად მოულოდნელად, ომის პარტიად წარმოჩინდა ახალი პოლიტიკური მოთამაშე პუტინის რუსეთი. იგი ლამის ერთდროულად, დღისით, მზისით მსოფლიოს თვალწინ თავს დაესხა ევროპის სამ სახელმწიფოს – საქართველოს, მოლდავას და უკრაინას. წაართვა მათ უზარმაზარი ტერიტორიები და არად ჩააგდო გაეროსა თუ ევროკავშირის მკვდრადშობილი, ვეგეტარიანული რეზოლუციები. ეს ფაქტობრივად მესამე მსოფლიო ომის დაწყებას ნიშნავდა, მაგრამ ევროპამ და ამერიკამ თავზე ხელი წაიფარეს და სამი ევროპული სახელმწიფოს ტრაგედია „სხვისი ჭირი ღობეს ჩხირის“ ანდაზაზე ჩამოკიდეს. სრული უმოქმედობა გამოიჩინა ნატომ, რომე-

ლიც ფაქტიურად ევროპის მთლიანობის შესანარჩუნებლად არის შექმნილი. როცა ამერიკის კონგრესმა განაცხადა, ჩვენ, უკრაინის, საქართველოსა და მოლდავას გამო, რუსეთთან კონფრონტაციაში არ შევალთო, ეს, ფაქტიურად, მგლის ხახაში ბატკნის ჩატოვებას ნიშნავდა, რამაც პოლიტიკურად უტიფარი რუსეთი კიდევ უფრო გაათამამა და ააშვებინა აფრა „მე ვარ და ჩემი ნაბადის“ ჰანგზე.

არავის ეგონოს, რომ ევროპის ზემოთ ხსენებული სამი სახელმწიფოს ნაწილობრივი ანექსია ევროპის განწყობაზე არ აისახა. ევროპამ კარგად იცის, რომ აფხაზეთის, სამაჩაბლოს, დონეცკის, დნეპროპეტროვსკის და ყირიმის ოკუპაციიდან ერთი ნაბიჯია დარჩენილი პარიზისკენ, ბერლინისკენ და ლონდონისკენ რუსული ტანკების გაგზავნამდე, ხოლო ბალტიისპირეთის ქვეყნებმა კარგად იციან, რომ პუტინის აგრესიის უახლეს გეგმებში მათი დაბომბვა შედის.

ევროპაში ფაქტიურად ცივი ომი დამთავრდა და ცხელი ომის წინა კვირები დაიწყო.

ნიშნავს თუ არა ეს პოლიტიკური აბრაკადაბრა ევროპის კულტურის მშვიდი პერიოდის დამთავრებას? რა თქმა უნდა, ნიშნავს. შიშით გათანგულ ევროპაში მიგრანტთა ტერორისტული ჯგუფები დათარეშობენ. „სტუმართა“ ამ აგრესიული მძლავრობის შედეგი გახლდათ ამასწინათ გერმანიაში ერთ ქალაქში, ერთ ღამეში 100 გერმანელი გოგოს გაუპატიურება.

კულტურის რომელ თავისუფალ განვითარებაზე შეიძლება ლაპარაკი იმ ევროპაში, სადაც ქუჩაში თავისუფლად მოსეირნე ქალსა თუ მამაკაცში საიდუმლო პოლიციის აგენტი

შესაძლო ტერორისტს ხედავს. აკი დააკავეს 11 მარტს (2016) ბერლინში მამაკაცი, რომელსაც ჯიბეში ხელყუმბარა აღმოაჩნდა, იმ ხელყუმბარით იგი, არც მეტი, არც ნაკლები, ამერიკის საელჩოს აფეთქებას ცდილობდა.

ის, რაც ჭირს ქართულ მუსიკალურ კულტურას – მონური ქედის მოხრა ზანგურ-ამერიკული, ზოგჯერ ჯაზური და უფრო ხშირად კაკაფონიური მუსიკის წინაშე, ერთბაშად აღმოვაჩინე, რომ საქართველოზე უფრო მეტად ევროპის სენი ყოფილა. ისეთი მყვირალა, ჩხავილ-კნავილიანი, ყოველგვარი ლირიზმისაგან დაცილილი ჰანგებითაა გაჯერებული თანამედროვე ევროპული ესტრადა, რომ შენდაუნებურად ედიტ პიაფის, ივ მონტანის და თუნდაც შარლ აზნავურის სიმღერებიც კი მოგენატრება. სასოწარკვეთის ხმებს დაიჭერს გულისყურიანი მსმენელი თანამედროვე ევროპულ ე.წ. „მასიურ“ მუსიკაში და შეიძლება თამამად ითქვას, რომ იგი აბსოლუტურად ადეკვატურია თანამედროვე ევროპის სულიერი წონასწორობისა.

თუ დაათვალიერებთ ევროპის თანამედროვე მხატვართა გამოფენებს, დარწმუნდებით, რა დიდი განსხვავებაა, რენესანსს რომ თავი გავანებოთ, თუნდაც მეცხრამეტე საუკუნის მხატვრებსა და თანამედროვე მხატვრებს შორის. სამწუხაროდ, ეს განსხვავება წარსულის შემოქმედთა სასარგებლოდ მეტყველებს. სამემსრულებლო ხელოვნების დაბალი დონე, თვითმიზნური ჩხირკედელაობა ფორმის ძიების მიმართულებით, სრულიად აუხსნელი სახელოვნებო მოშვებულობა, რაც იმით გამოიხატება, რომ მხატვარი თავის ქმნილებაში სოციალურ ტკივილს არ დებს. ნახა-

ტის რებუსულ იერსახეში ეშმაკიც ვერ ამოიკითხავს, რა შთაგონებამ დაახატვინა, რისი თქმა სურდა მხატვარს. პასუხისმგებლობის გრძნობა არა მარტო წინაპართა, არამედ მომავალი თაობების წინაშე, რაც ყველა ხელოვანს უნდა ახასიათებდეს, აქ სრულიად იგნორირებულია, ფორმალური ძიებანი, მეცხრამეტე საუკუნის დასასრულისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის ხელოვანთ რომ ახასიათებდათ, სწორედ ის იყო; იმ დროს შეიქმნა უამრავი სახელოვნო სკოლა და მიმართულება, მაგრამ თუ პიკასოს და მოდილიანს (და მათს მიმდევრებს) რევოლუცია ხელოვნებაში შინაგან მოთხოვნილებად ჰქონდათ ქცეული და ყოველივე მათი სულიდან, მსოფლხედვიდან მოდიოდა, დღეს თანამედროვე ევროპულ მხატვართა უმეტესობის (განსაკუთრებით ფერწერასა და გრაფიკაში) ნახელავს ან თვითმიზნურის იერი დაჰკრავს ან უნიჭო ეპიგონობისა.

მიტოვებულ აკლდამებს ჰგავს ევროპის წიგნის მაღაზიები. სადაა რიგები სენის სანაპიროზე ჩამწკრივებული ბუკინისტების დახლებთან, ათასში ერთხელ თუ ჩამოივლის წიგნის მყიდველი და ან „ბიბლიას“ დაემებს, ან დოკუმენტურ წიგნებს ნაპოლეონზე, სტალინზე, ჰიტლერზე... ამ ვითარებას თავისი ახსნა აქვს; ვისღა დაუმალოთ კლასიკური ლიტერატურისადმი თანამედროვე მკითხველის გაუცხოვების მიზეზი; ეს მიზეზი ისევ და ისევ, ევროპის ეთნიკურ-ეროვნული ექსპანსიიდან იღებს სათავეს. ინგლისურენოვანი, გერმანულენოვანი და ფრანგულენოვანი მკითხველი ცოტა დარჩა. გაურკვეველი ეროვნების მიგრანტი, თავისი სახელდახელოდ ნასწავლი საყველპურო

ენით შექსპირის და ბაირონის, ჰიუგოს და ვოლტერის, გოეთეს და შილერის მკითხველი ვერ გახდება. იგი ვერ უპატრონებს დიდ ევროპულ კულტურას იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამ კულტურაში არ გაზრდილა, მისი დიდებულება არ შეუსისხლხორცებია.

კითხულობ თანამედროვე ევროპულ მწერალთა დიდი უმრავლესობის „ჩანახატებს“ (ავტორები პრეტენზიულად „რომანს“ რომ არქმევენ) და გული გწყდება. დაუკმაყოფილებლობის გრძნობა გიჩნდება. სადაა ის კლასიკური სიუჟეტი ერთბაშად რომ მიგაბამდა ნაწარმოებზე, სადაა ფრაზის მოქნევა, კოლორიტული ხასიათები, დაუვიწყარი პასაჟები.

ევროპამ ერთბაშად გადააფარა და მოძველებულად მიიჩნია კლასიკური ჟანრები – რომანი, ნოველა, მოთხრობა, პოემა. თანამედროვე ევროპულ მწერლობაში ეს ჟანრები ტრადიციული სახით აღარ არსებობს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მწერლებმა საქმე გაიადვილეს, არად დაგიდევენ კომპოზიციის, სიუჟეტის, ენობრივი დახვეწის ტრადიციულ კანონებს.

მწერლობის აბუჩად აგდებას, ჭემარიტი მაღალმხატვრობის იგნორირებას მხსნელ ბერკეტად მოევლინა ლიტერატურულ ავანტურისტთა ჯგუფის მიერ გამოგონილი პოსტ-მოდერნიზმი. იგი უნიჭობის დაფარვას, ლიტერატურული კანონებიდან გაქცევას, მხატვრული ტექსტის გაუკუღმართებას უწყობს ხელს.

სავალალო ის არის, რომ პოსტ-მოდერნიზმმა უკვე მუსიკაშიც, სახვით ხელოვნებაშიც, თეატრსა და კინოშიც დაივანა. პოსტმოდერნიზმი კლასიკის ალტერნატივად ითვლება,

უფრო მეტიც, იგი აბუჩად იგდებს ტრადიციას ხელოვნებაში.

ვითარების შეცვლა ევროპას უკვე გარეგნულადაც დაეტყო. ჩაიხანებსა და ნარგილეს კლუბებში, როსკიპთა უზუნდარული მიმორხევის მიღმა ობობებივით სხედან ბარ-რესტორანთა „ახალი პატრონები“ და მუშტარს ელიან არა მარტო დიდი ქალაქების გარეუბნებში, უკვე ცენტრალურ ქუჩებშიც კი ღია ფანჯრებიდან ხმასაწეული დინამიკებიდან შიქსტები და ბაიათები გელვრებათ თავზე.

ამ „თეატრს“ ფრთხილად გარს უვლის შლაპოსანი, ხელქოლგიანი „ძველი“, ევროპელი ფრთხილად რომ „ვინმემ“ თავის ქვეყანაში, თავის მწარე ფიქრებში ჩაძირულს შეურაცხყოფა არ მიაყენოს.

ასეთია თანამედროვე ევროპის სამწუხარო რეალობა.

...და ნაცვლად იმისა, რომ ევროპის კულტუროსნებმა შექმნან დედა-

მიწის ამ უმშვენიერესი კუთხის დრამატული სვისადმი მიძღვნილი მხატვრული ტილოები, ნაცვლად იმისა, რომ ხელოვნებამ პოლიტიკოსებს უკარნახოს ევროპის კულტურის გადარჩენის გზები, ნაცვლად იმისა, რომ ლიტერატურაში დაიხატოს ათასი მხრიდან შევიწროვებული თანამედროვე დაბნეული ევროპელი, რომლის სახლის კარებსაც გაუგებარი ყაყანი და მუქარით უკვე მოადგნენ დაუპატიჟებელი სტუმრები, სასოწარკვეთილი ევროპა პირქვე წაწოლილა და იმაზე მსჯელობს, გეების პარადი სად ჩაატაროს და ერთსქესიანთა ქორწინება როგორ დააკანონოს.

მე, რევაზ მიშველაძე, ამ წერილით საგანგაშო ზარებს ვარისხებ: ისტორიის კიდევ ერთი ტრაგედია თამაშდება, თვითმყობადი, განუმეორებელი ევროპული კულტურა ჩვენს თვალწინ ქრება.





## სოსო სიგუა

### ჰიმნოგრაფიული პოეზია და მუსიკა

როგორც პავლე ინგოროყვა აღნიშნავს, პოეტის აღმნიშვნელი ტერმინი ძველქართულ მწერლობაში იყო „სიტყვისმოქმედი“, „გამომთქმელი“, „გამომეტყველი“, „სიმღერის მწერალი“, მგოსანი, მელექსე, მოშიარე.

ლექსი ბერძნულიდან მომდინარეობს, შაირი – არაბულ-სპარსულიდან, ისევე როგორც მგოსანი.

მას უკავშირდება გალობა.

ბერძნული პოეტი (poietes) ქართულად უთარგმნიათ როგორც „სიტყვისმოქმედი“.

უცნაურია, ძველქართული ენა სავსეა ბერძნიზმებით და რაღა ამ სიტყვის მიმართ იჩენდნენ პურიტანიზმს.

შეიძლება იმიტომ, რომ პოეტი წარმართი ელინელების ასოციაციას იწვევდა.

ძველ დროში ლექსი იმდერებოდა ან რეჩიტატივით წარმოითქმოდა. ამიტომ დაერქვა პოეტს სიმღერის მწერალი. მაგრამ სიმღერასაც წარმართული ძირი ჰქონდა – იგი რიტუალების, სახიობისა და თამაშის ნაწილი იყო.

ბერძნული ლექსი (lexis) ნიშნავდა როგორც სიტყვას, ისე გამოთქმას, რაც განსხვავდებოდა ყოფითი ან პროზის ენისაგან.

ლიტურგიაში გამოყენებული ტექსტები ჰიმნებად იწოდებოდა, რომელთაც ქართულში შეესატყვისება

საგალობელნი, გალობანი, დასდებელნი (პ. ინგოროყვა).

სიმღერა, ისევე როგორც ცეკვა-თამაში, ხუმრობა და სიცილი, საერო პირთა ჩვეულება იყო.

ეკლესია სიმღერას გალობით ცვლიდა, რომელსაც ჰქონდა მკაცრად ინტელექტუალიზებული, თეოლოგიური რეპერტუარი, განრიგი, კალენდარი, ხმა და ჰანგი, ჰყავდა შემსრულებელთა საეკლესიო გუნდი.

ერთი იყო პოეტური ტექსტის დაწერა, მასზე მუსიკალური ჰანგის მორგება, მეორე – შესრულება, რომელსაც სჭირდებოდა გამორჩეული ხმა, ღვთისმსახურების პროცესში ჩართვა, ტაძრის აკუსტიკასთან მორგება.

ამიტომ ვწერთ ხშირად, რომ ღვთისმსახურების პროცესი იყო ასკეტიკურ-მისტიკური სპექტაკლი, სულიერების ზეიმი, უფლის დიდებით მიწიერ ვნებათა და ტკივილთაგან განთავისუფლება, სიმშვიდის მოპოვება.

ჰიმნოგრაფიულ ტექსტებს ჰქონდა ეკლესიის მიერ კანონიზებული, ლიტურგიისათვის განკუთვნილი ფორმები, სიტყვიერ-მეტრული და მელოდიკურ-მუსიკალური სტრუქტურა.

ხელოვნება პირობითობაზეა აგებული, რელიგია არ სცნობს პირობითობას – იგი რეალობად იღებს მისტიკურ ფანტაზირებას.



## ფსალმუნური ტრადიცია

ჰიმნოგრაფია კიდევ უფრო მჭიდროდ იყო დაკავშირებული ღვთისმსახურებასთან, საეკლესიო პრაქტიკასთან, ვიდრე ჰაგიოგრაფია.

ქრისტიანობამ იგი გადმოიტანა ებრაული სინაგოგიდან, ებრაული მღვდელმსახურებიდან.

ეკლესიებში თავიდან გალობდნენ ფსალმუნებს. სხვა ჰიმნების შესრულება 365 წლიდან აკრძალულიც კი იყო. მაგრამ იზრდებოდა წმინდანების რიცხვი, ძლიერდებოდა უფლის დიდება, გამარჯვებული ეკლესია პატივს მიაგებდა ქრისტეს, წმ. მარიამს, მოციქულებს, მათ, ვინც სიცოცხლე გასწირეს მაცხოვრისათვის, საწყისსა და პარალელებს ეძებდა ძველ აღთქმაში.

ძველი აღთქმის რეპერტუარი, ფსალმუნები, წინასწარმეტყველთა გალობანი ვეღარ ასახავდა რეალობას. რთულდებოდა თავად ღვთისმსახურების პროცესი. იგი ივსებოდა ახალი სიმბოლოებითაც, რასაც წარმოქმნიდა დეტალიზება, ნიუანსობრივი დაყოფა, ჰომილიები და ლოცვები.

ეკლესიამ არათუ დაუშვა ახალი ჰიმნების გალობა, არამედ – ისინი განალაგა საწელიწდო კალენდრის მიხედვით, მიუსადაგა კონკრეტულ დღესასწაულს, წმინდანთა და მოწამეთა ხსენებას.

ამის მიხედვით შეითხზა საგალობელთა ტექსტები.

იგი აერთიანებდა ხელოვნების ორ დარგს – პოეზიასა და მუსიკას, თუმცა დღევანდელი გაგებით არც სრული პოეზია იყო, არც სრული მუსიკა, რადგან ავტორი და დამკვეთი საეკლესიო პრაქტიკისათვის იყენებდნენ ტექსტს, რომელიც უნდა ეგალობათ.

აქ მთავარი იყო დიდება, ხოტბის ჰათოსი, რომელიც ივსებოდა სპეციფიკური ტერმინებით, ბიბლიური სახეებით, სახარების ალუზიებით.

ჰიმნოგრაფისათვის საფუძველი იყო დავით წინასწარმეტყველის 150 ფსალმუნი.

ფსალმუნები ეკლესიისათვის სახარების შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი ტექსტია, რომლის სიტყვა და ჰანგი ჟღერდა წირვა-ლოცვის დროს, ჟღერდა ეკლესიის თაღებში და დღემუდამ ახლდა მოწესისა და მორწმუნის ცნობიერებას.

ჰაგიოგრაფი სიუჟეტებს ამუშავებდა, პერსონაჟებს წარმოგვიდგენდა, მათ ცხოვრებას აღწერდა. ამიტომ სურდა თუ არა მაინც გადიოდა საეკლესიო მოთხოვნათა ფარგლებიდან და ცხოვრების სურათები შემოჰქონდა.

ჰიმნოგრაფი ასკეტიკურ-მისტიკურ განცდებს გადმოსცემდა და უფალს, ანგელოსებს, ქრისტეს, მოციქულებს, წმინდანებსა და წამებულებს განადიდებდა, მიმართავდა და ევედრებოდა უფალს.

ამის მიხედვით, დანიშნულების თვალსაზრისით, კ. კეკელიძე გამოყოფდა ლიტურგიკულ პოეზიას, რომელსაც ღვთისმსახურებაში იყენებდნენ, და სამოდერო-მოთხრობით პოეზიას.

ზოგ ჰიმნს კითხულობდნენ. გალობით შესასრულებელს კი ერქვა მეხური ჰიმნები. კითხულობდნენ წამღერებით, ღიღინით, რაც არ იყო ჩვეულებრივი დეკლამაცია.

დავითის ფსალმუნები არც მეტრს შეიცავს, არც რითმას. რითმა საერთოდ უცნობია ძველი სამყაროსათვის, შესაბამისად არც სტროფია გამოყოფილი.

ფსალმუნებს, ისევე როგორც ძველ შუამდინარულ პოეზიას, ახლავს მღელვარე სიტყვათნაკადი, პათეტიკა, განმეორებანი, სიტყვიერი ინვერსია, რეფრენი, აზრობრივი პარალელიზმი, რითაც განსხვავდება პროზისაგან.

იგი არის ის პოეტური ბაზისი, რომლისგანაც ფორმალური დიფერენცირებათა და დეტალიზებით გამოიყო სტროფი, მეტრი და სულ ბოლოს – რითმა ანუ პოეტური მეტყველება იქცა ლექსად:

„უფალმან მმწყსოს მე და მე არაჲ მაკლდეს. ადგილსა მწუანვილსა მუნ დამამკვიდრა მე: წყალთა ზედა განსასუენებელთასა გამომზარდა მე. მოაქცია სული ჩემი და მიძლოდა მე გზათა სიმართლისათა სახელისა მისისათვის. ვიდოდი ღათუ შორის აჩრდილთა სიკუდილისათა, არა შემემინოს მე ბოროტისაგან, რამეთუ შენ ჩემ თანა ხარ; კუერთხმან შენმან და არგანმან შენმა – ამათ ნუგეშინის – მცეს მე. განჰმზადე წინაშე ჩემსა ტაბლად წინაშე მაჰირვებელთა ჩემთა; განაპოხე ზეთითა თავი ჩემი და სასუმელმან შენმან დამათრო მე ვითარცა ურწყულმან, წყალობაჲ შენი, უფალო, თანამავალ მეყავნ მე ყოველთა დღეთა ცხორებისა ჩემისათა, დამკვიდრებად ჩემდა სახლსა უფლისასა განგრძობასა დღეთსა“ (ფსალმუნი 22).

შეიძლება ამ სტრიქონების თავისუფალი ლექსის ტაეპებად დალაგება, რასაც ახდენდა კიდევ გალობის მოდულაცია, საეკლესიო გალობის ნიშნები.

150 ფსალმუნი იყოფა 20 კანონად.

ფსალმუნების განშტოებად შეიძლება მივიჩინოთ ჰომილიები და ლოცვები, რომელთაც ახლავს ალილუია და მეტანია.

ზოგჯერ „უფალო შეგვიწყალენ“ 40-ჯერ უნდა თქმულიყო.

საეკლესიო კონსერვატიზმის გამო ღვთისმსახურების პროცესი დღესაც ისეთივეა, როგორც იყო 10 და 15 საუკუნის წინათ.

ასევე დარჩა ძველქართული ენა და ძველქართული კანონიზებული ტექსტები.

X-XI საუკუნეებში დასრულდა ქართული საგალობლებით და ბერძნული ჰიმნებით საწელიწდო კალენდრის ფორმირება, ძველი და ახალი საგალობლების კრებულთა – იადგარების შედგენა.

### საეკლესიო ფორმები

V-VI საუკუნიდან ბიზანტიურ მწერლობაში დაიწყო საგალობელთა თხზვა და მათი ლიტურგიაში გამოყენება.

გამოჩენილი ჰიმნოგრაფები იყვნენ რომანოზ მელიოდოსი, ანდრია კრეტელი, იოანე დამასკელი, კოზმა იერუსალიმელი.

ეკლესიაში კანონიზებული იყო იოანე დამასკელის (VIII ს.) ჰიმნები.

შემდეგ ბიზანტიური კანონები თარგმნეს ქართველმა ჰიმნოგრაფებმა, თარგმნეს უმთავრესი საგალობლები (მაგ., ანდრია კრეტელის „დიდი კანონი“ სამჯერ უთარგმნიათ – ექვთიმე ათონელს, გიორგი ათონელსა და არსენ ბერს თუ არსენ იყალთოელს), დაუმატეს ორიგინალურიც, რომელიც იმეორებდა ბიზანტიურ სტრუქტურას.

როგორც შენიშნავს „ნეემირებული ძლისპირის“ გამომცემელი გ. კიკნაძე, „ქართული ძლისპირი რიტმულ-მელოდიკური კალკია ბერძნული ირმოსისა“, „რიტმული სტრუქტური-

თაც ქართული ძლისპირი ბერძნულის იდენტურია“.

ეს ყველაზე ნათლად ჩანს ლიტურგიკული კანონის – დიდი ფორმის გალობათა სქემაში.

ჰიმნოგრაფიული კანონი 9 ოდისაგან შედგებოდა, რომელთა საწყისი იყო ძველი აღთქმა, რაც პარალელიზმის პრინციპით ივსებოდა ახალი აღთქმის სახე-სიმბოლოებით, იშლებოდა და იცვლებოდა ქრისტიანული რწმენისა და თავდადების მაგალითებით.

ფაქტიურად იგი არის რთული კონსტრუქციის სიმბოლურ-ალეგორიული პოემა, მისტიკური ხატვა-საგალობელი.

მისი ყოველი ოდა შეიცავს 3-4 სტროფს და ამოდის ბიბლიური არქეტიპებიდან:

I ოდა „უგალობდითსა“ არის მოსეს სამადლობელი უფლისადმი, როცა ზღვა გააპო უზენაესმა, ებრაელები გაატარა, ხოლო მდევარი ფარაონი და მისი ეტლები წყალმა შთანთქა.

II ოდა – „მოიხილესა“, მოსეს გაფრთხილებისა და მონანიების გალობა, უფლის ბრძანებით შექმნილა: „შეუწველი მაცვლის“ სახე სიმბოლური ღვთისმშობლისა და ქრისტეს აღუზიანა (ერთი პერიოდი II ოდა ამოაგდეს კანონიდან).

III ოდა – „განძლიერდასა“, ამოდის ანა წინასწარმეტყველის ღმერთის დიდებიდან, როცა მას, უშვილოს, ხანგრძლივი ლოცვა-ვედრების შემდეგ ძე გაუჩნდა;

IV ოდა – „უფალო მესმასა“. მისი საწყისია ამბაკუმ წინასწარმეტყველის დიდება უფლისადმი, ბაბილონელთა სასჯელის გამო;

V ოდა – „ღამითგანსა“ ისაია წინასწარმეტყველის საგალობლის გარ-

დასახვაა, როცა იგი ადიდებს უფალს იერუსალიმის გადარჩენის გამო;

VI ოდა – „ღადატყავსა“ იონას სადიდებელია უფლისადმი, როცა იგი სამი დღის შემდეგ გამოვიდა ვეშაპის მუცლიდან, როგორც ქრისტე სამი დღის დაფლვის შემდეგ აღდგა;

VII და VIII ოდები – „კურთხეულ არსა“ და „აკურთხევდითსა“ დანიელ წინასწარმეტყველის საგალობელთა გარდასახვაა, რომელსაც სამი ყრმა ალაველენს უფლისადმი გადარჩენის გამო.

IX ოდა – „ადიდებდითსა“ ღვთისმშობლის საგალობელია, რომელიც იმეორებს ანა წინასწარმეტყველის სიტყვებს.

ამდენად საგალობლებში წამყვანია თეოლოგიური აზროვნება, მისი მისტიკური რაციონალიზმი და არა მხატვრულ სახეთა ემოციურობა და ესთეტიზმი, მთავარია ამ არქეტიპთა ახალი პროექცირება (ს. ცაიშვილი, ნ. ნაკუდაშვილი).

კანონის ფორმით მრავალი ტექსტია თარგმნილი და დაწერილი, მათ შორის – წმ. გიორგის საგალობლები, რომელთაგან 9 უთარგმნიათ VIII-XI საუკუნეებში (მაგ., იოანე დამასკელისა, კოზმა იერუსალიმელისა), სამი კი ქართულია – გრიგოლ ხანძთელისა (პ. ინგოროყვას აზრით), იოანე მინჩხისა და მიქაელ მოდრეკილისა.

პ. ინგოროყვას გალობათა შემომღებად ქართულ ჰიმნოგრაფიაში მიაჩნია გრიგოლ ხანძთელი.

ზეცაში ლიტურგიას ანგელოსები ასრულებდნენ, ტამარში – მღვდელმთავრები. ამ პროცესს დამზერდნენ ფრესკებად გამოცხადებული ძე ღვთისა და წმინდანები.

საკმეველთა სურნელს ერწყმოდა ხატი, სიტყვა და გალობა, რათა შექმ-

ნილიყო ცად აყვანების ილუზია, წმინდა სულის ზეობა.

სულხან-საბას განმარტებით, გალობა იგივე ღვთისმეტყველებაა.

საგალობლებს წინ უძღვის სტროფი, რომელიც განსაზღვრავს კანონის მელოდიას და იწყება შესაბამისი ბიბლიური სიტყვით.

მათ კრებულს ბიზანტიურად ერქვა ირმოლოგიონი, ქართულად – ძლისპირნი და ღვთისმშობლისანი (გამოსცა ელ. მეტრეველმა).

ისინი უძღოდა იადგარებსა და პარაკლიტონებს.

კანონებამდე ბიზანტიურ ღვთისმსახურებაში გავრცელებული იყო კონტაკიონები (მაგ., რომანოზ მელოდოსისა).

ღვთისმსახურების პრაქტიკაში გამოუმუშავდა სპეციფიკური ტერმინები, რომლებიც აღნიშნავდნენ ჰიმნების ფუნქციასა და შესრულების გრაფიკს. მაგ., საგალობლები შვიდეულისათვის იყო ოკტოიხოსი. ბერძნულად სადა დღეების ჰიმნებს ერქვა პარაკლიტონი.

დიდმარხვის პერიოდის საგალობლებს ეწოდება მარხუანი და ზატიკონი, ადრეული ტერმინით – „ხუედრნი“ (კ. კეკელიძე).

დასდებელი ნიშნავდა ფსალმუნების მიმატებას, როცა ლოცვებს, ადგილებს ბიბლიიდან დაერთო ახალი საგალობლები.

თთუენი იყო საწელიწდო კალენდრის მიხედვით შეთხზული და შეკრებილი საგალობლები (მაგ., გიორგი ათონელისა).

ჰიმნოგრაფიული თთუენი იყო საგალობლები წმინდანებსა და საუფლო დღესასწაულებზე, ხოლო ჰაგიოგრაფიული თთუენი – საკითხავები.

თთუენიდან გამოკრებილ საგალობლებს სტიქარონი ეწოდებოდა (მცირე ფორმისა).

ჰიმნები შედგებოდა ირმოსისა (ძლისპირნი) და ტროპარისაგან (დასდებელი).

ძირითადი იდეა მოქცეული იყო ირმოსის სტროფში, რომლის გაშლა და გავრცობა ტროპარის სტროფები (პ. ინგოროყვას ტერმინით – ანტისტროფი).

ცალკეულ ჰიმნებს ჰქონდა აკროსტიქი (კიდურწერილობა), რაც ასევე ბერძნულიდან გადმოიტანეს.

აკროსტიქი გვაუწყებდა როგორც ავტორის სახელს, ისე გადმოგვცემდა ვრცელ და რთულ წინადადებას, რომელშიც საგალობლის იდეა იყო მოცემული. იგი ტექსტის გამაერთიანებელი იყო. მაგ., იოანე მინჩხის „გალობანი წმიდისა გეორგისის“ კიდურწერილობა ასეთია: „წმიდავო გეორგი, შეეწიე გეორგი მეფესა წინაშე მეუფეთა მეუფისა და ადიდე“.

X საუკუნიდან, ჰაგიოგრაფიის მსგავსად, ჰიმნოგრაფიაშიც დაიწყეს ტექსტების გადაკეთება ანუ მელოდიის თვალსაზრისით მორთვა, როცა სიტყვას აღემატა საეკლესიო მუსიკა.

ზოგი ჰიმნის გალობის დროს ყველანი – მღვდელმთავრებიც და მლოცველნიც ფეხზე უნდა მდგარიყვნენ. ეს იყო სამადლობელი ღვთისმშობლისადმი და ეხებოდა ქრისტეს დაბადების სიხარულს.

მას აკათისტო ერქვა, ქართულად – დაუჯდომელი, რუსულად – неседален.

ამჟამად აკათისტოს ავტორად ითვლება რომანოზ მელოდოსი (მაგლობელი, VI ს.). ამ ვრცელი ტექსტის თითქმის ყოველი ტაეპი იწყება ცნო-

ბილი რეფრენული მიმართვით – „გიხაროდენ“.

როგორც ვთქვით, ქართული საგალობლები იმეორებდნენ ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ფორმებს. არსებით განსხვავებას ქმნიდა ენის ფაქტორი.

საეკლესიო წესები მკაცრად იყო დაცული.

როგორც ქართული, ისე ბიზანტიური ღვთისმსახურების პრაქტიკაში საგალობელთა ფორმებს ჰქონდა კონკრეტული ფუნქცია და მტკიცე რეგლამენტი. მაგ.: მარხვანის საგალობლებში უნდა აესახათ „დიდმარხვის თითოეული დღის ლიტურგიკული განგება-კალენდარი და ძველი და ახალი აღთქმის საკითხავები; შესაბამისი შვიდეულების ძირითადი ხსენებები: დიდმარხვის დღეთა განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე „სწორების“ (მსგეფსის) ხსენებები; შესაბამისი ფსალმუნდასდებლები; შვიდეულის დღეების უცვლელი ხსენებები. ამას გარდა, მარხვანისათვის განკუთვნილ საგალობლებში აისახება მარხვის პერიოდისათვის დამახასიათებელი მოტივები, განწყობილებები, ტრადიციული სახეები და ხსენებები; საეკლესიო კრებების დადგენილებები, იმდროინდელ დოგმატიკურ აზროვნებაში მიმდინარე ცვლილებები, შესაბამისი ძლისპირ-ღმრთისშობლისანები“ (ლ. ხაჩიძე).

მიღწეულია მცირე ფორმის საგალობელთა – ძლისპირთა კრებულების 60-მდე ხელნაწერი (გ. კიკნაძე). მათ პ. ინგოროყვა ჰყოფდა სამ რედაქციად. სახარების მიხედვით, უფლის სიტყვა იყო თესლი. უფალი იყო მთესვარი, რომელმაც კაცთა გულში სიტყვა დათესა და იგი გალობით გაღვივდებოდა მსმენელის მეხსიერებაში და ერთი გრძნობადი, მის-

ტიკურ-ასკეტიკური აზრით განმსჭვალავდა.

### მეტრულ-სტროფული სტრუქტურა

ჰიმნოგრაფიული ტექსტები, ისევე როგორც ფსალმუნები და ბიბლიური საგალობლები, პროზის ფორმით იწერებოდა, მათ შორის – ხშირად იამბიკონიც. მაგრამ ტაეპები გამოიყოფოდა წერტილებით.

ბიზანტიურ მწერლობაში, საგალობელთა ტექსტებში მეტრული სისტემა აღმოაჩინეს XIX საუკუნეში ბენედიქტელთა ორდენის ბერმა პიტრამ, კონსტანტინე იკონომისმა და მონემ.

პიტრამ წაიკითხა გრამატიკოს თეოდოსი ალექსანდრიელის მინაწერი, რომელიც იუწყებოდა, რომ ვისაც სურს კანონი (საგალობელი) შეთხზას, ჯერ ირმოსის მელოდია უნდა დაადგინოს, შემდეგ ტროპარები შეუდგინოს, რომელთაც იმდენივე მარცვლები ექნება, რამდენიც – ირმოსს და მახვილებიც იმავე ადგილებზე მოუვაო.

ბიზანტიური საგალობლების რიტმიკა ემყარებოდა ორ პრინციპს – მარცვალთა ოდენობას (მეტრს) და მახვილთა განლაგებას ანუ სილაბურობასა და ტონურობას (ს. ყაუხჩიშვილი), რაც არსებითად განსხვავდებოდა ანტიკური ლექსთწყობისაგან, კვანტიტეტისა (ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლე) და დაქტილური ჰეგზამეტრისაგან.

მისაღები აღმოჩნდა იამბური ტრიმეტრი, რომლისგანაც გამოიყვანეს 12-მარცვლიანი ტაეპი, აქედან კი – ძველქართული იამბიკო, რომელიც ცეზურით ორად იყოფოდა (5+7 და 7+5).

პიტრას მსგავსად პავლე ინგორო-ყვამ ქართულ საგალობლებშიც, როგორც თარგმნილში, ისე ორიგინალურში, იგივე სისტემა აღმოაჩინა.

ამის მიხედვით, გამომდინარე მეტრულ-სტროფული სტრუქტურიდან, გამოჰყო სამი სახეობის ლექსი:

1. სილაბური მუხლედოვანი ლექსი ანუ ძველ-ქართული კლასიკური ლექსი;
2. სილაბური უკვეთელი ლექსი, საგალობელთა მარცვლელი ანუ ძველქართული თავისუფალი ლექსი;
3. წყობილი სიტყუა რიცხუედი, თავისუფალი უმარცვლელი ლექსი შინაარსობლივ-ტაეპობრივი რიტმიკით.

პ. ინგოროყვამ უამრავი მაგალითი, ცხრილები და სქემები მოიყვანა თავისი დებულებების დასამტკიცებლად, თუმცა მათი გაზიარება შეუძლებლად ცნეს კ. კეკელიძემ, აკ. გაწერელიამ, ვ. გვახარიამ, გ. იმედაშვილმა, ნ. ნაკუდაშვილმა, აპ. სილაგაძემ.

ამ თეორიას მომხრეებიც საკმაოდ ჰყავს – ალ. ბარამიძე, მ. თარხანიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, ელ. მეტრეველი, ლ. ჯღამაია, ნ. კვირიკაშვილი, გ. კიკნაძე, ლ. ხაჩიძე, რ. ჩხეიძე.

ასეთი პრინციპით დაწერილ საგალობლებს რიტმულ პოეზიას უწოდებენ, როგორც ბიზანტიურში, ისე ქართულში.

მაგრამ ტერმინი მართლაც არასწორია დღევანდელი თვალსაზრისით. გამოკვეთილი რიტმი არათუ საგალობლებს, როგორც ვნახეთ, ჰქონდა ძველ ქართულ ენასა და პროზასაც კი.

რიტმი აღრეულ იქნა მეტრთან ძველსავე დროში, როცა მათი მნიშვნელობანი არ იყო გარჩეული.

პ. ინგოროყვას თეორიაში სადავო იყო „საგალობელთა მარცვლელის“ ფანტასტიკური პოლიმეტრია, რომ თითქოს გალობათათვის X საუკუნის დასასრულისათვის არსებულა 893 „სტროფულ-ტაეპობრივი საზომი“, ხოლო – სტიქარონათათვის – 324!

აკ. გაწერელიას სიტყვით, „ამდენი საზომი არ იცის მსოფლიო პოეზიაში“.

აპ. სილაგაძე მათ თვლის არა მეტრულ ლექსად, არამედ – „რიტმულად ორგანიზებულ სტრუქტურად“.

აი, ერთი ნიმუში ასეთი პოლიმეტრიისა მიქაელ მოდრევილის „აღვსების გალობანიდან“, გალობა VI:

„მხედრისა მიერ რაჟამს განელო – 10  
საღმრთო გუერდი შენი, ქრისტე – 8  
გარდამოსწუთეს წუეთნი – 6  
სისხლისა და წყლისანი – 7  
და შეწუეს ჯოჯოხეთი – 7  
საფუძველითურთ. – 5  
ხოლო რაჟამს გიხილა შენ ქუესკენელ-  
მან – 11  
სამარესა დადებული, – 8  
შემრწუნდა და ზარ-განხდილმან  
განუტევნა – 12  
სულნი საუკუნითგანნი – 8  
შემრწუნდა და ზარ-განხდილმან  
განუტევნა – 12  
სულნი საუკუნითგანნი – 8  
მძინარენი, – 4  
ადამისა ურჩებიტა მომწყდარნი“ – 11.

ამ სტროფის საზომებს ტაეპობრივი თანამიმდევრობით იმეორებს მომდევნო სტროფი:

„და ელვისა მსგავსი ანგელოზი – 10  
რაჟამს იხილეს მცველთა მათ – 8  
მცხონვარებისაგან – 6  
დაცუეს ქუეყანასა – 7  
ზარ-განხდილნი შიშითა; – 7  
ხოლო დედათა, – 5

გლოვისა წილ, სიხარული აუწყა – 11  
ლაღადებით ეტყოდა მათ: – 8  
„გიხაროდენ, ქრისტე აღდგა, ვითარ-  
ცა თქუა,“ – 12  
ღირსნო! არამედ წარვედით – 8  
და ახარეთ – 4  
მოწაფეთა მისთა აღდგომად ღმრთი-  
სად“. – 11

როგორც ვხედავთ, სტროფები შედგება 12-12 სტრიქონისაგან, არათანაზომიერი ტაქებისაგან. ისინი მეორდება დიდი ინტერვალებით, რადროსაც ქრება რიტმის აღქმა და განცდა.

აქ სტროფი რეალურად არის პროზის აბზაცი, რომლის უთვალავ ვარიაციას გვაცნობს მკვლევარი.

როგორც შენიშნავს ნ. ნაკუდაშვილი, ფსიქოლოგთა მონაცემებისა და დაკვირვების გათვალისწინებით, სხვადასხვა სიშორისა და სიგრძის საზომები ფსიქო-ფიზოლოგიურად აღარ აღიქმება.

მოკლე ინტერვალი უნდა იყოს 0,5 წამი, ოპტიმალური – 1 წამამდე, ხანგრძლივი – 2 წამამდე.

ამის შემდეგ რიტმის აღქმა შეუძლებელია.

საგალობელთა პოლიმეტრიულ სტროფებში კი დასაშვებ ნორმას ზღვარი სამჯერ და ხანაც 13-14-ჯერ აღემატება.

ამიტომ ვერსიფიკაციული თვალსაზრისით ასეთი სტროფი, ასეთი პოლიმეტრია არის მკვდარი ექსპერიმენტი.

რიტმს ისინი იძენენ გალობის პროცესში (ა.კ. გაწერელია).

კ. კეკელიძე აღწუსხავდა ცალკეულ გადაცდომებს, მიმატება-გამოკლებებს და მიიჩნევდა, რომ აქ არავითარი საზომი არ შეინიშნება.

მაგრამ თუნდაც ავტორს ან გადამწერს მოსვლოდა ცალკეული უზრუსტობანი, ასეთი მეტრული სქემა ნამდვილად არსებობს, ოღონდ მას საერთო არაფერი აქვს პოეტურ მგრძობელობასთან და ვერსიფიკაციასთან.

მისი ნამდვილობის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ მომდევნო სტროფი ანალოგიური თანამიმდევრობით იმეორებს მეტრულ სქემას, როგორც შენიშნავდა პ. ინგოროყვა.

დარღვევა კი გამოწვეული იქნებოდა ფსიქოლოგიური ფაქტორით – ვერც ავტორი, ვერც გადამწერი რეალურად ვერ შეძლებდა რიტმის აღქმასა და მეტრის დაცვას.

პოეტი ამოდის ენის პროსოდიული პოტენციიდან. იგი კი არ ქმნის მეტრულ სქემებს, არამედ – ავლენს მათ და ავითარებს.

რის საშუალებასაც ენა არ იძლევა, პოეტი ვერ შექმნის, ვერ გამოიგონებს – არადა – ხელთ შეგვრჩება ისევ მკვდარი ექსპერიმენტი, როგორც ფუტურისტული ზაუმი.

პოეტი ინსტინქტურად გრძნობს მეტრის რიტმიკას – ის არ ითვლის მარცვლებსა და ტაქებს.

ქართულ ვერსიფიკაციაში უკიდურესი ზღვარია 16 და 20-მარცვლოვანი საზომები. ისინიც რეალურად ცეზურით ორად იყოფა (8+8, 10+10).

ამის შემდეგ ხელოვნურ კონსტრუქციასთან გვაქვს საქმე. იგივე ითქმის 17, 18 და 19 მარცვლოვან საზომებზე.

მათი გამოყენება შეიძლება მომენტალურად, მაგრამ არა ხანგრძლივად.

ქართულმა ენამ იამბიკოც კი ვერ მიიღო, რომლის ცეზურით 5 და 7(7 და 5) მარცვლად გაყოფილი ტაქები გამოხატავდა არა ქართული, არამედ

– ბერძნული ენის სტიქიასა და ფარულ რიტმიკას.

ქართული ენისათვის ასევე უცხოა და არაბუნებრივი, შესაბამისად – არაპოეტური 8, 10 თუ 12 ტაეპიანი სტროფები.

იდეალურია ორტაეპედი და კატრენული სტროფი.

ხელოვნური, მწიგნობრული სალექსო სქემა, მისი დაცვის აუცილებლობა ხელს უშლიდა ჰიმნოგრაფს. იგი ვერც მისტიკურ, ღვთაებრივობის განცდას გამოავლენდა. საამისოდ შემოჰქონდა თეოლოგიური აბსტრაქციები, ბიბლიური სახე-სიმბოლოები, ალუზიები და პარალელები, საღვთისმეტყველო სქოლასტიკა.

რწმენის ფაქტორსა და ფაქტურას უნდა შეევეს პოეტური განცდის სინაკლებე, ხელოვნური კონსტრუქციები.

მაგრამ გაცილებით ბუნებრივი იყო „წყობილი სიტყვა“, თავისუფალი ლექსი, როგორც ბიბლიურ საგალობელთა და ფსალმუნთა გაგრძელება.

აქ უფლის დიდება, გრძნობათნაკადი არ იზღუდებოდა სქემებით.

ფსალმუნები, ეკლესიასტე, ქებათა ქება, წიგნი იობისა, სხვა ცალკეული წიგნები, ცალკეული ეპიზოდები, ტირადები და მონოლოგები დღესაც დიდ პოეტურ ძალასა და სიბრძნეს ასხივებენ.

კიდევ უფრო მეტად მოქმედებენ ისინი მოწესესა და მორწმუნეზე.

ახლა წარმოვიდგინოთ როგორი მნიშვნელობა ექნებოდა ბიბლიური სიტყვების პათეტიკას:

**„გარე მომადგეს მე საღმრთიანი  
სიკუდილისანი  
და ღუარათა უშჯულობისათა  
შემადრწუნეს მე“.**

ძველ ქართული წყობილი სიტყვა, პათეტიკა, რიტმიკა, ემოცია ყველაზე სრულად ვლინდებოდა ძველი და ახალი აღთქმის წიგნების თარგმანებში, რაც გადადიოდა მეტყველებაში, ელიტარულ წრეში, ჰაგიოგრაფიულ და საისტორიო ტექსტებში.

ეს იყო ბაზისი, რომლისგანაც დაიწყო სალექსო ფორმების გამოკვეთა, შემდგომი სტილიზება, რაც მკვდარ ექსპერიმენტად, „მექანიკურ სქემებად“ (აპ. სილაგაძე) იქცა ე.წ. რიტმულ პოეზიაში.

ამ მიმართულებით ვერ წავიდოდა ქართული ლექსი.

მეორე მიმართულება იყო იამბიკო და კლასიკური ლექსის პრაფორმები, რაც გულდასმით აქვთ აღნუსხული პ. ინგოროყვას, ს. ყაუხჩიშვილს, აკ. გაწერელიას, აპ. სილაგაძეს.

როგორც ვთქვით, იამბიკოც არ იყო ქართული პროსოდის შესატყვისი (მაგ., მეტრი და სტროფიკა). მაგრამ ჰქონდა ზუსტი, უცვლელი სტრუქტურა – 60 შეტყუება, სტროფში 5 ტაეპი, ტაეპში 12 მარცვალი, ზოგჯერ – რითმაც (მაგ., დემეტრესა და ბორენასთან).

იგი ისეთივე მათემატიკური სიზუსტის ფორმაა, როგორც სპარსული მუხამბაზი და მუსტაზადი, როგორც ევროპული სონეტი და ტრიოლეტი.

მაგრამ ქართულისათვის არაბუნებრივი და მძიმე აღმოჩნდა ხუთტაეპედი და არათანაზომიერი ცეზურით გაყოფილი 12 – მარცვლელი.

წყობილი სიტყვა იყო არქაული რიტუალებისა და ქურუმთა მსხვერპლშეწირვისა და იდუმალმეტყველების ენა, რომლის ფუნქციური მოდელირება მოახდინა ეკლესიამ, ქრისტიანულმა მწერლობამ (იხ. „ქართული ლექსის ფორმირება“).



## ტექსტის მუსიკალური განკვეთა

საღიქსო ფორმა ისევე სჭირდება ლიტურგიას, როგორც სცენარი-კინოფილმს, პიესა-თეატრს.

ამიტომ საგალობელთა ხელოვნური და დახლართული საზომების გამართლება იყო გალობის პროცესი, მათი გახმოვანება, ჰანგების მიხედვით გაწყობა, რომელთაც ავსებდა ტაძრის აკუსტიკა.

მართალია, ეკლესიისათვის მთავარი იყო ლოგოსი ანუ აზრი და არა მელოსი-მუსიკა. მაგრამ ჰიმნი აზრს ისედაც შეიცავდა, ოღონდ ეს არ იყო დამუშავებული ენის პროსოდიიდან გამომდინარე ვერსიფიკაციული ნორმებით.

აქ წამყვანი იყო მუსიკა, ჰანგზე მითითება, კილოების ნევმური ფიქსაცია. ნევმირებულ ტექსტებს ერქვა მეხური ანუ გალობით შესასრულებელი, ხოლო მეხელი იყო მგალობელი მუსიკოსი, ვინც საწელიწოდ რეპერტუარს კილოებს შეუწყობდა (ჯღამაია, მეტრეველი).

ის წითელი და შავი წერტილები, რაც პროზაულად დაწერილ საგალობლებს ახლდა, იყო მუსიკალური განკვეთის ნიშნები, სანოტო სისტემა და არა მეტრის აღმნიშვნელი. მაგრამ რადგან ტექსტი ემორჩილებოდა ჰანგს, ამავე დროს განკვეთის ნიშნები სტრიქონთა გამყოფიც ხდებოდა.

ჯერ დგებოდა ირმოსი – საწყისი სტროფი, მისი მელოდია, რაც ეწყობოდა სიტყვიერად მარცვალთოდენობას. შემდეგ ტროპარები იმეორებდნენ ფიქსირებულ მელოდიას, მახვილებს, საზომთა კომბინაციას.

დღესაც ბევრია პოპულარული სიმღერა, რომლის ტექსტი უმნიშვნელოა და პირიქით – არაერთი შე-

დევრი, მუსიკალობით გამორჩეული ლექსი ესტრადაზე ვერ აჟღერდა ან – ხალხმა ვერ მიიღო.

მაგ., მ. ფოცხიშვილის ტექსტებზე დაწერილი სიმღერები უფრო ცნობილია და გავრცელებული, ვიდრე გალაკტიონისაზე.

ასე რომ – ყოველ დროში ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა პოეზია და მუსიკა. ძველ დროში კი, როცა მთავარი იყო ტექსტის აჟღერება და არა თვალთ წაკითხვა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სიმღერას (გალობას), წამღერებით დეკლამაციას, ზეპირმეტყველებას.

ჰანგი ჰფარავდა ტექსტის როგორც ნაკლს, ისე ღირსებას, როცა ფუნქცია, შესრულების დრო და ადგილი, შემსრულებელთა დასი განსაზღვრული იყო. მაგ., მიქაელ მოდრეკილის იადგარში მითითებულია ჰანგი და მისი ცვალებადობა, ლიტურგიკული წესის თანამიმდევრობა, ჰანგის ხმა, საგალობლის ხასიათი (ვ. გვახარია).

ჰანგების რაოდენობა შეზღუდული იყო და მათ ეკლესია მრავალი საუკუნე უცვლელად იმეორებდა.

ასეთი კონსერვატიზმი იძლევა საფუძველს კილოთა პირველსახის წარმოსადგენად.

ამ იადგარის საგალობელთა პარალელური ტექსტები ფიქსირებული ჰქონია ხმათა მითითებით ლოტბარ ფილიმონ ქორიძეს, როგორც წარმოგვიდგინა ვ. გვახარია.

არც მას, არც პ. კარბელაშვილს არ ახსენებს პ. ინგოროყვა.

მან თავისივე თეორიით სცადა ძველქართული რელიგიური მუსიკის ამოხსნა (იხ. „ანტიკური ხანისა და საშუალო-საუკუნეთა ქართული მუსიკალური დამწერლობის ამოხსნა და ძველი ქართული მუსიკის აღდგენა“),

რადგან საამისო გასაღებს ტექსტების ნევემირებული სტრუქტურა იძლეოდა.

არსებითად მან ამოხსნა არა ძველ-ქართული მუსიკა, არამედ – ალადგინა რელიგიურ-მუსიკალური აზროვნების პროცესი, რაც თავისთავად დიდად მნიშვნელოვანია, თუმცა არასაკმარისი თეორიული ბაზისის გამო პოეტიკასა (აჰ. გაწერელია, აჰ. სილაგამე) და მუსიკისმცოდნეობაში (ვ. გვახარია) არაერთი გაუგებრობა აღძრა.

როცა იკვლევდა მუსიკის ფორმებს, იგი მიჰყვებოდა განკვეთის ნიშნებს და მათ მიხედვით ალაგებდა ტაეპებს, რამაც მოგვცა საზომების ფანტასტიკური სიმრავლე. არსებითად ეს იყო ჰანგების ვარიაცია, სიტყვიერ ტექსტში მარცვალთოდენობით ფიქსირებული.

როცა არსენ იყალთოელმა (პ. ინგოროყვა) თუ არსენ ბერმა (კ. კეკელიძე) დავით აღმაშენებლის ბრძანებით მესამედ თარგმნა ანდრია კრეტელის დიდი კანონი „გალობანი სინანული-სანი“, მუსიკა შეცვალა, როგორც ქართულისათვის უცხო:

ბერძნული ერთხმოვანია, ქართული – სამხმოვანი, რაც იოანე პეტრიწის მიხედვით ასე ნაწილდება:

1. მზახრი – მოძახილი,
2. ჟირი (ორი) – მაღალი ბანი,
3. ბამი – საკუთრივ ბანი, რაც ქმნის სიმთა და ხმათა ჰარმონიას.

სამხმოვანობის პრინციპს იოანე მიიჩნევდა ქრისტიანული ტრინიტეტის გამოვლენად.

პ. ინგოროყვამ მელნის ფერისა, შავი და წითელი წერტილების განლაგების მიხედვით ამოხსნა ძველი ტექსტების მუსიკალური ანბანი და შეუფარდა იგი თანამედროვე ტერმინოლოგიას.

ასე მიიღო ოქტავის რვასაფეხურიანი მწკრივი, ალადგინა საგალობელთა რვახმოანი სისტემა, 4 ძირითადი და 4 გვერდითი.

ეს იყო რვა ძირითადი სამუსიკო ნიშანი, რომელთა კომბინაცია იძლევა რთულ ბგერით სისტემას, ხმათა მონაცვლეობას, რეგისტრის ცვალეზადობას, ტონებისა და ნახევარტონების შერწყმას, ბგერათა გრძლივობას.

წინამძღვარი იყო ძლისპირი, რომელიც გადმოსცემდა წამყვან მელოდიას სამხმოიანი გალობისა.

ბერძნულში ირმოსი ასევე აერთიანებს საზომსა და გალობას.

ბერძნულში უპირატესია ლექსი, ქართულში – გალობა.

საერთოდ კი ჰიმნებში რიტმიკას არეგულირებდა გალობის კანონები. ამიტომ ბგერათა აქტივობის გაზრდით კომპენსირდებოდა საზომების დარღვევა (გ. იმედაშვილი).

პ. ინგოროყვა ძლისპირს ასე შლის – ძალის (ხმა, საკრავის სიმი) და პირი (პირველი, წინამძღვარი), როგორც ადრევე მიიჩნევდა ივ. ჯავახიშვილი.

მკვლევრის აზრით, ქართულ მუსიკალურ დამწერლობას უძველესი დროიდან კავშირი ჰქონდა ბერძნულ მუსიკასთან, რომელიც მცირეაზიური წარმოშობისა ყოფილა (აპოლონური მუსიკა – დორიულიდან, დიონისური – ფრიგიულიდან. შუალედურია ლიდიური).

ამ სივრცეშიც ერთმანეთს ხვდებოდნენ ელინური და ქართველური ტომები.

ამრიგად, საგალობელთა მარცვლედის მკვდარი ექსპერიმენტი, ხელოვნური მეტრულ-რიტმული სტრუქტურა გააცოცხლა მუსიკამ და განსაზღვრა მისი ფუნქცია კულტურის სისტემაში.

## კრებულები და ავტორები

ქართულად არსებობდა არაერთი ჰიმნების კრებული – „უძველესი იადგარი“ (VI-IX საუკუნეთა ბიზანტიური საგალობლების თარგმანები), გრიგოლ ხანძთელის „საწელიწდო იადგარი“, მიქაელ მოდრეკილის იადგარი, პალესტინური სკოლის იადგარი, გოლგოთური და ერუშენული კრებულები, ნევშირებული (მეხური) სძლისპირნი, გიორგი ათონელის 12 წიგნისაგან შემდგარი „თთუენი ათორმეტნი“...

სულხან-საბას სიტყვით, იადგარს ქართულად სახსენებელი ჰქვია.

იადგარი იყო საერთო სადღესასწაულო ჰიმნების კრებული, საგალობელი თთუენი წმინდანებსა და დღესასწაულებზე.

ნ. მარის სიტყვით, იადგარი ფალაური სიტყვაა და ეწოდებოდა მანიქველთა ჰიმნების კრებულს.

როგორც გიორგი მერჩულე გადმოგვცემს, გრიგოლ ხანძთელს დაუწერია „საწელიწდო იადგარი“.

X საუკუნისათვის იგი დაცული ყოფილა ხანძთის მონასტერში, სადაც მოღვაწეობდა გიორგი მერჩულე, გრიგოლის გარდაცვალებიდან თითქმის მთელი საუკუნის შემდეგ.

ალბათ, ეს იადგარი შედგებოდა როგორც ბიზანტიური, ისე ორიგინალური, თავათ გრიგოლის მიერ დაწერილი ტექსტებისაგან.

მერჩულის სიტყვით, მათი „სიტყუანი ფრიად კეთილ არიან“.

ეს იადგარი დაკარგულად მიიჩნეოდა. მაგრამ პავლე ინგოროყვას აზრით, იგი საფუძვლად დასდებია მიქაელ მოდრეკილის იადგარს (978-988 წწ.), რომელიც შატბერდში გადაუწერია ექვს მოწესეს (ვ. გვახარია).

იგი შეიცავდა 1264 გვერდს. მათგან მოღწეულია მხოლოდ 544 გვერდი.

ამ იადგარის დამკვეთი ყოფილა იოანე-თორნიკე ერისთავი, ყოფილი სარდალი, ექვთიმე ათონელის ძმა.

მიქაელ მოდრეკილს ქართულ ენაზე არსებული ყველა საგალობელი შეუკრებია. მასში შედის 193 გალობანი და 754 სტიქარონნი (გამოსცა ვაჟა გვახარია მამ ტომად 1978 წელს, კრებულის შედგენიდან ათასი წლის შემდეგ).

პ. ინგოროყვას აზრით, იგი არის გრიგოლის იადგარის გავრცობილი რედაქცია და ის ჰიმნები, რომელთა მთქმელი აღნიშნული არ არის, მიიჩნია გრიგოლ ხანძთელის შეთხზულად ან თარგმნილად.

ეს არის 71 გალობანი და 103 სტიქარონნი. მათ დაუმატა ანონიმური ჰიმნები ერუშენული, გოლგოთური და პალესტინური კრებულებიდან, რაც მთლიანად არის 156 გალობანი და 238 სტიქარონნი.

კ. კეკელიძემ ასეთი მტკიცება არადაამაჯერებლად ჩათვალა.

მოდრეკილის დაზიანებული, ნაკლებული ტექსტის შევსება შესაძლებელი გახდა სხვა ხელნაწერებით.

პ. ინგოროყვას აზრით, დანარჩენი იადგარებიც მომდინარეობდა გრიგოლის კრებულიდან და ამიტომ იგი მიიჩნია ქართული ჰიმნოგრაფიის ფუძემდებლად, კანონთა სისტემის დამამკვიდრებლად ქართულში.

პ. ინგოროყვამ მოგვცა ჰიმნოგრაფიული კრებულების პირველი „რედაქციული და ქრონოლოგიური კლასიფიკაცია“ (გ. კიკნაძე), რაც სადღესოდ გაზიარებულია, გამოყო ჰიმნოგრაფები, შეისწავლა მათი უამრავი ტექსტი და დაბეჭდა.

X-XI საუკუნეთა ქართულ ჰიმნოგრაფიას არაერთი საინტერესო ავტორი ჰყავდა, რომელთაც სცადეს ბიზანტიური ტრადიციების გადმოტანისა და ათვისების შემდეგ ორიგინალური სიტყვაც ეთქვათ. მაგ., სპადუქნი (მორთულნი) შემოუღია იოანე მინჩხს (X ს.).

იოანე მინჩხი ნაკლებად არის წარმოდგენილი მიქაელ მოდრევილის იადგარში. ივ. ჯავახიშვილისა და პ. ინგოროყვას პუბლიკაციებით ცნობილი იყო მისი 6 კანონი და 41 მცირე ფორმის საგალობელი.

ლ. ხაჩიძემ ძველ ხელნაწერებში გამოავლინა მინჩხის 77 უცნობი საგალობელი, რომლებიც აგრძელებენ იერუსალიმური მარხვანების ტრადიციას.

პ. ინგოროყვამ გამოჰყო „მერჩულიულნი უცხონი“. მათი ავტორია გიორგი მერჩულე, რომელმაც ჰიმნოგრაფიულ ტექსტებს შეჰმატა ალიტერაციული წყობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველი გალობის სტროფული ერთეული (ტროპარი, დასდებელი) იმავე ბგერით იწყება, რომლითაც – ძლისპირი.

გიორგი მერჩულეს დაუწერია საგალობელნი სამარადისონი რვახმანი (48 გალობანი, მოღწეულია 10) და საგალობელნი აღვსებისანი რვახმანი (21 გალობანი და 46 სტიქარონი).

ასევე ცნობილი ჰიმნოგრაფები იყვნენ მაკარი ლეთეთელი (IX ს.), იოვანე მტბევარი (X ს.), ეზრა (X ს.), სტეფანე სანანოძისძე – ჭყონდიდელი (X ს.), იოანე – ზოსიმე (X ს.), ექვთიმე ათონელი (X ს.), დავით აღმაშენებელი („გალობანი სინანულისანი“, ანდრია კრეტელის ლიტურგიკული კანონის „გალობანი სინანულისანის“ მიხედვით).

განსაკუთრებით დიდია ლიტურგიკული პოეზიის დარგში გიორგი ათონელის ღვაწლი (XI ს.), რომელსაც ეკუთვნის თარგმნილი და ორიგინალური ჰიმნების 19 წიგნი („თთუენი ათორმეტნივე სრულიად“ – 12 წიგნი, „დიდი პარაკლიტონი“ – 2 წიგნი, „დიდი მარხვანი“, „ზატკინი“), სულ – დიდი ფორმის 1000–ზე მეტი საგალობელი!

### უფალი და სასუფეველი

ჰიმნოგრაფიაში ხოტბის ტრიადული სისტემაა წარმოდგენილი: ღმერთი – წმინდანი – მწირი (გლახაკი). იგი შეესაბამება თეოლოგიურ იერარქიას – ღმერთი – ლოგოსი (ქრისტე) – ადამიანი.

ჰიმნოგრაფი განადიდებს და უგალობს ქრისტიანულ სამებას, სასუფეველს, წმინდანთა მხედრობას.

წმინდანი ღვთაებას ზიარებული ადამიანია, ვინც დატოვა მიწიერი სარბიელი და ანგელოსთა დასს შეერთო.

თუ იესო მიწად ჩამოვიდა და განკაცდა, რათა შვეება მოეტანა ადამის ძეთათვის, წმინდანი მიწიერისა და ბიწიერისაგან განწმენდილი.

მორწმუნისათვის მიცვალება არის საბოლოო მიზანი.

განდიდებით, გაზვიადებით, ჰიპერბოლიზებით, განცვიფრებით ჰიმნოგრაფია უახლოვდება ჰომილეტიკას, რომელიც ეფრემ მცირის განმარტებით „არს ზეპირად პირისპირ თქუმა“.

შინაარსობრივად ქადაგებანი ასე ჯგუფდება:

- ა) სადღესასწაულო ქადაგებანი;
- ბ) „პანეგერიკები ან ხოტბა-შესხმანი, ეგრეთწოდებული ენკომი-

ები, მოწამეთა და წმიდათა სახელობისა, რომელთაც აგიოგრაფიული საფუძველი აქვთ“ (კ. კეკელიძე);

გ) ეპიტაფიები ან მიცვალებულთან თქმული სიტყვები;

დ) საკუთრივ ქადაგება ანუ ჰომილია.

პანეგერიკი ჰიმნოგრაფიული ტექსტების თვისებაა. ქება არის ხილვა-წარმოსახვა და არა მოქმედების ჩვენება, როგორც ჰაგიოგრაფიაში.

ჰომილეტიკისა და ჰიმნოგრაფიკისათვის მთავარია ფაქტის განდიდება, მისტიკური ეპითეტებით შემკობა.

ჰიმნოგრაფი მისტიკურსა და ირრეალურს წარმოგვიდგენს როგორც არსებულს, ხოლო რეალური გადაჰყავს საღმრთო ნისლში.

ეკლესია ებრძოდა პოეტურ სამკაულებს. მაგრამ ხოტბას ახლავს ეპითეტების სიმრავლე, სახე-სიმბოლოები, განსაკუთრებული შარავანდედი.

ამქვეყნიური წარმავლობა თითქოს სევდას არ უნდა იწვევდეს, მაგრამ მას მოსდევს განკითხვა, რაც აღძრავს უფლისადმი ვედრებას:

**„ჟამი რამ წულილთა და ხმელთა  
აღმოფშვნივათამ წარმოდგეს,  
ზარი მეფობისამ წარხდეს და  
დიდებად დაშრტეს,  
შუებანი უქმ იქმნენ,  
ყუავილოვნებამ დაჭნეს,  
სხუამან მიიღოს სკიპტრამ,  
სხუასა შეუდგენ სპანი,  
მაშინ შემიწყალე, მსაჯულო ჩემო“**

(დავით აღმაშენებელი,  
გალობანი სინანულისანი,  
გალობა VIII)!

ჰიმნოგრაფიული ტექსტების საუკეთესო ადგილები არა ხოტბა-პანეგერიკი, არამედ – ფაქტის გააზრება, შინაგანი ღელვის, განცდისა და ტკი-

ვილის გამოვლენაა, რასაც ზღუდავდა ეკლესია:

**„ეკუეთნეს ქარნი იგი  
საშინელნი განსაცდელთანი –  
გოდოლსა სულისა  
წმიდისა აღშენებულსა,  
წმიდასა მას მოწამესა  
და ზღუდესა მორწმუნეთასა,  
ხოლო ვერ შეარყიეს სიმტკიცე მისი,  
რამეთუ დამყარებულ იყო  
არა ქვიშასა ზედა, არამედ  
კლდესა ზედა ქრისტეს მცნებათასა“**

(იოანე მინჩხი, გალობანი  
გიორგისნი, გალობა V).

**„ნუ მტირ მე, დედაო, რაჟამს  
მიხილო მე ძე შენი საფლავსა დადებულ“**

(გიორგი მერჩულე).

როგორც გ. იმედაშვილი შენიშნავს, საგალობელი მოიცავს სამ შაბლონურ ასპექტს:

ა) ქებად მოწოდება;

ბ) სიტყვის თხოვნა ღვთებისადმი;

გ) ქების უძღურების აღიარება, რაც შენიშნულია „ვეფხისტყაოსანშიც“.

ჰიმნოგრაფები საგალობელს იწყებენ თხოვნით, რომ ღმერთმა შეაძლებინოს მათ შესაფერისი სიტყვის წარმოთქმა, და ამთავრებენ მობოდიშებით, თავიანთი უძღურების აღიარებით, თუმცა იმედი აქვთ, რომ იქნებიან ხსენების ღირსნი და არდავიწყებას ივედრებიან (მაგ., ეზრა: „ნუ დამივიწყებ ჩუენ, მადიდებელთა შენთა, მამაო“, ზოსიმე ათონელი: „ნუ დამივიწყებ, მამაო ნეტარო ილარიონ“).

ჰიმნოგრაფიაშიც ბოროტისა და კეთილის ბრძოლა მთავრდება სიკეთის გამარჯვებით, სინათლის ტრიუმფით:

**„დაემხო ძალი,  
პირველ სისხლდამთვრალი“**

(ბორენა დედოფალი).

ჰიმნოგრაფები კიდევ უფრო ჭარბად იშველიებენ ბიბლიურ სახე-სიმბოლოებს, ვიდრე ჰაგიოგრაფები და მათი მოზაიკით აფორმებენ ხოტბასა და პანეგერიკს, ჭკვეტენ უფლის ნათელ ძალას.

### ქართული ლექსის ფორმირება

ვაჟა გვახარიას სადოქტორო დისერტაციის დაცვაზე, რომელსაც მეც ვესწრებოდი, აკაკი გაწერელია აცხადებდა, რომ კ. კეკელიძის, პ. ინგოროყვას, ს. ყაუხჩიშვილის მსგავსად ისიც შეცდომით ხედავდა რითმებს ფილიპე ბეთლემელის (X ს.) საგალობელში, აბუკურაში, ცალკეული სტრიქონების თარგმანებში, ფრაგმენტულ ტაეპებში (მაგ., ეფრემ მცირესთან, ლეონტი მროველთან).

ამტკიცებდა, რომ რითმას არ სცნობს ჰიმნოგრაფია. ქართული ჰაგიოგრაფიული ტექსტებიდან ნაწყვეტებს ტაეპებად ალაგებდა – პ. ინგოროყვას რომ დაუფუჯეროთ, ეს ყველაფერი ლექსად ყოფილა დაწერილი!

იგივე გაიმეორა დაბეჭდილ რეცენზიაში („მნათობი“, 1969, №1), რომელიც ტომეულებში შეიტანა.

რატომღაც ანგარიშს არ უწევდა ლექსის, მისი კომპონენტების ფორმირების ხანგრძლივ პროცესს.

ცხადია, ჰიმნოგრაფებს არ ჰქონდათ კლასიციკლური ან სიმბოლისტური სრულყოფილი ფორმა. მაგრამ როგორც ბიზანტიაში, ისე საქართველოში ყალიბდებოდა ლექსი, რომლის პოეტური მგრძობელობა, შინაგანი ღელვა იკვეთებოდა საზომებად, სტროფებად, რითმებად.

ანტიკური თეთრი ლექსი მეტრული იყო, არ იცნობდა სტროფსა და რითმას – სტროფს განაცალკევებს რითმა.

მხოლოდ XI საუკუნიდან შედის მეტრულ იამბიკოში რითმა (ბორენა დედოფალი, დემეტრე პირველი).

რიტმა საერთოდ გვიანდელი მოვლენაა.

ქართულში მის გაჩენას ხან არაბულს უკავშირებდნენ, ხან სპარსულს. მაგრამ ეს არარეალურია, რადგან ჰიმნოგრაფია ბიზანტიურ მოდელზე იგი აგებული.

რიტმის პირველ ნიმუშად ს. ავერინცევი მიიჩნევდა აკათისტოს („დაუჯდომელს“), VI თუ VII საუკუნის ტექსტს, რომლის ავტორია რომანოზ მელიოდოსი.

ბიზანტიურის, განსაკუთრებით იოანე დამასკელის შემდეგ შესაძლებელი იყო ქართულ საგალობლებსაც გასჩენოდა რითმები, რომელთა ფორმირებას დრო სჭირდებოდა. ამის საფუძველს იძლეოდა ძველ-ქართული ენის რიტმიკა.

შეიძლება მნიშვნელობა ჰქონოდა იმისაც, რომ ყურანი გართმული პროზით არის დაწერილი (საჯი).

მაგრამ ძირითადი რიტმული ერთეული არის ტაეპი (აკ. გაწერელია).

ჰიმნოგრაფია არ იღებდა ხალხურ ფორმებს, როგორც წარმართულს, არც მეტრსა და არც რითმებს, რაც, ალბათ, ჰქონდა როგორც ანდაზებს, კაფიებს, სიმღერებს, ისე ლეგენდურ ამბებს, კარნავალურ პროცესებს.

ფორმაც შინაარსის ნაწილად წარმოედგინათ და მათ ერთმანეთისაგან არ აცალკევებდნენ.

სტროფი უნდა გაჩენილიყო ჰიმნოგრაფიის წიაღში, რაც იყო ელიტარული კულტურა. ამას ხელს უწყობდა გალობათა ირმოსი და ტროპარი, რაც იქცა სტროფიკის პირველსახედ, და იამბიკოს ხუთტაეპედი.

ხალხურ ლექსში კი არა, ვაჟა-ფშაველასთანაც კი ხშირად არც არის გამოყოფილი სტროფი: მეტრის მდინარებას აკავშირებს გამყოლი რითმა, რომელიც არ ამთავრებს ტაეპებს.

ამიტომ სტროფის წარმოშობა უნდა მომხდარიყო საგალობელთა კანონიკიდან.

სალექსო სტრიქონი იყო იამბიკოს 12-მარცვლოვანი ტაეპი. დანარჩენი ის ურიცხვი საზომი, რაც მოაქვს კ. ინგოროყვას, თუმცა რეალურად არსებობს, მაგრამ არ არის სალექსო მეტრი და ემორჩილება გალობის კანონებს (იხ. „მეტრულ-რიტმული სტრუქტურა“).

მაგრამ გალობის მუსიკა და ძველქართული ენის რიტმიკა სულიერ დელვას, უფლის დიდებას, ასკეტურ გრძნობათა მოძალებას თანდათან მაინც მეტრის ყალიბში აქცევდა, რიტმი რითმებსაც აჩენდა.

მაგ., გიორგი ათონელის გლოვა გიორგი მცირესთან:

**„დაღაცათუმცა ქვისაჲ ვის  
აქვნდა გული  
და ანდამატისა მოეგო სული,  
გარეგან საზღვართა ბუნებისათა  
განსრული,  
ვითარცა არა იხილვა ყოვლითურთ  
დაწყლული,  
მოულოდებელისა ამის სმენისგან  
აღძრული  
და ბუნებითისა ტკივილისაგან  
სიღრმეჲ მწუხართა შთასრული!“**

აქ არის რითმა, მაგრამ არ არის მეტრი, რადგან ეს ტექსტი პროზაულია.

რიტმას წინ უსწრებდა რეფრენი რაც აწესრიგებდა ხოტბის კადენციას. გარდა ამისა, ხელს უწყობდა აზრის აქცენტირებას და ტექსტის მელო-

დიურ აჟღერებას (მაგ., აკათისტოს „გიხაროდენ“ და „ალილუია“).

იგი პერიოდულად მეორდებოდა, როგორც მისამდერი ხალხურ სიმღერაში.

ჰანგი ახდენდა მარცვალთნაკლებობის თუ მეტობის კომპენსირებას, ხმოვანთა შემოკლება-დაგრძელებას.

ლექსის კომპონენტების ფორმირება ცალ-ცალკე ხდებოდა, რადგან საჭირო იყო როგორც გამოცდილების დაგროვება, ისე შეგუება საეკლესიო კანონიკასთან.

იგი უნდა განვითარებულიყო ბიზანტიური ლექსის პარალელურად. თავიდან იამბიკოც პროზის სახით იწერებოდა.

საგალობელთა ხელოვნური ტაეპები ლექსისათვის მეტრად არ გამოდგებოდა. ან უნდა შემოეშვათ ხალხური ლექსის საზომები ან ისევ იამბიკოს ბიზანტიურ-მწიგნობრულ წრეში უნდა დარჩენილიყვნენ, რაც ჩიხში მოქცევას ნიშნავდა.

იოანე-ზოსიმეს „გუნდნი იგი ზეცისანი“ გვიჩვენებს, რომ არსებობს მაღალი შაირი, მისი ტერფები, მაგრამ ჯერ არაა კრისტალიზებული არც 16-მარცვლიან მეტრად, არც სტროფად, ხოლო რითმა არც გააჩნია.

ფილიპეს ჰიმნი რითმიანია და 16 მარცვლოვანი, მაგრამ მეტრი არ არის გამართული, რითმებიც ნაკლებია, რომანტიკოსთა რითმების მსგავსად და აღიქმება როგორც პროზის რიტმის შემდგომი მოწესრიგება, რომელიც გადადის სალექსო მეტყველებაში და სალექსო კომპონენტებს ახლა იძენს.

მას მთლიანობას ანიჭებს აკროსტიხი.

არსენ იყალთოელს, დოგმატიკონისა და სჯულისკანონის მთარგმ-

ნელს ეკუთვნის დაბალი შაირის სტროფი, რომელიც ცხადყოფს, რომ დასრულდა თექვსმეტმარცვლოვანი მიჯრითი ტაქების ერთიანი გართმვა და კატრენული სტროფის ფორმირება.

ეს არის დავით აღმაშენებლის ეპიტაფია:

**„ვის ნაჭარმაგევს მეფენი თორმეტნი  
პურად დამესხნეს,  
თურქნი, სპარსნი და არაბნი  
საზღვარსა გარე გამესხნეს,  
თევზნი ამერთა წყალთანი იმერთა  
წყალთა შთამესხნეს,  
აწლა ამათსა მოქმედსა ხელნი  
გულზედან დამესხნეს“.**

ეს სტროფი თითქმის ერთი საუკუნით უსწრებს „ვეფხისტყაოსანს“.

ამ ფორმის სათავეს ხედავენ ხალხურ პოეზიაში, წარმართული ხანის ტექსტებში, რის გამოც ეკლესია უარყოფდა ქართულ არქაიკას და ემყარებოდა ბიზანტიურ კულტურას, მშობლიურს ცვლიდა უცხოურით რელიგიური მრწამსის გამო.

„ოქროს კვეთი“, რომელზეც მსჯელობს გ. წერეთელი, არის შაირის თვისება და არა რომელიმე ავტორისა.

არქაიკა ყველაზე უფრო შემორჩა მთაში, სადაც გაუჭირდა ქრისტიანობას შეღწევა და ვერ მოსპო წარმართული რიტუალები.

ხევსურული ლექსისა და სიმღერის არქაულობას აღნიშნავენ შ. ასლანიშვილი, დ. არაყიშვილი, გრ. ჩხიკვაძე, ვ. ბარდაველიძე, ვ. კოტეტიშვილი, მ. ჩიქოვანი.

ისინი გამოიყენებოდა წამართულ როკვა-გალობით და მსხვერპლშეწირვით რიტუალებში (სადიდებელნი, ქადაგობანი, ხატობანი, ხუ-

ცობანი, სულთანობანი, დატირებანი).

აქ ერთმანეთშია არეული ლექსი და პროზა.

აკ. შანიძემ ცალკე გამოყო მთიბლური სიმღერები, მისი ცხრამარცვლელი.

იგი წარმართულ რიტუალებში ასევე გამოიყენებოდა ფშავში, მთიულეთში, გუდამაყარში, ხევში.

ქადაგი ღვთაების ნება-სურვილს ეგზალტირებულად წარმოთქვამდა, რომლის სიტყვათნაკადი მთიბლურის სქემას იმეორებდა (დ. გოგოჭყური).

ქადაგი ექსპრომტულად მეტყველებდა, ხოლო რიტუალები ტრაფარეტულად იყენებდა გავრცელებულ ლექს-სიმღერებს.

პ. ბერაძე ამ სტიქიურ ტაქსს აორმაგებდა, როგორც 16 მარცვლოვან შაირს და იღებდა 18 მარცვალს, რათა ასე დაეახლოებინა დაქტილურ ჰეზამეტრთან.

შეიძლება ასეც ყოფილიყო უძველეს დროში, როცა რითმა არ არსებობს, ხოლო მეტრი ყალიბდება, რომელიც თანდათან აწესრიგებს მღელვარე, ბუნდოვან, სიმღერის მსგავს სიტყვათნაკადს. მაგ., ნატირლებში, ქადაგების ბოდვის მაგვარ მეტყველებაში (შდრ – „ძველქართული ენის რიტმი“).

ეს არის ენობრივი სტიქიის გაუცნობიერებელი აღმოთქმა, რომლის შემდგომი მელოდიკური ჰარმონიზებაა ლექსი 16 მარცვლოვანი. ამიტომ არის ცალკეული სიმღერები ფიქსირებული როგორც მთიბლურის, ისე შაირის მეტრით.

მთიბლურის საზომი აღმოჩნდა ლაზურ სარიტუალო ტექსტებშიც (ზ. თანდილავა).



მწერლობაში იგი ვერ შემოადრწევდა, რადგან ეკლესია სდევნიდა როგორც ეროვნულ, ისე ანტიკურ საზომებს, პოეტურ სამკაულებს, როგორც წარმართულ და ამქვეყნიური განცდების აღმძვრელს.

პირველ ხანებში გალობასაც კი ერეტიკულად მიიჩნევდნენ, როგორც მოგვიანებით ხატებს.

უფლის დიდებასა და ლოცვას გალამაზება არ სჭირდებოდა.

შემდეგ აკათისტოს ერთმარცვლიანი რითმები გადმოვიდა ქართულ საგალობლებშიც (მაგ., იოანე საბანისძესთან, იოანე მინჩხთან, მიქაელ მოდრეკილთან), რაც შეესაბამებოდა ქართულ ინვერსიულ, პათეტიკურ და რიტმულ მეტყველებას.

X-XI საუკუნეებში ფორმირდება ქართული რითმიანი სტროფი და მეტრი, რომლის საფუძველი აღმოჩნდა ხალხური შაირი, წარმართული 9-მარცვლიანი მთიბლურის გაგრძელება, როგორც მიაჩნდა ავ. შანიძეს.

ლექსი გამოეყო ჰიმნოგრაფიას და ცალკე განვითარდა, თუმცა კავშირი არ გაუწყვეტია სიმღერასთან, დეკლამაციასთან, მუსიკასთან, მაგრამ გადაინაცვლა სიცოცხლისაკენ, მიწიერი გრძნობებისაკენ.

ავ. გაწერელია ამტკიცებდა, რომ „ქართული ენა დაქტილურია და ეს პრინციპი წარმოადგენს ჩვენი მეტყველების ხერხემალს“.

შემდეგ პ. ბერამემ შეისწავლა მთიბლურის სამი დაქტილისაგან შემდგარი მეტრი, მისი რიტმი დაუკავშირა ცეკვის რიტმს, სააკომპანიმენტო ინსტრუმენტული ცეკვის რიტმს და დაქტილურად მიიჩნია არა მხოლოდ ქართული ენის პროსოდიას, არამედ – საერთოდ ქართველური აღქმა და შეგრძნება რიტმისა.

ეს თვალსაზრისი შეუფარდა ჰომეროსის ჰეგზამეტრს, რომლის შორეულ სათავედ მთიბლური მიიჩნია.

შაირის მეტრით არის შეთხზული თითქმის ყველა ხალხური ლექსი, რაც გვეუბნება, რომ მისი სათავეა წარმართული არქაიკა და ქართველური მოვლენაა. ხოლო მთიბლურის პირველი ან მეორე დაქტილი მეორე პეონად აქცია ძველქართულში არსებულმა ძლიერმა მახვილმა, ზეპირმეტყველებამ და სიმღერის ჰანგმა, რომელიც ავრცობს და ამოკლებს ხმოვნებს.

გ. წერეთელი აღნიშნავდა, რომ ჩახრუხაულის იდენტური ფორმის ლექსი არსებობდა არაბულ პოეზიაში:

„იდენტურია ზომა, შინაგანი რითმა, რითმების განაწილება ტერფებში“.

შეიძლება ჩახრუხაულის სტრუქტურის სათავე ყოფილიყო არაბულში, როგორც იამბიკოსი და ე.წ. რიტმული პოეზიისა – ბიზანტიურში.

ხალხურმა ლექსმა არ იცის არც 10 და არც 20 მარცვლოვანი ლექსი, თუმცა ბუნებრივია ქართული პროსოდიისათვის, ისევე როგორც სხვა მრავალი, პოეტების ელიტურ წრეში გაჩენილი საზომი. ამიტომ ჰომეროსის ტაეპები გადმოჰქონდათ ფისტიკაურით (5+5+5+5). მაგ., ეფრემ მცირესა და „პროკოპის მარტვილობის“ მთარგმნელს (პ. ინგოროყვა).

ფისტიკაურის რითმებით გართულებული ფორმა არის ჩახრუხაული და შავთელური.

ჰიმნოგრაფიული ლექსი, ისევე როგორც თემატიკა და მისი გამლა, დარჩა დოგმატიკურ, თეოლოგიურ-ეკლესიურად შემოზღუდულ რკალში, რასაც მოჰყვა მისი რეგრესი. მაგრამ ორბიტზე გაიყვანა ქართული

ნაციონალური ლექსის ფორმები, რომელთაც მალე მოჰყვა „თამარიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“, ოცმარცვლოვანი და თექვსმეტმარცვლოვანი საზომები, რითმის ზეიმი და მკაცრი სტროფიკა.

როგორც ვთქვით, საგალობლები წარმართულ ფორმებს არ მიიღებდნენ. მაგრამ მათ, როგორც მდაბიურსა და ვულგარულს, არც არისტოკრატია სწყალობდა, რაც შეუსაბამო იყო მაღალი ფენის საერო პირთა გემოვნებისა და ესთეტიკისათვის.

ხალხური ლექსი ანუ „მესამე ლექსი“ კარგი იყო „სანადიმოდ, სამღერულად“, „ამხანაგთა სათრეველად“ ანუ დროსტარება-გართობისათვის, როგორც კომედია ელადში.

მაგრამ იგი არ იყო სიტყვა „საღმრთოდ გასაგონი“, რომელსაც უნდა ჰქონოდა მოწესრიგებული ფორმა, პათეტიკა და არისტოკრატიული ესთეტიზმი.

ამიტომ რუსთაველს სალექსო ფორმა უნდა აეღო მწიგნობრული, კერძოდ, ჰიმნოგრაფიული ტრადიციიდან, როგორც უფლის დიდება ბიბლიიდან და ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მოძღვრებიდან, ისევე როგორც პირველივე სიტყვა „რომელმან“ – ღმერთის ნაცვალსახელობითი შიფრი („რომელმან შექმნა სამყარო“).

### სახე-სიმბოლოების სარკე

სიკვდილი, საფლავი, საიქიო, წყვდიადი ადამიანს შავ ფერად აქვს წარმოდგენილი, რაც იგივე არყოფნაა, მარადი უკუნი – „შავეთი“ და „სულეთი“. მაგრამ ქრისტიანული თეოლოგია მას სინათლით ავსებდა, როგორც სიცოცხლის გარდასახვით გაგრძელებას, სულთა ზეიმსა და შვებას,

რომლის ნათელი ჩანდა სახე-სიმბოლოების სარკეში.

ეს იყო ზეციური შუქი, ვარსკვლავთ ციმციმი და მზის ბრწყინვალეობა, სულთა საუფლოდან რომ ჩამოჰქონდათ უსხეულო ანგელოსებს.

ტამარი იყო ის სადგური, სადაც ეშვებოდა ანგელოსთა გუნდი, „გუნდნი იგი ზეცისანი“, სადაც იყო დავალებული უფალი ჩვენი იესო ქრისტე, სული და სახელი, ძალა და დიდება მისი.

როგორც ვთქვით, ტამარში ერთიანდებოდა სურნელი, სიტყვა, გალობა და ფრესკა, როგორც სახე-სიმბოლოთა სარკიდან გამომკრთალი მარადი მხარე.

სიტყვა იყო ზეპირი ქადაგება და წიგნში მოქცეული უფლის დიდება;

მგალობელთა გუნდის ჰანგი ამ სიტყვას შეიტანდა მრევლის გულში და აბამდა სიმებს უფალთან, ზეცასთან, საითკენაც აღევლინებოდა გალობა;

ფრესკებიდან ანათებდნენ შარავანდმოსილი ქრისტე, ანგელოსები, მოციქულები, წმინდანები;

ჯვარით მოხატული ტამარი სანთელ-კანდელებით ციმციმებდა, საკმევლის სურნელით იგებოდა, რათა უფლის დიდებას სული ნეტარებით აღევსო, დავიწყნოდათ კედელს მიღმა მბორგავი სასტიკი და დუხჭირი, წარმავალი, მაგრამ მწარე სინამდვილე, გამქრალიყო სიკვდილის შიში.

წირვა-ლოცვის პროცესით სული პოვებდა სიმშვიდეს, ფსიქიკურ ძალას, რწმენასა და იმედს, ცისა და მიწის ერთობას, ღვთაების შეგრძნებას.

ამიტომ ყოველ სიტყვას, ტამრის ყოველ დეტალს, ჯვარს, ფრესკასა და ხატს ჰქონდა სიმბოლოური მნიშვნე-

ლობა, რაც ღვთაებრივი სინათლის ათინათი იყო.

ამას ადგენდნენ ღვთისმეტყველნი და გადასცემდნენ ეკლესიებს, გადასცემდნენ რაციონალური სიზუსტით. ეს იყო არა რეალობის, არამედ – მისტიკური ხილვებისა და მირაჟების, სასწაულებისა და მიღმური წარმოსახვების სისტემა.

სახე-სიმბოლო უკვდავი აზრით ავსებდა სიცოცხლეს. თეოლოგები და ეგზეტიკოსები ძველი და ახალი აღთქმის სტრიქონებს სიმბოლური აზრით განმარტავდნენ, ეძებდნენ მათ შორის კავშირებს, ეძებდნენ სულთა საუფლოდან გამომკრთალსინათლეს.

ჰაგიოგრაფებსა და ჰიმნოგრაფებს სიმბოლოები თავიანთ ტექსტებში გადაჰქონდათ, აკონკრეტებდნენ და ავსებდნენ, ურთავდნენ ისტორიულ ფაქტებს.

ცენტრში იდგა იესო ქრისტე, მისი უჩვეულო მოვლენა, რაც იწინასწარმეტყველა, რომლის სახელიც გამოჩნდა ძველ აღთქმაში (მაგ., ეზრასთან).

ქრისტე ბერძნულად ცხებულს ნიშნავს, იესო ებრაულად იეშუაა. იგი მხსნელია, მესიაა, როგორც იწოდებოდა მეფე მესოპოტამიის ხალხებში.

ღმერთი უნდა განსხეულებულიყო, რათა დაახლოვებოდა ადამიანებს და ისინი ეზიარებინა საღვთო ჭეშმარიტებისათვის. ამიტომ უნდა შესულიყო წმინდა ქალწულის სხეულში, ხორცი შეესხა და განკაცებულიყო, ღმრთეება ხორციით რომ არა დაეფარა, ვერცერთი სულიერი ვერ მიეახლებოდა, როგორც ამბობს „ევსტათი *მცხეთელის მარტილოზის*“ ავტორი, რადგან ქრისტე არის მზე ბრწყინვალე, ელვა, ნაკვერცხალი, დაუსაზამო, დაუსრულებელი, დაუღამებელი ნათელი.

მაგრამ ქრისტე ზეცის კიბეც არის და ზეცის ეტლიც, კლდე, რომელსაც დაეფუძნა ეკლესია, მარცვალი და მდინარე, ლომი და ლოდი, მწყემსი, მტრედი და გვრიტი, პასეჟის კრავი, ვაზი და ვენახი, ახალი ადამი და სიმართლის მნათობი, ვარსკვლავი, გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება, უჟამო ჟამი, წვიმა და ცისკარი (ტ. მოსია)...

იოანე საბანისძეს ტექსტში ჩართული აქვს ეპიფანე კვიპრელის „თვალთაჲდან“ 16 სახე – სიმბოლო, რომელთაც განმარტავს:

კარი, გზა, ტარიგი, მწყემსი, ლოდი, მარგალიტი, მარილი, ყვავილი, ანგელოსი, კაცი, ღმერთი, ნათელი, ქვეყანა, მარცვალი, მატლი, მზე სიმართლისა.

ასეთივე ნაირგვარი ეპითეტებითა და სიმბოლოებით ამკობდნენ ღვთისმშობელს. მათი საფუძველია რომანოზ მელოდოსის „აკათისტო“. ჰიმნოგრაფების სახოტბო საგალობლები დაუღვეველი სიმბოლოების კრებულია. მაგ., იოანე მინჩხისათვის წმ. მარიამი არის დაუთესველი ყანა, ეტლი ზეცისა, ქერობინი ქუეყნისა, უსხეულო საყდრის ცეცხლი, დამბადებლის დედა, ვენახი, გონიერი, ტამარი პირმეტყველი, სულიერი ტაკუკი, ნათლით სავსე ღრუბელი, საღმრთო ზღუდე, სოფლის მცველი, ვინც „მიზეზსა მას მიზეზთსა მიზეზ ექმნა“, ცისა და ქვეყნის დედოფალი, სულიერი სამოთხე...

რასაკვირველია, ეს არის მცირე ნაწილი იმ სახე-სიმბოლოებისა, რომლებიც სხვადასხვა ასპექტით, სხვადასხვა რაკურსით გვიჩვენებენ ქრისტესა და მარიამის უჩვეულო ბუნებასა და მისიას.

ისინი გადადიან ტექსტიდან ტექსტში, ერთი ქვეყნიდან მეორეში, ეპო-

ქიდან ეპოქაში. სათავე კი ბიბლია და ბიზანტიაა.

ასე იქმნება ერთიანი რეპერტუარი, რაც მორწმუნისათვის არის არა ეპითეტი ან სადიდებელი სიტყვა, არამედ ღვთაებრივი იდუმალების გამოხსნა, საოცრებისა და სასწაულის სიტყვაში მოქცევა. მას, ხალხური პოეზიის მსგავსად, არ ჰყავს ერთი ავტორი და ეკუთვნის ყველას, ვისაც რწმენა აქვს.

იგი ყველა მოწესისა და მორწმუნის მიერ არის შექმნილი ყველა მოწესისა და მორწმუნის გულის გასათბობად.

ქრისტესა და ღვთისმშობლის ნათელში ექცვიან მოციქულები, ძალნი ზეცისანი – ანგელოსები და მოწამენი. მათი სახე-სიმბოლოებიც ამოდიან ძველი აღთქმის წიაღიდან და ქვეყანას აჩვენებენ უფლის, სასუფეველის, სამოთხისა და ჯოჯოხეთის სასწაულს.





## მურმან თავდიშვილი

### რითმისწინარე მიმორხევანი

რუსთველმა რითმა ქართული ლექსის ბუნებრივ დაბოლოებად აქცია. ეს დაბოლოება არაბული ზღაპრის ფინალივით ფერადია, ოღონდ მას ახასიათებს ერთი უცნაურობა: ჩვეულებრივი პოეტის ორ და სამმარცვლიან რითმასთან შედარებით იგი ორჯერ და სამჯერ უფრო მუსიკალურია, თუმც კი ეგ როდი იწვევს ხელოვნურობას ანდა სილადის შეადვირებას.

რა ქმნის ამ საოცრებას?

ვეფხისტყაოსანში ქაჯეთის მეფის მთავარსარდალი ასეა დახასიათებული:

**როშაქ მონაა, თავადი მონისა  
ბევრის ათისა.**

ზოგ გამოცემაში ხაზგასმული ადგილი ასეა წარმოდგენილი:

**როშაქ მონაა, თავადი მონისა  
ბევრ-ათასისა.**

კონტექსტს, თითქოსდა, უფრო უხდება და შეესაბამება „ბევრის ათისა“:

**გვესმა ამბავი, ზღვათ იქით**

**სიკვდილი დისა მათისა,**

**შეიჭირებდეს ვაზირნი, დაშალეს**

**ქმნა ხალვათისა:**

**„ვითა ვჰკადროთო დაესება პირისა, ხმელთა მნათისა?“**

ა - ო ა ა  
ა - ო ა ა  
ა - ო ა ა  
ა - ო ა ა

**როშაქ მონაა, თავადი მონისა  
ბევრის ათისა.**

მართლაც, ერთი შეხედვით, ზუსტი რითმაა: მათისა - ვათისა - მნათისა - ათისა. მაგრამ საოცარია შემდეგი ფაქტი: ფორმას *ბევრისათისათისა* ემხრობა ერთადერთი ხელნაწერი, ხოლო კომპლექსს *ბევრათათისათისა* კი - ყველა დანარჩენი (იხ. აკ. შანიძისა და ალ. ზარამიძის 1966 წლის გამოცემა, გვ. 403).

რა მოხდა?

ვფიქრობ, აღნიშნულის გასაღებს გვაძლევს ჩემ მიერ შენიშნული სართმო კლაუზულისწინა ხმოვნის მიეზის რუსთველური პოეტიკური ტენდენცია. იგი გულისხმობს რითმისწინა გახმოვანების მთლიან და ყოველისმომცველ სისტემას.

თუ ეს შესაძლებელია, მგოსანი ყოველთვის ლამობს სართმო კლაუზულას წინ ოთხივე ტაქტში დაუხვედროს ერთი და იგივე ხმოვანი და ამით რითმა გაამდიდროს. მაშასადამე, მახვილიანი საკლაუზულო კომპლექსის წინ ოთხივე ტაქტში მოაქციოს ერთი და იგივე ჟღერადი ხმოვანი. მაშინ ხმოვანთა განლაგება ასეთ სახეს მიიღებს:

ე - ი ე ო  
ე - ი ე ო  
ე - ი ე ო  
ე - ი ე ო

ავილოთ, მაგალითად, ზემომითითებული გამოცემის 1283-ე სტროფი:  
**აწ ვინმე მოყმე მოვიდა**  
**შვენიერთა პირითა,**  
**მან უთხრა წვრილად ყველაი,**  
**თქვენ ხართ რათაცა ჭირითა.**

**იგია შენი მძებნელი მკლავითა**  
**ვითა გმირითა;**  
**მე გამომგზავნეს, დამვედრეს**  
**სწრაფა სწრაფითა ხშირითა.**  
 აქ მთავარ სარიტმო ბგერათა განლაგება ასეთია:

ა - ი ი თ ა  
 ა - ი ი თ ა  
 ა - ი ი თ ა  
 ა - ი ი თ ა

დავუკვირდეთ ტაეპის ბოლოკიდურ სიტყვებს:

შვენიერთ-ა პირითა	ა - ი ი თ ა
რითაც-ა ჭირითა	ა - ი ი თ ა
ვით-ა გმირითა	ა - ი ი თ ა
სწრაფვით-ა ხშირითა	ა - ი ი თ ა

ამავე ვითარებას ვაწყდებით 1304-ე და 1309-ე სტროფებშიც:

ა - ო ა ს ა	ა - ი ი ს ა
ა - ო ა ს ა	ა - ი ი ს ა
ა - ო ა ს ა	ა - ი ი ს ა
ა - ო ა ს ა	ა - ი ი ს ა

ამ ტენდენციის შუქზე გავსინჯოთ სამიეხელი სტროფი, სადაც მეოთხე ტაეპის ბოლოს გვექნება ვარიანტი *ბ ე ვ რ ი ს ა თ ი ს ა* :

დის-ა მათისა	ა - ა ი ს ა
ხ - ა - ლვათისა	ა - ა ი ს ა
ხმელთ-ა მნათისა	ა - ა ი ს ა
ბევრ - ი-ს ათისა	ი - ა ი ს ა

მამასადამე, რუსთველური ტენდენციის ფონზე ვარიანტი *ბ ე ვ რ ი ს ა თ ი ს ა*

- აისა; ა- აისა, ა - აისა, ხოლო მეოთხეში ი - აისა .

ქმნის სასტიკ დისონანსს: I, II, III ტაეპებში გვაქვს შესანიშნავი ასონანსი: ა

სრულიად სხვა ვითარებაა, თუ მივიღებთ ვარიანტს *ბ ე ვ რ - ა თ ა - ს ი ს ა* . მაშინ სარიტმო ხმოვანთა სურათი ასეთი იქნება:

ა - ა ი ს ა  
 ა - ა ი ს ა  
 ა - ა ი ს ა  
 ა - ა ი ს ა

ყველაფერი ეს გვარწმუნებს: მართალი აღმოჩნდა ხელნაწერების დიდი უმრავლესობის დაჟინებული მოთხოვნა - მითითებულ სიტუაციაში დავიცვათ ავტორის ხელიდან გამოსული ფორმა *ბ ე ვ რ - ა თ ა ს ი ს ა* .

სინამდვილეშიც, თუ კარგად ჩავუკვირდებით და არა გარეგნულ, არამედ სიღრმისეულ მოვლენებს მივაქცევთ ყურადღებას, ზუსტი მუსიკალური ასონანსი გვეძლევა სწორედ *ბ ე ვ რ - ა თ ა ს ი ს* შემთხვევაში.

დაახლოებით მსგავსი სიტუაცია გვხვდება 25-ე სტროფში. აქ სხვადასხვა გამოცემა სხვადასხვა ფორმას გვაწვდის. ზოგი „მტლაში-მტლუმს“, ზოგი კი - „მტლაშა-მტლუმს“.

ზემოთ მითითებული ტენდენციის შუქზე მართებული ჩანს *მ ტ ლ ა შ*

ბოლოკიდური სიტყვებია:

სულთქმ-ა უში	ა - უ შ ი
თუნდ-ა ქუში	ა - უ შ ი
მტლაშ-ა მტლუმში	ა - უ შ ი

ფორმას „მტლაშა-მტლუმში“ აღიარებს და იცავს მრავალი ხელნაწერი და უმრავლესი გამოცემა. ბოლო აკადემიურ გამოცემაში, სამწუხაროდ, დადასტურებულია მცდარი წაკითხვა – „მტლაში-მტლუმში“.

„მტლაშა-მტლუმს“ მოეპოვება ერთი საგულისხმო გრამატიკული არგუმენტიც. გვაქვს ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები: ლაკ-ლაკ, რახ-რახ, ჩაქ-ჩაქ, ფახ-ფახ და ა.შ.

ამ ტიპის წარმოებაში, თუ ორმარცვლიანი სიტყვებია, მეორე სიტყვის ხმოვანი მუდამ შეცვლილია „უ“ ვოკალით: *ბრახა-ბრუხი, რახა-რუხი, ბათქა-ბუთქი, ტაკა-ტუკი, დაგა-დუგი* და სხვ. ამ მეორე შემთხვევაში ხმოვანთა განლაგება ასეთია: ა ა - უ ი

სწორედ ამგვარად ნაწარმოები რთული სიტყვაა *მტლაშა-მტლუმში*.

ჩემი ამ დაკვირვებისათვის სისტემური ხასიათი რომ მიმეცა, აღნიშნული თვალთახედვით საგანგებოდ გამოვიკვლიე პოეტის ზემოხსენებული მიდრეკილება და დავადგინე:

1. აღნიშნული წესი გახლავთ ყოვლისმომცველი ტენდენცია და შეპირობებულია რითმის გამდიდრები-

ა - *მ ტ ლ უ შ ი*. სტროფის ბოლო სამი ტაქტის საერთო სურათი ასეთია:

**რა მოჰშორდეს მოყვარესა,  
გამრავლოს სულთქმა, უში,  
გული ერთსა დააჯეროს, კუმტი  
მიჰხვდეს, თუნდა ქუში;  
მძულს უგულო სიყვარული,  
ხვევნა, კოცნა, მტლაშა-მტლუმში.**

სა და მუსიკალურ-აკუსტიკური მხარის მოწესრიგების ბუნებრივი ავტორისეული მოთხოვნილებით.

2. კანონზომიერება გატარებულია სტროფთა დაახლოებით 95-96 პროცენტში.

3. იგი არ ჩანს (მისი საჭიროება ვერ უცნია ავტორს) საყრდენთანხმონიანი რითმების შემცველ სტროფებში.

4. დანარჩენ შემთხვევებში (სწორედ ეს შეადგენს 95-96 პროცენტს) სარიტმიო კლაუზულისწინა ხმოვანი ოთხივე ტაქტში გვხვდება ყველაზე მეტად (დაახლოებით 50 პროცენტი), სამ ტაქტში - უფრო იშვიათად (დაახლოებით 30 პროცენტი), ხოლო ორ ტაქტში - ყველაზე ნაკლებად (20 პროცენტი).

5. ამ თვალთახედვით ტაქტთა „შერიტმვა“ რაიმე კანონზომიერებას არ ექვემდებარება: ერთმანეთს ეხმიანება I, II, III და IV; I, II და III; I, II და IV; II, III და IV სტრიქონები.

თვალნათლობისათვის წარმოგიდგენთ ზოგიერთი ძალზე მდიდარი სტროფის ვითარებას 1988 წლის აკადემიური გამოცემის მიხედვით:

**სტროფი 373:**

ა - უეია  
ა - უეია  
ა - უეია  
ა - უეია

**სტროფი 382:**

ია - იია  
ია - იია  
ია - იია  
ია - იია

**სტროფი 475:**

იან - იია  
იან - იია  
იან - იია  
იან - იია

**სტროფი 487:**

ა - ეია  
ა - ეია  
ა - ეია  
ა - ეია

**სტროფი 550:**

აა - ეია  
აა - ეია  
ა - ეია  
აა - ეია

**სტროფი 555:**

აე - აეი  
აე - აეი  
აა - აეი  
ა - აეი

**სტროფი 570:**

აა - იაა  
აა - იაა

**სტროფი 694:**

ოე - ეოე  
ოე - ეოე  
ოე - ეოე  
ე - ეოე

**სტროფი 611:**

აი - აია  
აი - აია  
აი - აია  
აი - აია

**სტროფი 704:**

ია - ეა  
ია - ეა  
ია - ეა  
ია - ეა

**სტროფი 705:**

აა - ააი  
აა - ააი  
აა - ააი  
ა - ააი

ამ მხრივ საგულისხმოა 594-ე სტროფი. აქ სამი სარიტმო კომპლექსი ასეთია:

ხენი ვით ხენ	ი - ი ე
რომე მკითხენ	ე - ი ე
რომე ვითხენ	ე - ი ე

მეოთხე სარიტმო ერთეულის ადგილს კი ერთმანეთს ეცილება სამი კომპლექსი: ვერ გარ ვითხენ (1988 წლის აკად. გამოცემა), ასრე ვითხენ (მანიძე-ბარამიძის გამოცემა, 1966) და

ზოგი ხელნაწერის გა-რე-ვითხენ ( ამ ვარიანტს ემხრობა ალექსი ჭინჭარაული). ჩემი თვალსაზრისის მიხედვითაც, უფრო სწორი ეს უკანასკნელი გამოდის. მამასადამე,



„გა-რე-ვითხენ“ ნიშნავს: საჭურველი გავითხენ, გავითხელე, ცოტა ვიქონიე. ამ გაგებას პოემაშივე ეძებნება პარადიგმა:

**შენმა ჭვრეტა-სიახლემან მომაქარვოს სევდა, მითხოს!**

შენმა სიახლოვემ სევდა გამიქარვოს, გამითხელოს, გამიცოტაოსო.

აღნიშნული რუსთველური ტენდენციის გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება

სარითმო კომპლექსებში მოქცეულ სადავო ფორმათა თავდაპირველი სახის დადგენა.

მაშასადამე, ხელთა გვაქვს ხერხი, რომლის მეშვეობითაც ერთობ ადვილდება რითმისწინა სადავო სიტყვების ავთენტურობის დადგენა.

გადავხედოთ პოემას ამ შუქზე (ნუმერაცია შანიძე-ბარამიძის გამოცემის მიხედვით).

ხმა დაგივარდა	ა ა - ი ა ა
გასატკივარდა	ა ა - ი ა ა
გახმამყივარდა	ა ა - ი ა ა
გ ა მ ო ჩ ი ვ ა რ დ ა	ა ო - ი ა ა

ხელნაწერებში GH გვაქვს სიტყვა „გა-ცა-მჩივარდა“, რომელიც დარღვეულ ასონანსს აღადგენს - ა ა - ი ა ა . 6 3 6 - ე სტროფში ასეთი ვითარებაა:

ტანად უხებს	ა - უ ე
გულსა უხებს	ა - უ ე
მ ო გ ვ ი ქ უ ხ ე ბ ს	ი - უ ე
შეგვაწუხებს	ა - უ ე

ხომ არ არის ხელნაწერებში III, ჩავარდნილი, სტრიქონის მიერ დარღვეული ასონანსის გამომასწორებელი ვითარება? არის! ხელნაწერებში IXZ

გაგეგონების	ე - ო ე ი
მოეწონების	ე - ო ე ი
დაეღონების	ე - ო ე ი
შ ე ი კ ო ნ ე ბ ი ს	ი - ო ე ი

560-ე სტროფის ბოლო ტაეპი სხვადასხვა გამოცემაში სხვადასხვაგვარად იკითხება. ზოგანაა „უსისხლოდ მოვკალ იგი, გლახ, თუცა ხმდა ს ი ს - ბ ლ ი ს ა დ ე ნ ი თ,“ ზოგან კი - „... ს ი ს ხ ლ თ ა დ ა დ ე ნ ი თ“. ჩემი თვალსაზრისის მიხედვით, რაკილა მესამე ტაეპის რითმისწინა ხმოვანია „ა“, ხოლო ხმოვანთა კონფიგურაცია ასეთია: ა - ა ე ი („ზარმაც თქმად ენით“), IV სტრიქონის სიტყვათშეთანხმება უნდა იყოს არა „სისხლისა დენით“, ესე იგი, ი \_ ა ე ი, არამედ „სისხლთა დადენით“ ( ა - ა ე ი ). მართლაც, ფორმას „სისხლთა“ უმრავლესი ხელნაწერი ემხრობა.

7 5 7 სტროფში ამგვარი ვითარებაა:

გვაქვს მ ო გ ვ ა ქ უ ხ ე ბ ს.	მაშასადამე - ა - უ ე .
-------------------------------	------------------------

7 0 1 - ე სტროფში ჩავარდნილია IV ტაეპის რითმისწინა ხმოვანი:

7 0 1 - ე სტროფში	ჩავარდნილია IV ტაეპის რითმისწინა ხმოვანი:
-------------------	---

რამდენიმე ხელნაწერში (GJTOVR' და სხვაგან) ვხვდებით ფორმას „შეე-კონების“, მაშასადამე, ე - ო ე ი.

ჩემ მიერ შენიშნული ეს კანონზომიერება პირდაპირ ქვას ქვაზე არ

კიტრად ბერად	ა - ე ა
მიმიჩს მღერად	ი - ე ა
დავდგე მე რად	ე - ე ა
ვისსა ვერად	ა - ე ა

ეჭვი არაა, სტროფი სამტაეპოვანი შერთმვის ვარიანტს წარმოადგენს. „დავდგე მე რად“ თქმას ვარიანტი არ მოეპოვება. მაშასადამე, ერთმანეთს უნდა შეერთდოს I, II, IV ტაეპები. ეს შერთმვა დარღვეულია სიტყვით მ ი მ ი ჩ ს, რაც აკ. შანიძის კონიექტურაა. რა თქმა უნდა, ეს გახლავთ აშკარად მცდარი შესწორება. ყველა ხელნაწერი მხარს უჭერს წაკითხვას მ ი ჩ ა ნ ს (BCDEIKOQTVWYZA'T'B'FMX-GH).

მხიარულითა გულითა	ი ა - უ ი ა
ს ა ხ ა რ უ ლ ი თ ა	ა ა - უ ი ა
სინათლითა სრულითა	ი ა - უ ი ა
მომახულითა	ა - უ ი ა

რუსთველური კანონით, მეორე ტაეპში უნდა გვქონოდა ი ა - უ ი ა, ოღონდ არ გვაქვს. რა მოხდა?

მოხდა ის, რომ რუსთველური კანონი ხელოვნურად დაურღვევია ბატონ აკ. შანიძეს ნამალადევი კონიექტურით. მგოსანს აქ ჰქონია საჭირო სიტყვა ს ი ხ ა რ უ ლ ი თ ა ი ა - უ ი ა, ხოლო მკვლევარს შემოუტანია უფრო ძველი სიტყვა ს ა ხ ა - რ უ ლ ი თ ა (იხ. გვ. 439). არადა

მზიანისა ღამისად	ა - ა ი ა
უჟამოსა ჟამისად	ა - ა ი ა
ი ო ტ ი ს წამისად	ი - ა ი ა
ჩემად და მისად	ა - ა ი ა

„ჩავარდნილ კლავიშად“ რჩება მესამე სტრიქონი, მაგრამ საგულისხმოა, რომ ზოგ ხელნაწერში დაცულია

ტოვებს ბატონი აკ. შანიძის კონიექტურებისაგან. ავიღოთ, მაგალითად, სტროფი 788. აქ დღეს ასეთი ვითარებაა:

სავსებით სწორად აღუდგენია ბოლო აკად. გამოცემას მართებული ფორმა „მიჩანს“.

ხოლო, თუ ხელნაწერების ფორმას (მიჩანს) აღვადგენთ, მაშინ პოეტოკურად ყველაფერი გასწორდება და II ტაეპშიც გვექნება სასურველი ა - ე ა (მიჩანს მღერად).

შანიძე-ბარამიძის გამოცემაში 1328-ე სტროფი ასეა წარმოდგენილი:

რუსთველის დროინდელი ახალი ქართულის ნორმას „სიხარულითა“ მხარს უჭერენ „საუკეთესო“ ხელნაწერები (ABCDEFGHI/JEMORTVWXYZA/'R' და სხვები).
---

სამწუხაროდ, ეს სავალალო შეცდომა გაუზიარებია 1988 წლის აკადემიურ გამოცემას (იხ. გვ. 205).

საგულისხმოა 837-ე სტროფის მონაცემები. აქ ვხვდებით რითმისწინა სიტყვების ასეთ შეხამებას:

ჩვენთვის საჭირო სიტყვათშეხამება - „ერთი იოტისა წამისად“, ესე იგი, ა - ა ი ა (AX), ხოლო ზოგშია „ერთ იოტისა
---

წამისად“, მაშასადამე, ა - ა ი ა (BGMYT); ზოგშიც ასეა „ერთ იოტასა წამისად“, ა - ა ი ა (CA’).

სამწუხაროდ, 1988 წლის აკად. გამოცემა აქაც ვერ დგას აკადემიურ ხვეწნითა არვებდა მოაქარვებდა და ი კ ა რ ვ ე ბ და ივაგლახა, არ ვებდა

ზოგ ხელნაწერში გვაქვს შემონახული ნამდვილად რუსთველისეული და ჩემი კანონზომიერების აღმდგენელი სიტყვა და ა კ ა რ ვ ე ბ და (DFHIJKOTVWZR’ და სხვები).

მაშასადამე, ოთხივე ტაეპში გვქონია ერთნაირი რითმისწინა ხმოვანი ა - ა ე ა, ა - ა ე ა, ა - ა ე ა, ა - ა ე ა.

გაგვამცივნებს  
რა არ ივნებს  
არ ი მ ტ კ ი ვ ნ ე ბ ს  
გამსივნებს

ა - ა ე ა  
ა - ა ე ა  
ი - ა ე ა  
ა - ა ე ა

როგორც ვხედავთ, საერთო კანონზომიერებიდან განდგა მესამე ტაეპი, ოღონდ განდგა შანიძე-ბარამიძისა და ბოლო აკად. გამოცემებში, თორემ მრავალ საუკეთესო ხელნაწერში ყვე-

უსახოთა ქცევითა  
ვთქვიმცა მე ვითა  
დასწვავს მზე ვითა  
ლ ე რ წ ა მ ო ბ ს რ ხ ე ვ ი თ ა

ა ა - ი ე  
ა ა - ი ე  
ა ი - ი ე  
ა ა - ი ე

მაგრამ ვარიანტებშია: „ტანი ლერწმისა ხე ვითა“. ამ შემთხვევაში კი ყველაფერი რიგზეა: ა - ე ი ა.

არ დაჰრიდონ  
ყმასა ფრიდონ  
გააფლიდონ  
ან უ ყ ი დ ო ნ

ასევე ცალკე სტატიაში ვისაუბრე 988-ე სტროფზე. აქაც აღვნიშნოთ:

ა ა - ი ო  
ა ა - ი ო  
ა ა - ი ო  
ა უ - ი ო

ზოგიერთ ხელნაწერშია „ან გაყიდონ“, ეს კი გულისხმობს ხმოვანთა საჭირო კონფიგურაციას - ა ა - ი ო.

სანატრელისა

ა ა - ე ი ა

დონეზე, რადგან „ჩავარდნილ“ სტრიქონს უჭერს მხარს.

ამგვარივე ვითარებას ვაწყდებით 892-ე სტროფში:

ახალ აკადემიურ გამოცემაში, საბედნიეროდ, სრულიად შემთხვევით, მხარი დაუჭერიათ მართალი ფორმისათვის „დააკარვებდა“.

957-ე სტროფის თაობაზე ერთ ცალკე სტატიაში ვიმსჯელე, ოღონდ აქ მაინც აღვნიშნოთ.

ლაფერი მართებულადაა. აქ ვკითხულობთ აშკარად რუსთველისეულ ფორმას „არ ატკივნებს“ - ა ა - ი ე. კანონზომიერებას თითქოსდა ღალატობს 979-ე სტროფიც:

ა - ე ი ა  
ა - ე ი ა  
ა - ე ი ა  
ო - ე ი ა

მე-1000 სტროფშიც მსგავსი სიტუაცია ფიქსირდება:

ს ა ს უ რ ვ ე ლ ი ს ა	ა უ - ე ი ა
ესე ხელისა	ე ე - ე ი ა
დამმარხველისა	ა ა - ე ი ა

ვარიანტებში მეორე ტაეპი ასე იკითხება: ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი ს ა. მაშინ ასონანსი აღდგება და გვექნება ა ა - ე ი ა.

მაშასადამე, სტროფი სამჯერად შერთმულთა კატეგორიაში შევა. დიდად საყურადღებოა 1106-ე სტროფის მონაცემები.

ენა-მეტსა	ა - ე ა
შმაგსა, რეტსა	ა - ე ა
ჩემსა მტერსა	ა - ე ა
ს ი ს ხ ლ ი ს მხვრეტსა	ი - ე ა

უმრავლეს და „საუკეთესო“ ხელნაწერებშია „სისხლთა“ (ორგან - სისხლსა). მაშასადამე, ა - ე ა.

და აქ კვითხულობთ მცდარ ფორმას „სისხლის“.

სამწუხაროდ, 1988 წლის აკად. გამოცემამ ეს სიმაღლე ვერ დაძლია

სევე გადასახედავია 1115-ე სტროფიც. აქ გვაქვს:

ტანიტა ჯანიტა	ა - ა ი ა
ვერცა თ უ ვცანიტა	უ - ა ი ა
დაკლა დანიტა	ა - ა ი ა

„ჩავარდნილ კლავიშს“ აქ წარმოადგენს „ვერცა თუ ვცანიტა“. მას მხარს უჭერს 1988 წლის აკად. გამოცემაც. ხელნაწერებშია ასეთი ვარიანტებიც. ხელნაწერებშია ასეთი ვარიანტებიც:

ტიც: „თუ ვერცა ვცანიტა“ (ზოგან „თუ ვერა ვცანიტა“).

მაშასადამე, ა - ა ი ა. სტროფში გვექონია სამჯერადი შერთმვა.

მსგავსი ვითარებაა 1203-ე სტროფშიც:

დაწბილებულნი	ი - ე უ ი
მათნი ხლებულნი	ი - ე უ ი
ი ს ფ რ ი თ ა ღებულნი	ა - ე უ ი

ხელნაწერებშია (ABCMRXA' და სხვა) *ისფერით ღებულნი*, მაშასადამე, გვექონია საჭირო ი - ე უ ი.

კიდევ ერთი მსგავსი ვითარება. 1208-ე სტროფშია:

ჩემთვის არენით	ი - ა ე ი
დაიჯარენით	ი - ა ე ი
მ ო ვ ა გ ვ ა რ ე ნ ი თ	ა - ა ე ი

ხელნაწერებშია (GHIKOVR') *მოვიგვარენით*, ხოლო ამ ხელნაწერებიდან მომდინარე ან მათთან ახლო მდგარ ხელნაწერებში (EJTYA') გვექონია „მოვივარენით“. ეს კი გულისხმობს ხმონათა საჭირო განლაგებას ი - ა ე ი.

სათანადო მასალას გვაძლევს 1249-ე სტროფი:

გარეშემონი ყველანი	ი - ე ა ი
ხორციელანი	ი - ე ა ი
ცეცხლი და მივსენ ცხელანი	ე - ე ა ი
აწინდელანი	ი - ე ა ი

ხელნაწერებში (FKOZ) მესამე ტაე-  
პი ასეა წარმოდგენილი: დამივსე  
(სენ) ცეცხლი ცხელანი“, მაშასადამე,  
ი - ე ა ი.

1397-ე სტროფის „ჩავარდნილი  
კლავისის“ შესახებ საგანგებო ეტი-  
უდში ვისაუბრე. აქ მაინც აღვნიშნავ.  
გვაქვს:

აბჯრისა ჩხერება	ა - ე ე ა
ხამს დაჯერება	ა - ე ე ა
ცუდილა ფერება	ა - ე ე ა
თ ა ვ ი ს ტერება	ი - ე ე ა

ასეთი სურათია 1988 წლის აკადე-  
მიურ გამოცემაში. ხელნაწერებში  
გვაქვს საჭირო ფორმა „თავისა ტერე-  
ბა“. მას ემხრობა უმრავლესი „კარგი“  
ხელნაწერი. მაშ, გვქონია მეოთხე ა -  
ე ე ა - ც.

ზოგჯერ რუსთველური კანონზო-  
მიერება დარღვეულია ამა თუ იმ  
ხელნაწერში სიტყვათა შემთხვევითი  
ადგილმონაცვლეობის გამო.

მაშასადამე, კვლავ ცდება 1988  
წლის აკად. გამოცემა.

ავილოთ, მაგალითად, 1525-ე  
სტროფი:

ვჰპოვებ ვერა	ე - ე ა
მას ეფერა	ე - ე ა
დამებერა	ე - ე ა
რასცა ოდენ იგი ჯერა	ი - ე ა

მეოთხე ტაეპი ასეა წარმოდგენი-  
ლი შანიძე-ბარამიძის, ასევე 1988  
წლის აკად. გამოცემებში.

ზოგ ხელნაწერში (DVWR' და სხვა)  
გვაქვს „იგი ოდენ“. ამ შემთხვევაში  
ყველაფერი რიგზეა:

როგორც ჩანს, აქ მომხდარა „ოდენ“  
და „იგი“ სიტყვების გადაადგილება.

რასცა იგი ოდენ ჯერა ე - ე ა.

მაშასადამე, ოთხივე ტაეპისათვის  
გვექნება ე - ე ა.

ყველა დარღვევა გამოვავლინე, მაგ-  
რამ ის კი უნდა იყოს ნათელი, რომ  
კიდევ ერთი მყარი კანონზომიერება  
დადგინდა, რაც დიდად წაადგება  
პრაქტიკულ რუსთველოლოგიურ  
ტექსტოლოგიას.

არა მაქვს იმის პრეტენზია, რომ  
აღნიშნული მეტად მნიშვნელოვანი  
კანონზომიერების შუქზე „ვეფხის-  
ტყაოსანში“ რითმისწინა სიტყვების  
სექტორი სრულად შევისწავლე და  
მაშ, ასე:

მაშ, ასე:

რუსთველის ჯადოსნური რითმის საიდუმლო ამოცნობილია.

ამას აქვს ორგემაგე მნიშვნელობა: თეორიული და პრაქტიკული.

თეორიული კუთხით გაირკვა,  
რომ ავტორის პოეტურ ხელოვნებას  
ახასიათებს რითმისწინა გახმოვანე-  
ბის ისეთი სისტემა, რომლის დროსაც

სარიტმო კლაუზულის წინ გვეძლევა  
ცალკე რითმა, რითმისწინა რითმა,  
სხვაგვარად რომა ვთქვათ, ხელთა  
გვაქვს ორმაგი რითმა. შეიძლება ითქ-

ვას სხვაგვარადაც: მაღალშირში თვალი ხედავს ორმარცვლოვან რითმას, ოღონდ ყური ტკბება სამ, ოთხ, ხუთ-მარცვლოვანი რითმის მუსიკით; დაბალშირში თვალი ამჩნევს სამმარცვლიან კლაუზულას, მაგრამ ყურს ესმის ოთხ, ხუთ და ზოგჯერ ექვსმარცვლიან ბგერათკომპლექსთა შეთანხმებული ჟღერა. ავტორის ჯადოქრობას საზღვარი არა აქვს, მისი პოეტიკურ-ტექნიკური ხიზანკობა წრე შეუწყრელია: მაღალშირში ის თითქოსდა „ყიდის“ ორმარცვლიან რითმას, ოღონდ ლამობს „შემოგვაპაროს“ გაცილებით უფრო მდიდარი - სამ, ოთხ, ხუთმარცვლოვანი ბგერათშეთანხმება; დაბალშირში თითქოსდა „ყიდის“ სამმარცვლიან რითმას, მაგრამ ახერხებს „მოგვატყუოს“ და „შინ

გაგვატანოს“ წარმოდგენლად უფრო მდიდარი - ოთხ, ხუთ და ექვსმარცვლიანი ბგერწერული ჰარმონია.

ასე დაუნანებლად იქმნება ფარული მხატვრული ეფექტი.

„ფარული მხატვრული ეფექტი“ კი გენიალობის კიდევ ერთი დასტურია!

მეორე მხრივ, რუსთველური „უცნაური“ რითმის საიდუმლოს გარკვევას აქვს პრაქტიკული სამეცნიერო მნიშვნელობა: გამოვლენილი რითმისწინარე მიმორხვევების 95-96 პროცენტის კანონზომიერების მეოხებით ძალგვიძს შევისწავლოთ რითმისწინა ცნებათა მთელი სექტორი და იოლად დავადგინოთ ამ სეგმენტში მოხვედრილ სიტყვათა ნამდვილი ტექსტოლოგიური სახე.





## თამარ ბლიაძე

### ქართული კულტურის ორიგინალურობა

ორიგინალური ანუ თვითმყოფადი დედამიწაზე არსებული ერების კულტურათაგან ყველა ერის კულტურას როდი შეიძლება ეწოდოს.

ამ მიმართულებით კულტურის შესწავლის დროს, უპირველეს ყოვლისა, სამ მხარეს უნდა მივაქციოთ ყურადღება: პირველი, რამდენად ძველი და ეროვნულ ბუნებას მისადაგებულია განსახილველი კულტურა, მეორე, რა ცვლილებები განიცადა ამ კულტურამ საუკუნეთა განმავლობაში, ანუ გაუძლო თუ არა მან ისტორიულ ქარბორიებს და რამდენად მდგრადი აღმოჩნდა იგი სხვა კულტურების გავლენისაგან თუ ზეწოლისაგან გამართულ კვეთებაში და ბოლოს, როგორია კულტურის თანამედროვე იერსახე, ახერხებს თუ არა ერთი თავისი თვითმყოფადი კულტურით ფეხი აუწყოს მსოფლიო კულტურის მიღწევებს.

სიძველის თვალსაზრისით, ქართული ენა, ქართული მუსიკალური ფოლკლორი, ქართული ხალხური სიმღერა და ეროვნული ქორეოგრაფია – ქართული ცეკვა – უნდა დასახელდეს, უპირველეს ყოვლისა, ხოლო ამის შემდეგ ქართული არქეოლოგიის ფასდაუდებელი მონაპოვარი – უძველესი ქართული სამკაულები და სარიტუალო ნივთები.

დღეს, როცა მეცნიერებაში თითქმის დამტკიცებულია, რომ ჩვენ, ქარ-

თველები, ამ ტერიტორიაზე ცივილიზაციის გარიჟრაჟზე ხალხთა დიდი გადასახლებების ეპოქაში მოსული კი არა, არამედ აქ დაბადებული ერთი ვართ, უკვე შეიძლება ლაპარაკი იმ გარემო პირობებზე, ცხოვრების წესზე და კულტურის ჩანასახოვან სიმპტომებზე, რამაც ქართული ხასიათი ჩამოაყალიბა.

ქართული კულტურის შესწავლას თუ ძირდაძირამდე ჩავეყვებით, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ჩვენ ზედმიწევნით არავის არ ვგავართ. განსხვავებულია ჩვენი ადათ-წესები და ზნე-ჩვეულებანი, გეოფიზიკური თავისებურებებით გაპირობებული ჩვენი ანთროპოლოგიური საერთოობაც კი უშუალო მეზობლებთან იდენტურობის მტკიცების ძალიან ცოტა საბუთს იძლევა. ჩვენი ანატომიური პროპორციები, სახისა თუ თვალების ფერი საგრძნობლად განსხვავდება კარის მეზობლების ანალოგიური თვისებებისაგან. ეს განსხვავება საუკუნეთა განმავლობაში ყალიბდებოდა და ქართულ იერსახედ ჩამოიქნა.

ქართული კულტურის უპირველესი და უძველესი ნიშანი ქართული ენაა.

ამ ენაზე დაიწყო მეტყველება ჩვენმა ხალხმა.

ამ ჰიპოთეზის დამტკიცება ძნელი არ გახლავთ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართული სიტყვების

დიდი ნაწილი წარმოშობილია სწორედ იმ გზით, რა გზითაც მეტყველების დასაბამიდან ენას პირველი სიტყვები შეეძინება; ეს გახლავთ საგნისა თუ მოვლენის მუსიკალური ხატი.

ჩვენი შორეული წინაპარი აყურადებდა ფრინველის ფრთათა მოძრაობას და აქედან დაიბადა სიტყვები: „ფრენა“, „ფრინველი“, „მოფარფატე“... დაიგრგვინებდა ზეცა და გაჩნდა სიტყვა „გრგვინვა“... მუსიკალური ანუ პირველყოფილი სიტყვებია: „წყალი“, „ქარი“, „ქროლვა“, „ჩურჩული“, „კვილი“, „წკავწკავი“ და ა.შ. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ ათასწლეულთა მიღმა სამეტყველო ურთიერთობის პირველი ნაბიჯები ჩვენმა წინაპარმა ქართულ ენაზე გადადგა.

ესეც არ იყოს, ისეა მორგებული ქართული ენა ქართველის ბაგე-ყბას, რომ ქართველ კაცს გამომეტყველებაც კი ქართული აქვს. დაკვირვებული ენათმეცნიერი პირველი ქართული სიტყვებისთანავე ატყობს დაკვირვების ობიექტს, ორგანულია თუ არა მისთვის, დედის მუცლიდან დაჰყვა თუ არა, რასაც ამბობს.

ქართველის მეტყველება ხორხისმიერია. სიტყვათა უმეტესობას ბგერათა ის ჰარმონია ქმნის, ყელიდან, განსაკუთრებით კი ხორხიდან, რომ მოედინება. იქნებ ამიტომაც ვლავარაკობთ ჩვენ თითქოსდა ღულუნით, დინჯად, მუსიკალურ-დარბაისლურად.

დიახ, ქართულმა ენამ ჩვენი სახე-ხორხის განსაკუთრებული ანატომიური მდგომარეობა განაპირობა.

ჩვენი ენის განსაკუთრებულ მუსიკალურ გამმას ის გარემოებაც ქმნის, რომ ჩვენ გვაქვს ბგერები, რომელთა

უმეტესობა ევროპულ ენებში არ გვხვდება. ესენია: „ყ“, „ქ“, „ფ“ F („ყ“-სა და „კ“-ს შორის, მაგ. მეგრული „ჰანა“) „თ“. ამ ბგერათა უქონლობა ზოგ უცხოელს ფრაზის წარმოთქმის დროს ანეგდოტურ მდგომარეობაში აყენებს (მაგ. „ბაყაყი წყალში ყიყინებს“ და ა.შ.). ზოგ ენას კი ორი ან სამი ბგერის შეერთება სჭირდება, რომ სასურველი ბგერა „ყ“, „ჩ“ მიიღოს. ქართველს კი თითოეული ბგერის გამოსახატავად თითო ასო აქვს. არავითარი კომბინაცია ჩვენ არ გვჭირდება და სწორედ ესაა ქართული ანბანის გენიალურობა.

არავინ იცის, როდის შეიქმნა ქართული ცეკვა, მაგრამ სადავო არ გახლავთ, რომ იგი სწორედ იმ უმველეს ხანაში დაიბადა, როცა ქართველი ცივილიზაციისაკენ პირველ ნაბიჯებს დგამდა!

ჩვენი ცეკვა გაცილებით ხნიერია, ვიდრე რომელიმე რელიგიის მომძლავრება საქართველოში. არათუ ქრისტიანობას, თვით წარმართობასაც, რომელიც ქრისტიანობაზე ბევრად უფრო ადრე და გაცილებით უფრო დიდხანს ბატონობდა საქართველოში, არავითარი კვალი არ დაუტოვებია ქართული ცეკვის სიუჟეტზე და ქორეოგრაფიულ ილეთებზე.

ქართულ ცეკვაში ქართული გენის დაბადება-განვითარების ეტაპები და, თუ გნებავთ, საქართველოს მთელი ისტორია იკითხება.

სცადეთ, დაადგინოთ „ფერხულის“, „აქარულის“ ან „მთიულურის“ ასაკი. ამაოდ დაშვრებით, რადგანაც ამ ცეკვებში ქართული ხასიათისა და ტემპერამენტის ჩამოყალიბების პროცესია ნაჩვენები თავისი პირველყოფილი მომხიბვლელობით. ეს მიხვრამოხვრა, სიჩაუქე, სიხარულის კოლექ-



ტიურად, ჯოგურად გამოხატვა ხომ უძველესი ეპოქისაკენ მიგვანიშნებს, ეპოქისაკენ, როცა საზოგადოება ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული.

ახლა აქეთ წამოვიდეთ და ვნახოთ თვითგადარჩენისთვის ქართველი ერის თავგანწირული ბრძოლა როგორ აისახა „ფარიკაობასა“ და „ხორუმში“. ორივე ამ ცეკვაში მამული-სათვის უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმულთა ძლევის ყიჟინა და კბილთა ღრჭიალი, ხმალთა კვეთება და ფარაბჯრის ჟღარუნი ისმის და ისიც საცნაურია, რომ „ფერხულ-მთიულურის“ შექმნის ეპოქას კარგახანია გამოვცდით და ბრძოლაში მეტი სიმწყობრე და მიზანმიმართება დაგვტყობია.

რაც შეეხება „ხორუმს“, ამ ცეკვით ხომ სამშობლოსათვის ქართველ მეომართა ბრძოლის მთელი სტრატეგია და ტაქტიკაა გადმოცემული. ეს ოდენ ცეკვა კი არა, ლაშქრობის მთელი ეპოპეაა: იწყება დაზვერვით, მერე შეტყობინებით, შეტყობინებას მოსდევს ლაშქრის შეკრება და მეომართა საოცარი სიმწყობრით შემოსვლა არენაზე. ჯარი მზადყოფნაშია. ახლა საჭიროა მტრის ადგილმდებარეობის დადგენა თუნდაც წინამებრძოლთა მიერ მიწაზე ყურის დადებით. და აჰა, ყველაფერი გარკვეულია! მტრის ადგილსამყოფელი ცნობილია. და იწყება თავგანწირული იერიში. თავისი მიწის დამცველთა თავბრუდამხვევ შეტევას მტერი ვერ უძლებს. იგი მარცხდება და გარბის. იწყება გამარჯვებული ლაშქრის ზეიმი. ბოლოს ქართველი მეომრები ისეთივე მწყობრი და მოხდენილი სვლით გადიან არენიდან, როგორც გამოჩნდნენ.

რით არ არის „ხორუმი“ უხსოვარ დროში გაჩენილი ქართული ეროვ-

ნული ბალეტი? სპექტაკლი, რომელშიც ცეკვით თანამიმდევრულადაა მოთხრობილი სამშობლო მიწის დაცვის ის ისტორია, ქართველთა ცხოვრებას დასაბამიდან რომ ახასიათებდა.

მტკიცება აღარ სჭირდება იმ ფაქტს, რომ ქართულ ცეკვაში სწორედ რომ ქართული სულია ჩადებული. ისე ჰგავს ქართული ცეკვა ქართველი კაცის ბუნებას, რომ მათი ცალ-ცალკე განხილვა შეუძლებელია. ქართველი კამათის დროსაც კი ძნელადშესამჩნევ ცეკვის ილეთებს ასრულებს. სწორედ ამ გარემოებამ ათქმევინა მოგვიანებით გრიგოლ რობაქიძეს: „ქართულ ცეკვას ქართველის მსგავსად სხვა ვერ იცეკვებს, რასსა არ ეყოფა“.

მსოფლიოს აოცებს ქართული მუსიკალური ფოლკლორი – განსაკუთრებით, ქართული ხალხური სიმღერა. ფოლკლორისტებმა შეისწავლეს ეს სიმღერები და დადგინდა, რომ სიმღერა განუყოფელი იყო ჩვენი ერის ყოველდღიურობისაგან. ქართულ სიმღერაში ჩვენი ყოფა-ცხოვრების ყველა ეტაპია გადმოცემული: სააკვნო სიმღერები („იავნანა“), შრომის სიმღერები, ლაშქრული შემობახილი, საქორწილო-სამეჯლისო სიმღერები, სუფრული სიმღერები და, ბოლოს, სამგლოვიარო ზარი.

ცნობილია, რომ საკმაოდ ცივილიზებულ ერთა დიდ ნაწილს ხალხური სიმღერა საერთოდ არ გააჩნია (მაგ. ამერიკა, საფრანგეთი, ჰოლანდია...), ხოლო მეორე ნაწილის „ხალხური სიმღერის“ შექმნა (მაგ., გერმანია) წინა საუკუნის დასაწყისით თარიღდება. საქართველოში კი დაახლოებით სამიათასამდე ხალხური სიმღე-

რას აღწევს და მათი უმეტესობა მუსიკალურ შედეგს წარმოადგენს.

რას უნდა მივაწეროთ ის გარემოება, რომ ჩვენ სასიმღერო ფოლკლორის მიმართულებით აუწონავი სიმდიდრე გავაჩნია, ჩვენი უახლოესი მეზობლები კი ამ მხრივ ერთობ მოკრძალებულად გამოიყურებიან?

ქართულ სიმღერას კიდევ ერთი საოცარი ნიშანი ახასიათებს – პოლიფონიურობა. თვით სამგლოვიარო სიმღერებიც კი სამ ხმაში სრულდება. პოლიფონიურობა მუსიკალური კულტურის უმაღლეს დონეს უსვამს ხაზს. ეს მაშინ, როდესაც ყაზახური, ყირგიზული, უზბეკური, თათრული, ჩუქურ-ნენცური და აზერბაიჯანული სიმღერები ერთხმოვანია. თვით ჩვენს კარის მეზობელს, საუკუნეთა განმავლობაში ქართველებთან თანაცხოვრებით გამორჩეულ ქრისტიანულ სახელმწიფოს – სომხეთს, პოლიფონიური სიმღერა არა აქვს და ხალხური შემოქმედების სომხური ანსამბლები ერთ ხმაში მღერიან.

ყური მიუგდეთ გურულ „ხასან-ბეგურას“, „ნადურს“, მეგრულ სამამითადო „ოდოიას“, მაშინვე იგრძნობთ, რომ ჩვენი წინაპარი ათასწლეულებიდან გეხმიანება. დიახაც, რომ პირველ ქართველთა ხმები და სასიცოცხლო ღაღადისი ისმის და იგრძნობა ამ უძველესი სიმღერებიდან.

საუკუნეები გადის, ქართველი სახალხო მომღერალი ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ ხვეწს სასიმღერო კულტურას.

დააკვირდით, რა სიმწყობრით და არაჩვეულებრივი მუსიკალური ექსპრესიით ხასიათდება „კახური მრავალჟამიერი“ და „ჩაკრულო“, „გაფრინდი, შავო მერცხალო“ და „იმერუ-

ლი მგზავრული“, „ჩელა“, „წინწყარო“...

ფასდაუდებელია ჩვენი საეკლესიო საგალობლები.

რაკილა ჩვენი ეკლესია ბერძნული ეპარქიის წილნაყარი იყო, ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში საეკლესიო გალობაც და სარიტუალო ტერმინოლოგიაც ბერძნული გახლდათ.

ქართულმა ქრისტიანულმა მრევლმა და მღვდელმთავრებმა იგრძნეს, რომ ბერძნულის ეპიგონად ვერ დარჩებოდა ქართული ეკლესია და ჩვენი მუსიკალური კულტურის დიდმა ტრადიციამ დაჰბადა ქართული საგალობლები. ამ საგალობელთა ერთ-ერთ პირველ მერცხლად დემეტრე მეფის „შენ ხარ ვენახი“ გუგუნებს.

რა ბუნებრივად შეერწყა და შეენივთა ქართული საგალობლები ქართულ წირვა-ლოცვას.

ბოლშევიკური უღმერთობის წყეული დრო რომ მოახლოვდა, სახელდახელოდ მოძიებული საეკლესიო საგალობლები ფილიმონ ქორიძემ და მისმა მეუღლემ სანოტო სისტემაზე გადაწერეს.

ქართული გალობის გადარჩენისათვის ზრუნვა ამით არ დამთავრებულა. ნეტარხსენებულმა სამმა მეგობარმა: ფილიმონ ქორიძემ, მაქსიმე შარაძემ და ესტატე (ექვთიმე) კერესელიძემ ორ წელიწადში სამ ხმაზე გაწყობილი ხუთასი საგალობელი ჩაიწერეს.

კომუნისტური ტირანიის დროს მამა ექვთიმე კერესელიძემ საეკლესიო საგალობლების ჩანაწერები ზედაზნის ტაძრის ეზოში ჩამარხა, რომ ქართული ეკლესიის მტრებს არ მიეგნოთ და არ გაენადგურებინათ.

მოგვიანებით ღრმად მოხუცმა ექვთიმემ ეს განძი საქართველოს მუზეუმს გადასცა.

გავიდა ცოტა ხანი და პავლე ინგოროყვამ აღმოაჩინა ქართულ ნოტებზე ჩაწერილი ქართული საგალობლები. ქართულ საეკლესიო სანოტო სისტემას მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნია.

არქეოლოგიას ზოგადად ისტორიის ყველაზე სანდო და დოკუმენტურ განშტოებად მოიხსენიებენ.

ქართველმა არქეოლოგმა ტრადიციული უსახსრობის გამო ჯერ კიდევ მხოლოდ ხუთ პროცენტს მოჰფინა მეცნიერული შუქი ქართული არქეოლოგიური მოედნისას. დანარჩენი მასალა ჯერ კიდევ მიწის წიაღშია და არქეოლოგის ნიჩაბს ელის.

თუმცა, რაც აღმოაჩინა და შეისწავლა ქართულმა არქეოლოგიურმა სკოლამ, ძვირფასი შენამენია საქართველოს სოციალური ისტორიისათვის საერთოდ და კულტუროლოგიისათვის, კერძოდ.

სწორედ არქეოლოგიამ შეძლო უტყუარი ფაქტებით დაედასტურებინა, რომ ჩვენ, ქართველები, რომელიმე კულტურის ნაწილი კი არა, აქ დაბადებული ისტორიული ერი ვართ, რომ ქართული კულტურა ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ქართული ტომის ჩამოყალიბებას ცივილიზაციის უსიერ ტევრში.

მარტოდენ საქართველოს ტერიტორიაზე სამარხებში აღმოჩენილი სამკაულები და სარიტუალო ნივთები იკმარებდა ზემოთქმულის დასადასტურებლად.

დასაფლავების წესი და მიცვალებულისათვის ჩასაყოლებელი სარიტუალო ნივთები საქართველოში ათასწლეულთა განმავლობაში თითქ-

მის არ იცვლება. სამკაულები დროთა განმავლობაში იხვეწება, მაგრამ საერთოქართულ სტილს და იერს მაინც ინარჩუნებს. საოცრად ჰგავს ერთმანეთს უძველეს სამარხებში ნაპოვნი და მცხეთაში ძევახ ერისთავის ასულის ნატიფი სამკაულები. იცვლება მასალა (ბრინჯაო... ვერცხლი... ოქრო), მაგრამ სამკაულის დამზადების პრინციპი არ იცვლება.

ბექა და ბემქენ ოპიზარების ზღაპრული ოქრომჭედლობა ხომ ორგანული ნაწილია ქართული ჭედური ხელოვნებისა და იმის დასტურიც არის, რომ ჩვენ ქართული ოქროს დიდი საბადოების პატრონი ვყოფილვართ. ამ ფონზე რაოდენ ცინიკურად ჟღერს ზოგი სინდისგარეცხილი ოქროს მომპოვებლის განცხადება – საქართველოს უძველესი ოქროს მომპოვებელი მადარო, ხუთიათასი წლის საყდრისის გვირაბი, არავითარი ისტორიული ღირებულებისა არ არის, ჩამოართვით მას ისტორიული ძეგლის სტატუსი და ჩემს გასამდიდრებლად დააგდეთო.

მართლაც რომ, ჩალით დახურულ ქვეყანაში შეიძლება საქართველოს სიამაყე – საყდრისის საბადო – უგუნურთა განსჯის საგნად იქცეს.

იშვიათად, რომ რომელიმე ქვეყნის კულტურას განეცადოს სხვა კულტურების ისეთი დიდი გავლენა, როგორც ქართულმა კულტურამ განიცადა საუკუნეთა განმავლობაში.

ევრაზიის საზღვარზე ორი განსხვავებული კულტურის გზაგასაყარზე მდებარე საქართველო არა მარტო ხმლით, თვითმყოფადი კულტურის სასწაულებრივი შენარჩუნებითაც უმკლავდებოდა გარესამყაროს.

დამპყრობელს უპირველესად ქართული რჯული (ქრისტიანული რე-

ლიგია) და ქართული ენა უკარგავდა მოსვენებას.

„ნასესხებ“ (სინამდვილეში კი თავსმოხვეულ) სიტყვათა რაოდენობა ქართული ლექსიკის თითქმის ოც პროცენტს შეადგენს. ქართულში დამკვიდრებული სიტყვები – „ექიმი“, „საათი“, „ბარათი“, „კომპი“, „ხალხი“, „კამათი“, „ქოფაკი“, „ხორაგი“, „მეჯლისი“, „ხინკალი“ და ა.შ. სწორედ რომ უცხოური წარმოშობისაა, მაგრამ დახეთ, ქართული ენის კლდისებურ ურყევობას და ცხოველმყოფელობას; ქართულმა ისე მოხერხებულად მოარგო წინადადების ბადისებური კონსტრუქცია ამ სიტყვებს და ისე გააქართულა არაბული, სპარსული და მონღოლური სიტყვები, რომ დღეს მათი ხმარება აღარავის ეხამუშება.

ქართული კულტურის მთელი ისტორია წარსულში ქართულისა და უცხოურის თანამიმდევრული ბრძოლის ისტორიაა. ეს ბრძოლა უმთავრესად ქართულის გამარჯვებით მთავრდება.

სამარხებში ერთდროულად ქართული წარმოშობის სამკაულებიც გვხვდება და ბერძნულ-ბიზანტიურიც. ქართველი ოქრომჭედელი ებრძვის უცხოურ გავლენას და ცდილობს საკუთარი, ქართული სტილი დაამკვიდროს.

გავლენისაგან საბოლოო გამარჯვების ზეიმი თამარ მეფის ბრწყინვალე ჯვარს აშკარად ეტყობა.

გენიალურ ოქრომჭედელს თამარ მეფის ყელსაკიდი ჯვარის შექმნისას უარი უთქვამს ოქროს სპარსულ „ჩახუჭუჭებაზე“ და ბერძნულის სწორხაზოვან გამომსახველობით სინატიფეზე. მას გამოსახვის სადა და სწო-

რედ სისადავით დიდებული სტილი აურჩევია.

ოქრომჭედელმა კარგად იცის, რომ ჯვარმა თამარ მეფის ყელი უნდა დაამშვენოს და იგი შორიდანაც უნდა იკითხებოდეს. ძვირფას ქვათა ფერადოვნება და ბრწყინვალეობა ერთიან კონტრასტს და განუმეორებელ სიდიადეს ქმნის.

ქართული საეკლესიო ნაგებობანი დასაწყისში ბერძნულ-ბიზანტიური ტაძრების ეპიგონობით ხასიათდებოდა.

მეათე საუკუნის დასაწყისიდან ქართველმა ხუროთმოძღვარმა იპოვა სწორედ ეროვნული იერსახით ტაძრის შენების ორიგინალური ფორმები და დაუკვირდით, რაოდენი რუდუნებით რანდა სულკურთხეულმა არქიტექტორმა ეს განუმეორებელი ქართული ხაზები და ჩუქურთმები საუკუნეთა განმავლობაში.

როგორ ჰგავს XI საუკუნეში აშენებული სვეტიცხოველი XX საუკუნეში შექმნილ სამების ტაძარს (თბილისი).

აღმოსავლური და დასავლური კულტურის გზაგაგასაყარზე მდებარე საქართველოს, დიადაც რომ უწევდა ორივე მხარის გავლენისათვის ანგარიშის გაწევა და თან – საკუთარის დამკვიდრება. ეს „ბრძოლა“ საყოფაცხოვრებო ნაგებობებზეც აისახა.

მე-19 საუკუნეში თბილისის ცენტრში აშენებული მდიდარი ვაჭრის საცხოვრებელი შენობა, რომელშიც სამხატვრო აკადემია გახლდათ თავსებული, ინტერიერით სუფთად სპარსული მოვლენაა – სარკეებით, სპარსული ჩუქურთმებით და სარკევიტრაჟებით, მაგრამ სპარსულის მოყვარულ ვაჭარს ანგარიში ხომ უნდა გაეწია თბილისის საერთო არქიტექტურული იერსახისათვის, ამიტომაც

ექსტერიერი შენობისა ჭეშმარიტად ევროპულ-პარიზულ (რაც დამახასიათებელი იყო იმდროინდელი თბილისისათვის) იერს ატარებს.

ორი კულტურის ტაქტიანი შეთავსების მაგალითია მე-20 საუკუნის დასაწყისში მაჩაბლის (მაშინდელი სერგეევის) ქუჩაზე აშენებული დავით სარაჯიშვილის სასახლე, რომელიც დიდმა ქართველმა მეცენატმა მწერალთა კავშირს დაუტოვა.

ამ შენობაში ერთი ოთახი ულამაზესი აღმოსავლური კულტურით გამოირჩევა, სხვა ოთახები კი ჩვეულებრივი ევროპული დარბაზებია.

და ბოლოს, ორიოდ სიტყვა ქართული კულტურის გვირგვინზე – „ვეფხისტყაოსანზე“ – უნდა ვთქვათ.

ქართული მწერლობა დასაბამიდან ქართულ ეროვნულ სულს, ჩვენი ერის ჰეროიკულ ბუნებას და რაინდულ სულისკვეთებას რომ გამოხატავდა, ეს არაერთგზის დაამტკიცეს მეცნიერმა ფილოლოგებმა, რაც შეეხება „ვეფხისტყაოსანს“, იგი ოდენ წიგნი კი არა, ქართველთა სულიერი კოდექსია, მის საუკეთესო თვისებათა მხატვრული კალეიდოსკოპი გახლავთ.

თუ ჩავუღრმავდებით მე-12 საუკუნეში შექმნილ „ვეფხისტყაოსანს“ და მსოფლიო ლიტერატურის ამ შედევრს მისი დროის მსოფლიოს ლი-

ტერატურის თანავარსკვლავედში განვიხილავთ, დავრწმუნდებით, რომ შოთა რუსთაველმა შეძლო გათავისუფლებულიყო სარაინდო-სამიჯნურო სენტიმენტალური პოემების გავლენისაგან და, სწორედ რომ, თამარის ეპოქის საკადრისი ეროვნული, ორიგინალური თხზულება შეექმნა.

მივადექით ქართული კულტურის თვითმყოფადობის დამტკიცებისათვის აუცილებელ პოსტულატს: არის თუ არა ათასწლეულგამოვლილი ჩვენი კულტურა დღეს სიცოცხლისუნარიანი, სხვათაგან გამორჩეული და ახერხებს თუ არა იგი, ფეხი აუწყოს თანამედროვე მსოფლიო კულტურის მიღწევებს.

ქართული კულტურის თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის ბრძოლა წუთითაც არ შემწყდარა. დამპყრობთა ჯიუტი ნება გლობალიზაციის ვეშაპმა შეცვალა. თუ დღეს თავისუფალ ეროვნულ აზრს ცენზურის წნეხში არ ატარებენ, სამაგიეროდ, მასკულტურის გრძელი ხელი ლამის ყელში მიწვდეს ჩვენი კულტურის ტრადიციული ხაზის გამგრძელებლებს.

უძველესი ქართული კულტურის გამონათებანი დღესაც არც თუ იშვიათია და სწორედ ეს „ჯიუტი ფაქტები“ აიძულებს მსოფლიოს, რომ ქართულ ფენომენზე ილაპარაკოს.





## **აღექსანდრე მღებრიშვილი**

### **ჟურნალისტიკის ინტერაქტიური ბუნება და მისი, როგორც სახალხო ფორუმის, ძირითადი ფაქტორები**

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად, დემოკრატიულ საზოგადოებათა ფუნქციონირების ქვაკუთხედს თავისუფალი, დამოუკიდებელი და პლურალისტური მასობრივი ინფორმაციის საშუალებები წარმოადგენს [1].

ჟურნალისტიკის განვითარების ადრეული ეტაპებიდანვე ყველაფერი კეთდებოდა იმისთვის, რომ ამ სფეროს სახალხო მსჯელობის ასპარეზი შეექმნა და შეენარჩუნებინა. მკვლევართა მოსაზრებით, ინფორმაციის მოკრებისა და გავრცელების ჩანასახი ჯერ კიდევ შორეულ წარსულშია საძიებელი. ძველ სამყაროში „ახალი ამბების“ გავრცელება ე.წ. ზეპირი ფორმით არსებობდა. ვგულისხმობთ სხვადასხვა ტიპის თავშეყრის ადგილებში ადამიანთა შორის აზრთა ურთიერთგაზიარების და ინფორმაციის, თვალსაზრისების გაცვლის პროცესს.

ხსენებულ და მომდევნო პერიოდებში ჟურნალისტიკის არსებობაზე ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით საუბარი ჯერ კიდევ ნაადრევია, რადგან ჟურნალისტიკამდელი ე.წ. „გამოცემები“ ხასიათდებოდნენ გავრცელების შეზღუდულობით და თანაც მიმართული იყვნენ შედარებით ვიწრო აუდიტორიისადმი. ჯერ კიდევ არ გამოიყენებოდა ბეჭდვის ტექნიკა,

რაც გამოცემების სწრაფი ტირაჟირების საშუალებას არ იძლეოდა [2].

XV საუკუნის ევროპაში, იოჰან გუტენბერგის მიერ საბეჭდი დაზვის გამოგონებამ, მოგვიანებით კი რადიოს და ტელევიზიის დაბადებამ რევოლუციური გარდატეხა გამოიწვია და ცვლილებათა ახალ ერად გადაიქცა ჟურნალისტურ სამყაროში. ყოველივე ეს უფრო მკვეთრს ხდიდა ჟურნალისტიკის მესვეურთა სახალხო ფორუმებისა და დისკუსიებისაკენ მიწრაფებას. ნათქვამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი წარსულიდან გახლავთ ნოა უებსტერი, რომელიც 1793 წელს წერდა: „გაზეთი მხოლოდ იმის მიმწოდებელი კი არ არის, რასაც ახალ ამბებს ვუწოდებთ; ის სოციალური ურთიერთობების საერთო-სახალხო ინსტრუმენტიცაა, რომლის მეშვეობითაც ამ უზარმაზარი რესპუბლიკის ხალხი ერთმანეთს ესაუბრება და დებატებს მართავს საზოგადოების მნიშვნელოვან საკითხებზე“ [3].

უკვე მეცხრამეტე საუკუნის მიწურულიდან, როდესაც კომერციული პრესა იწყებს განვითარებას, სულ უფრო აქტიური ხდება ყოველგვარი სუბიექტივიზმისაგან თავისუფალი, მიუკერძოებელი ჟურნალისტის სახე. ნეიტრალურ ინფორმაციულ და პრო-

პაგანდისტულ ჟურნალისტიკას შორის თანაარსებობის, ბალანსის ფორმების ძიება დღემდე ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. მიღებული შეხედულების შესაბამისად, დისკუსიების მონაწილე მოპაექრე მხარეთა შორის სწორედ ჟურნალისტი უნდა ასრულებდეს ნეიტრალური დამკვირვებლის როლს. ანალიტიკური აზროვნების, გონივრული მიდგომების წყალობით იგი კრიტიკულად უნდა განიხილავდეს ორივე მხარის მოსაზრებებს და არ უნდა იკვეთებოდეს მისი სუბიექტური მიდგომა რომელიმე მხარის მოსაზრებათა სასარგებლოდ.

XX საუკუნის ბოლო პერიოდიდან პრესას და ტელევიზიას არაერთი კონკურენტი გამოუჩნდა. მხედველობაში გვაქვს საკაბელო, სატელიტური ტელევიზია და ბოლოს - ინტერნეტი. უახლესი ტექნოლოგიების დანერგვამ აუდიტორიისათვის სხვა შესაძლებლობათა პაკეტის შეთავაზება გამოიწვია. თუ რადიო და ტელევიზია მოკლებული არიან შესაძლებლობას მცირე ხნით, ან გარკვეული, სასურველი დროით შეუნახონ ინფორმაცია მომხმარებელს, ეს პრობლემას არ წარმოადგენს ინტერნეტის სპეციფიური კომუნიკაციურობისთვის დამახასიათებელი თავისებურებიდან გამომდინარე. ინტერნეტსივრცის ელექტრონულ არქივში შენახული ნებისმიერი სიდიდისა და სახის ინფორმაციის გამოხმობა ნებისმიერ სასურველ დროსაა შესაძლებელი. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, უპირატესობას ანიჭებს ინტერნეტ მედიას და მიუთითებს მის, როგორც სინქრონული, ასევე დიაქრონული კომუნიკაციის უნარზე ერთდროულად.

ბუნებრივია, მსგავსმა გარემოებებმა გარკვეული როლი ითამაშეს ახალი ამბების ინდუსტრიაში. სკანდალებსა და გართობაზე ორიენტირებულმა ახალი ამბების ნაკადმა იმატა. ახალი ამბების მრავალფეროვნებამ და უფრო მეტად ხელმისაწვდომობამ გამოიწვია აუდიტორიის და მისი ინფორმირებულობის დონის ზრდა.

როგორც ცნობილია, ყოფილ საბჭოთა სივრცეში დემოკრატიული ღირებულებები ღრმა დეფიციტის საგანს წარმოადგენდა, ამრიგად, XX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს მიერ საბჭოთა კავშირის დატოვების და დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საბჭოური გავლენისაგან გათავისუფლება დაიწყო ქართული მედიაც, რაც საკმაოდ მწვავე და პრობლემური პროცესი აღმოჩნდა. ხელისუფალთა მხრიდან ე.წ. „მავნე პოლიტიკური იდეების გავრცელების არ დაშვება“ იმ მიმე ტვირთად იქცა, რომელიც ინერციით ღრმა საბჭოური იდეოლოგიის ფესვებიდან მომდინარეობდა და რომლისგან გათავისუფლებას ათეული წლები დასჭირდა.

„ყველაფერს, რაც საბჭოთა დროს მედიაში პოლიტიკის შესახებ იწერებოდა და საჯაროდ ითქმოდა, ცოდნის გავრცელების სტატუსი ჰქონდა. ამ ცოდნის წყარო იყო მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით აღჭურვილი კომუნისტური პარტია. შეხედულებებს, რომლებიც ამ ცოდნას კითხვის ქვეშ დააყენებდა, საჯარო სივრცეში ადგილი არ ჰქონდა. ჟურნალისტი „კარგად“ წერდა იმდენად, რამდენადაც სწორად ასახავდა მმართველი პარტიის კურსს. დემოკრატიული გარდაქმნების კვალობაზე გაქრა მონოპოლია პოლიტიკურ „ცოდნაზე“,

გაჩნდა მრავალფეროვანი პოლიტიკური შეხედულებები, შეფასებები და მიდგომები და ჟურნალისტებს გაუჩნდათ პრობლემა - როგორ უნდა წერონ პოლიტიკური მოვლენების შესახებ ახალ ვითარებაში, როდესაც აღარ არსებობს ძველი ათვლის სისტემა - „სწორი“ ცოდნის ერთადერთი წყაროს სახით“ [4].


ყოველდღიური ჟურნალისტური საქმიანობა, რომლის შედეგადაც აუდიტორიას უამრავი კონკრეტული თემა მიეწოდება, სახალხო მსჯელობისა და დისკუსიის არაერთ საკითხს ბადებს. საზოგადოების ინტერესის საგნად შეიძლება იქცეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში შემჩნეული რაიმე უკანონო ქმედება ან თუნდაც ყოფითი ყოველდღიურობის რაიმე მნიშვნელოვანი სიახლე, რომელიც ადამიანთა გარკვეული წრის დაინტერესების ობიექტი გახდა. მიღებულ ინფორმაციაზე საზოგადოების რეაქციას - რეაგირება წარმოადგენს, რაც პირველყოვლისა სახალხო მსჯელობებსა და საჯარო დისკუსიებში გამოიხატება. ასეთ თემებს ჟურნალისტების მხრიდან ეძღვნება არაერთი პუბლიცისტური თხზულება, ეთმობა საეთერო დრო, სხვადასხვა სახის ინტერაქტიული გამოკითხვა და ა.შ.

„ყოველწლიურად მილიონობით დოლარი იხარჯება საზოგადოებრივი აზრის მართვის მიზნით, რისთვისაც ხშირად ნახევრად სიმართლე ან სულაც აშკარა ტყუილი გამოიყენება. სწორედ ამიტომ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას, რომ მას-

მედია საჯარო დისკუსიებს მართავდეს და ამ გზით მიუკერძოებელი მსაჯულის როლს ასრულებდეს. მასმედიის განვითარების ახალ ეპოქაში ჟურნალისტიკას უფრო მეტად ევალება კომერციალიზებული მსჯელობების, ლობისტებისა და პოლიტიკური პროპაგანდის სიცრუეების გამომჟღავნება და საჯაროდ გამოტანა. გაზეთის სარედაქციო სვეტს, კონკრეტული რუბრიკის მიმომხილველისა და საკუთარი თვალსაზრისის გამომხატველ საჟურნალე სტატეიას საკუთარ პოზიციაზე მტკიცედ დგომის ყველანაირი უფლება აქვს. ესაა მათი მისია. მაგრამ თუ მათ ავტორებს უნდათ, რომ ჟურნალისტები ერქვათ, მაშინ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვან ფაქტების არასწორი ინტერპრეტირება. მათ ისევე უნდა დაიცვან სიმართლის თქმისა და საზოგადოების ინტერესების უზენაესობის პრინციპები, როგორც მათი პროფესიის სხვა სფეროების წარმომადგენლებმა“ [5].

სრულყოფილი საზოგადოებრივი დისკუსიების მოსაწყობად გასათვალისწინებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება, კერძოდ, დისკუსიის საფუძველს ჟურნალისტთა მიერ გადამოწმებულ ფაქტებზე დაფუძნებული სიმართლე უნდა წარმოადგენდეს. ეს ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს ფორუმის ეფექტურობას და მეორე მხრივ, აუდიტორიას აარიდებს მცდარ შეხედულებებზე და დასკვნებზე დაფუძნებულ მსჯელობას.





მეორე მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს მასში ჩართულობის ხელმისაწვდომობა. ფორუმი უნდა არსებობდეს ყველა დაინტერესებული პირისათვის და არა გარკვეული პრივილეგირებული ჯგუფებისთვის.

კოვარჩისა და როზენსტაილის აზრით, არის კიდევ ერთი ასპექტი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია მედიის სახალხო ფორუმის ფუნქციის გაცნობიერებისათვის. დებატები, რომლებიც მხოლოდ უკიდურეს პოზიციებს შეიცავს, საზოგადოების ინტერესებს კი არ ემსახურება, არამედ მის უმრავლესობას ყურადღების გარეშე ტოვებს. მაშინაც კი, როცა მასმედიის საშუალებები ფართო სპექტრის თვალსაზრისებს წარმოაჩენენ, რაც საზოგადოებაში არსებულ საჯაროობაზე მეტყველებს, მათ მხედველობიდან არ უნდა გამორჩეთ ის, რომ დემოკრატია, საბოლოოდ, კომპრომისებზეა აგებული. სახალხო ფორუმი უნდა გულისხმობდეს მრავალრიცხოვან შეთანხმებებს, რომლებსაც ხალხის უმეტესობა აღიარებს და რომლებიც საზოგადოების წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრის საშუალებაა [6].

ჩვენ ერთად, ალბათ, არაერთხელ გვინახავს ისეთი გადაცემა, სადაც კომპრომისის და რთული ვითარებიდან გამოსავლის ძიების ნაცვლად დებატებისათვის განკუთვნილი დროის

დიდი ნაწილი არაფრისმთქმელი სუსტი არგუმენტაციით, ერთმანეთის შეურაცხმყოფელი მიმართვებით და სალანძღავი გამონათქვამებითაა სავსე. მაშასადამე, თავისი პროფესიული საქმიანობით ჟურნალისტი უნდა ასრულებდეს შუამავლის როლს დაპირისპირებულ მხარეთა შორის კომპრომისების ძიებით. ჟურნალისტის საქმიანობა მიმართული უნდა იყოს დაპირისპირებულ რესპოდენტთა კიდევ უფრო მეტი პოლარიზაციისა და ხელოვნური, აუდიტორიის მაპროვოცირებელი დისკუსიების თავიდან არიდებისაკენ.

„არ უნდა დაგვავიწყდეს თავად დისკუსიის ბუნებაც. მედიის სიყვარული ლაპარაკისადმი თანდათან პოლარიზაციის სიყვარულში გადაიზარდა. „დისკუსიებს“ ძალიან ცოტა ან თითქმის არაფერი აქვს საერთო ჟურნალისტიკის საგანმანათლებლო მისიასთან. ამის ნაცვლად, ყველა თავისი სიმართლის დამტკიცებას ცდილობს და ამიტომ ყველა პრობლემა გადაუჭრელი გვეჩვენება. კომპრომისი, როგორც კანონიერი ალტერნატივა, აღარ არსებობს... „კამათის კულტურის“ ამ თვისებებს - რეპორტაჟების მოცულობის შემცირებას, ექსპერტთა მოსაზრებების გაუფასურებას, ძირითადი ყურადღების სკანდალურ ისტორიებზე გამახვილებასა და გამარტივებულ, პოლარიზებულ

დებატებს - ის პრობლემა ახლავს, რომ ხალხს სულ უფრო ნაკლები საშუალება აქვს სახალხო ფორუმებში მონაწილეობისა, რომელთაც, წესით, მასმედიამ მხოლოდ ხელი კი არ უნდა შეუწყოს, არამედ საკუთარი გადარჩენის მნიშვნელოვან ინსტრუმენტადც უნდა გამოიყენოს“ [7].

ჟურნალისტური საქმიანობის საუკეთესო შედეგს პრობლემური საკითხების მშვიდ გარემოში გონივრული განხილვების მოწყობა წარმოადგენს და არა ურთიერთ სალანძღავი, გასართობი შოუების მოწყობა.

სწორად ორგანიზებული დებატების შემთხვევაში საზოგადოებაში არსებული პრობლემური საკითხების გადაჭრის გზების მოძიება სავსებით რეალური შესაძლებლობაა, ხოლო არაპროფესიონალური მიდგომა საზოგადოებას აკარგვინებს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის საშუალებას, უფრო მეტად აღრმავებს აუდიტორიაში მედიისადმი არსებულ უნდობლობის ეჭვს, აძლიერებს ადამიანთა აღშფოთებას. ესე იგი, წარმატებული საჯარო დისკუსიის/სახალხო ფორუმის დაგეგმვა-განხორციელებისთვის ზემოთ ხსენებული ქმედითი პროფესიული ხერხების გამოყენება გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს.

საგულისხმოა, რომ საზოგადოების ფუნდამენტური უფლებაა იყოს ინფორმირებული და მიეწოდებოდეს სასურველი ტიპის გადამოწმებული, ობიექტური და ოპერატიული ინფორმაცია. მედიის მიმართ აუდიტორიის ნდობის გაღრმავებას ხელს უწყობს ისეთ გარემოებათა კომბინაცია, როგორცაა: სიტყვის თავისუფლება, პროფესიონალიზმი და კეთილსინდისიერება. ამ აღჭურვილო-

ბით ჟურნალისტი გაცილებით უფრო ქმედითი, ნაყოფიერი და საზოგადოებისათვის მისაღებია.

„სიტყვის თავისუფლება ისეთი აზრების გავრცელებასაც გულისხმობს, რაც ბევრს არ ესიამოვნება და თავს შეურაცხყოფილად აგრძნობინებს. ერთი მხრივ, სავსებით ბუნებრივი ჩანს შეურაცხყოფილი ადამიანის აღშფოთება: თუ სიტყვის თავისუფლება ადამიანის ღირსების შელახვას გამოიწვევს, მაშინ ამგვარი თავისუფლება სულაც არ არის საჭიროო! მაგრამ, მეორე მხრივ, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ნებისმიერი სხვა ღირებულების (მაგალითად, პიროვნების ღირსების) გადაჭარბებულმა დაცვამ შეიძლება სიტყვის თავისუფლების გაუმართლებელი შეზღუდვა გამოიწვიოს, რაც გაცილებით მძიმე შედეგს მოუტანს იმავე საზოგადოებას, რომელსაც ხშირად აღიზიანებს ეს თავისუფლება. საქმე ისაა, რომ სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა მთლიანად საზოგადოებას და ამ საზოგადოების სხვა უფლებებს შეუქმნის საფრთხეს.

ამ კამათში სიმართლე არ არის მხოლოდ ერთ მხარეს. სიტყვის თავისუფლება თავისთავად გულისხმობს, რომ ჟურნალისტი ხან სენსაციას გამოეკიდება, ხან ჭორსა თუ გადაუმოწმებელ ინფორმაციას გაავრცელებს და ხან ვიღაცა დარჩება ნაწყენი. ესეც არ იყოს, შეცდომისგან არავინ არის დაზღვეული და გამონაკლისს, ცხადია, არც ჟურნალისტი წარმოადგენს. მეორე მხრივ, საზოგადოებას აქვს უფლება, მიიღოს სანდო, მრავალმხრივი და გადამოწმებული ინფორმაცია და ეს მისია ჟურნალისტებმა უნდა აიღონ თავის თავზე“ [8].

დემოკრატიულობისა და ჟურნალისტიკის ურთიერთმიმართების კვლევებზე საუბრისას საჭიროა მედიის იმ მხარეებზე კონცენტრირება, რომლებიც ყველაზე მეტად ეხება დემოკრატიას. ამ მიმართულებით მასმედიის სამ ძირითად როლზე მახვილდება ყურადღება. მედია უნდა იყოს:

1. სამოქალაქო ფორუმი, სადაც მიმდინარეობს პლურალისტური დებატები საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ;
2. ძალაუფლების ბოროტად გამოყენების სადარაჯოზე მდგომი ინსტიტუტი;
3. მობილიზების იარაღი, რომელიც ხელს უწყობს მოსახლეობის სწავლებას და ჩართვას პოლიტიკურ ბრძოლაში[9].

საზოგადოების აქტივობის გამოწვევა და სტიმულირება რთული ამოცანაა. მაგრამ ეს ისაა, რასაც ჟურნალისტიკა ყოველთვის თავის მიზნად მიიჩნევდა. ამ ამოცანის შესრულება საზოგადოების წევრებისთვის მხოლოდ ცოდნითა და ინფორმაციით კი არ არის შესაძლებელი, არამედ ისეთი დისკუსიის ხელშეწყობის ვალდებულების აღიარებით, რომელიც საზოგადოების აღმშენებლობაში საყოველთაო ჩართვას გულისხმობს.

ისეთი პრესის არსებობის საჭიროებას, რომელიც ხალხის ნდობისთვის იბრძვის, კი არ ამცირებს, არამედ აძლიერებს ინტერნეტი, სადაც ინტერნეტბიულეტენები, ჩეტოთახები და სხვა სახის ფორუმები იმას, რაც ადრე პირადი საუბრები იყო, სახალხო დისკუსიებად აქცევს [10].

საგულისხმოა, რომ ყოველი ელექტრონული ფოსტის მისამართის დო-

მენის მიხედვით ძირითადად შესაძლებელია მომხმარებლის ამა თუ იმ ინსტიტუციისადმი კუთვნილების განსაზღვრა. ასეთ დომენებს წარმოადგენენ: „com“, „org“, „edu“, „gov“, „net“ და სხვ.

მოგეხსენებათ, ინტერნეტსივრცე ღირებულ და სანდო, მაღალი ხარისხის საინფორმაციო წყაროებთან ერთად ბევრ ტენდენციურ და ცრუ ინფორმაციულ მასალას მოიცავს.

ინფორმაციის სანდოობაში გასარკვევად გასათვალისწინებელია შემდეგი მოთხოვნების დაცვა:

- ექვემდებარება თუ არა შემოწმებას საიტზე პასუხისმგებელი პირის ვინაობა;
- შესაძლებელია თუ არა მასალის ავტორის დადგენა;
- დაცულია თუ არა საავტორო უფლებები;
- სასურველი ინფორმაცია გამყარებული არის თუ არა სათანადო არგუმენტაციით;
- სასურველი ინფორმაცია შესაბამისობაშია თუ არა სხვა წყაროებში გადამოწმებულ ინფორმაციასთან;
- როდის არის განთავსებული სასურველი ინფორმაცია და ხდება თუ არა საიტის რეგულარული განახლება;
- სასურველ ინფორმაციაში არის თუ არა დაცული ბალანსი და ხომ არ არის იგი რაიმე ტიპის პროპაგანდის ნაწილი;
- მოცემულ საიტზე ხომ არ არის განთავსებული უხამსი და დაუსაბუთებელი განცხადებები;
- როგორი ტიპის საიტებს განეკუთვნება იგი (სახელმწიფო, კომერციულ, სარეკლამო და ა.შ.);

- საიტი ადვილად უნდა იხსნებოდეს;
- შეუფერხებლად უნდა მუშაობდეს ყველა ბმული;
- ინფორმაცია სისტემურად არის თუ არა განლაგებული;
- რამდენად ხშირია გრამატიკული შეცდომა.

მსგავსი ტიპის კრიტერიუმთა ფილტრის გავლა ხელს უწყობს ინტერნეტ-სივრცეში მოძიებული ინფორმაციის ხარისხიანობისა და სანდოობის ხარისხის შედარებით მაღალი მაჩვენებლის უზრუნველყოფას. რაც შეეხება ისეთი ტიპის ინტერნეტ სივრცეებს, როგორცაა: თავისუფალი ენციკლოპედია – „ვიკიპედია“, სხვადასხვა სახის ბლოგი, ფორუმი და მისთ. ისინი ძალზე ხშირ შემთხვევებში, ერთმნიშვნელოვნად, არასანდო წყაროთა შორის მოიაზრებიან.

ამრიგად, დღევანდელი მედია მომენტალური, ინტერაქტიური კომუნიკაციის საჭიროებას აყენებს. „სიტყვა „ახალი მედიის“ ზუსტი განმარტება არ არსებობს, მაგრამ ვინმეს

რომ ჰკითხოთ, ერთს დაბეჯითებით გეტყვით – ეს არის პლატფორმა, ტექნოლოგია, რომლის მეშვეობით აუდიტორიებს გზავნილები ინტერაქტიური სახით მიეწოდება. ახალი მედია ადამიანს საშუალებას უქმნის, ახალი ამბების, ინფორმაციის, გაართობის, ანალიზისა და რეკლამის მიმწოდებელს პირდაპირ ელაპარაკოს. მას შეუძლია, კომუნიკაციის პროცესის ინიციატორი თავად იყოს. რა თქმა უნდა, სახლის ვებგვერდებსა და გიგანტური მედიაანტერპრენიორების ვებსაიტებს შორის უზარმაზარი განსხვავება არსებობს. სახლის ვებგვერდს ძირითადად სტუდენტები, ან სხვა ინდივიდები თავიანთ ნაცნობ-მეგობრებთან კომუნიკაციისთვის ქმნიან, პროფესიული ვებსაიტების უკან კი ათასობით დაქირავებული მუშაკი დგას, რომლებიც მის შინაარსზე, ინტენსივობაზე, რეკლამირებასა და მხარდაჭერაზე ზრუნავენ, რომ აღარაფერი ვთქვათ მის მასშტაბსა და რესურსებზე“ [11].

**ALEKSANDRE MGHEBRISHVILI**

**INTERACTIVE NATURE OF JOURNALISM AND ITS MAIN FACTORS AS A PUBLIC FORUM**

Summary

From the early stages of the development of journalism, everything was being done in order for the sphere to create an arena for public discussion and to maintain it. According to the scientists, the rudiment of gathering and spreading the information should be sought in the distant past. In the ancient world, „news“ was spreading by, so-called, a word of mouth. We mean the process of sharing information and opinions in the places, where people gathered and exchanged their ideas.

Since the end of the XX century, press and television has had many rivals, we mean a cable, satellite TV and lastly, Internet. The introduction of new technologies offered a new packet of opportunities. If the radio and TV are

deprived of the opportunity to save the information for the customer for a little, or a specific period of time, it is not a problem for the Internet based on its specific communication features. At any time, it is possible to retrieve the information of any kind and size, which is saved in the electronic archive of the Internet sphere. Certainly, this feature gives preference to the Internet media, and points at its synchronic and diachronic communication skills simultaneously.

As we know, there was a lack of democratic values during the former Soviet period. Thus, in the 90s of the XX century, after Georgia left the Soviet Union and declared independence, Georgian media also began to free itself from the Soviet influence, and it turned out to be an acute and problematic process. From the government's side, the so-called "prohibition to broadcast harmful political ideas" turned into such a burden, which, by inertia, was coming from the deep roots of Soviet ideology and it took decades to get rid of it.

The everyday journalistic work provides the audience with lots of specific topics, which gives birth to many discussion questions. The object of the public interest may become an illegal action or some important news of the everyday life, which becomes the object of interest for a specific group of people. The response of the society on the received information is the reaction, which is expressed, first of all, in public discussions. Journalists dedicate their essays to such themes, airtime is provided, many kinds of interactive polls are conducted, etc.

The best result of the journalistic work is reached when problematic questions are discussed peacefully, and not by using offensive words, and putting on entertaining shows.

It is really possible to solve the problematic issues in case the discussions are organized in the right way, but unprofessional approach makes the society lose the opportunity to participate in decision-making. It deepens the distrust of the audience towards media and increases the people's anxiety. Thus, in order to plan and fulfil a successful public discussion / public forum, the use of the above-mentioned professional skills is inevitable.

The challenge and stimulation of the community activity is a difficult task. But, it is exactly the goal that journalism was always striving for. It is impossible for the members of the society to fulfil the mentioned task using only the knowledge and information, but to take the responsibility to support such discussion, which implies general engagement in the development of the society, is possible.

### ლიტერატურა

1. ევროპის საბჭო (800 მილიონი ევროპელი), ითარგმნა და გამოიცა საქართველოში ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიუროს მიერ, ევროპის საბჭოს კომუნიკაციის დირექტორატის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებასთან თანამშრომლობით, თბ., 2006, გვ. 63;
2. შ. გაგოშიძე, ჟურნალისტიკის საფუძვლები, თბ., 1996, გვ. 18;

3. ბ. კოვაჩი, ტ. როზენსტილი, ჟურნალისტიკის ელემენტები (პირველი ქართული გამოცემა), თბ., 2006, გვ. 165;
4. [Http://www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge)
5. ბ. კოვაჩი, ტ. როზენსტილი, ჟურნალისტიკის ელემენტები (პირველი ქართული გამოცემა), თბ., 2006, გვ. 162;
6. ბ. კოვაჩი, ტ. როზენსტილი, ჟურნალისტიკის ელემენტები (პირველი ქართული გამოცემა), თბ., 2006, გვ. 163;
7. ბ. კოვაჩი, ტ. როზენსტილი, ჟურნალისტიკის ელემენტები (პირველი ქართული გამოცემა), თბ., 2006, გვ. 170;
8. ჟურნალისტური ეთიკა და თვითრეგულირების მექანიზმები, მედია, (რედ.თ. კინწურაშვილი), თბ., 2003;
9. [Http://www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge)
10. ბ. კოვაჩი, ტ. როზენსტილი, ჟურნალისტიკის ელემენტები (პირველი ქართული გამოცემა), თბ., 2006, გვ. 172;
11. მ. დეფლორი, ე. დენისი, მასობრივი კომუნიკაციის გააზრებისათვის, თბ., 2009, გვ. 183;





## ბადრი ცხადაძე

# გინება და ქართველები

### წინათქმის მაგიერ

ეს წერილი მეოცე საუკუნის მიწურულს დაიწერა, როცა საქართველოს, დედაქალაქს ძალიან უჭირდა – მოსახლეობას უშუქობა-უსინათლობა, სიცივე და უგაზობა, მოძველებული, ჯაბახანა ტრანსპორტი სტანჯავდა, არაიშვიათად უტრანსპორტობაც. სამსახურში ცივ აუდიტორიებში გაყინულთა შინ ღამით მისულთ საწერ მაგიდას ლამპის შუქი გვინათებდა, ხოლო გარეთ ბნელ ქუჩებსა და სადარბაზოებში სპეციალური ბატარეით ვიგნებდით გზას.

სწორედ ამდროინდელ დაწერილ საჟურნალო სტატიას გთავაზობთ, რომელიც შემთხვევით, როგორც დედანი, არქივში აღმოვაჩინე. იგი ჩემი სტუდენტების სხვა სტატიებთან ერთად უნდა დაბეჭდილიყო ერთ სოლიდურ სამწერლო ჟურნალში და რატომღაც დღემდე არ გამოქვეყნებულა (მიზეზი უცნობია). გთავაზობთ უცვლელად ამ წერილს და დამატებისა და შენიშვნების სახით ამავე თემასთან დაკავშირებით ვურთავთ შემდგომ ნაფიქრალს.

ავტორი  
17.12.2013

იშვიათია ერი, ვინც ისე მრავალფეროვნად და გულიანად იგინებოდეს, როგორც ქართველები. იგინება

ქართველი როგორც შინ, ისე გარეთ – ქუჩაში, ბაღში, სადგურებში თუ ავტობუსის გაჩერებაზე, კინოთეატრში თუ უმაღლეს სასწავლებელში. იგინებიან დღისით, მზისით, აშკარად, დაუფარავად. იგინება ქალი თუ კაცი, ბავშვი თუ მოზარდი, გონიერ-ინტელექტუალი თუ უგონური, უვიცი, მოწაფე თუ სტუდენტი. აგინებენ ერთმანეთს დედას, დას, მშობლებს, ჯიშს, მოდემას, ერს, საკუთარ თავს, არადა უახლოეს წარსულში ქართველი ქართველს დედის გინებას ვერ გაუბედავდა, ვერ შეაგინებდა და თუ შეაგინებდა....

ქართველოლოგიაში და საერთოდ ქართველ ინტელექტუალურ საზოგადოებრიობაში ფრიად გავრცელებული აზრია, რომ ბილწსიტყვაობა, გინება, უხამსობა ისტორიულად თურმე ქართველთათვის უცხო იყო, მონღოლების შემონატანია ჩვენშიო. ამ ბოლო დროს ეს აზრი კვლავ გაიმეორა ერთმა მეცნიერმა, უნივერსიტეტის პროფესორმა, გაზეთ „ბურჯი ეროვნებისას“ ფურცლებზე.

დაისმის კითხვა: მართლა მონღოლების შემონატანია და დამკვიდრებულია ჩვენში გინება?

ამ აზრის დამტკიცება-უარყოფის მიზნით დავიმოწმებ ერთ ადგილს „შუმანიკის წამებიდან“ (სამწუხაროდ, უფრო ადრეული, ძველი ძეგლი არ მოგვეპოვება, თორემ ვინ იცის,

რა საინტერესო ფაქტებთან არ გვექნებოდა საქმე).

იაკობ ხუცესი (ცურტაველი) თავისი მოთხრობის მთავარ პერსონაჟს, ქვემო ქართლის გამგებელს, ვარსკენ პიტიახშს ათქმევინებს..., რომ, თუმცა სჯობს, ციტატა უფრო სრულად დავიმოწმო. ახლად მაზდეანობამიღებულმა თავვერმა პიტიახშმა, როდესაც შუშანიკის – საკუთარი მეუღლის შემორიგების მიზნით საგანგებო პურისჭამა გამართა, ხოლო დედოფალმან საპიტიახშოსამან სასტიკი ური განაცხადა და თავისი რძლის – ჯოჯიკის მეუღლის მოწოდებულ ღვინით სავსე ჭიქას ხელი გაჰკრა და ღვინო დააქცია, განრისხებულმა ვარსკენმა „იწყო უჯეროსა გინებად და ფერჯითა თვსითა დასთრგუნვიდა მას; და აღილო ასტამი და უხეთქნა მას თავსა და ჩაჰვლა და თუალი ერთი დაუბუშტა; და მჯიღითა სცემდა პირსა მისსა უწყალოდ და თმითა მიმოითრევდა: ვითარცა მჭეცი მძვინვარჯ ყიოდა და იზახდა ვითარცა ცოფი. მაშინ შუელად აღდგა ჯოჯიკ, ძმა მისი, და ბრძოდეს, ვიდრემდის გუემა იგიცა. და კუბასტიცა თავსა მისსა მოხეთქა. და ჭირით, ვითარცა კრავი მგელსა, გამოულო ჯელთა მისთა. და ვითარცა მკუდარი იდვა წმიდად შუშანიკ ქუეყანასა ზედა. და აგინებდა ვარსკენ თესლ-ტომსა მისსა და სახლისა მაოჯრებლად სახელ-სდებდა მას“...

საკითხავია და ფრად საინტერესო, ჩემი ოპონენტები ნეტავ რა არგუმენტს დამიპირისპირებენ? V საუკუნეში ქართლში, მონღოლები ბატონობდნენ, როცა გამხეცებული, გაცოფებული ვარსკენი თავგამეტებით, ხელითა და ფეხით, სცემდა მეუღლეს და თესლ-ტომს ანუ ჯიშსა და წარ-

მოშობა-წარმომავლობას უგინებდა? მართალია, იაკობ ხუცეს-ცურტაველმა ეს ნაწარმოები V საუკუნის მეორე ნახევარში, 80-იან წლებში დაწერა (476-482 წწ.) და, სამწუხაროდ, ავტორისეული დედანი თუ დედნის ნაცვალი იმავე საუკუნით აღბეჭდილი არ შემოგვენახა (უძველესი ნუსხა ცნობილია მე-9-10 სს??). ხუთი საუკუნის განმავლობაში, ცხადია, ტექსტში ბევრი რამ შეიცვლებოდა აზრობრივ-ტექტურულად თუ გრამატიკულად (მარტო ხანმეტობის ნაშთის დასახელება რად ღირს!), მაგრამ ადრეფეოდალურ ხანაში შექმნილი ნაწარმოები, რომელი საუკუნისაც არ უნდა იყოს, მონღოლთა ბატონობის ანუ ოქროს ხანის დაცემის შემდეგ დროინდელი ეპოქას ხომ ვერ დაუკავშირდება? დასკვნა ერთია: რადგან „შუშანიკის წამების“ ამ ადრეფეოდალური ხანის უძველეს ძეგლში ქართველი კაცის უსაზომო და უსაზღვრო გინების ფაქტს ვაწყდებით, საცნაური ხდება, რომ გინება – ეს უარყოფითი ნიშანი ქართული ხასიათისა, წარმოშობით ქართული ყოფილა და არა უცხოური (მონღოლთაგან შემონატანი). მონღოლთა ბატონობამ იქნებ გააღრმავა ჩვენში ეს მანკიერება? ყოველ შემთხვევაში, ამ მანკიერების სხვაზე გადატანა-გადაბრალება რომ არ შეიძლება, აშკარაა. მისი ძირები ჩვენში უნდა ვეძიოთ.

მრავალი საუკუნეა, რაც ძირძველი ქართულობა მოიშალა, ქართველთა ეროვნული სახელმწიფო ერთი მთლიანი ორგანიზმი აღარ არსებობს, რომელმაც, ვფიქრობ, განაპირობა ჩვენში პათოლოგიური ინდივიდუალიზმი, რამაც თანდათანობით დაშალა ეროვნული ცნობიერების სიმყარე. ამ მხრივ ეს პრობლემა დღეს სო-



ციოლოგიურად შესასწავლია, მაგრამ ჩვენ ეს პრობლემა ამ შემთხვევაში დიაქრონიული თვალსაზრისით გვანტერსებს. სინქრონიულ ასპექტში მას სხვა დროს შევხებით.

მანკიერ მხარის აღმოსაფხვრელად ჩვენს ახლადდაარსებულ, მაგრამ ელიტურ ინსტიტუტში ბევრი რამ კეთდება. თანამედროვე კულტურული ადამიანის ჩამოსაყალიბებლად ავკრძალეთ, თუნდაც, სიგარეტის მოწევა შენობაში, როგორც სტუდენტთა, ისე ლექტორთათვის. ახლა მსოფლიოში სიგარეტის წევით კაცი თავს ვერ მოიწონებს, ნამდვილმა საქმემან ჩვენმან უნდა წარმოგვაჩინოს. სიგარეტის მოწევა „უადგილო ადგილებში“ ხომ ბევრად აღემატება ჩვენში გავრცელებულ ლანღვა-გინებას.

**მინაწერი პირველი:** მკითხველს ახლა კი გავუმხელ – ვინ იყო ის პროფესორი, რომელიც ქართველთათვის სისხლხორცეულ გინებას მონღოლებისგან შეთვისებულად თვლიდა – უცხო ტომელთ მიაწერდა სიტყვა ბოყინსაც (არაბებს!). იგი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ბატონი გიორგი წიბახაშვილი გახლავთ, შესანიშნავი პიროვნება და ასევე შესანიშნავი ლექტორი, მეცნიერი და კოლეგა.

**მინაწერი მეორე:** ჩემს ზემომოყვანილ თვალსაზრისს გინების წარმოშობის შესახებ არაფილოლოგ მეცნიერებსა და მეცნიერ-ნათესავებსაც ვუზიარებდი. ერთ-ერთმა ასეთი რამ მითხრა: – ვარსკენი ზუსტად როგორ იგინება, რა სიტყვებს ამბობს, რომ არ ვიცითო? ჩემი პასუხი ასეთი იყო: – ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში პირდაპირ ხომ არ დაწერდა ხუცესი იმ

სიტყვებსა და ფრაზებს-მეთქი. ვფიქრობთ, არგუმენტი დამაჯერებელია.

**მინაწერი მესამე:** იმავე სახელმწიფო ინსტიტუტში საფრანგეთიდან ჩამოსული ცნობილი ქართველი ემიგრანტი ჯანრი კაშია მოვიწვიეთ სტუდენტებისათვის „მასტერკლასების“ ჩასატარებლად. ევროპისაკენ ახლახანს საზღვარგახსნილი ქართველობისათვის მიმოსვლა და სტუმრობა მაშინ იშვიათი ხილი იყო. ჩვენც ბატონი ჯანრის თბილისში ჩამოსვლით ვისარგებლეთ და... ისიც არ დაგვზარდა. მისი ლექციები საინტერესო იყო იმ მხრივაც, რომ თანამედროვე პოლიტიკურ საქართველოსა და ქართველთა ყოფას (შინ თუ გარეთ) ეხებოდა. მახსოვს, სხდომათა დარბაზში წინა რიგში ვიჯექი. ბატონი ჯანრი ჰყვებოდა: წელს გერმანიაში ვიყავი, ერთ ქალაქში, მოედანთან ახლოს ქართველი ემიგრანტი ბიჭები შეკრებილიყვნენ, გამოლაპარაკება მინდოდა, მაგრამ მერე აღარ მივედი, თავი შევიკავეო. მიზეზი ის იყო, რომ ისინი ჩაცუცქულნი „ისხდენ“ და პირველ პირში იგინებოდნენ. ადრე ქართველი კაცი მეორე და მესამე პირში იგინებოდა, რა ღმერთი გაგვიწყრა, დღეს პირველ პირში რომ ვიგინებითო. მის ასეთ კანონზომიერ გულისწყრომას, ბოდიშის მოხდით და ხელის აწევით ასე ვუპასუხე: – ბატონო ჯანრი, „ჩაცუცქულ სხდომასა თუ ჯდომას“ მთელ ერზე ნუ გავავრცელებთ, ეს „წესი“ (კანონიერი?) ქურდების შემონატანია და ბევრი ახალგაზრდა გაუაზრებლად ბამავს-მეთქი. რაც შეეხება გინებას, იგი თითქოს ამ შემთხვევაში გინება ჩანს (მთქმელი პირველ პირში იგინება „ჩემი დედა“...), მაგრამ თუ ამ გამოთქმას ჩავუკვირდებით, გინება მხოლოდ ერთი

შეხედვითაა, ის ფიცილის ფორმულაა-მეთქი. მთქმელი – ახალგაზრდა ქართველი ამ დროს იგინება ამბობს წინადადების მხოლოდ პირველ ნაწილს – ჩემი დედა..., მეორე ნაწილს კი არა (გულისხმობს: „თუ ვტყუოდე“). ამ სიტყვებით იგი მოსაუბრეს „ბიჭობას“ უმტკიცებს, მის თქმას მოპასუხე უნდა ენდოს...

**მინაწერი მეოთხე:** რამდენიმე წელიწადში ასეთი გინებით თბილისელი სტუდენტი გოგონებიც იწონებდნენ თავს. „თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში“ ერთ-ერთმა პირველკურსელმა გოგონამ მითხრა: შარშან, დაბადების დღეზე ერთ-ერთ თანაკლასელთან ვიყავი და სუფრასთან ყოფნისას თქვა: „მამაჩემის მო--- ვიყო (ნახმარი), თუ ვტყუოდეო... ჩვენ ის მეორე დღეს ვცემეთო. მის შემდეგ ამ „ფიცილ-გინებამაც“ გაიკაფა გზა ახალგაზრდობისაკენ.

ბოლო ორ მინაწერისეული „ჩემი დედა“ ქურდული სამყაროს შემონა-

ტანია ქართულ ზეპირ- და ცოცხალ-მეტყველებასა (ენაში, საერთოდ), სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი ქურდული პროფესიული ჟარგონია (შდრ. წარმოშობით სომხური „ტო“ და მისთ.). ასეთი სლენგებით დანაგვიანებულია არაერთი ევროპული ენა და მეტყველება, ცხადია, ამას ვერც ქართული ენობრივი გარემო აცდა, სამწუხაროდ...

მეტიც: ზემომოყვანილი გამოთქმა ქართველ ახალგაზრდათა ცოცხალ მეტყველებაში ჟარგონია, რომელიც, ჩვენი მოსაზრებით, ქურდული სამყაროს შემონატანია. ფაქტობრივ, ეს მსგავსია ისეთი გამონათქვამისა, როგორცაა: „ბოზიშვილი ვიყო...“ (<– ბოზიშვილი ვიყო, თუ ვტყუოდე).

სულ ბოლო მინაწერი: აქვე არ შეიძლება არ გავიხსენო მუხრან მაჭავარიანის ერთი ლექსი, რომელიც ასე იწყება:

„არგვეთი მოსპო მურვან ყრუმ,  
დედა ვატირე მე მისი...“





## როზა გაფრინდაშვილი

### ფსიქოთერაპიული მეთოდები ქართულ ფოლკლორში („ცრურწმენებში“)

ერთხელ შვილიშვილმა მკითხა – ბებია, თქვენ მოზილურები გქონდათ? ინტერნეტი? კომპიუტერი? ჩემი უარყოფითი პასუხები რომ მოისმინა, ეშმაკური გამომეტყველება მიიღო და მკითხა – ბებია, დინოზავრები გახსოვთ? (ეს შეკითხვები უთუოდ ფეისბუქში ამოიკითხა).

გავიცინე, მაგრამ სასაცილო სულაც არაა, თუ ჩვენი შვილიშვილები იფიქრებენ, რომ უწარსულო თაობის შთამომავლები არიან; მაშინ ხომ ეროვნულობის შენარჩუნებასაც აზრი აღარ აქვს! ამიტომ მინდა მათ დღეისათვის „მოდურ“ ფსიქოლოგიურ მოძღვრებებთან ერთად ჩვენი წინაპრების მიერ „დინოზავრების“ ეპოქაში აღმოჩენილი ფსიქოლოგიური (ფოლკლორული) სიბრძნეები შევახსენო, რაც თუ არ სჯობს თანამედროვე ფსიქოლოგების აღმოჩენებს, ნაკლებიც არაა! ამის საბუთად მდიდარი ქართული ფოლკლორიდან (ზეპირსიტყვაობიდან), მინდა ყველაზე უფრო გალანძღული „ცრურწმენები“ დავიმოწმო:

#### ნატვრის ხე:

„ნატვრის ხე“ წარმართობის დროინდელი ტრადიციაა, იგი პირველად, ნახევარი საუკუნის წინ, თიანეთში ექსკურსიის დროს, გზის პირას ვნახე.

იქ, ხის ტოტებზე შებმული სხვადასხვა ფერის, ფორმისა და ზომის ნაჭრები ფრიალებდნენ, ზოგი ქარისა და წვიმისაგან გახუნებული, ზოგიც ახლადახალი, ხასხასა ფერისა. მაშინ ვილაცამ თქვა – აქაურების რწმენით თუ ხეს შენს დარდებს, ფიქრებს, ოცნებებს და მწუხარებას გაუზიარებ, დარდს გაგიქარვებს, ოცნებებს კი შეგისრულებსო.

მაშინ ჩვენ, ცრურწმენების გამოხის იდეოლოგიაზე აღზრდილებს, ის ადამიანები შეგვეცოდა, ვისაც ასეთი სიცრუეებისა სჯეროდა.

მოგვიანებით, როცა ჩვენმა თაობამ მეტი „სიბრძნე და გამოცდილება“ შეიძინა და აღარც იდეოლოგიურ წნეხს განვიცდიდით, „აღმოვაჩინეთ“, რომ აღსარება, ცოდვის გამხელა და დარდის (სიხარულისაც) გაზიარება, ადამიანს დიდ შვებას ანიჭებს და ეს მეთოდი ფსიქოთერაპიაშიც წარმატებით გამოიყენება. იქ, სადაც ეკლესიის მაღლი აკლდათ და არც ადამიანებს ეცალათ ერთმანეთისათვის (ცხადია, არც ფსიქოთერაპიაზე ჰქონდათ წარმოდგენა), „აღსარების ჩამბარებლის“ ფუნქცია ხეს დააკისრეს, რაც იმ საზოგადოების მიხვედრილობაზე და ფსიქიკურ პროცესებზე დაკვირვების დიდ უნარზე მეტყველებს.

„ნატურის ხის“ ეს „ცრურითული“, ადამიანს საკუთარი ცხოვრების სტილზე დაფიქრებას, მის ერთგვარ ანალიზსაც ასწავლის; „თუ სახლში უფროსი არა გყავს, დედაბოძს დაეკითხეო“, უთქვამს ჩვენს წინაპარს; ამასთან, „შებმის“ პროცესში, ადამიანის მიერ თავისი დარდის („საწუხარის“) ლოგიზაცია – სიტყვიერად გამოხატვა ხდება, რის გამოც მას სამოქმედო გეგმის თუ უკვე ნამოქმედარის შეფასება უადვილდება; ეს ყოველივე შეცდომების ალბათობასაც ამცირებს და ნევროზებსა და მასთან დაკავშირებულ დაავადებებსაც თავიდან აშორებს.

ალბათ, ამის გამო თქვა ჩვენმა წინაპარმა – „ლხენაო ჭირთა თქმანი!“ ანუ ესაა კათარზისი (განწმენდა), რაზეც ძველ საბერძნეთში დიდი არისტოტელე ლაპარაკობდა და მათ, ვისაც ეკლესიასთან ურთიერთობის ფუფუნება და აღსარების მაღლი აკლდათ, ეს ფუნქცია ხეს დააკისრეს.

გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში, ამერიკაში, ექსპერიმენტული პოლიკლინიკა გახსნილა. მოსაცდელი ოთახი კომფორტულად მოუწყვიათ – ერთიმეორის გვერდით ორი ორი სავარძელი დაუდგამთ, ლამაზი ფარდები და ყვავილები სილამაზისა და სიმყუდროვის სასიამოვნო გარემოს ქმნიდა. ყველა პირობა იყო, პაციენტებს თავი რომ კომფორტულად ეგრძნოთ, თუმცა არსად იყო ტელევიზორი, რადიო, ჟურნალ-გაზეთები, თავი რომ გაერთოთ; არადა მათ, სპეციალურად, დიდი ხნით აცდევინებდნენ.

ახლადმოსულ პაციენტებს წყვილ-წყვილად დადგმულ თითო სავარძელში მათზე ადრე მოსული „პაციენტი“ ხვდებოდა; ისინი, სინამდვილე-

ში ე.წ. „ნასედკები“ („ჩამშვებები“) ანუ ექსპერიმენტის მონაწილეები იყვნენ. ახლადმოსულები მათ გვერდით სხდებოდნენ; მალე „ადრე მოსულეების“ ინიციატივით, მათსა და ნამდვილ პაციენტებს შორის საუბრები იმართებოდა (რაკი იქ სხვა „გასართობი“ არ იყო), სრულიად ნეიტრალურ თემებზე. შემდეგ ისინი თანდათან „უხსნიდნენ გულს“ ერთმანეთს და ზოგჯერ ისეთ „საიდუმლოებსაც“ უმხელდნენ, რასაც უფრო ახლობელთან ვერ ამბობდნენ; ზოგჯერ – კიდევ ტრაბახობდნენ თავიანთი „ვიტომ წარმატებებით“.

ექსპერიმენტების შედეგებშია უჩვენა, რომ მათ, ვინც ტყუილ-მართლის სხვისთვის განდობით „გული მოიოხა“ ნაკლები მედიკამენტები დასჭირდათ და უფრო მალეც გამოჯანმრთელდნენ, ვიდრე ჩვეულებრივი პაციენტები.

ცნობილია, რომ ფსიქოთერაპიის ერთ-ერთი მეთოდი – მთხველოთერაპიაა, რაც სწორედ საკუთარი სულიერ-ფსიქიკური პროცესების სხვისთვის (მკითხველისათვის) „განდობას“ გულისხმობს; თურმე „ტრაბახსაც“ კი შეუძლია ფსიქოთერაპიის როლის შესრულება!

რითაა ნაკლები ხის ტოტემზე შებმული ფერად-ფერადი ნაჭრები?

მეოცე საუკუნის ცნობილ პოეტს – იოსებ გრიშაშვილს, ასეთი ბალადა გაუღებქსავს: (სათაური ადარ მახსოვს) კაცმა ქალს სიყვარული აუხსნა, თან გააფრთხილა არავის უთხრაო. ერთ ხანს ქალი ბედნიერი იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში „ლხინი ჭირად ექცა“, ქალი „გაუბედურდა“, რაკი მისი ბედნიერების ამბავი არავინ იცოდა, ძილი და მოსვენება დაკარგა. ბოლოს გამოსავალი იპოვა –

მდინარის პირას მიიღობინა, ორმო ამოთხარა და შიგ ჩაჰყვირა – „მას უყვარვარ! მას უყვარვარო!“, ორმოს მიწა მიაყარა და შინ მშვიდად გაეშურა. ...მერე იმ ორმოდან ლერწამი ამოვიდა, მწყემსმა მოჭრა, მისგან სალამური გააკეთა და მას შემდეგ სალამური გაუმხელელი სიყვარულის ტრაგედიაზე კვნიესისო.

ბალადის აზრი იგივეა, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ – ადამიანი სოციალური არსებაა და მას არ შეუძლია მარტოს! მას სჭირდება ლხინისა თუ „ჭირის“ გამზიარებელი, თანამგრძობი; ეს ის ერთ-ერთი ფაქტორია, რაც ადამიანებს ერთმანეთისაკენ იზიდავს და საზოგადოებად აყალიბებს. როცა აზრის გაზიარების დეფიციტია, ის უზენაესს, უხილავ არსებას – სულიერს თუ უსულოს მიმართავს და წარმოსახულ თანაგრძობობაში შვებას ხედავს.

ანუ – „შვება“ რეალურია და ის „ცრუ“ სულაც არაა.

ამასთან, გზის პირებზე, ხეებზე მოფრიალე ფერად-ფერადი ნაჭრების ფრიალიც ერთგვარი გზავნილია – „თქმის“ საჭიროებაა, აღსარებაა, რაც ასე მშვენიერი ფორმით უდავოდ ნოვატორული ხედვისა და პოეტური სულის ადამიანებმა მოიფიქრეს.

### მუნჯობის „თერაპია“

ბებიას ნაამბობი: ჩემ მშობლებს ოთხი გოგო და ერთი ბიჭი ვყავდით; ნაბოლარა – იროდი, ოთხი წლისა, ის ისე გახდა, რომ არ ლაპარაკობდა, თუმცა კარგი სმენა ჰქონდა და სამეტყველო აპარატიც – ნორმალური. ოჯახისათვის დიდი ტრაგედია იყო – ერთი ბიჭი და ისიც მუნჯი?

ერთხელ, ჩვენს სოფელში გამგლეღმა ქალმა ჩემ დას ჰკითხა – გოგო,

შენი ძმა კიდევ არ ლაპარაკობსო? დააბით და ალაპარაკებო – უთქვამს.

ჩემმა დამ ეს ამბავი ოჯახში რომ მოიტანა, მშობლები გადაირივნენ – ეს რა სისულელე უთქვამს იმ კუდიანსო!

ჩემი უფროსი და, ერთი თავნება და თავისნათქვამა გოგო იყო, თავისი სიჯიუტის გამო მშობლები მუდამ ეჩხუბებოდნენ. მაშინაც, თურმე, მან ჩვენი ძმა შორს, ტყეში წაიყვანა, ხეზე მიაბა და უთხრა – მე სახლში მივდივარ, შენ აქ დარჩიო და წამოვიდა.

მცირე მანძილი რომ გაიარა, უკნიდან ყვირილი მოესმა – სად მიდიხაარ, აქ არ დამტოვოოოო!

მახსოვს, და-ძმა შინ რა გახარებულები დაბრუნდნენ! მას შემდეგ იროდის ენა აღარ გაუჩერებიაო, და-ასრულა თხრობა ბებამ.

ჩემი აზრით, ესაა „შოკური თერაპიის“ ერთ-ერთი მეთოდი, რაც ჩვენს წინაპრებს მანამ „აღმოუჩენიათ“, სანამ ფსიქოლოგიის შესახებ რამე ეცოდინებოდათ.

მოგვიანებით, როცა ეს ამბავი სხვას ვუამბე, მითხრა – ასეთი რამისთვის მეც მომიკრავს ყურიო.

ამასთან დაკავშირებით ერთი ანეკდოტიც მახსენდება, რომელიც ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში მოვისმინე: კახეთში, ერთ ოჯახში მუნჯი ვაჟი დაიბადა. ამის გამო ოჯახის წუხილს საზღვარი არ ჰქონდა. ერთხელ, როცა ბიჭი უკვე 10-12 წლისა იყო, სადილობისას ბიჭმა საგანგებოდ დაბოხებული ხმით, ხმამაღლა ჩაილაპარაკა:

- ხაშლამას მარილი აკლია!

ოჯახში მხიარული ყიჟინა ატყდა.

- შვილო, თუ ლაპარაკი შეგეძლო, აქამდე რატომ არაფერს ამბობდიო!

- აქამდე არ აკლდა! დინჯად თქვა ოჯახის საამაყო შვილმა, და „ტრაგედია“ ამით დასრულდა.

ბეზიას ნამზობშიც და ამ ანექდოტშიც ის სიბრძნეა გადმოცემული, რომ ზოგჯერ შინაგანი, თანშობილი უნარების გააქტიურებას გარეგანი – ცხოვრების პირობების მიერ ნაკარნახევი დაკვეთები უწყობს ხელს: ანუ, ზოგჯერ „ხაშლამას მარილი უნდა აკლდეს...“! ანუ – „ზოგი ჭირი მარგებელია!“, ხოლო ჩვენი წინაპრების მიერ ჯერ კიდევ ფსიქოლოგიამდელ პერიოდში აღმოჩენილი „შოკური თერაპიის“ მეთოდი აღფრთოვანებას თუ არა, სიცრუის იარაღს მაინც არ იმსახურებდა!

#### **„ჩაკეტილობის“ მავნეობა:**

ზავშობისას ასეთი ამბის მოწმე ვაგხდით: საავადმყოფოში, ჩვენ მეზობელს მშობიარობა გაურთულდა – ხუთი დღე და ღამე კიოდა თურმე საწყალი – მენჯები არ გაეხსნაო, ვიშვიშებდნენ მეზობლები. ექიმები ვერაფერს შველოდნენ (მაშინ ვის ეცალა „საკეისროსთვის“!).

ერთხელ, თურმე, პალატის დამლაგებელმა, სხვათაშორის, ჰკითხა – შვილო, სახლში დაკეტილი ხომ არაფერი დაგიტოვებიაო? – კიო, უპასუხნია მშობიარეს. – გაახსნევი თქვენებს ყველაფერი, რაც კი ჩაკეტილი დატოვეო, დაარიგა თურმე დამლაგებელმა.

მშობიარეს, საავადმყოფოს ბალიშის ქვეშიდან გასაღებების აცმა გამოუღია და ქმრისთვის გაუგზავნია – ყველაფერი გააღე, მაინც ოხრად მრჩება ყველაერი, რა ჭირად მინდა რამე, თუ მე არ ვიქნებიო, შეუთვლია შინაურებისათვის.

თურმე ის ქალბატონი იმავე დამეს განთავისუფლდა და მშვენიერი ვაჟიც დაიბადაო – ჰყვებოდნენ იმით გაოცებული მეზობლები, რომ ვერ აეხსნათ, რა შუაში იყო განჯინის გასაღებები მშობიარის მენჯებთან.

ცხადია, მაშინ მეც გაოცებული ვიყავი ამ „ჯადოსნობით“, მაგრამ წლების შემდეგ, ცოდნა და გამოცდილება რომ მოვიდა, მივხვდი – განჯინის დაკეტილი უჯრების გახსნის გადაწყვეტილების შემდეგ ის შინაგანი ფსიქიკური დამაბულობა მოიხსნა, რასაც „საკუთრების დაკარგვის შიში“ იწვევდა და რასაც მშობიარის კუნთების დამაბულობა-შეკუმშვა ახლდა, ხოლო „ხელჩაქნეულობამ“, „გახსნილობამ“ – დამაბულობის მოხსნა და შვება მოიტანა!

ამ შემთხვევას თუ განვაზოგადებთ, ხელგაშლილობის, გულწრფელობის, გულახდილობის სათნოებებამდე მივალთ (ამ ყველაფერს შეიძლება „ღიაობის“ ანუ „გულწრფელობის სათნოება“ ეწოდოს); ის „დაკეტილი უჯრა“ საკუთრების დაკარგვის შიშით – სიძუნწით არის გამოწვეული (რაც, თავის მხრივ, ადამიანის ნერვული სისტემის დამაბვას იწვევს), ასევეა გულში „შენახული“ და დამალული საიდუმლოც – იგი ქვეცნობიერად მბავს და ანერვიულებს ადამიანს; ადამიანმა „იცის“ ახლობლისათვის, შინაურისათვის რაიმეს დამალვა-ჩაკეტვა ცოდვად რომ ეთვლება, მაგრამ „არ იცის, რომ იცის“; ამ ცოდვის სხვისთვის გამხელა და მონანიება-გულწრფელობა („ღიაობა“) კი სულიერი სიჯანსაღის პირობაა, რაც ფიზიკურ სიჯანსაღეს უდევს საფუძვლად.

ასეა ერთმანეთთან გადაჯაჭვული სულიერი და სხეულებრივი პროცე-

სები – ხან ფიზიოლოგიური (ბიოლოგიური ფაქტორი) იწვევს სულიერს (ფსიქიკურს), ხან პირიქით, სულიერი – კუნთურს, ფიზიკურს.

ახლა, მრავალი წლის შემდეგ ის მიკვირს – საიდან ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს ადამიანის ფსიქიკის „საიდუმლოების“ ისეთი ღრმა ცოდნა, რაზეც მაშინდელ ექიმებსაც კი ხელი არ მიუწვდებოდათ?

### **მცირე ხიფათის „ცრუ“ სიკეთეები**

ერთ-ერთი ცრურწმენა-გადმონათობა „მცირე ხიფათის“ ახსნა, როგორც სხვა უბედურებისაგან თავდაცვის მაწიფებელი; როცა ვინმეს მცირე ხიფათი შეემთხვევა, ახლობლები ამშვიდებენ – არაუშავს, ამ ხიფათით რაღაც სხვა უბედურებას გადარჩი, ან პირიქით, შეიძლება კარგიც კი იყოსო! („მცირე ხიფათი“ შეიძლება იყოს ფულის ან ნივთის დაკარგვა, რაიმეს გატეხა, დაცემა და ა.შ.), როგორც წესი, ამ დროს ეუბნებიან – „შენი ჭირიც წაუღიაო“, „ზოგი ჭირი მარგებელიაო“.

რატომ ეგონა ჩვენს წინაპარს, რომ „ხიფათმა“ შეიძლება „ჭირი წაიღოს“, „მარგებელი“ იყოს ანუ ადამიანი უბედურებისაგან დაიცვას?

ქართული ანდაზა – „ზოგი ჭირი მარგებელიაო“; გერმანული ანდაზა – „ზარალი კაცს მოაჭკვიანებსო“, ხოლო ინგლისური – „კაცი ისე არ დაბრძენდება, თუ რაიმე უბედურება არ ეწვიაო“.

საქმე ისაა, რომ, ასეთი ცრუ ნუგეშის ცემა „ცრუ“ სულაც არაა; ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევებში ნუგეშისცემა-გამხნევება, რაც უნდა უშედეგო იყოს, მაინც კარგია; მაგრამ, რაკი ხიფათები, როგორც წესი გაუფრთხილებლობისა და უყუ-

რადღებობის ბრალია, დიდი ალბათობით მას, ხიფათს, ადამიანის „გამოფხიზლება“, ყურადღების მობილიზება უნდა მოჰყვეს, რასაც არათუ რაიმეს „თავიდან აშორება“, არამედ შესაძლოა რაღაც სასარგებლო საქმეც კი მოჰყვეს. ანუ, ეს ის შემთხვევაა, როცა ადამიანი „თავის შეცდომაზე სწავლობს ჭკუას“, მაგრამ არც ის მინდა ვთქვა, რომ „ხიფათი“ „გამომაფხიზლებლის“ ფუნქციას ყველასთვის ყოველთვის ასრულებს.

ხიფათი მხოლოდ წინდახედულ ადამიანებს შველით, მათ, ვისაც საზიანოდან სასარგებლო დასკვნების გაკეთება შეუძლია.

მთავარი სარგებელი კი ისაა, რომ, თუ „დაზარალებულს“ ამ სიცრუისა სჯერა, ეს რწმენა ფსიქოთერაპიულ ფუნქციას შეასრულებს და გაფრთხილებასთან ერთად, აღარც „დანაკარგზე“ იწერვიულებს.

### **„ცრურწმენით“ გაყუჩებული ტკივილი:**

ოცდაათიოდე წლის წინ, ჩვენი სამეგობროდან ერთ-ერთ მარტოხელა ქალბატონს მეოთხე კატეგორიის სიმსივნე აღმოაჩნდა; მკურნალობა დავიანებული იყო; მალე ისეთი აუტანელი ტკივილი დაეწყო, რომ ეს ყველა გაჭირვების და სატკივარის მომთმენი ქალბატონი მთელი ქუჩის გასაგონად კიოდა. ექიმებმა მას ნარკოტიკი დაუნიშნეს, რასაც სპეციალური მინდობილობით, უბნის პოლიციის განყოფილებაში უფასოდ ამლევდნენ;

ჩვენ მას მორიგეობით, ორ საათში ერთხელ ვუკეთებდით. მისი მკურნალი (უფრო სწორად – კონსულტანტი) ექიმი გვირჩევდა – იქნებ როგორმე მოახერხოთ და ნემსებს შორის

ინტერვალი გაზარდოთ, თორემ მდგომარეობა კიდევ უფრო გაურთულდება, ნარკოტიკმა მას საჭმლის მომწოდებელი სისტემა დაუდამბლავა, კიდევ უფრო აუტანელი ტკივილი დაეწყებაო.

ექიმის ვარაუდი ლოგიკური იყო, მაგრამ ეს როგორ უნდა მოგვეხერხებინა, ავადმყოფი ხომ ყოველი ნემსის გაკეთების დროს მოუთმენლად ელოდა!

ერთხელ როცა მასთან ნემსის გასაკეთებლად და სამორიგოდ მივიჩქაროდი, მისი კვნესა-ტირილი შორიდანვე შემომესმა. ავჩქარდი; კარი რომ შევადე (რაც არასოდეს იკეტებოდა) – მიშველე, ჩქარა მიშველეო, შემომტირა.

ხელი საჩქაროდ დავიბანე, მოწყობილობა გავამზადე და უეცრად „ბლეფზე“ წასვლა გადავწყვიტე; ერთჯერადი შპრიცი გავამზადე, ამჟღავნებს თავი ვითომ წავატეხე და ზუსტად იგივე მოძრაობები შევასრულე, რაც წამლის ამოღებას და შპრიციდან ჰაერის გამოშვებას სჭირდებოდა (ავადმყოფი, ისე რომ ეჭვი არაფერში შეპარვია, თვალმოუშორებლად მიყურებდა); მერე დუნდულა სპირტიანი ბამბით მართლა დავუმუშავე, „ნემსიანი“ ხელი კუნთზე მსუბუქად დავკარი, მცირე ხანს დავაყოვნე (სანამ „წამალი“ ვითომ კუნთში შევიდოდა), მერე „ნანემსარი“ ბამბით გავუწმინდე, მცირე მასაჟი გავუკეთე და საბანი წავაფარე.

ქალბატონმა შვებით ამოისუნთქა – შენმა ხელებმა გაიხარაო, თქვა, გადაბრუნდა და დაიძინა. ორი საათის შემდეგ ნემსი მართლა გავუკეთე – შემეშინდა სიცრუეში არ გამომიჭიროს-მეთქი; შემდეგი „ბლეფი“ ისევ წარმატებული გამოდგა. იმ დღეს ორ-

განიზმს ორი ნემსით შეღავათი მივეცი.

შემდეგი ნემსი ჩემ შემცვლელს უნდა გაეკეთებინა; ვასწავლე ერთის გამოტოვებით როგორ უნდა ეცრუა, მაგრამ ის, ავადმყოფმა, პირველივე მცდელობისას „გამოიჭირა“. ამ ექსპერიმენტის „მარცხის“ მიუხედავად, „ცრუ“ რწმენის რეალური, დადებითი შედეგი ნამდვილად იყო.

### **ბატონები – მითი თუ რეალობა:**

სატელევიზიო გადაცემაში – „ექიმები“, ხაზგასმით ითქვა, რომ ის, რაც ხალხს „ბატონები“ ჰგონია, სინამდვილეში ნერვული სისტემის ინფექციური დაავადებაა და აქ „ბატონები“ არაფერ შუაშია. ერთ-ერთმა იმთავანმა კი გაიხსენა, როგორ ანებივრებდნენ თავად მას, როცა „წითელა ბატონები“ შეეყარა და თვალები ნეტარებით მილულა.

ექიმებმა დაავადების რეალური მდგომარეობა აგვიხსენეს, მაგრამ ვერ დაგვარწმუნეს, რომ „ბატონების“ მოფერება-განებივრება არის – მითი!

ცხადია, ნებისმიერ დაავადებას ექიმი და წამალი სჭირდება, რაშიც მათ ვერ შეედავები, მაგრამ ნერვული დაავადებების მკურნალობას და წამლის ეფექტურობას რომ ფსიქიკური ფონის შექმნა და ავადმყოფის განებივრება-მოფერება სჭირდება, არც ამის უარყოფა შეიძლება.

რა ხდებოდა ძველად, როცა ამდენი ექიმი, წამალი და აფთიაქი არ გვექონდა?

ბატონებიან ავადმყოფს (ძირითადად ბევშვებს), ოჯახში, მართლაც „ბატონკაცურ“ გარემოს უქმნიდნენ; მაშინ ოჯახის წევრები გამოორიცხავდნენ ყოველგვარ ჩხუბსა და უსიამოვნებას, ცხოველის (ქათმის, გოჭის თუ



ინდაურის) დაკვლაც არ შეიძლება და (აუცილებლობის შემთხვევაში ამას ოჯახს გარეთ აკეთებდნენ ისე, რომ ამის შესახებ ავადმყოფს არაფერი გაეგო), ტანსაცმელსაც ფერად-ფერადს არჩევდნენ, მხიარულების ატმოსფეროს შესაქმნელად; უკრავდნენ და მღეროდნენ; რაკი სათამაშოები ნაკლებად ჰქონდათ, ცომით ძერწავდნენ და აცხობდნენ (ცხოველებს, ფრინველებს, სხვადასხვა ზომის და ფერის კვერცხებს, ყვავილებს და ა.შ.). საზეიმოდ მორთულ ხონჩაზე ალაგებდნენ და ავადმყოფის სასთუმალთან დებდნენ; ავადმყოფობის დამთავრების შემდეგ კი – „გადაულოცავდნენ“ ანუ, სადღაც, ტყეში მიჰქონდათ, ბუჩქზე შემოდებდნენ, რაღაც ლოცვებს წაიკთხავდნენ და შინ მხიარულები ბრუნდებოდნენ. ზოგჯერ რაღაც რიტუალებსაც ასრულებდნენ, რაც ბატონებიან ავადმყოფში, მისი არაჩვეულებრივობის გამო დადებით ემოციებს იწვევდა, რაკი ავადმყოფისთვისაც და მისი ახლობლებისთვისაც ეს ყველაფერი სასიამოვნო სანახაობა-გასართობი იყო; შინ გამომცხვარ ჩიტებსა და ნაირ-ნაირ ფიგურებზე კი – ნადიმს ტყის ბინადრები აგრძელებდნენ.

ცხადია, ახლა, თანამედროვე გასართობებით და სათამაშოებით განებივრებულ ბავშვებს ცომით გამომცხვარი სათამაშოებით და ოჯახური თვითმოქმედებით („ბატონების გადალოცვის თეატრალიზებული“ სანახაობებით) ვეღარ მოვხიბლავთ, მაგრამ, რაკი ის ამჟამად უჩვეულო რამ არის, შესაძლოა უფრო დადებითი ეფექტიც კი ჰქონდეს ბავშვის ფსიქიკაზე ზემოქმედების მხრივ.

აღბათ, არავის გაუკვირდება, თუ ვიტყვი, რომ ოჯახებში ჩხუბი და

აყალმაყალი არც თანამედროვე ბავშვებს აკლია, რაც უდავოდ ცუდად მოქმედებს ბავშვის ფსიქიკაზე, მითუმეტეს თუ ის ნერვული დაავადებითაა ინფიცირებული. ცხადია, იმის თქმა არ მინდა, რომ სამედიცინო ჩარევა საჭირო არაა; გადმოცემით ბევრმა ჩვენგანმა იცის, ზოგჯერ რა სავალალო შედეგებით მთავრდებოდა „მკურნალობის“ ეს ხალხური გართობა-განებივრებები, მაგრამ წამალთან ერთად რომ ავადმყოფის გახალისება-გართობა-განებივრებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, ამის დავიწყებაც სწორი არაა; დაე, ბავშვმა თავი ზღაპრულ სამყაროში იგრძნოს, მით უმეტეს დღეს, როცა ყოველგვარი ცივიზებული გასართობი მათთვის ყოველდღიურობადაა ქცეული და მობეზრებულად კი აქვთ! წამალთან ერთად ძველებურს კი, უფრო გამართობი და გამოჯანსაღებისათვის ხელშემწყობი ეფექტი ექნება.

მამასადამე, „ბატონების“ (და არა მარტო ნერვული დაავადებების) განკურნების საქმეში ძველი მეთოდები, მითი სულაც არაა.

ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ყოველ მითში რაღაც დიდი სიბრძნეა კოდირებული და მას „გადაგდება“ კი არა, გაანალიზება სჭირდება.

ამერიკელ სოციალ-ფსიქოლოგებს 90-იან წლებში ექსპერიმენტულად გამოუკვლევიათ, თუ რა როლს ასრულებს ე.წ. „ადამიანის ფაქტორი“ ავადმყოფების გამოჯანმრთელების საქმეში, რაც ავადმყოფისადმი „თბილ და მეგობრულ დამოკიდებულებას“ გულისხმობს. აღმოჩნდა, რომ იქ, სადაც ასეთი ურთიერთობები დანერგეს, ავადმყოფები ორჯერ უფრო ადრე გამოჯანმრთელდნენ და წამლებიც ნაკლები დასჭირდათ, ვიდრე ანა-

ლოგიურ ავადმყოფებს, სადაც ავტორიტარული მეთოდით მკურნალობდნენ, სადაც ექიმი და ავადმყოფი ერთმანეთისაგან გაუცხოებულები არიან; ხშირად ექიმი – შეუვალი ავტორიტეტით სარგებლობს და პაციენტის პიროვნულ ღირსებებს არაფრად აგდებს; ზოგჯერ, ავადმყოფს რომ კუჭზე მეტად სული სტკივა და მკურნალობისას წამალთან ერთად ადამიანურად, თბილად მოპყრობა სჭირდება – ამაზე არ ფიქრობენ (ზოგჯერ!).

ორიოდე წლის წინ თბილისის ერთ-ერთ წამყვან საავადმყოფოში ასეთი ამბის თვითმხილველი გავხდი: ერთ სადამოს, პალატის ექიმმა ყოველგვარი ახსნა-განმარტებისა და გაფრთხილების გარეშე, სანიტრებს „თავისი პალატიდან“ ორი ავადმყოფი გააყვანიან; მათ გრძელი კორიდორი გაატარეს და სადღაც შეაგორეს, იმავენაირ, მაგრამ გაუმთბარ პალატაში. ავადმყოფები განერვიულდნენ – იფიქრეს, რომ ეს გაყინული პალატა „უპატრონო“ ან „უიმედო“ ავადმყოფებისათვის ჰქონდათ გადანახული; ამ ეჭვებმა ისინი შოკში ჩააგდო. ავადმყოფები ამაოდ ითხოვდნენ შველას, თავს დაუცველად და შეურაცხოვრილად გრძნობდნენ, მათთვის არავის ეცალა. მერე მათ ტელეფონებზე ისტერიული რეკვა ატეხეს – შინაურებს საშველად უხმობდნენ.

მოგვიანებით გაირკვა, რომ იქ, ორი მძიმე ავადმყოფი მიიყვანეს, რაკი იქ სუნთქვის აპარატები ჰქონიათ და მათი სხვაგან მოთავსება შეუძლებელი ყოფილა; გაყინული კი იმიტომ იყო, რომ გათბობა დროებით მთელ საავადმყოფოში გამოურთავთ, რაც ისევ მალე ჩართეს.

ის ინცინდენტი იმ სადამოსვე მოგვარდა, მაგრამ იმ ავადმყოფებს ნერვულმა სტრესმა საქმე გაურთულა. პალატის ექიმს კი თავი თვითონ მიაჩნდა შეურაცხოვრილად, რაკი მის კეთილშობილებაში ეჭვი „უსაფუძვლოდ“ შეიტანეს.

„ბატონების მითმა“ ექიმის პროფესიულ ეთიკამდე მიგვიყვანა, რის შესახებაც, ჩვენს ექიმებს, ზოგჯერ, საკმარისი სწავლება ან გულისხმიერება არ ყოფნით.

### რწმენის ფსიქოლოგია:

პრაგმატიზმის ფილოსოფიის ფუძემდებლების აზრით (უილიამ ჯემსი, ჩარლზ პირსი, ჯონ დიუი) „თუ ღმერთი გწამს – არსებობს, თუ არა გწამს – არ არსებობს“. ამ მტკიცებულების საბუთად „ცრურწმენების“ რეალური შედეგები მიაჩნიათ; მნიშვნელობა არა აქვს, ხედავ „მას“ თუ ვერა, რწმენის სასარგებლო შედეგები – სახეზეა!

ამ მტკიცების „საბუთად“ ჩვენ შეგვიძლია „ქრისტეს იგავებიდან“ თუნდაც ერთ-ერთი გავიხსენოთ: იესო ქრისტემ მორწმუნე ბრძანებები აუხილა; გახარებული მორწმუნე ქრისტეს მუხლებზე მოეხვია:

- შენ მე მიშველეო!

- შენ შენმა რწმენამ გიშველაო! უპასუხა იესომ.

შემთხვევით არ წერია „9 ნეტარებაში“ - „ნეტარ არიან მორწმუნენიო!“. რატომ არიან ნეტარნი? იმიტომ, რომ რწმენა არის ძალა და იმედი; იმედია არის – სიმშვიდე; სიმშვიდე არის – სულიერი და ფიზიკური ჯანმრთელობა! გწამს? ესე იგი არსებობსო, – სწორედ ამიტომ ამტკიცებენ პრაგმატიზმის ფუძემდებლები.

მაგრამ რწმენის ეს „ყოვლისშემძლეობა“ მის „მავნეობასაც“ არ გამოირიცხავს. ზოგ შემთხვევაში რწმენა მართლაც შეიძლება ცრუ და მავნე იყოს – თუ ის პიროვნების აქტიურობას დაემუქრება; როცა ის „სხვის მოიმედობას“ და პასიურობას იწვევს, თუ პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზეზი ხდება, ცხადია, ის ცრუ და მავნეა; იესოს იგავებში ხაზგასმითაა ნათქვამი – ხელი გაანძრიე და გეშველებაო! ეს შეგონებაც თითქმის ყველამ იცის, მორწმუნემაც და ურწმუნომაც, რაც ადამიანს აქტიური პოზიციის აუცილებლობისათვის აფრთხილებს!

რწმენის ფაქტორი მედიცინის მიერ შემოთავაზებული მედიკამენტუ-

ბის ეფექტურობასაც რომ ზრდის, ხოლო ურწმუნოება ამცირებს – ესეც ფაქტია; ანუ, რწმენის ფაქტორი ისევე ეხმარება მედიცინის მიერ პრაქტიკით შემოწმებული მედიკამენტების ეფექტიანობას, როგორც ხალხური თერაპიული საშუალებები.

სწორედ ამიტომ ამტკიცებენ ჩვენი დიდი მასწავლებლები: **გწამს? მაშასადამე არსებობს! (პრაგმატიზმის ფუძემდებლები);** თუ არ ირწმუნებ, ვერ დაინახავ (წმიდა ილია მართალი); **რწმენა – ღვთიური ნიჭია (ბლუზ პასკალი);** **უზენაესის რწმენა არის სიმშვიდე, სიმშვიდე არის ჯანმრთელობა! (ლაზარევი).**





## თეიურაზ ფანჯიკიძე

# საინტერესო წიგნი საარაგვოსა და არაგველებზე

შესანიშნავმა ექიმმა, ქირურგმა, მედიცინის დარგის ცნობილმა ორგანიზატორმა, მედიცინის დოქტორმა გურამ ქერაშვილმა, რომელსაც თავისი მოღვაწეობისას მრავალ საპასუხისმგებლო თანამდებობაზეც უმუშავია (საავადმყოფოს მთავარ ექიმად (4-ჯერ) და მინისტრის მოადგილედ), აქტიური საექიმო კარიერის დამთავრების შემდეგ, საყვარელ საქმეს – საქართველოს ისტორიის, კერძოდ კი მშობლიური კუთხის შესწავლას, კვლევა-ძიებას და გამომზეურებას მოჰკვიდა ხელი.

ამ მიმართულებით სიყვარულით გაწეულ ბეჯით და კეთილსინდისიერ შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია. შედეგებსაც არ დაუყოვნებია. უკვე 2012 წელს მან მოამზადა და გამოსცა საკმაოდ სქელტანიანი წიგნი სათაურით: „ხევი და მოხვევები“, რომელშიაც საინტერესოდ არის გადმოცემული საქართველოს ამ მშვენიერი კუთხის ისტორია, ბუნება, ყოფა, კულტურა, არქიტექტურა, ტრადიციები და წეს-ჩვეულებანი, აღწერილია ეკლესიები და სალოცავები, ციხე-სიმაგრეები, გზები, ცალკეული სოფლები, საგვარეულოები, გვარების გენეალოგები, მრავალი სხვა საინტერესო მასალა.

წიგნმა იმთავითვე დიდი ინტერესი გამოიწვია როგორც სპეციალის-

ტებში, ისე ფართო მკითხველში. მის გამოსვლას მიესალმა ამ კუთხის შვილი – საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური, კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორეც.

პირველი წიგნის წარმატებით გამხნეებულმა და დაფრთიანებულმა ავტორმა მუშაობა კიდევ უფრო დიდი ენერგიით განაგრძო. ამჯერად, მან მიზნად დაისახა საარაგვოსა და არაგველების ისტორიის შესწავლა, უკვე ცნობილი ფაქტების გაანალიზება და ახლად შეგროვილი მასალების გადმოცემა. ეს მნიშვნელოვანი ამოცანა მან სამ ნაწილად დაყო: პირველ ტომში შეეცადა საარაგვოს „დაბალი საერისთავოს“ (დეშეთიდან ანანურამდე) ისტორიის გადმოცემას, მეორე ტომში „მაღალი საერისთავო“ (ხადა, მთიულეთი, გუდამაყარი, ხანდო), ხოლო მესამეში – სათაურით „ფხოვი და ფხოველები“ განზრახული აქვს მოგვითხროს ფშავისა და ხევსურეთის ისტორიაზე, მათ წარსულსა და თანამედროვეობაზე. თავისი ჩანაფიქრის ბოლო ორ ნაწილზე ავტორი ჯერ კიდევ განაგრძობს მუშაობას, მკითხველს კი ვთავაზობთ ამ გეგმის პირველ ტომს სათაურით: „საარაგვო და არაგველები“.

წინამდებარე წიგნში მკითხველი იპოვის პასუხს თემასთან დაკავშირებულ მრავალ საინტერესო ნაცნობ თუ

უცნობ კითხვებზე, პირველ რიგში კი საარაგვოს გეოგრაფიულ მდებარეობაზე, მის საკვანძო მნიშვნელობაზე ქართული სახელმწიფოებრიობისათვის. ამ კუთხის ისტორიულ როლზე ქვეყნის დაცვის და გადარჩენის საქმეში.

ავტორი დაწვრილებით მოგვითხრობს სხვადასხვა დროის არაგვის ერისთავებზე: გულზვიად ზურაბზე, ზაალზე, ოთარზე, რევაზზე, იასონზე, გიორგიზე, ბარძიშზე, მათ მმართველობასა და კავშირზე ცენტრალურ ხელისუფლებასთან, ურთიერთობაზე დამპყრობლებთან თუ მეზობელ ადგილობრივ ფეოდალებთან. სათანადო ლიტერატურასა და წყაროებზე დაყრდნობით გადმოსცემს ამ კუთხის შვილთა მონაწილეობაზე ისეთ დიდმნიშვნელოვან მოვლენებში საქართველოს ისტორიაში როგორც იყო: ზაზაღეთის ტრაგიკული ომი, ბახტრიონის დიდებული ეპოპეა, ანანურის გამაოგნებელი ტრაგედია, კრწანისის ომი, გრემისხევის ტრაგედია და სხვ. შემდგომ ავტორი ეხება უფრო გვიანდელ ამბებსაც საქართველოში უკვე რუსთა ბატონობის პერიოდში: 1802, 1804, 1812 წლების აჯანყებებს, არაგველების მონაწილეობაზე ამ განმათავისუფლებელ მოძრაობაში, სათანადოდ აგვიწერს შემდგომდროინდელ ამბებსაც.

გურამ ქერაშვილი არ კმაყოფილდებოდა საარაგვოს საზოგადოებრივი ისტორიის აღწერით, იგი საქმის ცოდნით მოგვითხრობს მის არქიტექტურაზე, სხვადასხვა დროს აშენებულ ეკლესიასა თუ სალოცავზე, ციხე-სიმაგრეზე, კოშკზე, სასახლეზე, ცალკეულ ისტორიულ სახლებზე, მთლიანად დუშეთზე, ცალკეულ უბნებსა თუ სოფლებზე.

ავტორს თავი მოუყრია და გვაწვდის მნიშვნელოვან ცნობებს დუშეთის კულტურულ და სულიერ ცხოვრებაზე, ცხოვრების წესზე, კულტურულ და სამეცნიერო დაწესებულებებზე: სასწავლებლებზე, მხარეთმცოდნეობის მუზეუმზე, რადიომაუწყებლობაზე, არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე (რომლის მონაცემებსაც ხშირად იყენებს), დუშეთის გეოფიზიკურ ობსერვატორიაზე, ლიტერატურულ დუშეთზე და ა.შ.

ავტორი განსაკუთრებულ ადგილს უთმობს პერსონალებს, საგვარეულოებების აღწერას, უღრმავდება ამა თუ იმ გვარების წარმომავლობის ისტორიასა და მათ რაოდენობას. ასახელებს კონკრეტულ გვარებსა და სახელებს.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, კერძოდ კი დუშეთში უამრავი ცნობილი და წარჩინებული შვილი მისცა საქართველოს. ამიტომაც წიგნში სამართლიანად ეთმობა დიდი ადგილი ამ კუთხის წარჩინებული ადამიანების ჩამოთვლა-დახასიათებას არაგვის ერისთავების ბატონობის ხანიდან დაწყებული დამთავრებული დღევანდელი დღით. ავტორი ყურადღებას ამახვილებს აქაური ხელოვნებისა თუ კულტურის მუშაკებზე: არქიტექტორებზე, მშენებლებზე, მსახიობებზე, მომღერლებზე, მეცნიერებზე, სამხედრო პირებზე, ექიმებზე, ჟინვალჰესის მშენებლებზე, ომის ვეტერანებზე ე.წ. „დუშელ ემიგრანტებზე“ და სხვ. დაწვრილებით გადმოსცემს მათ მიერ სამშობლოსათვის გაწეულ შრომასა და ღვაწლს.

გურამ ქერაშვილი არ ივიწყებს იმ უცხო ადამიანებსაც, რომლებიც სტუმრად ეწვივნენ დუშეთს, მოინახუ-

ლეს ეს კუთხე და თავის ნაწერებში დააფიქსირეს მისი ყოფა.

მთლიანობაში წიგნი დიდ და მრავალფეროვან მასალას მოიცავს. მისასაღმებელია ის ფაქტი, რომ ავტორს თავისი პირველი წიგნის მსგავსად აქაც მუხლჩაუხრელად უშრომია, თავი მოუყრია თემისათვის საჭირო და აუცილებელი ლიტერატურისათვის, კეთილსინდისიერად გასცნობია საარქივო მასალას და საკუთარი მონგონებებიც მშვენივრად გამოუყენებია.

წიგნი კარგი ენით არის დაწერილი და ინტერესით იკითხება. იგი

აუცილებლად მიიპყრობს ყველა იმ ადამიანის ყურადღებას, ვისაც უყვარს თავისი სამშობლოს ისტორია, მისი წარსული და თანამედროვეობა. იგი ერთი მშვენიერი აგურია იმ დიდებულ საქმეში, რასაც ჩვენი ქვეყნის სიყვარულის პროპაგანდა ჰქვია.

ავტორს დიდი მადლობა უნდა ვუთხრათ გაწეული შრომისათვის და ვუსურვოთ მალე დაემთავრებინოს წიგნის II და III ნაწილები. მჯერა, რომ ისინიც მკითხველის ინტერესს და კეთილგანწყობას დაიმსახურებენ.





## ✎ ეთერ შამანაძე

### ინფორმაციის ტიპები და ინფორმაციული სივრცე

ინფორმაცია თავისი საერთო, ზოგადი გაგებით, არის მატერიისა და ენერჯის განსაზღვრება დროსა და სივრცეში, ცვლილებების ზომა, რომელიც ახასიათებს მსოფლიოში მიმდინარე ნებისმიერ პროცესს.

გამოკვლევებში, რომლებიც დაკავშირებული ინფორმაციის გაგებასთან, მრავალი გადაუჭრელი კითხვაა. დღემდე გრძელდება დისკუსია; არის თუ არა ინფორმაცია ნებისმიერი მატერიალურის თვისება, თუ მხოლოდ ცოცხალი ორგანიზმების ან მოაზროვნე, გააზრებულად მოქმედი არსებებისათვისაა დამახასიათებელი. ცნობილია ინფორმაციის მრავალი განსაზღვრება, მრავალი მეცნიერული მიდგომა, თუმცა ერთი ოპტიმალური განსაზღვრება ინფორმაციისა ჯერ კიდევ არ შეუშუშავებიათ. ქვემოთ მოცემულია ინფორმაციის რამდენიმე განმარტება.

#### ინფორმაცია:

- ფუნდამენტური პირველსაწყისი და სამყაროს საერთო მდგომარეობა, რომელიც არსებობს ჩვენგან დამოუკიდებლად, გამოვლინდება ზემოქმედების სამგანზომლებიან პროცესში ენერჯის მიკრო და მაკრო პროცესებში, მოძრაობა დროსა და სივრცეში;
- ობიექტთა მოძრაობის არეკვლის შედეგი მატერიალური მსოფლიოს ცოცხალი ბუნების სისტემაში;

- შეტყობინება, ფაქტების აღწერა;
- სიახლე, ახალი მონაცემები;
- პროცესის განუსაზღვრელობის შემცირება, დროის განმავლობაში მისი მდგომარეობის შეცვლა;
- შეტყობინების მეშვეობით გაურკვევლობის შემცირება;
- მონაცემები პირებზე, საგნებზე, მოვლენებსა ან პროცესებზე, გამოყენებული ცოდნის მისაღებად ან გადაწყვეტილების მისაღებად. ინფორმაციას აქვს რიგი განსაკუთრებულობა:

1. თავად ინფორმაციის შესახებ საუბარი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა თუნდაც ურთიერთობის ერთი ობიექტი არის ცოცხალი ორგანიზმი;
2. ინფორმაცია არაა მატერიალური, მიუხედავად იმისა, რომ მისი მატარებელი მატერიაა;
3. რაც უფრო რთულია მატერიალური მსოფლიოს ობიექტი ან პროცესი, მით უფრო მეტ ინფორმაციას ატარებს იგი.
4. რაც უფრო რთულია ორგანიზმი, მით უფრო მეტია მისი მოქმედების ვარიანტები.

ნებისმიერი ინფორმაცია ფლობს სამ ძირითად პარამეტრს:

- რაოდენობა;
- შემადგენლობა;
- ღირებულება.

რაოდენობრივი მომენტი გამოიკვლევა ძირითადად მატერიალურ სტატისტიკასთან, შემადგენლობითი - სემანტიკურ თეორიასთან. ყველაზე ცნობილი ფორმა რაოდენობრივი ინფორმაციისა შემოგვთავაზე შენონმა: ინფორმაციის რაოდენობა გამოვლინდება განუსაზღვრელობის რაოდენობრივი ინფორმაციის შეტყობინების შედეგად.

ზოგიერთი მეცნიერი კი წყვეტს ამ პრობლემას ალგორითმულად: აქ ინფორმაციის რაოდენობა შეესაბამება ალგორითმის სირთულეს, რომელსაც გადაჰყავს სისტემა ერთი მდგომარეობიდან მეორეში. ინფორმაცია არის გაზრებული ტექსტი, სადაც მოცემულია რომელიმე ენის ნიშნები.

როგორც ნ. ვინერი აღნიშნავს, ინფორმაცია აღიქმება გადაცემის განსაზღვრული ჯაჭვის მიხედვით - ინფორმაციის გადამცემის მიერ ინფორმაციის მიმღებისაკენ. ამ გზით მიღებული ან გადაცემული ინფორმაცია ზემოქმედებს გარე სამყაროზე. ნ. ვინერი მართვისა და კავშირის (ურთიერთობის) ყველა პროცესს ცოცხალ ბუნებაში, საზოგადოებაში განიხილავს, როგორც უწყვეტ პროცესს, ინფორმაციის შენახვას და მის გადამუშავებას. მოქმედი ობიექტი შთანთქამს უკანასკნელს გარეშე სამყაროში და იყენებს მას სწორი მოქმედების ასარჩევად. ინფორმაციის რაოდენობა არის არჩევანის რაოდენობა ან საწინააღმდეგო ენტროპია - კიბერნეტულ „ხმაურთან“ ბრძოლის საფუძველი და შესაძლებლობა.

ინფორმაცია მოიცავს ფაქტობრივ და წარმომადგენლობით კომპონენტებს. ინფორმაციის ფაქტობრივი კომპონენტი გამოხატავს მის შინაგან მხარეს, დაკავშირებულს რეალობის გადმოცემასთან, ხოლო წარმომად-

გენლობითი - გამოხატავს ინფორმაციის გადმოცემის ფორმას გადასაცემად, უზრუნველყოფს მომხმარებლის მიერ მის ადეკვატურ აღქმას.

ინფორმაცია ხასიათდება გადმოცემის ფორმით, შემადგენლობით და ადამიანის მიერ მის შექმნაზე ინტელექტუალური მარაგის დანახარჯით.

გადმოცემის ფორმის მიხედვით, ინფორმაცია შეიძლება კლასიფიცირებულ იქნას შემდეგნაირად:

- განუსაზღვრელობის ხარისხით;
- სიმტკიცის ფორმით;
- ხელმისაწვდომობით.

ინფორმაციის ძირითადი მახასიათებლები არის:

- ფსიქიკაზე ზემოქმედების შესაძლებლობა;
- მნიშვნელობა;
- სანდოობა;
- მთლიანობა;
- ადეკვატურობა.

ფსიქიკაზე ზემოქმედების შესაძლებლობა – ინფორმაციის განუყრელი თვისებაა, ინფორმაციის ფუნდამენტალური გათავისება. (ადამიანთა მიმართებით) – ობიექტისგან მოშორებული დამოუკიდებლად ასახავს რეალობას. იგი უნდა გახდეს გონების ნაწილი და დამოუკიდებლად იმოქმედოს ფსიქიკაზე, რომელიც ტრანსფორმირებას ახდენს შეხედულებაზე, გონებაზე, ცოდნასა და მიღწევებზე.

ინფორმაციის მნიშვნელობა არის ინფორმაციის თვისება შეინახოს მისი მოთხოვნილების ღირებულება დროთა განმავლობაში. არ დაემორჩილოს მორალურ მხარეებს.

ინფორმაციის სანდოობა არის მიღებული ინფორმაციის შესაბამისობა რეალობასთან. საიმედოობა მიიღწევა:



- მოვლენების განმარტებით, რომლების შესახებაც გადასცემ ინფორმაციას;
  - მონაცემებისა და სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის საფუძვლიანი გამოკვლევით;
  - საექვო მონაცემების გადამოწმებით, დეზინფორმაციის გამორიცხვით;
  - ტექნიკის მეშვეობით გადმოცემული ინფორმაციის გამორიცხვით.
  - ინფორმაციის მთლიანობა არის ინფორმაციულ სისტემაში და პროცესში ინფორმაციის უცვლელობა შემთხვევითი ან სპეციალური ზემოქმედების პირობებში. ასევე იგულისხმება ინფორმაციის აქტუალურობა, მისი დაცვა შეცვლისგან.
- ინფორმაციის ადეკვატურობა არის ინფორმაციის შესაბამისობა მის პრაქტიკულ ფასეულობასთან. ინფორმაციის ტიპები, როგორც წესი, გამოიყოფა შემდეგი ძირითადი ნიშნებით:
- მოუწესრიგებლობის ხარისხით;
  - სიმტკიცის ფორმით;
  - ხელმისაწვდომობით;
  - შემადგენლობით (გამოყენების სფერო, ინფორმაციის ფასეულობა დანიშნულების დროიდან);
  - ინფორმაციის შესაქმნელად ადამიანური რესურსების დანახარჯით.
- სიმტკიცის ფორმის მიხედვით, ინფორმაცია იყოფა:
1. წარმოდგენილი წერილობითი სახით (ხელნაწერი, ნაბეჭდი და ა.შ.);
  2. ზეპირი ფორმით (მასობრივი გამოყენება);
  3. ხმოვანი ან ვიდეო ჩანაწერის სახით (ციფრული, ოპტიკური და სხვა);
  4. გამოსახულების სახით (ნახატი, ესკიზი, სურათი, გეგმა, კინო-ტელე-ვიდეო ჩანაწერი, კომპიუტერული გრაფიკა და ანიმაცია, ფოტოგრაფია და ა.შ.);
  5. სივრცული ფორმით (სკულპტურა, მოდელი, მაკეტი).
- ინფორმაცია ხელმისაწვდომობის მიხედვით, იყოფა ღია, ყველასათვის ხელმისაწვდომ და შეზღუდულად ხელმისაწვდომ ინფორმაციებად.
- ინფორმაცია შემადგენლობის მიხედვით, შეიძლება დაიყოს გამოყენების სფეროების, ინფორმაციის ფასეულობის მიხედვით.
- გამოყენების სფეროების მიხედვით იყოფა:
1. ეკონომიკური;
  2. სოციალურად მნიშვნელოვანი;
  3. სამსახურებრივი;
  4. პირადი;
  5. გასართობი და სხვ.
- ფასეულობის მიხედვით:
1. ოპერატიული;
  2. არაოპერატიული;
  3. კულტურის ძეგლები.

### ლიტერატურა

1. მელქაძე ო., ინფორმაცია: კონტროლი, სტრატეგია და ტაქტიკა. თბ., 1981.
2. საინფორმაციო სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენი“, თბ., 06.12.2011.
3. Castells M. end of Millenniu. Backwell Publishers, 1998.
4. Манойло А. В. Государственная информационная политика в особых условиях. М., 2003.



## ნაზი ხანიაშვილი

# „ვეფხის-ტყაოსანი“ და მეტაფიზიკა რუსთაველი – 850



ქართველი ერი 2016 წელს აღნიშნავს XII-XIII სს-ის პოეტის, პოემა „ვეფხის-ტყაოსანი“-ს ავტორის, შოთა რუსთაველის 850 წლისთავს.

რუსთაველი, სავარაუდოდ, დაიბადა XII ს-ის 60-70-იან წლებში. ვეფხის-ტყაოსანის ბოლო სტრიქონები – „ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთავისა დაბისა“, მიგვანიშნებს შოთას მესხურ წარმომავლობაზე.

რუსთაველის ფრესკული პორტრეტი, XIII ს-ის პირველი ნახევრის წარწერით, შემონახულია იერუსალი-

მის ჯვრის მონასტრის სვეტზე. ამ წარწერის მიხედვით, იგი ყოფილა მეჭურჭლეთუხუცესი. მას შეუკეთებია და განუახლებია ჯვრის მონასტერი. სავარაუდოდ, პოეტი ყოფილა სამეფო კარის დიდი მოხელე ვაზირი, თამარ მეფესთან დაახლოებული პირი.

გამოთქმულია აზრი, რომ პოეტი სიცოცხლის ბოლო წლებში გაემგზავრა იერუსალიმში, აღიკვეცა ბერად და იქვე დასაფლავებული. არ მართლდება გადმოცემა, რომ ის ბერად აღიკვეცა, ვინაიდან ფრესკაზე ის ქართველი ერისკაცის სამოსშია გამოწყობილი.

თვით თამარ მეფე იყო რუსთაველის შთაგონების წყარო. 1178 წელს გიორგი III-მ თავისი ქალიშვილი თამარი თავისივე სიცოცხლეში 12 წლის ასაკში აკურთხა მეფედ. თამარის მამა გიორგი III გარდაიცვალა 1184 წელს და 18 წლის თამარი ხელმეორედ აკურთხეს მეფედ. იმეფა 25 წელი და 43 წლის ასაკში 1210 წელს აღესრულა.

ქართველმა ერმა ვეფხის-ტყაოსნით საკუთარი შთამბეჭდავი პოეტური სიტყვა თქვა მსოფლიოს კულტურის სარბიელზე, რომლის საერთაშორისო აღიარებას დიდად შეუწყო ხელი პოემის თარგმანებმა. ვეფხის-ტყაოსანის თარგმნის ისტორია

ფორმალურად იწყება 1802 წლიდან, როცა ე. პოლხოვიტინოვმა გამოაქვეყნა პროლოგის პირველი სტროფის თარგმანი. ვეფხის-ტყაოსანი თარგმნილია მსოფლიოს 50-ზე მეტ ენაზე.

პოემასა და მასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას სწავლობს მეცნიერების დარგი „რუსთველოლოგია“. ჩვენამდე მოღწეულია ვეფხის-ტყაოსნის 150-ზე მეტი ხელნაწერი. პოემის უძველესი ხელნაწერები XIV საუკუნისაა.

„ვეფხის-ტყაოსანი“ ქართულ ენაზე 1984 წლამდე გამოიცა 64-ჯერ. პირველი გამოცემა დაიბეჭდა თბილისში 1712 წელს, ვახტანგ VI-ის რედაქციით.

1965 წლიდან დაარსებულია რუსთაველის პრემია, რომელსაც ანიჭებენ ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებს.

ჩემს ოჯახში ინახება 1899 წელს დაბეჭდილი ვეფხის-ტყაოსანი, რომელიც დასურათებულია 1881-82 წლებში საქართველოში მოღვაწე უნგრელი ფერმწერის მიხაი ზიჩის მიერ. ამ სურათების ორიგინალები მხატვარმა ქართველ ხალხს გადასცა უსასყიდლოდ, რომლებიც დღემდე ინახება თბილისის ხელოვნების მუზეუმში.

შოთა რუსთაველის გენიალური პოემის – „ვეფხის-ტყაოსნის“ თითოეული სტროფი მრავალგანზომილებიანი სამყაროს შეცნობის მეტაფიზიკური ცნობიერებითაა გაჯერებული. ეს სულ სხვა ბიბლიაა, ნამდვილი, ხვთაებრივი სიღრმეებით დახუნძლული.

სწორედ საქართველოში – პირველსაწყისი თეთრი რასის ხალხში უნდა დაწერილიყო ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ისეთი შედეგრი,

როგორცაა – პოემა „ვეფხის-ტყაოსანი“.

პოემის შინაარსი მკითხველს, ერთი შეხედვით, ძალიან მარტივი ყოფის გადმოცემად მოეჩვენება, მაგრამ ეს ასე არ არის.

რუსთაველი „ვეფხის-ტყაოსნის“ სტროფებით წარმოაჩენს XII საუკუნის ქართველთა რწმენა-წარმოდგენებს მრავალგანზომილებიან სამყაროში მიმდინარე მეტაფიზიკურ კოსმიურ პროცესებზე. მეტაფიზიკა არის ჩვენში და ჩვენს ირგვლივ არსებული ყოფიერების ის სფერო, სადაც ფიზიკის კანონები არ ვრცელდება.

„ვეფხის-ტყაოსანში“ პოეზიის ერთადერთი გადმოცემულია რუსთაველის გულის, თვალის და გონის მეტაფიზიკური ხედვით აღქმული ერთარსი „ერთი“ ღმერთის მიერ შექმნილი ხილული და უხილავი სამყაროს ხვთაებრივი კანონები და მასში მიმდინარე მეტაფიზიკური კოსმიური პროცესები. პოემაში ასახული და გააზრებული ხვთიური დაფარული ცოდნა სამყაროს მოწყობის შესახებ წარმოაჩენს მეცნიერებისთვის ჯერ კიდევ უცნობ დიდად ღირებულ ზოგადსაკაცობრიო საკითხებს.

„ვეფხის-ტყაოსანი“ ამირანის მითზე აგებული პოემაა, სადაც რუსთაველმა ქართული ზღაპრებისა და მითების გმირი ამირანი ტარიელის სახით წარმოაჩინა. ამაზე მიაწინებებს პოემის ბოლო სტროფი.

ამირანსა და ტარიელს შორის სხვაობა ისაა, რომ ამირანი მხოლოდ დევებს და ქაჯებს ებრძვის კოშკში დატყვევებული ქალის გასათავისუფლებლად, ხოლო ტარიელი ებრძვის როგორც დევებსა და ქაჯებს, ასევე ებრძვის ხატაველებს, ანუ ხატის – ღმერთის მორწმუნე ხალხს. ეს კი ძა-

ლიან მნიშვნელოვანია – ამაში აისახება ბოლო ჟამის კოსმიური პროცესი.

ვეფხის-ტყაოსნის მთლიანი შინაარსი, ისევე როგორც ამირანის მითი, წარმოაჩენს ადამიანთა შორის სიყვარულს და მეგობრობას, ერთგულებას და თავდადებას, კეთილისა და ბოროტის – ორი პირველსაწყისის ბრძოლას, სადაც ყოველთვის კეთილი იმარჯვებს. აი, რას გვეუბნება ამის შესახებ შოთა რუსთაველი: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!“-ო.

ვეფხის-ტყაოსნის სტროფებით რუსთაველი გადმოგვცემს ქართველი ხალხის დამოკიდებულებას უზენაეს ღმერთთან: ადამიანს არაფრის უნდა ეშინოდეს, თუ ცის ძალთა დასი იცავს, ლხინიც და ჭირიც მისგან არის; ერთარსი ღმერთია ხილული და უხილავი სამყაროს შემოქმედი; დედამიწაზე ვერ იპოვი ისეთ საქმეს, რაც ღმერთის გარეშე ხდება; მისგან დაკოდილი გულის განკურნება, მხოლოდ მას შეუძლია; ღმერთი მიაჩნდათ ყოველი დანერგულის და დათესილის გამზრდელად; მან თავისი ხვთაებრივი ძალით შექმნა სამყარო.

რუსთაველი ვეფხის-ტყაოსნის სტრიქონებით გვამცნობს გულის ღრმად მეტაფიზიკურ ფუნქციას და დანიშნულებას ადამიანის მრავალგანზომილებიან სამყაროში, ამით წარმოაჩენს მეცნიერებისთვის ჯერ კიდევ უცნობ დიდად ღირებულ ზოგადსაკაცობრიო საკითხს:

**„გული, ცნობა და გონება  
ერთმანეთზედა ჰკიდიან,  
რა გული წავა, იგიცა წავლენ  
და მისკენ მიდიან“;  
ჰკითხე ასთა ჰქმენ გულისა“.**

ვეფხის-ტყაოსანი განიხილავს სიცრუისა და ორპირობის მეტაფიზიკურ სიღრმეებს: „თავია სიცრუე ყოვლისა უბედობისა“; „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“-ო.

რუსთაველი სიტყვებით – „რასაცა გასცემ შენია, რაც არა – დაკარგულია“, წარმოაჩენს მოქმედ უხილავ მეტაფიზიკურ კანონს – რასაც გასცემ, ერთითად უკან გიბრუნდება. რაც მეტად შეიცნობთ საკუთარ თავს, როგორც სამყაროს სამყაროში, მეტად დაიმკვიდრებთ ღმერთისკენ მიმავალ გზას. ამ ცნობიერებას ასახავს ვეფხის-ტყაოსნის შემდეგი სიტყვები: „მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“.

ქართველთა ცნობიერებაში უხსოვარი დროიდანაა შემორჩენილი ცოდნა ბედისწერის, ბედის ბორბალის – ზეციური ეტლის შესახებ, რასაც წარმოაჩენს ვეფხის-ტყაოსნის არაერთი სტრიქონი.

ქართველთა რწმენა-წარმოდგენას სიკვდილის ფენომენზე გადმოგვცემს ვეფხის-ტყაოსნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამონათქვამი: „ჩემი ლხინია სიკვდილი, გაყრა ხორცთა და სულისა“.

რუსთაველი ნათლად წარმოაჩენს ქართველთა პირველსაწყის ცოდნას „უჟამო ჟამის“ და „მზიანი ღამის“ „მზის“ შესახებ.

ვეფხის-ტყაოსანში ბოროტი ძალა ქაჯების სახით არის წარმოდგენილი და განიხილავს, თუ ვინ არიან და ვინ შექმნა ისინი, რა ბოროტების ჩადენა შეუძლიათ და რა სახით არსებობენ დედამიწაზე.

ქართველები ამქვეყნიურ ცხოვრებას ოდითგანვე „წუთისოფელს“ უწოდებენ, ეს სიტყვა ვეფხის-ტყაოს-

ნის სტრიქონებშიც არის. სიტყვა „წუთისოფელი“, რომელიც მხოლოდ ქართულ ენაშია, კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ყველა საიდუმლო ცოდნა ჩვენი, მრავალგანზომილებიანი სამყაროს მეტაფიზიკური მოწყობის შესახებ, ქართულ ენაშია საიდუმლო კოდით ჩადებული.

„აწღა ვცან საქმე სოფლისა, ზღაპარია და ჩმახია“ – ამ სიტყვებით აღწერს რუსთაველი ადამიანის ამქვეყნაზე ყოფიერების ნამდვილ რეალობას.

ვეფხის-ტყაოსანში ნათლადაა წარმოდგენილი კეთილისა და ბოროტის არსი ადამის ცივილიზაციაში – კეთილს და ბოროტს ერთი საწყისი აქვთ და ორივე ერთარსი ღმერთის შექმნილია. ამის შესახებ რუსთაველი ამბობს: „ვარდთა და ნეხვთა ვინათგან, მზე სწორედ მოეფინების“-ო.

ავთანდილის ციურ მნათობებთან საუბარი გადმოგვცემს ქართველი ხალხის ცოდნას იმის შესახებ, რომ სამყაროში ყველას და ყველაფერს შეუძლია საუბარი აზროვნებითი ინფორმაციის დონეზე; ყოველი მიკრო და მაკრო სამყარო ჩართულია კოსმიურ ინფორმაციულ პროცესში. სამყაროში ყველაფერი ერთი მთლიანის ნაწილია და თავის კოსმიურ მისიას ასრულებს.

რუსთაველი პოემაში წარმოაჩენს სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვებას, სიკეთის არსებობა სამყაროში მარადიულია, ხოლო ბოროტება ხანმოკლეა. ეს სამყაროში მიმდინარე უცვლელი ხვთაებრივი პროცესია. ამის შესახებ რუსთაველი ამბობს: „ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია შენი გრძელი“-ო.

ამასთანავე რუსთაველი გვეუბნება, რომ „ჭირთა ჟამი ერთხელია“-ო, ქართველები და საქართველო კი „მრავალ-ჟამი“ არიან.

ვეფხის-ტყაოსნის ზემოთ მოყვანილი საკითხები განხილულია წიგნში „ვეფხის-ტყაოსანი და მეტაფიზიკა“.

„ვეფხის-ტყაოსანში“ ასახული მრავალგანზომილებიანი სამყაროს მეტაფიზიკური სიღრმეების განხილვას და რუსთაველის 850 წლისთავს მივუძღვენი ნაშრომი „ვეფხის-ტყაოსანი და მეტაფიზიკა“, რომელიც წიგნის სახით დაიბეჭდა 2016 წელს.

ისეთი გენიალური და ყოველთა აღმატებული შედეგის შექმნა, როგორც „ვეფხის-ტყაოსანია“, არცერთ მოკვდავს არ ძალუძს. პოემის ტექსტი ღმერთთან პირდაპირი კონტაქტით – „სახელითა ღმერთისადათა“ დაწერილი ყველა დროის ქართველი გენიოსის შოთა რუსთაველის მიერ, სადაც გადმოცემულია კაბალას კოსმიურ კანონზომიერებათა სიბრძნე. ეს მხოლოდ ქართულ ენაზე – ღმერთების და სამყაროს ქვეცნობიერი აზროვნების ენაზეა შესაძლებელი. ქართული გენის კოსმოგონიური ცნობიერების ეს შედეგია ამ წიგნში ახალი მეტაფიზიკური გააზრებითაა წარმოჩენილი. ადამიანებმა მხოლოდ ქართულ ენაზე დაწერილი „ვეფხის-ტყაოსანი“ უნდა წაიკითხონ, ვინაიდან თარგმანში ეს კოსმოგონიური ცოდნა უკვე დაკარგულია.

„ვეფხის-ტყაოსანი“ ჩვენი მრავალგანზომილებიანი სამყაროს მეტაფიზიკური ცოდნის უშრეტი წყარო და უღვივი განძია.



## ✚ მურად შონია

### სოციოლოგიის პრაქტიკული დანიშნულებისათვის

სოციოლოგიას, ისევე როგორც ნებისმიერ მეცნიერებას, თავისი ფუნქცია თუ ფუნქციები აქვს, ფუნქცია საერთოდ და ფუნქციები.

სოციოლოგიის ფუნქცია, როგორც საერთოდ მეცნიერების ფუნქცია, თავის მხრივ, გულისხმობს მის დანიშნულებას, იმას, თუ რა როლს ასრულებს იგი თავის საქმიანობაში.

ასეთია, კერძოდ, სოციოლოგიისა და საერთოდ მეცნიერების „ფუნქციის“ ცნების განსაზღვრება.

სოციოლოგიას აქვს ერთი საერთო ზოგადი ფუნქცია, მაგრამ ასევე გააჩნია უამრავი კერძო ფუნქციაც.

აქ ჩვენ გვაქვს ე.წ. ზოგადისა და კერძოს ცნობილი კატეგორიების ანუ უზოგადესი ცნებების კერძო შემთხვევა.

სოციოლოგიის ფუნქციები – ზოგადიცა და კერძონიც – სხვადასხვა ასპექტით სხვადასხვაა. ეს კი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა საფუძველზე გამოვყოფთ მათ.

მაგალითად, შეიძლება გამოვყოთ სოციოლოგიის უშუალო და საბოლოო ფუნქციები, როგორც ზოგადი, ისე კერძო ასპექტებითაც, ასევე თეორიული და პრაქტიკული ფუნქციები, აგრეთვე ზოგადი და კერძო ასპექტებითაც, და სხვა უამრავი კიდევ ფუნქცია სულ სხვა პრინციპებით, ორივე – ზოგადი და კერძო ასპექტებით. ამასთან ჩვენ უფრო გვინტერესებს სწორედ აღნიშნული ორი ასპექტით

სოციოლოგიის ფუნქციები, ხოლო მათ შორის კი – განსაკუთრებით მეორე – ზოგადი, თეორიული და პრაქტიკული ფუნქციები.

ზოგადი სოციოლოგიის ფუნქცია საერთოდ ეგ იგივე სოციოლოგიის ფუნქციაა ზოგადად. ასე რომ, ეს ორი რამ აქ ერთი და იგივეა.

სოციოლოგიის უშუალო ფუნქცია ანუ დანიშნულება ზოგადად ესაა სოციალური ცხოვრების საერთო ანუ ზოგადი კანონების შესწავლა, ხოლო საბოლოო ფუნქცია ანუ დანიშნულება – აღნიშნული ცოდნის კუთხით ღმერთთან კაცობრიობის მიყვანა.

რაც შეეხება სოციოლოგიის თეორიულსა და პრაქტიკულ ფუნქციებს, პირველი საერთოდ გულისხმობს სოციოლოგიის დანიშნულებას საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგად კანონზომიერებათა შესახებ ცოდნის შემუშავებაში, ხოლო მეორე კი – ამ ცოდნის ცხოვრებაში გატარების უნარის შემუშავებაში.

ასე რომ, სოციოლოგიას, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა მეცნიერებას, არა მარტო თეორიული დანიშნულება აქვს, არამედ პრაქტიკული დანიშნულებაც. მით უმეტეს, სოციოლოგიას, რომელიც არის საზოგადოების შესახებ ზოგადი მეცნიერება და ამიტომაც განსაკუთრებით პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისათვის. საზოგადოების შესახებ

ამგვარ მეცნიერებას სხვაგვარად, აბა, რაღა აზრი ექნებოდა?

და, მართლაც, თუ სოციოლოგია როგორც საერთოდ საზოგადოების შესახებ მეცნიერება ამ საზოგადოების შესახებ რაიმეს პრაქტიკულს არ მოგვცემს, მაშინ რაღა სარგებლობა იქნება მისგან? ყოველი მეცნიერების მიზანი ხომ ისაა, მისცეს საზოგადოებას ამა თუ იმ სფეროს შესახებ პრაქტიკული, რეალურ ცხოვრებაში გამოსადეგი ცოდნა.

სოციოლოგიის ამოცანა, მოგვცეს საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგადი კანონების შესახებ ცოდნა, როდი შემოიფარგლება მისი თეორიული დონით, არამედ, უფრო მეტიც, სრულდება მისივე პრაქტიკული დონით. წინააღმდეგ შემთხვევაში სოციოლოგია სრულად ვერ შეასრულებდა თავის დანიშნულებას, თავის ფუნქციას, ხოლო სოციოლოგიასაც, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა მეცნიერებას, აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ფუნქცია. ეს ორი ფუნქცია, თუ ასე შეიძლება ითქვას, „დიალექტიკურ“ კავშირშია ერთმანეთთან. ერთი გულისხმობს მეორეს, მეორე – პირველს.

სოციოლოგიის თეორიული ფუნქცია უკვე მოითხოვს მის დამატებას, – პრაქტიკულ ფუნქციას, ისე რომ თეორიული ფუნქცია ერთგვარი მხოლოდ წინაფუნქციაა მისი, მაშინ როდესაც პრაქტიკული ფუნქცია – ლოგიკური დასრულება მისი. თეორია ხომ პრაქტიკას ემსახურება, მასზეა დამოკიდებული, მისითაა განსაზღვრული. და სწორედ ამასია ჩანს სოციოლოგიის პრაქტიკული ფუნქციის პრიმატი, ანუ უპირატესობა მის თეორიულ ფუნქციასთან შედარებით.

იგივე ითქმის პირიქითაც – სოციოლოგიის თეორიული და პრაქტი-

კული ფუნქციების ურთიერთდამოკიდებულების ამბავშიც: სოციოლოგიის პრაქტიკული მხარე მოითხოვს სოციოლოგიის თეორიული მხარის ფუნქციონირებას, მოქმედებას, მის სამსახურს პრაქტიკის ამოცანების თანახმად. ასე რომ, ამ მხრივაც, სოციოლოგიის სწორედ პრაქტიკული ამოცანები განსაზღვრავს მის თეორიულ ამოცანებს.

სოციოლოგიის პრაქტიკული დანიშნულება, მისი პრაქტიკული ფუნქცია სხვანაირად გამოითქმება მისი როგორც გამოყენებითი ფუნქცია.

ის, რომ სოციოლოგიას უნდა დაკისრებოდა გამოყენებითი ფუნქცია, თითქმის იმთავითვე შენიშნული იყო სოციოლოგიის ისტორიაში; ის, რომ სოციოლოგია უნდა გამხდარიყო გამოთვლითი მეცნიერება, რომელიც ჩადგებოდა საზოგადოების სამსახურში ამა თუ იმ კონკრეტულ-სოციალური პრობლემის გადაჭრისას, ეს, მართლაც, დიდი ხანია რაც ყურადღების ცენტრშია სოციოლოგთა შორის.

და, მართლაც, სოციოლოგიას დღიდან დაარსებისა, აქვს მრავალი ფუნქცია, მაგრამ მათ შორის მაინც გამოირჩევა მისი სწორედ გამოყენებითი ანუ მოხმარებითი ფუნქცია, ვინაიდან რა არის ბოლოსდაბოლოს სოციოლოგიის მიზანი, თუ არა სწორედ მისგან მოტანილი პრაქტიკული შედეგები ჩვენთვის. სოციოლოგიის თეორიული ფუნქცია სოციოლოგიის მთავარი ფუნქცია ხომ არ არის. ეს ფუნქცია სინამდვილეში ემსახურება მის სწორედ პრაქტიკულ ფუნქციას. ბოლოსდაბოლოს თეორია ხომ მხოლოდ პრაქტიკისთვისაა და არა პირიქით. პრიმატი აქ სწორედ პრაქტიკულ მხარეს განეკუთვნება.

სოციოლოგიის ორ ძირითად – თეორიულ და პრაქტიკულ ფუნქციას შორის დამოკიდებულება მეტად მნიშვნელოვანი საკითხია. მათ შორის მჭიდრო კავშირი უნდა იყოს. და თუ ეს ასე არაა, როგორც იტყვიან, მით უარესი ფაქტისათვის. სოციოლოგიის თეორიული ფუნქცია გულისხმობს მის ხედვით დანიშნულებას, სოციოლოგიის პრაქტიკული ფუნქცია კი – მის საქმით დანიშნულებას.

უდავოა, რომ სოციოლოგია ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეასრულებს თავის პრაქტიკულ ფუნქციას მისი თეორიული ფუნქციის გარეშე, ვინაიდან პრაქტიკა ხომ სხვა არაფერია, თუ არა განხორციელებული, რეალიზებული, განამდვილებული, ხორცშესხმული თეორია. პრაქტიკული სოციოლოგია იგივე თეორიული სოციოლოგიაა, ოღონდ მიყენებული პრაქტიკულ სფეროს. თეორიული ბაზის გარეშე პრაქტიკული სოციოლოგია ვერც იარსებებდა. ასე რომ, პრაქტიკა თეორიის გარეშე წარმოუდგენელია.

ამ მხრივ სწორია ხოლმე, როცა იტყვიან, ყველაზე კარგი პრაქტიკა სწორედ თეორიააო. მაგრამ ამ გამოთქმაშიაც ხომ პრაქტიკის პრიმატია აღნიშნული თეორიის მიმართ და არა პირიქით. ასე რომ, ეს პრიმატი ნებისმიერი კუთხით მაინც სოციოლოგიის პრაქტიკული მხარის სასარგებლოდ წყდება. ამას ისიც ადასტურებს, რომ თავად სოციოლოგიის თეორიული ფუნქცია უკვე ლოგიკურად მოითხოვს დასრულებას იმით, რომ გადაიზარდოს მის სწორედ პრაქტიკულ ფუნქციაში და არ შეჩერდეს მხოლოდ საკუთარ თავზე.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ აქ სოციოლოგიის თეორიულსა და პრაქტიკულ ფუნქციას შორის

უპირატესობას პრაქტიკულ ფუნქციას ვანიჭებთ, სრულიადაც როდი გამომდინარეობს, თითქოს ამ ორ მხარეს შორის უფრო მაღალ დონედ ამ უკანასკნელს მივიჩნევდეთ.

სინამდვილეში საქმე კი სრულიად პირიქითაა: სოციოლოგიის თეორიული დონე მის პრაქტიკულ დონეზე უფრო მაღლა დგას, ამიტომაც ამ მხრივ სოციოლოგიის თეორიული ფუნქციაც მის პრაქტიკულ ფუნქციაზე მაღლა იდგება. განა თეორია საერთოდ პრაქტიკაზე უფრო მაღლა არა დგას? განა სულიერი ხორციელზე, იდეალური რეალურზე მაღალი სფერო არაა? მაშასადამე, ამ მხრივ, სოციოლოგიის თეორიული დონე უცილობლად აღემატება მის პრაქტიკულ დონესაც.

მაგრამ სულ სხვაა მაინც, როცა ამ ორ ფუნქციას ადამიანთა რეალური, ამქვეყნიური საჭიროების კუთხით ვიხილავთ. ამ დროს, ბუნებრივია, წინ წამოიწივს სოციოლოგიის სწორედ პრაქტიკული და არა თეორიული ფუნქცია. ყველაფერი, მაშასადამე, იმაზეა დამოკიდებული, თუ რა კუთხით შევხედავთ საგანს.

სოციოლოგიის გამოყენებითი ანუ პრაქტიკული დანიშნულების თვალსაზრისით კაცობრიობის აზროვნების ისტორიაში, ჩვენის აზრით, არ გამოთქმულა იმაზედ უფრო მნიშვნელოვანი მოსაზრება, როგორც გამოთქმული აქვს რუს სოციოლოგს მიხეილ ბაკუნინს (1814-1876), რომელიც ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს შემდეგს: „ყოველგვარი მეცნიერება როდი აქცევს ადამიანს საზოგადოების მართვის უნარმქონედ, არამედ მეცნიერებათა მეცნიერება, ყველა მეცნიერების გვირგვინი, – სოციოლოგია, რომელიც ბედნიერ მეცნიერში გულისხმობს ყველა სხვა მეცნიერების



წინასწარ სერიოზულ ცოდნას [9. 435].

სოციოლოგია აქ გამოდის, როგორც განსაკუთრებული მეცნიერება, განსახვავებით ყველა სხვა მეცნიერებისაგან, მეცნიერება, რომელიც მხოლოდ ერთადერთია მოწოდებული იყოს მთელი საზოგადოების მართვის მეცნიერება, რაც მას ხდის სწორედ „მეცნიერებათა მეცნიერებად“ ანუ „ყოველგვარი მეცნიერების გვირგვინად“. და, მართლაც, ამგვარი მაღალი შეფასება სოციოლოგიის მეცნიერებისა მართლაც უნიკალურია, გამორჩეულია აზროვნების ისტორიაში.

მსგავსს თვალსაზრისს სოციოლოგიის დანიშნულებაზე იზიარებდა ჯერ კიდევ ფრანგი მოაზროვნე ოგიუსტ კონტი (1798-1857), რომელიც ითვლება სოციოლოგიის ფუძემდებლადაც კი.

ფრანკლინ გიდინქსის მიხედვით, „კონტი გულისხმობდა, რომ ...სოციოლოგიას საკმაოდ მნიშვნელოვნად შეეძლო გამხდარიყო წინასწარხედვის მეცნიერება, რომელიც პროგრესის გზას გვიჩვენებს“ [10, 7]. კონტი თურმე სოციოლოგიაზე ამბობდა, რომ „აუცილებელია ვიცოდეთ, რათა წინასწარ განვჭვრიტოთ. აუცილებელია წინასწარ განვჭვრიტოთ, რათა გარდავქმნათ“ [3. 61].

აქვე შეგვიძლია გავიხსენოთ ისიც, რომ სწორედ კონტს ჰქონდა წამოყენებული ე.წ. „სოციალური ფიზიკის“ იდეაც, მსგავსად, თუ ასე შეიძლება ითქვას, „ნატურალური ფიზიკისა“ ანუ უბრალოდ „ფიზიკისა“, რომელთაგან პირველმა უნდა გაგვაგებინოს საზოგადოების, სოციუმის წიაღში მოქმედი კანონები, მსგავსად საკუთრივ „ფიზიკისა“, რომელმაც უნდა აგვიხსნას ბუნების წიაღში მოქმედი

კანონები. ხოლო საზოგადოების კანონების შემეცნება, ისევე როგორც ბუნების კანონებისა, ანუ შემეცნება შესაბამისად, „სოციალური ფიზიკის“ მეშვეობით, მსგავსად ჩვეულებრივი, საკუთრივ „ფიზიკის“ მეშვეობით შემეცნებისა, განა იგი, ეს „სოციალური ფიზიკა“ ანუ სოციოლოგია არ დაგვაუფლებინებს საზოგადოების მართვის სადავეებს?

თუ ოგიუსტ კონტს ეკუთვნის სოციოლოგიის როგორც „სოციალურ-წინასწარხედვითი“ და „სოციალურ-გარდაქმნითი“ მეცნიერების იდეა, ხოლო ბაკუნინს – სოციოლოგიის როგორც „საზოგადოებრივ-მართვითი“ მეცნიერების იდეა, ამერიკელ მოაზროვნებს ფრანკლინ გიდინქსს (1855-1931) უკვე ეკუთვნის ე.წ. „გამოთვლითი სოციოლოგიის ანუ სოციოლოგიის როგორც „გამოთვლითი მეცნიერების“ იდეა. კერძოდ, იგი ჯერ კიდევ თურმე 1901 წელს წერდა, რომ „სოციოლოგია უნდა გახდეს „გამოთვლითი“ მეცნიერება, თუ ჩვენ გვსურს დავაინტერესოთ მისით მრეწველები და მეწარმეებიო“ [3. 60].

სოციოლოგიის პრაქტიკულ დანიშნულებასთან დაკავშირებით საინტერესოა სოციოლოგიის ე.წ. „ტექნოლოგიზაციისა“ და „ინჟინერიზაციის“ იდეებიც.

სოციოლოგიის ტექნოლოგიზაციის იდეა ეკუთვნის ამერიკელ მოაზროვნეს ჯეიმს ვაინშტაინს (1926-2005). იგი ტექნიკის სფეროში სოციოლოგიის გადაორიენტირებაში ჰკრეტდა მისი განვითარების სტაბილიზაციურ პერსპექტივებს. სოციოლოგია, მისი აზრით, უნდა გასცდეს წმინდა აკადემიური დისციპლინის ფარგლებს, უნდა იქცეს თანამედროვე ტექნოლოგიის შემადგენელ ნაწი-

ლად [12. 101]. ე.ი. უნდა მოხდეს სოციოლოგიის ე.წ. „ტექნოლოგიზაცია“.

იმის მიხედვით, თუ როგორ გვესახება „იდეალური“, „ოპტიმალური“ საზოგადოება, ჩვენ ავაშენებთ კიდეც მას სოციოლოგიურ წინასწარგანსაზღვრულობათა შესაბამისად, ხოლო სოციოლოგიის ამ დანიშნულების გათვალისწინებით შემუშავდა სწორედ „სოციალური ტექნოლოგიისა“ და „სოციალური ინჟინერიის“ ცნებებიც. ამაში კი დიდი წვლილი მიუძღვის ბრიტანელ სოციოლოგს კარლ პოპერს (1902-1994) [3. 6].

სოციოლოგიის პრაქტიკულ დანიშნულებასთან დაკავშირებით საინტერესოა ე.წ. „კლინიკური სოციოლოგიის“ იდეა, რომელიც პირველად თურმე წამოაყენა ამერიკელმა სოციოლოგმა ლუის ვირტმა (1897-1952), ანალოგიურად „კლინიკური მედიცინისა“.

და, მართლაც, ისევე როგორც „კლინიკური მედიცინა“ მოწოდებულია სამედიცინო პრობლემების მოგვარებისათვის, ე.წ. „კლინიკური სოციოლოგიაც“ ამ იდეით მოწოდებულია ადამიანთა სოციალური პრობლემების განკურნებისათვის. ვირტმა იწინასწარმეტყველა იმ სოციოლოგიური კლინიკების წარმოშობა და განვითარება, რომლებსაც ექნებოდა საქმე სოციალური პრობლემების მთელს სპექტრთან. სოციოლოგი ამ შემთხვევაში იქნებოდა თერაპევტთა ჯგუფის წევრი, რომელიც შესაბამის მონაწილეობას მიიღებდა კლიენტთა პრობლემების გადაჭრაში. სოციოლოგია მნიშვნელოვანია ასევე დაავადებათა სოციალური ასპექტების ხედვის ექიმებისათვის მინიჭებით [8. 197].

ამერიკელმა სოციოლოგმა ჯეკობ მორენომ (1889-1974) თავის დროზე წამოაყენა ე.წ. „თერაპიული სოციო-

ლოგიის“ იდეა, ანალოგიურად „თერაპიული მედიცინისა“, რომელიც მოწოდებული იქნებოდა უკვე „სოციალურ დაავადებათა“ განკურნებისათვის. აქ კი ხაზგასმულია სოციოლოგიის პრაქტიკულ-განკურნებითი დანიშნულება, რაც მაღალ დანიშნულებას ანიჭებს მას [3. 70].

ე.წ. „სოციალური ინჟინერიისა“ და „კლინიკური სოციოლოგიის“ იდეებთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის, რომ გამოყენებით სოციოლოგიაში, მართლაც, განარჩევენ მათ მის როგორც ორ ძირითად მიმართულებას [4. 18]. შესაბამისად, ინჟინერ-სოციოლოგი და სოციოლოგ-კლინიკოსი სოციოლოგიური მუშაობის პროცესში ეწევიან თავ-თავის ნაწილს სამუშაოსას. სახელდობრ, „ინჟინერ-სოციოლოგი... ამუშავებს მცირე [სოციალური] ჯგუფების სოციალური გარდაქმნის პროექტებს, დაკავებულია დაგეგმვითა და დიზაინით“, ხოლო „სოციოლოგ-კლინიკოსის ამოცანაა, დაადგინოს ამა თუ იმ მოვლენის დიაგნოზი, შესთავაზოს ალტერნატივა, გაუწიოს კონსულტაცია და მიუთითოს თერაპიულ ზომებზე“ [4. 19].

სოციოლოგიის პრაქტიკულ დანიშნულებასთან დაკავშირებით ძალიან საინტერესოა ე.წ. „სოციალური კარტოგრაფიის“ იდეა, რომელიც ეკუთვნის ამერიკელ სოციოლოგს ერნსტ ბერჯესს (1886-1966). იგი გულისხმობს „სოციალური რუკების“ იდეას. ამ ბერჯესს შეუქმნია ჩიკაგოს სოციალური რუკები. შემდგომში ამ რუკებს იგი იყენებდა დამნაშავეობის პროგნოზირების საქმეში სოციოლოგიური კრიმინოლოგიის მიმართულებით [12. 133, 134, 136]. აქ საინტერესოა მსგავსება საკუთრივ „კარტოგრაფიასთან“, რომელიც „გეოგრაფიუ-

ლია“ თავისი ბუნებით, ხოლო ამ ანალოგიით კი მოწოდებულია, თუ ასე შეიძლება ითქვას, „სოციოგრაფიული კარტოგრაფირების“ იდეა, რაც სოციოლოგიური პრაქტიკის პროცესში გარკვეულ თვალსაჩინო სარგებლობას გვაძლევს.

ყველა ის პრაქტიკულ-სოციოლოგიური იდეა სოციოლოგიის ისტორიიდან, რომელიც ჩვენ აქ განვიხილეთ, ნათლად მეტყველებს სოციოლოგიის იმ უმაღლეს დანიშნულებაზე, რომელიც მას ჩვენი ცხოვრების „კეთილმოწყობის“, მისი „კეთილმოგვარების“ გზაზე ეკისრება.

და, მართლაც, „თეორიული სოციოლოგიის საბოლოო მიზანი მაინც ხომ მის პრაქტიკულ დანიშნულებასა და გამოყენებაშია“ [6. 164]. სოციოლოგია კი გამოყენებითი კუთხით სხვა არაფერია, თუ არა მეცნიერება სოციალურ პროცესთა პრაქტიკული მართვის ზოგად კანონზომიერებათა შესახებ, ხოლო ამაზე მეტი სარგებლობა სოციოლოგიისაგან, აბა, კიდევ სხვა რაღა უნდა იყოს.

სოციოლოგიას წარმოშობისთანავე იმთავითვე უკვე ჰქონდა თავისი პრაქტიკული დანიშნულება. და ეს სოციოლოგიის ფუნქციონირების ხომ უკვე ერთგვარი კანონზომიერებაა.

მაგრამ კანონზომიერებაა სოციოლოგიის არა მხოლოდ პრაქტიკული დანიშნულება, არამედ, უფრო მეტიც, სოციოლოგიის მზარდი პრაქტიკული მნიშვნელობაც, მითუმეტეს თანამედროვე სოციალურ პირობებში, როდესაც ჩქარდება თავად სოციალური ცხოვრება.

და, მართლაც, თანამედროვე ცხოვრება სულ უფრო და უფრო მოითხოვს სოციოლოგიური ცოდნის ჩაყენებას პრაქტიკის სამსახურში. სოციოლოგიამ, როგორც არასდროს, ისე

შეიძინა თავისი პრაქტიკული მნიშვნელობა. როგორც კეთილ ინჟინერს შეუძლია ააგოს მანქანა, ქარხანა ან სახლი, ისე კეთილ სოციოლოგსაც შეუძლია „გააჯანსაღოს ადამიანთა ურთიერთობანი“ [13].

სოციოლოგიური ცოდნის იმ დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობაზე, რომელიც მას ენიჭება ჩვენს თანამედროვე ცხოვრებაში, მიუთითებენ თანამედროვე სოციოლოგიის ისეთი მნიშვნელოვანი წარმომადგენლები, როგორც არიან, დავუშვათ, ამერიკელი სოციოლოგი ნეილ სმელზერი (დ. 1930 წ.) და ინგლისელი სოციოლოგი ენტონი გიდენსი (დ. 1938 წ.).

სმელზერის მიხედვით, სოციოლოგიური ცოდნა საზოგადოებაზე შემდეგნაირად ახდენს ზემოქმედებას: ა) სოციოლოგები მუშაობენ როგორც სამთავრობო ორგანოებში, ისე კერძო ორგანიზაციებში; ბ) სოციოლოგიური მეთოდები გამოიყენება კვლევითი საქმიანობის სხვა სფეროებში; გ) სოციოლოგთა ნაშრომებმა შეიძლება შეცვალოს ადამიანთა დამოკიდებულება საზოგადოებრივი მოვლენებისადმი, ასევე წარმოადგენენ ინფორმაციას სოციალური პოლიტიკის საკითხებში გადაწყვეტილებათა მისაღებად; დ) სოციოლოგიური გამოკვლევა გვეხმარება არსებული სოციალური პოლიტიკის ქმედითობის შეფასებაში [14].

გიდენსის მიხედვით, სოციოლოგიას დიდი პრაქტიკული გამოყენება აქვს და ეს წვლილი მისი სოციალური ცხოვრებაში მრავალი მიმართულებით წარიმართება: ჯერ ერთი, სოციალურ გარემოებათა უმჯობესი გაგება ხშირად გვაძლევს ჩვენ მათი უკეთესი გაკონტროლების შანსს; მეორეც, სოციოლოგია ხელს უწყობს ჩვენი კულტურული ამთვისებლობის

ზრდას, გვაძლევს რა საშუალებას ნებისმიერი პოლიტიკური აქციისას გავითვალისწინოთ კულტურულ ღირებულებათა სხვაობანი; მესამეც, ჩვენ შეგვიძლია შევაფასოთ გარკვეული პოლიტიკური პროგრამების მიღების შედეგები. დაბოლოს, რაც ყველაზე მთავარია, სოციოლოგია ხელს უწყობს თვითშემეცნების განვითარებას, იძლევა რა საშუალებას იმისას, რომ ვცვალოთ ცხოვრების პირობები [10].

სოციოლოგიის როგორც მეცნიერების პრაქტიკულ ღირებულებაზე კარგად მსჯელობენ თანამედროვე ამერიკელი სოციოლოგებიც: ქრეგ კალჭუნი, დონალდ ლაითი, სუზენ კელერი. მაგალითად: „სოციოლოგია იკვლევს ადამიანური ცხოვრების ორგანიზების გზებს“ [2. 20]. ანდა: „სოციოლოგია გვთავაზობს არა მხოლოდ ინფორმაციას, არამედ სამყაროს დაკვირვებისა და ამ სამყაროში ჩვენი ადგილის მოაზრების განსაკუთრებულ გზას“ [იქვე]. ანდა კიდევ: „სოციოლოგიის მთავარი გაკვეთილი ისაა, რომ ინდივიდთა მიღწევები, როგორც წესი, სხვათა დახმარებასა და თანამშრომლობაზეა დამოკიდებული“ [2. 11]. განა ყველა აღნიშნული დასკვნა სოციოლოგიის პრაქტიკულ ღირებულებაზე არ მიუთითებს მათი გათვალისწინების პირობით?

სოციოლოგიის მეცნიერების პრაქტიკული გამოყენების ყველაზე მნიშვნელოვან უბანს სოციოლოგიის განვითარების, მით უმეტეს, თანამედროვე პირობებში, ე.წ. სოციოლოგიური გამოკვლევების სფერო წარმოადგენს.

სოციოლოგიურმა კვლევებმა უკვე იმდენად ფართოდ მოიკიდა ფეხი ჩვენს ცხოვრებაში, რომ გარკვეულწი-

ლად შეგვიძლია ვამტკიცოთ კიდევ: ჩვენ ვცხოვრობთ სოციოლოგიური გამოკვლევების ეპოქაში. ეს მოითხოვა თავად ცხოვრებამ, იმ პრობლემებმა, რომლებიც წინ წამოსწია თანამედროვე ცხოვრებამ. ფართოდ გაშლილი სოციოლოგიური კვლევები განაპირობებს თავად ჩვენი თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნებმა.

ამასთან დაკავშირებით კი კარგად შენიშნავდა ჯერ კიდევ თავის დროზე რუსი სოციოლოგი ანდრია ზდრავომისლოვი: „სოციოლოგიური გამოკვლევების სწრაფი ზრდა, უპირველეს ყოვლისა, აიხსნება პრაქტიკული მოთხოვნებით – სოციოლოგიამ უნდა დაიკავოს მნიშვნელოვანი ადგილი სოციალური პროცესების მეცნიერული ხელმძღვანელობის უზრუნველყოფის საქმეში, იმ სოციალური პრობლემების ყოველმხრივ განხილვაში, რომელნიც წარმოიქმნებიან ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების ფორმირების პროცესში“ [1. 11].

სოციოლოგიურ გამოკვლევებზე ამჟამად დიდი მოთხოვნილებაა: „ხშირად სოციოლოგებს სთხოვენ მისცენ პრაქტიკული რეკომენდაციები, უკარნახონ, სახელდობრ, რა უნდა გაკეთდეს ამა თუ იმ საკითხზე“ [1. 187]. ხოლო ამასთან დაკავშირებით, „სოციოლოგიის ამოცანაა განსაზღვროს ცხოვრების არსებული სახის ძირითადი პარამეტრები და დასახოს ამ პარამეტრების შეცვლის საკონტროლო წერტილები“ [1. 190].

თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მეთოდოლოგიას სოციოლოგიური კვლევის საქმეში, კარგად არის გამოთქმული თანამედროვე ამერიკელი სოციოლოგების ჩ. ფრანკფორტ-ნაჩმიასისა და დ. ნაჩმიასის წიგნში „კვლევები სოციოლოგიურ მეცნიე-

რებებში“: „მეცნიერული მეთოდოლოგია არის ზუსტი წესებისა და პროცედურების სისტემა, რომელთაც კვლევა ემყარება“ [5. 37]. ე.ი. მეთოდოლოგია კვლევის საფუძველთა საფუძველი ყოფილა, თუ ასე შეიძლება ითქვას, რაკილა მეორე, მართლაც, პირველს „ემყარება“.

ხოლო ის, თუ რა დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს მასობრივ სოციოლოგიურ გამოკვლევებს ამა თუ იმ სოციალური პრობლემის აღმოსაფხვრელად, აღნიშნულია ასევე თანამედროვე ამერიკელი სოციოლოგების ჩ. ფრანკ-ფორტ-ნაჩმისისა და დ. ნაჩმისის იმავე წიგნში „კვლევის მეთოდები სოციოლოგიურ მეცნიერებებში“: „შეიძლება თუ არა რაიმე „დაუმორჩილებელი“ სოციალური პრობლემა მასობრივი კვლევებით გადაიჭრას?“. ცოტა ხნის წინ წამოწყებული „ჩიკაგოს უბნებში ადამიანთა განვითარების პროექტი“ შეიძლება ასეთი კვლევის მაგალითად გამოდგეს. რეალობის ზუსტი სურათის შესაქმნელად უნდა შევისწავლოთ, რას ნიშნავს იზრდებოდე ჩიკაგოში და ამის შემდეგ გავიგოთ, აღზრდის რა გზებს მივყავართ დელინკვენტობამდე ან სოციალურად მოწონებულ ქცევამდე, თერთმეტი ათასი ცდისპირი ჩიკაგოს დაახლოებით 75 სამეზობლოდან 8 წლის განმავლობაში მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იყოს. კვლევა ინტერდისციპლინური იქნება“ [5. 22].

სოციოლოგიურ გამოკვლევებზე გაზრდილ მოთხოვნილებასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ ვახსენოთ ამ ბოლო ხანებში სოციოლოგიური გამოკვლევის ისეთი ფართოდ გავრცელებული ფორმა, როგორცაა ე.წ. „შეკვეთილი [სოციოლოგიური] გამოკვლევა“.

შეკვეთილი სოციოლოგიური გამოკვლევა ესაა დაინტერესებული მხარისა ანუ, ამ შემთხვევაში, კლიენტის მიერ საგანგებო მიზნით მოთხოვნილი გამოკვლევა, რომელსაც ატარებენ დაქირავებული სოციოლოგები.

ეს სოციოლოგები ამ გამოკვლევით ასრულებენ კლიენტისათვის საკონსულტაციო როლს. „ამგვარი გამოკვლევის მიზანი ჩვეულებრივ მდგომარეობს იმაში, რომ მისცეს კლიენტს შესაძლებლობა იმოქმედოს სოციალურ გარემოზე სასურველი მიმართულებით მისი შეცვლით“ [8. 146].

იმისათვის, რომ ჯეროვნად განვითარდეს სოციოლოგია, რათა იგი შემდგომში პრაქტიკული მიმართულებით გამოვიყენოთ, ჩვენი ცხოვრების გასაუმჯობესებლად, აუცილებლად საჭიროა, რა თქმა უნდა, თავად სოციოლოგიური გამოკვლევების განვითარება. ისევე როგორც საერთოდ მეცნიერება ვერ იფუნქციონირებს შესაბამისი გამოკვლევების გარეშე, ასევე სოციოლოგიაც, კერძოდ, ვერ იფუნქციონირებს შესაბამისი სოციოლოგიური გამოკვლევების გარეშე.

ასე რომ, სოციოლოგიური გამოკვლევები აუცილებელი წინაპირობებია თეორიული სოციოლოგიისა, რომელიც უკვე შემდგომში შეიძლება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სამსახურში ჩავაყენოთ. ასეთია სოციოლოგიური გამოკვლევების მნიშვნელობა სოციოლოგიის განვითარებაში.

მაგრამ არა მარტო სოციოლოგიური გამოკვლევები ზემოქმედებენ სოციოლოგიის განვითარებაზე, არამედ, პირიქით, სოციოლოგიაც თავისი განვითარებით უკვე, თავის მხრივ, ზემოქმედებს სოციოლოგიურ გამოკვლევებზეც. ე.ი. აქ ჩვენ გვაქვს ორ-

მხრივი პროცესი ურთიერთზემოქმედებისა, რაც დიდად სასარგებლოა საქმისათვის.

ეს სარგებლიანობა კონკრეტულად გამოიხატება იმაში, რომ სოციოლოგიური გამოკვლევა ავითარებს სოციოლოგიის თეორიას, ხოლო განვითარებული სოციოლოგიური თეორია კი, თავის მხრივ, უკვე ავითარებს შემდგომ სოციალურ გამოკვლევებს და ა.შ და ა.შ.

ასე რომ, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სოციოლოგია დიდ ზეგავლენას ახდენს ადამიანთა პრაქტიკულ ცხოვრებაზე, ოღონდ იმ სოციოლოგიური გამოკვლევების მეშვეობით, რომლებიც მას წინ უძღვის. სწორედ ამ გამოკვლევათა მონაცემებით უნდა მოხდეს ჩვენი ცხოვრების, თუ ასე შეიძლება ითქვას, „კორექტირება“. და სწორედ ამაშია სოციოლოგიის პრაქტიკული როლიც საზოგადოების სწორ განვითარებაში. სოციოლოგია, თუ იგი, მართლაც, თავის პრაქტიკულ დანიშნულებას არ შეასრულებს, რაღა საჭირო იქნება?

თუ ჩვენი სოციოლოგია სწორი იქნება, ხოლო სწორი იგი იქნება მხოლოდ პრაქტიკული სოციოლოგიური გამოკვლევების საფუძველზე, მაშინ ამ სწორი სოციოლოგიური შეხედულებების მიხედვით საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკული წარმართვაც ხომ სწორი იქნება? რაც უკეთესი სოციოლოგიური გამოკვლევები გვექნება და რაც უკეთესი სოციოლოგიური თეორიები, განამით უკეთესი არ იქნებოდა ჩვენი რეალური, პრაქტიკული ცხოვრებაც? კაცი ხომ იმ პრაქტიკული ცხოვრებით ცხოვრობს, რა თეორიული შეხედულებითაც იგი ხელმძღვანელობს?

მოკლედ, სოციოლოგიის, ისევე როგორც ნებისმიერი მეცნიერების,

პრაქტიკული მნიშვნელობა ძალიან დიდია. ყოველგვარი მეცნიერება, და მათ შორის სოციოლოგიაც, თავის საბოლოო გამართლებას მხოლოდ და მხოლოდ მისი პრაქტიკული ღირებულების, მისი პრაქტიკული სარგებლიანობის კუთხით პოუვს. მეცნიერება, მართლაც, თვითმიზანი როდია. ეს ასე რომ ყოფილიყო, იგი აზრს დაჰკარგავდა. მეცნიერება ხომ ადამიანს უნდა ემსახუროს, სოციოლოგიაც ხომ საზოგადოებას უნდა ემსახუროს.

სოციოლოგიის პრაქტიკული დანიშნულება ფილოსოფიის პრაქტიკული კონტექსტით უნდა განვიხილოთ, ვინაიდან სოციოლოგია ეს ხომ ფილოსოფიური მეცნიერებაა.

ფილოსოფია ყველაფრის ზოგადს შეისწავლის, ხოლო სოციოლოგია – საზოგადოების, სოციუმის ზოგადს. და, მართლაც, ყველა სხვა საზოგადოების შემსწავლელ მეცნიერებათაგან, სოციოლოგია სწორედ თავისი ფილოსოფიურობით განირჩევა, ვინაიდან იგი შეისწავლის საზოგადოების, ზოგად, ე.ი. ფილოსოფიურ კანონებს, მაშინ, როდესაც სხვა აღნიშნული მეცნიერებანი მის ამა თუ იმ მხოლოდ კერძო მხარეებს შეისწავლიან.

აქედან გამომდინარე, პრაქტიკული დანიშნულების ასპექტითაც, სოციოლოგიას აქვს ზოგადი მნიშვნელობა მაშინ, როდესაც სხვა საზოგადოების შემსწავლელ მეცნიერებებს მხოლოდ კერძო-პრაქტიკული დანიშნულება აქვთ. სოციოლოგიას ყველა საზოგადოების შემსწავლელ მეცნიერებათა შორის ამ მხრივ ფუნდამენტური პრაქტიკული ღირებულება აქვთ, რაკილა იგია მხოლოდ საზოგადოების შესახებ ერთადერთი ზოგად-ფილოსოფიური მეცნიერება.

სოციოლოგიის პრაქტიკული ღირებულება ჩვენს ცხოვრებაში იმდენად დიდია, რომ იგი თითქოს მტკიცებასაც კი არ უნდა საჭიროებდეს, მაგრამ იმის გამო, რომ ეს ყველასათვის ასე როდია, ჩვენ მაინც განვმარტავთ მას.

სოციოლოგიის პრაქტიკული ღირებულება კონკრეტულად იმაში მდგომარეობს, რომ ვიცხოვროთ ქვეყანაზე იმ პრინციპებისა და კანონების გათვალისწინებით, რა პრინციპებსა და კანონებსაც იგი ადგენს ამა თუ იმ სოციალურ მოვლენაზე. მოკლედ, ის თეორიული ცოდნა, რასაც სოციოლოგია გვიმზადებს თავისი განვითარებით, მოვიხმართ ცხოვრებაში. ნებისმიერი დებულება, ნებისმიერი პრინციპი სოციოლოგიისა, თუ იგი პრაქტიკულ ცხოვრებაში იქნება გატარებული და გამოყენებული, სოციოლოგიის, რა თქმა უნდა, პრაქტიკული მოხმარება იქნება.

მაგალითად, თუ სოციოლოგია ჩვენ გვიდგენს სულიერის პრიმატს, უპირატესობას ხორციელზე, მაშინ ჩვენც ცხოვრებაში ადვასრულოთ იგი ასე, ვინაიდან, მართლაც, შესაძლებელია ჩვენი ცხოვრება წარვმართოთ „იდეალისტურადაც“ და „მატერიალისტურადაც“, იმის მიხედვით, თუ რომელ ძირითად სოციოლოგიურ ხაზს გავყვებით ჩვენს ცხოვრებაში – იდეალისტურს თუ მატერიალისტურს? რა თეორიითაც ვიხელმძღვანელებთ, იმავ პრაქტიკითვე ვიცხოვრებთ. ოღონდ მთავარია, ჩვენი ცხოვრება სწორი თეორიული პრინციპებითა და კანონებით წარვმართოთ. და სწორედ ამის განმსაზღვრელადაა საჭირო სოციოლოგიაც.

სოციოლოგიის მიზანი კაცობრიობის ცხოვრების „კეთილმოწყობა“ უნდა იყოს, რა თქმა უნდა, მისი თავისებურებებიდან გამომდინარე.

სოციოლოგიის ვალია მისი სპეციფიკის ფარგლებში ხელი შეუწყოს სოციალურ ჰარმონიას, საზოგადოებრივ თანხმობას, მსგავსად ფილოსოფიისა საერთოდ, რომლის ვალიცაა უკვე ხელი შეუწყოს კოსმიურ ჰარმონიას, მსოფლჰარმონიას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სოციოლოგია თავისი პრაქტიკული დანიშნულებით სხვა არაფერია, თუ არა მეცნიერება ადამიანთა სოციალური ცხოვრების ზოგადი ჯეროვანი მოწყობის შესახებ.

მართლაც, თუ ჩვენ ადამიანები საზოგადოებრივ ცხოვრებას სოციოლოგიური თეორიის გათვალისწინებითაც ავაწყობთ, მაშინ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებაც, ჩვენი სოციალური პრაქტიკაც ლოგიკურად უკეთესი უნდა გახდეს და გახდება კიდევ. სხვანაირად, ანუ ამ შემთხვევაში, სოციოლოგიური თეორიის არსებობა ზედმეტი და უაზრო გახდებოდა. აზრი მას, ამ თეორიას მხოლოდ მისი ცოცხალი, პრაქტიკული გამოყენებით მიეცემა.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ აქ არ შეიძლება არ მოვიყვანოთ უდიდესი ქართველი პოეტის, შოთა რუსთაველის (XII-XIII სს.) მოსაზრებანი თეორიული ცოდნის სარგებლიანობის შესახებ.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ აქ შეგვიძლია უკვე მოვიყვანოთ ორი სხვადასხვა ფრაგმენტი „ვეფხისტყაოსნიდან“.

პირველი ფრაგმენტი აქ ესეთია: „არას გარგებს სწავლულება, თუ არა იქ ბრძენთა თქმულსა: არ იხმარებ, რას ხელსა ჰხდი საუნჯესა დაფარულსა?“ [7. 139].

აქ საუბარია „სწავლულებაზე“, „ბრძენთა თქმულზე“, ანუ რაღაც თე-

ორიულ ცოდნაზე, რომელსაც თუ არ მოიხმარ, არავითარ სარგებლობას არ გაგიწევს. ამასთან აქ ხაზგასმულია ის ამბავი, რომ ეს ცოდნა არის სიბრძნე, საუნჯე, იმდენად მაღლაა აყვანილი თეორიის მნიშვნელობა.

მეორე ფრაგმენტი აქ კი ესეთია: „არა ვიქ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა! მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“ [7. 123].

აქაც საუბარია „ცოდნაზე“, „ფილოსოფოსთა ბრძნობაზე“, ანუ რაღაც თეორიულ ცოდნაზე, რომლის მიხედვითაც არმოქმედების შემთხვევაში ვერავითარ სარგებლობას ვერ

ვპოვებთ. აქაც, ისევე როგორც წინა შემთხვევაში, ხაზგასმულია ის, რომ ფილოსოფიური ცოდნა „სიბრძნეა“, „საუნჯეა“.

ორივე შემთხვევაში აღნიშნულია თეორიული ცოდნის მაღალი ღირებულება, ამიტომ მისი „მოხმარება“, მისით „მოქმედება“, რა თქმა უნდა, დიდ სარგებლობას მოგვანიჭებდა.

თუ ყოველივე აღნიშნულს სოციოლოგიას მივუყენებთ, რისი უფლებაც ჩვენ სრულად გვაქვს, მაშინ უადრესად ნათელი უნდა გახდეს ასევე სოციოლოგიის როგორც თეორიული მეცნიერების პრაქტიკული ღირებულება.

### ლიტერატურა

1. ზდრავომისლოვი ა. სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგია და პროცედურა. თბ., 1975.
2. კალჭუნი ქ., ლაითი დ., კელერი ს. სოციოლოგია. თბ., 2008.
3. ლუტიძე ბ. სოციოლოგია. ნაწ.1. თბ., 1976.
4. სოციოლოგიური კვლევის მეთოდები. თბ., 1998.
5. ფრანკფორტ-ნაჩმიასი ჩ., ნაჩმიასი დ. კვლევის მეთოდები სოციოლოგიურ მეცნიერებებში. თბ., 2009.
6. ლიბრაძე რ. სოციოლოგია. თბ., 2008.
7. შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. თბ., 1988.
8. Аберкромби Н., Хилл С., Тернер Б. Социологический словарь. М., 2004.
9. Бакунин М.А. Философия. Социология. Политика. М., 1980.
10. Гидденс Э. Социология. ([www.gummer.info](http://www.gummer.info))
11. Гиддингс Ф.Г.С. Основы социологии: анализ явлений ассоциаций и социальной организации. М., 1898.
12. История теоретической социологии. Т.3. М., 2002.
13. Круковер В. Практическая социология ([www.sunhome.ru](http://www.sunhome.ru)).
14. Смелзер Н. Социология ([skepsis.net](http://skepsis.net)).







## სოსო კიკნაძე

### გლობალიზაცია თანამედროვე მსოფლიოში

რა არის გლობალიზაცია. გლობალიზაცია ესაა სამყაროს გაერთიანება განსხვავებულის ერთ საზოგადოებად ქცევა. გლობალიზაციის გავლენის მასშტაბებს თუ გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ ეს პროცესი ძალიან დაჩქარებულია და, ალბათ, არ შენელებს. გლობალური მსოფლიო დიდ ხიფათს უქმნის პატარა ერებს. ისინი თვლიან, რომ გლობალიზაცია მათ ტრადიციებს ართმევს და მათ გარდაქმნას ცდილობს. სწორედ ასეთ დროს, მცირე ერებში თავს იჩენს ნაციონალიზმი.

ნაციონალიზმი ამ შემთხვევაში თავდაცვითი სახისაა, მაგრამ შეიძლება დაპირისპირების საგანიც გახდეს. გლობალიზაციის მთავარი იმპორტიორი მსოფლიოში ამერიკაა, რომელთანაც დიდი დაპირისპირება აქვთ ფუნდამენტური ისლამური ტრადიციების ქვეყნებს. მათ ამერიკა ერთგვარ ვეშაპად წარმოუდგენიათ, რომელიც მათთვის ყველაზე ფასეულის: რელიგიისა და ტრადიციების წართმევას ცდილობს. დასავლეთთან იდეოლოგიური ბრძოლა აქვს რუსეთსაც. დასავლეთი და, საერთოდ, დასავლური ცივილიზაცია დასავლეთ ევროპას მოიცავს, თუმცა რუსეთის მთავარი იდეოლოგიური მოწინააღმდეგე ამერიკაა.

რუსეთი ამერიკელებს, ისლამური ქვეყნების მსგავსად, უტრადიციო საზოგადოებად აღიქვამს. თავის მხრივ,

ამერიკაც განაგრძობს რუსეთის წინააღმდეგ კონფრონტაციულ დამოკიდებულებას. ამერიკელი ანალიტიკოსის, ზბიგნევ ბჟეზინსკის აზრით, ამერიკის მთავარი მტერი, კომუნიზმის შემდეგ, მართლმადიდებლობაა. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, გასაგებია, თუ რატომაა ამ ქვეყნებს შორის ასეთი მძიმე მდგომარეობა. რაც შეეხება გლობალიზაციის მთავარ იარაღს, ევროპაში ჩვენ შეიძლება დავასახელოთ ევროკავშირი. ევროკავშირს ბევრი ხალხთა საპრობლემოდ აღიქვამს – ახალ ბაბილონად, რომელიც სპობს ყველაფერ კარგს და ის არის საწყისი მომავალი გაერთიანებული მსოფლიოსი.

რომის პაპი - კათოლიკური ეკლესიის მეთაური - ცდილობს, მოიწვიოს სხვა მიმდინარეობების ქრისტიანი სასულიერო პირები ვატიკანში და ადავლინოს საერთო ლოცვები. ამით ის ეკლესიის ერთიანობის საფუძველს ქმნის, მაგრამ პაპმა ეს ვერ მოახერხა პატრიარქების უარის შემდეგ.

არცერთი მართლმადიდებლური ქვეყნის მეთაურს არ ჰქონდა სურვილი ლოცვის მწვალეობებთან ერთად ჩატარებისა და, შესაბამისად, საერთო ეკლესიის იდეა მხოლოდ სურვილია, რომელსაც განხორციელება არ უწყობია, თუმცა გლობალიზაციამ მაინც მოახერხა საკუთარი პროდუქტების მსოფლიოში გავრცელება. კომპიუტერული ქსელის განვითარებამ სხვა-

დასხვა ადგილში მცხოვრები ხალხები ერთმანეთთან დააკავშირა. იმისათვის, რომ მსოფლიო ცივილურ საზოგადოებაში შენი ინდივიდუალური ადგილი დაიკავო, არაა აუცილებელი შენს საკუთარ თავში ჩაიკეტო, როგორც ეს ერთ დროს იაპონიამ გააკეთა. არამედ, უფრო მჭიდრო კონტაქტები დაამყარო სხვადასხვა ქვეყნებთან, შეითვისო ყველაფერი კარგი, რაც თანამედროვე ცივილიზაციამ წარმოშვა და ამავდროულად არ დაკარგო შენი საკუთარი ინდივიდუალიზმი.





## **ღ გიული მურადაშვილი**

### **ედემისა და ვარდის სახით ასახული მშვენიერება**

(X-XII საუკუნეთა ესპანური პოეზია და ინტერპრეტაცია  
ჰეგელის „ისტორიის ფილოსოფიის“ მიხედვით)

„ამ ამბავსა მემოწმების დიონოსი ბრძენი, ეზროს“  
(შოთა რუსთაველი)

მთარგმნელობითი სკოლის დიდოსტატის ჯემალ აჯიაშვილის მიერ X-XII საუკუნეთა ესპანური პერიოდის ლექსების კრებულისთვის შერჩეულმა სათაურმა – მხედველობაში გვაქვს ებრაელი პოეტების კრებული, „შრომანი ღელეთა“ – წარმოადგინა განწყობა, რაც თქვა მოშე იბნ ეზრამ ჟამთა საგალობელის სახით:

**„ცამან გარდმოსხა მედროშენი  
სინათლისანი,  
ალამი მათი ჩვენსა ზედა  
სიყვარული!..  
კვლავ გაბრწყინდება საქორწინო  
ქადა-**

**ხმიადი,  
ჰანგი სტვირისა აამღერებს ღელის  
შრომანებს“,**

(მოშე იბნ ეზრა, „ჟამთა საგალობელი“, წიგნი „შრომანი ღელეთა“, შუასაუკუნეთა ებრაელი პოეტები; თარგმნა ჯემალ აჯიაშვილმა; თბ., 1994; გვ. 87).

თარგმანს ძველი და ახალი ქართული ლიტერატურის ცოდნამ შეუქმნა საფუძველი; ამასთანავე პოეტური ნიჭით გამორჩეული მთარგმნელი ჯემალ აჯიაშვილი თავის მხრივაც ქარგავს, სიტყვათა მშვენიერებას აკამკამებს:

**„ცას აფუყვები საგუმბათომდე,  
მზის სამკვიდროებს შევემკვივრები,  
როდის – სად მოხვალ – ვკითხავ  
უჩუმრად – შუქთა ხარებას  
ვისთვის მოიტან!..**

**და გამენდობა ჩემი მიჯნური  
ცის უხილავი სამყაროდან“**  
(„დილა“, ხსენებული წიგნიდან, გვ. 89).

სიმდიდრე უბრალოებისა, რაც პოეტმა ლექსის სახით წარმოადგინა გულისხმობს აზრისა და ხედვის ზენიტს – ზემთაგონებას; აქედან გამომდინარე, არსობს პოეზია და სამყარო ურთიერთგამჭოლი ღირსებით:

**„ღერო ღერწმისა უნდა გათვალო,  
ჩემო დარო და ჩემო ავდარო,  
და სიყვარულის საგალობელი  
ჩემთვის შეგკრა და შევათავთავო;  
შენ კი რად ამბობ –**

**ჩაინავლაო სიყვარულის იავარდობა;  
გაფიცებ, სულო, აღარ დამიწნათ  
გვირგვინები, აღარ დამიწნათ;  
არ ამიმღეროთ ქანაანის თეთრი  
ვარდები“** (გვ. 93).

რაც თქვა პოეტმა, მოშე იბნ ეზრამ ქანაანის და მასთან დაკავშირებული თეთრი ვარდების სახით – გვამლევს იმის თქმის უფლებას, რომ მაღალმხატვრულმა ფერწერამ წარმოადგინა

დიდებულება მშვენიერებისა, რითაც იყო გამორჩეული თეთრი ვარდების სახით.

გვსურს ვახსენოთ აგრეთვე „ხეო ედემს დანერგულო, ნორჩო ხეო ვარდისაო“ (ი. ჰალევი, „საქორწინო სიმღერა“, გვ. 196). ის, რაც წარმოადგინა შუასაუკუნეთა პოეტმა, მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ შემოინახა ხსოვნა მიდამოს შესახებ, რაც იყო რეალურად შუამდინარეთში ედემის სახით – ტიგროსსა და ეფერატს შორის; დამაფიქრებელი „ხე ვარდისა“ შესაძლოა ვაზის ლერწს გულისხმობს; ამასთან დაკავშირებით გვსურს იმის ხსენება, რაც თქვა პოეტმა XXI საუკუნეში:

**„შაგშეთს-კლარჯეთს ვაზი დამრჩა,  
ემახოდნენ ხევარდულს,  
ხე იყო და ვაზი იყო“**

(სტეფანე მხარგრძელი, „ხევარდულა“, მწერლის გაზეთი; 2009 წ. 1-15 ოქტომბერი, გვ. 4).

მრავალმხრივი შეფასების ვითარებაში გვსურს ვახსენოთ პოეტის და მთარგმნელის ჯ. აჯიაშვილის მსჯელობა იმის შესახებ, რომ X-XII საუკუნეთა პოეტების (შემუელ ჰანაგიდი, შელომო იბნ გებროლი, მოშე იბნ ეზრა, იეჰუდა ჰალევი, აბრაჰამ იბნ ეზრა, იეჰუდა ალხარაზი, იმანუელ რომაელი) ზემსწრაფი ცნობიერება ვერ შეურიგდებოდა ჩვეულებრივ, მიწიერ ინტერპრეტაციას; აქედან გამომდინარე, არსობს მათ შემოქმედებაში „ბიბლიური გამოცხადების პოეტური იდუმალეობა, დამოკიდებულება თავისი ერისადმი“ („შრომანი ღელეთა“, გვ. 132). პოეტური ნიჭით გამორჩეულმა მთარგმნელმა ჯემალ აჯიაშვილმა ახსენა აგრეთვე სტრუქტურულ-ეფვონიური ცვლილებანი, რაც X-XII საუკუნეთა ებრაელ პოეტ-

თა შემოქმედებამ განიცადა ესპანური-არაბული პოეზიის გავლენით.

გვსურს შევნიშნოთ ჩვენს მხრივაც ისიც, რომ ერთ-ერთი პოეტური ბჭკარედის სახით „ფრთეო ნათლისავ, გადმოფრინდი უცხო ფრინველად“ (ი. ჰალევი, გვ. 195). ახლებული ასახვა პოვა სიმბოლომ, რაც არსობდა უძველეს ეგვიპტეში; შემოქმედების სახასიათო ფერისცვალებიდან გამომდინარე ქართული ანბანური „ჭ“, „ფ“ ესადაგება მზის ფრთოსან დისკოს ეგვიპტის იეროგლიფური დამწერლობის სახით.

გამოკვლევების მიხედვით, სიცოცხლისა და მეფის ხელისუფლების სიმბოლო რვაფურცლიანი ვარდულის სახით გვხვდება ბაბილონურ, ხეთურ, ასურულ, ეგვიპტურ, სპარსულ კულტურაში (ქურნალი „ქართველოლოგია“, 2011. №1-3).

ხევარდისა, ლერწამი, ზამზახი, შრომანი, ვაზი – დიდება ღვთისა მზე და სინათლე – გულისხმობდა იმასაც, რაც იყო რეალიზებული ადამიანის მიერ: მიწათმოქმედებას, არხების გაყვანას, ლითონის, მინის დამუშავებას, სამწერლო ენის საიდუმლოს, ტერასებს.

ტერასები არსობს ჰეგელის ერთ-ერთი თხზულების, სათაურით „ისტორიის ფილოსოფია“ – უძველესი მითოლოგიური და ახალი ისტორიული დრო-ჟამის გზაჯვარედინზე. ხსენებული მიდამოს დახასიათების მიზნით ჰეგელმა იგულა ვარდი.

გვმართებს შევნიშნოთ ისიც, რომ ჰეგელის მიერ მეცნიერული ფორმით წარმოდგენილი მსჯელობა ბაბილონის ოთხკუთხა, ჯვრისებრი დანაწილებისა და წრისებრი განლაგების შესახებ, რითაც ნინეფია იყო გამორჩეული („შვიდი გალავნით დაცული ქა-

ლაქი“ – ბაღები) ემყარება ისტორიის მამამთავრის ჰეროდოტეს, აგრეთვე არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე XVIII საუკუნის მოგზაურთა პიერონისა და ვოლნეს ცნობებს იმის შესახებ, რომ ბაბილონის ნანგრევებიდან დარჩენილი აგურით აუშენებიათ ახალი ქალაქი ჰილა“ (გ. გ. ფ. ჰეგელი. „ისტორიის ფილოსოფია“, თბ., 2001; გვ. 108) არის აშენებული.

ჰეგელი ვერ წარმოიდგენდა მოვლენებს ნაბიჯ-ნაბიჯ ისტორიის სახასიათო ფორმით; მან ძველი და ახალი დროის შემოქმედების გზაჯვარედინზე მოუყარა თავი არსებითს, განმარტა იმ გაგებით, რომ დიდება ღვთისა – მზისა და სინათლის საგალობელთა სახით, რაც არსობდა უძველეს სამყაროში, – გულისმხობდა იმას, რომ „აქ არ არის მარტოოდენ სინათლე, როგორც ასეთი, ეს ფიზიკური უზოგადესი რამ – არამედ ამასთანავე გონის წმინდა საწყისია, სინათლე ფიზიკური და გონითი აზრით გაგებულია როგორც ამაღლება“

(ჰეგელი, „ისტორიის ფილოსოფია“, გვ. 103).

„Das heit nicht blos Licht als solches; diese Allgemeinste physikalische, sondern zugleich auch das reine des Geistes ist“ (G. W. F. Hegel, „Vorlesungen uber die philosophie der Geschichte“, Berlin 1970; s. 417).

«является не только светом, как таковым этим наиболее общим физическим началом; но в это же время чистым духовным началом; свет и физическом и духовном смысле означает возвышение» (В. Ф. Гегель, «История философии», Москва, 1935, с. 165) წარმოდგენის საფუძველზე.

გვმართებს შევნიშნოთ ის, რომ ჰეგელს არ დასჭირდა მსჯელობის იმ სახით განმეორება, რაც წარმოადგინა „ლოგიკაში“ აბსტრაქტული იდეალისტურის და ვულგარული ემპირიულის დამღვევის ვითარებაში; აქედან გამომდინარე, არსობს „ისტორიის ფილოსოფია“ სადა, უშუალო ასახვის ფორმით.





## ✚ ეგვიპტის ბარათაშეიღო

## ✚ ბადრი ცხადაძე

### სახელმძღვანელოები ტურიზმში ტერმინოლოგიურ-ენობრივი რაკურსით (ბოლო ხუთი წლის პროდუქციის მიხედვით)

ჩვენი ერის ისტორიაში, რამდენადაც ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ხასიათის ნაშრომები და ცნობები გვაუწყებენ, ერთ-ერთი პირველი „ტურისტები“, კავკასიასა და, კერძოდ, საქართველოში, ძველი ბერძნებიც იყვნენ [1], მათ მიერ დასერილი ძველი ტურისტული საზღვაო და სახმელეთო მარშრუტები იბერია-კოლხეთსა და კავკასიაში ძველი დროიდანვე მთელ მსოფლიოშია ცნობილი. მარტო არგონავტების თქმულება და კოლხი მედეას მითი რად ღირს [2], [3].

თანამედროვე ქართველი მკვლევრები დიდ ყურადღებას აქცევენ საქართველოში ტურიზმის განვითარების პერპექტივებს, ყურადღებას ამახვილებენ ძველი ცივილიზაციების წიაღში ტურიზმის, როგორც კულტურის მნიშვნელოვანი ელემენტისა და მოგზაურობის სპეციფიკური ფორმის ჩასახვის მიზეზებზე, განვითარების, პირობებსა და ეტაპებზე [4].

რაც შეეხება ეკონომიკის, სერვის-მენეჯმენტის, მარკეტინგის, ასევე ტურიზმის შემცველი მეცნიერული ტერმინოლოგიის შემუშავებას, როგორც მიუთითებენ, დღეს ამისათვის საჭირო და აუცილებელია „დიდი

ლიტერატურული გამოცდილების მქონე სწავლულ ეკონომისტთა, სოციოლოგთა თანამშრომლობა ლინგვისტებთან, ქართველოლოგ-ენათმეცნიერებთან“ [5. 268].

ამ მხრივ საქართველოს უნივერსიტეტებში, კერძოდ, სტუ-ში ბევრი რამ კეთდება: სწორედ ლინგვისტიკის, ინფორმარტიკოსებისა და ეკონომისტების ერთობლივი ძალისხმევით ხორციელდება ახალ-ახალი ტერმინოლოგიურ-ლექსიკოგრაფიული პროექტები [6].

მეოცე საუკუნის მიწურული და ოცდამეერთე საუკუნის პირველი ათწლეული ცივილიზებული მსოფლიოს ერთა ენებში ინფორმაციის მოზღვაების ხელმისაწვდომობით, კომპიუტერული წყაროების სიუხვით (კომერციული ონლაინ-საშუალებები/ინტერნეტი), გამოირჩა. მკვლევრები, მით უფრო სტუდენტები, ნაკლებად, იშვიათად ინტერესდებიან დასტამბულ-გამოცემული წიგნების გამოყენებით. მეტიც: ქართულ-საგანმანათლებლო სივრცეში შემოდის ელექტრონული გამოცემები, ფეხს იკიდებს და საფუძვლიანად მკვიდრდება არაერთი აუცილებლად საჭირო და გასაცნობიერებელი ტერმინი,

რომლის პირვანდელი თუ დღევანდელი მნიშვნელობა, არცთუ იშვიათად, პედაგოგმა, საგნის წამყვანმა ლექტორმაც ჯეროვნად არ იცის. განსაკუთრებით ეს ეხება უცხოენოვან ლიტერატურას, თარგმნილს ქართულ ენაზე, რასაც ახლავს არაერთი ლინგვისტური და სტილისტურ-ტერმინოლოგიური ცდომილება (იხ. თუნდაც [7]) ანალოგიური შეცდომები მოსდის რუს მკვლევარ-სპეციალისტებს, მაგ. „კასტუმინაცია“ კოსტომერიზაციის ნაცვლად [8].

რა ვითარება გვაქვს ამ მხრივ ტურიზმის დარგში გამოქვეყნებულ ნაშრომებსა და სახელმძღვანელოებში?

უნდა ითქვას, რომ ვითარება სახარბიელოა. ამ მხრივ, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ 2009 წელს გამოქვეყნებული დ. მაისურაძის, თ. ხუციშვილის, ი. ვერბეცკის წიგნი, „ტურიზმი ძველი დროიდან დღემდე“ (გამომცემლობა „საარი“, თბ., 2009)“ [4], რომელიც სტუდენტებისათვის ჩაფიქრებულა, როგორც სახელმძღვანელო (თუმცა ეს წარწერა მას არ ახლავს). ამთავითვე უნდა ითქვას, რომ სახელმძღვანელო წიგნი საინტერესოდ იკითხება, საკითხები დალაგებული და მოწოდებულია ლოგიკური, დროით-ქრონოლოგიური თანამიმდევრობით, სადა და ლაღი თხრობით, შესანიშნვი ქართული სალიტერატურო ენით. ამკარაა, მას ეტყობა მისი რედაქტორის, ცნობილი ფილოლოგის, პროფესორ ზურაბ გამეზარდაშვილის ხელი. წიგნი შეიცავს ისეთ მთავარ საკითხთა წყებას, როგორცაა: ა) მოგზაურობების მოტივაციები, ბ) გზები და ტრანსპორტი. გ) სტუმართმილების ფორმები, დ) მომლოცველობა, ე) სტუმართმილების, სარესტორნე და გართობის ინ-

დუსტრია, ვ) განვითარების ფაქტორები.

კარგად არის დასახელებული და განმარტებული „ნაციონალური სამზარეულოს რესტორნების“, „თემატური რესტორნების“, „ცნობილ ადამიანთა რესტორნების“, „სასტუმროებთან არსებული რესტორნების, ბარების (გვ. 210-211) დანიშნულება, აგრეთვე მომსახურების ტიპების დეფინიცია (ფრანგული მომსახურება, რუსული მომსახურება, ამერიკული მომსახურება, გვ. 212 და სხვ.)

ერთგვარი ნაკლია: ა) წიგნის ავტორთა მხოლოდ სახელის ინიციალით მითითება (ვერ გაიგებთ, ავტორებს რა ჰქვიათ. შდრ. რუსულენოვანი გვარი ვერბეცკი – ვერბეცკაია, ქართულად კი, სულ ერთია, ავტორი ქალია თუ კაცი, ორივე შემთხვევაში ვერბეცკი იქნებოდა. ამიტომ ავტორთა საკუთარ სახელთა შემოკლებით (ინიციალი) მოხსენიების გამართლება არაფრით არ შეიძლება), ბ) აგრეთვე ერთგვარი ნაკლია იშვიათად ხმარებულ და სპეციფიკურ ტერმინთა სალექსიკონო ფორმით განმარტება. მართალია, ავტორები ძირითადი ტექსტის ამა თუ იმ გვერდებზე, საჭიროებისამებრ, განმარტავენ სიტყვა-ტერმინებს, მაგრამ რადგან წიგნი სასწავლო დანიშნულებისაა, ვფიქრობთ, ასახსნელ და განსამარტ სიტყვათა დართვა ბოლოს აუცილებელი იყო (ასეთ განსამარტავ ტერმინებად მიგვაჩნია: ტური, ტურნე, გრაფიტი. ტავერნა, მარშრუტი, ალპინისტი, რეკრეაცია, დესტინაცია, კურორტი (თუმცა იეს უკანასკნელი 188-ე გვერდზეა განმარტებული), შავი ზღვის სინონიმური სახელდებების დასახელება და მათი განმარტება. გვხვდება მცდარი

ქართული დაწერილობა კორინთი (გვ. 96), უნდა: კორინთო;

მსგავსი შეფასება, შენიშვნა-სურვილები გვაქვს ამავე ავტორების სხვა წიგნზეც, რომელსაც „ეკოლოგიური ტურიზმის საფუძვლები“ ჰქვია [9]. წიგნში განხილულია ეკოლოგიური ტურიზმის წარმოქმნის ისტორიული წინაპირობები და წანამდევრები, რესურსები, დღევანდელი მდგომარეობა და პრობლემები, განვითარების პერსპექტივები. ეკოლოგიური ტურიზმის სარეკრეაციო რესურსის შემადგენელ კომპონენტებად ცალკეა გამოტანილი და განხილული რელიეფის, წყლის, მცენარეული საფარის კარდინალური საკითხები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცნება-ტერმინები, როგორცაა „ქვეთი ტურიზმი“ ანუ ტრეკინგი (ტრეკინგ) წიგნს სალექსიკონო ახსნა-განმარტებების სახით დართვოდა.

შენიშვნა: 1. უცხოური სიტყვა-ტერმინი ტრეკინგი (ტრეკინგ), ისე როგორც გ. ამსტრონგისა ფ. კოტლერის „მარკეტინგის საფუძვლების“ ქართულენოვან თარგმანშია, თ ყრუ-ფშვინვიერი კონსონანტითაა გადატანილი, რაც შეცდომაა (შდრ. ტერმინი და არა თერმინი და სხვ.). 2. ზოგჯერ სათაურის ან ქვესათაურის ბოლოს რატომღაც წერტილია დასმული (გვ. 108, 134, 136, 197 და სხვ.), რაც ქართული ენის ორთოგრაფიული ნორმების მიხედვით, შეცდომაა. 3. გვაქვს სხვა ხასიათის ორთოგრაფიული შეცდომებიც (უნებლიედ, მთავარარსს) და სხვ.

კვლავ ვიმეორებთ; სტუდენტები-სათვის განკუთვნილ წიგნს სჯობდა, დამატების სახით, წიგნის ბოლოს ავტორებს სპეციფიკურ ცნება-ტერმინთა ჩამონათვალი ანბანის რიგით

გაწყობილი წარმოედგინა, რითაც სტუდენტ-მკითხველს უფრო გაუადვილდებოდა ტურიზმის ტერმინოლოგიური სამყაროს შეცნობა. მსგავსი ვითარება გვაქვს ამავე წიგნის მეორე, გადამუშავებულ და შევსებულ გამოცემაში [10].

რაც შეეხება ამავე ავტორებისა და გ. ხომერიკის ერთობლივ სახელმძღვანელოს „ტურიზმის შესავალს“ [11], აქ, უფრო კომპაქტურად, ჩვენ მიერ ზემოთ გამოთქმული სურვილის მსგავსად, ცნებებისა და ტერმინების ანბანური ჩამონათვალი სტუდენტისათვის მოწოდებულია „საძიებელის“ სახით, სახელმძღვანელოში ნახმარი ცნება-ტერმინის გვერდების მითითებით, ცხადია, მკითხველი სათანადო ტერმინის განმარტებას იქვე იპოვის. მეტიც: ავტორები იქვე (გვ. 190) სქოლიოში იმისაც განმარტავენ, რომ მუქად მონიშნული წიგნის გვერდებზე ესა თუ ის ტერმინი ვრცლად არის განმარტებული. სახელმძღვანელო წიგნის ღირსებად ისიც მიგვაჩნია, რომ მას ბოლოში ერთვის ტურიზმის ქართია, აღიარებული საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 25 იანვრის დადგენილებით, რომელიც შედგება IX მუხლისაგან. აქვეა „ტურისტის კოდექსიც“ (მუხლები: IX, X, XI, XII, XIII, XIV). უნდა ითქვას, რომ სახელმძღვანელოდ დასახელებული განკუთვნილი წიგნები ქართულ ენაზე, ენობრივ-სტილისტურად, რიგიანად არის გამართული. ეგვე შეიძლება ითქვას დ. მაუსურამისა და ო. ვერბეცკას „ზოგადსამოქალაქო ეტიკეტზე“. ეტიკეტის, სტუმარტმასონძლობის წესები მეტ-ნაკლებად ყველა ქვაყანაში ნიუანსობრივ განსხვავებულია, საჭიროა, ყველა ქვეყნისა და ხალხის საქმიანი კომუნიკაციისა



და ეტიკეტის გამოწვლილვით წარმოდგენა, მათ შორის, ტურიზმის, ბიზნესისა და დიპლომატიის კუთხით.

სტუდენტებისათვის განკუთვნილ ზემო დასახელებულ წიგნთაგან ჩვენს ყურადღებას იქცევს ნ.აბესაძის, რ. ქინქლამისა და ქ. ჩიტალაძის ერთობლივი სახელმძღვანელო „ტურიზმის სტატისტიკა“ (ნაწილი I) [12], რომელშიც თითოეული თავის შემდეგ წარმოდგენილია ამოცანებით – საკონტროლო კითხვებითა და ტესტებით, თუმცა „დისპერსია“ და სხვა ცნება-ტერმინები აქაც განუმარტავია.

უფრო რელიეფურად (კომპაქტურად და იმავდროულად გაშლილად) არის წარმოდგენილი ტურიზმის პოლიტიკა და არსი პ. ჩაგანავას სახელმძღვანელოში [13]. სხვა ჩვენ მიერ აქ მიმოხილულ წიგნთაგან განსხვავდება იმითაც, რომ სახელმძღვანელოს ერთვის ქართული და ინგლისურენოვანი ანოტაცია, ვრცელი ბიბლიოგრაფიული ჩამონათვალი. წიგნში სკრუპულოზურად არის განხილული ტურიზმის სახელმწიფო პოლიტიკის არსი და მნიშვნელობა, მისი ტიპები და ფორმები, ასევე ტურიზმის პოლიტიკის დაგეგმვის, კონტროლისა და ეფექტიანობის შეფასების პრინციპები.

ცლაკე აღნიშვნის ღირსია ცნობილი ქართველი მოგზაურის, პროფ. ჯუმბერ ლეჟავას შემეცნებითი ჟურნალი „მოგზაური“ [14], რომელშიც წამყვანი ადგილი საქართველოსა და მსოფლიო ტურიზმის სხვადასხვა სახეობას ეხება. ჟურნალს ჰყავს პროფესიონალი რედაქტორები, მათ შორის მთავარი რედაქტორი გიორგი გობეჩია. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მაღალ პროფესიულად გა-

მოცემულ ჟურნალში იშვიათად თუ გაილევებს ენობრივ-გრამატიკული ან სტილისტური ლაფსუსი. მაგ., „ავღნიშნავდი“, „მგზავრობა ტაქსზე იაფად“ [4, 13., 63], „იამაყოს... კანტით, გოეთეთი, ჰეინეთი“ [15, 42]; „აშშ-ს შტატ ვირჯინიაში ანალოგიური პროცედურისათვის იყენებენ აბაზანას“ [16. 11].

ტურიზმის დარგში ქართველმა სპეციალისტებმა თარგმნეს უცხოელი ავტორების ჩარლზ რ. გელდნერისა (კოლორადოს უნივერსიტეტი, აშშ) და ჯ. რ. ბრენტ რითჩის (კალგარის უნივერსიტეტი, კანადა) ფუნდამენტური სახელმძღვანელო „ტურიზმი (საფუძვლები. პრაქტიკა. თეორია)“. მეთორმეტე გამოცემა, საქართველო, 2013). წიგნი გამოირჩევა რიგი სიახლით: ძირითადი ცნებების განმარტებით, დავალებებისა და სავარჯიშოების სიუხვით, სადისკუსიო კითხვებით, ამა თუ იმ ტურისტული კომპანიების დახასიათებითა და მკვლევარ-სპეციალისტთა პერსონალიებით, ტერმინთა და აბრევიატურების ახსნა-განმარტებით, გლობალური ხედვებით, ნახაზების, ცხრილებისა და სქემების დართვით, ინტერნეტ-სავარჯიშოებით.

ქართულენოვანი გამოცემის რედაქტორი და პროექტის ხელმძღვანელია პროფ. რ. ბერიძე, რედაქტორები: თ. აბესაძე, პ. ჩაგანავა, მ. დიასამიძე, ე. ბახტაძე, ი. კორძაია, ხოლო ინგლისურიდან თარგმნეს თ. სირამემ, ხ. ბერიძემ, ნ. ბერიძემ, ნ. ხახუბიამ, ნ. ტულუშმა, ზ. ბერიძემ, ნ. დევაძემ, თ. ნიკურაძემ, ნ. გიორგაძემ, პ. ჩაგანავამ, ე. ბახტაძემ. ქართული და ინგლისური ტექსტების რედაქტორები გახლავან ლალი კონცელიძე და ხათუნა ბერიძე. ხაზგასმით უნდა

ითქვას, რომ ქართულენოვანი ტექსტი სადა და მიმზიდველი, გამართული ქართულით არის მიწოდებული და გასაგები ნებისმიერი რანგის მკითხველისათვის. 554-გვერდიანი წიგნი დაზღვეულია თითქმის ყოველგვარი ენობრივ-სტილისტური ცდომილებისაგან. კარგი იქნება თუ ეგვევ სამეცნიერო ჯგუფი ტურიზმის ვრცელი განმარტებითი ლექსიკონისა და ტურიზმის ენციკლოპედიის შექმნასაც განახორციელებს.

ყველა ლინგვისტურ-ტერმინოლოგიურად მიმოხილული სახელმძღვანელო პასუხობს თანამედროვე სასწავლო-საუნივერსიტეტო მოთხო-

ვნებს, მაგრამ ჩვენი აზრით, მათ ერთგვარ ხარვეზად უნდა მივიჩნიოთ საჭირო ცნება-ტერმინთა განმარტების იშვიათად წარმოდგენა და სასწავლო სილაბუსების დაურთველობა. დარწმუნებული ვართ თანამედროვე ტურიზმის შესახებ არსებული ქართულენოვანი სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურის ავტორები გაიზიარებენ ჩვენს რჩევებსა და რეკომენდაციებს, აგრეთვე იმ ტერმინოლოგიურ-ენობრივი თავისებურებებს, რაც დაკავშირებულია უცხოენოვანი (რუსული, ინგლისური...) ტერმინების ქართულად დაწერილობასა და გამოყენებასთან.

**EVGENI BARATASHVILI**  
**BADRI TSKHADADZE**

## **BOOKS ON TOURISM TERMINOLOGY AND LINGUISTIC PERSPECTIVE**

### Summary

The article discusses the existing terminological features in contemporary Georgian scientific and educational literature in the field of tourism, are given advice and recommendations and the methods of writing and using foreign (Russian, English) terms.

We suppose that the infrequent use of exact meaning of the dictionary-represented term and the ignorance of syllabuses should be considered as the main disadvantage of published literature.

### ლიტერატურა

1. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. IV. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებელი დაურთო თ. ყაუხჩი-შვილმა, თბ., 1980.
2. Urushadze A.V., The country of the enchantress media. Tbilisi State University Press, 1984.
3. ურუშაძე ა., ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში. 1. გამოკვლევა. 2. ბერძნული ტექსტები ქართული თარგმანითა და შენიშვნებით, პროფ. პ. ბერაძის რედაქციით. თბ., 1964.
4. მაისურაძე დ., ხუციშვილი თ., ვერბეცვი ი., ტურიზმი ძველი დროიდან დღემდე, თბ., 2009.

5. გუგუშვილი პ., სოციალურ-ეკონომიკური ტერმინოლოგიის უახლესი საკითხები. იხ. პ. გუგუშვილი, სოციოლოგიური ეტიუდები, II. თბ., 1971.
6. კვესელავა ი., ცხადაძე ბ., ცხადაძე ე., კვესელავა ქ., ზოგადტერმინოლოგიური ლექსიკონი (ეკონომიკა, ბიზნესი, მარკეტინგი, პოლიტიკა, სამართალი, მასობრივი კომუნიკაციები), პროფ. რ. მიშველაძის რედაქციით. თბ., 2012.
7. ამსტრონგი გ., კოტლერი ფ., მარკეტინგის საფუძვლები, მეშვიდე გამოცემა. ავტორიზებული თარგმანი ინგლისურენოვანი გამოცემიდან. 2005.
8. ბარათაშვილი ე., ცხადაძე ბ., ერთი უცხოენოვანი ნეოლოგიური მარკეტინგული ტერმინიდან (ინგლ. costomer) ნაწარმოები ზოგი სიტყვატერმინის მართებულად გამოყენებისათვის. საიუბილეო სამეცნიერო კონფერენცია. ეძღვნება ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის 80 წლისთავს. ქუთაისი, 2013 წლის 24-25 მაისი. იხ. შრომების კრებული).
9. მაისურაძე დ., ვერბეცკი ი., ხუციშვილი თ., ეკოლოგიური ტურიზმის საფუძვლები, თბ., 2008.
10. მაისურაძე დ., ვერბეცკი ი., ხუციშვილი თ., ეკოლოგიური ტურიზმის საფუძვლები, მეორე, გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, თბ., 2008.
11. მაისურაძე დ., ხუციშვილი თ., ხომერიკი გ., ვერბეცკი ი., ტურიზმის შესავალი, მეორე, გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, თბ., 2011.
12. აბესაძე ნ., ქინქლაძე რ., ჩიტალაძე ქ., ტურიზმის სტატისტიკა (ნაწილი I) სახელმძღვანელო, თბ., 2012.
13. ჩაგანავა პ., ტურიზმის პოლიტიკა, რ. ბერიძის რედაქციით, თბ., 2012.
15. ჯუმბერ ლეჟავას ჟურნალი „მოგზაური“ (პირველი ქართული შემეცნებითი ჟურნალი მოგზაურობის შესახებ), შემოდგომა, თბ., 2010.
16. ჯუმბერ ლეჟავას ჟურნალი „მოგზაური“, (პირველი ქართული შემეცნებითი ჟურნალი მოგზაურობის შესახებ), შემოდგომა, გაზაფხული, თბ., 2011.
17. ჯუმბერ ლეჟავას ჟურნალი „მოგზაური“ (პირველი ქართული შემეცნებითი ჟურნალი მოგზაურობის შესახებ), ზამთარი, თბ., 2011.
18. ჩარლზ რ. გელდნერი, ჯ. რ. ბრენტ რითჩი, ტურიზმი (საფუძვლები. პრაქტიკა, თეორია), მეთორმეტე გამოცემა. გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“. საქართველო, 2013.





## ნანული (ნანა) გუნია

### აღზრდისა და თვითაღზრდის როლის შესახებ პიროვნების განვითარებაში

პიროვნების განვითარება-ჩამოყალიბებისათვის გარემოსთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს აღზრდასა და თვითაღზრდას.

აღზრდა დაბადებიდანვე იწყება და იგი წამყვან როლს ასრულებს პიროვნების, როგორც უაღრესად სოციალური არსების განვითარება-ჩამოყალიბებაში. მაგალითად, ბავშვის ფიზიკური განვითარება მთლიანად და სავსებით იმაზეა დამოკიდებული, როგორ ვზრუნავთ დაბადებიდან მისი აღზრდისათვის. აქ იგულისხმება ცხოვრების სწორი რეჟიმი, კვება, ბუნებრივი პირობების გამოყენება და სხვ. ბავშვის ჯანმრთელობაზე ზრუნვა უზრუნველყოფს მის ფიზიკურ განვითარებას, რაც ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის ბავშვის შინაგანი ფსიქიკური და ინტელექტუალური ძალებისა და შესაძლებლობების გამოვლინება-განვითარებისათვის.

აღზრდის საფუძველზე გარემო უფრო ორგანიზებულსა და მიზანმიმართულ ხასიათს იღებს. აღზრდა არა მარტო აწესრიგებს გარემოს თავისი მაღალი მიზნებისა და ამოცანების შესატყვისად, არამედ ანგარიშს უწევს ბავშვის ბიოლოგიურსა და ფსიქოლოგიურ თავისებურებებსაც, რაც წარმატების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. აღზრდა მხოლოდ

მაშინ აღწევს დასახულ მიზანს, როდესაც იგი ახერხებს ბავშვის შინაგანი და გარეგანი ძალების გამოვლენა-განვითარებას, ინდივიდუალური და ასაკობრივი თავისებურებების გთვალისწინებას, სწორი მიმართულებით მათ წარმართვას. სწორად და გონივრულად ორგანიზებულ აღზრდას შეუძლია დაძლიოს უარყოფითი და არასასურველი პირობები, რომლებშიც აღსაზრდელს უხდება ცხოვრება.

აღზრდა ხელს უწყობს და უზრუნველყოფს პიროვნების განვითარებას არა მარტო სწავლებისა და განათლების გზით, არამედ იმითაც, რომ ხელსაყრელ პირობებს ქმნის ბავშვთა აქტივობის გამოვლინება-განვითარებისათვის, მათი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩაბმისათვის.

აღზრდის ამოცანების განხორციელებას ემსახურებიან როგორც სკოლამდელი, ისე სასკოლო და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებები, რომელთა მუშაობის შინაარსი და ფორმები უზრუნველყოფს იმას, რომ მოზარდი თაობის აღზრდას მიზანმიმართული, მიზანსწრაფული, გეგმაზომიერი და ორგანიზებული ხასიათი მიეცეს.

ორგანიზებული სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლეთა არა მარტო ცოდნა-ჩვევებით შეიარაღებას, არამედ მათში მსოფლმხედველობის, ზნეობრივი თვისებების, ესთეტიკური გრძნობებისა და მოთხოვნილებების ჩამოყალიბებას.

აღზრდა და პედაგოგიური ხელმძღვანელობა აწესრიგებს ბავშვის ურთიერთობას გარემოსთან, სოციალურ წრესთან, საზოგადოებასთან. ეს ურთიერთობა თანდათან ვითარდება და რთულდება ბავშვის ასაკის ზრდისა და მისი ფსიქიკურ-ინტელექტუალური განვითარების შესაბამისად. რამდენადაც სრულყოფილია მოზარდი პიროვნების გარემოსთან მრავალმხრივ ურთიერთობათა ორგანიზაცია, იმდენად უფრო წარმატებით ხორციელდება პიროვნების ყოველმხრივი განვითარება.

განვითარებასა და აღზრდას შორის არის ორგანული კავშირი, როცა განვითარება განპირობებულია აღზრდით, ხოლო აღზრდა-განვითარებით. ადამიანთა ინდივიდების ბუნებრივ მონაცემებსა და განვითარების მიღწეულ დონეზე დაყრდნობით აღზრდა ხელს უწყობს ცალკეულ ფსიქიკურ პროცესთა და ფუნქციათა მომწიფებას. თავის მხრივ, აღსაზრდელთა ფიზიკური განვითარება, მათი აღქმის, მეხსიერების, აზროვნების, გრძნობების, ნებისყოფის, შეგრძნებისა და სხვა უნართა განვითარება საშუალებას იძლევა აღზრდის წინაშე ახალი, გართულებული ამოცანები დაისვას. აღმზრდელი წარმატებით განახორციელებს აღზრდის ამოცანებს, თუ იგი ბავშვს განიხილავს არა მარტო როგორც პედაგოგიური ზემოქმედების ობიექტს, არა-

მედ აღზრდის სუბიექტსაც, რომელსაც თავისი ცხოვრება, ინდივიდუალური სამყარო, თავისი მისწრაფებები, ინტერესები, მოთხოვნილებები და გრძნობები აქვს.

აღზრდა მაშინ შეასრულებს თავის გადამწყვეტ როლს ბავშვის განვითარებაში, თუ აღმზრდელი ითვალისწინებს, რომ ბავშვის შესაძლებლობანი დამოკიდებულია არა მარტო ასაკობრივ, არამედ განვითარების ინდივიდუალურ თავისებურებებზე. ინდივიდის განვითარება ხორციელდება არა მარტო იმ კანონზომიერებათა მიხედვით, რაც ყველა ინდივიდისათვის საერთოა, არამედ იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რაც ერთმანეთისაგან ასხვავებს ცალკე ინდივიდებს.

ერთი პიროვნება თავისი განუმეორებელი თვისებით არ ჰგავს მეორეს. ცალკეულ ინდივიდთა სხვადასხვაობა ალამაზებს ცხოვრებას. ეს თავისებურებანი თავისთავად არ აღმოცენდება, არამედ იგი განვითარების შედეგია და განპირობებულია შინაგანი ან ბუნებრივი და გარეგანი ან სოციალური ფაქტორებით.

განვითარების საქმეში აღზრდასთან ერთად დიდ როლს ასრულებს თვითაღზრდა – ე.ი. ადამიანის სისტემური და შეგნებული მოქმედება, რომელიც მიმართულია თავისი დადებითი თვისებების სრულყოფისა და უარყოფით ჩვევათა და ხასიათის თვისებათა დაძლევისაკენ. თვითაღზრდის მიზანია განამტკიცოს ადამიანში კოლექტივისა და საზოგადოების წინაშე თავისი პირადი და საზოგადოებრივი მოვალეობების ძალდაუტანებლად შესრულების ჩვევები.

თვითაღზრდა მოითხოვს პიროვნებისაგან იმის უნარს, რომ თვით-

კრიტიკულად უყურებდეს თავის ქცევას, შრომას, სწავლას, ადამიანებთან ურთიერთობას, ჰქონდეს დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების, მისი შესრულების, წინააღმდეგობათა გადალახვის ნებისყოფა და უნარი. რაც უფრო მოზრდილია ბავშვი, იმდენად უფრო ადვილად ამჩნევს საკუთარ ნაკლს. ცხოვრების გამოცდილება, მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლება, განათლების ჰორიზონტის გაფართოება იწვევს თავისთავისადმი მოთხოვნების გაზრდას, პასუხისმგებლობის, საზოგადოებისადმი პატივისცემის გრძობის გაძლიერებას, რაც პიროვნებას აიძულებს თავისთავში შეიმუშავოს და განამტკიცოს ის თვისებები, რომლებიც მას ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი ადგილის მოპოვებაში, საზოგადოებრივი სიმპათიის დამსახურებაში. კარგად ორგანიზებულ აღმზრდელობით პროცესს შეუძლია გაააქტიუროს ბავშვის შინაგანი ძალები და იგი თანამოკავშირედ, აღზრდის სუბიექტად გადააქციოს.

თვითაღზრდის წარმატება აღზრდის სწორ პედაგოგიურ საწყისებზე ორგანიზაციაში მდგომარეობს. აღზრდის გზით ბავშვი ითვისებს იმ მოთხოვნებს, რაც სრულყოფილ, საზოგადოებრივად დადებით პიროვნებას წაეყენება. ამ ზოგად მოთხოვნებს ბავშვი თავისად მიიჩნევს და მას უჩნდება მისწრაფება სრულყოფისაკენ და რამდენადაც ეს მისწრაფება ძლიერია ბავშვში, იმდენად ადვილდება პედაგოგის მხრივ მისი აღზრდის პროცესის სწორი გზით წარმართვა.

აღზრდისა და თვითაღზრდის ურთიერთკავშირი ურთიერთგანპი-

რობებულობასა და დიალექტურ ერთიანობაში მდგომარეობს.

თვითაღზრდას უზრუნველყოფს აღმზრდელობითი პროცესიდან გამომდინარე ორი ჯგუფის წანამძღვრები. პირველი ჯგუფის წანამძღვრები უზრუნველყოფს მოსწავლეებზე გარეგან ზემოქმედებას, ხოლო მეორე ჯგუფი – შინაგანი განვითარების პირობებს.

„პირველთა რიცხვს განეკუთვნება: მოსწავლეთა თვითაღზრდის პროცესისადმი ხელმძღვანელობის ცოდნა პედაგოგის მიერ; ბავშვთა კოლექტივის განვითარების მაღალი სტადია, თვითაღზრდის ხერხების ორგანული ჩართვა მოსწავლის ცხოვრებასა და საქმიანობაში.

მეორე, ე.წ. შინაგანი წანამძღვრების, ჯგუფში შედის:

- მოსწავლეთა თვითშეგნებისა და თვითშემეცნების შედარებით მაღალი დონე;
- თავისი შინაგანი სამყაროსადმი ინტერესი;
- ზნეობრივი ნიმუშის – ორიენტირის დასახვა;
- მოსწავლის ნებელობითი სფეროს ნიმუშის განვითარებულობა“ [1. 256].

რაც უფრო დიდდება ბავშვის ასაკი, იმდენად მეტ ადგილს იკავებს მის ფორმირებაში თვითაღზრდა. უფროსი კლასის მოსწავლეებს უფრო მყარი მოთხოვნები და მისწრაფებები უჩნდებათ თვითგანვითარებისა და საკუთარი პიროვნული თვისებების სრულყოფისაკენ.

ამრიგად, თვითაღზრდა არის პიროვნების აქტიურობის გამოვლინების უმაღლესი ფორმა, როცა იგი საკუთარ თავს აქცევს აღმზრდელობითი ზემოქმედების სუბიექტად. ეს

კი იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა ადამიანს თავისი განვითარებით ძალა შესწევს თავისთავზე მაღლა დადგეს, გამოთიშოს სუბიექტური მიდრეკილებები და ობიექტურად შეაფასოს საკუთარი პიროვნების აღზრდილობის დონე, განვითარების ნაკლოვანებანი და სწორად იმოქმედოს ხარვეზების აღმოფხვრისათვის.

ადამიანის აქტივობას საფუძვლად უდევს რაიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილებისაკენ მისწრაფება. ესენია, უპირველეს ყოვლისა, მისი ორგანული მოთხოვნილებანი, რომლებიც მოქმედებენ მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე. ბავშვის განვითარების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს აღმზრდელის მხრივ ამ მოთხოვნილებათა გადალახვისათვის დახმარებას, ბავშვის აქტივობის მიზანმიმართულ წარმართვას. მასწავლებლის ამოცანაა, ისე წარმართოს ბავშვის მიერ წინააღმდეგობათა გადალახვის პროცესი, რომ მათ შეუქმნას დადებითი ემოციები, რათა წინააღმდეგობათა შედეგად მიღწეული წარმატებანი გადაიქცეს ახალი მოთხოვნილებების წარმოშობის წყაროდ და მათი გადალახვის სტიმულირების ფაქტორად.

ბავშვის ემოციური სამყარო თავისი სპეციფიკური შინაგანი წინააღმდეგობის საფუძველზე ვითარდება. ცნობილია, რომ თვით ემოციები ადამიანის ცხოვრებაში ურთიერთდაპირისპირებული სახით არსებობს. ერთმანეთს უპირისპირდება კმაყოფილება და უკმაყოფილება, დარწმუნებულობა და დაეჭვება, სიხარული და წყენა, სიცილი და ტირილი, მარცხი და წარმატება. ამ დაპირისპირებულობათა ერთიანობა და ბრძოლა გადამწყვეტ როლს ასრულებს

ემოციების განვითარებაში. ამ დაპირისპირებულთა ბრძოლის შედეგად იწრთობა და მტკიცე, ჩამოყალიბებულ სახეს იღებს ერთი სახის ემოციები მეორეს დაძლევის ხარჯზე. მაგალითად, თავის შეხედულებათა ჭეშმარიტებაში დარწმუნება ხდება დაეჭვების შედეგად, რომელიც უბიძგებს შემოწმებისა და დასაბუთებისაკენ; გამბედაობისა – შიშის დაძლევის შედეგად; საკუთარი ღირსების გრძნობა – თავისი ცუდი ქცევის გამო სირცხვილის გრძნობის განცდის შედეგად და ა.შ.

ადამიანური გრძნობების ამ დიალექტიკური ბუნების გათვალისწინებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბავშვებში საკუთარი თავის ღირსების გრძნობის, თავის ძალებში დარწმუნებულობის, პასუხისმგებლობის, გამბედაობის, ვაჟკაცობისა და ხასიათის სხვა დადებითი თვისებების განვითარებისათვის.

აქტიურობა ეს არის ადამიანის ურთიერთობა ბუნებასთან, რეაგირება გარეგამდობიანებელზე, ზემოქმედება სამყაროზე თავისი მოთხოვნილებების, მიზნებისა და იდეალების შესაბამისად გარდაქმნის მიზნით. აქტიურობა შეიძლება გამოიხატოს თამაშით, სწავლით, შრომით, სხვადასხვა სახის შემოქმედებითი საქმიანობით და ა.შ.

ყოველდღიური აქტიურობისა და საქმიანობის დროს მოძრაობაში მოდის ადამიანის ძალები, ამ გზით იგი იძენს ცოდნასა და გამოცდილებას. აქტიურობის პროცესში მოზარდი ადამიანი უფრო ღრმად და ფართოდ ეცნობა მის ირგვლივ მყოფ გარემოს, საგნებსა და მოვლენებს,

პედაგოგიური თვალსაზრისით სწორად და რაციონალურად ორგანი-

ზებული ყოველი სასწავლო-აღმზრდელობითი გარემო (პედაგოგიური პროცესი) ხელს უწყობს ბავშვის ფსიქიკური, ფიზიკური და ინტელექტუალური ძალების განვითარებას, ამ განვითარების შესაბამისად იცვლება არა მარტო ბავშვის ქცევის ანუ აქტივობის ფორმები, მისი ხასიათი, შინა-

არსი და შესრულების ხერხები, არამედ თვით ბავშვის დამოკიდებულება საქმიანობის სხვადასხვა სახისადმი.

ამრიგად, ადამიანის ქცევა, საქმიანობა, აქტივობა მისი განვითარების საფუძველთა საფუძველია.

### ლიტერატურა

1. Теория и методика. ком. воспитание в школе, «Процветание», М., 1974.
2. რუბინშტეინი ს. ლ. ფსიქოლოგიის განვითარების პრინციპები და გზები. (რუსულ ენაზე), 1969.
3. უზნაძე დ., შრომები, ტ. 5, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1967.
4. Виготский Л. С., Избранные психологические исследования., М., 1966.
5. უშინსკი ვ. დ., თხზულებანი, ტ. 1. (რუსულ ენაზე).
6. უზნაძე დ., ადამიანის ქცევის ფორმები, თსუ შრომები, XVII, 1941.







## **ნინო გომართელი**

## **თამარ ხოხობაშვილი**

### **საქართველოს ევროპული პერსპექტივები და ევროპის სამეზობლო პოლიტიკა**

წარმოდგენილი სტატიის მიზანია განვსაზღვროთ და მეცნიერულად დავასაბუთოთ ევროპულ ფასეულობებზე საქართველოს ორიენტაციისა და დასავლეთის სახელმწიფოთა თანამეგობრობაში ჩვენი ქვეყნის დამკვიდრების ისტორიული აუცილებლობა, გამოვკვეთოთ ევროატლანტიკური სტრუქტურებისაკენ ქართველი ხალხის სწრაფვის კანონზომიერება და ისტორიული გარდუვალობა, წარმოვაჩინოთ ქართველი ხალხის მიერ ტრადიციულად განსაზღვრული ევროპული ორიენტაციის პოლიტიკური მიზეზები და გავარკვიოთ ოდითგანვე რა აერთიანებდა საქართველოს ევროპასთან; საჭიროა გავაანალიზოთ, როგორ აისახება და რა გავლენას ახდენს პროგრესული ევროპული ზოგადსაკაცობრიო იდეები ქართველი ხალხის ცნობიერებაზე, აზროვნებასა და თვითშეგნებაზე, რაც თავის მხრივ, კიდევ განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის შემდგომ პოლიტიკურ ცხოვრებას, საზოგადოებრივ-ეკონომიკურ და კულტურული განვითარების სამომავლო კურსს.

საერთაშორისო თანამეგობრობის სისტემაში სრული ინტეგრაცია სახელმწიფოებრიობის არსებობის უმნიშვნელოვანესი პირობაა. დღეს საქართველოსათვის შექმნილია დასავლურ სამყაროსთან დაბრუნების

ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარება, მასთან პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, თუ კულტურული ინტეგრაციის რეალური ისტორიული შესაძლებლობა.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის მშენებლობის პროცესში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ევროპულ თანამეგობრობაში საკუთარი ადგილის განსაზღვრის ამოცანას.

ქართველი ხალხის სწრაფვამ ევროატლანტიკური სტრუქტურებისაკენ კიდევ უფრო აქტუალური გახადა ჩვენი ქვეყნის წარსულის ახლებურად გააზრება, ჩვენი ტრადიციული ორიენტაციის ძირითადი მიზეზების ახსნა, იმის გარკვევა, თუ რა აერთიანებს საქართველოს ევროპასთან და როგორ აისახება ევროპული იდეები ქართველი ხალხის აზროვნებასა და ქვეყნის შემდგომ განვითარებაზე.

საქართველოს რთული გეოპოლიტიკური მდგომარეობისა და არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი აქტიური და ეფექტური დიპლომატიაა. დღეს ქართული დიპლომატია მრავალი ამოცანის წინაშე დგას. თუმცა, ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების მთა-

ვარი ორიენტირია, რომელიც ჩვენი საზოგადოების თავისუფალი, ერთსულოვანი და ურყევი არჩევანია.

ჩვენი ქვეყანა განაგრძობს ევროკავშირთან აქტიურ თანამშრომლობას, საქართველოში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ხელშეწყობის, კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირების პროცესში ევროკავშირის როლის შემდგომი გაძლიერების მიმართულებით [5. 12].

საქართველოს ხელისუფლება ცდილობს უზრუნველყოს ევროინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებული რეფორმების მდგრადობა, შეუქცევადობა და განგრძობითობა ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირებისა და თანმიმდევრული ეკონომიკური ინტეგრაციის მიზნით.

2014 წლის ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერით დაიწყო ევროკავშირთან ურთიერთობის ახალი და მნიშვნელოვანი პროცესი. ევროინტეგრაცია საქართველოს შიდა პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტია. ასოცირების შეთანხმება ქვეყნის ევროპეიზაციის გეგმას წარმოადგენს [6. 66]. ასოცირების შეთანხმებას საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები თანამშრომლობის ახალ ეტაპზე გადაჰყავს. შეთანხმება ქმნის მნიშვნელოვან ეკონომიკურ შესაძლებლობებს და ხელს უწყობს საქართველოში შემდგომ პოლიტიკურ, სოციალურ და ინსტიტუციურ ტრანსფორმაციას ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების მიზნით. ვიმედოვნებთ, რომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების განხორციელება საქართველოს პოლიტიკურ დაახლოებასა და ეკონომიკურ ინტეგრაციას უზრუნველყოფს, რაც გაზრდის მხარეებს შორის პოლიტიკურ და ეკონომიკურ კავში-

რებს. მიგვაჩნია, რომ ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმება მნიშვნელოვნად გააღრმავებს ეკონომიკურ ურთიერთობებს, ხელს შეუწყობს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, ეკონომიკურ ზრდასა და ევროკავშირის ეკონომიკურ სივრცეში საქართველოს ინტეგრაციას.

ჩვენი ქვეყნის დასავლეთისკენ სწრაფვა ევროპულ ფასეულობებზე დაფუძნებულ, მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამის პროგრესთან ასოცირდება. ევროკავშირთან პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესის გაღრმავების საწინდარს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ღონისძიებების ეფექტურად განხორციელება და ევროპული სტანდარტების ეტაპობრივი დანერგვა წარმოადგენს. ევროინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობი რეფორმების საბოლოო მიზანიც სტაბილური და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაა. ასოცირების შეთანხმება მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტს და იგი ქვეყნის მიღწევად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს მოდერნიზაციისა და რეფორმების განხორციელების თვალსაზრისით. შეთანხმება გააღრმავებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებს და უზრუნველყოფს ქვეყნის ევროკავშირის შიდა ბაზარზე ეტაპობრივ ინტეგრაციას [1. 23].

რუსეთის მხრიდან წინააღმდეგობის, პროვოკაციების, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მცოცავი ანექსიის და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მიმდინარე პროცე-

სების მიუხედავად, ევროკავშირის მხრიდან საქართველოსთან ასოციაციის შეთანხმების ხელმოწერა ცხადყოფს, რომ ევროკავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩვენს ქვეყანას როგორც პოლიტიკურ, ასევე უსაფრთხოების თვალსაზრისით. საქართველო აძლიერებს თავდაცვისუნარიანობას და იბრძვის თავისი მოკავშირეების გვერდით ნატოსა და ევროკავშირიდან [2. 31]. ამავე დროს, საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ევროკავშირში შემდგომ ინტეგრაციას განიხილავს როგორც რეგიონში გრძელვადიანი მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარების საშუალებას. ასოციაციის შეთანხმება განამტკიცებს საქართველოს წარმატებულ სტატუსს „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ქვეყნებს შორის. შეთანხმების ფარგლებში ქვეყნის მიერ აღებული ვალდებულებები კიდევ უფრო გააღრმავებს მიმდინარე რეფორმებს. შეთანხმების ხელმოწერა მკაფიო გზავნილია რეგიონის დანარჩენი ქვეყნებისათვის, რამეთუ საგარეო ზეწოლის მიუხედავად, ევროკავშირი სათანადოდ აფასებს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების კუთხით მიღწეულ პროგრესს.

საქართველოს მოსახლეობისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია მოქალაქეთა თავისუფალი გადაადგილების კუთხით მიღწეული პროგრესი. საქართველომ წარმატებით დაასრულა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელება, რაც უახლოეს პერიოდში გარკვეული პროცედურების დასრულების შემდეგ, საქართველოს მოქალაქეებს ევროკავშირის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის შესაძლებლობას მისცემს. ჩვენი ქვეყნის რეალური ინტეგრაცია შეუძლებელია

ბელია ხალხთა შორის კონტაქტის, კულტურული და სამეცნიერო თანამშრომლობის გარეშე. ევროკავშირთა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პერსპექტივა განისაზღვრა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივის საფუძველზე და საქართველოს მოქალაქეებისთვის ერთ-ერთი ყველაზე ხელშესახები კონკრეტული სარგებელი გახდება ევროინტეგრაციის პროცესში [4. 52-53].

ევროკავშირი შექმნის დღიდან განიხილავს საკითხს იმის თაობაზე, თუ რომელი უფრო პრიორიტეტულია გაერთიანებისათვის – კავშირის გაფართოება ახალი წევრებით თუ არსებულ წევრ სახელმწიფოებს შორის ინტეგრაციის გაღრმავება. შეჯერებული გადაწყვეტილება გაერთიანების საბოლოო საზღვრების შესახებ ჯერ კიდევ არ არის მიღწეული.

ცნობილი ბრიტანელი დიპლომატი, საერთაშორისო ურთიერთობების მიმომხილველი და ანალიტიკოსი ფრეიზერ კამერონი აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები მრავალი წლის მანძილზე აცხადებდნენ, რომ ევროინტეგრაციის პროცესის წარმატებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია ევროკავშირის მხრიდან გაერთიანებაში მათი გაწევრიანების პერსპექტივის თაობაზე მინიშნების გაკეთება, თუმცა „დიდი გაფართოებით“ გამოწვეული გართულებების გამო ევროკავშირმა ვერ შეძლო მსგავსი შეთავაზების გაკეთება [5. 36]. ლისაბონის ხელშეკრულებაში ნათქვამია: „ნებისმიერ ევროპულ სახელმწიფოს აქვს უფლება გახდეს ევროკავშირის წევრი“.

საქართველო ვალდებულია მეტი ძალისხმევით გააგრძელოს იმ პოლიტიკურ-ეკონომიკური რეფორმების განხორციელება, რომლებიც უზ-

რუნველყოფს ევროპულ ოჯახში ჩვენი ქვეყნის სრულფასოვან ინტეგრირებას.

დასავლური ორიენტაცია და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებთან ინტეგრაცია არის ძირითადი საგარეო პოლიტიკური მიმართულება და ქვეყნის სუვერენიტეტის უსაფრთხოების მთავარი გარანტი. დღეს, როდესაც უკვე შექმნილია და განმტკიცებულია ქართული სახელმწიფო,

ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას ახალი ისტორიული ამოცანა: საქართველომ უნდა დაიმკვიდროს თავისი საკუთარი ღირსეული ადგილი მსოფლიოს ქვეყანათა თანამეგობრობაში, განვითარებულ მსოფლიოსთან კულტურული თანამშრომლობისა და ეფექტური ინტეგრაციის გზით და ეროვნულ ნიადაგზე დაყრდნობით დაამკვიდროს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებანი.

**NINO GOMARTELI**  
**TAMAR KHOKHOBASHVILI**

## **GEORGIA'S EUROPEAN PERSPECTIVES AND EUROPEAN NEIGHBORHOOD POLICY**

### **Summary**

An effective and proactive diplomacy in one of the most important tools to protect Georgia's national interests – particularly when one considers the complex nature of the current geopolitical realities and challenges Georgia is facing. Today, the Georgia diplomacy pursues many objectives, of which the firm, unanimous and unwavering choice of our citizens – European and Euro-Atlantic integration – is a key ensuring Georgia political and economic development.

By signing the Associations Agreements Georgia made a historical step forward this upgrading its relations with the European Union to a qualitatively new level. With the provisional application of the Association Agreement from September 2014, the European integration became an integral part of the country's domestic policy.

### **ლიტერატურა**

1. ალადაშვილი ბ., სამხრეთ კავკასია გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინზე. ეკონომიკური ინტეგრაცია თუ ომი. თბ., 2010.
2. ბუცხრიკიძე ა., გეოპოლიტიკა და სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების პრობლემები. თბ., 2008.
3. არტი ჯერვისი, საერთაშორისო პოლიტიკა – მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები. თბ., 2011.
4. ევროკავშირის ერთიანი საგარეო პოლიტიკა – რეალური პერსპექტივა? <http://www.tabula.ge/article-2326.html>
5. საქართველოს ევროპული გზა. 4/04/2015.
6. საქართველოს ევროპული გზა. 5/2014.



## მარიამ ანდღულაძე

### „სიკვდილის მანქანა“ – „მადამ გილიოტინი“

ჯოზეფ იგნას გილიოტინი დაიბადა 1738 წლის 28 მაისს პროვინციულ ქალაქ სენტში, წარუმატებელი ადვოკატის ოჯახში. გილიოტინმა მშობლები იეზუიტ მამათა სკოლაში სწავლაზე დაითანხმა, მაგრამ მალე უარი განაცხადა მღვდლის საპატიო მისიაზე და ჩააბარა პარიზის სამედიცინო უნივერსიტეტში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1768 წელს. გადმოცემის თანახმად, ახალგაზრდა ექიმი მომცრო ტანის, დახვეწილი მანერების მქონე, და საოცრად მჭევრმეტყველი იყო. ცოტა ხანში, გილიოტინს საფრანგეთის „ყველაზე რადიკალურ ექიმს უწოდებდნენ“. პარიზის სამეფო კარზე გამართულ ერთ-ერთ მეჯლისზე უცხოქვეყნელმა ჯადოქარმა გილიოტინს უწინასწარმეტყველა: „თქვენი მეცნიერება და თქვენი გამოთვლები ყველას დაღუპავს, მათ შორის აქ დამსწრე საზოგადოებას სამეფო გვარის ჩათვლით...მათი სულები შეგაჩვენებენ, მე ყოველივეს ნათლად ვხედავ...“

იმ დროის საფრანგეთი თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობის იდეით იყო გაჟღენთილი. ამასთან, გილიოტინის ცხოვრებაში მოხდა ერთი შემთხვევა – იგი წარმოდგენილია მასონურ ლიგაში „ათი და“, რომლის წევრებიც იყვნენ ვოლტერი, ბენჟამინ ფრანკლინი და სხვ. მასონე-



ბის მრწამსი წარსულთან ყველანაირი კავშირის გაწყვეტა, არასრულყოფილი აწმყოს განადგურება, ახალი, სამართლიანი და გონიერი საზოგადოების დაარსება იყო. 1789 წელს გილიოტინი მასონური „დამფუძნებელი კრების“ დეპუტატად აირჩიეს, 1791 წლის ოქტომბრიდან კი იგი მდივნის მოვალეობის შემსრულებელი გახდა.

1789 წლის 14 ივლისს დაეცა ბასტილია, აგვისტოში მიიღეს „ადამიანისა და მოქალაქეთა უფლებების დეკლარაცია“, მაგრამ მეფე დეკლარაციაზე ხელის მოწერას არ აპირებდა, რის გამოც კრებამ მონარქი სასტიკად გააკრიტიკა.



ჟოზეფი აღმერთებდა ლუი XVI. მას მიაჩნდა, რომ მეფის ხელისუფლება უკანონოა, მაგრამ საფრანგეთის მეფე-დედოფალი სამართლიანი ადამიანები არიან და საჭიროა მათთვის სიცოცხლის გაწირვა.

გილიოტინი რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში კაბინეტში თავაუღებლივ მუშაობდა, გაუთავებლად რაღაცას ხაზავდა და წერდა. 1789 წლის ოქტომბერში „დამფუძნებელი კრების“ წევრები დიდხანს ხმაურობდნენ, დაშლას არ აპირებდნენ, კრებაზე განსახილველად წარდგენილი კანონი ეხებოდა საფრანგეთში სიკვდილით დასჯას. გილიოტინი დამფუძნებლების წინაშე შთაგონებული სახით ასაბუთებდა, რომ ქვეყანაში სიკვდილით დასჯაც დემოკრატიული გზით უნდა მომხდარიყო, თუ მანამდე სიკვდილით დასჯა იერარქიაზე იყო დამოკიდებული, უბრალო ხალხისგან გამოსულ დამნაშავეებს სახრჩობელაზე კიდებდნენ, წვავდნენ ან ანაკუწებდნენ, ხოლო დიდგვაროვნებს პატივს დებდნენ და მათ თავს

კვეთდნენ, გილიოტინმა გადაწყვიტა, ყოველივე ეს ძირფესვიანად შეეცვალა. 1789 წლის 10 ოქტომბერს, საფრანგეთის კონვენტის წევრმა, ექიმმა გილიოტინმა კონვენტში შეიტანა კანონპროექტი სიკვდილით დასჯის „ჰუმანური“ მეთოდის – თავის მოკვეთის – დანერგვისა და ამ მიზნით ხსენებული მოწყობილობის გამოყენების თაობაზე. სახალხო კრებამ (კონვენტმა) დიდი ენთუზიაზმითა და ხმათა დიდი უმრავლესობით მიიღო „ჰუმანისტი“ ექიმის წინადადება. მან განაცხადა, რომ ამის თაობაზე იგი უკვე ესაუბრა მუსიე შარლ სანსონს. შარლა ანრი სანსონი, პარიზის შთამომავლობითი ჯალათი იყო. სანსონების ოჯახი ამ „თანამდებობაზე“ მონოპოლიას 1688 წლიდან 1847 წლამდე ინარჩუნებდა. თანამდებობა გვარში მამიდან შვილზე გადადიოდა. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახში გოგონა დაიბადებოდა, ჯალათი მისი მომავალი მეუღლე უნდა გამხდარიყო. ეს სამუშაო ძალიან მაღალანაზღაურებადი იყო და დიდ ოსტატობას მოითხოვდა, ამიტომაც თავის „ხელოვნებას“ ჯალათი შვილს თოთხმეტი წლის ასაკიდან ასწავლიდა. გილიოტინმა განაცხადა, რომ მას შეეძლო საშინელი პრობლემის კარდინალურად შეცვლა. მან დამსწრე საზოგადოებას აცნობა, რომ შეიმუშავა ახალი მექანიზმის ნახაზი, რომელსაც შეუძლია მსჯავრდებულის თავი ერთ წამში უმტკივნეულოდ მოაცილოს სხეულს. 1792 წლის გაზაფხულზე გილიოტინი ექიმ ანტუან ლუისა და შარლ სანსონთან ერთად ვერსალში მეფე ეახლა, რათა განეხილათ სიკვდილით დასჯის იარაღის გამზადებული პროექტი. ლუი XVI გამოგონება დაამტკიცა.

იმავე 1792 წლის აპრილში გრევის მოედანზე „სიკვდილის მანქანის“ პირველი ნიმუში დააყენეს, რომლის გარშემო უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი, ვიღაცამ დანადგარს „მადამ გილიოტინი“ უწოდა. გარდა ამისა, მას სარკაზმით „მართლმსაჯულების ავეჯადაც“ მოიხსენიებდნენ. გამოგონება ჯერ ცხოველებზე, შემდეგ გვა-



მებზე გამოსცადეს, აღმოჩნდა, რომ დანადგარი უნაკლოდ მუშაობდა, მისი საერთო წონა 579 კილოგრამი იყო, ნაჯახი კი 39,9 კილოგრამს იწონიდა, თავის მოკვეთა რამდენიმე წამში ისე ცდებოდა, რომ ეჭვიც არ იყო – მსხვერპლი არ იტანჯებოდა. ექიმს ეცოდებოდა ჯალათი სანსონი, სასიკვდილო მანქანის გამოგონების შემდეგ იგი კარგავდა სამსახურს, რადგან გილიოტინის მექანიზმის ამუშავება ყველას შეეძლო. პარიზში გილიოტინის გამოსახულებიან გულსაბნევებსა და საფოსტო მარკებს აწარმოებდნენ. ექიმი ჯოზეფ იგნას გილიოტინი ელიტურ ადამიანად იქცა, მის გამოგონებაზე ყველგან საუბრობდნენ, იწონებდნენ. დედაქალაქის კულინარები სადღესასწაულო მაგიდის გასაფორმებლად სიკვდილის პატარა მანქანებს აცხობდნენ. პარიზის უკანასკნელი მოდის სუნამო „პარფიუმ დე გილიოტინი“ გახდა. პირველი ფაქტი თავის მოკვეთისა, დაფიქსირ-

და 1792 წლის 25 აპრილს პარიზში მდებარე გრევის მოედანზე (თანამედროვე ოტელ-დევილის მოედანზე). იმ დღეს, პირველად ისტორიაში „გილიოტინის“ საშუალებით თავი მოჰკვეთეს ნიკოლას პელეტის. მას შემდეგ, ამ საშინელი სიკვდილის მანქანით ასეულობით ადამიანის სიკვდილით დასჯა განხორციელდა.

რევოლუცია საფრანგეთში ნელ-ნელა ძალებს იკრებდა. 1791 წლის 10 აგვისტოს ხალხის ბრბო მეფის სასახლეში შეიჭრა. მონარქი ოჯახთან ერთად გაიქცა... მალე ლუი XVI ტახტიდან ჩამოაგდეს და ქვეყანაში რესპუბლიკა გამოაცხადეს. ექიმი გილიოტინი ქვეყანაში საშინელება რომ ტრიალებდა. პირველად მამინ მიხვდა, როდესაც „სამშობლოს მოღალატე“ მეფეს სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანეს, რითაც მათივე შემუშავებული კონსტიტუცია დაარღვიეს, რომლის თანახმად მონარქი ხელშეუხებელი იყო.

1793 წლის 21 იანვარს, როდესაც ჟოზეფ გილიოტინი სპექტაკლში „საფრანგეთის მეფის „მადამ გილიოტინიდან ჩამოსვლა“ მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეს, ჟოზეფმა გრძნობა დაკარგა. გონმოსულმა კი შეიტყო, რომ იაკობინელთა მოთხოვნით, გრევის მოედნიდან მისი გამოგონებული მანქანა, მეფის სასახლის ფანჯარასთან უნდა გადაეტანათ, რომელსაც მომავალში რევოლუციის მოედანი დაერქმეოდა. ამბობენ, რომ ღამეს, როდესაც მეფე სიკვდილით დასაჯეს, გილიოტინმა ღვთისმშობლის ხატთან დილამდე მუხლმოდრეკილმა ილოცა. მეფე იყო ერთადერთი, რომელსაც მიანიჭეს ორი პრივილეგიამას შეეძლო სიკვდილით დასჯაზე საკუთარი ეტლითა და ეკიპაჟით მი-

სულიყო და თან მღვდელიც ხლებოდა. მეფის სიკვდილით დასჯის შემდეგ საფრანგეთში „არნახული სისხლიანი კარნავალი“ გაიმართა. მალე ექიმმა შეიტყო, რომ დედოფალი მარია ანტუანეტაც სიკვდილით უნდა დაესაჯათ, ჟოზეფი დამუნჯდა, იგი ყოველთვის ეთაყვანებოდა მას და დაფარულად უყვარდა კიდეც. ექიმი მთავარი გილიოტინის გაფუჭებით დედოფლის გადარჩენას შეეცადა, მაგრამ ჯალათმა სანსონმა, რომელიც თავის მოვალეობას კვლავ განაგრძობდა დახმარებაზე უარი განუცხადა, ვერც დამხმარე პირთა მოსყიდვა გახდა შესაძლებელი. დედოფლის შემდეგ სიკვდილით დასაჯეს ჰერცოგი ორლენელი, გრაფი ლაროკი და სხვ. ექიმი საშინლად იტანჯებოდა, ყოველი მათგანის სიკვდილში თავს დამნაშავედ გრძნობდა. ჯადოქრის ბოროტი წინასწარმეტყველება ახდა, ჟოზეფს ყოველი დამე დასჯილთა მოკვეთილი თავები ესიზმრებოდა. მას სურდა, საჯაროდ დაეგმო „სიკვდილის მანქანა“, რაც აღსასრულს გაუადვილებდა, მაგრამ რობერსპიერის სიკვდილით დასჯის შემდეგ იგი ციხიდან გამოუშვეს. ექიმმა ღრმა პროვინციას შეაფარა თავი და სიცოცხლის ბოლომდე ცოდვებს ინანიებდა. გარდაიცვალა 1814 წელს. მისი „საჩუქარი“ კაცობრიობას კიდეც დიდხანს ემსახურებოდა. შემდეგ გამოთვალეს, რომ საფრანგეთის რევოლუციის დროს 15 ათასზე მეტი ადამიანი დასაჯეს გილიოტინაზე, უკანასკნელი გაიმართა მარსელში 1877 წელს. შოტლანდიასა და ირლან-

დიაში 1564 წლიდან 1708 წლამდე ოფიციალური მონაცემების თანახმად 150 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. 1889 წლის 24 აგვისტოს, ჯოზეფ ნილი გილიოტინის საშუალებით სიკვდილით იქნა დასჯილი. ამ შემთხვევაში ჯოზეფ ნილი ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტის ისტო-



რიაში გახდა პირველი და ერთადერთი ადამიანი, რომელიც გილიოტინით იქნა დასჯილი.

1981 წელს ფრანსუა მიტერანმა ოფიციალურად გააუქმა სიკვდილით დასჯა და გილიოტინამ მუზეუმში გადაინაცვლა. უცნაურია, მაგრამ ეს საზარელი მოწყობილობა არაერთი ოხუნჯობის თემაც გამხდარა. მათგან ყველაზე გავრცელებულია გამონათქვამი: „გილიოტინა – თავის ტკივილის საუკეთესო წამალი“.



## MARIAM ANDGULADZE

### Summary

Dr. Joseph-Ignace Guillotin (28 May 1738 – 26 March 1814) was a French physician and freemason who proposed on 10 October 1789 the use of a device to carry out death penalties in France, as a less painful method of execution. While he did not invent the guillotine, and in fact opposed the death penalty, his name became an eponym for it. The actual inventor of the prototype was Antoine Louis. He was summoned by the French parliament to give an account of his opinions, which served to increase his popularity and on 2 May 1789 he became one of 10 Paris deputies in the Estates-General of 1789, and was secretary to the body from June 1789 to October 1791. As a member of the assembly Guillotin mainly directed his attention towards medical reform, and it was on 10 October 1789, during a debate on capital punishment, that he proposed that "the criminal shall be decapitated; this will be done solely by means of a simple mechanism." Guillotin was opposed to the death penalty and hoped that a more humane and less painful method of execution would be the first step toward a total abolition of the death penalty. He also hoped that fewer families and children would witness executions, and vowed to make them more private and individualized. The first machine was erected in Paris the following year and the first person executed by it was a convicted highwayman. From 1793 the guillotine claimed numerous victims, most famously Louis XVI, Charlotte Corday, Marie Antoinette, Georges Danton and Maximilien Robespierre. Guillotin had wanted executions to be held privately, but that was contrary to all tradition and crowds gathered to watch them, including the tricoteuses, the women who knitted busily while the heads rolled. When Guillotin died in 1814 at the age of 75 his family was so embarrassed by the guillotine connection that they asked the French government to change the machine's name. The government refused, so they changed their family name instead. The last person executed by guillotine in France was a murderer in 1977 and the death penalty was abolished in France in 1982. The guillotine had meanwhile continued in use elsewhere in Europe.

### ლიტერატურა

1. <http://intermedia.ge/>
2. <https://ka.wikipedia.org/wiki/>
3. <http://genia.ge/?p=17397>
4. <http://genia.ge/?p=25605>
5. [http://www.resonancedaily.com/index.php?id\\_rub=11&id\\_artc=13316](http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=11&id_artc=13316)
6. <https://en.wikipedia.org/wiki/Guillotine>
7. [https://simple.wikipedia.org/wiki/Guillotine#Joseph\\_Guillotin](https://simple.wikipedia.org/wiki/Guillotine#Joseph_Guillotin)
8. <http://www.historytoday.com/richard-cavendish/death-joseph-ignace-guillotin>



## ❖ ბადრი ცხადაძე

### ბატონი ბიძინა ივანიშვილის ე.წ. ერთი „იალიშის“ შესახებ

ცად მლადდებელი კაკაფონია მთელ საქართველოში ჯერ კიდევ არ ჩამცხრალა. მავანნი და მავანნი კვლავ ბატონ ბიძინა ივანიშვილს უტევენ. მისი მისამართით იქმნება არაერთი ე. წ. „ქლაბშოუები“, სპეცილიაზებული სატირულ-იუმორისტური „საღამური“ თოქ-შოუები. ლამის მთელი საქართველო თუ არა, ნახევარი მაინც ბატონ ბიძინას დასცინის. იქმნება ახალ-ახალი ნეოლოგიზმები, ტერმინები.

დრო გადის, არადა ეს „შედღუხი“, არ მთავრდება. ლამის ქვეყნის მასშტაბით ნაციონალური ოპოზიცია თავს იწონებს ამ აზრაკადაბრით.

იყო დრო, როდესაც ბატონი ბიძინა საზოგადოებისათვის სრულიად გაუცხოებული და შეუმჩნეველი იყო. ნაღები საზოგადოების აბსოლუტურმა უმრავლესობამ მისი არათუ სახე, სახის ფერიც კი არ იცოდა. თუ წინა 2012 წლის არჩევნებში, „ქვეყნის პოლიტიკურ ძროხაში“ ვინმეს წვლილი მიუძღვოდა, ეს ქართველი ხალხი და ბატონი ბიძინა იყო. ამას დღეს ყველა აღიარებს, მისი უარყოფა შეუძლებელია.

და მაინც რა იყო ეს ახალი „გაპოლიტიკოსებული“ სიტყვა, რომლის ხილვით და სმენადობით მთელი საქართველო ყალყზე შედგა. ნეტავ, ისეთი რა ცოდვა დაიდო ბატონმა ბიძინამ, რომელსაც გულიდან

წამოსროლილი ფრაზა არც კი უღიარებია, რა მოხდა, მოუვიდა თუ არა მას რაიმე შეცდომა? ალბათ, ყველას გახსოვთ ბატონი ბიძინას შემართული ქართული: „ნუთუ ჟურნალისტებმა ეს ტერმინი მიჭირხვნა არ უნდა იცოდეთ, არ გრცხვენიათო?“

ამ სიტყვის გაჩენისთანავე ჩემი კოლეგები, როგორც ენათმეცნიერს, ქართული ენის სპეციალისტს, მეკითხებოდნენ: – რას ნიშნავს ეს სიტყვა იმერულადო. დიახ, მათ ეს სიტყვა ქართული ენის იმერული დიალექტის კუთვნილება ეგონათ, მაგრამ როგორც შევისწავლე, ეს ნეოლოგიზმი იმერული წარმომავლობის არ აღმოჩნდა. მაშინ კოლეგებისადმი ჩემი მყისიერი პასუხი ასეთი იყო. მიჭირხვნა ანუ მიჯირყვნა ვინმეს მიერ კუთხეში მიმწყვდევას, ცემატყეპას უნდა ნიშნავდეს – მეთქი.

ჩემი სპეციალობის გადამკიდე, ძნელია გარკვევა, ზოგჯერ რა სპეციალობის ვარ. ასე დამემართა 5 წლის წინ: როდესაც ჩემთვის სრულიად მოულოდნელად გავხდი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, გამომცემლობა „ტექნიური უნივერსიტეტის“ მთავარი სპეციალისტი. რა სიტყვამ და ტერმინმა არ გამოიარა ჩემ ხელთ. ლექსიკონებმა, მონოგრაფიებმა, სახელმძღვანელოებმა, ნაირგვარი პრაქტიკული სამუშაოების კრებულებმა და სხვ.

ჩემ მიერ წაკითხულმა 70-ზე მეტმა მონოგრაფიამ და სამეცნიერო ნაშრომმა დამარწმუნა, რომ ბიძინა ივანიშვილისეული სიტყვა არა თუ იმერული, არამედ ქართული სამშენებლო ტერმინოლოგის ძირძველი ლექსემა ყოფილა.

პირველად მისი რამდენიმეგზისი ხმარება ცნობილი მეგაზე-მენავთობის ბატონ გურამ ვარშალომძის მონოგრაფიაში შევნიშნე [1].

„ეს აგრეგატი აღჭურვილია სპეციალური კამერით, რომელშიც ჩაიჭირხნება ΦCM-ში წარმოქმნილი სუსპერზია“.[1 გვ. 132];

ფორმულაში (P1) წნევის დანაკარგებია საბურღ და დამძიმებულ საბურღ მილებში, წამყვან მილში, ჩობალში, შლანგსა და ზედაპირულ დამჭირხნ ხაზში“; დასახ. ნარ. იქვე, გვ. 237. „წნევის დანაკარგები დამჭირხნ შლანგსა და ზედაპირულ დამჭირხნ არხში განისაზღვრება“ [იქვე, გვ. 250].

„ჰაერის დიდი რაოდენობით მოთხოვნილი ხარჯის დროს შეიძლება დამჭირხნ ხაზებთან პარალელურად ჩაერთოს მცირე მიწოდების რამდენიმე კომპრესორი“ [იქვე, გვ. 253];

„საბურღ მილებში ჩაჭირხნული ტ1 ტემპერატურა.... პირობითად მუდმივი ტემპერატურაა“ [იქვე, გვ. 281];

იგივე სიტყვა მეორედ შეგვხვდა აკად. ნ. ბაღათურიას რედაქციით გამოქვეყნებულ 560-გვერდიან „საკვები პროდუქტების ტექნოლოგიის სახელმძღვანელოში“ [2]. მაგალითად,

შნევის კამერაში 6 ფორმირებული ცომი იჭირხნება [1, გვ. 95]; სწრაფი შრომის მიზნით ხდება ნედლი ნაწარმის შებერვა ჰაერით, რომე-

ლიც იჭირხნება საამქროს სათავსიდან [1, გვ. 96]; ამის შემდეგ მიღებულ მასას ჰაერით გამოჭირხნიან აპარატში 14, სადაც წინასწარ შეაქვთ ჭვავის ალაოს დედო [1, გვ. 37]. მესამედ პროფ. თამაზ ხმელიძის „სამშენებლო განმარტებითი ლექსიკონი 4-ტომულში“, როგორ დაჭირხვნა, ისე საჭირხნი სპეციფიკური სამშენებლო ტერმინების სახით. მაგალითად,

**დაჭირხვნა:** სიმაღლის ცნების გამოყენების უამრავი მაგალითი შეიძლება დასახელდეს: სამშენებლო, ანტენის, აწევის, დაწნევის, დაჭირხვნის, ვარდნის...“ იხ. [2. 7];

სილიკატიზაცია – სუსტი გრუნტების გამაგრება ქიმიური საშუალებით, სახელდობრ, სილიკატური ხსნარების (მაგ., ნატრიუმისა და ქლოროვანი კალციუმის) გრუნტში დაჭირხვნით (2, იქვე, გვ. 1321);

საჭირხნი სპეციალური ტერმინია მშენებლობაში. იგი ნიშნავს: „ჰაერის კომპრესორს, განკუთვნილს შეკუმშული ჰაერის ან საწვავი ნარევის მოწოდებისათვის შიგაწვის დგუშიანი ძრავის ცილინდრებში [3, გვ. 1297].

დაბოლოს, დამჭირხნას, როგორც ტერმინს. გადავაწყდით გ. კვირკველიას რუსულ-ქართული ხუროთმოძღვრული განმარტებითი ლექსიკონში (თბ., 2007): „მეორე შემთხვევაში კი ამ ფუძეებს ამაგრებენ მექანიკური შემჭიდროებით, ხიმინჯების ჩასმით, გრუნტში სხვადასხვა ხსნარის დამჭირხნით და სხვა გზით“ [3. 163], ასევე ს, მეზონიას, თ. ნატრიაშვილის, ზ. ლომსაძისა და ვ. ნაჭყებიასა და ხ. ხატიურის [5. 266] ნაშრომებში.

ამრიგად, ბატონი ბიძინა ივანიშვილის რეპლიკა „კვირის პალიტრასთან“ გაღიზიანებული ჟურნალისტების მიმართ – „როგორ, ქართ-

ველმა ჟურნალისტმა, ეს სიტყვა (მიჭირხვანა) არ იცითო“, მოჩვენებითი „იალიში“ აღმოჩნდა. ბატონმა ბიძინამ ამ შემთხვევაში დაამტკიცა, რომ ამ ტერმინს კარგად იცნობს, სამწუხაროა, რომ დღესაც ბევრმა ქართველმა არ იცის, რომ ნებისმიერ სპეციალობაში სპეციალური ლექსიკონს ცოდნას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

დამტკიცდა ისიც, რომ ჟურნალისტებმა თუ მოჟურნალისტო ელემენტებმა არ იციან, რომ საქართველოში სპეციალობის მისაღებად მთავარია არა მხოლოდ უცხო ენის ცოდნა (ინგლისური და მისთ.), არამედ მშობ-

ლიური ქართულის ზედმიწევნით დაუფლება, რასაც არაერთი საგანმანათლებლო და სამეცნიერო უწყება (განათლებისა და მეცნიერების სამინისტროც კი), სამწუხაროდ, არაიშვიათად მიუყურისძირებს.

ამ პატარა წერილით იმის დამტკიცებას შევეცადე, რომ საქართველოში ძნელია მონომახის ქულის ტარება და კიდევ უფრო ძნელი გერქვას ქართველი.

ასე რომ, ენაც დედა ერისა. გავუფრთხილდეთ ჩვენს ეროვნულ საუნჯეს, ბატონებო.

### ლიტერატურა

1. გ. ვარშალომიძე, ნავთობისა და გაზის ჭაბურღულების ბურღვისას გამრეცხი და ცემენტის ხნარების დამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიები, თბ., 2014.
2. საკვები პროდუქტების ტექნოლოგია (სახელმძღვანელო), გვ. 560 თბ., 2015. სახელმძღვანელო (ავტორები: ნ. ბადათურია, ნ. ბეგიაშვილი, თ. მეგრელიძე, ზ. ჯაფარიძე, გ. გოლეტიანი, ზ. ლაზარიშვილი, თ. რევიშვილი, ა. ნეჩაევი, ვ. შერბაკოვი, ე. შიხინა, ი. შუბი, გ. მელკინა, ო. ანოშინა, ლ. კოტორაშვილი, გ. ბერუაშვილი, გ. გუგულაშვილი, ლ. ქაჯაია, მ. ორმოცაძე, მ. დოლიძე, აკად. ნ. ბადათურიას რედაქციით. თბ., 2015.
3. სამშენებლო განმარტებითი ლექსიკონი 4 ტომად, პროფ. თ. ხმელიძის რედაქციით, თბ., 2016.
4. ს. მეზონია, თ. ნატრიაშვილი, ზ. ლომსაძე. ლითონების წნევით დამუშავების მანქანების ექსპლუატაცია და რემონტი (დამხმარე სახელმძღვანელო). თბ., 2016.
5. ვ. ნაჭყებია, ხ. ხატიური. წყლის მიწოდებისა და განაწილების სისტემები (სახელმძღვანელო). თბ., 2017.
6. გ. კვიციანი, რუსულ-ქართული ხუროთმოძღვრული განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 2007.



## ნანა გასვიანი

### ილია ჭავჭავაძის შეხედულება (დამოკიდებულება) საზღვარგარეთის ქვეყნების კულტურული მემკვიდრეობისადმი

ილია ჭავჭავაძეს საუკეთესოდ ჰქონდა შეგნებული სხვა ქვეყნის კულტურის პატივისცემის, შესწავლისა და გამოყენების მნიშვნელობა, დიდი კულტუროლოგის შეხედულებით, საუკეთესო პროდუქტი სხვა ქვეყნის ქმნილების გაცნობა-შესწავლითა და მიღწევათა გათვალისწინების შედეგად მიიღება. „რაც უნდა უხვი და მდიდარი იყოს შიგნეული სიცოცხლე კაცისა...ის არ არის სრული, თუ რომ არ მიითვისა იმან ის, რაც სასარგებლოა იმის გარეშე მყოფ ქვეყანისა, საზოგადოებისა და კაცობრიობისათვის“ [1. 106] – წერდა ილია და საზოგადოებას დაბეჯითებით არწმუნებს, რომ ცოდნა, მეცნიერება და, ზოგადად, კულტურა არც ერთი ხალხისა და ქვეყნის კერძო საკუთრება არ არის, ის ეკუთვნის მთელ კაცობრიობას. რადგან მისი ნაღვაწით ყველა სარგებლობს, იგი ქვაკუთხედია ყოველი წარმატებისა და კეთილდღეობისა. მწერლის აზრით, უცხო ხალხის ცხოვრებისა და ისტორიის შესახებ ცოდნა სასარგებლოა, რადგან ხალხის წინსვლა-განვითარება შეუძლებელია თუ სხვას, მასზედ უფრო დაწინაურებულს, არ მიბაძა. თუმცა ილიას აზრით, „მიბაძვა“ არ ნიშნავს იმას, რომ კულტურული მემკვიდრეობის შემქმნელმა

სხვათა მაგალითი გაიმეოროს, ზუსტად, მექანიკურად გადმოიღოს, არამედ მან კრიტიკულად უნდა შეხედოს და გამოიყენოს საკუთარი ქვეყნის საჭიროების გათვალისწინებით. ამავე დროს აუცილებელია გაცნობიერება იმისა, რომ ყველა ერი თავისი უნიკალურობით ხასიათდება, თავისებური ელფერით გამოირჩევა, სიკეთე და სიმართლე ყველას აქვს, თუმცა გასათვალისწინებელია ის, თუ რომელი კუთხით შეეთვისება შენი ერისა და ქვეყნის ინტერესს, ზნე-ხასიათს, რა საჭიროებისთვის მოერგება მას. აქ საჭიროა სიფრთხილე და გონიერება. „ჭკუა-გონებითს წარმოებასაც უნდა ჰქონდეს თავისი საკუთარი, თავისებური ნიადაგი, იგიც გარემოცულ უნდა იყოს თვისის საკუთარის ჰაერით, რომელიც განსაკუთრებულს ფერს აძლევს მის უმაღლესს ნაწარმოებს – ლიტერატურას... მასალა და საზრდო ამა მოღვაწეობისა და წარმოებისა, გარედამ მოვლენილი, მხოლოდ მაშინ შეიქმნება თესლათ თვითონ გვარტომისა და ხალხის განვითარებისათვის, როდესაც მას ღრმად გაუვლის ზემოხსენებული განსაკუთრებული ჰაერი... ჭკუა-გონების თვითმყოფობა, დამოუკიდებელი მოღვაწეობა არის თამაშური ლიტერატურის განვითარებისა

და იმ ადგილზე დაყენებისა, რომელიც ზემოთ არის თქმული. უამისოდ ლიტერატურა, როგორც წინაგ მოგახსენეთ, იქნება მხოლოდ გარედამ წვეული სტუმარი და არა თვით შინაობაში გამოზდილი ოჯახიშვილი“ [2. 118].

ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის სტატიებსა და გამოკვლევებს, რომლებშიც დიდი ადგილი ეთმობა სხვადასხვა ხალხის კულტურულ ცხოვრებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მათ შორის აღსანიშნავია ქართულ-სომხური ლიტერატურული და საზოგადოებრივი ურთიერთკავშირის ამსახველი ინფორმაციები.. ილიას გულთან მიჰქონდა მეზობელი ხალხის ლხინი და ჭირი. ის ინტერესით ადევნებდა თვალს სომეხი ერის კულტურულ ცხოვრებას,

თავის სტატიებში ავტორი უმაღლეს შეფასებას აძლევს სომეხი ხალხის სულიერ ღირებულებებს, ტრადიციებს. მოსწონს მათი დამოკიდებულება ოჯახის მიმართ, აფასებს მშობლების თავდაუზოგავ ზრუნვას შვილის სწავლა-განათლებისთვის და ამავე დროს შვილების მადლიერებას, ამაგის დაფასებას მშობლების მიმართ. ის წერს: „ყაირათიანი სომეხი აქ თავისი შვილისათვის ხელგაშლილია... თვითონ იქნება ხმელი პურიც იკმაროს... გროშს გროშზე აკოწიწებს, მარცვალს მარცვალზე სდებს, რომ შვილს სწავლისა და ცოდნის შეძენის გზა მისცეს... შეიძლება ითქვას, რომ საქებური სიკეთე, ეს დიდი მადლი ოჯახისა, საერთო კუთვნილობაა სომხობისა, მათდა სასახელოდ“ [3. 328].

ილია ჭავჭავაძე ეხმაურებოდა ლიტერატურულ გამოცემებს, აინტერესებდა მათი დამოკიდებულება და თვალსაზრისი, აქტიურად მონაწილეობდა ამა თუ იმ საკითხის განხილვაში, ამ კუთხით საინტერესოა წერილი: „სომხური გაზეთების პოლემიკა“, რომელშიც ჩანს, რომ ავტორი ერთგვარად სომხურ გაზეთებს, „მშაკისა“ და „მელუ ჰაისტანის“, შორის ატეხილ პოლემიკაში, რომელიც წარმოიშვა „იმის თაობაზე, თუ რა არის აუცილებელი თვისება რომლისამე ხალხისა, ანუ რა შეადგენს რომელიმე ხალხის, გვარტომობის ისეთს განსაკუთრებულ ხასიათს, რომლითაც ეს ხალხი სხვა გვარტომობის ხალხისგან ირჩევა“ [14. 165], ილია ორივეს თვალსაზრისს ეცნობა და თავის დამოკიდებულებასაც გულწრფელად გამოხატავს: „ერთიც და მეორე მსჯელობაც, ჩვენის აზრით, ერთობ ერთმხრივი და ვიწრო მსჯელობაა, სარწმუნოებას და განსაკუთრებით ენას დიდი მნიშვნელობა აქვს, ერთი ტომის მეორისგან გარჩევაში, მაგრამ არც მართო ენა, არც მართო სარწმუნოება და არც სხვა რამ ერთი თვისება ცალკე აღებული, არ შეადგენს ისეთს თვისებას რომლისამე ერისას, ურომლოთაც ამ ერს ერი არ დაერქმევა ...განსაკუთრებულ ხალხს, გვარტომობას, ნაცისა შეადგენს ყველა ის თვისებანი, ერთად აღებული, რომელიც იმას სხვა ხალხისგან განასხვავებს, და ის პირობანი, რომლებშიც მას უცხოვრია...“ [4. 165] ილიას აწუხებს სომხურ გაზეთებს შორის არსებული უთანხმოება, უარყოფითად აფასებს არსებულ ფაქტს, რაც მინიშნებაა იმისა, რომ ავტორს, როგორც გულშემატკივარს, სურს,

**ამგვარი მდგომარეობა შეთანხმებითა და მშვიდობით შეიცვალოს.**

მწერალი ეხება სომხური ენის საკითხებსაც და მიესალმება ცნობილი სომეხი დრამატურგის გ. სუნდუკიანის მიერ დაწერილი პიესების სტილს, უბრალო ხალხის სალაპარაკო ენაზე გადმოცემულს, რომელიც თავისუფალია არქაული ელემენტებისგან, რის გამოც ხალხის მასებისთვის მისაწვდომი და ადვილად გასაგებია. როდესაც ილიასა და აკაკის მეცადინეობით ისევ დაიწყო ფუნქციონირება ქართულმა პროფესიულმა თეატრმა, რეპერტუარში სომეხი დრამატურგის გ. სუნდუკიანის ნაწარმოებიც შედიოდა და იდგმებოდა ქართულ სცენაზე. ილია თვალყურს ადევნებდა ყოველ სპექტაკლს, განიხილავდა, ანალიზებდა, აფასებდა და პოპულარიზაციის მიზნით ბეჭდავდა მათზე მიმოხილვითი თუ კრიტიკული ხასიათის წერილებს. მაგალითად, მან მატთანეს შემოუნახა „გაბრიელ სენდუკიანის „ხათაბალა“, რომელიც შემდეგი სიტყვებით დაასრულა: „წარსულ კვირას „ხათაბალა“ საკმაოდ კარგად და რიგიანად წარმოდგენილ იქმნა... ავტორიც დიდის ყოფით და ამბით გამოიწვია საზოგადოებამ და დიდხანს ტაშისცემა და ბრავო არ შეწყვეტილა“ [6. 274].

მიუხედავად სომეხი ერის კულტურის პატივისცემისა, ილია ჭავჭავაძე საკადრის პასუხს აძლევს ქართული კულტურის დამამცირებელს, სომხური ჟურნალის „გურჯის“ მეშვეობით გახშირებული წერილის ავტორს ჩიმიშკიანის, რომელიც ქართულ სცენას და თეატრს ამცირებს და მის გამოცოცხლებას სომხურ ნაწარმოებს, „პეპოს“ უკავშირებს:

„პეპომ იმდენად გაითქვა სახელი... რომ ქართველთა ინტელიგენციის ყმაწვილკაცობამ მოისურვა გამოცოცხლება ქართული თეატრისა, რომელმაც დიდი ხანია დალია სული, ამ პიესით აღადგინა მკვთოვრით უკვე მიცვალეული ქართული სცენა [6. 460]. რასაკვირველია, ილიამ ქართული კულტურის შეურაცხმყოფელს საკადრისი პასუხი გასცა და საყვედურთან ერთად გულისტკივილიც გამოხატა იმის გამო, რომ სომეხ ლიტერატორებს დასჩემდათ ქართველის თუ ქართველობის უკუღმართად ქცევა, „გაპკენწვლა“. ილია პასუხისმგებლობას აკისრებს რედაქციას, რომელიც ასეთ დროს ყველაფერს სიფრთხილით უნდა მოეკიდოს. რათა ერებს შორის უსიამოვნება არ წარმოიშვას. ეს წერილი საუკეთესოდ წარმოაჩენს ილია ჭავჭავაძის სიბრძნესა და კეთილგონივრულ დამოკიდებულებას სხვა ერთა კულტურული მემკვიდრეობის მიმართ: „გონების ნაწარმოები იმისთანა მადლიანი რამ არის, რომ მთელის კაცობრიობის კუთვნილებას შეადგენს და აქ გვარტომობის ჩაჩხირება ჭკუის უღონობას მოასწავებს და სხვას არარას. ხელოვნებასა და ერთობ გონების ნაწარმოებსა გვარტომობა არ აქვს, ერთიცა და მეორეც მთელი კაცობრიობისაა და ამ აზრს ვერ მიწვდენია დაქვეითებული ავტორი ბ-ნ სენდუკიანის ბიოგრაფისა“ [6. 462]. ილია სამართლიანად მიიჩნევს და სამაგალითოდ აღნიშნავს ქართველთა დამოკიდებულებას და პატივისცემას სხვა ერის კულტურული მემკვიდრეობისადმი, რაც იმაში გამოიხატება, რომ „ყოველივე კარგი სომხისა ჩვენში პოულობს პატივისცემას და სიყვარულს... რომ

თავისას და სომხისას ერთმანეთში აღარ არჩევს. ქართველების ეს თვისება იმის საბუთია, „რომ ქართველი არ არის დამწყვდეული თავის გვარტომობის ვიწრო წრეში, არ ამედ სხვა ერის პატივისცემაც იცის და გულგამლით ეკიდება ყოველს სხვა გვარტომსა. ეს თვისება საქება-რია და არა საწუნარი“ [6. 461].

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში განსაკუთრებული ინტერესი და დამოკიდებულება მქდავდება ევროპული ქვეყნების მიმართ. ის ქართველი ხალხის ჭეშმარიტ მომავალს ეროვნულ და სოციალურ თავისუფლებაში, მის გონებრივ და სულიერ განვითარებაში ხედავდა, ამიტომ ევროპულ ცივილიზაციასა და კულტურას თავისი ქვეყნის კლიმატს უხამებდა და ცდილობდა ეროვნულის გვერდით მტკიცედ დაემკვიდრებინა. ინტერესით ეცნობოდა საზღვარგარეთის კულტურას, საუკეთესო თვისებას ხოტბას შეასხამდა, სხვათა სამაგალითოდ გაახმაურებდა. წერილში „შინაური მიმოხილვა“ მოწონებით აღნიშნავს ცივილიზებული ევროპის ქვეყნების დამოკიდებულებას კულტურის მოღვაწეთა მიმართ: „განათლებულმა ევროპამ დიდი ხანია ჩვეულებად მიიღო ამისთანა კაცების მიმართ პატივისცემის და სიყვარულის გამოცხადება საჯაროდ, საქვეყნოდ. ვის არ ახსოვს გარიბალდის სადღესასწაულო მსვლელობა იტალიაში, მანამ ცოცხალი იყო, ვის არ ახსოვს საქვეყნო გლოვა იტალიისა, როცა იგი დიდებული გმირი იტალიისა მიიღვა? ვის არ ახსობს ვოლტერის სახსოვრად გამართული დღესასწაულობა საფრანგეთში, ვიქტორ ჰიუგოს ოთხმოცწლოვანობის იუბილე..“ [7. 209]. ილია ჭავჭავაძე

იხსენებს შილერის დღეობას გერმანიაში, როდესაც მთელმა გერმანიამ დიდებული პატივი სცა თავისი დიდებული პოეტის „გვამსა და მტვერს“. ინგლისელთა სასახელოდ აღნიშნავს იმ სასაფლაოს არსებობას ინგლისში, რომელშიც დასაფლავება ყველას სასახელოდ მიაჩნია, „მხოლოდ სახელოვანთა ინგლისელთა – გამოჩენილთა ლიტერატურაში, მეცნიერებაში, ერის სამსახურში“ ეძლევათ უკანასკნელი სამყოფელი მადლობელი ერისგან. იქ ვერც სიმდიდრითა, ვერც გვარიშვილობით, ვერც დიდკაცობით სხვები ვერ შოულობენ ადგილს. ილიას მოსწონს ევროპელთა დამოკიდებულება და სამაგალითოდ, ჩვენი ერის საყურადღებოდაც მოწონებით ამბობს: „ევროპაში ერისთვის მოღვაწე კაცი არამც თუ მართო ქვეყნის სახელი და დიდებაა, არამედ თვითეულის თანამემამული-საცა ცალკედ. იქ თვითეული მამულისშვილი ისე უფრთხილდება ერისთვის მოღვაწე კაცის სახელსა, პატიოსნებას, დიდებას, როგორც საკუთარის თავისას“ [7. 208].

ილიამ თავის მრავალმხრივ შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ფრანგულ ლიტერატურას. თავის პუბლიცისტურ წერილებში ილია ხშირად მოიხსენიებს მეცნიერების სხვადასხვა დარგის ფრანგ წარმომადგენლებს, წერს მათი საქმიანობისა და მოსაზრებების შესახებ.

ქართული კულტურის უცხოელ მკვლევართაგან განსაკუთრებულ მოკრძალებას და სიყვარულს ილია გამოხატავს ფრანგი მეცნიერის მარი ბროსეს მიმართ, რომლის ქართველოლოგიურ ნაშრომებს და, ზოგადად, მეცნიერის მიერ საქართველოს-



თვის გაწეულ ღვაწლს ის საუკეთესოდ იცნობდა და აფასებდა. „აკადემიკოს მარი ბროსეს მეცნიერულ ავტორიტეტს ეყრდნობოდა ილია 1899 წელს გამოქვეყნებულ „ქვათა დაღაღში“, ხოლო 1902 წელს მარი ბროსეს დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად აღნიშვნას იმთავითვე სათავეში ჩაუდგა ილია ჭავჭავაძე და მისი „ივერია“ [8. 346].

წერილში: „დეპეშა საფრანგეთის საერო განათლების მინისტრ ჟორჟ ლეგისადმი“ ვკითხულობთ, რომ წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ინიციატივით თბილისის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიაში ჩატარდა „დაბადების ასის წლისთავის სადღესასწაულო წირვა და პანაშვიდი მოსახსენებლად სულისა ფრანგი ბროსესი.“ ამ წერილშივე ქებასა და სალამს უძღვნის ბროსეს წარმომშობ ერს: „საფრანგეთის დიდებული ერი ჰქმნის დიდებულ კაცთა არა მხოლოდ საფრანგეთისათვის, არამედ ყველა ერისათვის, სალამი საფრანგეთს!“ [9. 223].

ბროსეს ავტორიტეტის გამომხატველია ილიას „დეპეშა ლორან ბროსესადმი“, რომელშიდაც შემდეგი სიტყვებით მოიხსენიებს ფრანგ ქართველოლოგს: „რომელმაც დაუფასებელი ღვაწლი დასდო ქართველთა ერთათვის სამეცნიერო შრომით საქართველოს ისტორიასა და არხეოლოგიის შესახებ. გააცნო ქვეყნიერობას ჩვენი მამული, რომელიც სამუდამოდ შეინახავს მის სახსოვარს ქართველთათვის ყოვლად ძვირფას სახელთა შორის“ [9. 223].

ილიას, ბროსეს ნიჭის თაყვანისმცემელს, საზოგადოების სახელით მიუმართავს ქალაქის თვითმმართველობისთვის: „მარი ბროსეს დაბადე-

ბის ასი წლისთავის შესრულების გამო, მისი ღვაწლის ყურადსაღებად და სახსოვრად, საზოგადოების გამგეობას აქვს პატივი სთხოვოს ქალაქის თვითმმართველობას ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს მარი ბროსეს სახელი!“ [10. 121-122; 8. 346]. ასეთი ყურადღებითა და პატივისცემით იყო განწყობილი ყველა იმ უცხოელის მიმართ, ვინც საქართველოსთან დაახლოებას, მის გაცნობასა და შესწავლას ან მისი ლიტერატურული ძეგლების უცხო ენებზე თარგმნას მოიწადინებდა. თეატრისადმი მიძღვნილ წერილებში დიდი გულმოდგინებით არის გარჩეული ვიქტორი სარდუს პიესები, განსაკუთრებით დიდი მხარდაჭერა დაიმსახურეს პიესებმა „გავიყარნეთ“ და „სამშობლო“, რომლებიც დიდი წარმატებით იდგმებოდა ქართულ სცენაზე მე-19 საუკუნის 90-იან წლებში: „წარსულ კვირას წარმოდგენილი „გავიყარნეთ“ პირველს საჭიროებას გადმოკეთებულის პიესისას საკმაოდ აკმაყოფილებს. პიესა რიგინია ყოველისფრით, სასიამოვნო საყურებელია და არანაკლებ სასიამოვნოა სასმენადაც, რადგანაც აზრიანია, მერე მეტისმეტად თანასაგრძობი აზრიანი, და კაცი ხალისიანად ადევნებს თვალყურს ბოლომდინ [11. 319]. ილია აქაც არ ღალატობს თავის ჩვეულებას – ფრანგულ ლიტერატურულ ნაწარმოებებში დასმული პრობლემის ეროვნულ ასპექტში გაშუქებას.

ილია ჭავჭავაძე გაცნობია ფრაგი მოღვაწის ანდრე შენიეს შემოქმედებას, ერთი მათგანი უთარგმნია კიდევ: „სათარგმნელად ამოირჩია ლექსი „ზღვათა მფლობელის...“, რომელიც მის პოეტურ სულთან უფ-

რო მახლობელი იყო, ეს უსათაურო ლექსი ილიამ თარგმნა 1861 წელს, დაიბეჭდა 1863 წელს ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ მე-9 ნომერში“ [12. 25]. მწერალი მაღალ შეფასებას აძლევდა ანდრე შენიეს პოეზიას: მის ლექსებში „ცხადად ისმის ის ნაზი და წრფელი სიტყვო მშვენიერებისა, ის უმანკო, უცოდვილო და ნამდვილი ბგერა გულისა, ის ქროლა პოეზიისა, რომლითაც ანდრე შენიე ჯადოსავით მოხიბლავს ხოლმე კაცსა.“ [13. 8].

რასაკვირველია, შენიეს ნაწარმოებები ითარგმნა რუსულ ენაზეც, აჟღერდა პუშკინისეული მაღალი ოსტატობით, თუმცა სხვათა კულტურის სამართლიანი შემფასებელისა და ქომაგის ფხიზელ თვალს არ გამოპარვია ი. კოზლოვის ნათარგმნიც, რომელსაც ილიამ მკაცრი შეფასება მისცა: „გადაშალეთ კაზლოვის გაბერილი წიგნი და ყურადღებით განიხილეთ ლექსები ანდრე შენიესი, ფრანციის პოეტისა; ძლივს და იცნობთ კაზლოვის ლექსებში იმ შენიეს, რომელმაც წარსულ საუკუნეში თითქმის პირველად დაანახვა ფრანციას, და მის გამო ევროპასაც, ჭეშმარიტი, ნამდვილი პლასტიკა საბერძნეთის მშვენიერებისა, და ამით, თუ არ დასცა ზარი, შეარყია მაინც თვის საფუძველში ცრუკლასიკური მიმართულება ფრანციის ლიტერატურისა“ [14. 12].

ჩამოსულ კულტურულ მოღვაწეთ უწევდა საუკეთესო მასპინძლობას, მაგალითად, უორდროპთა ოჯახს წარუშლელ შთაბეჭდილებად დარჩათ საგურამოში სტუმრობა. ასევე ზრუნავდა მათი პოპულარიზაციისათვის. ინგლისელი და-ძმის ერთობლივი ქართველოლოგიური მუშაობის

შესახებ მთელმა საქართველომ ილია ჭავჭავაძის „ივერიის“ მეშვეობით შეიტყო.

უორდროპების გარდა, სხვაც მრავალი ინგლისელი მეგობარი და პოპულიზატორი შესძინა ქართულ კულტურას ილია ჭავჭავაძის ავტორიტეტმა და გონიერებამ.

ილია მიერ დაარსებული გაზეთის მეშვეობით საზოგადოებამ გაიცნო ოქსფორდში მოღვაწე ცნობილი მეცნიერის სოლომონ სიზარ მალანის საქმიანობის შესახებ, რომელსაც ქართული ენის საუკეთესოდ შესწავლის შემდეგ გელათში ქადაგება ქართულ ენაზე ჩაუტარებია. მან ინგლისურად თარგმნა და გამოსცა პლ. იოსელიანის „ქართული ეკლესიის ისტორია“ და გაბრიელ ეპისკოპოსის „ქადაგება“. მას, თავისი მოღვაწეობის მანძილზე, შეუქმნია ქართული ბიბლიოთეკაც. რა თქმა უნდა, ასეთი მოღვაწის მიმართ დაფასება და პატივისცემა ილიას საამაყო საჭირო საქმედ მიაჩნდა, ამიტომ როდესაც „ივერიამ“ ინგლისურ გაზეთ „ტაიმსიდან“ გადმოიბეჭდა ნეკროლოგი „სოლომონ კეისარი მალანი“, თან ახლდა რედაქტორის, ილია ჭავჭავაძის შენიშვნა: „ეს ის მალანია, რომელმაც გადათარგმნა და დაბეჭდა ინგლისურ ენაზე გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებანი და პლატონ იოსელიანის ქართული ეკლესიის ისტორია“ [8. 354].

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში განსაკუთრებული დამოკიდებულება მჟღავნდება შექსპირის მიმართ: „შექსპირი, – ამბობს ერთი გამოჩენილი მწერალი: – მეფეა ყოველის წესისა და არა ყმა, შექსპირი, რომ სხვებსა ჰგვანდეს, ვიტყოდით ჰამლეტი სალირიკოა და არასგზით არა ჰთავსდება სადრამო ყალიბში. ჰამ-

ლექტი რაღაც არსებობს, არყოფილი... მაგრამ მაგის შემოქმედი შექსპირია და ამიტომ უნდა დავემორჩილნეთ და ხმა გავიკმინდოთო“, ამ სიტყვებში ბევრი რამ არის მართალი...“ [15.348]. – წერს ილია ერთ-ერთ წერილში. ამ გენიალური მწერლის პიესების შესრულებასაც განსაკუთრებული პასუხისმგებლობითა და ოსტატობით მოითხოვს: „ცოდვია, ასე უფულოდ, ასე მოუშადადებლად მოექცეს კაცი შექსპირს, მერე სად? „ჰამლეტში“...“ [15. 351].

თავად ილიამ კი ივანე მაჩაბელთან ერთად უდიდესი პასუხისმგებლობითა და ძალისხმევით თარგმნა „მეფე ლირი“, იმდენად დიდი სურვილი ჰქონდა საშრომი მაღალხარისხოვანი გამოსულიყო, ღრმად ჩასწვდომოდა შექსპირის ჩანაფიქრსა და სულისკვეთებას, რომ ამისთვის ინგლისურის შესწავლასაც შეუდგა: „აქაური ამბები რა მოგწერო: მე ...ანგლიურის ენის სწავლას შევუდექი შექსპირის ტრაგედიას „კოროლ ლირს“ ვჰსთარგმნი სხვასთან ერთად. აქედან, რომ მოვალ, ანგლიური მეცოდინება იმდენად, რომ სუბუქს თხზულებების წაკითხვა შემეძლოს.“ – სწერდა მეუღლეს [16. 161].

თავადაც ძალიან მოსწონდა ნათარგმნი: „კაროლი ლირი, რომელიც ქართულად ანგლისურიდამ გადავ-

თარგმნეთ... თარგმანი კარგი გამოვიდა, ასეთი კარგი, წამკითხველი მთარგმნელს დაგვლოცვენ, ქალაქში, რომ ჩამოვალ გვინდა წარმოვადგინოთ. სცენაზედ მშვენიერი რამ იქნება, ვერ წარმოიდგენ, რარიგად კარგად გამოვიდა ქართულ ენაზედ. შენ ხომ იცი, რომ ჩემი ნაჯღაბნის ქება მე თვითონ არ მიყვარს, მაგრამ ეს ასეთი თარგმანია, რომ არ ვაქო, ცოდვა იქნება. აქაური ყმაწვილკაცობა მაგ თარგმანისათვის გაგიჟებულია და აღტაცებაში მოსული“ [16. 167] სხვაც მრავალი ნათარგმნი შესძინა ილიამ კულტურულ მემკვიდრეობას: „ვთარგმნიდი პუშკინის, ლერმონტოვის ლექსებს და ტურგენევის „ლექსებს პროზად“. ვთარგმნე ასევე, ჰაინეს, შილერის, გოეთეს რამდენიმე ლექსი. ხოლო თავად ივანე მაჩაბელთან ერთად – შექსპირის „მეფე ლირი.“ [17. 354]. ასე რომ, ილია მხოლოდ სხვისი ნათარგმნით გამოწვეული სიამოვნებით არ კმაყოფილდებოდა, თავადაც უდიდესი პასუხისმგებლობით ემსახურებოდა ამ დიად საქმეს.

საზღვარგარეთის ქვეყნების კულტურის მიმართ ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულების კვლევამ კიდევ უფრო გაამდიდრა ჩვენი წარმოდგენა ილიას პიროვნების, მისი გონებრივი შესაძლებლობისა და შემოქმედების მრავალმხრივობის შესახებ.

## ლიტერატურა

1. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. V, კრიტიკა, „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“, „მეცნიერება“, 1991.
2. „ფიქრი და შენიშვნა“, ჟურნ. „ივერია“, №1, 1879.
3. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. XIII, პუბლიცისტური წერილები, „ქართველებისა და სომხების განსხვავებული ხასიათი და ინტერესი“, „ილიას ფონდი“, 2007.

4. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. XV, პუბლიცისტური წერილები, (სავარაუდონი), 1879-1904 „სომხური გაზეთების პოლემიკა“, „ილიას ფონდი“, 2007.
5. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. V, კრიტიკა, „ქართული თეატრი“, (გაბრიელ სენდუკიანცის „ხათაბალა“), „მეცნიერება“, 1991.
6. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. V, კრიტიკა, „გაბრიელ სენდუკიანცის „პეპო“ და სომხის ლიტერატორები“, „მეცნიერება“, 1991.
7. ილია ჭავჭავაძე, „შინაური მიმოხილვა“, თხზულებანი, ტ. V, კრიტიკა, „მეცნიერება“, 1991.
8. გ. შარაძე, ილია ჭავჭავაძე, ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება, წიგნი I, გამომცემლობა „თბილისი“, 1987.
9. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, „ეპისტოლური მემკვიდრეობა“, ტ. XVII, „დეპეშა საფრანგეთის საერო განათლების მინისტრ ჟორჟ ლეგისადმი“, „ილიას ფონდი“, 2012.
10. ილია ჭავჭავაძე და ფრანგული ლიტერატურა“, მ. იამანიძე, თბილისი, „მეცნიერება“, 1988 (რ. დოდაშვილი, მარი ბროსე-ქართული მწერლობის მკვლევარი“, 1962. გვ. 121-122).
11. ილია ჭავჭავაძე, თხზულება, ქართული თეატრი, „გავიყარნეთ“ და „ხანუმა“, ტ. V, „მეცნიერება“, 1991.
12. მ. იამანიძე, „ილია ჭავჭავაძე და ფრანგული ლიტერატურა“, თბილისი, „მეცნიერება“, 1988.
13. <sup>1</sup> ილ. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, პ. ინგოროყვას რედაქციით, ტ. V, თბ. 1953.
14. ილია ჭავჭავაძე, თხზულება, „ ორიოდ სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კოზლოვიდგან შეშლილის“ თარგმანზედა“, ტ. V, „მეცნიერება“, 1991.
15. ილია ჭავჭავაძე, „ქართული თეატრი“ (ჰამლეტი შექსპირისა),“ თხზულებანი, ტ. V, კრიტიკა, „მეცნიერება“, 1991.
16. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, „პირადი წერილები ოლა თადეოზის ასულ გურამიშვილ-ჭავჭავაძისადმი“, ტ. XVIII, „ჩემო საყვარელო ოლიკო“, „ილიას ფონდი“, 2009.
17. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, „ეპისტოლური მემკვიდრეობა“, ტ. XVII, „ბროკჰაუზ-ეფრონის ენციკლოპედიური ლექსიკონის რედაქციისადმი, „ილიას ფონდი“, 2012.



**როზა გაფრინდაშვილი**

**„დიდი გადარჩენის“ პატარა „საიდუმლოები“**

(90-იანი წლების „დედის დღიურებიდან“)

**1. სილამაზე**

ეს ფრაზა მაშინ ამეკვიატა, როცა ჩემი შვილები, ამ საყოველთაო გაჭირვებისას ოპერის თეატრში „რიგოლეტოზე“ წავიყვანე.

ბილეთები – ქალბატონმა შურამ (ცუგამ), ჩემმა ძველმა მეგობარმა გვაჩუქა; მე მიხაროდა, შვილებს რომ ამ საჩუქრით გავახარებდი; ისიც მიხაროდა, ცუგას რომ ჩემი შვილების გახარება უხაროდა! და აი, ამ სიხარულით „ფრთამესხმულები“ მარტის ერთ წვიმიან-ქარიან და ცივ საღამოს მეტრო „რუსთაველიდან“ ოპერის თეატრამდე გზას ფეხით დავუყევით.

ოპერის თეატრთან პატარა გაუგებრობა შეგვემთხვა – გელამ რომ გაიგო, ოპერის თეატრში მოვედით და არა კინო „რუსთაველში“, გადაირია! – მე მეგონა კინოში მივდიოდით, იქ ბოევიკები გადის, აქ რა მიხდა! ვინ კითხავდა ცუგას ბილეთები რო გვიყიდა, ჩვენ ვერ შეგვეკითხა, რა გვინდოდაო? – ჭიჭყინებდა და კინოსკენ ენერგიულად მექაჩებოდა (მაშინ ის მესამე თუ მეოთხე კლასის მოსწავლე იყო).

ცოტა ხანს ვიძიებდით – მარი თეატრის კიბეებისკენ მეწეოდა, გელა – კინოსკენ! მერე მე და მარიმ „ვძლიეთ“ პატარა გელას და თეატრის წინა კიბის სამიოდე საფეხურზე ძალით „ავატრიეთ“...

„გამარჯვებულებმა“ თეატრის მძიმე კარი რომ შევადევეთ... გელუკას „გარდასახვაც“ მაშინ დაიწყო! „ბრძოლა“ შეწყვიტა და უცბათ ჩაწყნარდა; მერე – მეორე მძიმე კარი! მერე... ჩაბნელებული, ხმაურიანი, ქარიანი და წვიმიანი ქუჩიდან ერთბაშად სითბოში, სიწყნარეში, სისუფთავესა და სილამაზეში რომ აღმოვჩნდი... მერე გარდერობის ქალბატონების თბილი, ღიმილიანი და თავაზიანი მომსახურების შემდეგ, ოპერის თეატრის ცნობილ „ტრიუმფალურ“ კიბეებს რომ ავუყევიით, ბროლის, ოქროთი დაფერილ სარკეებიან ტალანებს გავუყევიით და ლამაზმა გოგონამ ბუნურის ლოჯიაში შეგვაცილა, ოქროსფერი ხავერდით გაწყობილი სავარძლებიდან პარტერს რომ გადავხედეთ!.. უვერტურაც რომ დაიწყოო!.. პატარა გელამ ნეტარი ხმით დაიჩურჩულა – დეედა! რა კაიაა!

ასე მოაჯადოვა და გარდაქმნა ბოევიკების ხილვის წყურვილით აღზნებული პატარა ბიჭი – სითბომ, სილამაზემ, მუსიკამ და შემოდგომის ფერებით გასხივოსნებულმა გარემომ (ცხადია, ცუგას (შურას) სიკეთესთან ერთად!). იმ საღამოს პატარა გელა ბედნიერი იყო! ჩემი ქალიშვილიც და მეც, რაკი ჩემ შვილებს გახარებულებს და განსპეტაკებულებს ვხედავდი; ალბათ მამა-გელაც ჩვენთან იყო

და თვალს „იქიდან“ გვადევნებდა; მან ხომ მე დამიბარა – სადაც უნდა იყო, მეც ყოველთვის თქვენ გვერდით მიგულეთო!

ტყუილად არ უთქვამს დიდ ნოველისტს – სილამაზე გადაარჩენს კაცობრიობასო!

## 2. იუმორი

ლექციები რომ დაგვიმთავრდა, შვებით ამოვისუნთქე, რაკი სამსახური მძიმე ტვირთად მექცა; ლექცია ხომ, თავისთავად დამღლეო! მაგრამ ახლა, მთავარი „უბედურება ისაა, რომ სტუდენტების დაინტერესება ცოდნით, თითქმის შეუძლებელი გახდა; მხოლოდ აქა-იქ წააწყდები დაინტერესებულ, ჭკვიან და ყურადღებიან მზერას, ასე ძალიან რომ სჭირდება სტიმულისათვის ლექტორს! მე კი, არა მარტო ლექციის, არამედ ცხოვრების ხალისსაც რომ მმატებს!

აი, ამ საკუთარ ღირსებებში დამეჭვებელი საქმიანობის დამთავრებით „ფრთაშესხმულმა“, თმები შევიჭერი და კათედრის სხდომაზე გამოვცხადდი.

მისვლისთანავე ქათინაურები დავიმსახურე – აქამდე სად იყავი, ჯერ ისევ ახალგაზრდა ყოფილხარო! დავირცხვინე;

- ეჰ, რის ახალგაზრდა! დღეს ისეთი მარცხი მომივიდა, მივხვდი სიბერე რომ კარს მომადგა-თქო! და კოლეგებს ვუამბე, როგორ ჩავასხი მდულარე ჩაი „საჭიქურში“ ისე, რომ შიგ ჭიქის ჩადება დამავიწყდა!

მე მათ „დავუხატე“ სუფრაზე დაღვრილი მდულარით აწიოკებული ჩემი შვილების სურათი, რითაც ისინი ფრიად გავამცხიარულე.

- ეგ რა არის იმასთან შედარებით, რაც მე დამემართა!

შემაწყვეტინა დათომ (თაქთაქამ);

- შენ, მდულარე, „პადსტაკანჩიკში“ მაინც ჩაგისხამს! მე, პირდაპირ საშაქრეში ჩავუშვი! ჩემებმა კინაღამ მომკლეს, სიმწრით ნაყიდი მთელი თვის სამყოფი შაქარი რომ გავანადგურე!

დათოს მარცხმა კიდეც უფრო გავამხიარულა, თუმცა გულწრფელად თანავუგრძნეთ, რაკი ახლა, შაქარი, ჩვენი კატეგორიის ხალხისთვის (პროფესურისათვის), იშვიათი ფუფუნებაა.

- არა, კი არ ვიზარალებით! ახლა იმ საშაქრეში სიროფი გვისხია და ჩაის იმით ვიტკობთ! „დაგვამშვიდა“ დათომ (თაქთაქამ).

ტყუილად არ არის ნათქვამი – იუმორი გადაარჩენს კაცობრიობასო!

## 3. ქველმოქმედება

ჩემ შვილებს, მამის გარდაცვალების შემდეგ, ჯერ ქვეყნის დამოუკიდებლობამდე, პერსონალური პენსია დაუნიშნეს; მაშინ ის, თითოეულისთვის, თვეში 50-50 მანეთი იყო; ახლა, რაკი ჩვენ თავისუფალი, თუმცა ჯერჯერობით ღარიბი ცხოვრება ავირჩიეთ, პენსია 7-7 მანეთი გახდა. ამის გამო ჰუმანიტარული დახმარების პროგრამაში ჩავსვეს – პერიოდულად ბრინჯს, ფქვილს, სოიოს ფარშს, ლობიოს, რძის ფხვნილს და ზოგჯერ შაქარსაც გვამლევენ; ეს პროდუქტები დოცენტის ხელფასთან და მეგობრების დახმარებასთან ერთად ჩვენს თავმდაბლურ ცხოვრებას მინიმალურად აკმაყოფილებს.

ახლა, მორიგი დახმარების მიღებამდე, პროდუქტები გავვითავდა – ცოტაოდენი კვერცხის ფხვნილიდა შემოგვრჩა.

ამ დილით გადავწყვიტე გელას „ყიცილიყო“ მოვუმზადო! (მე თვითონ,

დილდილით, დიდიხანა მხოლოდ ჩაით, ჩემი გაკეთებული ნახევრად-ტკბილი ქლიავის ჯემითა და პურით გავდივარ იოლად); როცა ტაფაზე ზეთი აშიშხინდა, ცდუნებას ვძლიე და რძის ფხვნილის პაკეტიდან მხოლოდ ერთი ულუფა ამოვიღე, რათა გელუკას სხვა დროსაც მივცე „გაჯეჯილების“ საშუალება; ტაფაზე პურის ნაჭრები დავაწყვე; მერე ფხვნილს მცირე წყალი დავამატე, კარგად ათქვიფე, რათა მერე ორივე მხრიდან შებრაწულ პურს ზემოდან გადავასხა და „ყიყიყო“ გელუკას ლოგინშივე მივართვა... მანამ, სანამ პური ორივე მხრიდან შეიბრაწებოდა, წყალში ათქვეფილი კვერცხის ფხვნილიანი ჯამში მაგიდაზე დავდე და როცა კერძის დასრულება დავაპირე, ათქვეფილ ფხვნილიან ჯამს ხელი წამოვდე და იატაკზე თავდაყირა გადმოვუშვი...

... გმირობა ჩავიდინე და ჩემი თავი ვაიძულე – გამეცინა, თორე ნამდვილად გული გამისკდებოდა!

გელუკა კი გვარიანად გაერთო – გულიანად იცინა, მერე ჩემ გასამხნევებლად – აუუუ!, კიდეც კარგი, თორე რა შეჭამდა ახლა მაგასო! თქვა და დაბრაწული პური გემრიელად მიირთვა!

#### 4. სიკეთე-გულმოწყალება

სტუდენტობისას, ჩვენი კურსელები, ერთი ლექტორით ვიყავით მოხიბლული; ბატონი თაზო უშუალოდ ჩვენი ლექტორი არ იყო, მაგრამ მისი სტუდენტები ისე აქებდნენ, ისე უყვარდათ და ისე მოუთმენლად ელოდნენ მის ყოველ ლექციას, რომ ჩვენც შეგვაყვარეს.

ერთხელ, როცა უკვე მისი კოლეგა გავხდი და მის სამეგობრო წრეში აღმოვჩნდი, ჩვენმა საერთო მეგობარმა ისეთი რამ გვიაშო, რამაც „გული

მოგვიკლა“, მაგრამ ბატონი თაზო კიდეც უფრო შეგვაყვარა.

თურმე იგი „37-წელში“ რეპრესირებულთა ოჯახიდან ყოფილა. დედამა რომ გადაუსახლეს, სულ პატარა დარჩენილა და ბიძა-ბიცოლას თავის შვილებთან ერთად გაუზრდია; ის ისე ნიჭიერი ყოფილა, რომ უნივერსიტეტში მისი სწავლისთვის ხელი ვერ შეუშლიათ; სამსახური კი, მხოლოდ მეგობრების თავდადებული მცდელობით „უშოვნია“; ხელისუფლებისაგან ყოველმხრივ ათვალწუნებული დამოკიდებულებისა და მძიმე ყოფითი პირობების მიუხედავად, ცხოვრებისაგან მას მხოლოდ კარგი აუთვისებია. „ის ნამდვილად იდეალური ადამიანია, მათაც კი გაუგო და აპატია, ვინც მისი და მისი მსგავსების ოჯახები ააწიოკა; მშობლების რეაბილიტაცია რომ მიიღო, არც წყენა, არც სიხარული და არც გაოცება გამოუხატავს, რაკი მან წინასწარ იცოდა, რაც უნდა მომხდარიყო – გვითხრა ბატონი თაზოს მეგობარმა.

ერთხელ, ჩვენმა საერთო მეგობარმა, ბატონი თაზოს ერთი საიდუმლოც გაგვიმხილა: „ომის დროს, 11-12 წლისა რომ ვიყავი, ღამით ჩურჩულმა და რაღაცის გემრიელმა სუნმა გამაღვიძა; თვალი რომ გავახილე, ვნახე, ბიცოლაჩემს თავისი შვილები გაეღვიძებინა, ჩემს ჩუმიდ მათთვის საჭმელი მიეტანა და რაღაც გემრიელს აჭმევდა; მე კი, თითქმის მშვიერი, საბანში ჩავძვერი და ჩუმიდ ავტირიდიო!“

ამ ნაამბობმა გული აგვიჩუყა და გულქვა ბიცოლას მიმართ საყვედურები გაგვიჩინა; მაგრამ თავად ბატონ თაზოს ისე გულისხმიერებით აუხსნია გაჭირვებული ყოფით დამახინჯებული და მშვიერი შვილების დე-

დის ემოციები, რომ ჩვენ, „გულქვა“ ბიგოლას მიმართ სიძულვილი, სიბრაღულით შეგვიცვალა! ბატონი თაზო კი უფრო მეტად შეგვიყვარდა!

...ახლა, 90-იან წლებში, სტუდენტობის პერიოდს და მით უმეტეს „37-წელს“ დიდი დრო გვაშორებს; ჩვენი ცხოვრება ისე შეიცვალა, რომ თანდათან გასაგები ხდება ბატონი თაზოს ბიგოლას მაშინდელი ემოციები, რაკი ახლა, ჩვენ დროშიც გახშირდა გემრიელ სმა-ჭამას მონატრებული შვილები და ამით გულდათუთქული მშობლები; მეც, თაზოს ბიგოლას მსგავსად, შვილების დამშევის შიშით ხშირად დავმდგარვარ სხვისთვის არგანაწილების ცოდვის წინაშე, მაგრამ ამ ცოდვისაგან პატარა თაზოს სიყვარულს და მისი ბიგოლას ქცევის სიძულვილს გადავურჩენივარ! მახსოვს, როცა „ახლადგალარიბებული“, ჩემთან მცხოვრები ნათესავი სტუდენტების თანდასწრებით სუფრას ვშლიდი, „ემშაკი“ მადუნებდა – მინდოდა ზოგიერთი ნუგზარი – თაფლი, კარაქი, ყველი ან ხორცი, გადამეძალა და მხოლოდ ჩემ შვილებისთვის შემენახა, მაგრამ მაშინვე თაზოს ბიგოლას ქცევით გულმოკლული, ჩუმი მტირალი პატარა ბიჭი მახსენდებოდა, „ემშაკი“ მაშინვე სადღაც იკარგებოდა, გული სითბოთი და სიყვარულით მითებოდა და დარცხვენილი, ჩემ ნათესავებს ჩემი შვილების უკანასკნელ ლუკმას ვუნაწილებდი!

##### **5. თვითრეალიზაცია**

დეკემბრის ცივი დღეები; უთენია ვიღვიძებ, გაყინულ ოთახში ადგომა მიჭირს, მაგრამ ძილის უფლება არ მაქვს – უნივერსიტეტში წასვლამდე, სკოლიდან დაბრუნებული შვილებისთვის სადილი უნდა გავაკეთო!

სწრაფად ვიცვამ; ცხრა საათზე ლექცია მეწყება – მოშუშული ხახვით, ბრინჯითა და კარტოფილით წვნიანის გაკეთებას ვიწყებ, ბოლოს „გალინა ბლანკას“ ექსტრაქტს დავუმატებ, რაც მას ხორცის არომატს მისცემს...

სადილი ოციოდე წუთში უკვე მზადაა; დილისთვის – ფაფასაც ვხარშავ!

ბავშვებს ვაღვიძებ, უმცროსს ჩაქმაში ვეხმარები... ვაი! მეც ხომ უნდა ვისაუზმო, მე ხომ საღამომდე ვერ ვისადილებ! ექვსი საათი – ლექციები, ორი საათიც გზა უნივერსიტეტამდე, იქედან – შინამდე... კარაქი მხოლოდ ბავშვებისთვის მაქვს, მას ფაფაში ვაგდებ, ჩემთვის კი ტყემლიან ბუტერბროდს ვიმზადებ!

სუფრასთან დაჯდომის დრო არ მაქვს... ამიტომ, თან წასასვლელად ვემზადები, თან, ბუტერბროდს მივირთმევ და მაგიდას რომ ჩავუქროლებ, ტკბილ ჩაისაც ზედ ვაყოლებ! ვჩქარობ... ფეხსაცმლის გაწმენდას ვეღარ ვასწრებ... არა უშავს, მეტროში მაინც დამისვრიან! ვავრბივარ. ლიფტი არ მუშაობს. კიბეებზე ჩავრბივარ, მეტრომდე ერთ გაჩერებას ფეხით ვავრბივარ, რაკი მეტროს გარდა, სხვა ტრანსპორტი არ მუშაობს; მეტროს ვაგონში მტენიან, ხან ერთ მხარეს მიმაჭყლეტენ, ხან მეორე მხარეს; მეჯიკავებიან, მაგრამ არ ვნერვიულობ, ისიც კარგია, არავინ რომ არ მეჩხუბება!

ვაგზლის მოედანზე ხალხის ტალღა გარეთ მაგდებს, მერე მეორე ხაზზე გადასასვლელ გვირაბში გათვალისწინებულზე უფრო დიდხანს „ვიჭედებით“... ვნერვიულობ, ლექციის დაწყებას 12-13 წუთიღა აკლია, ვაი თუ დავაგვიანო...



საპროფესოროში რომ შევრბივარ და ჟურნალში ხელს ვაწერ, ზარი მაშინ ირეკება; აუ, არ დამგვიანებია!

თავი წესრიგში მომყავს; ფეხსაცმლის გაწმენდას ვედარ ვასწრებ; თავს ვიმშვიდებ – სტუდენტები იფიქრებენ, რომ მეტროში დავისვარე-თქო, ვფიქრობ; ლიფტთან მომლოდინეებს ვუერთდები – ახლა მეშვიდე სართულამდე ფეხით ასვლა არ გინდა? იქნებ ამუშავდეს-თქო, ვფიქრობ. აქ ერთი ჭადარა პროფესორი კედელს მიყრდნობია და სხვა მომლოდინეებს ხმადაბლა, უნერგით ხმით ეუბნება – ლიფტი თუ არ ამუშავდა, ერთი ჭიქა უშაქრო ჩაით ვისაუზმე და მეცხრე სართულამდე ფეხით ამსვლედი – მე არა ვარო . . .

მერე კიბეებზე ფეხით, აქოშინებული ავრბივარ და გრძელ კორიდორში გამოფენილ პროფესურას ვხედავ; ისინი აუდიტორიის ღია კარებთან დგანან და მხერა კიბეებისკენ აქვთ მოპყრობილი – სტუდენტები, ალბათ, დაგვიანებით მაინც მოვლენ... კოლეგებს ვესალმები, თან თვალი ცარიელი აუდიტორიებისკენ გამიბრის; ლექცია მხოლოდ ერთ აუდიტორიაში იწყება – იქ რუსულენოვანი სტუდენტები სხედან და ლექტორის შესვლას მორჩილად ელიან.

„ჩემ“ აუდიტორიაში შევდივარ... მაგრამ... იქაც არავინაა! მცირეხანს მეც კორიდორში მდგარ გაწბილებულ კოლეგებს ვუერთდები; სტუდენტების პასიურობას ახსნას ვუძებნით – მაგათაც, რა ქნან, ზოგმა მუშაობა დაიწყო, პურის ფული მაინც რომ იშოვოს-თქო... ზოგს სოფელი გაახსენდა – „სოფელი ღონიერია-თქო“... მშიერ ბიჭებს ახლა ლექციაზე შენ გააჩერებთქო? ვამბობთ...

ამასობაში გრძელ კორიდორში თითოთოროლა დაგვიანებით მოსული სტუდენტი შემოდის, აუდიტორიაში, მომლოდინე ლექტორთან ერთად შედის და ლექციაც იწყება. ჩემთან კი – არავინ მოდის; რა ვქნა? დაველოდო? შეიძლება არც არავინ მოვიდეს, შეიძლება – მოვიდნენ კიდეც! იქნებ უტრანსპორტობის გამო იგვიანებენ? დაგვიანებით რომ მოვიდნენ და აქ არავინ დახვდეს შეიძლება? ამიტომ, უნდა დაველოდო! არადა, ამ გაყინულ აუდიტორიაში ჯდომა არ გინდა?

... ხელჩანთაში საკითხავი წიგნი მაქვს, ვცდილობ წავიკითხო, მაგრამ გულს ვერ ვუდებ; მახსენდება სტუდენტებით გაჭედული აუდიტორიები; ჩემი თავგამოდებული მცდელობა აუდიტორიის „ხელში აყვანისათვის“ საინტერესო მასალას და მისი გაცემის მეთოდებს რომ ვეძებდი და შინ მეტწილად დაღლილი, მაგრამ საკუთარი თავით კმაყოფილი რომ ვბრუნდებოდი...

ამ დილით არავინ მოვიდა!

ახლა სხვა კორპუსში, სხვა ლექციის ჩასატარებლად გავრბივარ; აქაც არავინაა; სტუდენტები სასწავლო კორპუსის წინ, მზეზე დგანან, თბებიან და ლაზღანდარობენ; ალბათ, „ჩემებიც“ იქ არიან.

საპროფესოროში ხალხმრავლობაა; კოლეგები, ერთმანეთს, თავიანთ საწუხარზე – უტრანსპორტობაზე, უშუქობაზე, პურის რიგებზე და დაგვიანებულ ხელფასებზე ესაუბრებიან...

ამასობაში მესამე ლექციაც დაიწყო (თითო ლექცია ორ-ორი აკადემიური საათია). აუდიტორიაში მხოლოდ სამი ვაჟი ზის; ჩემ დანახვაზე ისინი სიგარეტს აქრობენ, ფეხზე უხალი-

სოდ დგებიან, სალამზე სალმითვე მკასუხოვენ და მოლოდინით შემომცქერიან. ...მე მათ ზნეობის მატერიალური და სულიერ- ფსიქოლოგიური საფუძვლების შესახებ ვესაუბრები... მერე, ჩემი წუთიერი დუმილით სარგებლობენ და „აუცილებელ საქმეზე წასვლის“ ნებართვას მოხოვენ; გაწბილებული ვრჩები; მეგონა დავაინტერესე... ცოტახანს კიდევ ვესაუბრე, მთელი ჩემი სათქმელი მოკლედ შევუჯამე და გავუშვი; დიდ მადლობას მიხდებოდა; ჩემ მიერ მინიჭებული თავისუფლებით ბედნიერები, მპირდებიან, რომ ორშაბათიდან სერიოზულ მეცადინეობას დაიწყებენ, მემშვიდობებიან, მიდიან და, როგორც ცოტახანს შემდეგ ვხედავ – კორპუსის წინ, თანატოლებთან ერთად მზეზე დგანან, თბებიან და უდარდელად იცინიან.

...მე უკვე ამოვწურე ჩემი „სამუშაოდღე“; ახლა ჩემი თავით უკმაყოფილო, მაგრამ მაინც დაღლილი, შინ მივდივარ, რათა ხვალინდელი „სამუშაოდღისთვის“ ისევ ფაცაფუცით მოვემზადო, რათა ცარიელ აუდიტორიებში „მოვკლა“ დრო!..

...არა! უმჯობესია თავი „მთხველოთერაპიას“ შევაფარო, თორე – გული გამისკდება!

**P.S.**

**2000 წელი:** ქვეყნის მდგომარეობა ერთგვარედ გამოსწორდა, ახალგაზრდობა ცოდნის შეძენისკენაც „შემობრუნდა“, მეც ცოდნის გაცემის სტიმული მომეცა და სიცოცხლის ხალისი დამიბრუნდა.

**2015 წელი:** იმ „უბედური „90-იანი წლების“ შემდეგ ორჯერ მოხდა ე.წ. „განათლების სისტემის რეფორმა“; სწავლების პროცესი, ერთხანს კიდევ გაუმჯობესდა, მაგრამ ახლაც ისევ რეფორმის მოლოდინში ვართ – განათლების ტრადიციულ მეთოდებს ძლიერი კონკურენტი – კომპიუტერი გამოუჩნდა! არ ვიცი, როგორ წარმართება შემდგომი რეფორმა, მაგრამ იმედი მაქვს ამ სფეროს მკვლევრები იმ „ჯადოსნურ“ მეთოდებს შემოგთავაზებენ, რაც ახალ თაობას მეცნიერების მიერ უკვე აღმოჩენილის შესწავლის, გამოყენებისა და შემდგომი განვითარების სტიმულს მისცემ, რაშიც მათ ძველი და ახალი კადრები დაეხმარებიან!





## დემნა კვარაცხელია

### სკამის მაგია

„ზოგი მოძღვარია, ზოგიც ცრუ მოძღვარი, ზოგი მახშვია და ზოგიც განაზი, ზოგი ექსპერტია, ზოგიც „ექსპონანტი“, ზოგი პროფესორია, ზოგიც დელეგანტი, ზოგი მინისტრია, ზოგი კი პროფანი.

ვაზელინის პოლიტიკის წყალობით, ზოგი პროფანი ან ექსპერტია, ან მინისტრი, ან ან პროფესორი, ან ერთდროულად ექსპერტიც, მინისტრიც და პროფესორიც.

დიდება ერთი შეხედვით უწყინარ ვაზელინს, მლიქვნელობის, პირ-მოთნეობის, ფარისევლობისა და ქვემდრომელობის ერთგვარ სინონიმს, მათ ვირტუალურ საზომს. მის (აგრეთვე ნეპოტიზმის და კორუფციის) გარეშე ხომ მრავალთა ოცნებას ცივი წყალი გადაესხმებოდა.

ვაზელინის პოლიტიკას, ალბათ, არსად ისეთი გასავალი არ აქვს, როგორც საქართველოში. ამიტომ მისი საყოველთაო სწავლების მიზნით ფრიად საშურია საშუალო სკოლებში შესაბამისი კურსის შემოღება. იმე-დია, ეს პრობლემა რომელიმე მეგობარი ქვეყნის, ან რომელიმე საერ-თაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ორგანიზაციის ფინანსური მხარ-დაჭერით სწრაფად მოგვარდება, რაც მომავალ თაობას საშუალებას მის-ცემს სკოლის ასაკიდანვე ეზიაროს ვაზელინის პოლიტიკის უფაქიზეს ნიუანსებს.

მთავარი ისაა, რომ უკლებლივ ყველას ეცოდინება კონკრეტულ სიტუაციაში წარმატების უზრუნველყოფი ქვეყნის წესი. ნეპოტიზმი და კორუფციაც წაშველებს ხელს და საქართველოც გაბრწყინდება“.

მინისტრის მოადგილე ხშირად ატარებდა თავის დროზე მთელ საბ-ჭოეთში საყოველთაოდ აღიარებულ ყოველკვირეულ თათბირებს. საბჭო-თა კავშირში დემონიზმი კომუნის-ტურ იდეებში გარდაისახა და მმართველი პარტიის იდეოლოგიის დედა-ბოძი გახდა. პარტიულ დაწესებულე-ბებში, საწარმოებსა თუ ორგანიზაცი-ებში თათბირების ჩატარება და ხელ-მძღვანელი პირის მიერ წარმოთქმულ ყოველ წინადადებაზე „მხურვალე“ ტაშის დაკვრა, აღნიშნული იდეოლო-გიის ადამიანთა ცნობიერებაში დამ-კვიდრების უებარ საშუალებას განი-

ხილებოდა. ყოველკვირეული თათ-ბირები ემსახურება ხელმძღვანელ პირთა ძალაუფლების წარმოჩენა-დე-მონსტრიერებასაც. ამიტომ, თათბირე-ბი მთელ ქვეყანაში ტარდებოდა, მი-უხედავად იმისა, ამის საჭიროება არ-სებობდა თუ არა. განიხილავდნენ როგორც მნიშვნელოვან, აგრეთვე უმ-ნიშვნელო, მეორეხარისხოვან, ერთი შეხედვით სასაცილო და წვრილმან საკითხებსაც კი. იმ შემთხვევაში, რო-ცა ნაბახუსევზე ხელმძღვანელი პირი უგუნებოდ იმყოფებოდა, სერიოზუ-ლი განსჯა-მსჯელობის საგანს წარ-მოადგენდა ის, თუ რა იყო ასეთ

დროს უმჯობესი: ცხელი ხაში, მინერალური წყალი, თუ ერთი-ორი ჭიქა ღვინო და ა.შ.

თანამშრომლებთან კომუნიკაციის აღნიშნულმა წესმა განსაკუთრებით მახინჯი ფორმები მიიღო 1991-92 წლების მიჯნაზე განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, როდესაც ხელმძღვანელმა პირებმა სრული კარტ-ბლანში მიიღეს საკუთარი ბიწიერი ზრახვების განხორციელებლად და ძალაუფლების წყურვილის დასაკმაყოფილებლად. პუტჩის გზით ხელისუფლებაში დასხვა დონის დაწესებულებათა ხელმძღვანელ თანამდებობებზე დაწინაურებულ ვაირევიოლუციონერები ძალაუფლების ტკბობას მიეცნენ. მათ განსაკუთრებულ სიამოვნებას ანიჭებდათ თათბირებზე ხელქვეითთა, ერთი შეხედვით, სერიოზული, მაგრამ ამავე დროს მორჩილი და უაზროდ გამოთავყვანებული სახეების ცქერა.

მინისტრის მოადგილე ამ მხრივ გამონაკლისი ვერ იქნებოდა. საბჭოურ, აგრეთვე ეროვნული ხელისუფლების მმართველობის პერიოდში თათბირებზე დაგვიანების უფლებას არც საკუთარ თავს და არც თანამშრომლებს არ აძლევდა. სამხედრო გადატრიალების შემდეგ კი თავი აიშვა: თათბირზე მინიმუმ ერთი საათით დაიგვიანებდა. თანამშრომლებისთვის კი სავალდებულო იყო დანიშნულ დროზე სათათბირო ოთახში გამოცხადება. დარბაზში მინისტრის მოადგილის შემოსვლისას უკლებლივ ყველანი ფეხზე უნდა წამოდგარიყვნენ და თავის დახრით მიგებებოდნენ, რათა მას საკუთარი პერსონის განსაკუთრებული მნიშვნელობა შეეგრძნო. ისიც დარბაზს

თვალს ამაყად მოავლებდა, იქ მყოფთ თვითკმაყოფილი იდიოტის გაბღენძილი იერით მიესალმებოდა და მაგიდას მიუჯდებოდა. მისი თანაშემწეც მაშინვე მასთან მიცუნცულდებოდა, გვერდით მიუსკუპდებოდა და თაბახის ფურცლებს წინ დაულაგებდა, სადაც თათბირზე განსახილველად მასთან წინასწარ შეთანხმებული საკითხები იყო ჩამოწერილ-ჩამოწიკვიკვიებული. მინისტრის მოადგილე მათ გადახედავდა, სახის უკმაყოფილო გამომეტყველებით რაღაცას გადახაზავდა, რაღაცას კი ჩასწორებდა, შეცბუნებულ თანაშემწესაც რაღაც უადგილო შენიშვნას მისცემდა, შემდეგ მედიდური გამომეტყველებით დარბაზს მიუბრუნდებოდა და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების გარშემო საუბარს დაიწყებდა.

შეუძლებელია მსმენელს არ მოსწონებოდა მისი დიქცია და საუბრის დამაჯერებელი მანერა. საოცრად თავდაჯერებული და რიხიანი ხმის წყალობით, საკუთარი აზრის სისწორეში საქმის არსში გაუცნობიერებელი ადამიანების დარწმუნებას ადვილად ახერხებდა. არადა შინაარსისა და საქმის ცოდნის თვალსაზრისით მისი ნათქვამი ხშირად მეტისმეტად უსუსური და რეალობასთან შეუსაბამო იყო. კოჭებშივე ეტყობოდა, რომ კომკავშირის სკოლა ჰქონდა გამოვლილი, რომელიც მისნაირების სამჭედლოს წარმოადგენდა. კომკავშირი, სიყრმის ასაკიდანვე სწავლობდნენ – საუბრის თავხედურად თავდაჯერებული მანერით – უცოდინრობის გადაფარვის ხელოვნებას.

მინისტრის მოადგილის საუბარში შეუსაბამობა-უაზრობას დამსწრეთა დიდი ნაწილი ამჩნევდა, მაგრამ ხმის

ამოღებას ვერავინ ბედავდა. ძალიან იშვიათად, მხოლოდ მაშინ, როდესაც მოვლენებისა და ფაქტების დამახინჯება ყოველგვარ ზღვარს გადაცდებოდა, რომელიმე მათგანი რაღაც ზეთაგონების შედეგად გამბედაობას მოიკრებდა და საქმის ჭეშმარიტი არსის შესახებ საკუთარ აზრს შემცბარი მოკრძალებით გამოთქვამდა. ასეთ შემთხვევაში, მინისტრის მოადგილის რეაქცია დამოკიდებული იყო მის გუნება-განწყობილებაზე. კარგ ხასიათზე ყოფნისას თანამშრომლის მხრიდან ასეთ „გამოხტომას“, ერთი შეხედვით, მშვიდად და უმტკივნეულოდ გაატარებდა, თუმცა თათბირის შემდეგ მას, მასთან დაახლოებულ თანამშრომლებთან, ათასგვარი შეურაცმყოფელი სიტყვებით შეამკობდა. ამასთან, მისი ავტორიტეტის შერყევას ათასგვარი ცილისწამებითა და ბინძური ჭორების გავრცელებით შეეცდებოდა. ხოლო, თუკი გუნებაზე არ იყო, მაშინ თვით ყველაზე უწყინარ შენიშვნა-მინიშნებაზეც კი, სახე სიბრაზისაგან ნაკვერჩხალივით გაუწითლდებოდა და ნახევრად ყვირილის ხმით შეკრებილთა დამოძღვრას იწყებდა. მისი აზრით, მას ყველაფერი აწონილ-დაწონილი ჰქონდა, მან ყველაფერი იცოდა, უფრო მეტიც, მას ზემოთ ყველაფერი შეთანხმებული ჰქონდა და მისი ნათქვამი ხელქვეითების მხრიდან კორექტირებას არ ექვემდებარებოდა.

ასეთი „ყოვლისმცოდნეობა“ არამხოლოდ თანამდებობებზე დაწინაურებულებს შორის გვხვდებოდნენ. მათ მსგავსი ტიპაჟებით სავსეა სამყარო. მარჯვნივ თუ მარცხნივ, წინ თუ უკან, საითაც არ უნდა გაიხედო, ყველგან, „ყოვლისმცოდნე“ ტიპების ბუმი. ისწავლი, იშრომებ, დღესა და

ღამეს გაათენებ და რაღაც ღირებულს, შესაძლოა მცირედს, მაგრამ მაინც ღირებულს შექმნი. ამ დროს შეგხვდება ვიღაც შარახვეტია, შესაძლოა ძალიან ახლობელი ადამიანი, რომელსაც ერთი-ორი წიგნი წაუკითხავს და თავი ყოვლისმცოდნედ მოაქვს. უსაქმურობისაგან მოწყენილმა არ იცის, რა ქნას და რით გაერთოს. დიდი გულშემატკივარივით გამოგკითხავს პირადი ცხოვრების, ოჯახის წევრების, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სამსახურებრივი საქმიანობის შესახებ. თუკი მისი გულისხმიერებით მოხიბლულმა მოკრძალებით აღნიშნე, რომ შემოქმედებითი კუთხით რაღაც წინსვლა გქონდა, ჩათვალე, რომ შენი საქმე წასულია, „გულშემატკივარი“ ყველაფერს გაგიბითურებს, მენტორული ტონით გეტყვის, რომ რაც შენ გიწვალ-გიფიქრია და რაც გაგიკეთებია, მან ყველაფერი ისედაც იცოდა ან განუცდია და მისთვის ახალი არაფერია. ზრდილობის, თავაზიანობისა თუ სხვა ადამიანური მიზეზების ზეგავლენით (ბოლოსდაბოლოს, არ გინდა რეგვენი ახლობლის, მაგრამ მაინც ახლობლის, დაკარგვა, რადგან თუკი ასეთ ადამიანებთან დაპირისპირების გზას აირჩევ, ძალიან ბევრ ახლობელ ადამიანთან მოგიწევს განშორება და შესაძლოა მარტოც კი დარჩე) იძულებული ხარ საკუთარ თავს მოერიო და კვერი დაუკრა, რომ შენს საქმიანობაში არაფერია საყურადღებო, მით უფრო განსაკუთრებული და მან. რა თქმა უნდა, ყველაფერი იცის. თავად კი ის იცი, რომ მან სინამდვილეში არაფერი იცის. რამე რომ იცოდეს, ქაღალდს ააჭრელებდა, ყველაფერს მასზე გადაიტანდა და მთელ ქვეყანას გააგებიანებდა ან სოკრატესავით მსმენელებს

შემოიკრებდა და თავისი ცოდნითა და ინტელექტით მათი გონების დაპყრობას შეეცდებოდა.

ყოვლისმცოდნეობის მანიის მოძალებისას მინისტრის მოადგილესთან კამათს აზრი არ ჰქონდა. ამიტომ, ასეთ შემთხვევაში დარბაზი გაისუსებოდა და მორჩილად კვერს უკრავდა. ამაში არაფერი იყო არაბუნდოვანი. იშვიათი გამონაკლისის გარდა, თათბირის მონაწილენი, არც სხვა დროს, როცა მინისტრის მოადგილე შედარებით ლოიალური იყო მათი აზრის მიმართ, თავს არ იწუხებდნენ მისი მცდარი მოსაზრების საწინააღმდეგო და ობიექტურად მიზანშეწონილი ალტერნატიული წინადადების წარმოდგენით. უპირველეს ყოვლისა, ისინი თავს იზღვედნენ მისგან მოსალოდნელი რისხვისაგან, მეორე მხრივ კი პასუხისმგებლობას გაურბოდნენ. ამიტომ ყოველთვის ცდილობდნენ საუბრის წარმართვას ბოსისთვის სასურველ კალაპოტში.

მხოლოდ გიორგი აძლევდა საკუთარ თავს მასთან შინაგანად, ხშირად კი ღიად დაპირისპირების უფლებას. ის დარბაზში უკანა სკამზე ჯდებოდა და სხვების ზურგს ამოფარებული ან გაზეთს კითხულობდა, ან კიდევ მორჩილებისაგან გამოჩენჩებულ-დაბეჩავებულ თანამშრომელთა კარიკატურებს ხატავდა. ამის გამო მინისტრის მოადგილემ რამდენჯერმე თათბირზე დასწრება აუკრძალა. დასჯის ასეთ ფორმას სხვები ტრაგედიად აღიქვამდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მინისტრის მოადგილე მათ აზრს არსებით მნიშვნელობას არ ანიჭებდა, უფრო მეტიც, ხშირად ლაზათიანად გამოლანძღავდა კიდევ, მაინც სურდათ, რომ თათბირს დასწრებოდნენ. თათბირზე დასწრება, მათთვის

თვითრეალიზაციისა და საკუთარი პერსონის წარმოჩენის, დანარჩენებთან შედარებით უპირატესობის შეგრძნებისა და ამ უპირატესობით კვლავობის განსაკუთრებულ სამუალებას წარმოადგენდა. გიორგის კი თათბირზე არდასწრება უხაროდა, ვინაიდან თათბირზე უაზროდ ჯდომას მასზე დაკისრებული სამუშაოს დროულ შესრულება ამჯობინებდა, რაც მას სამუშაო დღის დამთავრებისთანავე სახლში წასვლისა და თავისუფალი დროის ეფექტიანი გამოყენების საშუალებას აძლევდა.

მინისტრის მოადგილეს იგი შეუპოვარი ხასიათის გამო გულზე არ ეხატებოდა. ის სრულიად მისი ანტიპოდი იყო. მაგრამ სამსახურიდან მაინც არ ათავისუფლებდა. გიორგისადმი ასეთი დამოკიდებულება განპირობებული იყო არა მინისტრის მოადგილის მიერ სხვისი ღირსების დაფასების უნარით და/ან გულმოწყალებით, არამედ პირადად მისი საკუთარი ინტერესებით. მისდამი დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულების მთელ სამუშაოს ხუთი-ექვსი კაცი ასრულებდა, მათ შორის განსაკუთრებული ადგილი გიორგის ეკავა. ამიტომ, მინისტრის მოადგილე, პრაგმატული მოსაზრებიდან გამომდინარე, გიორგისთან ღია დაპირისპირებას ერიდებოდა, თუმცა ზურგს უკან ძირს უთხრიდა, ყოველნაირად ცდილობდა მისი ავტორიტეტისათვის ჩრდილის მიყენებასა და თანამდებობრივ კიბეზე წინსვლისთვის ხელის შეშლას. მას გიორგი სამსახურში სჭირდებოდა, როგორც საქმის შემსრულებელი, მაგრამ დაწინაურების ყოველგვარი პერსპექტივის გარეშე. გიორგიმ ეს მშვენივრად უწყოდა, მაგრამ ღია დაპირისპირება და

ამკარა კონფლიქტი არც მას აწყობდა, ვინაიდან მფარველი და პატრონი საკუთარი თავის გარდა არავინ ჰყავდა. ამიტომ მინისტრის მოადგილესთან ურთიერთობაში დისტანციას მაქსიმალურად იცავდა. ხმას მხოლოდ მაშინ იღებდა, როცა საუბარი მის ფუნქციებს ეხებოდა და ნებისმიერ საკითხზე კვალიფიციურ შეფასებას იძლეოდა. სხვის საქმეებში არ ერეოდა, ვინაიდან მიაჩნდა, რომ საკუთარი თავის დაცვა თითოეული ადამიანის ბუნებრივი უფლებაა. იგი მხოლოდ იმ თანამშრომლებს ესარჩლებოდა, რომლებსაც უსაფუძვლო ბრალდებებისგან თავის დაცვა ღირსების საქმედ მიაჩნდა. სხვა დანარჩენ შემთხვევაში კი ჩუმად იჯდა. იგი თვლიდა, რომ ადამიანი სამართლიანი უნდა იყოს და სამართლიანობის დასაცავად უნდა თქვას ის, რაც იცის. ამასთან ის აცნობიერებდა, რომ ხშირად სიმართლის თქმა საზიანოა და თავად მთქმელისთვის და/ან გარემომოყვანისთვის. ადამიანის ჭეშმარიტ ბუნებას ხშირად გვიმხელს არა მისი ნაუბარი, არამედ მისი დროული დუმილი, ანუ უთქმელის გულში შენახვის უნარი – ყოველ შემთხვევაში საჭირო დრომდე, რადგან ნათქვამია: „კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდაო“.

მინისტრის მოადგილე, ძალიან იშვიათად, მაშინ როდესაც მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა დაემთხვეოდა მის კარგ გუნება-განწყობილებას, თანამშრომლებს დისკუსიის ნებას რთავდა, ოღონდ მის მიერ წინასწარ განსაზღვრული ჩარჩოს საზღვრებში. ხელმძღვანელისა და კოლეგების წინაშე საკუთარი პერსონის წარმოჩენის ამ „უნიკალურ“ შანსს თითქმის არავინ უშვებდა ხელიდან.

ისინი ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ და „საკუთარ“ აზრს „დაუფარავად“ გამოთქვამდნენ, თან მინისტრის მოადგილეს მონურ-მორჩილად შესციცინებდნენ თვალეზში და მაქსიმალურად ცდილობდნენ მათი ნათქვამი მის შეხედულებასთან წინააღმდეგობაში არ მოსულიყო. როდესაც საუბარი გასცილდებოდა მისთვის მისაღებ ჩარჩოს ან მისი შეზღუდული გონებისთვის აღსაქმელ პარამეტრებს, მაშინ დირიჟორის როლში მყოფი მინისტრის მოადგილე მასში ჩაერეოდა და დისკუსიას ისევ მისთვის სასურველ კალაპოტში ჩააყენებდა.

უაზრო საუბარი და პრაქტიკულად იდენტური აზრების გაცვლა-გამოცვლა 4-5 საათს და ხშირად მეტ ხანსაც გრძელდებოდა. კამათის მონაწილენი, თითქმის ერთსა და იმავე შეხედულებას, მცირეოდენ განსხვავებული რაკურსით, მრავალგზის წაღმა-უკუღმა ატრიალებდნენ. საკუთარი მნიშვნელობის შეგრძნებისა, თუ ხელმძღვანელის წინაშე აქტიურობის დაფიქსირების მიზნით ერთსა და იმავე აზრს თუთიყუშივით იმეორებდნენ მაშინაც კი, როდესაც საკითხი სრულიად ნათელი იყო და განსხვავებული აზრის დაფიქსირება შეუძლებელს, უფრო მეტიც, უაზრობას წარმოადგენდა. თუმცა განსხვავებული აზრის დაფიქსირება მათი მიზანი არც იყო. ამის საშუალებას წინასწარ განსაზღვრული დისკუსიის ფორმატიც არ იძლეოდა. ამიტომ, თითოეული მათგანის გამოსვლა იწყებოდა შემდეგი სიტყვებით: „მეც ვეთანხმები წინა გამომსვლელს...“ და ა.შ. ამასთან მათ ნათქვამში არ ჩანდა არც განსხვავებული აზრი და არც დამოუკიდებელი აზროვნება. თითოეული

მათგანის გამოსვლა მთავრდებოდა მინისტრის მოადგილის ხოტბა-დიდებით, რომ მან ასეთი მნიშვნელოვანი საკითხი წამოწია სადისკუსიოდ.

გიორგი ამ საუბარში არ ერეოდა. სახეზე ოდნავ შესამჩნევი ღიმილი დასთამაშებდა. მას ზიზღს ჰგვრიდა ქლესა ადამიანების შესრულებით გამართულ ამ უაზრო დისკუსიში მონაწილეობა, თუმცა ვერც იმას ვიტყვით, რომ არ მოსწონდა მათი ლაქლაქის მოსმენა. ეს მისთვის ერთგვარი გასართობი, ერთგვარი თეატრალური წარმოდგენა იყო, სადაც რეჟისორისა და მსახიობების როლს – ეიფორიაში მყოფი მინისტრის მოადგილე და უმისამართო ქაქანისაგან დაუჟმურებული თანამშრომლები ასრულებდნენ.

მინისტრის მოადგილე საკუთარ ხელქვეითებს ზემოდან უყურებდა, მაგრამ ზემდგომების წინაშე მორჩილებით, მიწაზე მძრომელობითა და მლიქვნელობით იგი მათ ბევრად აღემატებოდა. მისი მორალური კრედო ემყარებოდა ადამიანებს შორის მკაცრად იერარქიული დამოკიდებულების კონცეფციას. ამასთან ადამიანების თანაცხოვრების წესის განმსაზღვრელ ფაქტორად ჯუნგლების მკაცრ კანონებს აღიარებდა. მიაჩნდა, რომ ქვემდგომები მას უნდა მომსახურებოდნენ როგორც ბატონს, როგორც მბრძანებელსა და მამა-მარჩენალს. დაშინებულ-დამონებულ ხელქვეითებთან ურთიერთობა ძალაუფლებისა და განდიდების მანიას უკმაყოფილებდა, თუმცა კმაყოფილება სრული არ იყო. მისი ყოფის კომიკური ტრაგიზმი იმაში გამოხატებოდა, რომ სოციალური კიბის საფეხურებზე მხოლოდ მასზე დაბლა მდგომთა დაბეჩავებით უნდა დაკ-

მაყოფილებულიყო, ხოლო მაღლა მდგომთ კი თავად უნდა დამორჩილებოდა და მათ წინაშე მიწაზე ქვემძრომივით ეხოხიალა. ასეთი დამამცირებელი როლის შესრულება დიდად არ ეპიტნავებოდა, მაგრამ ზემოაღნიშნული კონცეფციის მართებულობის რწმენა და ჯუნგლების სამყაროში თვითგადარჩენის ინსტიქტი აიძულებდა ბედისადმი მორჩილებას და აღნიშნული როლის უდრტვინველ შესრულებას.

მას ჰქონდა კომფორმისტულ სამყაროში თვითგადარჩენისა და წინსვლისთვის აუცილებელი ინსტიქტები და თვისებები. საოცრად სხარტი და სათავისოდ მოქნილი აზროვნებითაც გამოირჩეოდა. სამინისტროში ყველას პირზე ეკერა მასთან დაკავშირებული ერთი სახასიათო შემთხვევა.

ერთხელ 80-იანი წლების დასაწყისში, აგვისტოს თვეში, შუადღისას, პაპანაქება სიცხეში, ერთი საშუალო დონის ასპირანტი, რომელიც პარალელურად სამინისტროში სპეციალისტად მუშაობდა, ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის ფოიეში გამოჩნდა და რექტორის თანაშემწედ მომუშავე მეგობრის კაბინეტი შეაღო. ურთიერთმოკითხვის შემდეგ გაკვირვებულმა მასპინძელმა ჰკითხა: „ამ პაპანაქება სიცხეში აქ რამ მოგიყვანაო“.

– რექტორთა მოვედი, – უპასუხა სტუმარმა და შუბლიდან ცხვირსახოცით ოფლის წვეთები მოიწმინდა, – ერთი თვის წინ ერთ-ერთი სტუდენტისთვის მაღალი ნიშნის დაწერავთხოვე. იმ სტუდენტის მამა სამინისტროში მაღალ თანამდებობაზე მუშაობს და ახლა მისი პროტექცია თავად მიხდება. მიხდა გავიგო მისასვლელი პირი თუ მაქვს, – წამით



ჩაფიქრდა, თითქოს რაღაცას იხსენებ-  
სო, – ორი კვირა მოსკოვში ვიყავი და  
რექტორმა დანაპირები შემისრულა  
თუ არა არ ვიციო.

– რა პრობლემაა, რექტორთან  
შევიდეთ და ვკითხოთ“, – მხიარულ-  
ლად თვალი ჩაუკრა და რექტორის  
კაბინეტისკენ გაუძღვა.

რექტორს სტუმრის დანახვისას სა-  
ხე გაებადრა და შორიდანვე შეაგება:  
„როგორც ყოველთვის, დანაპირები  
შეგისრულე, იმ სტუდენტისთვის  
უმაღლესი შეფასება დავაწერინეო“

სტუმარმაც უმაღლესი დაყნოსა სიტუა-  
ცია, – „ვიცი და მეც მადლობის სა-  
თქმელად გეახელიო“, – არც აცია ისე  
უპასუხა და დიდი ამბით გადაეხვია  
მის შესახვედრად სავარძლიდან წა-  
მომდგარ რექტორს.

ნანახ-მოსმენილით გაოგნებულ-  
თვალედაჭყეტილი მეგობარი კი კუ-  
თხეში ობოლი ბავშვივით აიტუხა.

სტუმარ-მასპინძელმა აქეთურ-  
იქეთურზე მცირე ხანი ისაუბრეს, მე-  
რე კი სტუმარი რექტორს დაემშვი-  
დობა და თავის გზას გაუდგა.

მასზე რექტორი მთელი დღე თა-  
ნამშრომლებთან ერთსა და იმავეს  
იმეორებდა: „რა კარგი ბიჭია, ამ  
პაპანაქება სიცხეში მადლობის სათქ-  
მელად და აქ მოსასვლელად, მის  
გარდა სხვა ვინ შეიწუხებდა თავსო“.

ბოროტი ხმები ამბობდნენ, რომ  
რექტორმა მნიშვნელოვანი როლი  
შეასრულა მის სამსახურებრივ წინსვ-  
ლაში და მინისტრის მოადგილედ  
დაწინაურებაში. ეს, ალბათ, სიმართ-  
ლე იყო, რადგან მინისტრის მოად-  
გილე წელიწადში 3-4 ჯერ, მძლოლის  
ხელით მდიდრულ ძღვენს (ციკნის,  
გოჭის, ინდაურის, თუშური ყველის,  
ჩურჩხელების, თავლის და ორი-სამი  
ბოცა ღვინის და ა.შ. შემადგენლო-

ბით) უგზავნიდა. რექტორიც საჭირო  
ხალხში მუდამ აქებ-ადიდებდა: „რა  
კარგი ბიჭია ეს ჩვენი მინისტრის მო-  
ადგილეო“.

მოკლედ რომ ვთქვათ, მინისტრის  
მოადგილემ კარგად იცოდა თავისი  
საქმე. ეს ცოდნა სისხლში ჰქონდა  
გამჯდარი, რაც მისი ემოციების სტა-  
ბილურობას უზრუნველყოფდა, რისი  
წყალობითაც ერთხელ არჩეულ გზას  
არასოდეს დალატობდა: სოციალური  
კიბის ზედა საფეხურზე მყოფთ დაუ-  
ფარავად ეპირფერებოდა, ხოლო და-  
ნარჩენებს კი არარად აგდებდა.

მას, არეული დროის ღვიძლ  
შვილს და დროის დინებასთან შერ-  
წყმულ არსებას, ღმერთის არ სწამდა  
და ადამიანიც არარად, მიწიერ ქმნი-  
ლებად მიაჩნდა. ღმერთს განიხილავ-  
და, როგორც ადამიანის გონების  
პროდუქტს, ადამიანური აზროვნე-  
ბის მიერ დამკვიდრებულ ცნებას –  
რეალური ძალის, ძალაუფლებისა და  
სტიმულების გარეშე. იგი მხოლოდ  
ამა ქვეყნის ძლიერთ აღიარებდა,  
რომლებსაც რეალური ძალაუფლება  
და ფული ჰქონდათ, რისი წყალო-  
ბითაც ხელეწიფებოდათ ადამიანების  
დასჯაც და წახალისებაც. ამიტომ,  
დროსთან ერთად ცხოვრობდა, დრო-  
ის დინებას მიჰყვებოდა და მარადი-  
ულ ფასეულობებზე ფიქრით თავს არ  
იწუხებდა. ღმერთთან დამოკიდებუ-  
ლებაშიც პრაგმატული მოსაზრებით  
ხელმძღვანელობდა. ერთ-ორჯერ სუ-  
ფრაზე წამოცდა: „ღმერთის არსებობა  
რომ ვირწმუნო და მასზე რომ ვი-  
ფიქრო, მაშინ ამქვეყნიურ სიკეთეზე  
და მათ მიღწევის გზებზე უარი უნდა  
ვთქვაო“. ამიტომ ღმერთისადმი  
რწმენის არც სურვილი და არც მო-  
თხოვნილება არ გააჩნდა. ღვთის  
მორწმუნეებს კი აბორჯებულებს ემა-

ხდნენ და ჩუმრუმად დასცინოდა. მისწარებისთვის საუცხოო ჟამი სუფევდა და ისიც ამით უსაზმნო ტკბობას განიცდიდა.

ერთხელ, სამხედრო გადატრიალების შემდგომ პერიოდში, ერთ-ერთი ასეთი თათბირის მსვლელობისას, მინისტრმა დაურეკა და თავისთან დაიბარა. ყურმილში მინისტრის ხმის გაგონებაზე ერთნაირად აცხადებდა, სახეზე ფერი წაუვიდა, წამით მუხლებიც მოეკვეთა და სავარძელზე მკვდარივით მიესვენა, მაგრამ გონს მალევე მოეგო, ინსტინქტურად ფეხზე წამოხტა და წელში მოღუნულ-მოკაკულმა, დაძაბული სახით მოისმინა მისი ბრძანება. ყურმილის დადებისთანავე მაგიდაზე დაყრილი ქაღალდები აკრიფა, საქაღალდეში სწრაფად ჩატენა და გასასვლელისკენ ჩქარი ნაბიჯით გაემართა. კარის ზღურბლთან რამდენიმე წამით შეყოვნდა და თათბირის მონაწილეებს მიაძახა: „მინისტრმა რაღაც მნიშვნელოვანი საკითხის განსახილველად გამოიძახა, როგრც კი გავთავისუფლდები, მაშინვე დავბრუნდები, არ დაიშალოთ, დამელოდეთო“ და გარეთ შურდულივით გავარდა.

დარბაზში მყოფმა ხალხმა შვებით ამოისუნთქა. ზოგიერთი სიგარეტის მოსაწევად აივანზე გავიდა, სხვებმა კი ერთმანეთთან საუბარი გააბეს.

გიორგიმ მათ მცირე ხანი უყურა, შემდეგ წამოდგა და მინისტრის მოადგილის მაგიდისკენ გაემართა, მისი სავარძელი გამოსწია და მასში მოკალათდა. მაგიდაზე დარჩენილი საქაღალდეები გვერდზე გადააჩოჩა, სავარძელს ზურგით მიეყრდნო და დარბაზში მყოფთ ალმაცერად გადახედა. რამდენიმე წუთის წინ ბოსის

წინაშე ქედმოხრილი და ენამოჩლეკით მოსაუბრე თანამშრომლების ღირსებით აღსავსე გამომეტყველებამ და ერთმანეთთან რაღაც წვრილმან საკითხებზე სერიოზულმა მსჯელობამ მხიარულ ხასიათზე დააყენა. გადახარხარება და მათი მასხრად აგდება მოუნდა, მაგრამ ზრდილობამ თუ ზნეობამ ამის გაკეთების უფლება არ მისცა და თავი შეიკავა. გონება დაძაბა და ძალაუფლების ხიბლის შესაცნობად, განდიდების მანიით შეპყრობილი მინისტრის ადგილას საკუთარი თავის წარმოდგენა სცადა. თავიდან არაფერი გამოუვიდა, მაგრამ თავს ძალა დაატანა, თვალები რამდენიმე წამით დახუჭა, საკუთარ თავს შთააგონა, რომ ნადვილად მინისტრის მოადგილე იყო და ხელქვეითთა მართვა და მათი ბედის გადაწყვეტა სურვილისამებრ შეეძლო. მისთვის შეუცნობელი რაღაც ძალის გავლენით შედეგმაც არ დააყოვნა. თითქოსდა სხვა განზომილებაში გადავიდა. დარბაზში მყოფმა თანამშრომლებმა მის თვალში ჩვეულებრივი ადამიანური სახე მიწიერად დაკარგეს: ზოგი ელემენტებიან სათამაშო თოჯინად იქცა, ზოგი კი ჯოგს დაუმორჩილებელ და მათრახით სამართავ, მაგრამ მაინც მართვად წევრებად, სხვები კი სალაფავის მოლოდინში მიწაზე მორჩილად მფორთხავ ორფეხა არსებებად.

ვინაიდან საუბარში იყვნენ გართულები. გიორგის თავხედული გამოხდომა თავიდან თითო-ოროლამ თუ შეამჩნია. მათ ეგონათ, რომ გიორგი სწრაფად დაუბრუნდებოდა ჩვეულ ადგილს და ამიტომ მას „სათანადო“ ყურადღება არ მიაქცევს. გავიდა რამდენიმე წუთი, მაგრამ გიორგი სავარძლიდან წამოდგომის

არანაირ სურვილს არ ამჟღავნებდა. პირიქით, სავარძელში თავგასული მზრძანებლივით მოხერხებულად მოკალათდა, ფეხები მაგიდაზე დააწყო და დარბაზში მყოფთ ზიზღნარევი თვალებით მიაჩერდა. აშკარა იყო, რომ მათ გამოწვევას ცდილობდა. ვალში არც მოპირდაპირე მხარე დარჩენილა. მათ მას აშკარად დამცინავი ღიმილით დაუწყეს ყურება. ერთმანეთმა კიდევაც მიაძახა: „ფრთხილად იყავი, ემანდ უფროსმა არ მოგისწროს, თორემ იფიქრებს რომ მის ადგილს იმიზნებ და აქედან კინწისკვრით გაგაგდებსო“. ამ შემახილზე ურთიერთსაუბარში გართულებიც გამოფხიზლდნენ და გაცეცხლებული მზერა მას მიაპყრეს.

ზმანებიდან გამორკვეულ გიორგის ქილიკისათვის ყურადღება არ მიუქცევია. ამისთვის არც ეცალა, რადგან მიღებული შთაბეჭდილებებისგან ბოლომდე ვერ გათავისუფლდა: მის წინ მყოფი ადამიანების სახეები თითქოსდა გაუფერულდა და გაფერმკრთალდა, მათ მის თვალში დაკარგეს ღვთაებრივი დანიშნულება და მიზნის მიღწევის საშუალებად იქცნენ.

რამდენიმე წამით ორმხრივი სიჩუმე ჩამოწვა. გიორგის უაღრესად ზიზღნარევი დაჟინებულმა მზერამ ბევრი გააღიზიანა, მათ ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს. გიორგიმ სიჩუმით ისარგებლა და ერთ-ერთ თანამშრომელს მკაცრად მიმართა, „არ გრცხვენია ასე წვერ-

გაუპარსავი, რომ დადიხარ, ოჯახში ხარ გაზრდილი თუ ქუჩაშიო“, მერე გაცეცხლისაგან მეტყველებადაკარგულ ხალხს სულის მოთქმა არ აცალა და ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე თანამშრომელი დისციპლინის გამო გამოლანძღა, ზოგიერთებს კი კვალიფიკაცია დაუწუნა, სულ უსაქმურები და უმაქნისები უწოდა და სამსახურიდან დათხოვნით დაემუქრა.

ხალხი გონს მოეგო და დარბაზში ჩოჩქოლი ატყდა. გაცოფებულებმა გიორგის უყვირეს: „შენ ხომ არ გაგიჟდი, რამე ხომ არ გეშლება, თავი ვინ გგონია, მაგ სკამიდან აეთრიე, თორემ კინწისკვრით გაგაგდებთ აქედანო“.

გიორგიმ მწარედ გაიღიმა, დარბაზში მსხდომ გაავებულ ადამიანებს თვალი დამცინავად მოავლო და მშვიდად თქვა: „მე რას მერჩით, ამ სკამის ბრალია თუ რისი, არ ვიცი: აქედან ისეთი არარაობები, ისეთი უვარგისები და გამოთაყვანებულები ჩანხართ, რომ, აბა, სხვანაირად როგორ უნდა მოგმართოთ“.

ამ სარკაზმით სავსე ზუმრობაზე ზოგიერთებს, რომლებსაც მეტ-ნაკლებად გაცნობიერებული ჰქონდათ თავიანთი მდგომარეობის კომიკური ხასიათი, გულიანად გაეცინათ, ხოლო სხვებმა უკმაყოფილო ბუზღუნნი კვლავ განაგრძეს, მაგრამ გიორგის დედად მინისტრის მოადგილემ დარეკა: ნულა დამელოდებითო და თათბირის მონაწილენიც სწრაფად დაიშალნენ.





## თამაზ აქუბარდია

### პატარ-პატარა ინტრიგები (ფსიქოლოგიური დეტექტივი)

ყველა ფაქტი და მოვლენა გამოვლილია. თუ რომელიმე პიროვნება ამ ისტორიაში საკუთარ თავს შეიცნობს, ეს მხოლოდ დამთხვევაა და სხვა არაფერი.

თითქმის ათი წელია, რაც პოლიტიკას ჩამოვშორდი. ისე, კაცმა რომ თქვას, არც არასდროს ვყოფილვარ პოლიტიკოსი, – ყოველ შემთხვევაში, იმ გაგებით, რა გაგებასაც დღეს ამ სიტყვის ცნებაში ზოგიერთი გულისხმობს. არ ვიცი სხვა როგორ, მე კი პოლიტიკოსი, მესმის, როგორც ძალაუფლების მოპოვების იდეით შეპყრობილი ადამიანი. ხოლო, თუ მას ასეთი მისწრაფება არ გააჩნია, მაშინ, მისთვის პოლიტიკა, სულ ცოტა, ბიზნესის კეთების საშუალება მაინც არის, რადგანაც პოლიტიკა დღეს, როგორც თავად წარმოადგენს ბიზნესის ერთ-ერთ წარმატებულ სახეობას, ამავე დროს ბიზნესის, ე.წ. „დაკრიშვის“ ერთ-ერთი, კიდევ უფრო წარმატებული საშუალებაა.

აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ, რამდენადაც პოლიტიკა ბიზნესის კეთების წარმატებული გზაა, იგი იმდენადვე არის რთული და საშიში, რადგანაც, თუ ერთი ფეხი დაგიცდა, შეიძლება არა მარტო პოლიტიკიდან წახვიდე, არამედ იქ მოხვდე, საიდანაც არ ბრუნდებიან. ამის, რამდენადაც ნათელი, იმდენადვე სამწუხარო

მაგალითი, საქართველოს უახლესი ისტორიიდან, გახლავთ ძალიან ცნობილი პოლიტიკოსის პოლიტიკური ბედი. არა და, იგი პოლიტიკოსი იყო, ამ სიტყვის სხვადასხვა ინტერპრეტაციებს შორის საუკეთესო გაგებით.

სწორედ ამიტომ, ძალიან გამიკვირდა და, სიმართლე გითხრათ, ვერც დავიჯერე, როცა საბამ დამირეკა. საბა თავის დროზე ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანის შვილი იყო ქალაქში და, მოგეხსენებათ, ასეთი ხალხისთვის ჩემისთანა ადამიანები ინტერესის საგანს არ წარმოადგენს, თუ არა რაიმე საჭიროება. ამასთან საბა ისეთი ადამიანი იყო, რომელსაც არ უნდა, რომ მხოლოდ ამ კუთხით იყოს ცნობილი და ცდილობს, საკუთარი გზა გაიკვალოს ცხოვრებაში.

ჩემი აზრით, მას ცხოვრებაში საკუთარი გზა უკვე არჩეული აქვს და საკმაოდ მიზანდასახულად მიჰყვება კიდევ ამ გზას. სად გადის ზღვარი მის შესაძლებლობებსა და სურვილებს შორის, ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ დიდი ამბიციები რომ აქვს, ეს მისი ქმედებებიდან აშკარად იგრძნობა. ამაში ნამდვილად დარწმუნებული ვარ.

ამას არც ნიშნის მოგებით ვამბობ და არც რაიმე ცუდი განზრახვით. სწორედ ამიტომ, მართლა გამიკვირდა, როდესაც ასეთმა ადამიანმა, მი-

ზანდასახულმა და, ამდენად, მოუც-  
ლელმა, დამირეკა. ხოლო, როდესაც  
გავიგე დარეკვის მიზეზი, ამან საე-  
რთოდ ჩამაფიქრა.

დასავლეთის უმაღლეს სასწავ-  
ლებლებში უკვე კარგა ხნის აპრობი-  
რებული, სტუდენტების მიერ ლექ-  
ტორების არჩევის ინსტიტუტი, ბო-  
ლოს და ბოლოს ჩვენთანაც დამკ-  
ვიდრდა. და, როგორც მისი ნათქვა-  
მიდან გაირკვა, ჩემი ჯგუფი მომენტა-  
ლურად შეივსო და, აი, ეს „სასიხა-  
რულო ამბავი“ მაუწყა საბამ.

თუ იმ სკანდალს გავიხსენებთ,  
რომელიც მას ადრე დაემართა სტუ-  
დენტებთან მიმართებით, ძალიან  
ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ მას  
ეს გახარებოდა, მაგრამ ამას მე მხო-  
ლოდ ახლა, – დღევანდელი გადასა-  
ხადიდან რომ ვუფიქრებდი, – ვასკვ-  
ნი, თორემ, მაშინ ეს უბრალო ადა-  
მიანურ, ნორმალურ ადამიანურ, ჩვე-  
ულებრივის ფარგლებში არსებულ  
გამოვლინებად მივიჩნიე.

არ ვიტყვი, რომ ლოგიკური აზ-  
როვნების რაღაც განსაკუთრებული  
ნიჭით გამოვიჩნეოდე და, საერთო-  
დაც, სიმართლე გითხრათ, ძალიან  
შორს ვარ გენიოსობიდან, მაგრამ არც  
მთლად უჭკუოს შთაბეჭდილებას  
უნდა ვტოვებდე.

იმასაც თუ გავითვალისწინებთ,  
რომ თავისთავად პარლამენტში ყო-  
ფნა უდიდესი ცხოვრებისეული სკო-  
ლაა, ხოლო ამას პლუს, თითქმის  
მთელი ოთხი წელიწადი, საგამომ-  
ძიებლო კომისიაში მოადგილის  
თანამდებობაზე ყოფნა, ეს ხომ  
საერთოდ უსაძაგლესი ცხოვრებისე-  
ული გამოცდილების პიკია და ისეთი  
რამ არის, რომ, თუ ხორციელების  
სფეროში ე.წ. „მწვანე ბერეტები“  
უმაღლესი კლასის ჯარისკაცები არი-

ან, დაახლოებით იმავეს თქმა შე-  
იძლება ჩემზე, – ფიგურალურად თუ  
ვიტყვით, – სულიერების სფეროში.  
ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ  
რაღაც პატარ-პატარა ინტრიგებში  
გარკვევა და სწორი გადაწყვეტილე-  
ბების მიღება შემიძლია.

ასე იყო, თუ ისე, დავიწყე  
ლექციების კითხვა ერთ-ერთ კერძო  
უმაღლეს სასწავლებელში, „უგულა-  
ვას მეუზოვეებზე“ ოდნავ ნაკლები  
თვითური ანაზღაურებით.

მოვლენები შემდგომ ძალზე უც-  
ნაურად წარიმართა. ერთ მშვენიერ  
დღეს საბა მირეკავს და შეხვედრას  
მთხოვს იმ მოტივით, რომ ჩემთან  
საქმიანი წინადადება აქვს. ცხადია,  
შევხვდი. შეხვედრისას მან განმიცხა-  
და, რომ სწავლის განგრძობლება სურს  
საზღვარგარეთ, რისთვისაც აუცილე-  
ბელია ე.წ. „ჯიმატის“ ჩაბარება, თა-  
ნაც საკმაოდ მაღალი გამსვლელი ქუ-  
ლით, – სადღაც 700-ის ფარგლებში.

ეს იყო პარასკევი დღე. ერთი, ორი  
კვირით ადრე სწავლების მენეჯერმა  
მთხოვა ერთ-ერთი საგნის შუალე-  
დურ გამოცდას დავსწრებოდი დამკ-  
ვირვებლის სახით. ასეთი რამ უმაღ-  
ლეს სასწავლებლებში ხშირად ხდება,  
რადგანაც, მოგეხსენებათ, სტუდენ-  
ტებს გადაწერის ხელოვნება უმაღ-  
ლეს დონემდე აქვთ აყვანილი. თვით  
ის ფაქტი, რომ მაინცდამაინც მე და-  
მიძახეს, ერთი მხრივ გამიხარდა,  
რადგანაც გსიამოვნებს, როცა ვილა-  
ცას სჭირდება, მით უმეტეს ჩემნაირ  
მდგომარეობაში მყოფი ადამიანი,  
როდესაც საკუთარ ძმასაც კი არ ახსო-  
ვხარ; მეორე მხრივ, სადღაც მეწყინა,  
რადგანაც ინსტიტუტი ასე ვთქვათ,  
„გადაძმებელია“ ახალგაზრდებით  
და რა აუცილებელი იყო ჩემი დამა-

ხება, როდესაც მათი გამოყენებაც თავისუფლად შეეძლოთ.

ბოლოს თავი იმით დავიმშვიდე, რომ ადმინისტრაციის აზრით, ჩემი ასაკის ხალხი უფრო გამოდგებოდა ამ საქმისათვის და, ალბათ, იმიტომ დამიძახეს. ამასთან, ნამდვილად არ მინდოდა არავისთან კონფლიქტი, მითუმეტეს შინაგანად ვგრძნობდი, რომ რაღაც კონფლიქტური სიტუაცია მზადდებოდა ჩემ წინააღმდეგ. რაღაც უსიმოვნო გრძნობა მეუფლება ახლაც და მაშინაც, როცა ეს ყველაფერი ვიდაცის ტვინში მჭიდვდებოდა.

ეკონომიკურ თეორიაში არის ე.წ. „ეფექტიანი ხელფასების თეორია“, რომლის არსი, ძალიან მოკლედ, იმაში მდგომარეობს, რომ ესა თუ ის ფირმა ხელფასებს გაცილებით მაღალს უხდის თავის მუშაკებს, ვიდრე საშუალოდ ქვეყანაშია. ამით, ისინი, ჯერ ერთი, მაღალკვალიფიციურ მუშაკებს იზიდავენ, რაც დამქირავებლისთვის, ცხადია, ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი არის იმის დანახვა, თუ როგორი დამოკიდებულება არსებობს ამის შედეგად დამქირავებელსა და დამქირავებულს შორის. ეს ხომ წმინდა წყლის მონათმფლობელური წყობილების რეინკარნაციაა, ოღონდ იმ უმნიშვნელოვანესი განსხვავებით, რომ თუ ძველ რომში, მონათმფლობელური წყობილების ამ კლასიკურ ქვეყანაში, მონობა ძალდატანებით ურთიერთობებზე იყო დაფუძნებული და, როგორც წესი, იგი ბრძოლაში დამარცხებულების ხვედრი იყო, იმ ნეომონათმფლობელურ ურთიერთობებში, რომლებიც ასეთ ფირმებში გვაქვს, არავითარ ხილულ ძალდატანებას ადგილი არა აქვს. „მონები“ თავისი ნებით მიდიან ასეთ ურთიერ-

ობებზე; უფრო მეტიც, ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ამ „თანამედროვე რეზერვაციებში“ მოხვდნენ.

უნდა ნახოთ ერთი, მათი მონური სული, როგორ აისახება მათ სახეებზე. ამ მონურ გამოხედვას ვერავითარ შემთხვევაში ვერ აურევთ ანტიკური ხანის მონათა აჯანყების ბელადის, – თრაკიელი სპარტაკის, – მრისხანებით სავესე მზერაში.

თანამედროვე მონების სახე ყველაფრისათვის მზადმყოფნი, ღირსება აყრილი ადამიანის ის სახეა, რომელიც მატერიალური უზრუნველყოფისათვის ყველას და ყველაფერს გაყიდის, ოღონდაც თავისი ადგილი შეინარჩუნოს და აბსოლუტურად ყველაფერზე მიდის, – მზად არის ნებისმიერ დროს წავიდეს ყველაფერზე. ოღონდ, აქ ერთი „მაგრამ“ უნდა „გავითავისოთ“. ეს ხდება მანამ, სანამ მიეცემა უფრო ხელსაყრელი შემოთავაზება, რათა სხვაგან გადავიდეს, ან თუ მისი შეფის მდგომარეობა „მოყანყალდა“ და აზრი აღარ აქვს მონობას. მაშინ თავის ვიზავისაც ისე გადაადგებს, როგორც შარშანდელ, ტალახში ამოსვრილ, გამონაცვალ პერანგს, ახალი პერანგის ჩაცმის წინ.

რაღაც ამდაგვარი გრძნობა მეუფლებოდა აქ მომუშავეთა მიმართ, რადგან აშკარად ჩანდა მათი მხრიდან თვითგადარჩენის ინსტინქტების ცხოველის დონემდე დასული გამძაფრებული გამოვლინება: სრული „გახსნილობა“ ბრბოსთან მიმართებით და სრული „დახურულობა“ სხვათა მიმართ; ამასთანავე სრული და მუდმივი მზადყოფნა, ოღონდ კი რამე ისეთი წამოგცდეს, ან წამოგადენინოს, რომ მერე თავქუდმოგლეჯილი გაიქცეს და შეფს პირველმა

მოახსენოს. მოკლედ, სახეზე გვაქვს ე.წ. „ასინეთას სინდრომის“ სრული სურათი, მისი გამოვლენის უკიდურესად დახვეწილ ფორმებში.

ძალიან კი გამიგრძელდა, მაგრამ მთავარი სათქმელის უკეთ გასააზრებლად, ალბათ, ეს წიაღსვლები აუცილებელი იყო. მოკლედ, კვირადღეს მივედი გამოცდაზე. გამამწესეს აუდიტორიაში, სადაც ჩემი კარგა ხნის ნაცნობი ეკონომისტი ქ-ნი მირანდა დამხვდა, რამაც ძალიან გამახარა, რადგანაც იგი გარდა იმისა, რომ სასიამოვნო პიროვნება იყო, ამასთან კარგი მოსაუბრეც გახლდათ. თუმცა ჩემი სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა, რადგანაც გამოცდის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე ქ-ნი მირანდა უცებ გაუჩინარდა და, როგორც გაირკვა, იგი სხვა აუდიტორიაში გადაუყვანიათ და მის მაგივრად სხვა ლექტორი, – რომლის სახელიც ნამდვილად არ მახსოვს, – შემოიყვანეს. ამ ფაქტმა რატომღაც უსიამოვნოდ გაიელვა გონებაში; არ დავიზარე და მივედი ქ-ნ მირანდასთან, რათა გამერკვია, თუ რაში იყო საქმე, – რატომ გადაიყვანეს იგი სხვა აუდიტორიაში თავმდგომად. ამაზე ქ-ნმა მირანდამ მიპასუხა, რომ, როგორც სწავლების მენეჯერმა მას უთხრა, იმ ჯგუფში მას გამოცდილი თავდგომი სჭირდებოდა და ქ-ნი მირანდაც სწორედ ასეთად მიაჩნდა. რაღას ვიზამდი, – დავბრუნდი ჩემზე გაპიროვნებულ აუდიტორიაში, სადაც გამოცდა უკვე პრაქტიკულად იწყებოდა.

შემოვიდა საბა და დაარიგა საგამოცდო საკითხები. საგამოცდო საკითხები, როგორც მან აუხსნა სტუდენტებს, ორი ნაწილისგან შედგებოდა. პირველი ნაწილი 20 ე.წ. „მალ-

თიფალ ჩოისისაგან“ შედგებოდა, რაც ქართულად ოთხი პასუხიდან ერთი სწორი პასუხის არჩევას ნიშნავს. ამის დამთავრების შემდეგ მათ ეძლეოდათ ნაშრომის მეორე ნაწილი, რომელშიც ამოცანები იყო და რომელთა რაოდენობა მათთვის წინასწარ უცნობი იყო. ასეთი უცნაური პედაგოგიური მიდგომის მიზანი, ცხადია, ადვილი მისახვედრი იყო, – რათა სტუდენტი მუდმივ სტრესში ყოფილიყო; თუ იგი საკმარისზე მეტ დროს დაუთმობდა გამოცდის პირველ ნაწილს, მაშინ მას, შესაძლოა ვერ მოესწრო მეორე ნაწილში მოცემული ამოცანების ამოხსნა. საყურადღებოა ისიც, რომ ყველა საკითხი ინგლისურად ეძლეოდათ, რაც კიდევ უფრო ზრდიდა სტრესს, – ჯგუფი ხომ ქართული იყო და, ე.ი. სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. მოკლედ, ასეთი ნოვატორული პედაგოგიური იდეების ფრქვევის ფონზე მიმდინარეობდა გამოცდა, რომლის ხანგრძლივობაც ორსაათნახევარს საათს შეადგენდა.

არ შევუდგები იმის მოყოლას, თუ როგორ მიმდინარეობდა გამოცდა, როგორ დადიოდა საბა მერხებს შორის და როგორ უთარგმნიდა მათ ტექსტის გაუგებარ ადგილებს ქართულად და ა.შ.

გამოცდა დასასრულისკენ მიემართებოდა და უკვე დადგა ის მომენტი, რომ ნაშრომების აკრეფა უნდა დაგვეწყო, რომ მოვლენები უცებ კალეიდოსკოპური სისწრაფით განვითარდა: – ამ დროს შემოდის აუდიტორიაში საბა და სწავლების უზრუნველყოფის შეფი; ერთ-ერთი სტუდენტი საბას შევითხვას აძლევს; ჩემი მეწყვილე შეფს სთხოვს, რომ მას ძალიან ეჩქარება და, თუ შეიძლება გაათა-

ვისუფლოს, მით უმეტეს, რომ გამოცდა პრაქტიკულად უკვე დამთავრდა;

როგორღაც ქვეცნობიერად დავინახე, როგორ აიღო საბამ რომელიღაც სტუდენტის ნაშრომი ხელში; და ამ ყველაფრის შემდეგ ჩემი თავი დავაფიქსირე, – მე ნაშრომებს ვაგროვებ. ეს რაღაც თავისთავად მოხდა. არ მესმის მე რატომ უნდა ამეკრიფა ნაშრომები, მაგრამ რადგანაც ჩემი მეწყვილე უეცრად გაუჩინარდა, სხვა გზა არც მქონდა, – ნაშრომები მე უნდა ამეკრიფა. როდესაც ნაშრომები აკრიფე და აუდიტორიაში მიმოვიხედე, აღმოჩნდა, რომ ოთახში მარტო ვიყავი. არ ვიცოდი ნაშრომები ვისთან უნდა მიმეტანა, ან საერთოდ სად მიმეტანა.

ბუნებრივია საბას დავუწყე ძებნა. ყველა აუდიტორია დავიარე და საბა ვერ ვიპოვე. მაშინ უზრუნველყოფის შეფს დავუწყე ძებნა, ვერც ის ვიპოვე, – ორივე ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ. არ ვიცი რა დრო გავიდა, რომ დეპარტამენტის შეფი დავინახე ნაწერებით ხელში და მეძახის, – მე თქვენ გემბთ, სადა ხართ? მივედი მასთან და ნაწერები რომ უნდა გადავცე, იმ დროს მეკითხება, – ყველა ნაწერია? ავტომატურად, ნაწერებს ხელს არ ვუშვებ და, – დავთვალოთ მეთქი, – ვუთხარი.

უკვე სავსებით დარწმუნებული ვიყავი, რომ რომელიღაცა ნაწერი ადგილზე არ იქნებოდა და მართლაც, ერთი ნაწერი ნამდვილად აკლდა. ამაზე უზრუნველყოფის შეფმა ერთი ვიშვიში ატეხა, რაზედაც მე სრულიად დარწმუნებით მივუგე, რომ – „მე დავინახე, როგორ ეჭირა გამოცდის ბოლოს საბას ერთი ნაწერი ხელში და, ალბათ, შეცდომით მას გაჰყვა

ეს ნაწერი. ალბათ, ამიტომ, ჯობია, მივიდეთ საბასთან და ვნახოთ ნაწერებში ხომ არ არის სადმე ჩაჩურთული“. ამის შემდეგ ორივენი გავემართეთ საბას კაბინეტისკენ და მე ავუხსენი მას, თუ რა მოხდა და რას ვაპირებდი.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, გამოცდა ორი დამოუკიდებელი ნაწილისაგან შედგებოდა. ამიტომ, პირველი, რაც დავიწყეთ, ეს იყო, მეორე ნაწილის, უფრო სწორად, პირველი ნაწილის გადათვლა და, იყო თუ არა იმავე სტუდენტის პირველი ნაწილი ადგილზე. თუ პირველი ნაწილი ადგილზე არ იქნებოდა, მაშინ, როგორც სწავლების მენეჯერმა განაცხადა, სტუდენტს ნაშრომი გატანილი აქვს, რაც ჩემთვის ცხადია, შედარებით კარგი ვარიანტი იყო. ამ შემთხვევაში სტუდენტს ბრალდებოდა ნაშრომის გატანა და მას „გააფილდენ“, მაგრამ მე მექნებოდა პრობლემები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოახერხა ასეთი რამ სტუდენტმა.

ცხადია, მე ღრმად ვიყავი დარწმუნებული იმაში, რომ ეს ვარიანტი ვერ გათამაშდებოდა, რადგანაც საჭირო იყო ჩემი კომპრომეტირება არა მხოლოდ ადმინისტრაციის მხრიდან, არამედ სტუდენტების მხრიდანაც. ეს კი მაშინ მოხდებოდა, თუ კი ერთი ნაწილი იქნებოდა ადგილზე და მეორე სადღაც „აორთქლდებოდა“. მაშინ სტუდენტისთვის მე უნდა ამეხსნა, რატომ და როგორ მოხდა ასე.

ცხადია ასეც მოხდა, – პირველი ნაწილი ადგილზე აღმოჩნდა. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ნაწერები მე ხელიდან არ გამიშვია და, რაც მთავარია, ნაწერების დათვლის დროსაც. ამის შემდეგ მე ვთხოვე სა-



ბას, რომ სხვა ჯგუფების ნაწერებში გვენახა, რადგანაც, როგორც უკვე აღწერე ვთქვი, დავინახე, თუ როგორ ეჭირა საბას ერთ-ერთი სტუდენტის ნაწერი.

ჩემი აზრით, საბა ამას არ მოელოდა. მან დაიწყო ნაწერების გასინჯვა. იგი ერთდროულად იღებდა 5-6 ნაწერს, გადახედავდა და მონოტონურად იძახდა, – აქ არ არის! აქ არ არის! ყოველ გადადებულ ნაწერს მეც ვსინჯავდი. აი, ეს მისთვის ნამდვილად მოულოდნელი იყო და 7-8 ასეთი გადასინჯვის შემდეგ, – ნაწერი აღმოჩნდა! საბამ დიდი ენთუზიაზმისა და ხალისის გარეშე განაცხადა, რომ ნაწერი იპოვა. ცხადია, მას სიტყვა არ დაუძრავს, თუ როგორ, ან რატომ მოხვდა ნაწერი მანდ.

რამ გადამარჩინა? აქ, ალბათ, დროის ფაქტორმა, ჩემმა ინტუიციამ და ჩემი მხრიდან მათთვის მოუ-

ლოდნელმა გადაწყვეტილებამ ითამაშა გადამწყვეტი როლი.

არ ვიცი გადაწყვეტილად, ის რაც მოვეყვი, ნამდვილად ასეა, თუ ჩემი ფანტაზიის ნაყოფი, მაგრამ ჩემი ნათქვამის სასარგებლოდ ერთი ტესტი, რომელიც ასეთ შემთხვევაში თითქმის შეუცდომლად მოქმედებს, ისაა, რომ მონური მორჩილების მქონე ხელქვეითის სახეზე თითქმის სრულად აისახება მისი უფროსის შენდამი დამოკიდებულება. აი, ის ქალბატონი, რომელიც გამოცდის ბოლოს ოთახიდან გაშვა, თითქმის დემონსტრაციულად არ მესალმება. ეს მაფიქრებინებს, რომ რაღაც ინტრიგა ჩემს წინააღმდეგ ნამდვილად მზადდებოდა.

დღეს სწავლების მენეჯერმა ისევ მთხოვა კვირას გამოცდაზე თავდგომაში ვყოფილიყავი... ე.ი ინტრიგა გრძელდება, ბატონებო!





## ელენე დემეტრაძე

### მე და წიგნები

როცა მეხსიერებაში ო. მანდელ-შტამის ერთ-ერთი ლექსის სტრიქონების უშედეგოდ აღდგენას შევეცადე, მაშინ ბავშვობის მეგობარმა დამირეკა და დახმარება შემომთავაზა – კრებულს შინ მოგიტანო.

გამიხარდა, რადგან თუ სასურველ სტრიქონებს ვერ გავიხსენებდი, ვეღარც გრაფიკულ ნამუშევარს შევქმნიდი და ჩემი შემკვეთიც, რომელიც მეტისმეტად სწობი და საკმაოდ ვიწრო თვალსაწიერის კაცი გახლდათ, განაწყენდებოდა, მე კი გასამრჯელოს დაკვარგავდი. ნახატი ხომ რამდენიმე დღეში მზად უნდა მქონოდა.

ჩემი სახლის პირველი სართული რაღაცით წიგნთსაცავს ჰგავდა, წიგნებს ლამის ჰერამდე დაედოთ ბინა, მაგრამ შიგ რატომღაც მანდელშტამის ლექსთა კრებული არ ერია. სარკმელთან დავდექი და ჯიუტად ვცდილობდი მეგობრის მოსვლამდე ნაცნობი სტრიქონების მოგონებას.

თან საკუთარ თავზეც ვბრაზობდი – ასე რამ დამავიწყა-მეთქი.

უეცრად ქარი ამოვარდა, წვიმამ დასცხო და მივხვდი, მეგობარს მოსვლა არ ეწერა. კვლავ ვცდილობდი როგორმე მომეგონებინა ლექსი, ის კი გამახსენდა სტრიქონები შიშს რომ მგვრიდა ხოლმე. ალბათ, იმიტომ, რომ მათი ავტორი რეპრესიების დროს მოღვაწეობდა და მათ

შეეწირა კიდეც, ამასობაში ამინდი თანდათან გაუარესდა და წვიმამ იმატა, ქარი სარკმელს ეხეთქებოდა და თუმცა მყარად ნაშენ სახლში ვცხოვრობდი, **ნიაღვრის** შემოჭრის ალბათობა ოთახში მაინც იზრდებოდა, მით უფრო, რომ იატაკი მიწაზე სამი საფეხურით დაბლა იყო. უკვე იმ დამაჯერებელ აზრს ვეღარსად გავექცეოდი, რომ წყლის დონის მატების შემთხვევაში მეგობარი ვერ მომაკითხავდა. მე ჩავფიქრდი, უცბად წარმოვიდგინე ჯმუხი და ნაკლებად მოძრავი მანდელშტამი იმ სტრიქონების წერისას როგორ ამომრავებდა მასიურ ქვედაყბას. ვიცოდი, იმ დროს ცელზე ფიქრობდა, მდინარეზე, მინდორზე, კავკასიაზეც კი. ისიც მახსოვდა, სტრიქონებში ყვავები რომ ფიგურირებდნენ. თუ რა მელოდიური იყო ის სტროფები და რა სულისკვეთებას გამოხატავდა, თვით ესეც ვიცოდი. მე კვლავ დავმაბე მეხსიერება, ახლა გამახსენდა, მუდამ მეგობრებად რომ მიმაჩნდნენ ეს წიგნები და უიმათოდ არ შემეძლო, რადგან იქ არსებული გმირები განწყობილებას მიმაღლებდნენ, მერე კი მათ ცხოვრებას გრაფიკაში ავსახავდი ხოლმე.

ქერათმიანი **ზელდა ფიცჯერალდის** უკმაყოფილო პროფილიც მახსოვდა, მისი მეგობრების ნებისმიერი ცხოვრებისეული წვრილმანიც,

საჭირო სტრიქონები კი არა და არა და არ უბრუნდებოდა მეხსიერებას. ეს ყოველივე ძალიან მაშფოთებდა და ჩემს გონებას აიძულებდა, უფრო სწრაფად ეძუშავა, რადგან ვხვდებოდი, მეგობარი აღარ მოვიდოდა, ჩემი სნობი შემკვეთიც გასამრჯელოს გარეშე დამტოვებდა და განაწყენდებოდა. ოღონდ იმიტომ კი არა, რომ რაიმე ღირებულის აღქმა შეეძლო, არამედ იმიტომ, რომ გრაფიკა მოდურად მიაჩნდა და ამით სახლის გალამაზებას ცდილობდა. ეს ენაჭარტალა შეკვეთის შეუსრულებლობას არ შემარჩენდა, მოკრძალებულ ბესაც საჯარო სკანდალით წამართმევდა, რადგან როგორც დობროლიუბოვი წერს, „იმას, რასაც ღირსებაშემოსილი აპატიებს მდაბიოს, ეს უკანასკნელი არ აპატიებს ღირსებაშემოსილს ასეთ თავმდაბლობას“. ამის გაფიქრება საკმარისი იყო, რომ ავმოდრავებულისყავი. ჭექა-ქუხილის ხმამ გამომაფხიზლა, მოვიხედე და შევძრწუნდი, რადგან წყალს სარკმელამდე აეწია. გამბედაობა აღარ მეყო, ნახევრად ღია, გისოსებიანი სარკმელი დამეხურა და ანგარიშმიუცემლად მეორე სართულზე ამავალ ხვეულ კიბეს ავუყევი. უკვე ვიცოდი, ოთახში მოთარეშე ნიაღვარი ნალოლიავებ წიგნებს მთლად დააღობდა და გააუბედურებდა, მაგრამ რატომღაც სტრესულ სიტუაციაში მყოფ გონებას ახლა ის სტრიქონები უფრო აღელვებდა, ვიდრე შემოვარდნილი ღვარცოფი.

მე უკვე აღარ ვიცოდი, რა გზას დავდგომოდი, სასწრაფოდ უნდა აღმედგინა მეხსიერებაში ის სტრიქონები. ამ დროს ჩემი წიგნები, რომლითაც ადრე ვამაყობდი, იცრიცებოდნენ და საშველად მიხმობდნენ, მე კი ადგილიდან ვერ ვიძროდი. უკვე ტელევიზიითაც თბილისის წყალდიდობის კადრებს აჩვენებდნენ და ქალაქშიც საგანგებო მდგომარეობა გამოეცხადებინათ, თუმცა მაშველები და პატრული შესაშური გულმოდგინებით მუშაობდნენ და დაზარალებულ მოსახლეობას საჭირო დახმარებას უწევდნენ.

საღამოს ქარი უფრო გაძლიერდა, ქუხილი ატყდა და ჩემს მეხსიერებაში, როგორც იქნა, ამოტივტივდა სიღრმეში დალექილი სტრიქონები, მე ძალიან გამიხარდა და მყისიერად ისინი ფურცელზე გადავიტანე! კეთილმა მეგობარმა, რომელსაც აღარ ველოდი, უეცრად მობილურით შემატყობინა, რომ ტაქსით „ზემელს“ უახლოვდებოდა. მივხვდი, რომ მას ჩემი საოცრად ესმოდა და გულით ეწადა, დამხმარებოდა, თუმცა კვლავ გასაჭირში ვეგონე. გულში ვზეიმობდი, რომ მივიწყებული სტრიქონები გავიხსენე. რამდენიმე წუთში ჩემი გალუმპული მეგობარი წიგნით ხელში ეზოდან ხმამაღლა მიმახდა, თან გაოგნებული მისჩერებოდა სახლის პირველ სართულს. ახლა გულში სითბო მეღვრებოდა, მე ხომ უკვე ეს წიგნი ხსოვნაში მქონდა....





## ნოდარ შანიძე

### შორეული წარსულის კვალდაკვალ

ეს ნაწარმოები თავიდან ბრძოლას უფრო დაემგვანა და შევეცადე მოგზაურობისთვის მიემგავსებინა. შეუძლებელი არასოდეს მიცდია. ან იქნებ პატივმოყვარული მცდელობაც იყო?! უცებ გადავწყვიტე თავისთვის ახირების უფლება მიმეცა. ხოლო, რაც მთავარია, იგი ხარკის გადახდა იქნება წარსულისადმი, მათადმი, ვინაც მმეგობრობდნენ ცხოვრების საუკეთესო წლებში.

ათი ღამე ვქმნიდი ამ მოთხრობას. ოღონდ არ ვიცი ეს ფაქტები სინამდვილეს შეესაბამება თუ არა. წიგნებიც არაფერს მეუბნებიან ამაზე.

ჩემ შეგნებაში გაჩნდა კვალი ლაოკოონის ქანდაკებისადმი ერთგვარი დამოკიდებულებისა. მე არჩევანის წინაშე დავდექი. ხელოვნებაც ხომ რაღაც შერჩევა გახლავთ.

თითქოს ამ მითის ხელახლა შექმნის მოთხოვნილებაც გამიჩნდა. ამ ქარგაზე ავაგე თხზულება. დაკარგული ნამდვილი ამბავის აღდგენას შევეცადე, რისკენაც სწრაფვა, რაკი ამგვარ ვერსია ავირჩიე, მარცხს ვერაფრით მიწინასწარმეტყველებს.

დიახ! ლაოკოონზე დავფიქრდი – ზნეობრივი არსზე ამბისა – იგი ერთიანად გაცამტვერდება თუკი წარმოვიდგენთ, რომ პითონშემოხვეული მამა და ძენი მისნი ტანჯულსახიანები გველის კუნთების

მიზეზით როდი არიან. დროის შრობრიობას შევეფეთე.

საქმე ისაა, რომ პითონი ძველი ბერძნული სიტყვაა და შეუცდომელს ნიშნავს. დიახ, ურიოშო იყო ლაოკოონი. მას და მის შთამომავალთ სწორედ შეუცდომლობა ტანჯავდათ.

რადგან წინასწარმეტყველმა საქმე კეთილი რჩევით უნდა გამოაკეთოს. გულწრფელი დამცნევებით, ასე იშვიათი რომაა. მან უნდა აწონ – დაწონოს და ცხოვრებისეული ამბები ერთმანეთთან დააპირისპიროს, თითოეულს ღირსება და ნაკვლი მიუთითოს. დასკვნის უფლებაც თავად დაიტოვოს.

მას ენდობოდა ყველა და იგიც მათთვის მეორე ცხოვრებას გასცემდა. რამდენი მიჯაჭვული სხეული აიხსნა მისი მეშვეობით. ბევრი ოცნება შესრულებულა. იგი გახლდათ ყველს მომწესრიგებელი, გზაზე დამყენებელი და გრძნობათა დამაწყნარებელი. ისე კი არ უნდა დალაპარაკებოდა მათ როგორც ეს მისანს შეშვენის, არამედ ისეც, როგორც ეს საქმეს შეეფერებოდა.

ყოველ კონკრეტულ ვითარებაში ფრთხილი რჩევანი გაეცა, გაუგებრობანი არ გამოეწვია. ეს კი იმას ნიშნავს, ყველასთან ემეგობრა და არავინ ყოფილიყო მისი მეგობარი.

ახლა ჩემს ფიქრებს მორიდებულად გაგიმჟღავნებთ, ვიმედოვნებ იმედი არ გაგიქარწყლდებათ.

მინდა რაღაც პროლოგის მსგავსი დავუწერო მე მათ ცხოვრებას. სავსე წუხილითა და მშვენიერებით.

მზე ისე კოხტად ჩადის ანატოლიაში, დარდანელის სრუტის სამხრეთ დასავლეთის მიღმა, ისეთი ლამაზი დაისი იცის, დასალიერი ნაირფერად აფორაჯდება ხოლმე.

ზღვის სივრცე ჯერ ისევ იღვრებოდა შორეულ ციალით, მაგრამ სიკაშკაშე დაეკარგა და ვიწრო ალისფერ ოქროსფერ ძაფად გადაჭიმულიყო, რომელიც ცის კაბადონს არშიას ავლებდა.

წყნარი ნინევიტ მოხურულიყო ზღვა. დაფრინავდნენ სხვადასხვა რჯულისა და გუჯაბის ფრინველები. ირგვლივ ტრიალებდა მარილის სუნი. ნაპირის დონე კუნძულისას უსწორდებოდა, აღმოსავლეთით შუქურა იდგა.

მიზეზთა გამო უმადურებას ვიჩენ. მოუხსენებლად უნდა დავტოვო ყრმათა ბუნების შემტყვებარი კაცი. მთელი არსებით ეთანხმება იგი ჩემ მიერ წარმოსახულ ადამიანის ხასიათს.

იმჟამად იქ ერთი გათეთრებული ბერიკაცი იმყოფებოდა. ყოველივე ბერძნულის უპირატესობის გრძნობით. მადლცხებულ პიროვნებას, დიდსულოვანსა და ფაქიზს სიძველეთა შემგროვებელს ვამგვანებდი. მართლა მაინტერესებს ბოლოსდაბლოს თუ ვინ უნდა ყოფილიყო იგი?!

ენაწყლიანი მოუბარი იყო ხანდაზმული, ისე როგორც მწერალს შეეფერება.

ტროაში სპარტადან ჩასული გაუნძრევლად იჯდა სანაპიროზე. უსახელო შემოქმედი და ყარიბი, ბევრი რომ უვლია და უწოწიალია.

ბუნებით კეთილი ჩანდა, მხრებში ოდნავ მოხრილი, თხელულვაშეზიანი, თავმდაბალი.

ამ უხუცესმა უდიდესი სამსახური გაუწია არა მხოლოდ ბერძენებს, არამედ მსოფლიოს.

მან დაინახა, ახალგაზრდები გამაგრებულ ქვიშაზე დარბოდნენ. გოგონას გამხდარი, მოქნილი, ლამაზი სხეული შეამჩნია. სახე ტანწყობილი აღნაგობის ახალგაზრდისა აშკარად ტროელთა მოდგმისა იყო.

ჩემს უშუალო თემას ძალზე დავუახლოვდები, თუკი გამოვთქვამ შეხედულებას, რასაც არავითარი მტკიცება არ სჭირდება. მაქვს საბაზი ამგვარი თავზეხელაღებული საქციელისათვის.

ეს პირველი მეტაფორული სახეა. იგი განაწყობს მომავლის გონებას ეძიონ გამოსავალი.

ამას ნამდვილად მგზნებარე თუ გამიგებს. ვწერ მგზნებარეთათვის.

მამიებელმა გონებამ დაადგინა, რომ, კეთილშობილი ბუნება სირბილის დროს ტანს წინ არ წახრის ისე, როგორც ცხოველი, მორბენალ ფეხებისთვის თითქოს წინა კიდურების მიშველებას ლამობდეს. ასეთია კენტავრთა მოდგმის ბავშვი. მასში ღვთაებრივიც არის და დემონურიც.

იცოდა მან, რომ აალებულ გონების ყმაწვილთა უმეტესობა სწორედ ასე უნდა დარბოდეს. მათ უკვე მიღებული აქვთ სულიერი წვრთნის გამოცდილება.

ამგვარი ყრმის გონებას ბრბოს ფიქრები ვერ მიეკარება, რადგან

მას არაფერი აქვს საერთო ბრბოსთან.

დაასკვნა, იგი იქნებოდა მძლავრი ზეგავლენის უნარის მქონე ქალი.

მწუხრის სიმდიდრე გამომაქვს. მეტისმეტი ჩაძიებით განსახილველი.

ვინმეს შეიძლება კიდევ გაეცინოს გენეალოგიის ამგვარ ძიებაზე, მაგრამ ვფიქრობ, ამ ვარაუდში ეჭვსაც ვერავინ შეიტანს.

მერე მოხდა ისე, რომ იმ მოხუცმა გოგონა საბერძნეთში წაიყვანა.

ჯერ კიდევ ყმაწვილქალს უკვე დელფოს ორაკულად ვხედავთ.

თავის თმებში გახვეული ქალი იყო პითეიონი. ლაოკოონის წყეული შთამომავალი. წინასწარმეტყველებისა და მჭევრმეტყველების უნარი მას შთამომავლობით ებოძა.

უეცრად მომინდა მის სახეს უფრო ყურადღებით დავეკვირვებოდი. ატმის ერთი ყვავილიც არ უნდა გამომჩრეს პითიას აბურდულ თმაში.

გოგონას სათუთი ნატურა დახალასებულ სხეულსა და ნატიფ ნაკვთებში გამოსჭვიოდა. მის აბრეშუმით ფაფუკა წაბლისფერ თმებს ქარვისფერი დაჰკრავდა. საუცხოო და ზღაპრული პროფილი ჰქონდა. სწორი და უზადო ცხვირი, ნაზად ავარდისფერებული ლოყები ლალისფერი ტუჩები და პატარა ფაქიზი ნიკაპი. დიდრონი თვალები ვნებიანი ადამიანის გამომეტყველებას აძლევდა მანდილოსნის მომცრო და ფერმკრთალ სახეს. ტანწერწერა ამაზონელი გეგონებოდა, ცივი, თავმომწონე და უკარება.

ვის არ შეხვდებოდით მასთან მისულს რიგში: ბედის ნებიერ თუ უსახლკაროთ, ბედკრულ მაწანწალა

ბოგანოებს, გზა ხეტიალში რომ დაუღვევიათ, ერთმანეთს თავთავიანთ სევდას უზიარებდნენ. მდიდრებს: მეფეებს, ლაჩრებს, ჯალათებს, მეომრებს, კაცთმოძულეებს თუ სულით აღზევებულთა სიყვარულით ანთებულ თვალებს. მუშაობის ილაჯგაწყვეტილთ. ნიკრისის ქარნამგერებთ და მათაც, ერის მხსნელის სახელის მოხვეჭა ანდა საზოგადოებისათვის ჯანსაღ და სასარგებლო წევრებად ქცევა რომ ეწადათ.

ერთი საგულისხმო ფაქტიც უნდა აღვნიშნო.

ერთხელ მას სოკრატეზე აზრის საკითხავად ფილოსოფოსის მეგობარი ხერფონი და ახალგაზრდა მწერალი და ფილოსოფოსი არისტოფანე ესტუმრენ.

სამ ადამიანს შორის უაღრესად თავაზიანი და ნდობით აღსავსე საუბარი გაიმართა. პითია დღისით წინასწარმეტყველებდა, რადგან ღამით გველს ძინავს. ხეფრონი და არისტოფანე კი მას სწორედ ღამე ეწვივნენ. არისტოფანეს თავი თითქოს ერთობ წესიერად და წყნარად ეჭირა, უჩვეულოდ ზნეკეთილად და სათნოდ, მაგრამ ახალგაზრდა მწერალი და ფილოსოფოსი პითიას მეტს ვერფერს ხედავდა, კობტა ხელები დოიჯად შემოეყარა. კაცს, რომელსაც ფილოსოფია უყვარს, ქალიც იოლად შეუყვარდება, ყოველ შემთხვევაში გულში მაინც ჩაუვარდება. როგორც ჩანს, გოგომაც მხარი აუბა. მან პითეიონის ყურადღება მიიქცია ახოვანებითა და მშვენიერი გარეგნობით. ყველაფრიდან ჩანდა, თუკი ორივე არა, ერთი მაინც შეყვარებული უნდა ყოფილიყო.

მთვართ მუქფენილი მისი თვალების უსაზღვროდ წრფელმა მზერამ, რომლის მსგავსი პითიას არაფერი ენახა, დაარწმუნა ყმაწვილი ქალი რომ ვაჟი მისდამი გულგრილი არ იყო, თავადაც კამკამა თვალები მიანათა და მიეხმატკბილა. ჟამ – ჟამად ამოიოხრებდნენ და საუბარს კვლავ განაგრძობდნენ.

პითიას სახის ნაკვეთებზე შიშნეული ცნობისმოყვარეობაც ეხატებოდა და ეს ხერფონს არ გამოჰპარვია შინაგანმა თრთოლვამ როგორ აიტანა იგი.

ქალს თვალები ასწყლიანებოდა, თითქოს შიგ სევდისა და სიყვარულის ნამი ჩაუდგაო. მაგრამ, უცერად მასში დაბუდებული ყველა უცნაურობა მოურიდებლად და გიჟმაჟურად ამოიფრქვა ზედაპირზე. არისტოფანე განზე ნაზად გაიზიდა, იქ, სადაც მთვარე მომხიბლავად დაჰნათოდა ტანკენარ ხეებს. ხერფონმა ორთავეს გაოცებული მზერა კი შეავლო, გარნა არ შეიმჩნია, რახან ხილვა თვალწარმტაცი იყო და უნდოდა კიდევ დიდხანს ეცქირა, მაგრამ ეს ყოველივე ღამის სიბნელეში მალევე ჩაინთქა. ჰოდა მარტო მე და ხერფონმა ვიცი, რა მოხდა მაშინ ნერანძის ხის ძირას. არისტოფანე ნაზად ეამბორა ვარდისფერ ტუჩებს. სწორედ იმხანად აკოცა პირველად და ვარდის გემო პირში რომ დარჩა, თვით სიჭარმაგემდე გაჰყვა.

მერე, როცა გამოემშვიდობნენ ერთმანეთს, მწერალს და ფილოსოფოსს თითქოს გაუჭირდა დაეტოვებინა მშვენიერი კონცხი და ხერფონმაც გამკიცხავი მზერა ესროლა.

მალევე, რამდენიმე დღის მერე სამისნოს კარზე ფრთხილი კაკუნით

გაისმა და ტამარში მყოფებს გული გადაუქანდათ. არავის ელოდნენ. ერთმანეთს დაეჭვებით გადახედეს, კაკუნით განმეორდა და გარედან მახილიც შემოესმათ, არისტოფანეს ხმა იყო, პითიას ეძახდა.

ასე გაგრძელდა მათი ურთიერთობა.

ფილოსოფოსი ხშირად მიდიოდა იქ, სადაც მას გამოუთქმელად ტკბილი შეგრძნებები ელოდებოდა.

ერთობ მრავალგზის, სად თავს მოიდრეკდა მოხროვილი ხალხი, მსასოვარნი, უფლის სასრულისუქონელი ბრწყინვალეების წინაშე მუხლმოსაყრელად.

ადამიანები განსხვავებული მდგომარეობით, წოდებით, ფერებით. ღირსეულ გზათა ძებნაში დაღლილნი. ფერმერები, ხელოსნები, მამები და დედები, თვალთმაქცი და ამაონი, ბევრი მიდიოდა მასთან მოსათათბირებლად.

აქ რიგში მდგომი მეზღვაურები გრძელ ამბებს ჰყვებოდნენ შორეულ საზღვაოსნო მოგზაურობებზე.

მათი შეხვედრები უფრო და უფრო გახშირდა სასურველი სინამდვილედ უნდა ქცეულიყო. არისტოფანეს პითეიონის სახეში არასოდეს დაუნახავს იმის უარყოფა რისი თქმაც ეწადა მისთვის, მაინც ხომ უნდა გაემხილა, მერე რა, თუკი პასუხი უკმეხი იქნებოდა. ერთ მშვენიერ დღეს მან მტკიცე გადაწყვეტილებით გაიღვიძა. გარნა, საზოგადოება ცხოვრობდა ბრძანებათა, მითითებათა და აკრძალვათა ატმოსფეროში. ამიტომ ქალი შეუვალი დარჩა.

თითქოს მეცადოს ამ ამაყ დიაცში ქალური სისუსტე აღმოვაჩინო.

ზედმეტად სწორი მსჯელობის ადამიანი, სიტყვაძუნწი, თავშეკავებით სავსე მანდილოსანი ყოველთვის ცოტას ლაპარაკობდა და გულცივის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ლექსად პითიამ მოგვიანებით დაიწყო ქადაგება, რადგან, ასაკთან ერთად მრავალსიტყვაობის სურვილიც გაუჩნდა.

ხალხის გული თავისი უშუალოებით უნდა დაეპყრა, პიროვნულ ღირსებებით, ქაროზის შემოქმედებით ნიჭის გამონათებით. იგი ინტონაციით და მოქნეული ჟესტით მაინც მსხიობს ემგვანებოდა, განუმეორებელ მიმოსს, დიდი დიაპაზონისას. გამომსხველობითი ხერხების მრავალფეროვნებით. მისი ხმა თითქოს შორი სიღრმეებიდან მოედინებოდა და მსმენელის სმენას ესაღებუნებოდა. გელამუნებოდა მისი ღიმლილიც. ქალის თვალებიდან ტროელი დიაცის სხივი გამოჰკრთოდა. ხანდახან აზღუქუნდებოდა და აქაც გამოგონებელ შთაბეჭდილებას ახდენდა.

ერთმანეთს ცვლიდნენ დამადასტურებელი და უარყოფელი არგუმენტები, არცერთ მხარეს არ უნდა გადახრილიყო.

ასეც ხდებოდა ხოლმე, მასთან მისულს საკუთარ გრძნობების გადმოცემა უჭირდა. კაცი ვერ წარმოაჩენს საკუთარ ღირსებებს მორიდებულობის გამო. ადამიანის პიროვნებას ხომ ბევრი თავისებურება ახასიათებს, რასაც ვერას დიდებით ვერ მოიცილებს. მეხორციელი ვერ ახერხებს სრულყოფილად შეასრულოს თავისი როლი, ეს მისთვის „პითეონს“ უნდა ეკარნახა – შეუცდომელს, ის ხშირად სხვას (მეგობარს)

ბარს) აიძულებდა მეგობრის მაგივრად ელაპარაკა და ემოქმედა.

იგი, როგორც დიდი შავი პითონი, ჯერ თითქოს დაუძლურებული, შეგრაგნილი გველი, დამჭკნარ ლიანასავით რომ ეგდო უძრავად, თითქოს აგერ ახლა მკვდარი ეგონათ, მოიკეთებდა, გაივსებოდა და გაცოცხლდებოდა.

მერე კუდით დაეყრდნობოდა იატაკს, მომნუსხავი მზერით როგორც ზამბარა ისე შეიმართებოდა, ზედიმართებოდა, მომლოცველს ელვარე თვალეზს მიაშტერებდა. მისი ღია ფერის მზინავი სხეული ამოწვდილ ხმალივით ლაპლაპებდა. მის თვალეზში ასეთ დროს სამსხვერპლოს ალივით კიაფობდა სიამაყე. ღრმად სწამდა, რომ ღმერთების ნებას გამოხატავდა.

ასეთ დროს ზოგს სიცივე აშინებდა, ზოგსაც სირცხვილი აკრთობდა. სულის სიღრმეში სინდისის ქენჯნა ბორკავდათ. საბუთი სურდათ, ღმერთებისგან მოვლენილი ჩვენება სჭირდებოდათ. ესეც თავისი შეუცდომელი წინასწარმეტყველებით დააპურებდათ, მერე თვალეზს მოჭუტავდა თავს უკან სწევდა, გველი ოქროსფერი ხალებით მოწინწკლულ შავ რგოლებზე ეშვებოდა ზედ თავს დებდა და იქვე მკვდარ ლიანას ემსგავსებოდა.

ცხოვრებაზე რეალისტური მჭვრეტელი და დამკვირვებელი გონივრულად სჯიდა მხოლოდ საკუთარ თავზე დაყრდნობილი. რაგვარ უნდა დაემლია ადამიანს ყოვლისმომცველი შიში სიკვდილისა, რაც ხელს უშლიდა ნაყოფიერ შრომაში. როგორ ესწავლა მას სიდუხჭირის ატანა. ეჩვენებინა, თუ ვით მიადწევდა წარმატებას ვინმე ამ დაპი-



რისპირებულ საზოგადოებაში. თავისი წრფელი გულით გზას იოლად იკვლევდა კეთილი ადამიანებისაკენ. სამიში და სახიფათო რჩევებს დასამახსოვრებელს ხდიდა, დროულად ამბობდა და კარგად აყალიბებდა.

ბუნების წიგნი იცოდა და ეს ეხმარებოდა მათი ცხოვრების ზუსტი სურათის წარმოსახვაში. არ ვიცი, კარგის მაუწყებელია განა, როცა ერს წინასწარმეტყველების მოთხოვნილება აქვს? განჭვრეტა იმისა, რაც ბუნდოვნად მოჩანს შორს.

მარტოხელა დედაკაცის ფსიქოლოგიური შტრიხები მოგვიანებით იმერწებოდა, ქურუმქალად გახდომის მერე პითიას განდევილობის იერიც შევატყვე და მონოზენებში ეძიე!

– პითია გვიკვდებაო – ხმა დაირხა. მდინარე ევროდან კუნძულ კრეტამდე და კუნძულ კერკირადან კუნძულ ლევსბომდე ყველა ამაზე ლაპარაკობდა. საბერძნეთის საზღვრებსაც გასცდა.

სულიერ მღელვარებასა და ფორიაქში გაატარა არისტოფანემ ის ღამე. გამოკეტილი სახლში მთელი ღამე მხრებდაშვებული გაუჩერებლივ გადი-გამოდიოდა. ხანდახან ჩამოჯდებოდა და გუნებაწახდენილი გადარეულივით ზუთხავდა, მოთქვამდა და იზუსტებოდა. ახლა აღთქმულ ბერივით მდუმარებას მისცემოდა. სამი თვის გვალვის შემდეგ ჭექა-ქუხილი სერავდა ზეცას. ბაღები ქუფრად ჩაბნელებულიყო. მერე წვიმამ გადაიღო და გოგირდის მძიმე სუნი დატრიალდა ირგვლივ. წვიმის მეჩხერი წვეთები აქა-იქ ეცემოდა.

მთვარე გამოჩნდა და ჯერ ისევ წყვდიადით დანთქმულ ქალაქში ნათლის თეთრი ლაქები აცრიატდა.

მისი თვალები აირეკლავდნენ მთვარის და ვარსკვლავების სინათლეს ნახევრად ბნელ ოთახში რომ ატანდა. ძალზე ლამაზია ნაავდრალი მთვარე.

წუხილი გონებას მიანდო. ოთახში ჩაკეტილ სივრცეში დაწრიალებდა. გარეთ ფაშატი შვრიას ცოხნიდა. მის გვერდით მდგარი კვიცი დედას ექრუცუნებოდა.

ვეება ღამეს არისტოფანეს მოკრძალებული პატარა ქოხი გულში ჩაეკრა. საფეხურის წინ ყავისფერი ნაგაზი გამოლტილიყო და დროდადრო ძილში საცოდავად წკმუტუნებდა. ეზო სავსე იყო ნაწვიმარ მიწის გრძნეული სუნით. ნიავი შრიალებდა. მსუბუქი სიო სახლს მხოლოდ ცალ მხარეს უგრელებდა. ძილისმომგვრელად ზუზუნებდნენ მწერები, სუსტად ანათებდა ჭრაქის მბჟუტავი შუქი. ეზოში წინკარიდან წყლის მსუბუქი რაკრაკი ისმოდა. განთიადის მკრთალი სინათლე ნელინელ შემოდიოდა ოთახში.

ბოლოს, როგორც იქნა, აისი გამოკრთა. ჯერ კიდევ ეძინა ათენს. საბრალო მომლოცველივით აიტუზა კარის ღიობთან. შემოდგომის დილის ნისლმობურულ სივრცეს უაზროდ მიშტერებოდა. ჩრდილოეთის ვარსკვლავს მიაპყრო მზერა, ცის ოთხივ კიდეს თაყვანი სცა. ამ ღვთისსათნო მოვალეობას იგი ყოველთვის ასრულებდა.

პოლარულ ვარსკვლავისაკენ შებრუნდა და სამჯერ ჩაიჩურჩულა იდუმალი სახელი. ქალისა, ვისი სამსახურიც ეამებოდა, ვის წინაშეც დამდაბლება მისთვის ყოველთვის ყვე-

ლა მიწიერი სიამოვნების ზიარებას ნიშნავდა.

სიგრძივ განზიდული ქუჩები გაიარა, შუკებით დასერილ ათენის ბჭეს გასცდა და მხოლოდღა მერეღა ამხედრდა.

ძუაშეფერილმა სადავემიშვებულმა ბედაურმა კისერი წაიგრძელა და ისე გაჭენდა რომ მუცელი ლამის მიწას გააკრა.

სწორედ აქ გაუსხლტა ხელიდან თავის ისტორიკოსებს (როცა დელფოსისკენ მიმავალ გზას დაადგა).

ჭენებით დაღლილი ცხენი და მხედარი ნელი სვლით მიიწევენ წინ. შავი და ვერცხლისფერი კრეპებით მორთულ ქურანს თავს ფუნჯი ამშვენებდა. ქუჩა მწერებით იყო სავსე. ჰაერი ყვავილების სუნით გაჟღენთილიყო.

მსუყე, ოქროცურვილი შემოდგომის ამინდი იდგა. გრილი ნიავი მოსკიტებს აფრთხობდა. არისტოფანეს გულში იდუმალი ოცნება ჩახუტებინა და ასე, რწევა-რწევით მიიკვლევდა გზას. წინ სამი დღის სავალი ედო.

კენარი ხეები ყვითლად ელვარებდნენ ყვითელსავე მოღზე გადაწოლილ აისის შუქში. მერე შემოდგომის ბურვილებში აღმოჩნდა.

ცოტა ხნის მერე ცხენი შეაჩერა. მარჯვნივ გადამწვარ ხრიოკ დაბლობს გაჰხედა, რომელიც ჭანჭრობით იწყებოდა და ჰორიზონტს ერწყმოდა.

ბოსტნებში ბერძნები დაფუსფუსებდნენ. ძროხებს ყელზე ეკიდათ სპილენძის ზანზალაკები, რომელიღაცა მტაცებელი ფრინველის ჩხავილი ისმოდა.

ვიდაცეები შუბის ტარებით გრძელფაფრიან კვიცებს მიერეკებოდნენ.

ახლა მარცხნივ გაიხედა მიმოფანტული საბძელებს თვალი მოავლო. მოცელილ ბალახის ზვინთან მცოხნავი ძროხა და ვირი შენიშნა, ფრთხილად მიმავალი ქალი და კაციც, თავს მარტოსულად გრძნობდა, დაინახა. მწყემსები ნაცრისფერ გორაკებზე შეფენილ თხების არვეებს დასდევდნენ. ჰაერში კოლო წუოდა.

საშინაო, ტილოს ხალათი ეცვა არისტოფანეს. წვივებზე ფართო ყავისფერი თასმები გადაეჭირა ტყავისა.

უეცარმა სისუსტემ შეიპყრო და ღმერთთან სიახლოვე მოუნდა. უსაზღვრო სისუსტე დაეუფლა. უჯანღონობა საკმაოდ მოერია. თუჯივით დამძიმებოდა ფეხები. ცხედარივით გაშეშებული რამდენიმე წუთით იდგა ცხენიც და კაციც, აყურადებდნენ. გარშემო მხოლოდ ნიავი ჩურჩულებდა.

ცხენმა გზა განაგრძო. და პესტროფებით სავსე მდინარე გასტოპა. წყალი ისე გამჭვირვალე იყო რომ თეთრი კენჭებით მოკირწყლული ფსკერი მოჩანდა.

მდინარეში მცურავ თევზებს მიაჩერდა. იმ დროს დაინახა წყლის მეორე ნაპირიდან მისკენ ვიღაც დაიძრა.

მხედარის წინ მუხლებდაიარავებული მაგრამ სიამაყეშეულახავი მაწანწალა აიტუზა. მოთაფლისფრო ქარდაკრული, აქერცლილი და მოუვლელი კანი სილას და ზღვას დაეთრიმლა. მსხემში უპოვრობის ხანგრძლივი წლები გამოიკვეთა. კაცი გასაჭირს შორიდანვე მიგიხვდებოდა, ცუდმავალმა ფილოსოფოსის გაცვეთილ სანდლებს შეხედა, გლა-

ხაკს მიამსგავსა და მოწყალეების თხოვნაზე ხელი აიღო.

ხან ვიწრო ქუჩებს მიუყვებოდა ხანაც სივრცე გადაემლობოდა თვალწინ. კისერმოდრეკილმა ცხენმა ჭენებით გაირბინა გზა, თანაზომიერად ურტყამდა მიწას ფლოქვებს და კენჭები აქეთ-იქეთ იფანტებოდა. გზადაგზა გუბეები ხვდებოდა. ცხენს ჭყანტობში ფეხი ეფლობოდა ჭაკი ოფლში ცურავდა. გიჟურ სრბოლაში მზე შუბის წვერიდან დასავლეთისაკენ გადახრილიყო. ცხენმა გზა ჩორთით განაგრძო.

ახლა უზარმაზარ კედართან შეჩერდა. თვალეები მიაშტერა დასალიერს. მარჯვენა მოიჩრდილა, თითქოს ვინმეს ეძებდა.

კონუსისმაგვარი მიწურები გამოჩნდა, ქვებით ამოყვანილი მცირე ყორეები, აქა-იქ ჩასობილი საყეები შეუმტკიცავი ქვით ნაგები სამლოცველოც.

ოკრობოკრო ბორცვებზე ვერცხლისფერად ელავდა ერთმანეთის შორიახლოს დაყრილი ძნები. ხეებზე ტკბილად ღულუნებდნენ მტრედები, ვარდების ბუჩქებს სარეველა შერეოდათ. ბალახებში მწყერები დაფათურობდნენ. იგრძნობოდა ჟამთა ცვალებადობა და კიდევ რალაც, მივიწყებულ სამკვიდროთა ხსოვნასავით. წამოიწყო ბერძნული სიმღერა. ეს იყო გაურკვეველი და გაჭიანურებული ჰანგი, მთებში დარხეული ძახილის დარად უეცრად წყდებოდა და იცვლებოდა.

მითოხარიკობდა ცხენი, ნოტიო ქვიშაში ეფლობოდა ფლოქვები. გვალვებისაგან დახეთქილიყო მიწა. ხანდახან გველი გაისრიალებდა. ჭრიჭინების გაბმული ჭრიჭინი ისმოდა. ცაზე არწივი გადაიფრენდა,

არისტოფანე ხანდახან ასვენებდა ცხენს და მერე კვლავ შეუსვენებელივ მიაჭინებდა ბედაურს.

ახლა ჭადრების ჭალას მიუყვებოდა, სკასავით ახორხლილი ქობმახებს ხედავდა, ზღურბლზე მიმობნეული ნიჟარებითა და გასაშრობად გამოკიდებული ბადეებით. წალკოტებში ფოთოლთა შრიალი შუკების ყრუ ხმაურს ეზავებოდა.

სამი დღის შემდეგ მიაღწია ზეგანს, რომელსაც ამწვანებული გორაკი ეკვროდა. პარნასის მთებიდან მონაბერ სიოს ნოტიო მოჰქონდა და ლიდორიკის მთებისკენ და კორინთოს ყურისკენ ჩაჰქონდა.

ჭიშკარს რომ მიუახლოვდა, სამსხვერპლოს კვარცხლბეკთან ატუზულ ბატკანს დაემსგავსა, საფეთქლები უცემდა. აღარ იცოდა რა ექნა. თავისი გაუბედაობა აცბუნებდა. გრძნობის ორგანოები აღარ ემორჩილებოდნენ. მაგრამ, მრავალფეროვანი მცენარეულობით შემკულ ტაძრის ეზოს გადააბიჯა თუ არა, მშვიდობიანი იერი გადაიკრა სახეზე. დელფოს სამისნოს ეზოში მწუხარე, თუმცა ღირსებამოსილი, თითქმის ამაყი შევიდა.

გალავანს გადაღმა ლატანები დაინახა, რომელზეც ძოწეული რიდეები გასაშრობათ გაეფინათ. თულუხჩები ფილაქანს რწყავდნენ. ეზო ქვის ქანდაკებასავით უძრავი ადამიანებით იყო სავსე. ზოგ-ზოგები ხმადაბლა ლაპარაკობდნენ. საუბარი შესაფერისი ჰქონდათ, მომაკვდავის სარეცელთან შეკრებილ საზოგადოებას რომ სჩვევია.

უბადრუკად ჩაცმული დაბებკილმოსასხამიანი ღარიბები თუ წმინდად ნაქსოვი ძოწეული ტუნიკით შემოსილი შეძლებულები ერთ-

ნაირად, უჩუმრად მისცემოდნენ სევდას.

შორიდან ჩამოსულ ბარბაროს ქალებს რძისფერი ძუძუ მკერდი ტყავით დაეფარათ და ნარინჯისფერფოთლებიანი ყვავილები მიემაგრებინათ ყურთან. ხოლო, ფეხებზე შემობლანდულ ქსოვილზე ოქროწული ყაითანი შემოეხვიათ, ზოგი სელის კაბაში გახვეულიყო და ზოგსაც აქლემის ბეწვის კუბოკრული სამოსი ეცვა, თავზე სინდიოფალას ბეწვის ქუდები ეხურათ.

ლამაზ ხეივანს გაუყვა, შეღმართი აათავა და ხეთა რიგიც დამთავრდა. ასე მიაღწია კიბემდე. სამისნოში შესასვლელი ხალხით იყო სავსე. ზოგიერთმა იცნო და შორიდან უძღვნა სალამი. აქატის საფეხურზე ფეხი შედგა, აიარა და მაღალთადიან დარბაზში შევიდა.

ტანის ექსცენტრული რხევით აღარ გამოჰგებებია. ტაძარში ყვავილებისა და კიდევ მწლაკე სუნი იდგა, რომელიც ღვინისა და პურის არომატს მოჰგავდა.

მას გარს ეხვივნენ თაყვანისმცემლები და მიმდევრები. ბევრი მშვენიერი გოგონა, ზოგი მათგანი მართლაც რომ უჩვეულოდ ლამაზი. ყველა ღრმად იყო განსწავლული რჯულის საკითხში. მუშკით იყვნენ ცხებულნი და კიდევ რომელიღაცა სურნელით. ქურუმ ქალები წითელ მარმაშით შემოსილიყვნენ, ტაძრის სტოაში სვეტებქვეშ მეწამულ ზღუდედ აღიმართნენ. წარბები მოეხატათ, იმათ, რომელთაც თმა ღრუბელივით ჰქონდათ აკეცილი ახვეული ოქროს სავარცხლები თმებში ჩაემაგრებინათ. ქალთა შორის სხვებს კეფაზე თმები ჰქონდათ გამონასკვული. თმაში ვერცხლის გრძელი

ქინძისთავები გაერჭოთ, ისმოდა მსუბუქი ქსოვილის შრიალი. გამჭვირვალე სამოსში ენდროთი შეფერილი ბაგეები უელავდათ. ღაწვები და ქუთუთოები სინგურით შეეფაკლათ. მუშკისა და ებანოზის ნაზავით დაეგრძელებინათ წარბები.

ზანგ ქურუმ ქალებს ფართო სახელოებში გადაეჯვარედინათ ხელები. ხელთ იაგუნდით შელამაზებული საკრავები ეკყრათ. დროდადრო ქნარებზე ჰიმნს აჟღერებდნენ რადგან სული ჰარმონიააო, ასე ასაბუთებდნენ პითაგორელები. თარის დამკვრელებს განიერი სამოსელი ოქროს რკალით დაემაგრებინათ თავზე. ოთახის ოთხივე კუთხეში ოთხ სამფეხზე ცეცხლი გიზგიზებდა. ქარის ქროლაზე ცეცხლის ალი ირხეოდა და წითლად ბრჭყვიალებდა ანთებულ პატრუქებს ერთ-ერთი ქურუმი ქალი სურნელოვან ფხვნილს აყრიდა. იატაკი სადაფის ფილებით იყო დაგებული. მათში ალი ირეკლებოდა, ფრთხილად აბიჯებდა. იატაკი სიასამურისა და ფოცხვერის ტყავებით იყო მოფენილი, მოეჩვენა თითქოს გასლიპული, ცივი და სველი თოკი ფეხქვეშ გაუსრიალდა.

სწორად ჩამოშვებული ფარდები მოლურჯო არილს აფენდნენ. იმის სარეცელისკენ დაიმრა ვინც დაატყვევა მისი მზერა სილამაზითა და მოხდენილობით. მისმა ხილვამ ძალა გამოაცალა თან სიხარულითა და ფარული სიამაყითაც აავსო.

რამდენიმე ხანს ერთმანეთს შეკყურებდნენ, უეცრად შეთრთოლდა. ერთი გათეთრდა მეორე გაწითლდა. ფილოსოფოსს სახეზე განუზომელი მზრუნველობა გამოეხატა.

ქალღმერთის სამოსის ასლი ჩაეცვა – წელში გამოყვანილი ფართოსახელოებიანი ლილისფერი კაბა, რომელიც ქვემოთ განიერდებოდა. და შიგ მაღალი, კოხტა ტანი ჩაჰკარგვოდა. ფართო თეთრი კვართი რბილ ნაკეცებად ეფინა ფეხებამდე და მისი ტანი თხელ მარმაშებად ინაკეთებოდა. მოხუჭულ ქუთუთოებში თვალები ოდნავ უჩანდა.

მუდამ მშვენიერი და დიდებული ნივთები ერტყა ირგვლივ. მაღალი ოქროს სამფეხი და იქვე ოქროსავე თასი – პოტერიონი. მარგალიტის ქუსლიანი სანდლებიც საწოლთან ელაგა. სხეული ნელსაცხებლით ჰქონდა გაჟღენთილი, სული – ლოცვებით.

ქალს დიდის ამბით მიესალმა მისი მშვენიერი და ხუჭუჭა მეგობარი თავდადრეკილი და მთრთოლვარე. არისტოფანე იატაკზე დაემხო და ფეხები დაუკოცნა (ძველი ბერძნული წესია ფეხებს უკოცნიან მწერლებს და წინასწარმეტყველებს).

პითეონმა დედოფლის ღიმილი მიაგება.

უკანასკნელ სარეცელს მიჯაჭვულიყო, მაგრამ, არცერთი სათუთი გრძნობა არ იყო მკვდარი მის მკერდში, ერთი სიმიც არ იყო ჩაჟანგებული და ძნელად ასაჟღერებელი.

საწოლის კიდესთან ჩამომჯდარი ფილოსოფოსი მონუსხულივით შეაცქერდა. მის ქალისადმი მოპყრობილ აღტაცებულ თვალთა მზერით იყო ნაალერსები პითეონის სახე. აუწერელი სინაზით და ერთგულეობით უცქერდა. კანი დანაოჭებოდა, დიდებული კბილებიდა შემორჩენოდა. სიცოცხლის ნიშატი მხოლოდ დიდრონ სიყვითლეჩამდგარ თვალეებში ჩაჰბუდებოდა. თითქოს ამბის

მთხრობელი მთელი მისი სხეული გახლდათ.

არისტოფანე გარეგნულად შიშნარევი და შემკრთალი გამოიყურებოდა, მაგრამ, მოვალეობის გრძნობა აკავებდა.

გარნა სიყვარულის არსი თავაზიანობას ვერ იტევს. აზღუდი ოდნავ ზემოთ სწევდა და ერთმანეთს უახლოვებდა ძუძუებს. იისფერი მარმაშები ამხელდნენ, რომ რაღაც ზურმუხტისთვლიანი ზეწკვი ეშვებოდა შიგ. სურვილს ვერ გაუძალიანდა და ნახევრმთვარეებად ჩაჭრილ ნაპრალის შუა ვიწრო ღარში ჭრილში თვალებით ჩაიკარგა. მხოლოდ ქუთუთოებდახრილი ზვერაგდა ნახევრად თავხედური და ნახევრადნაწყენი გამომეტყველებით. რაღაც სანდო და ველურ გამოხედვას შორისით.

რამდენიმე დღის უძილო იყო პითეონი, მკერდში მოუსვენებელი და უძილო გული უძგერდა. დაიხარა მოწიწებით არისტოფანე, პითეონის ყველაზე მგზნებარე თავიანისმცემელი და ხელზე აკოცა. სუსტი ძალაგამოცლილი ხელით ხელში ჩაეჭიდა არისტოფანეს პითეონი. თუმცა სული ამოსდიოდა, მას ჯერ კიდევ არ დაეკარგა გაწითლების უნარი.

მომაკვდავის უსიცოცხლო და ძალაგამოლეულმა ხელის კანმა ნაზი თრთოლვით უპასუხა მწერლის ბაგეს. ჯოჯმა კანისამ სხვაგვარი სითბო მიაგება, ხოლო მისმა ტანმა ველური სურნელი და სიმხურვალე გამოსცა.

დაფიქრებული თვალებით შეხედა, პითიამ სინათლის ირიბი სხივი მოეფინა არისტოფანეს შუბლსა და პირს.

ცოტა აცახცახებული ხმით თქვა: მოხდენილი თავის დაკვრა მახსოვს მე შენგან! ფრაზა ჩურჩულად იქცა. მერე კი ირგვლივ ყოველივე სიჩუმემ წალეკა. მოულოდნელად შეიგრძნო მან, რომ იქ მეტიმეტი სიწყნარე სუფევდა და ამ სიწყნარის მიზეზით ყოველი სიტყვა განსაკუთრებულ წონასა და მნიშვნელობას იღებდა.

მოუხეშავად განზე გაფარჩხულ თითებით შეეხო არისტოფანე პითიას უწყესრიგოდ გაშლილ კულულებს მცენარის რქასავით რომ შემოხვეოდა ყელზე. ჭკნობაშეპარულს ჭაღარა თმა ძალზე რბილი ჰქონდა, როცა ნასერი უხეში უნდა ყოფილიყო. ასეთი რბილი და სუბუქი მხცე არსად ენახა არისტოფანეს. შუბლზე კი დახვეულ თმებს შორის ნაზი, ცისფერი ძარღვი უჩანდა.

თვალეებში მსხვილი ცრემლი ჩაუდგა, მერე დაგმანული ქუთუთოებიდან წამოსკდა. გაუგებარ სიტყვებს ბუტბუტებდა.

მალე ჩემი გული ბუმბულივით ამსუბუქდებო. ღიმილი შეწყვიტა და პატარა ტუჩის კუთხეები რამდენჯერმე შეუკრთა.

პითეიონი საამოდ მოითენთა, თავი დაკარგა, რაღაც ფაქიზი და თან ძლიერი, ღმერთების ენის მსგავსი აიძულებდა ამ გრძნობას ანგარიშმიუცემლად მინდობოდა. მკერდზე ჩამოკიდებული ავგაროზი ჩაბლუჯა.

აიხედა მალლა და მოეჩვენა, ზემოთ მკრთალი, მოციმციმე და რბილი სინათლე კრთოდა. უკანასკნელ ცრემლებს ყლაპავდა პითეიონი. კაცი თვალეებში შესციცინებდა.

არისტოფანეს ასეთი ღიმილი მისთვის არასოდეს შეუმჩნევია. ფილოსოფოსმა ქალის სახეზე სიკვდილთან შეგებების გადაწყვეტილება წაიკითხა.

მხოლოდ ერთი წამით, ვითომ სხივი გაუკრთაო, მალევე სამუდამო ძილს მინებდა. გარდაიცვალა უწვლელბლად, თითქოს დაიძინაო.

უეცრად გაჰქრა ყველა ნაოჭი და მოულოდნელად დაეწმინდა სახე. ახალგაზრდა ქალიშვილის იერმა გადაჰქრა. უმოდრაო ნაკვთებს სინორჩე და უცოდველობა დაუბრუნდა.

ღრუბლები მხრებში შეუდგნენ და ცად აზიდეს. ქარვის ქვეყანაში გადაინაცვლა. თავისი ფართო გულმკერდი ზეცაში გაშალა.

ქალებმა დააყვირეს თითბრის საყვირები. მერე იდუმალი ნიშნებით შემკული სახელოები აიფარეს სახეზე და ძუ მგლებივით დაიყმუვლეს. გოდება გაისმა, ქალები მოთქვამდნენ.

ეს შენი ზღაპრული ქალიშვილი იყო – ჩაესმა არისტოფანეს ფეხებს შორის ჩამოუცვივდა ხელები, მოზვერივით შუბლი ნელა დახარა, ხშირი წარბები შეეჭმუხნა და წაიტირა.

ქურუმებმა ეზოში ნელსურნელე-ბა აკმიეს, ყველა ტაძრის კარიბჭე გახსნეს. შავყვითელ გამჭვირვალე სამოსში გამოწყობილი ქურუმი ქალები რხევით ვიდოდნენ და მათი მსუბუქი სამოსი უნაზეს სურნელს აფრქვევდა. ლამაზმანები ქუჩებში დაიარებოდნენ, კარდაკარ კალათებით დაჰქონდათ პურის კვერები. გასცეს სამოსელი, ხორცი და სახელგანთქმული ქიოსური ღვინო. ჩამავალი მზე პითეიონის გაწეწილ

თმაში დაცოცავდა. იმ დღეს მწუხრი განსაკუთრებულად ლამაზი უნდა ყოფილიყო და ასეც იყო.

დაისი ჩაიწვა. ცის თალის კიდეში გაწოლილი მცხრალი მთვარე წამოიწია. განგებ თუ შეარჩია ეს დღე – ასეთი სიტუაციისთვის შეუფერებელი სიმშვიდით წაიჭურჭულა არისტოფანემ.

ამ დღეს ყველას შეგნებაში ქალური საწყისი მძლავრობდა.

მომკვდარიყო იგი, ვინაც სინაზითა და კისკისით ანებივრებდა. გულმდუღარედ გამოიგლოვა ხელშეუხებელი სატრფო. მან ვინაც თავისი ცხოვრება განსჯით მოქანცა. ხასიათწამხდარმა იგრძნო რომ დაუბრუნებლად დაჰკარგა მშვენიერი არსება. მდუმარე ყოფილა სიყვარულთან ბერბიჭული გამოთხოვება. თავს ისე ვგრძნობ თითქოს სიყვარული დაგაკელიო – ესეც წაიდუდუნა.

ბროწეულის ხის ძირში დაკრძალეს პითეიონი.

არისტოფანე ათენში დაბრუნდა. დიდხანს აღარ უცოცხლია!

არავის აუგია სამსხვერპლო პითეიონისათვის ან არისტოფანესათვის. ისინი წმინდა წესრიგს ღირსები არიან.

ეს ორი სახე კაცობრიობის საკუთრებაა და ნუგეშია.

ყველაზე ცოტა ბედნიერი წუთი სწორედ ამათ გამოგლიჯეს ცხოვრებას.

აგერ, ჩამომსხდარან ქედნები ხეზე. იქნებ მათ იციან რამე თქვენზე არისტოფანე და პითეიონო?!

ზეცამ და მიწამ არ იზრუნეს თქვენი ხსოვნისთვის და ჩვენ სათქმელიც აღარ დაგვიტოვეს.

დასავლეთის ქარები უგალობენ ახლა თქვენ საფლავებს. ყური მივუგდე და ეს მითხრეს, რაც აქ დავწერე, სწორედ ეს მიაძებს ზღვის ტალღებმაც თქვენზე, ცხოვრების სევდიან ჩრდილებად რომ გადაქცეულხართ...



GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

# PARALLELI

Literary-Scientific Journal

**მთავარი რედაქტორი:**

რევაზ მიშველაძე

**სარედაქციო კოლეგია:**

მერაბ ახოზაძე

ირაკლი გაბისონია

გიორგი გაჩეჩილაძე

ჯემალ გახოკიძე

გიორგი კულდონაშვილი

ვახტანგ დავითაია

ივანე თვალავაძე

იგორ კვესელავა

ჰენრი კუპრაშვილი

შალვა ნაჭყებია

ვაჟა პაპასკირი

გიორგი სალუქვაძე

**სოსო სიგუა**

*(რედაქტორის მოადგილე)*

არჩილ ფრანგიშვილი

ქეთევან ქოქრაშვილი

რუსუდან ქუთათელაძე

**ბადრი ცხადაძე**

*(პასუხისმგებელი მდივანი)*

თემურ ჯაგოდნიშვილი

ანანია ჯაფარიძე

**EDITOR:**

REVAZ MISHVELADZE

**EDITOR STAFF:**

MERAB AKHOBADZE

IRAKLI GABISONIA

GIOGRI GACHECHILADZE

JEMAL GAKHOKIDZE

GIORGI KULDONASHVILI

VAKHTANG DAVITAIA

IVANE TVALAVADZE

IGOR KVESELAVA

HANRY KUPRASHVILI

SHALVA NACHKEBIA

VAZHA PAPASKIRI

GIORGI SALUQVADZE

**SOSO SIGUA**

*(DEPUTY EDITOR)*

ARCHIL FRANGISHVILI

QETEVAN QOQRASHVILI

RUSUDAN QUTATELADZE

**BADRI TSKHADADZE**

*(EXECUTIVE SECRETARY)*

TEMUR JAGODNISHVILI

ANANIA JAPARIDZE

---

---

LITERARY-SCIENTIFIC MAGAZINE OF THE BUSINESS-ENGINEERING FACULTY

ყდის დიზაინერი ვახტანგ დავითაია

კომპიუტერული უზრუნველყოფა ნონა ცაბაძე

---

---

ჟურნალი ხელმძღვანელობს კანონით პრესის შესახებ.

გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

დაარსდა 1984 წელს, 2000 წლამდე გამოდიოდა წყვეტილად,

აღდგა 2011 წელს.

---

---

მისამართი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

კოსტავას 77, VI კორპუსი, VI სართული, ოთახი 603ა

Editorial office address: GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

Tbilisi, kostava 77; E-mail: [jurnali-paraleli@mail.ru](mailto:jurnali-paraleli@mail.ru)